



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მნათობი



სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1929



მნათობი

4

ყოველთვიური მხატვრული ლიტერატურული
მეცნიერული პუბლიცისტური ჟურნალი

წელისადი შუაგულ

აპრილი

საბავშვო ბავშვთა განყოფილება

თბილისი 1929

საბავშვო განყოფილება
ნაკრები № 1
პუბლიცისტიკა



54944
4/6



მხატვრული ლიბრარია

სოფლის სიახლი

(საგაფხულო)

მე—ისევ სოფელში!

მდინარე ჩაბრუნებამ

შორითვე სალამი შეფეხაოთ მაგება...

მე შიკნეს თავისად: აქ—არყმა, იქ—მუხამ,

სიყრმიითვე ჩვეულმა მინდვრებმა, ბალებმა...

იქ, სახლთან, თეთრ ცხვრებს რომ მოჰგავან ტყემლები
და ბატკნებს, თეთრ ბატკნებს—ატმების ჯაგები,
მე ახლაც თავს ჰდელოს ოცნებით ვეფლები,
სიყრმეც ხომ აქვე მაქვს ბევრ კოშკად ნაგები...

ბებია სალომე, დაჩხირულ თითებით,
გარგანს რომ აორეფდა და სულ ზედ ეკიდა,
დერეფანს შოადგა სხედასხვა ნივთებით,
ახლობელს დაბაში მამას რომ ეყიდა...

ბრდღვიალა საკაბე ჩემის დის, ტასიკოს,
ატმების ყვეაილებს ახლაც ჰგავს შორიდან!..
ბავშვის თვალს იტაცებს, ფერადი რაც იყოს,
შორს ბარად ცეცხლს ითბობს ბინდ-დაკრულ გორიდან!..

მეც იმ დროს, ბრდღვიალას, ვიგონებ სიამით,
მაგრამ დღეს, სხვა ტვირთი მხრებზე რომ ავიღე,
თავიდან ვიშორებ იმ წარსულს, მიამიტს,
და სოფლის მიზანიც, მგონია, გავიგე!

სოფელში დღესაც კვლავ ჰყავიან ატმები,
და ზამთრის თოვლის ქვეშ ჯაგს ჰგავან ტყემლები,
ეზოებს პრიახით იკლებენ ქათმები,
და ვაზებს მოსცევივით ობოლი ცრემლები...

ყველა ეს გაზაფხულს აქ თან სდევს მუდამ წიქს,
ყველა ეს გაზაფხულს მოსდევს და მიჰყვება...
მაგრამ დღეს სოფელი ითვისებს სულ სხვა წიქს,
და იგრძნეს ეს წიქი სოფლურმა მიწებმა!



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

აი, იქ, უწინ რომ ნებვს სწვავდა ბაბუა
და ბოლი ცისკენ რომ წირებად ეყუდა,
ბოლს რომ ჰყრის, ეგ უცხო მანქანა-ჯაღოა,
რომ ხნავს, არ ილღება, ბღღენის მიწას დღე-მუდამ...

და სოფელს ეს ჯაღოც დღეს დიდათ ატყვია;
თუმც ჰაერს კვლავ ნისლაეს სიმწირეც დღეების,
მაგრამ ის ქალაქმა თვის ბოლში გახვია
და იკლებს გუგუნით ამ „რკინის მდევების“!..

და სოფლის სიახლეც, ზამთრისგან—გაზაფხულს
ძველ დროს რომ მოჰქონდა ზღაზენით და ტიატით,
არ ჰყოფნის დღეს იმას, ტრაქტორით გადახნულს,
წინ იწევეს ყოველ დღის ყოველი სიათით!..

წყემსი გოგო

და სიძოვარზე დაედეგ ზემს ფარას,
ფხიზელ დარაჯათ არის მღერია!
გ ი ბ ტ ე.

I

წყემსი გოგო ფეხშიშველი,
ცელქი, კვირცხლი, როგორც შველი,
მოის ფერდოზე, ჯოხით მხარზე
მისდევს ფარას!

თეთრი ცუგა
რჩება უკან!
იქნევს კულს...
რაღაც შურს!

გოგო უშხერს ცივს ანკარას!
ჩამოჯდება იქ თეთრ ქვაზე!
უმღერს წუნარად ლილიფარას,
მინდვრის ჭრელას და დუმფარას!
და იმ ხმაზე

მას ეტყობა რაღაც ლელვა!
როგორც ელვა
უცხად გულში გაჰკრავს დარდი!
რა აწუხებს?
მოწყენილი რისთვის დადის?

II

უწინ იგი უდარდელი,
ცელქი, კვირცხლი, როგორც შველი,
ნაღვლიანად დღეს რად მღერის?
იქნებ ვაემა სიტყვა მისცა
და ამაოდ წყალთან ელის?
რად არ მოდის?
ო, გადაჰყვა გული ლოდინს!
რატომ ველარ უნდა ნახოს
თავის ახლოს?

ერთხელ კიდე... ჰსურს!
 ხომ არვის ჰსურს?
 ერთხელ კიდე! ნეტა როდის?
 თუ დაჰპირდა, რად არ მოდის?
 ო, გადაჰყვა გული ლოდინს!

III

მოეწონა ახალგაზდას
 რო დაესწრო კრებას გუშინ;
 ის ბიჭია აელერილი,
 ჩამოსული მთიდან თუში!
 წყემსი გოგო დღეს მას ელის.
 გულში ლელავს, ცრემლს კი ჰთარავს!
 და შეჰყეფა ცუგამ: მოდის!
 — ძლივს!
 — შენთან ვარ!
 ჰკოცნის ქალას...
 იმ შეთვალას!

IV

— ქალო! ქალო! გოგო, ნანო!
 შემდეგ შენვე არ ინანო:
 სიყვარული გულს რად გპარავს?
 ცხვარს მიხედე!
 წაულია ჭირსამეც თარა!

V

იმ ასკილთან, წყანე ჩირგვთან,
 ყაყაჩო რო ფერავს ვაკეს,—
 წყაროს გვერდით დავიწყებით
 მათ რაღაცა იეშმაკეს!
 ვაცმა იგრძნო: აღარ მწყემსავს,
 წაულია გოგო გრძნობებს;
 ცხვარს გაუძღვა ნახნავებში
 და ჯეჯილი გადაძოვეს!
 ნეველემ რო წამოასწრო,
 ქალს აღინა ცრემლი ცხარი;
 ჯარიმაში გაუყიდა
 ერთი თხა და ორი ცხვარი!
 — წყემსო გოგო! ხომ არ დარდობ?
 ეგ სასჯელი შენთვის კმარა?
 — ხვალე ჩემი ქორწილია
 და მზითევეში მიიყავს თარა!



წერილი კომკავშირელთ

საქდელ მობილიზაციის გამოცხადების მე-
ორე დღეს ტფილისში მოეწყო კომკავშირელთა
გრანდიოზული კარნავალი.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

მე მანდ არ ვიყავ და დღეს როდესაც
გაზეთს ვკითხულობ გულის ფანქვალით,
სულ სხვა ხალისით მესაუბრება
ყველა სტრიქონის, ყველა მარცვალის.
გული ზვირთივით მკერდს ეხეთქება
და მიბრწყინვალებს თვალნი მზიანი—
სალამი ჩვენო დიდო ცხოვრებაე,
მშობელო ახალ ადამიანის.

ჩემო კარგებო, რას არ ვკითხულობ,
აი თუნდ ამას დაეუგდოთ ყური:
შეგიჯენიათ ვირზე უკულმა
ეპისკოპოსი და აზნაური.
— კომკავშირლებმა, დალახეროს ღმერთმა—
ასე ამბობდა თურმე თავადი—
— ანგელოსებიც კი დაგვიფეთა
და დაგვინგრია ძველი ადათი.

ჩემო კარგებო, რა არ გიქნიათ:
თურმე თქვენს ძლიერ სელას და სიმღერებს
ტფილისზე ისე გადუქქეიათ,
ვით მსოფლიოზე ოქტომბრის დღეებს...
და „ურწყუნოსაც“ თვალეში თურმე
ჩამქრალ კრაქივით ებეუტებოდა;
სევდას—ხმა-მალლა ვერ გამოუთქმელს,
ისეე სიბრაზით გულში იხშობდა.

თავისუფლების დროს დიადო,
კომკავშირელთა შზე ხარ ბრწყინვალე—
დღეს შენ ჩვენს გულში ისე ბინადრობ
რომ თვით თავზედაც უფრო გიყვარებო.
შენს ყოველდღიურ ნაბიჯს და საქმეს
ამ ლექსებივით პირმომცინარეს
აღმშენებლობას არ ნახულს ვარკმევთ,
რომელსაც ქვეყნად არ ყავს მოცალე.



თვითთულ ნაბიჯს გადადგმულს ჩენით
ახალ-ახალი სიცოცხლე მოაქვს;
და ეს სიცოცხლე ხომ ჩანჩქერია,
თვით ნიაგარას ჩანჩქერს რომ მოგავს.
დავძლევეთ სიძნელეს, დავძლევეთ ყველაფერს,
რაც დღეს წინ გვხვდება და გზას გვიღობავს
და წითელ ალამს იქ, იქ მივადრენთ
საითყენაც გზა ჩვენ დაგვისახავს.

ესაა ჩენი სურვილი და ეს,
ხომ უნდა მოხდეს, ისე ვით გვინდა...
ან და ვინ შეძლებს გალუდგეს ჩანჩქერს,
რომ მოქუხს მაღალ მთის კალთებიდან?!
და ეს ჩანჩქერი ხომ თვით თქვენა ხართ
ცეცხლ მოელეარე ეპოქის შვილნი!
მაშ, გასწიეთ წინ, რომ ისევე მელგრად
წითელ დროშის ქვეშ კვლავ გაიშალოთ.

ჩვენს ქვეყანაში დღეს ყოველი ქვა,
რაიმე საქმეს ემსახურება;
სიტყვით საესებით ვერ გამოგვიტყვამს
ამ დიდ საქმეთა ახმარება...
მაგრამ მე მუდამ მემანსოვრება
კომკავშირელთა ეს დღე მზიანი,
მაშ, სალამი შენ, ჩენო ცხოვრებაე—
მშობელო ახალ ადამიანის.

ებლა ნახვამდის, ვათავებ ასე,
როცა ტფილისში ჩამოვალ თქვენთან
ახალგაზრდულათ ავინთებ თვალეებს
ქუჩაში თქვენთან გამოვალ ერთად
და ძლევა-მოსილ თქვენს სვლას მჭუხარეს
შევეფეროდები იმ „ცეცხლის ხმებით“,
რომლებშიც დავწევი სევდა მჭუხარე
„ოქტომბრის ღამით გავარდნილ მებით“.

ავვისტო 1928 წ.

პ. ხანი

თბილისი

ისევ თბილისი, მტკვრის ტალღებზე გაჩერებული.
 ხან ნაზი დილა. ხან გრიგალი გადარეული.
 მოვა ივლისი, ხან ჯარივით აჩქარებული,
 და ცვივა მიწას ნაპერწკლები ლაღარეული,
 მწუხრი ფრთებს დაზრის და ლურჯ ტაბტზე დაჯდება მთვარე,
 გამოვალ გარეთ და ბელინსკით გადავჭრი ვერას;
 ძლივს-ღა ვაკავებ უალყზე შემდგარ განცდათა მერანს
 და გაშლილ ქალაქს ისარივით ვუმბინებ თვალებს:
 მინდა გავიგო მისი ფიქრი და მაჯისცემა...
 ის ხომ გულია საქართველოს, მზესავით სრული!
 შემდეგ ლექსისთვის ეს იქნება ახალი თემა,
 თუ მიეწევი ჟამს და დავიჭირე ეპოქის სული.
 დღევანდელი დღე დაკრილია ელვის ხაზებით:
 წუთის თვალეში საუკუნე ზის და ელვარებს;
 დაპქრის რადიო, აკავშირებს ყველა მწვერვალებს...
 და იხურება ძველ განცდათა ხსოვნის ფანჯრები.

ჩვენი ქვეყნის ბაზაფხული

მთელ საქართველოში გადნა თოვლი და
წყალმა მიიღო შიმდინარეობა.
სითბოს თანახმად მერცხალი მოფრინდა,
შემოიკიკვიკა მთა და ღრეობა.

ცამ მოილაგვარდა და ისევ ინება
შობლიურ მდელოთა მზით აღორძინება.

რაც გამოიდარა, მდინარე დაშრა,
მზე უაღრესად განათლებულია.

ხის შეყვავილება დაიწყო ბარში,
ხე რტობამდე ჩაფოთლებულია.

ტყე ამწვანებული, ტყე ჩაფიჭრებული—
ყოფილა ხეთა და ფოთოლთა კრებული.

გახშირდა ფრინველთა მუსიკალობა,
სიმღერამ მოიცვა ვარდი გაშლილი.
ბულბულმა ისურვა ვარდთან გალობა,
სტვენით მოიგონა სარაჯიშვილი.

„მინდვრად კი, ჰეპელა დაათრო იამა,
ბავშმა დაიჭირა და მართლა იამა“.

ცხვრის-ფარა გარეკა მწყემსმა გორი-გორ.
გატკბილხმოვანდა სალაშურის ყელი.
მთა გადაინისლა და ისიც როგორ!
მთა საირმე და ქუბილით მეტყველი.

მამა-პაპეული სისხლით დანამული—
აყვავებულია ძვირფასი მამული.

მთელი საქართველო მზისგან თბება და
ცა იწვის სითბო-სინათლის ქებაში.
პირველი მარტიდან—დეკემბრის თვემდე
ზამთარი წაფიდა შეებულებაში.

ცამ გაიკაშკაშა და ისევ ინება
ამერ-იმერეთის მზით აღორძინება.

ზოტლანდიელი ცემხლჳარეში

პოემა

I

ეს იყო ღამე,
რომლის მზგავსი
ჯერ არ ყოფილა.
ეს იყო ღამე,
სადაც ფიქრი,
როგორც ყორანი
უიმედობის
და სიკვდილის
მზარეში მიჰქრის!
არ არის არსად
ქვეყანაზე
ასეთი ღამე,
არ არის არსად
ქვეყანაზე
ასეთი სევდა—
სევდა კოსმიური.
დეკემბრის ქარი
ამ ღამეს ზევდა.
დეკემბრის ღამეს
ქარი არხევდა
და ფარფატობდა
შავი სიჩუმე
როგორც გაშლილი
ხარნაშოს ფრთები,
და როგორც მთები,
იდგნენ შორი-შორს
დიდი გემები.
ქარი უვლიდა

ფოთის ნავსადგურს.
ფოთის ნავსადგურს
ებრძოდა ქარი.
ფოთის ნავსადგურს
ჩაყურულს ზღვაში—
რომლის სიღრმეში
სიკვდილი არი!

სიდან მოსულან
ეს გემები—
სიჩუმით სადეს?
სიდან მოსულან
ეს გემები
დეცემბის მზგავსი?
რამდენი ზღვები
გაუთულაეთ,
გადაუელიათ!
რამდენი სივრცე
და უფსკრული
გადაუქრიათ!?
ან საით წაულენ
ისინი მაშინ,
როცა შავი ზღვა
თავის მუცლიდან
ამოჰყრის ზეირთებს
და მღვრიე ცაში
დაჭერება უცბად
ანთებული



ოქროს ლამპარი,
და
არ დარევენ
სიმილიდან
წყრიალა ხმებით
ცაში გაყრილი
უთვალავად
ვერცხლის ევენები?
არსად შობილა
ქვეყანაზე
ასეთი სევდა.
არსად შობილა
ქვეყანაზე
ასეთი ღამე!

II

გემძირედიდან,
როგორც ხოჭო,
თავის ხერედიდან,
მხოლოდ ხანდახან
ამოძვრება
იმისთვის მარტო,
რომ ერთი წამით
ცხელ ფილტვებში
ღამის ჰაერი
ჩაეიდეს სუფთა
და
გააგრილოს.
ის როგორც მუდო
გემძირედის
ხერელებში დადის
ის როგორც მუდო
მზის სინათლეს
გადაეჩვია.
გემის სიღრმეში
დრო უზმოთ მიდის...

ნელა ქანაობს
ნავსადგურში
გემი დაღლილი.
ბრიტანეთის გემს,
როგორც ვეშაპს,

ძილი ერევა.
გემის მუცელში
უქრობელი
ანთია ცეცხლი,
ჰყრია ნახშირი.
გემის მუცელში,
როგორც ხოჭო,
დაძვრება კაცი—
პატარა კაცი
გარუჯულ თმებით,
გარუჯულ სახით.

შოტლანდიაში --
პატარა სოფლად,
რომელიც თეთრად
ზღვიდანაც მოსჩანს,
მან მიატოვა
ნაცნობი სახლი —
პატარა სახლი
ღამალი ქერით—
სადაც ბუხარი
ცხელი გუფუნით
მას მოელოდა
ზამთრის ღამეში,
როცა ქარ-ბუქი
თოშავდა სახეს
და ზღვისთან ბრძოლა
ღალავდა მკლავებს.
როცა ქარ-ბუქი
ბორცავდა გარეთ,
როცა გრიგალი
ობრავდა მწარედ—
მის კისერს ორი
ეხვია ხელი—
ორი პატარა,
გამთბარი ხელი—
და
საღლიც გულში,
როგორც სიმღერა,
როგორც სიმღერა
ყველაზე ტკბილი



ისმოდა მოკლე
სახელი მამის...
შოტლანდიაში,
სადაც გაზაფხულს
უყვარს სტუმრობა
მთელი სიმდიდრით—
სადაც ზღვის ხევრდს
ოქროს თევზები
ამღვრევენ დილით—
მან მიატოვა
პატარა სახლი,
ორი პატარა
გამთბარი ხელით.
მან მიატოვა
პატარა სახლი
„მამის“ ძახლით!

III

ყრუ ნავსადგურში
სთვლემს დაღლილი
გემი—გიგანტი
ბრიტანეთის გემს
ეთვლიმება
მღვრიე ტალღებზე.
ბრიტანეთის გემს
ბევრი ღამე
უნაბავს ზღვებზე!
მის ძროზე მიკრულ
ლოკოკინებს
სხვა ზღვებიც ახსოვთ:
უფრო მომწვანო,
უფრო მრისხანე
ხან, ვით მღულარე,
ცხელი და მლაშე.
მის ძროზე მიკრულ
ლოკოკინებს
ბევრი უნახავთ:
მკვდარ მესღვაურთა
გადმოშვება
გემიდან ზღვაში—
ვიწრო ფიციარზე.

ჩაძირულ გემთა
მუდროობა
ზღვების სილაზე,
თევზების ჯარი
მონავარდე
ოკეანეში—
წყლით დაფარული
მოჩვენება
მარჯნის ტყეების
ცისფერ სიღრმეში.
და ზღვებში ჩასულ
ქალაქების
მშვენიერება.
ბევრმა მედღუხამ
გამოცურა
მათ ქვეშ ალერსით,
და მარგალიტმაც
გაულიმათ
უფსკრულებიდან.

IV

მესამე წელი
დაილია
ამ ხეტიალში.
გამოშრა კანი
და თვალები
ნახშირის ალში.
გამშრალ თვალებში
სიხარული
ნელი-ნელ ჰკრება.
ნახშირის მტვერში
შავი ოფლი
მწარეთ იღვრება.
ამ ნავსადგურში
გათავდება
ბედის ტრიალი.
ამდენი ტანჯვა
მარტოობა
და ხეტიალი.
ამ ნავსადგურში
გათავდება

მესამე წელი,
 რაც მას არ ესმის
 სანატრელი
 მამის სახელი!
 აქედან გემი,
 რომ აივსებს
 უმაძლარ სტომაქს,
 გაემართება
 დატვირთული
 ისევ ინგლისში,
 რომ ბირმინგემის
 და ლონდონის
 აძლიოს ქარხნებს
 ჩასაყლაპავად
 მოზიდული
 შავი ქვის მთები.
 რამდენი ღამე,
 რამდენი დღე,
 რამდენი წუთი,
 მან გაატარა
 გემძირედის
 ხერხელები მარტო!
 დღეს შოტლანდია
 აგონდება
 მას ისევ-ისევ.
 ზღვის პირად ბავშვი,
 გაზაფხული,
 მწვანე მაისი—
 და ორი ხელი
 პაწაწინა
 დამწვარ კისერზე.

V

ის ყველგან იყო.
 დედამიწის
 ყოველი კუთხე
 მან მოიარა,
 ინახულა.
 იგონო სიმწუთხე
 სუყველა ზღვების.
 ოკეანების

გრივალები
 გადიტანა.
 ასეთი ღამე
 ჯერ არასდროს
 მას არ უნახავს.
 ჯერ არასოდეს
 ასე მძიმეთ
 არ მოწყენია!..
 მას აგონდება
 ეკვატორი,
 სიციხე და ხაშმი,
 სადაც რომ ტყიებს,
 მდინარეებს,
 ქალაქებს, ვილებს
 ადგია ზეცა,
 ვით საკირე
 ცეცხლის მფრქვეველი.
 სადაც ღამეში
 იგრავენება
 ელვების კეანძი,
 და მების ცემით
 გაყრუებულ
 ჰაერში ისმის
 ტროპიკულ თქეშის
 ხმაურობა,
 ლომის ღრიალი,
 და შეშინებულ
 სპილოების
 მძიმე ჯირითი.
 მას აგონდება
 ბრიტანეთის
 ახალშენები.
 სითაც გემები,
 მიილტვიან,
 როგორც თულეები.
 სადაც სიმშოილი,
 სიღარიბე,
 გონება მწარე
 მსახურად უდგას
 თეთრ ჯენტლმენებს
 სუფთად ჩაცმულებს.

მას აგონდება
ინდოეთის
ნავსადგურები—
განადგურება
დაწინებულ,
მშვიერი ხალხის,
რომლისა ტანი,
პირუტყულ შრომის,
და წველების
ჩუმათ ამტანი,
ასე უღმერთოდ.
იღალება
მათრახის წვერით!
სადაც სამასი
მილიონი
აგდია მტვერში.
და როგორც თავად,
შავი ხოჭო
ამ გემის ხერგელში,
მხოლოდ ხანდახან
შეხედავს ზეცას—
თუ არ დაარტყეს
და არ დაეცა!...

მას ახსოვს გზები
ქარაფნებით ამტვერებული.
მოუკრავს თვალი,
როცა გემი
ნაპირს მიმდგარა:
დიდ მოედნებზე
დაჩოქებულ
აქლემებისთვის,
რომელთა ზურგით
გადმოთრეულ
ზოდებს ოქროსას
ხარბი სიჩქარით
ტვირთავდენ გემზე—
სადაც ინგლისელ
ნეგოციანტს
ორმავ ნიკაპით,
სიგარით პირში

და ღიმილით
მსუქან ტუჩებზე
შიშით და კრძაპუნჯის
შესცქეროდენ
ოფლში ვალვრილი,
წელში მოხრილი,
დაქანცული
შავი მონები.
მას სხვაც რამ ახსოვს,
სხვაც რამ უნახავს!
ვინ დათელის რამდენ
ცრემლებს მოწმე
იგი გამხდარა!
რამდენი სისხლის,
უსამართლობის,
რამდენი ჩაგვრის
შურის და მტრობის,
რამდენ სიმუბდლის
და ვერავგობის
ამ დედამიწის
ყოველი კუთხე
გამხდარა ბუდეო.
ადამიანის
გაუმადლობა,
მისი სიმკაცრე,
მისი ლაჩრობა
და სიბინძურე
გასაკვირველი
მან, საცოდავმა,
უბრალო მუშამ
გემის ხერგლებში
სადაც ჩასულმა,
რა საშინელი
სიცხადით ნახა,
რა საშინელი
სისწორით ზომა!

VI

ჩინეთში, სადაც
ხუთას მილიონს
აბრჩობს სიმშვილი



და სიღარიბე, —
 სადაც ქაობზე
 დადგმულ ქობებში
 ციებ-ციხელება
 სიკვდილს არიგებს,
 სადაც რომ ხუთას
 მილიონ ვლებთა
 მიწა ცრემლებით
 გამბალი არი —
 რისთვის მოსულან
 ყოველ კუთხიდან
 ეს ვეშაპები
 მოუსვენარი,
 და მის ტანს, როგორც
 შავი წურბლები
 შემოსევია
 იმათი ჯარი?
 ამ ნავსადგურებს
 ფირუზის წყლებით
 რატომ ამღვრევენ
 კვამლიან ქშენით?
 ამ ჰაერს გამოთარს
 მზის ელვარებით
 რატომ ავსებენ
 მწუხარე ხმებით?
 ჩინეთში სადაც
 ასეთ სიმწართ
 ებრძვიან სიმშვილს,
 ჩინეთში, სადაც
 ასეთი ტანჯვით
 ხედებიან სიკვდილს,
 სადაც პატარა
 ბავშვთა თითებით,
 მათი გამხმარი,
 სუსტი თითებით
 და მანქანებთან
 დაღვრილი ოფლით
 ნაწოფნი ოქრო
 ამძიმებს გემებს, —
 შემოკრებილა
 ყოველ კუთხიდან

ეს დამშვეული
 გემების ხროვა,
 რომ გატყავებული
 საცოდავ ჩინულს,
 რომელსაც შიშმა
 ჩაუგდო ენა,
 რომელმაც ისე,
 როგორც არავენ
 იცის მოთმენა, —
 გაიღოს მისთვის
 ვინც დადის სუფთად,
 გაიღოს მისთვის,
 ვინც ცხოვრობს უქმად
 თავის ნაწროში,
 თავის ნაოფლი,
 უკანასკნელი
 თავისი ლუქმა!

რა დააყურებს
 მოგუგუნე
 კანტონის ქუჩებს,
 რა გააჩუმებს
 საბრძოლ ველად
 ამტყდარ საყვირებს?
 რამდენი გული
 აენთება
 იმათ ღრიალში,
 რამდენი დროშა
 გაიელვებს
 ხანძრების აღში?
 თითქოს გრივალი
 იგრაგნება
 და ახლოვდება.
 მთელი ჩინეთი
 საბრძოლველად
 თითქოს გროვდება.
 კანტონის ქუჩებს,
 კანტონის უბნებს,
 ყველა ჩაგრულებს
 დამპალ ძონძებში,
 ყველას ვინც შრომით



მობრილა წელში
 ესმის ძახილი
 განწირულ ხმების,
 ესმის ძახილი
 ტანჯული ძმების!
 და ერთი სიტყვა,
 ცეცხლის ბურთივით
 დაგორავს ყველგან,
 მოჰყვება დროშებს,
 მოდენის ბრძოლებს,
 მუშებს და ბავშვებს,
 სიტყვა უბრალო,
 მოკლე სიტყვა:
 „თავისუფლება“!
 მან ეს პირველად
 განიცადა,
 პირველად იგრძნო,
 ასეთი რისხვით
 წარმოთქმული,
 უბრალო სიტყვა.
 გემძირედშიდაც
 გადმოგორდა—
 ეს ცეცხლის ბურთი,
 ჩაძვრა ყურებში
 და ჩაგორდა
 გულის ფსკერამდე.

VII

როცა უცრად
 ზარბაზნების
 გახდა გრიალი
 და დრედნოუტის
 ყუმბარებმა
 ჭალაჭი დახნეს,—
 გემძირედიდან
 ის უცქერდა
 ზემათ მტირალი,
 თუ როგორ ვლევდენ
 ყუმბარები
 ბავშვების სხეულს
 და შორს ფანტაედენ
 მათ ნაფლეთებს

ვიწრო ქუჩებში—
 სადაც ხეავეები
 დახოცილთა
 ეყარა მთებათ
 და ადიოდა,
 როგორც კვამლი
 მალლა ზეცაში
 სისხლის ტბორების
 საშინელი
 ოხშივარები.
 ფოთის ნავსადგურს
 ისევ ისევ
 ჭარი აწამებს,
 ფოთის ნავსადგურს
 ისევ ისევ
 ლამე აწვალებს.
 ეს მოგონება
 სისხლიანი
 მას არ ასვენებს!
 ორი დღის წინად
 ის მოადგა
 ამ ქვეყნის ნაპირს.
 ორი დღის წინად
 მან იხილა
 საბჭოთა მხარე—
 ჩაგრულ სამყაროს
 ცეცხლად რომ ათოვს—
 და სასწაულის
 გახდა მოწამე.

—
 მესამე წელი
 დაილია
 ამ ხეტიალში,
 მაგრამ აქედან
 ის ბრუნდება
 მშობლიურ სახლში.
 გემძირედიდან
 ამოძვრება
 პატარა ხოკო,
 მონახავს სოფელს—
 ზღვიდან რომ მოსჩანს—

და ისევ ისე,
როგორც წინად —
სამი წლის წინად,
დაბალ ქერის ქვეშ
გაიგონებს
სანატრელ სახელს,
და დალილ მხრებზე
შემოიკრავს
პატარა ხელებს...
მესამე წელს,
დაილია
ამ ხეტიალში,
მიგრამ აქედან
ის ბრუნდება
შოტლანდიაში.
გემძირედიდან
ამოძვრება
პატარა ხოჭო,
წითელ ბურთს ჩუმად
ამოიღებს
თავის გულიდან
და გადაისვრის
ათრთოლებულ
ხელებით ხალხში!..
მალე ამ ბურთით
მისი ბავშვიც
დაიწყებს თამაშს!..

როცა ბნელ ღამით
ინგლისის გემს
გაუსკდა მილი
და ორთქლში უცბად
დაიშალა
კაცის სხეული —
კაპიტანს მოკლედ
მოახსენეს,
რომ ამ შემთხვევამ
იმხვერპლა მხოლოდ
ერთი მუშა —

შოტლანდიელი...
რომ ორთქლის ძალამ
მთლად დაშალა
მისი სხეული.
და კიდევ უთბრეს,
რომ პატარა,
უბრალო ყუთში,
რომელიც, აღბად,
მას მიჰქონდა
სახლში ბავშვისთვის,
აღმოაჩინეს
სათამაშო
ნივთებთან ერთად
წითელი დროშა —
პაწაწინა;
და იმის გვერდით
ერთი სურათი,
რომლის ქვევით
ეწერა ასე:
„ელადიმირ ლენინ“.

შოტლანდიაში,
სადაც გაზაფხულს
უყვარს სტუმრობა
მთელი სიმდიდრით,
სადაც ზღვის ხავერდს
ოქროს თევზები
ამღვრევენ დილით —
ისევ ისე სდგას
ის სოფელი
პატარა სხალით...
მხოლოდ შორს, სადღაც
გადაკარგულ
ფოთის ჭაობში
მისი პატრონი
ჩუმად ჩაფლეს
ისე, ვით ძაღლი!..

თებერვალი.
1929 წ.



სსოპრების ქარაზმა

ნაშუალამევის სამი საათია. ჰყინავს. კოჯრის სიოს ბრელოსავით ხშირი თოვა მოაქვს. ელექტროს მაღალი სანთური ისე შუქმიზნედილი ანათებს თავისუფლებების მოედანს, თითქოს იქ ყარყუმის ძვირფასი ბეწვეული დაუფენიით, ზედ ზღაპრული მზეთუნახავი დაუსვამთ და ავი თვალის განსარინებლად მჭრალი მაქმანი მოუბურავთაო. დღმილი,—ოქროთი მოსევადებული დღმილი და პირველი თოვლის ნახი შუშუნი, ვით განთიადის ტკბილი სძლისპირი, დაუფლებია დღიური ფუსფუსით მოქანცულს კოპწია მოედანს.

5464

მხოლოდ ერთ ადგილს, ქუჩების ჯვარედინზე, თავის საგუნავგოზე, ვით მელნის ლაქა სპეტაკ ეტრატზე, შავად აღმართულა ფხიზელი მილიციელი. თავი და ბეჭები თეთრად დანაბდვია, ზურგი რუხი აქვს, ფეხები შავი,—სათამაშოს ჰგავს, თოვლის საბურკალოს, ბავშვები რომ აკეთებენ ხოლმე. სდგას და წყნარად დილინებს, პირიდან ორთქლის კულულები ამოდის. ხანდახან ნათოვის დასაბერტყად ხელებს შეიქნევს და მაშინ ძერას უფრო ჰგავს, ასაფრენად აღართქუნებულ ძერას.

აჰა, პუშკინის ქუჩის ამოსავალში თვალი მოჰკრა ცოცხალ არსებას, რომელიც საეჭვოდ მიყრდნობია დუქნის დარაბას და რალიცას ფათურებს, ხელს უბოჩინებს.

მილიციელი დიძრა, შეიჩხა, შეიბერტყა,—არაფერი. მილიციელმა ნაძალადევად ჩააბეღლა, მაგრამ ის ცოცხალი არსება მაინც თავისას განაგრძობს, რალიცას ებლაუქება. გუშაგმა ინსტიქტურად იარალი მოისინჯა, წელში გასწორდა და ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით უცნობისკენ გაემართა. გზა და გზაც მჭიქრობს:

— თუ ქურდია, რალას დუღუნებს?

მიუახლოვდა:

— რაო, პაპა-ჯან, აქ რას აკეთებ?

მოხუცმა ახედ-ჩახედა, მერე დინჯად უპასუხა:

— დვევილანე, შეილო. ცოტა ქარი მიწა ამევილო: ბებერ ძვლებს ამდენი

კი აღარ შოუძლია, ეჰ—ჰააა.

და ვეება ხურჯინს მიუთითა, ფეხზე მოვაქრის ცალიერ თაბოხეოქო ჩა
მოედო.



— სიღოური ხარ, ამხანაგო?

უკვე ოფიციალურის კილოთი მიმართა მილიციელმა, რაკი დარწმუნდა, სააკაკაო არაფერიაო. თანაც სურდა, ამდენი ხნის მღუმარეს, დაეხვედნენ მაინც დაესველებინა.

მოხუცმა კი სულ სხვა იგუშინა: დათოვილი ჩაბალახი მოიხადა, ზანტად გაშალა, გააწილა, გულმოდგინედ დაჰვერთხა. მერე ბანჯგელიანს წარბებში ორი ნაკვერჩხალი გააღუა, — სწორედ ნაკვერჩხალი, რადგან მისი თვალების ნაშუტი მიძინებული ნაკვერჩხლის ანაზდად აციატებას თუ შეედრებოდა.

— გადამთიელი როდი ვარ, ბატონო.

— არა, ისე გეკითხები, შე კაი კაცო.

ერთი საფეხურით დაბლა ჩამოდგა მილიციელი.

— ჰოოო. შეილთან მფედვიარ, ბატონო. შვოლი მყავს აქანა სამსახურში, სამი წელიწადია არ მინახავს.

— გეტყობა, იმერელი უნდა იყო. მეც იმერელი ვარ და იმიტომ...

მოხუცმა წარბი გაშალა. ჩაბალახის ყურით დანამული წვერ-ულვაში შეიწმინდა, ხრინწი ამოიღო, გააფურთხა და თითქოს თაეისთეის ჩაილაპარაკა:

— ისმეც კაი დაგემართოს! სტრაკი ხარ, შვილო, თუ გარდავოი?

— მილიციელი ვარ, ბაბუ, ქალაქის მილიციელი.

მოხუცმა კმაყოფილების ნიშნად თავი ჩაიქნია.

— ლხერთმა ხარისხი ნუ მოგიშალოს. აბა ქე გეცოდინება, შვილო, აქოურობის ამბავი?

მილიციელი საუწყებო მედიდურებით წელში გაიმართა.

— რასაკვირველია! ჩვენი ხელობა აბა სხვა რა არი? თელი თვილისი ხეღისგულივით ვიცი სულ.

გლებმა მოწინააღმდეგის ნიშნად კვლავ თავი ჩაიქნია.

— ჰო, შვილო. კაი თანამდებობას კაი გაძლოლაც უნდა. რომელი რიადაგის ბრძანდები?

— ბაბუაქე ვარ, წყალაფორეთელი.

— იმე, მეზობლები ვყოფილვართ. შე კაცო! ჩემ ბიჭობაში... ახლა სამაგისო მუხლი სალა მაქ, შვილო და... აღიონზე რა დავკრავდი ხოლმე ფეხს, მაღალ სადილობანდი წყალაფორეთის წაბლარში გაეადენდი ხრეგას. აი, ბენა, რა საფიცრე ტყეები იყო!

— ქაქიჩა გეცოდინება, ცალთვალა ქაქიჩა, წერომ რო თვალის გამოთხარა? იმისი შვილი-შვილი ვარ...

მოხუცმა, მართალია, ქაქიჩას ვინაობა არ იცოდა, მაგრამ ზრდილობის გამო კვერი ასე დაუკრა:

— კაი ძველები გყოლია, შვილო!.. დილიკოურში ერთი თქვენებური ქალია გამოთხოვილი. განათლდა მისი გამზდელი—კაი მოოჯახეა სწორეთ.

— დილიკოურელი ხარ?—შეტა მილიციელი, —აი დედასა, თქვენში რა მალლარი მისვამს! ერთხელ მაყრათ ვახდი სხვას და ხალხი სულ ქერებივით დავფერთხე ყანწებით...

— ჰო, შვილო, იმ რიადაგის ვარ. ასე ნახევარი ფოტო იქნება იქიდან.

მილიციელს, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ ეჩვენა მოხუცის ახლა შეხვედრა, არც უქმედ დახარჯული ტკბილი სიტყვები დაუჯდა კეუში და ამიტომ პირდაპირ ჰკითხა:

— მერე იქიდან რა გაკირვებამ დაგძრა ამ სიშორეზე?

— აქი მოგახსენე, ბატონო, შვილი მყავს მეთქი სამი წლის უნახავი. რასაკურელია, გაგეგონება პროკონტი ტალხუნადე?

და საამაყო შვილის ხსენებაზე ახლა გლესს აებუძვა სიამით ზურგი.

მილიციელმა გვარი კი გაიმეორა, მაგრამ უცოდინარობის ნიშნად დამუწული ტუჩი რამდენჯერმე გააქან-გამოაქანა:

— არა. შვილითანა არაფერს გამიგონია.

— რაფა არა, შე კაი კაცო. მართალი გაკვირვებით უსაყვედურა მოხუცმა, — თელი თფილისი ვიცო და ჩემი პროკო რაფა არ გაგიგონია?! ამას წინაზე ცოლიც შეირთო, რუსი ქალი. იმისთანა ქორწილი ჰქონდა თურმე, რომ აბაშიძესაც გააცუდებდა, რძლის სანახავით უმფრო მევედი ამ სიშორეზე.

მილიციელს კინაღამ უღური გაუტყდა, მაგრამ ზონური იმპარა და თავი ასე დაიმკრინა:

— შეიძლება ისე ვიცნობდე, შესახედავით, მარა გვარი კი, გატეხილი უნდა ვითხრა, არ გამიგონია.

— რას მეუბნები, ყმარწვილო. — ახირდა მოხუცებული, — პროკონტი, ჩემი პროკონტი ვის არ გოუგონია? თელ ქალაქში პირველი კაცია თურმე, მამა ნუ წამიწყდება!

სთქვა და ახალუხის გულისპირი გაიხსნა. დიდ ხანს ეძია და სჩაჩქნა რაღაც შორეულს უბეში, თანაც გაუფებარს პეტუნებდა, — სჯავროზდა თუ იგიწვოდა. ბოლოს, როგორც იყო, გახეხილი ხვერდის მოვრძო ქისა ამოაძრო, — ოდესღაც ოქრომკედით ნაქარვი. დასკენილ საყვედურს ფრჩხილით ჩააცივდა, სმბრეკნა, უფრკოტა. როცა ამ გზით ვერაფერი დაეკლო, კბილის ნასახი მოიშველა, პენგვიით მიუყენა და ნასკვს ძლივობით თავი უჩინა.

მერე ორივე ცერი ქისაში ჩაჭყო, ცალით ქუჭკიანი, გაცრეცილი მანეთიანები გამოაჩინა, ნაჩენში ოთხდაგაკეცილი ქალაღდი ამოაძვრინა, ელექტროს შუქზე გაიტანა და მილიციელს გადასცა.

— აბა წვიკითხე ერთი! მართალია, ქალაქში ნავალი არა ვარ, მარა... არც ისე დაკარგული ვარ, შე კაი კაცო!

მილიციელმა ქალაღდი გამოართვა. გაშალა, ახედ-ჩახედა, ხან მარცხნით დაიჭირა, ხან მარჯვნივ გაიტანა, მაგრამ შიგ მინც ვერაფერი ამოიკითხა: ბატიფურად ნაწერი იყო და თანაც ქიპური ფანქარი ლოკოკინას ნავალივით პრწყიალებდა ელექტროს შუქზე.

მოხუცი პირდაღებული ელოდებოდა. ცალი თვალი რომ მილიციელზე ეკირო, ცალს ქისაში ჩაჭკრავდა ხოლმე. ალბად, ჰგრძნობდა თვისი თარჯიმანის გასაჭირსა და, თითქოს საბოღიშოდ, ასეთი უნებლიე გარჯა რომ მიიყენა, გაუბედავად წაილაპარაკა:

— წიგნი მეც კე ვიცოდი, შვილო, მარა რამდენი ხანია სიბერემ თვალის ჩინი წამართვა და...

სასოწარკვეთილ მილიციელს კირის ოფლმა დაასხა. აქედან დასწრით თვალი ამოიფშენიტა. დაკმუქნილ ქალაქს გასასწორებლად სოველი ხელი გაუსვა და მთლად დადღაბნა.

— რაცხა თათრულს გავს, ამხანაგო!

დარცხვინით ჩაილაპარაკა და კვლავ კირკიტი დაუწყო.

მოხუცს ყვითელ უღვაშებში ჩაეცინა, არა მილიციელის გასაბიძებრებლად არამედ იმიტომ, რომ ნაწერი თათრულს მიადარეს.

— თათრული კი არა, ქრისტიანულია, შვილო: ჩემი შვილი-შვილის ნაწერი, კალისტინესი, შარშან ოთხი კლასი გაათავა.

— ოთხი კლასიო? მშმ, ვერ ყოლია კაი მასწავლებელი...

— კი, შვილო, სოფლის კლასი გაათავა გოგოშიძესთან.

მილიციელს სულ დაეხნა დაეთარი.

— ადრესია, არა?

— დიახ, ჩემი პროკოსი.

— ისე არ გახსობს? ზეპირათ...

არანაკლებ შეწუხებულმა გლეხმა გონებას ძალა დაატანა, ბართია და თობით გადააბრუნა ათასი გასაჭირით გაუყვებული ტყინი. სჩიქნა, იძია და ამის მეტი ვერაფერი მოიგონა:

— ი ჩემი ბოეში მეფუნებოდა (საიდლომით ქე იყო ბიძასთან) ერთობ დიდი სახლია, წინ ბოსტანი აქ, რკინის კიშკარიო...

— კი, მარა მაგისტანა აქ რამდენია, ვინ მოთვლის!

გლეხმა უიმედობის ნიშნად ხელეზილა გაშალა:

— ფუი, ჩემ ხერს, აქნობამდი სულ ენაზე მამგორავდა ი დალოცვილიმ ემ, შვილო, კაცი რო ჩემსავით დაბერდება, იმას მერე გოდორი უნდა მოუწნა, მილიციელმა ახლა სხვა ხერბს მიმართა: სათითაოდ ჩამოუთვალა იმ უბნის ქუჩები. გლეხმა ჩაბალახიდან ცალი ყური გამოიძრო და ბეჯითად უსმენდა.

როცა მილიციელმა სოლოლაკის ქუჩა ახსენა, მოხუცმა, თითქოს უეცარი სლოკინი აუფარდაო, სიხარულით კინაღამ ენა წაიკვნიტა:

— მეიცა, მეიცა! სწორეთ ვე უნდა იყოს: პოლიციეთ მოტოგნილიაო, არა? იმას აყევი და მერე მხარმარჯვნივ შოუხვიეო... სულ ენაზე მამგორავდა ი დასაკუპრავი.

მილიციელმა სასტყენი იძრო და ქურთი მეფხოვე იხმო, შუა მოედანზე რომ ბონოლასავით აფხორილიყო ტყაპუკნილობაზეკებული.

— Слуши, ты не знаишь кто-нибудь Талхунадзе здесь, а?

მეფხოვემ ტყაპუკის საყელო გადაიგდო, ვეება საბიჯვი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაინაცვლა, მერე ძონძებით შეხვეული თავი გააქანა:

— Нет, ни знала. ჰამ, Завти знайт? идом, амхениг!

მიმართა მან მოხუცს.

— აი იმას გაყევი, ზაბუ, და უსაცილოთ მიგიყვანს.

გლებმა ხურჯინი მოიზურგა, საბიჯგი მოიმარჯვა და მილიციის მიუბრუნდა:

— ღმერთმა ნუგეში ნუ მოგიწალოს, შეილო, მარა აქანა ჩინი უნდა გეცო პატივი?! ჩემ ოჯახში თუ გნახე, მე ვიცი მაშინ და...

— არაფერია, ამხანაგო, ჩვენ მოვალეობის ხალხი ვართ.

— ჰო, შეილო, ჰო, კარკა მენახოს შენი თავი.

და მეეზოვეს აედევნა. მიდის და თავისთვის პუტუნებს:

— არა, პროკოს სახელი რავე არ გოფგონია მაგ ყურუსალს! კიდევ როტრაბახობს: თელი ქალაქი ისე ვიცი, როგორც ფოშტის ცხენმაო. არაფერიც არ გცოდნება, ჩემო ბიძია!

მეეზოვე სადღაც ჯურღმულში ჩაქვრა და იქიდან ერთი ძველის-ძველი მოხუცი ამოაძვრინა, რომელიც ჩერგისს უფრო ჰგავდა, ვიდრე სულიერს. ამოძვრა და თან შმორიანი სუნი ამოიტანა, — ნესტითა დასიშვავით შეზავებული. ცალი ხელით წირპლიან თვალებს იფშენებდა, ცალით კი შგნიდან ილღიას იფხანდა, თავგამეტებით, ხშირად.

— ტარხუნ, და? ვერხნი ეტაეა ნალევა.

ნამძინარევედ წაიდუღუნა და ისევე თავის ნაპრალში ჩასძვრა.

სანამ იმას იპოენიდა, ვისაც ეძებდა, ჩვენმა მოხუცმა, ესე იგი, ზარასპი ტარხუნადემ ჯერ ქვედა სართული ააფორიაქა, შემდეგ შუათანა და ახლა მესამეზეა კარებს მიმდგარი. ურტყამს და აბრაზუნებს, რაც ძალა აქვს: ხან ჯოხით, ხან მუშტით. თანაც ხმაბალა გაჰკვივის:

— პროკონტი, ბოშო, პროკონტი!

ქვემოდ სადღაც ძებმეწოვარი აჩაველდა. ბავშვის ხრიბას ნამძინარევი დედის წუწუნი ნიჰყვა, ამის წუწუნს კი — ახველებული კაცის ბუზღენი.

შემოდ ძაღვები აყუფდენ, — გაბნით, შეტევით, თითქოს უცხო რამ ნადირი აუყენებიათო. ჰკვესენ და ფბაქუნებენ წვიტი ფინიები.

აივანზე ვილაცას დაბმული მამალი აფარაქუნდა. ალბად, ძველი, თავისუფალი დრო გაიხსენა და სოვლურად შემოსძახა დილის საარი. აივნის მამალს ეხოდან ინდაურები გაეზმაურენ კენესითა და ლოყლოყით.

ზარასპი კი ისევე დაბმულ კართან სდგას და თავს არ იზოგავს.

— იმე, რა კედრის ძილი ეწვიათ ამისთანა!

უეცრად, კარებს შიგნიდან ძალი მოაწყდა ტორის ცემითა და ხლაფუნით. მერე ურდულის ჯაკვი აჩაქუნდა და კარმაც კიატი ჰქნა. კრიკაში ნამძინარევი, გაჩქილი და გაანჩხლებული მსახური — ქალის ცხვირი განიონდა.

— Вам кого?

— ვანკა კი არა, პროკონტის მამა ვარ.

— Нету, никого нету!

და, ის იყო, კარი უნდა მოეხურა, რომ მოხუცმა იმარჯვა და შიგ საბიჯგი დაატანა.

— ბოშო, მამა ვარ-მეთქი, შე ღმერთგამწყრალო! ატეც, ატეც...

მსახურის ნამძინარევე სახეზე საზრის მბელტაეი ნაპერწყალი გაჰკრთა.

— Отец? Ну погоди маленько.

შიშველი ფეხი კაბის გადასაცემლად წატყაპუნდა, კრიჭაში კეჭაქაშახტორის მაგიერ, მეძებრის კრელი ცხვირი გამოჩნდა. მისი ანთებულე ჯვარულური წვეწავანი ამოღებულევით დაერქო მოხუცის სანდომიან სახეა და ვაითანვა. ასწონა, გაზომა, — არ ეტაშნიკა. მერე დაბერილი ნესტოები აიშვირა და, მიუხედავად იმისა, რომ ხურჯინიდან სააჭური რალაც სენი ეცა, მაინც უნდოდ აღრინდა. აღბადეს გრძელი და ტალახიანი ჯოხი არ დაუჯდა ქაუაში.

მოხუცმა უნებლიედ უკან დაიხია. ამ წუთიდან მათ შორის შური და უნდობლობა აღარ გაწყვეტილა.

მსახურმა ძალი მოუკერია, სტუმარი შინ მიიწვია.

— აქა მშვიდობა!

შესვლისთანავე წარმოსთქვა მოხუცმა. ორიოდ ბიჯი წასდგა და შეჩერდა: აბრდლიალებული ქალი, გაკრიალეზული იატაკი, გაბრწყინებული პერი, აპრიალეზული კედლები; შინდისფერი დგამი, ვარაყიანი სურათები, პიანინო, მცენარეები კასრები, საწერი მაგიდა — ზედ ზევედ წიგნები...

— ჰაი გიდი, ბიჭო, შეგიძენია, მარა რა შეგიძენია!

უნებურად წამოიძახა და ხელი ზე აღაპყრო. მერე ხურჯინი სავარძელზე ჩამოსდო, თვითონაც იქვე ჩამოჯდა. კვლავ მიმოიხედა.

გაქაბდობულს გულში სიამე და სიამაყე აღლუტუნდა, — სიამე თავისთვის, სიამაყე შეილისთვის. ელვის უსწრაფეს წარმოიდგინა საკუთარი გრძელი სიცოცხლე, — უგებური და უგემბური, ვით უხიაგი სიზმარი: სამოცი წელი ყმობისა... და ხაბაზობისა...

...აჰა, რიკულიანს მაღალ აივანზე კერპივით აღმართულა მისი ბატონითებურ აბაშიძე. რა გვიან ამდგარა ამ იადონის მაისში! შიშველი ფეხები წითელი საპუგის ფოსტლებში წაუყვია. მეწამული დარაიის პერანგი გაულელია. მკერდის ბანჯგვალში გამხმარი თითები გაუჩრია და ნამძინარევი იქავეს. იფხანს და თანაც ხამამლა იბრინწება: წუხანდელმა ზურგეღმა თუ აწყინა!

— ჰეი, ბიჭო ზარისა!

მაგრამ პატარა ზარისა უკვე წყაროდან მოცანცალებს სველი თუნგულით. აი კიდევ აირბინა მაღალი, დაფარცახებული კიბე. თუნგულა იქვე ჩამოსდგა. ფეხები დაიჯვარედინა, ხელები ჭიპის არეზე დაიწყა. ნიკაპი მკერდს დააყრდნო და ჯორის წიბლებივით დააყარა გაზეპირებული:

„მთვარე ჩადის და მზე ამოდის. ბატონყმობის გამჩენმა მამა-ზეციერმა დილით საღამი ნუ მოგიშალოს, ღამით — მოსვენება. აგივსოს მაღლით ბელელმარანი, ღარ-საკუქნაო. უხვად გიმრავლოს ძენაშიერი, კეთილ-მოყვარე. შრავალქამიერ ლხინი არ მოგაკლოს და ჩვენც წყალობა და ნასუფრალი შენი ნუ მოკვიშალოს.“

ბატონს ტულა უღვაშებში ჩაელინა.

— აქ მო, ნულა ირჯები!

ზარისა კურდღელივით წატყაპუნდა. ბატონთან მივიდა, შებრუნდა. საჯდომზე გაშლილი ხელები მიითარა და გაყურდა.

ბატონმა წყალობის ნიშნად ერთი ლაზათიანი პანტური სწავსოდა და პირსაბანი წყალი ინება. პატარამ ხელად მოურბენა:

ქვითთა (საპნის მავიერ), თხილის ხის ნახშირი, — დაფქულნი ესაგამტკიცული (კბილის ფხენილის ნაცვლად), ხამის შინნახელავი პირსაბონი და სწავსოვის კუდში გაჩრილი ლეღვის ხის სავარცხელი...

ასე დაიწყო მაშინდელი ზარისას, ხოლო დღევანდელი ზარასპ-ტარხუნაძის შინაყმური კარიერა.

ბატონი ავი იყო, მაგრამ არა განუსჯელი, — უდიერობას სხვასაც უძრახავდა. არა იმიტომ, რომ „იბრალული გულსა ეთესა.“ არა. „უდიერობა კვი სულლე ხარსაც წაახდენსო.“

ასე იტყოდა ხოლმე ხშირად.

რასაკვირველია, ყმისაგან ყმურად მოითხოვდა, მოვალესგან — დავალებულად. უენარა და ძილაგულდა პირივით ეჯავრებოდა. მის ეზო-მოდანოში ქვეც კი, ვაგლახად, ხავს ვერ მოიკიდებდა...

ახსოვს, დიად, კარგად ახსოვს ყაჭივით გათეთრებულ ზარასპირს ბატონის ახირებული ოინი, — ერთ-ერთი მრავალთა შორის:

ერთხელ ზარისამ წყაროზე ბატონის საყვარელი მწვევარი დაჰხანა; ნაზამთრი ზანალი გაჰქილა და პატარა ბურთი დააგუნდავა. შინ რომ მოვიდა, ბურთს გაჰკრა და ციკანივით შეიქურტრუშა.

ბატონმა თვალი მოჰკრა, ცაცხე-ქვეშ რომ ნებეირობდა, აიღო თავისი ყავარჯენი აიღო ღ შორს ისროლა. მერე ზარისა იხმო ღ მოტანა უბრძანა. პატარამ ნება აუსრულა. ბატონმა ჯობი კვლავ გააგლო, ზარისმა ისევ მიუტანა. და ასე მანამდე, სანამ პაწია ფარეშს ფერდა არ ამოეკრა...

ბატონმა რომ გულისბუზბარი იყარა, დაკვალული ზარისა ასე ანუგეშა:

— ტყუილ-უბრალოდ სანაქსრიელაც არ იცმუეებსო.

ფარეშობის ასაკი რომ განვლო, ზარისა სახაბაზოს მიუჩინეს და მას შემდეგ სულ თონენში იწვოდა მისი ბარაქიანი წვეურულვაში.

ბატონყმობის გადავიარდნისას ზარასპიმ თავის დახსნა განიზრახა, მაგრამ ბატონმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: უმაღ ხელმწიფე იმპერატორი ტახტიდან ჩამობრძანდება, ვიდრე შენს თავს ვინმე წამართმევდესო.

მაგრამ, მოგესხენებათ, ცის ქვეშე სამარადისო არა არის რა და მარტის ერთ ჰინჯულიან დღეს ბედისწერამ ბატონის კარსაც დაუჟაკუნა.

სამი ვაეი, სამ ძმა დევივით ბრგე და ახმაზი, ხურეებამ ერთად დაუბოცა და მოტეხილი მამაც ორმოცზე მათ კვალს გაჰყვა.

დარჩა მარტოდ-მარტო ფარგასავით გამხმარი ქალბატონი. ცისმარე დღეს ოჯახის უბედობის მოტირალ ხვარამზეს ზარასპიმ თავი შეაწყალა და ცალკე გავიდა. სახლად ერთი ძელური ნაწისქვილარი ხულა გამოსთხოვა და ცოლადაც — მისივე ნაპირფარეშალი გოგო-ქალაღდისა.

ქალაღდისა მარჯვე ქალი გამოდგა: წლის თავზე ქმარს ვაეი შესძინა (ეხლანდელი პროკონტი) და თავისი გარჯილობით კიდევ — ერთი სანაშენო უშობელა.

წყაროს თვლივით მოზრუნდა პაწია, ღარიბი ოჯახი. ზარასპის შვილი ბატონის ნამოურავალს მოანათელინა (მირონი წყალს არ გაირეგსო, ასე ჰქონდა ძველთაგან გაგონილი). ნათლიამ, ნაბატონარის ოჯახი რომ ვაზარასპის მოყოფის შავი-ქვის „ფოდრაიკობა“ დაიწყო და ნათლულიც თან გაიწოლა. ის დღე იყო და ისა: მას შემდეგ არც ზარასპის რგებია სიამის ლუქმა და არც მის ქალაღდისას წმეიდი ძილი.

ბატარა პროკონტი ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი გამოდგა: კიათურა, ზესტაფონი, სამტრედია, ფოთი—კაი ფეიქარივით ჰქნელავდა ხან აღმა, ხან ჩაღმა. ერთი გზობა სტამბოლშიც გაჰქუსლა შავი-ქვის გემით. არაეინ იცოდა, რა იყო ან რას აკეთებდა, მით უმეტეს მისმა მშობლებმა.

როცა ათას ცხრაას ზუთს სოფლის კანცელარიებს ერთბაშად ცეცხლი გაუჩნდა, პროკო ერთობის კაცად გაჩნდა კიათურაში და წუნკალი პოლიცია თხებივით დაიფრინა. იქიდან თავის სამშობლო სოფელსაც ეწვია და ძველისძველ კნეინა ზვარამზეს, აღდგომა დღეს, დაღარულს ლოყებზე ცხარე ტრემლი აღინა.

მოხუცი მშობლებიც მხოლოდ მაშინ მიხედენ, რასაც აკეთებდა თურემ მათი გარეწარი ჰირმშო.

ზოლო, როცა ავარელმა ჯალათმა, წიფიდან მოკიდებული ცხენისწყალამდე, სოფელ-ქალაქი ცეცხლსა და მახვილს მისცა, პროკონტიმ უტია, მაგრამ ქედი როდი მოიხარა: იარაღსმული მთებში გაიხიზნა და იქიდან ქორივით დააცრებოდა ზოლმე თავს გმირთა ლემით აყრანტალებულ სეაეებს. მაგრამ მართალი როდი გამოდგა მირონისთვის ძველთაგან ნათქვამი: დევნილს, უბინადროს, დაქრილსა და გაწამებულს ნათლიამ მყუდრო თავშესაფარი შესთავაზა და შემდეგ საპყარი მუხანათურად გასცა. პროკო უსიტყვოდ გააციმბორეს.

მას შემდეგ ზარასპისა და ქალაღდისას მისი აღარაფერი ვაუგონია. ერთი ხმა მოვიდა მხოლოდ: იქაც თავისი არ დაიშალა და გაქცეული საღდაც ჩაჰკლესო.

იტირეს, ითავცემეს, საორმოცო და საწლოც გადაუხადეს და გამოიგლოეს, როგორც ჰირისუფალთა წესია...

ისიც მოგეხსენებათ, აღბად, რომ ათას ცხრაას ჩვიდმეტს ნიკოლოზ მეორესა და უკანასკნელს უთვალავი ცოდვა მოეკითხა. ამიტომ პროკოს სიკვდილიც მოგონილა გამოდგა და...

ახლა ზარასპი მის ოჯახში მოსულა ძღვნითა და მოსაკითხავით.

მოხუცმა ერთხელ კიდევ შემოავლო თვალი იქაურობას და მსახურს ჰკითხა, მასპინძელი საღ არისო.

— შვილი, შვილი... პროკონტი?

ეუბნება მოხუცი და გულზე ხელს იდებს-

— А! товарищ Прокофий с женою у приятеля кутят.

მოხუცმა მხოლოდ ის გაიგო, რომ მასპინძელი შინ არაა.

— Спать надо, спать!

დაუმატა მსახურმა. ყბაზე ხელი მიიღო, თავი გადასწია და თვალი მოხუცა.

მოხუცი მიხვდა, უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რაღა დროს ძილია, შე მამაცხონებულო, მამალი მესამეთ ყივის.

მსახურმა რაღაც წაიდუდუნა და სამხარეულოში გასწია, სადაც თბილი ლოგინი დასტოვა.

მარტო რომ დარჩა, მოხუცმა გრძლად დაამთქნარა, — ხმინად, ჰაპათით. ჯიბე მოისინჯა, ჯიბეში — თამბაქოს ქისა. მერე წელშიგაჩრილი გრძელტარაინი ჩიბუხი გაიძრო. გასტენა, ზემოდან ცერი დაადო. ადვა და ოთახი ჩამოიარა; საწოლი ოთახის კარიც შეაღო, შეიხედა. ალბად, ცუცხლა ეძებდა, საჩიბუხე ობოლ ნაკვერჩხალს, რადგან გულნაკლულად ჩაილაპარაკა:

— არც ბუხარი ჩანს, არც შუა-ცუცხლი. ნეტა იჯრას რანაირათ იკეთებენ? ჩიბუხს ასანთით მოუკიდა და ბოჩინით კედლებს გაჰყვა სურათების დასათვლიერებლად. მიდის, აბოლებს და შადრევანივით კბილსა და კბილს შუა აფურთხებს. უკან, გაკრიალებულს იატაკზე სასაბნე აღმოსავლურ ჩითივით იდობანება ტალახიანი წულის ნაკვალევი.

მოხუცი გულდასმით ათვალეირებს. წუნსა თუ მოწონებას თავის კანტურით ამკვლავნებს. აი გაუსწორდა ერთ-ერთ სურათს, პიანინოს თავზე რომ ეკიდა. შესდგა. უეცრად ჩაბალახს ხელი იტაცა და მოწიწებით პირჯვარი გამოისახა: ფრთიანი ამური, ალბად, ანგელოზად მიიღო, რომანის კითხვით გატაცებული ქალი კი — „უბიწო ქალწულად“. მაგრამ, როცა მის გვერდით მობანავე შიშველ ქალთა კუმპალი ნახა, რომელთაც შორიდან რქიანი სატირი უქვერეტდა, ვერაფრად ეკაშნიკა, პირი იბრუნა და ასე წამოიძახა:

— ფუი, შეგირცხვეს ნაშუსი!

ვის შეუკრთა მკრეხელობით განაწყენებულმა მორწმუნემ: სურათის აცტორს, მობანავე ქალებს თუ სურათის პატრონს, ეს კი გამოურკვეველი დარჩა. ამ ბორიულში რომ იყო, კარებში კლიტის უხერხული ჩაკენი და აღესილი ტეტუნე ვაისმა, ქალის ხმა იყო ანჩხლი, ნერველი.

— Оставь, пожалуйста! Напился до гвоздей, в скважину попасть не можешь. კაცი თავისმართლებას სკდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუდგოდა.

კარი გაიღო და სტუმარ-მასპინძლები ერთ ხანს უცნობებივით უცქერდნ ერთმანეთს.

განსაკუთრებით მარიამ პეტრეს ასული იყო უსიამოდ განცვიფრებული: დაღლილს, უძინარს, შაკიკიანსა და შეზარხოშებულს რბილი ლოგინი ენატრებოდა და ახლა კი — ინებე — სტუმარი და ისიც ასეთი ბოჩოლა ვილაც. გარდა ამისა, მთელი საღამოს განშავლობაში ქმრის ურიგო საქციელი გულზე ეკლად ესო და სულ იმის ნატვრაში იყო: მოიცა, ერთი შინ მივიდე, რომ რიგიანად გაგჯოროო. ეს მოლოდინიც ხომ გაუტუდდა!

თუმცა მამამთილი არაოდეს ენახა, არც მისი გარეგნობის აღწერილობა წაეკითხა, მაგრამ მაინც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ იგი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო.

ეს რწმენა მით უფრო საჯერო შეიქნა, რომ შეილი მამას ვადიხვით და აღარ მოეშვა: ჰკონა, ჰკინა, ეძივილა და ახანხალა.

— Марусь, Марусь, это наш милый старый отец! Вот же! *მამა მამა!*

მარუსა ისე მიეგება „თავის საყვარელ“ მამას, როგორც *ჩანგლი* მხობრეული. ბუტია ბავშვით ტუჩაბუტებულმა თეთრი, დახვეწილი ხელი შორიდან გაუწოდა, რის გამოც მოხუცს მხოლოდ ორი თითი ერგო ჩამოსართმევად, მაგრამ ესეც სრულიად საკმაო იყო, რომ მამამთილს რძლის შესახებ სათანადოდ დასკვნა გამოეტანა: სახარე მოზვერსაო, ანდაზა რომ იტყვის...

მაგრამ როდის შეამჩნევინა, პირიქით: რძლის ქათქათა ცაცას თავისი გარუჯული, დაბედებული ტორი დაუთითუნა და შეილსაც ასე უთხრა:

— ჰო, კი რამე შეგიძენია, შეილო!

როცა საღამო, ამბავი, მოკითხვა და შინიდან დანაბარევი „ნახვის ნატერა“ მოთავდა, ქმარმა ცოლს მიმართა:

— იცი, მარუსა, ჩემს ლოგინზე მამა დავაწვინოთ, მე კი ტახტზე დამიგეოთქმა კი მოასწორო, მაგრამ ვაი ამისთანა თქმის: ცოლმა ისეთის თვალთ შეუბღვირა, რომ ერჩინა, მამაც და დედაც ერთ დღეს, ერთად დაეტერინა.

მოხუცს არც ეს თვალი გამოჰპარვია, ამიტომ სიტყვა ბანზე აავდო.

— სად გიქეიფნიათ, შეილო, ასე გამწვევთ?

ამასობაში მარუსამ ქმრის ლოგინს ლეიბი დააძრო, სამაგიეროდ გატყლაპული ძველი ნასაბნარი დაუგო და გულსაც ოდნავ მოეშვა: ამაღამ ეს სასჯელიც გყოფაო.

მოხუცმა კი ხურჯინი მოიჩოჩა, თავი მოხსნა და დინჯად, შერჩევით ამოაღა: დაკლული და გაფცქენილი ყვითელი დედლები; შემოდგომის ყველის მარილიანი კვრები; პირუჩინარი, კვრცხით შეხელებული ხაჭაპურები; სხვენზე გამოტანილი შაშხი და ერთი-ცხრა გომიჯი.

ხელსაბოცში კიდევ ცალკე გახვეული აღმოჩნდა: დაქუპრული პანტა; დაღვიძლებული ჯარკი; ჩეილი კომში და კრიალოსნად აცმული დაქიანებული წაბლი და უნაბი; შემდეგ ტყლაპში ეტრატეით წაგრაგნილი, წივასავით გამხმარი, იმერული რამდენიმე ღერი ჩურჩხელა.

მოხუცი ალაგებდა და თითოეული სულადისა თუ ხილ-შენილის ბიოგრაფიას ტკბილი, სასიყვარულო ენით მოუთხრობდა დიდი ხნის უნახავ შეილს: სად რომელი ვაიზარდა, სად რა ეთესა, რამდენი და როგორი მოსავალი იყო.

ამას რომ მორჩა, ახლა ხურჯინის შერეულ თვალი მოხსნა და ფშვენით, მოწიწებით ამოაგორა ყელამდე ჩქევით გატიტინებული ტიკქორა. ფრთხილად დააგორა, გვაზე ხელი მოუცაკუნა და სიყვარულით წაიჩურჩელა:

— იცი, რა არი? მირონია, მირონი! ფარსავ ტამაგში არ ჩეიშვება.

პროკონტის ხსოვნაში უეცრად აიშალა წარსულის მოგონებანი. — ბავშვობა, მარტივი, მაგრამ მაინც საღებნი. გულის თვალუწვედნ სიღრმეში წუთით რაღაც სანუკვარი აფართქალდა, ვით ნასიზმრი ხატულა ჩიტი, და ნყისვე, სინამდვილის მწვევე ფრთანიკრავი, სადღაც უკელოდ დაიკარა...

ლოგინზე გაუხდელად მიწოლილი მარუსა ცალის თვლით უკერძოს მამა-შვილის განახლებული იდილიას, — შორი-შორ, შემპარავ ძაღლივით გაღურსული. ნერვების ბურღო სისხლის მიღებს ეჩრება. შხამით ნაღვსად მჭრეული გასიებულ გულს ესობა, სჩხელებს, ჰკაწრავს, ო, სიცოცხლესს არ დასწყრებს, არა თუ ერთს, — მილიონს, ოღონდ ერთი თავისებურად დაიწვილოს: წყალს წაუღია თავდაღმა ქმარიცა და მისი მამულ-დედულიც! ამა რა ჯანდაბად უნდა ეს მძორი-დედლები და ობიანი ჩირები?!

„... მას მოსვენება უნდა. დიად, სულ სხვა ცხოვრება: არა ეს — ტლანქი, უწნო, ნაცრისფერი და გაუთავებელი, არამედ ის, ოდესღაც რომ ჰქონდა — ხალისი და ხალისიანი, სუბუქი, უდარდელი და შეუღვეწელი! სწორედ ის ცხოვრება, თვრამეტი წლისას რომ სატყუარასივით მოალოკინეს და შემდეგ წყეულ კოლინჯად უქციეს მარად საწუწნელად... განა მისი ბრალია, რომ იგი — მარიამ როსინსკის ასული ამ საზოხლარ ჰეგეანას უზრუნველყოფილი მოველინა და დაბადებისთანავე ძვირფას მაქმანებში გაჰხვიეს? და თუ გაჰხვიეს, შემდეგ რაღა შემოაფხრიწეს ასე ტლანქად, ასე შეუბრალებლად?!“.

იმ შეჩვენებულმა, წარსულის დაუცხრომელმა კატამ იმდენი აგორა და ათამაშა მოგონებათა ძველი გორგალი, სანამ უკაბედად თავი არ უჩინა. მარუსამაც თითს დაიხვია ეს ჭირვეული ნართი და თვალმოხუჭული მისდევს მის დაუსრულებულ სრიალს:

„აი უსაზღვრო ველებში დაკარგული პატარა ქალაქი, — სულადითა და ხორბლით განთქმული. ისარივით სწორი ქუჩები, ბაღებში მიმალული მყუდრო სახლები, გახაფხულზე რომ აღუბლის თეთრი ყვავილი აქათქათებს, ზამთარში კი — თოვლის სპეტაკი ფიფქი. ეკლესიების მოოქრული გუმბათები და ზედ მოლულუნე უმანკო მტრედები... საესე ოჯახი: თვალუწვდენი ზოდამუნები და უამრავი ჯოგები. მოსიყვარულე მშობლები და ერთად-ერთი პაწია მარუსა, — ჭირვეული, ნალოლიავები. რამდენი წელი გაფრინდა ამ უშფოთველ საენეში? ათი თუ თერთმეტი. მერე უზარმაზარი ქალაქი, ცივი და ნისლიანი, მაგრამ მაინც სანატრელი, რომელსაც ოდესმე პეტერბურგს ეძახდნენ. წარჩინებულთა ინსტიტუტი, — მიუვალი, ვით მონასტერი, თანაც ბიწიერი, როგორც ძველებურ გეტერთა საჭყოფელი. ბავშობა, ყრობა... უთქმელი ნატერანი, განუბორციელებელი სურვილები და უსივრცო ოცნებანი. მერე მოწიფულები, ქალური ვნებანი: შური, სიყვარული, სიძულვილი, უმიზეზო ჭმში ოხერანი... ბრწყინვალე საზოგადოება: უწყინარი ცულღუტობა, ფლირტი, ეკვიანობა, — ყველაფერი ის, რასაც წინედ ცხოვრება ერქვა...“

... შემდეგ... შემდეგ უერად ამოტყდა ფოთოლნაცვიანი ოქტომბერი, ზამთრის პირის ჭექა-ქუბილი და „ცხოვრებაც“ ერთბაშად გათავდა: არც ჯოგი, აღარც ზოდამუნები. დამცირება, შეგინება, სიმშლი, სიშიშლე, სიცივი .. უუჰ! გატიალეზულს ოჯახში აჩრდილივით დალასლასებს გონებაწართმეული დედა-დადის და უგულო ადამიანებს შებრალებასა სთხოვს. ჰა, ჰა, ჰააა! სიბრალული? მერე ვისგან? იმ ძაღლთაპირებისგან, რომელთაც ჩვენი ცხელი სისხლი სვეს და ხორცი კი უმად გვაგლიჯეს?!“.

მარუსას გონებას თითქოს არ ეჯერა ასეთი წარმოდგენები რომ, მაგრამ ფაქტი ეგერ, თვალწინ ედო, თვისი ქმრის პროკონტი ტარხუნაძის სახით:

... „ჰო, პროკონტი ზარასპიცივიმა (რარაც ეძნელებოდნენ მარუსას ამ სახელის წარმოთქმა!) იხსნა მათი უბედური ოჯახი, რომლისთვისაც გამძვინვარებულ ბრბოს ცეცხლი უნდა მიეცა. მანვე გამოჰგლიჯა იმ ჯალათებს უცნობელი და უსუსური დედა, სულიწმინდისა რომ ტიფიან ლოგინზე ეგდო. დიად, მართალია, მაგრამ ტყუილი ხომ არც ისაა, რომ მან — მარუსამ, — სიბრაღულითვე მსხვერპლად შესწირა თვისი ჯილაგის გამწვევებს, თვისი ოჯახისა და ცხოვრების დამქცევს ყველაზე უფრო ძვირფასი, ყველაზე მეტად შეუღებელი: წყურვილი შურისძიებისა! კეთვნილი საზღაურის მაგიერ ნებით, საკუთარის ხელით ვაუდო ამ ვიგინდარას თვისი ქალობის დარკინული კარი, რომლის გატეხასაც ამაოდ ლამობდა მრავალი ღირსეული... მერე რათა, რისთვის? იმისთვის, რომ მომაკვდავი დედა რამდენიმე დღით სიკვდილს გადაურჩინა?... ჰი, ჰი, ჰიიი! სიკვდილს გადაურჩინა... მომაკვდავი, რომელიც, სულ ერთია, უნდა მომაკვდარიყო... და ახლა, ახლა კი ეს მომაკვდავია მხსნელი ტალახიანის ფეხით სთელავს ოდესღაც სიბრაღულით მოტყუებულ გულს, მაგრამ... ფონი ჯერ კიდევ გასაქალსაა: თუ შურისძიებას ფხა უკვე გაუცედა, სიძულელი, არა ნაკლებ წვეტიანი და ბასრი ზიზღი ხომ ჩემს ხელთაა? იმას ხომ ვეღარსად გაეძკევა?!“.

— Послушай, когда-же ты кончишь миндальничать? Дай мне хоть минуту покоя!

ეს პირველი ნიშანი იყო.

პროკონტიმ იცოდა, რომ საცენცი ფეხზე იყო შემდგარი. საკმაო იყო თითის ოდნავ გამოხმა და... უთუოდ იფეთქებდა. თუმცა ნამთვრალეებს თვითონაც ენა ეჭავებოდა, მაგრამ უტია და მწარე ნერწყვი ზედმეტად კიდევ ჩაჰყლაპა. რა ვუყოთ: ერთხელ და ორჯერ ხომ არ ჩაუყლაპავს! ახლაც დასთმობს. დასთმობს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ უნდა მთელი წილადობილა მამის წინაშე გამოჰფინოს; მეორეც, — განა გაქევილს გატეხილი არა სჯობია? — დაუთმობს იმიტომ, რომ უყვარს ეს იქედნის ნაშობი, თვისი კლასობრივი მტრის ნაწიერი! დიად, უყვარს მაგრამ არა იმიტომ, რომ მარუსა ლამაზია, შეიძლება მეტად ლამაზიც. (მერე რა? საქალეთი ხომ არ ამოვარდნილა!), არამედ იმიტომ რომ აქ ბრალი პროკონტის გულს მიუძღვის: ამ უცნაურს, პაწია კოკობში ერთი ახირებული ბავში ზის, — უსუსური და ულოლიკო. არა! თავისებური ლოლიკის პატრონი.

განა არ გინახავთ, რომ ბავშს ათასნაირ თვალწარმტაც სათამაშოთა შორის სწორედ ის აერჩიოს, რომელიც ყველაზე უფრო შეუფერებელი და მახინჯია?

ჰო და, იმ კოკობში მჯდომარეშაც ასეთი „პუჰსი“ ირჩია: გარეწარი, ჭირვეული, უბირი და უკარელი. მოდი ახლა და უმეტკიცე (მოიშველიე თუნდ სალი ლოლიკაც, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, და სხვა ზუსტი და არაზუსტი მეცნიერება), რომ ასეთი სიყვარული ბრმაა, უაზროა; რომ იგი არ შეეფერება ვაეკაცს, შით უმეტეს ისეთს, როგორც პროკონტია. მერე რა? რა და ისა, რომ ბავში მინც თავისას გაიძახის: ალა, ალა, მე პუჰსი მიღდაო.

დარაბებში უკვე რუხი სინათლე შემოძვრა, როცა მაასით გაგვრეხული მამა-შვილი ერთმანეთს განშორდა.

პროკონტიმ, ჩარგო თავი თუ არა, მკვდარივით ჩაიძინა. მამა-შვილი რაკი ძილი აღარ ეკარებოდა, ქამარი შეიხსნა, ფეხთ ვაიხადა, სოფელში წინდები და პაქიტები იჭვე, სივარძელზე გააფინა საშრობად. მერე თავისი შეუღლებელი ნიბუხი გააწყო, საბანი წაიფარა და ხათრისთვის გაეჭრა. აბოლებს და თან უნებურ ფიქრებს მისდევს სადღაც შორს, თოვლიან ლიხს გადაღმა. მხოლოდ ნიბუხის ყლარტიანი ღერო ჭუჭყუნებს, თითქოს პირსავეც კაწია სდღუსო.

საბანში ჩათბუნებულ მოხუცს უეცრად ხველა აუვარდა, — ყიფი, ბებრული. აფვარდა და აღარ მოეშვა.

საწოლ ოთახში ლოგინი აქრაქუნდა ანზლად, განგებისად.

— Ах, боже мой, боже мой!

წუწუნებდა ძილგატეხილი მარუსა.

აქეთ მოხუცი მალრჩვალავით ხიხინებს, იქაქება, ხველას ეძალიება. ნახველს იღებს და იატაკზე უტყაპუნებს.

იქით მარუსა წრიალებს, ჭიყვასავით იკლავება.

— Да не храни так, Ирод!

მუჯღუფუნის კვრით ეუბნება ქმარს, რომელსაც ხვრინვა არც კი ზმანებია. მძინარი მხოლოდ ტუჩს აწყლავუნებს, მეორე გვერდზე გადაბრუნებას ლამობს, მაგრამ განწარებული მარუსა ბატვიით უჩქმეტს და გააღვიძებს.

— Ну что?

უგონოდ ეკითხება იგი, თუმცა ინსტიქტით იცის რაც ცოლს ესაქიროება: ადგება და თვალდახუჭული ეძებს ვალერის წვეთებს.

ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი აბოწინდება, მერე მსახურიც აბრაზუნდება. მშვიდობით ძილო და მოსვენება!

ასე გათენდა უძინარი დილა.

თუმცა კვირა-დღე იყო, პროკონტიმ დილა-ადრიან ილღიაში პორტფელი გაიჩარა და საქმეზე გაეშურა. მოხუციც ერთბაშად აჩქარდა. ჩაის დალევდა არ ინება.

— ძალიან უკაცრავად ვარ, მამა, მარა... ხო იცი, საქმე არ მეშვება. შენ აგერ გუნებირად ჩი მიირთვი, მიიხედ-მოიხედე და ამასობაში მეც მოვალ.

— არა, შვილო, მამიდასაც ენაზე, კვიცსაც გაეხედნიო, ნათქვამია. რამდენი ხანია ერთი ხეირიანი წირვა არ მაისმენია. აგერ, დედაშენმა სამთელი და სამთლის გული გამამატანა, ამასაც შეეწირავ და ქათალიკოზის წირვისაც შევიყურებ, ხოლო გზა არ ვიცი და...

პროკონტიმ, მართალია, უღვაშებში კი ჩაიძინა, მაგრამ (მეტი რა ჩარა იყო) სიონის გზა მაინც ასწავლა.

ნაწირვებს მოხუცი ბაზრობაში გაეიდა, სადაც სიცოცხლე სდღუს და გადმოდის. იმდენი ეცეცა, იმდენი იხეტიალა, რომ სმაც დააფიწყდა და ქამაც. შინ რომ ხარა-ხურით დახურგული დაბრუნდა, მამას შეებარმა შეუტია, შვილს კი — ცოლმა. საათმაც ოთხი დაჰკრა.

— До каких-же пор тебя ждать с обедом? Или ты уже?.. — *მეც* იხსენი-
 ვენიო.

მამამ შვილს გადაჰხედა, — რიდიო, სიბრაღულიო. *ერაზრ მარტოვსკი* არ
 დაუძრავს, მაგრამ შვილმა უამისოდაც ნათლად წაიკითხა მისი *პროგრესის*, *სწუ-*
ხარე სახეზე:

„ეაი დედასა უზნის კოლოკო! ვაჟაკი ეგრე რამ დაგაბეჩაეა, რომ ქალს ქა-
 ლამნად გაუხდინარო“.

წაიკითხა და ბაშვიით დაირცხვინა, ვით ოდესმე, როცა მამა რაიმე ური-
 გობისთვის დასტუქსავდა ხოლმე.

სადილი თევშების გლინვითა და დანა-ჩანგლის ნერეული ჩხრაცუნით დაი-
 წყო. ყველას თვალი მხოლოდ სუფრას დასცქეროდა, ენა კი განგებ გაცხარებით
 ატრიალებდა ლუქმას, თითქოს ამის მეტი სხვა დანიშნულება არაფერი იქნოს.
 ყველა უცნაურ უხერხულებას ჰგრძობდა, თვით მარუსაც კი, მაგრამ ხმაური
 ყელს მაინც ვერ ვასცილებოდა. მკაფიოდ და რაღაც სასაცილოდ ისმოდა პრო-
 კოს პირში თვის ბოლოკის ხრამუნი, რასაც მარუსა მოთმინებიდან გამოჰყავდა.

ბოლოს ისევ მოხუცმა დაარღვია შეფიცული დუმილი. ჩაბალახი მოიხადი,
 ქიქა აიღო და დინჯად, გრძლად დაილოცა, როგორც ძველად იცოდნენ ხოლმე.

რას ამბობსო, იკითხა გაკვირვებულმა მარუსამ. პროკონტი ხავსს მოგვიდა,
 უშნოდ გაიღრიქა და ცოლს ამ ჩვეულების აზრი გააცნო. ყინული თითქოს გა-
 ტყდა: მარუსამ წარბი გახსნა. მოხუცმა სუბუქად ამოისუნთქა. კალმახა-მეძებარ-
 მაიკ კი, დაპურების მოლოდინში რომ იქვე იატაკზე გაღართხულიყო, რაღაც
 აღერსიანად ჩაიწმუტუნა.

წენიანი რომ გათაედა, მოხუცის ცხვირი გათბა, რის გამოც იქ ერთგვარი
 ბუნებრივი რეაქცია მოხდა. ამ რეაქციის შედეგი კი ის იყო, რომ ნესტოებს
 კარბი სითხე მოეძალა. მის საწინააღმდეგოდ მოხუცმა ჯერ საკუთარი ორი თითი
 იხმარა, მერე ახალუხის გადმობრუნებული კალთაც მიაშველა.

ამის გამო მარუსას შადა ვადაუბრუნდა. ქმარს ჯერ წვეტიანი თვალი ჰკრა,
 შემდეგ გვარიანი ჯლიქვიც, მაგრამ რადგან იგი საკუთარის ცხვირითაც საკმაოდ
 იყო დაინტერესებული, ცოლმაც ცხვირსახოცი ამოიღო და თავის პაჭუა ცხვირს
 განგებ ბუკივით ჩაჰბერა.

აბა მართალი მოხუცი რას წარმოიდგენდა, თუ ისეთი უწყინარი ორგანოს
 მოვლა, როგორც ცხვირია, მის განათლებულ რძალს გუნებას წაუხდენდა. მაგ-
 რამ „დაუპატიებელ სტუმარს“ მთავარი საფრთხე თურმე იქ უთვალთვალებდა,
 სადაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა.

როცა ჩახოხილი მოიტანეს (მისგანვე მოძღვნილი დედალი), მამა-შვილს
 შუა ჯერ ჩვეულებრივი პატივი გაიმართა. მერე მოხუცმა თავისებურად ჩოხის
 სახელო დაიპყლაეა, ორი თითი წაჰყო და მთელი დედალი ძირიან-ფესვიანად
 გადააბრუნა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქმბარი მაინც ვერ იპოვნა (კუქ-ლეიძ-
 ლი, ალბად, სხვასაც ჰყვარებია).

აქ უკვე შვილი წამოეხმარა; კოვზი აიღო და კურტუმი შესთავაზა, მაგრამ
 მოხუცმა, უკბილობის გამო, ეს საპატიო კერძი იუარა და მხოლოდ ვასერილი
 თითები გაილოცა. ბოლოს ისევ მკერდზე შერიგდნენ.

მარუსამ, თუმცა თავს ძალა დაატანა, მაგრამ უნებურად მაინც აწვავინა, როცა სტუმარმა ქონიანი თითები სვეტაჲ სამარილეს ატაკა.

— Дай ему салъфетку!

ქართველში

უჯიკავე ქმარს და ხელსახოცი თვითონ გაუწოდა, თუმცა მისთვის ედო, მაგრამ ყურადღებასაც არ აქცევდა. ახლა რძალმა სულ ახლოს, თითქმის თეფშში ჩაუდო იგი. მოხუცმა რომ გაბანებულ-ვატიკურებული ხელსახოცი ნახა, მიკარება ვერ გაუბედა და ისევ თვისი პატივების გასვრა აწვავინა.

განა ნერვებს, და ისიც მოშლილს, ბევრი რამ უნდა?

მარუსამ თავისი კერძი ქარზად გადმოიღო (ისე, რომ მოხუცსაც კი შეეხარბა), ზედ პური დაათუნა, ასეარა, ბურჩი და... კალმახას დაუდგა.

ახლა მოხუცი მიეცა გაოცებას:

„ეჰ, ეს რა პატიოსნობაა; ჩვენში იჯრისას ძალდი კარზედაც ვერ მოდგება, ე მამაცხონებული კი თავის ჯამში აქმევს“.

ეს რომ გულში გაივლო, თითქოს ინსტიტუტი ზიზლის გამოსახატავად, ყელი ჩაიწმინდა, სუფრის ქვეშ ბარაქიანად შეაფურთხა და მერე ფეხი გაუსვა.

მარუსა გველნაკებნივით წამოიჭრა. სკამს ფეხი ჰჭრა, მოქცეულ ჰიშარივით მიატრია. საპირფარეშო მივიდას მივარდა, ოდეკოლონი აიღო, აცახცახებულის ხელით ორივე საფეთქელი დაიზილა და ლოგინზე პირქვე დაემწო.

— მიირთვი, მამა, მიირთვი!

ეპატიებება ნირწამხდარი შვილი, რომელსაც ბრაზის საფეთქი კბილით-ლაუქირავს.

— მადლობელი ვარ, შვილო, ყელამდი ხაესე ვარ პატივისცემით.

ადგა და პირჯვარი გამოისახა.

გათავდა სადილი თუ არა, მარუსამ საწოლი ოთახის კარები შეიკეტა. შვილმა კვლავ იბოდიშა და სხდომაზე წასვლა მოიმიზეზა. მოხუცსაც აქედან სათანადო დასვენება გამოიტანა და, რასაკვირველია, თავისი ხურჯინ-ტიკვორა მოიკითხა.

— რას ამბობ, მამა! ერთ კერას აქედან ფეხსაც არ მოგაცულებინებ.

მამას, აღბად, გულში მწარედ ჩაეცინა: „გმადლობთ პატივისცემისთვის. — ერთ კერას ამ ყოფაში დაბმული ძალდიც ვერ გაძლებსო“. მაგრამ როდი შეამჩნივინა, სულ სხეანიარად უქარაგმა:

— არა, შვილო, იმისთანა სიზმარი ენახე, რო ჯობია ზემ გზას ეწვიო, მთ იცი, ავთათა თუ კარგათ, ოჯახს ზემს მეტი მიშეუდავი არაუინ ყავს.

— კი, მარა რა სიზმარი ნახე იმისთანა, რომ არც კი გძინებია?

ბევრი ეპატივა, ეხვეწა, ემუდარა, მაგრამ მოხუცი უკახმავეზე შეჯდა და ჩამობტომა აღარ ისება.

— ე დანაბარევის გატანება მაინც გეცლია, ასე რაეა შეიძლება?

არ ეშეებოდა ინტინარგატეხილი შვილი.

მეტრ გზა აღარ იყო: მოხუცი ქვას უქულმა ისროდა. იმავე მეგზოვემ, წუხელ რომ შვილის ბინა ასწავლა, ერთი დანჯღრეული ეტლი მოჰგვარა. ჩაჯდომისას მოხუცმა ჩაბალახი ოდნავ აიწია, პირჯვარი გამოისახა და, როცა ეტლი დაიძრა, შვილს მიამახა:

— მტერი არ გააძინო, შვილო, მტერი...

გულში კი, თავისთვის, ასე დაასრულა:

„რაღ არ ექნას მამა შენსა, ნურც შენ დაშვე მარამაშვასა“.

უნტალეხს ეტლში გულმკედარი მოხუცი და ფიქრს ფიქრზე ველარ აბამს...



ს ა ზ ლ ვ ა რ ზ ე

- ნანას სიციცხლე და გამარჯვება!
- ოჰ! საღამო სანდალას,
- მაგდენი სიკეთით დატვირთული—საით მიეწურები გოგონი?
- სამხარი მიმაქვს ჩვენებისათვის. აგერ აქვე მუშაობენ სამკალში.
- ნეტავ მეც იქ მამყოფა მომიკლად! ერთი მომალხინა შენით მოტანილ სამხარზე და შერე თუნდა მომიკლა კიდევაც.
- შე კაი კაცო, მაგაზე ადვილი რა არის! წამოდი იქა და რამდენიც მოგებალისოს—იმდენი იმუშავე. ეგეთ სასიკეთო საქმეზე ვინ გეტყვის უარს. სამხარით და ვახშამით გამასპინძლება კი მე მომიკითხე.
- კაი რომ არა მცალია, თორემ...
- როგორც გეტყობა, შორს მიემგზავრები სადღაც.
- ქალაქში მივდივარ. ე სკოლის საქმე უეჭველად მინდა მოვაგვარო როგორმე.
- რახან ითავე, უნდა ბოლოც მიაყოლო, მაშა!
- რას მოვეშვები ისე! ცოტა კიდევ უნდა გაიჭირვოს სოფელმა და ორ თვეში მთელი ამ კლთხის დამამშვენებელი სკოლა გვექნება. ეხლა ქალაქშიც იმიტომ მივდივარ, რომ სამეფურნო სკოლით დაეამტკიცებინო და შესაფერი მასწავლებლებიც გამოავიგზავნონ.
- აღბათ დაგიფასდება კიდევ—მაგდენ სიკეთეს რომ ეწევი ჩვენი ბეჩავე ხალხისთვისა.
- მე რაში მეჭაშნიკება ან დაფასება და ან მადლობა! ოღონდ ხალხმა გაიგოს, რა არის მისთვის სასარგებლო და საზარალო—მე ამის მეტი არაფერი მინდა.
- ნანომ გადაჰხედა. უნდა გამოეცნო—რამდენად გულწრფელია სანდალას სიტყვები და გადასწყვიტა:
 არა! არ სტყუის!
 და ახალგაზრდა ქალს რაღაც სიამოვნების ერთნატივლიანი დაუარა მთელს არსებაში, რომ სანდალა ასეთი გულმართალი ბიჭი გამოდგა.
- სანდალამაც მიმინოსებური აღლოთი იგრძნო თავისი გამარჯვება ნანოს თვალბეჭეში და რაღაც სიამით ჩაიღიღინა:

„— თვალი გიგავს მელნის ტბასა
და წამწამი ხშირი გაქვსო.
ერთი შენი შემოხედვა
ათას სევდას დაჰქარგავსო“.



— მამაჩემმა რომ დაგვინახოს ასე ერთად მობაასე, ვინ იცის, სულ ჩამაშხამოს ეს მზიანი დღე.

— რათა ქალო? საძრახისს რას ვსჩადედივართ განა?

— ეჯავრები, ძალიან ეჯავრები მამაჩემსა!

— ნეტავი შეილს ვუყვარდე და მამის წყრომა მე რას დამაკლებს!

— რომ შეილსაც არ უზიხარ თვალში და მამაც გიწყურება!

— ეე! თუ ეგრე განწირული ვარ, მაშინ საშველი აღარ მქონია.

— ენგრევა, ენგრე!

— თუ მამაშენს ეკლესია დავუკეტთ და იმაზე მიწყურება, შენ რაღა დავიშავე, შე კაი ქალო?

— მეც გემდური!

— რათა? რათა?

— რათა? ვახსოვს ჰატარაობისას რომ დამიბრიყვე, მთელი კალათი კვებრჩხილა რომ მომტაცე და მეც ფეხშველა ეკლებში ჩამაგდე?

— ეროპა! როდინდელ საქმეს მედავები! ეგეთი რამე შენ რომ არ მაპატიო, დრო მაპატიებს ქალო!

— არც მე ვაპატიებ, არც მე!

— მა შენი ხმალი და ჩემი კისერი! რაც ვინდა მიყავი, თუ გამიმეტებ!

— გაგიმეტებ, გა!

და გოგოს შეხედვა შუადღის მეორე მზესავით მოეფინა ვაყის აბორგებულ გულს. მიუახლოვდენ ჯვარედინ გზას. ნანო გამოემშვიდობა და გადაუხვია მარჯვნივ—ყანებ შუა მიმავალ ბილიკზე.

სანდალამ გულმოდგინეთ გააყოლა თვალი მოხდენილად მიმავალ ტანლერწამა გოგოს. ხედავს—როგორ ჰღელავენ იმის გარშემო ნიათით შეზარბოშებული ყანები და ფიქრობს:

„— ზღვა ღელავს—ზღვაში!“

და თვითონაც ზომ ისევე ღელავს—როგორც ერთი ზღვა და მეორე ზღვა. სანდალა გაუდგა ქალაქის გზას.

როგორც კარგი საგზალით დატვირთული სასიძო მოყვრებში რომ მიემგზავრება, იმავე გრძობით მიდის სანდალა ქალაქისაკენ. მიაქვს სიკეთე სოფლისა და ხალხის სასარგებლო. მიაქვს სიკეთე საკუთარის ცხოვრებისა. ასეთი იმედებით არის აღსავსე იმისი გული. უხარია, რომ ბედმა გაჭადა მესვეურად თავის ხალხისა. უხარია, რომ აქ, თავის სოფელშივე შეიგულა ნატურის თვალი, რომელიც...

ნანო მიდის კაბის შრიალით, ყანის შრიალით. ხელით მიაქვს სამხარი და გულით კი...

აგერ იმათ ყანაშიც გაისმის მომკალთა ხალისიანი ყიჩინა. მომკალეს მეთაურად მიუძღვის ნანოს მამა—გიო. ქარმაგი მოხუცი ნაცადი შრომპრივით ტრილოზს მარჯვნივ თუ მარცხნივ და აღმასისებურ ნამგლს დაქვალავად ჰყავს ოქროს ფერად ამლელვარებულ მოშრიალე ზღვას.

ორი გლეხიც მხარდაშვარ მისდევს ღირსეულ მეთაურს და იმათ უკან ოქროს ქოჩრიან შიშველ ბიჭებივით კოტრილოზბენ წაქცეული ხელეუბრები. სამ ახალგაზრდა შემკონაეის ხელში კი ეს „ბიჭები“ ვაქვაცხად გადიქცევიან და როგორც ერთად დახოცილი ძმადნაფიცნი — ჯგუფ-ჯგუფად გაწოლილან საეანედ ქცეულ დედა-მიწაზე.

ჰაერს კი აბარბაცებს მოზიემე შრომის ყიჩინა.

— აბა, ბიჭო ნუ ზარმაცობ,

ნუ აჩერებ ნამგალსაო.

მასპინძელი გვემდურება—

აგვიანებს სამხარსაო!

მაგრამ აგერ ქარვის ზღვიდან ამოტივტივდა ნანოს აჩრდილი და მომკალეზმაც იგრძნეს შვება. უკანასკნელად ჩააგუგუნეს სასიხარულო ჰოოპუნა და აიშაბაშეს.

ნანოც მოვიდა.

— აქა მშვიდობა!

— ეგრემც გახარებული გვენახე ცხოვრებაში, როგორც ჩვენ გაგვახარე ქალო! ერთის პირით ასე დალოცა ყველას გულმა გიოს საამაყო გოგონა—ნანო. შრომით მადა გაღვიძებული გლეხები მარჯვით შემოუსხდენ სუფრას და ყუათიანად შეეჭკენ ოროლ ჯამ კერძს.

გაათავეს. ნანო შეუდგა სუფრის ალაგებს.

გიოს ნათლული ვანე ზუმრობს:

— გოგო ნანო! შენი თავი ვანა ისე გონჯი გგონია, რომ ეგრე ადვილად ენდობი ამ მინდვრებს, ამ ყანებს, ამ შუადღის მზეს?..

— ბუზსაც ვერავინ ამიფრენს, თუ ჩემი ნება არ იქნება.

— ვითომც ეგრე ყოფილა!

— რასაკვირველია! ერთის გადახედვით გავაქრობ ჩემს ბრუნდეთ შემომხედავსა.

გიო კმაყოფილებით უცქერის თავისი გოგონას რიხიან ლაპარაკს.

— ჩემი ნანო ბიჭს მიჩრევენია, ბიჭსა, თავისი ფხიანობითა.

ნანო უფრო თამამობს.

— ვაჟის ქცევა მუდამაც ქალის ქცევაზეა დამოკიდებული. თუ მე არ მივეცი საბაბი, ისე ვინ რას შემომკადრებს!

— ეგრეც ნუ გათამამდები, ქალო! ქვეყანაზე ვანა ცოტა რეგვენი დადის?—ეუბნება ერთი გლეხი.

ვანე კი უფრო კვიმატობს:

— ეე შვილოსა! თუ ცოტა ლამაზად მიგაჩნია თავი, მაშინ ეშმაკისაც უნდა გეშინოდეს და ანგელოზისაცა. თუ ყამივითა ხარ და მაშინ იარე ქვეყანაზე, შენი შემწუხებელი არავინ იქნება.

— ზემთვის ჯერ კაცს არ უწყეინებია და შენდღვში რაღაზე გავწყურებათ ღმერთი!

— შენ რა იცი, აქედაც რომ მოდიოდი, რამდენი გადმარგვლებდა გვერდზე თვალს, მაგრამ...

— ებლა მაინც ვინ რას გამიბედავდა!

— ვითომ რატომაო?

— ისეთი მარითათიანი ვაჭი მომდევდა გვერდზე რა...

გიომ უჭრები სცქვიტა:

— ვინა, ვინ მოგდევდა?

— მამაჩემი ისე კითხულობს, თითქოს რაღაც დანაშაულზე დავეკვირე.

— მაინც ვინ იყო—და მე თვითონ მიეხვდები—დანაშაულია თუ არა!

— ვინ იყო და—სანდალაი—ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე.

გიოს აშკარად დაეტყო ნაწყენობა.

— ხომ იცი, რომ ის კაცი მე არ მეჭაწნიკება! მა რაღათ მაწყვეინებ შეილო?

— საგანგებოდ ხომ მე არ მაცილებდა! გზათ მოდიოდა და უნებლიეთ შეეხვდით ერთმანეთს. მერვა და ისეთი რა დაგიშავა მამა?

— ზემთვის რომ დაეშავებინა მარტო—ამას უფრო მოვიწიებდი. მაგრამ მოელ ქვეყანას დაუშავა და იმიტომ შეხარება იმის დანახვია.

— ისეთი არაფერიც არ ჩაუდენია იმის, რომ ქვეყანა იმეტუტებინოს.

— ეკლესიის დაკეტვა, სარწმუნოების მოსპობა, მაშ არაფერია? ხალხმა როგორ უნდა იცხოვროს და იარსებოს თუ არაფერი :რა სწამს ამ ქვეყანაზე?

— სანდალა კიდე იძახის: მამაშენს იმიტომ სწყყინს ეკლესიის დაკეტვა, რომ თვითონ იყო მნათეთა და ცოტაოდენი შემოსავალი ჰქონდა ხოლმეო.

— აი, შეილოსა! მაგითი უნდა ქვეყანას აუბას თვალეზი, ჰა! მე მანამ ცოცხალი ვარ, ზემი მარჯვენაც მგყოფა სარჩენადა. თუ მალაპარაკებს მე, ეს ქვეყნის ჯავერანება მალაპარაკებს. ღმერთი აღარა გწამდესო! ხატი აღარა გწამდესო! ეკლესია აღარა გწამდესო! მა, სანდალა დაგაყენოთ და იმაზე ვიწეროთ პირუჯვარი, მეტი რაღა დაგერჩენია!

აქ მეორე გლეხიც ჩაერია:

— სანდალაი კაი ბიჭია მარამა, ე ვერაფერი საქმე ჰნა მაინც ეკლესიის დაკეტვითა! გეკონოდა შეილოსა ეგ ერთი ხუხულია—სახელმწიფო ხო არ დაიქცეოდა მაგითი! ჩვენ მამას ულოცია, პაპისა, პაპის პაპისა და ჩვენ რაღა ქვეყნის გადამბრუნებლები გამოვედით რომა ყველაფერზე ერთბაშად ავილოთ ხელი! ნანო მაინც თავს არ ანებებს სანდალას გამოსარჩლებას.

— რა ვუყოთ ახლა! ცხოვრებამ ეგრე მოიტანა და მარტო სანდალამ ხო არ უნდა აგოს პასუხი!

გიოს უფრო აბრაზებს თავისი პირმშოს გამოსარჩლება.

— შენა როგორღაც საეჭოდ ექომავები იმ უღმერთოსა და მე ვიცი...

— არა მამა! სანდალას ხომ სიბოროტით არ მოსდის. ყველგან ეგეთი იმბებია აღბათა. უფროსები უბრძანებენ და ეგეც ასრულებს—მორჩა და ვითავდა.

— მეც კარგა ვიცი, როგორც არი საქმე და შენ ტყუილად ნუ მხდარ ბო-
ლიშსა!

— თვალი სანდალასაც დაუდგება! მე იმიტომ კი არ ვხმობ, რომ შენ
გაწყევინო მამა! მხოლოდ...

— თუ არ გინდა მაწყევინო, მაშ ნურც მელაპარაკები იმ ურწმუნოზე!
კაცო კურკას ბიჭმა უნდა მონათლოს ქვეყანაი, კურკას ბიჭმა! განა ხალხი
ისე დაეცა რომა სოფლის სინდისი კურკას ბიჭს უნდა ეკითხებოდეს!

— ი კურკას ბიჭია სწორეა სასახლესავით სკოლა რომ აგვიგო!
გიომ თითქოს იგრძნო ამ საბუთის სიძლიერე.

— სკოლა... ჰო, მაგაზე კი კარგის მეტი რა ეთქმის, მარამა...

— მარამა, მარამა?

და ნანო გაუდგა სახლის გზას.

ყველამ სიამოვნებით გააყოლა თვალი ეშხიანად მიმავალ ნანოს. გიოს
სახლიკაცი კი უღლაშებზე ისვამს ხელს და გვაროვნულის კმაყოფილებით...

— ჰეი, რა გოგო დადგა ეს დასაქცევი. გიო სიძე გეკუთნის ისეთი რომა—
ყენთან მიესვლებოდეს!

— ეჰ, ვნახოთ! ყველაფერი ბედის საქმეა!

კიდევ წაილაპარაკეს ცოტაოდენი ამ ქვეყნის ავ-კარგზე და მიწვენი თვა-
ლის მოსატყუებლად რომ ჩქარა ისევ შეუდგენ შრომის მძიმე ბეგრას.

კვირა დღეა. სოფელი ისვენებს.

უცებ გაისმა ზარის რეკვა.

რამდენი ხანია სოფელ ვარდისუბანს აღარ გაუგონია ზარის რეკვა, ეხლა
რა მოხდა? ეს ეკლესიის ზარის ხმა არის, მაგრამ... თუ ხუმრობს ვინმე... გიომ
ლამის პირჯვარი გადაიწეროს, მაგრამ ჯერ უნდა დარწმუნდეს, თუმცა სას-
წაული ხომ არ მოხდებოდა! გიო გამოვიდა დერეფანში და გაჰხედა ეკლე-
სიისკენ. ნანომ დაინახა ეს და გიემბურად ჩაიკისკისა.

— მამა სად უცქერი? ხომ არა გგონია, რომ წირევაზე მოგიწოდებენ?

— ჰო, კურკას ბიჭი სანდალა გახსნიდა სწორედ!

— ეგ მართლა სანდალას ეკლესიაა, მამა სანდალასი, რომ რეკავს! აბა,
შენებდე თუ არა!

და ნანომ გაუშვირა ხელი სოფლის შუაგულში ამკურად აღმართულ სკო-
ლაზე, რომლის აივნისიდანაც მოისმის ზარის მოწყობილ ხმა.

გიო კარგახანს უცქერის სკოლას. ისმენს იმის ზარის რეკვასაც. შემდეგ
მრავალი ფიქრების იერიშზე რაღაცა გაჯავრებით ჩაიქნევს ხელს.

— აი, შვილო! ეხლანდელი ხალხი ეგეთია: რაგინდ კაი საქმე გააკეთონ —
შიგ მაინც უნდა ჩაურიონ რაღაც ბალღამი. თუ კი ამოდენა სკოლა ავაშენეთ
სოფლის შნოთი და უნარიოთა, განა ერთი ზარის ყიდვას ვეღარ მოვახერხებდით,
რომ ეკლესიიდან არ ჩამოკონწიალებინათ მანდა?

— მერე რა მამა! იქ სამრეკლოში ტყვილად გდებასა, არა სჯობია სკო-
ლაში მაინც გამოვიყენოთ!

— არა შეილო! რა საჭიროა ეგეთი დახმარება! ვდებულყო ის იქავე ეგები...

— ეგები კიდევ მოვესწროთ არა, ეკლესიის გახსნასა? მარკინული
გეგლიჩიუნი

— მერე რა? მა გგონია რომა ათასი წლობით დამკვიდრებული ქრისტიანობა ერთ წელიწადში მოისპობა, ჰა!

— იი, მაშინემო! ეხლანდელ ხალხსა ხომ ზედავ, არაფერი არ ეძნელებათ. ვაფიქრება, თქმა და შესრულება—თითქოს სულ ერთია იმათთვისაო.

აგერ სოფლის არჩეულმაც ჩაშოიარა.

— გიო, წამოდი, რალას უცქერი! სასოფლო კრებას სკოლაში დანიშნული. ნულარ აგვიანებ! ხო გესმის ე ზარის რეკაი!

— ზარის რეკაი ახლა—მეც სეფისკვერს ავიღებ იქა უზმოზე!

— სეფისკვერსა ჯობია გიო, რასაც იქ გაიგონებ, მა!

— რა უნდა გავიგონო შეილო! უკეთეს თოხნასა და მქას ველარ მასწავლით ვიდრე ვიცი და გლეხკაცს კი ამის მეტი რალა სჭირდება!

— ეე, ჩემო გიო! წამოდი იქა და მერე გაიგებ, კიდევა გჭირდება რამე თუ არა. აბა, აღარ დიაგვიანო!

არჩეულმა მარჯვედ ჩაიარა სახლებსა და ბოსლებს შუა, რომ მთელ სოფელს შემოუაროს.

გიოც გაემზადა წასასვლელად.

— წავალ, ენახე—რა არის. კაცი მაინც არ უნდა ჩამორჩეს სოფლის ხმასა და იმის აე-კარგსა.

— მეც წამოვალ მამა კრებაზე!

— აბა შეილო, შე რალა გინდა! არა სჯობია დედაშენს მიეშველო! ოჯახში ცოტა რამეა გასაკეთებელი თუ?

— სახლი დაგვილი მაქვს. ქურქელი დარეცხილია. შეკამანდიც ჩავადგი. დანარჩენი თუ რამეა—მერეც მოვასწრებ. ეხლა კი რა გენალვლება მეც წამოვიდე! რომელი ახლა თრეატრებით ვართობთ გულსა.

აბა, რა ახალგაზრდა ქალის საქმეა იმდენ ხალხში ჩაერიოს და პირდალდებული უცქერიდეს ქვეყნის ამამტუტებულ ქადაგებასა!

— არა უშავს რა მამა! მინდა ვიცოდე ყველაფერი, რაც სოფელს შეეხება

— მე გითხარი და შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი ეხლა.

გიო წავიდა კრებაზე. ცოტა ხნის შემდეგ ნინოც იქ გაჩნდა.

სკოლის წინა მოედანი სავსეა ხალხით. სხედან, დგანან, დადიან. ჯგუფ-ჯგუფად საუბრობენ ვინ სოფლის საქმეზე, ვინ პირად ანგარიშებს ასწორებს მეორესთან.

მაგრამ აგერ, აივანზე გამოჩნდა ახალგაზრდა ვაჟკაცი. შევქოჩორ გადაყრილი, იმედიანი იერით, მკვეთრი მიმოხვრით. გადმოდგარა ხალხის წინ და რიხიანი ხმით შეტკუფშავს მთელ ხალხს თავის სასმენლად.

სად შეითვისა სანდალამ ასეთი უნარი მჭერმეტყველობისა! იმის სწავლა ხომ სოფლის სკოლას არ გასცილებია! ან რა იყო ის ამ სამიოდე წლის წინედ? სოფლის ტლუ ბიჭი, რომელიც თავის სამ-ოთხ დღიჯრ მიწაზე იყო გადაყოლრ-

ლი. ეხლა კი ისე გაზრდილა ამ სამიოდე წელიწადში, რომ მთელი თქვენი პატრონობას ეწევა. და ახლა როგორ პატრონობს! თითქოს ქვეყნის სამსახურში დაბერებულიყვესო.

აგერ ეხლაც გადმომდგარა ახალი ცხოვრების მოციქულად და განაღონით სავსე აზრებით იჭრება ხალხის ვულში.

მიინც რას ელაპარაკება სანდალა? არა, ის მწიგნობრობით არ არის შეტყობილი. იმისი სიტყვა სიდა და ფართე—როგორც თვით სოფელი. ძარღვიანია და ნაყოფიერი—როგორც თვით გლეხის მარჯვენა. გასაგებია და შინაარსიანი—როგორც სოფლის მთელი ცხოვრება.

აი მოუთხრო ძველი და ახალი დროების ერთმანეთთან შეჯახება. განუმარტა აუცილებლობა ახლის გამარჯვებისა. ამის შემდეგ ჩქარა დატრიალდა თავის სოფლის არეზე. გაიხსენა სკოლის აშენების ამბავი. აუწერა—თუ რამდენი რამის გაკეთება შეუძლია სოფელს, თუ ერთსულოვნად შეუდგება საქმეს. მარტო სკოლით არ გაბედნიერდება ხალხი, კიდევ ბევრი რამ არის საჭირო სოფლის კეთილდღეობისათვის. ყველაზე მეტად კი აუცილებელია, რომ გარდაიქმნეს სოფლის ცხოვრება საფუძველშივე.

და აქ სანდალამ დაუწყო განმარტება გლეხების ერთად დაჯგუფებას. მიწების საზოგადოებრივად დამუშავებას და საერთოდ კოლექტიურ მეურნეობის განხორციელებას.

გაათავა სანდალამ და ახლა თვით გლეხებს აქებებს თავიანთი აზრის გამოსათქმელად.

ხალხში ჯერ სიჩქემა. შემდეგ უწესრიგოდ გაისმის ნაგლეჯ-ნაგლეჯი წინადადებანი:

- კარგია, კარგი!
- შერე რას ეგვანება ეგრე!
- კარგია ბარემა, მაგრამ...
- ჩვენ ხალხში ეგეთი რამე არ გამოდგება შვილოსა...

სანდალა ისმენს ამ აბნეულ სიტყვებს, მაგრამ ხელში მთლიანი აზრი ვერ დაუჭერია.

— კაცო! თქვე ოჯახაშენებულებო, გამოდით და წესიერათ ილაპარაკეთ, რომ ერთმანეთისა გავიგოთ რამე.

კოტაოდენი ყოყმანის შემდეგ წინ ისევ გიო წამოდგა.

— ჰა, გიო, გაბედე, რის თქმა გინდა!

— რა ვთქვა შვილოსა! წინააღმდეგი ვთქვა, იტყვი—კულაკიო. არა და ეგეთი ახალი აზრები რო არ შედის თავში.

— სთქვი გიო, სთქვი! ეგებ შენი აზრი უფრო სწორი და სამართლიანი იყეს!

— ისეთი რა უნდა ვსთქვა რომა—მთელ ხალხსა კქუის სასწავლებლად გამოადგეს, მაგრამა მიინც კაცი ვერ ითმენს. არც ის ვარგა რო ყველა დავმუნჯდეთ. მუნჯი კაცი ვერც თავის თავს არგებს და ვერც ქვეყანასა!

მართალი თქმაა. ჩემო გიო, მართალი!

— ჰოო და! აბა შითხარი—რას ეგვანება ეგეთი საქმეი? ერთად მოხანითო, ერთად მოთესეთო, ერთად მომკეთო! ეგა შვილო ზარმაცების დღეობა იქნება მაშინა. მომჭირნე ო მუყაითი კაცი კი იქ უეჭველათ გაფუჭდებმა საქმეა შვილო სულ ბრძოლატებასა, ზარმაცებასა ო არაქნია ხალხს უგალობთ ო იმათ უსუსხთ თავზე ქონსა. ღარიბი კაცი უნდა შეიბრალო, მარამა განა თავზე უნდა დაასვა იმასა, ვისაც ცხოვრების შნო და ლაზათი აქვს. აი თუნდაც ჩვენ სოფელში რამდენია ისეთი რომა—იმასთანა არც მუშათ წაველ და არც ჩემთან წამოვიყვან მუშათა. შენ კიდე ჩემო სანდალა იძახი რომა—იმათთან ერთად იმუშავეთო. ხელსაც მოგიწართავეთო. სესხსაც მოგცემთო. შერე ეს ჩამსესხებელი ვილა იქნება? ვისაც პატარა დოვლათი გვაბადია, ისეე ხო იმათ დაგვაწვა კისერზე? მდიდარი ჩვენში აბა ვინ არის? ჩანახითა და ტომარით რომ არავეს მივადგები კარებზე—იმიტომა ვარ მდიდარი? ჩვენი გარჯილობით თუ ერთ ლუკმა ჰურსა ვკამთ, ამაზე უნდა აგვისისიანოთ ის არაქნიები, ვინც ვერც თავის თავს არგებს და ვერც სახელმწიფოსა? არა შვილოსა! საერთო მუშაობაში თუ არაფერი დამაკლდება, არა შემემატებაო. როგორც მიწირია, ისე უნდა ვწირო. რაზე გავიხადო სასაყვედუროთ საქმე! რაზე გავიბოროტო გული! ვისაც შნო აქვს ო გარჯილობა, ის ისეე იცხოვრებს, ვისაც არა და—კომპერატია და კოლექტივი იმას ვერ მონათლამს. ხო ამდენს ეხმარება შვილო მთავრობაი ღარიბებს. (ჩვენებურათ რო ვთქვათ: ზარმაცებასა და უბარაქობესა) მიწებასაც აძლევს, თესლსაცა. არც გადასახადს ახდევინებს მაგრამ აბა რომელი დადგა ფეხზე? ააფრინე ალალიო—რაც არ არი არაიო! აბა ემაგნაირ ზალხთანა როგორ გავხდე ამხანაგადა მუშაობაში! მე კი არ მინდა შვილოსა თქვენი კოლექტივია თუ რაღაცა და ვისაც კუჭაში უჯდება, მიირთვან. თუ ნებაყოფლობით არი, არ მინდა, და თუ ძალათია—რაეცი! ძალათი კვდარი არა ცხონდება.

ხალხმა სული გამელა. გიოს სიტყვები ალბად ბევრს დაუჯდა კუჭაში. ან შეარყია სანდალასაგან მოხდენილი შთაბეჭდილება. ზოგგან კიდევაც გაისმა დამადასტურებელი ხმები:

— მართალს ამბობს გიოი, მართალსა!

— ბევრს კი არ ესიამოვნება მარამა...

აქ ახალგაზდებმაც შექმნეს ჩოჩქოლი:

— ოღონდ კი დღევანდელ მთავრობას ვინმემ შეაგინოს და ყველა კულაებს მართალი გგონიათ ისა!

— გიოსაგან სხვას რას მოველით!

— მაგას არაფერიც არ მოსწონს ახალი.

— გიო ბელადია, ბელადი კულაკებისა!

გიოს ნაწყენობა დაეტყო.

— რით ვარ შვილო კულაკი! დაწყვი დაბადებიდან წელზეზე ფეხს ვიდგამ მუშაობითა. მამაჩემისაგან უღელი ხარი დამრჩა მემკვიდრეობათა და ეხლაც უღელი ხარი მყავს ისეეა. ვეაქრობ, ვატყუებ, ტყავს ვაძრობ ვისმესა თუ რა!

— უღელი ხარი გყავს, მაგრამ სხვის ყვეარსა სჯობია.

— ეგ ჩემ სიყოჩაღეს მიეწერება. ალბათ მოვლა მცოდნია და მაგიტომ უნდა გავხდე ყბად ასაღები?

— არა, ქონებით კი არა ხარ კულაკი. მაგრამა შენი აზრებითა და ლაპარაკით კი იმათზე უარესი ხარ.

— სიმართლე შეილო სხვას ვის უყვარდა რომ თქვენ გიწინადათ? ისევე სანდალამ დაამყარა სიმშვიდე. ისევე გააგონა ხალხს რწმენითა და იმედით სულწაღმგული სიტყვები. ისევე შთანერგა სიცოცხლე და აზრი ცხოვრების მიერ ნაქარნახევ ახალ გზებში და კანონებში. ხალხს აშქარად ეტყობა, რომ მოსწონთ მისი ლაპარაკი და სახტად გამოკვერილი აზრები, მაგრამ არა სჯერათ მისი განხორციელება და ამიტომ არც იჩენენ თავგამოდებას.

მაგრამ სანდალა არ იქცევა აპილპილებით. მან უკვე მოაბნია კეთილი თესლი. ეხლა ცოტა უნდა ადროვოს, და ნაყოფსაც მიიღებს ჩქარა—ეს უდაოა! ვინ არის იმისი დამხმარე და წამქეზებელი? თავისგანვე გაწვრთნილი ახალგაზრდობა და თითქმის მთელი ხალხი. მხოლოდ ხანდახან ძველი თაობა ყოველთვის ვერ იფერებს დღევანდელი მთავრობის ზომებს, რომლის განსახიერებასაც ვარდის უბნის თემში წარმოადგენს სანდალა.

კრება ვაგრძელდა თითქმის შუადღემდის. იქ, სადაც, კრების ბოლოს მიმალულიყო ყველაზე ერთგული მსმენელი სანდალისი—ნანო. ვარშემო მრავლად ეხვიენ მას თავის ტოლები. ბასიზდენ, იცინოდენ, მზიარულობდენ. მხოლოდ ნანო გამორჩეული ტოროლასავით თავაწეული მისჩერებოდა იქ, წინ, საიდანაც მარჯვედ ნასროლი ისრებავით იფანტებოდენ სხარტულ სიტყვებით მოკეთილი აზრები. ნანო რალაცა ფარულ სიამაყესა გრძნობს, როცა სანდალა მთელი ხალხის ყურადღებად გადაქცეული, გულადი მეომარივით აღმართულა ყველას წინ და თვით იმის სახეში კითხულობს შეუდრეკელ რწმენას გამარჯვებისას.

მაგრამ როცა ამ ამომავალი მზის წინ ცხოვრების დედამოძივით აღიმართა გიო—აქაც იგრძნო ნანომ ახალი და სხვაგვარი სიამაყე: ორი ძალა, ორი რჩეული სოფლისა ერთმანეთს შეეჯახენ. ეს ორნი არიან სხვადასხვა მხრიდან მომავალი ხილხის აზრი და სინდისი, და ორთავე ნანოსათვის წარმოადგენენ უძვირფასეს ადამიანებს.

რაო? ორთავეო?

დიალ, დიალ! სანდალაც ძვირფასია ნანოსათვის. მხოლოდ ეს ჯერ არ გაუშხელია არავისათვის. თავის თავისთვისაც კი ვერ უშხელია ჯერ გადაწყვეტით. მაგრამ იმის ყოველ ფიქრს, ყოველ ოცნებას წინ ეგებება სანდალას აჩრდილი და ნანოსაც ესიამოვნება სანდალას ასეთი განუყრელობა.

კრება დამთავრდა. ხალხი კიდევ ცოტახანს მსჯელობდა ახლად მოვლენილ აზრებზე და ნელნელა დაიშალა.

ნანო ყველაზე ადრე გაიქცა სახლში და საგანგებო ხალხისთ შეუდგა ოჯახურ საქმეს. თან უხარია ზედმეტად რალაც, რასაც გრძნობს მზის სინათლესავით, მაგრამ პირისპირ კი ვერ შეუხედია—როგორც თვით მზისთვის. თვალსა სჭრის, გულსა სჭრის ეს ახალგაზრდობის შუადღეზე მოვლენილი მზე და კმაყოფილდება მხოლოდ მისი სითბო და სინათლეში ნეტარებით.

ეხ, რა კარგია ასეთი გრძნობა! ქვეყანა თავისი ჰგონია ნანოს.

უცქერის მოხუცი დედა—თუ ფრთებგაშლილ ფარშევანგვიერ როგორ ტრიალებს იმისი გოგო კუთხიდან კუთხეში და გულზედ ადგება ნაწიველი სიხარულისა.

მახლობელ სადგურზე დიდი ამბავი იყო დღევანდელ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე თვალსაჩინო ბელადები სწვეოდნენ ამ კუთხეს და ამას საგანგებოთ გამოაცოცხლა მთელი ხალხი. ყველამ მიანება თავი ჩვეულებრივ მუშაობას და სადგურზე გაეშურა, რომ სახიერად იხილონ ამ ახალი დროების ხელმძღვანელები და სულის ჩამდგმელები.

კრებამ გასტანა შუადღემდის. მრავლად ილაპარაკეს ქვეყნის ავ-კარგზე, საქართველოზე, მუშებზე და გლეხებზე, სოფლის ჰირვარაშზე. შუადღისას ხალხი დაიშალა.

ყველაზე კმაყოფილი ბრუნდება ცეცხლოვანი სიტყვებით წაქეზებული ვარდისუბნის ახალგაზრდობა.

ზოდინან, მსჯელობენ, კანათობენ, მღერიან, ხმაურობენ, თვალწინ უდგიათ ისევ მრავალ პარტიზილში განუღლილ მებრძოლთა სახეები.

ამ ახალგაზრდებს ხომ არ უნახავთ რევოლიუციის კორიანტელი! არცერთ ბრძოლაში არ განუვლიათ, რომ იმათაც ეგრძნოთ თავი სრულუფლებოვან მონაწილედ გამარჯვებულის რევოლიუციისა. ეხლა ისინი თითქოს მწამხარეულზე დათარეშობენ. რა იყო ხალხისათვის წამება, ციხე, სიკვდილი და უბედურობა—ეს მათ არ უწყიათ. რა იქნებოდა ერთი ათი, ოცი წლით ადრე დაბადებულოყვენ, მათაც გაეღოთ ღირსეული ხარკი ქვეყნის უკუღმართობასთან ბრძოლაში და ეხლა თავმოწონედ მდგარიყენენ ნაცად მებრძოლთა რიგებში! ეხლა ისინი რა-ღაცა შეგირდებად გრძნობენ თავს. მსხვერპლი არაფერი დაუხარჯიათ—ნაყოფს კი იმკიან. ამავე დროს იმათ ახალგაზრდულ ასსებაში რამდენი მებრძოლური ძალღონეა დაგუბებული! რა თავგამეტებით ეკეთებოდნენ ვინმე შტერსა და მოწინაღმდეგეს, რომ საღმე გამოწნდებოდეს რევოლიუციის ასპარეზზე. ეხლა რაში მოიხმარონ ამდენი ენის ბრძოლისა და მოქმედებისა! უნდათ ვილაყაზე ან რაღაცაზე იყარონ ჯავრი. უნდათ რაღაცანიარად დახარჯონ ეს დაგუბებული ძალღონე ბრძოლისა და აფეთქებისა.

მიდიან ახალგაზრდები, მღერიან, თამაშობენ, ბლლაბუნობენ. არ იციათ რაში მოიხმარონ მოკარბებული ძალა და ხალისი.

ზოადგენ სოფლის ბოლოს. იქავე მარცხნიდან მოსჩანს სერზედ წამომდგარი პატარა თეთრი ეკლესია. რამდენი ხანია დაობრდა იგი. მუღამ კარლიათ გდია იგი. იმის კედლებს მხოლოდ საჭონელი და მწყემსები აფარებენ თავს ან ავდარში ან სიციხეში.

— ეი, ბიჭებო! ე ჯვარი ნეტავ რიღას მაქნისია, რო წამოჭიბულა უშნოთა ე სამრეკლოს კინკირიხოზე! (წამოიძახა ერთმა).

— ჩვენ გამოსაჯავრებლათა ბიჭო, ჩენი, მა! (იძახის მეორე).

— მაგი სალაფათი კი დაიქცეს! მოდი მოვაგდებინოთ, პა!

— მართლა და მართლა, ემაგი მოგდება როგორ გაგვიკვირდა ამდენი!

— ჰაი, დედისგანის ღმერთსა! თუ საძირიანათ არ ამოვავლდე ენა, მაშ ბიჭებიც არა ვყოფილვართ! მომეყვით ყველანი აქა!

და ამის მოქმელი ისე მარჯვით გაეჭანა ეკლესიისკენ, თითქოს თავდასამეტებელი რამე გადასწყვიტაო. იმას თან გაჰყვნენ ყველანი.

— მოვგლიჯოთ, მაგი რჯული კი დაიქცეს, მაგისი!

— მა, თუ კი წირვა-ლოცვა მოვსპეით, ე ჯვარი რაღა ობრობათ უნდა!

ყველანი მივიდნენ ეკლესიასთან და იერიშით ასციენდნენ სამრეკლოზე, ორი მარჯვე ბიჭი მძლავრათ მოეკიდნენ ჯვარს. მოსწიეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და აქი ამოაგდეს კიდევ რამდენიმე აგურთან ერთად.

— თუ მაგზე მეტი ძალა არ ქონია, მა რაღაზე იწერდა პირჯვარს მთელი ხალხი ამდენი ხნის განწავლობაში!

— ე, ბიჭებო! მარტო ამითვინა ღირდა მოცდენაი და ამსიმაღლეთ ამოსულაი!

— მოდი, ე, თვითონ ეკლესიასაც აუფოთ ანდროძი!

— მაინცა და მაინცა ე ცარიელა კედლები რიღას მაქნისია ეხლა!

— მა! ტყვილა საღერღელს უშლის ბეჭერებსა.

— მაშ აბა იერიშით, ბიჭებო!

და გახელებით შეუდგნენ ყველანი ეკლესიის დანგრევას. ჯერ ზვიდან მიჰყვეს ხელი. წითელი ჩიტებივით მოფრინავენ მალლიდან კრამიტები და ლუქა-ლუქა იქცევიან მიწაზე დანარცხებისას.

მოაშორეს მთელი სახურავი და ეხლა კედლების დარღვევას მიჰყვეს ხელი. მაგრამ ქვიტკირი უფრო ურჩი გამოდგა და ცარაელა ხელებით ვერაფერს აკლებდნენ ბიჭები მკვიდრათ აღმართულ კედლებს.

— ლომები და წერაქვები მოვაშველოთ ბიჭებო, თორე ისე ტყუილა დავიმტვრევთ ხელებსა!

— აბა, ვიგლა, სანდრო! გაიქეციოთ და ხელათ ამოარბეინეთ ლომებიცა და წერაქვებიცა, საიდანაც კი მოახერხოთ!

ორი ბიჭი მოწყდა ხელათ და სისწრაფით დაეშვენ სოფლისაკენ. სხვები კი ისევ განაგრძობენ ცარიელი ხელებით ბრძოლას ეამთავან ჩაკირულ განიერ კედლებთან.

— ე რას ჩადიხართ ამხანაგებო, რა დავმართიათ?

— ოო, ამხანაგო სანდალა! აბა ერთი შენც მოგვაშველე შენი ბარაქიანი მარჯვენაი!

— ეგ ვერ არის ამხანაგებო კაი საქმე!

— რაო, სანდალა! როდის აქეთია დადექი ქრისტიანობაზე?

— ქრისტიანობაზე კი არ არის საქმე! აღარ იყო ეხლა ეს საკირო!

— მოდი, მოდი სანდალა, შენც გვიშველე! მა როგორი მეთაური ხარ თუ უკან ჩამოგვრჩები!

სანდალა შეტოკმინდა. რა ქნას? როგორ მოიქცეს? უიპველია სოფლის ზოგიერთ ხნიერ ხალხზე ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს. მაგრამ ამ ახალ-

გაზრდების ხელის შეშლაც არ არის კარგი. როგორ შეინელოს ამით ატეოქე-
ბული გრძნობა, რაც ასეთ მოქმედებაში ჰპოვებს თავისებურ ფაქტორებს?
ავტო ლომები და წერაქვებიც მოიტანეს ბიჭებმა.

— აბა სახდალა! წერაქვი გირჩევნია თუ ლომი?

ცოტახანს ფიქრია. მერე ერთბაშად გადასწყდა კიდევ:

— რომელიც იყვეს მომეცით! ჩემთვის სულ ერთია!

სანდალამ დაავლო დიდ ლომს ხელი და მარჯვით მოეჭვა ეკლესიის
თავზე.

— აი ეგრე! თუ მეთაური ხარ, ყველაფერში უნდა მეთაურობდე!

ხელად გაჩნდა ლომებისა და წერაქვების ტრიალი. აღიპოთით სცვივიან
ძირს აგურები, ქვები, კუთხის ნათალი ბალავარები. კირისა და ლორღისაგან
თეთრი კორიანტელი ავირდა ირგვლივ და ნელი სიო ჰაეროვანი გემივით ნია-
ცურებდა სოფლის თავზე.

ამ სურათის დანახვაზე ყველას მიუხედავია სახლისთვის თავი და კარში
გამოსულა სეირის საცქერლად.

ბავშვები გარბიან გორაზე, რომ უფრო ახლო ჰნახონ—რაც ხდება. ქა-
ლები კარიდან-კარზე ეხმაურებიან ერთმანეთს, გაოცებას გამოსთქვამენ და
თანაც კორიკანობენ სხვადასხვა ჰანგზე.

რამდენიმე მოხუცს კი ერთად მოუყრია თავი სოფლის შუა მინდორზე და
გაოცებით მისჩერებიან სერისკენ. იმათში იმყოფება გიოც. მას უფრო ყველაზე
მეტად ეწინევა რაღაცა მოუსვენრობა.

— ეს არის სამართალი! ეს არის დროება! ძალიძალათი უნდა დაგვაყენონ
ურჯულობაზე!

— არა ე წირვა-ლოცვა რომ მოგვისძეს ის არ გვეყოფა, რო ეხლა თვით
ეკლესიასაც ანადგურებენ!

— რა, შეილო! თქვა რამე— მთავრობის წინამდევარო, არა თქვა და ლამის
ჯავრმა გაგათარს. ვაი თქმასა, ვაი უთქმელობასაო!

— მე ხო ველარას მოვესწრები მარამა, თუ ამნაირათა ქვეყანას მონათ-
ლამენ, ნოდით და საფლავი ამიკორკოტეთ!

— ე რა ღმერთის გაწყრომაა კაცო! ვის რას ვუშავებდით, რომა ცარიელი
პირჯვარი მაინც დაგვეწერა ბოლმე ე კედლებზედა!

— არა შეილოსა! ცხოვრება აღარა ღირს, სულ ერთიან გაოხრდა ქვეყ-
ნიერობაი.

— ჰაი, კურკას ბიჭო! ნავითი გინდა დაიგდო სახელი ქვეყანაზე! ნეტამც
კი ჩამოვარდებოდე და კისერი მოგტყდებოდეს, ახი მაშინ იქნება, აი!

— დიდ ვაეკაცობაში ჩაუფარდება რაღა ამის დანგრევი, უჰ, უჰ?

გიო უფრო და უფრო შფოთავს. მისი ჩვეულებრივი დარბაისლობა ველარა
ჰფარავს ამ მოულოდნელ სურათით გამოწვეულ მღელვარებას. ეკლესიის
კედლიდან ჩამოვარდნილი ყოველი ლოდი ძირს კი არ ვარდება, არამედ გიოს
გულზე ეცემა.

— კაცო ხალხი არა ხართ! ამნაირი ამბავი გავგონილა, სმენილა? წავიდეთ

კაცო და ვუთხრათ, გავაგებინოთ რამე! სხვა არა იყვესრა ეგები ჩვენნი სიბერისა მინც მოერიდოთ და ხელი აიღონ ამ სამარცხვინო საქმეზე!

— ჰო, ძალიან დაასვიდინსებ ახლა შენა კურკას ბიჭსა და ემოს დამყოლებსა!

— ვნახოთ მინცა, კაცო! ცლა ბედის მონახვერეო, კაცი კაცსა როგორ ვერ გააგებინებს რამესა, რა ვიცი!

— თუ არ დაგიშლია, წაივდეთ, ჰა! ხოლოთა ტყვილა კი ვირჯებით. ეკლესიის დამანგრეველსა კაცო შენ გააგებინებ რამესა!

— რა ვიცი! ეგებ ჩვენ ქალარას მინცა სცენ პატივი და...

— გაგვიძეხი წინა! წაივდეთ, ჰა!

და ზარმაცად, უგულოდ ეს ხუთი-ექვსი მოხუცი გაემართენ სერისკენ. ფეხები უკანა რჩებით, რადგან იმედი არა აქვთ, რომ გააწყობენ რამეს ამ ღმერთზე ხელაღებულ ახალგაზრდობასთან. მინც მიდიან, რადგან მშვიდათ არ შეუძლიანთ უქტირონ იმ წმიდათა წმიდის დანგრევას, რომელზეც პირჯვრის დაუწერელად არცერთი ნაბიჯიც არ გაუდგამთ სოფლის გარედ.

— აჰა, მივიდენ კიდევაც.

— რაო ბებრებო! ქრისტე-ღმერთმა ხო არ გამოგაგზავნათ დღეღვატებათ?

— რათ სჩადიხართ შეილო ემაგასა? ვის რაში სჭირდება ამ ეკლესიის გსოხრებაი? აქაო და მოსარჩლე არავინა გვეყავსო, განა ეგრე უნდა დაგვიბრძოლოთ?

— ბებრებო, ბებრებო! იქით გაგვიცალეთ, ქვა არ მოგხვდეთ და თქვენ ცოდოში არ ჩაედგეთ ჩვენდა უნებლიეთ!

— ნუ სჩადიხართ შეილო ამ საძრახის საქმესა! თქვენ მამას ულოცია ამ კედლებში, თქვენ პაპასა და ე შევილებმაც შეინახეთ ცოტაოდენი პატივისცემა ამისი! ქირში და ღვინში სოფელსა ამაზე დაუფიცია ხოლმე. ამას რო ანგრევთ შეილო, საშაგვიროს რას გვაძლევთ? რალაზე დაიფიცოთ ამას იქითა?

— თუ მინც და მინც არ დაგიშლია ძია გოო, საფიცარი ცოტა რამეა ამ ცხოვრებაში უფრო ცხოველი და შესაპოვარი, ვიდრე ეს კედლები?

— ახა ერთი აგვიხილე თვალი და გვიჩვენე—ისეთი რა არი?

— თავისუფლება! მშრომელი ხალხის ბედნიერება! ამაზე კარგი საფიცარი სხვა რალა გინდათ!

— ჩვენც ხომ სწოროდ ემაგას ვეხვეწებოდით აქა, ამ კედლებში!

— ეს ხეწნით კი არა, ბრძოლით მოიპოვება, ბრძოლით, ძია გოო!

— კაცო, სიტყვებს კი მაგარს იძახით, მაგრამა ფსევებს რო ვერა ვგრძნობ ნიადაგში—ეს არის ცეცხლი და.

დიდი წვალების შემდეგ ავტრ მთელი კუთხე მოერღვა და ვაგლახით დაიფშვნა მოხუცების ფეხებთან.

— აკი გუწმნებით, იქით დადექით მეთქი კაცო! თავი ხომ განწირული არა გაქვთ?

— აჰ დღის მომსწრესა რალა გვაქვს დისანანი შეილო! ბარემ დაგვბოცეთ და გაათავეთ რალა!

— რომ ქვეყანას გამოადგებოდეს თქვენი დაბოცაი, გგონიათ უნდა დაეხვედით თუ!

— ეგ კი გამოადგება შერე, რასაც თქვენ სჩადიხართ? მარქსიზმი

— გამოადგება ძია გიო, გამოადგება: დედამიწა უნდა გავუწინდლოთ სოველგვარი სიყალბისა და ცრუმორწმუნოებისაგან.

— დღევრძელი იყავით, იცოცხლეთ ჩვენოდენაი და მაშინა ნახავთ, ინანებთ თუ არა თქვენ ეხლანდელ ქვეყასა!

ამის საპასუხოდ ბიჭები თითქოს უფრო გაბალისდენ და მეტი სიმხნევით შეუტრეს პირველ იერიშით დაძლეულ კედლებს.

— რა უნდა ვინანოთ ბებრებო! თუ შოვიბოვებთ რამესა, თორემ დაკარგვით რა უნდა ლაგარგოთ—რაც არაფერი გვაბადია!

— ამ თქვენი მოქმედებითა სოფელი კარგავს, სოფელი. ვაი, დროებას რა ვუთხრა თორემა თქვენა ან ავი უნდა გეკითხებოდეთ სოფლისა და ან კარგი!

— ეხ! ნეტა არც თქვენ სცდებოდეთ და არც ჩვენ გვაცდენდეთ!

— ხომ ხედავთ თქვენი ლალადისი არ შედის ჩვენ ყურში, არა!

გიოს „ლაშქარს“ თითქოს სულ დააყრვეინეს იარაღიო. ერთმა მათგანმა უიმედოთ ჩაიქნია ხელი და ყველას მაგიერ—

— მეორეთ მოსვლას რომ იტყვიან, აი სწორედ ეხლა ძმაო, როცა ადამიანებმა ერთმანეთისა აღარაფერი გაეგებათ.

— წადით ბებრებო, წადით ბოსლი თავზე მწვიდათ მოსწიეთ ყალიონი! რაზე იბოროტებთ აქ გულსა? ხომ იცით ამ განწირულ საქმეს ველარაფრით უშველით! ეხლა თავიცი რომ გავანებოთ, რალაში გამოგადგებათ—ნახევარი უკვე დანგრეულია.

ახალგაზრდები თუმცა ოვლში იწურებიან, მაგრამ უფრო დაფაცურდენ, თითქოს სანაძლეო ჰქონდეთ დადებული, რომ შეჰველად დღეს მოფლონ ბოლო ამ მრავალ წელთაგან შეუდრეკელ შენობას.

მობუტები ცოტახანს კიდევ უცქერიდენ შორიდან დაბნეულათ, და შემდეგ გამოტრიალდენ სოფლისკენ რალაცა მოზნელებელ გულდაწვევით.

სალამო ეამს ეკლესიის სანაცვლად მხოლოდ მისი ნანგრევები და მოსჩანდენ მალალ სერიდან.

— ნანო ქალო! ხომ ხედავ შენს იქით აღარ იცქირებიან ჩემი თვალები!

— მერე მე რა ვქნა?

— რილასთვის ვალამებთ ამ წუთისოფელს? მომეცი ხელი და შევუდგეთ ერთად ახალ ცხოვრებას!

— ვერა სანდალა! ეგრე ადვილათ ვერ გადავსწყვეტამ ამ საძნელო საქმეს.

— ქალო, მთელი ქვეყნის საკითხებს სწყვეტენ ერთის დაკვრითა და ჩვენი შეკავშირება ისეთ რა საძნელო რამეს წარმოადგენს განა!

— არა სანდალა! ხომ იცი როგორ მიყვარს ჩემი მშობლები. მეტადრე მამაჩემი. მე ვერ წარმომიდგენია იმისი წყენა. ჯერ შენ ისედაც ძნელად შეგიფერებს სიძეთა. ის სულ სხვა ქვეყნის კაცია, შენ სულ სხვა ქვეყნისა. მერეა და

ყველაფერზე რომ დივიყაბულო, ჯვარდაუწერელად მიინც არ გამათხოვენს/არავიზე. შენ კი ჯვრის წერაზე უარსა ხარ.

— კომუნისტობა და ჯვრისწერა სად გაგონილა! სულ უცხოებან შიშმა დაეძრნე მოელ სიციცხლეში—ჯვარს მიინც არ დავიწერ!

— მე კიდევ ისე არ შემოდია. მამაჩემი ცოცხლივ რომ დავკლა იმას არჩევს, ვიდრე ჯვარდაუწერელად გავყვე ვისმეს.

— ეგ სულ უბრალო რამეა ქალო! პირველად გაბრანდება, ეწყინება. მერე კი ნელ-ნელ შეგვირიგდება. აბა მეტი რა ჩარა აქვს! თავის ერთადერთ ქალიშვილს განა ისე მოიმძლარებს, რომ საშუდამოდ ამოიგლიჯოს გულიდან?

— არა, სანდალა! მიგნაირ დიდ მსხვერპლს ნუ მომთხოვ, ნუ!

— მაშ ჩემი თავი არაფრად. გილირს, თუ ეგრეთ უბრალო რამესაც არ დამითმობ.

— მილირს, როგორ არ მილირს კაცო! განა შენ თვითონ ვერ ხედავ ამას?

— მაშ რალათ უარობ ქალო?

— ის რალა ბედნიერება იქნება კაცო, თუ კი ქმრის გულისათვის საყვარელ მშობლებს მოვიძულებ. სამუდამოდ!

— შენ თვითონ არ გინდა თორე, მშობლები აქ ვერაფერს გახდებოდენ.

— გულაბდილათ რომ გითხრა სანდალა, მართალია, მეც მჭროთირება ჯვარდაუწერელად გათხოვებაი, მაგრამ მე რომ დავსძლიო ჩემი თავი, დედ-მამას მიინც ვერ მოუშხამავ წუთისოფელს. ეს მეტის დაცემა იქნება იმათთვის.

— მაგნაირი დაბრკოლება სულ ადვილი დასაძლევია, რომ გიყვარდე მაგრამ...

— რათ გინდა უეჭველად ასე გაფუშწარო სიციცხლე მშობლებს?

— მაშ რა ვუყო ქალო? ჩემი ჯვრისწერა არასგზით არ შეიძლება. ზენ კიდევ ამბობ, ახალი წესით არ გამოგყვებიო. მაშ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.

— რათა?

— აბა მაგის მეტი რალა დაგვრჩენია?

ნანო დაბნეულივით სდგას ჯვარედინ გზაზე. ველარც წინ წასასვლელი გზა გამოუძებნია. აღარც უკან დასახვეი აქვს. რა ჰქვას? რა წყალში ჩავარდეს? საქმრო ანაცვალოს დედნამას თუ დედმამა—საქმროს? არც ერთი არ დაითმობა. ორთავე ეჭირვება ნანოს, რომ მისი სიციცხლე იყოს ლამაზი, სრული, მდიდარი.

სანდალა? ის რალას ფიქრობს? მაგრამ იმას რა აქვს საფიქრალი?

ის ან თავის სურვილზე წაიყვანს ნანოს, ან ხელს აიღებს სამუდამოდ, დაე რაც უნდა სასურველი იყოს იგი. თავისი რწწენის დათმობა კი არ არსებობს მეტროლ კაცისთვის ამ ცხოვრებაში.

— ცოტა ხანს კიდევ იფიქრე ჩემო ნანო და თუ შემდეგ მიინც არ დამყაბულდება, მაშინ... მაშინ შენ შენთვის და მე—ჩემთვის.

— შენ როგორც ვხედავ, სულ არა გყვარებივარ სანდალა!

— რათა გგონია?

— მა როცა ეგრე ადვილად ამბობ...

— სხვა არჩევანი მე არა მაქვს გენაცვალე. ან უნდა განოწყვე ჩემთვის ერთი, ან სამუდამოდ ვაფორდებით ერთმანეთს. მე ძალას არაფერში არ ვატან! როგორც ვინდა, არჩიე. მიყვარხარ! ძვირად მილირხარ! შეგიფერუნე! ვხვალოდ ჩემ აზრსა და რწმენას კი ვერ ვუღალატებ. ეხლა შენ იცი.

სანდალა წავიდა.

ნანო კი დარჩენილა ორწყალ შუა და ვერცერთ სანაპიროზე ვერ გასულა, რომ მოიპოვოს გულის სიმშვიდე.

სანდალამ, როგორც იქნა, დასძლია ჩვენი გლეხის უცილობა, სიზარმაცე, უნდობლობა და შედგენინა ერთი საგლეხო ამხანაგობა—

„სოფლის ოჯახი“.

ამ ამხანაგობის „პირველ მერცხალს“ წარმოადგენს ტრაქტორი.

იგერ, დიდი შავი კაშვირით აღმართულა იგი შუა მინდორში. გარშემო ხალხი შემოაშვევია. ყველა საგანგებო ყურადღებით მისჩერებია. უნდათ საკუთარი თვალთ იხილონ, თუ როგორი იქნება პირველი გასეირნება მიწის გულში—ამ ტრაქტორისა.

ყველაზე მეტად გული უთრთის თვითან სანდალას. თუ გემოზე გაარღვია მიწის გული და მოიწონა ხალხმა—ხომ გამარჯვებულად იგრძნობს თავს, თუ არა და კარგა. ხანს შეფერხდება კოლექტიური მეურნეობის საქმე მთელ ამ მხარეში. ასეთთა ჩვენი ხალხი: მკირედი გამარჯვება—ცას დასწევს ხოლმე. უმნიშვნელო დამარცხება კი მიწასთან ასწორებს. მეტადრე ახალ და მიუჩვეველ საქმეში ატყილებულია პირველი გამარჯვება. უამისოდ ადვილად ევლარ შეაცდენ ჩვენ ხალხს, რომ მეორედ და მესამედ სცადოს რაიმე დასაწყისი.

თვით ამხანაგობის წევრებიც ყველა აქ არიან. ზოგმა მათგანმა ხარებიც კი გაპყიდეს, რომ წილი შეეტანათ. ეხლა რომ დაიოჩნოს იმათი ფოლადის ბედაურმა—ხომ დაილუპენ. ამის გარდა ხომ ქვეყნის დასაცინიც ვახდენ.

აქა შემანქანებ გამოაფხიზლა კიდევ აქნობამდის გულის ძილში მყოფი ეს შავი მღვევი. ხალხი ჩამოეცალა და შორიახლოდან დაუწყო ცქერა.

ქმინვითა და ვაგლახით დაიძრა ეს მღვევი და თავის უკან დასტოვა ოთხპირათ ვაობილი მიწის ზურგი. გაუარა ერთხელ, მეორეთ, მესამეთ. გამარჯვებამ ლანის მოლოდინს გადააქარბა. ამ შავათ აკოტრიალებულ მიწის ცქერით სანდალა ნამდვილ დღეობასა გრძნობს.

— ჰა, გიო, რას იტყვი? არ მოგწონს ეს ჯადოქრული გუთანა?

— ვისაც ხარ-კაშვირ არა ჰყავს და მეხრეობაც ეზარება, რატომ, კარგია!

— მარტო მაგიტომ?

— მა სხვა რა არის გასაკვირი?

— ერთ საათში რომ ერთ დღიურ მიწას მოხნავს—ეს არაფერია განა?

— კი მოხნამს მაგრამა...

— მაგრამა?

— მე მაგასა შეილო სახრითა და შამოთი ვერ გავაწვევინებ და ერთიკენახოთ მოეშალა რაიმე ბულდი, მერე სად ვირბინო მე მაგითვინა ქალაქში?

— შენ გუთანს კი არ უფუჭდება მერე?

— რო უფუჭდება, ერთი ნაჯახი და იმი ჯანი! მე ვიცი შორს მომჩინდება სიარული თუ!

— ეე, ჩემო გიო! შენ მართლა მოძველებული ხარ ამნაირი რამეებისთვისა, გიო დაიკუზა და ციდიტ ბეჯითად ზომავს კვალის სიღრმეს.

— აი, შეილო. ა! მა ჩემი ხის გუთნით გაველებული კვალი და ესა ერთია? ეს ერთი ციდა ვერცკია. ჩემი გუთანი კი ციდანახევარზე მეტად მიდის მიწაში.

— სამაგიეროდ შენ სამ წელიწადში ერთხელა ხნავ გუთნითა დ მერე მხოლოდ აკავებ. ამით კი ყოველ წელიწადს შეგიძლია მოხნა. ან არა და ოთხი კვალის მაგიერ სამი გააველე და უფრო ღრმა იქნება. ერთი სიტყვით...

— ერთი ენახოთ უდროვო დროს ან ნავთი შემოაკლდა ან ზეთი, მერე?

— ეე! შენ გინდა ყველაფერი ლარში იყვეს გამოსული. ეგრე როგორ შეიძლება, კაცო?

— არა, შეილო! მე როგორც მიწირია, ისე უნდა ვსწირო, ჩემი თაფლა ხარები ერთ ოც დღეს თუარ შევაბი მამაპაპურ გუთანში, ისე უღლის გაწევა დაავიწყდებათ.

— აჰ, მე როგორც ვატყობ, შენი მონათელა შეუძლებელია გიო.

— მოსანათლი შეილო შენა ხარ, ურჯილოებაზე რო დამდგარხარ და წირვა-ლოცვის დაუქმება აღარ გვაკმარე, თვით ეკლესიაც საძირკელიანთ აიკელი.

— ეე, შენ ისევ ძველ ამბებს მისტირი. ქვეყანა ეგრე მოტრიალდა კაცო! ახალგაზრდა, ჯანსალი, იმედიანი და მოუსვენარი ხალხი ახალნაირათ და თავის გემოზე აშენებს ამ ქვეყანას და ამაზე ველარავინ შეუშლის ხელს. შენ თუ მოგწონს, იყავი მარტო და ჰხანი შენი ადამიჯნის გუთნითა. მხოლოდ სხვებს კი ნუღარ შეუშლი ხელსა, თორემ წყენა ჩამოვარდება.

— ვისაც მოსწონს, დმერთმა ხელი მოუშართოს. მე კი როგორც დაწყობდაბადებიდან ყოფილა—მამაპაპის გზაზე უნდა ვიარო და არა შეილებისა.

— ეჰ, გიო! ეგეთი ჭკვიანი კაცი და ეგეთი გაჯოუტება—სად გაგონილა! აბა თვითონ იფიქრე, რამდენ სიკეთეს მოიტანდი, შენც რომ ჩაწერილიყავი ამ „სოფლის ოჯახში“. შეპოვება და პატრვისცემა დიდი ვაჭვს. ხათრი ყველასა აჭვს შენი. მაგრამ შენი დრომოქმული ხასიათითა და აზრებით ვერავის ვერ იფერებ, ვისაც კი ახალი სული უდგია არსებაში.

— როგორ უნდა შევიფერო კაცო, როცა იძახით აღარც ადამიანობაა, აღარც სვინდის-ნამუსი, აღარც სარწმუნოება, აღარც სიყვარულიო! მა უამისოთა ხო სულ განადირდა ადამიანი.

— არის ძია გიო! არის როგორ არა! მხოლოდ ჩვენი სვინდის-ნამუსი და ჩვენი სარწმუნოება სრულიად ახალია და იოტისოდენაც არა ჰგავს თქვენსას.

— ეკლესია არაო! ნათლობა არაო! ჯვრისწერა არაო! დღეობა არაო, მა რაღას მიტოვებ ცხოვრებაში კაცო?

— სამაგიეროთ, ბევრი რამეა, მაგრამ რომ არ გინდა დაინახო.

— აბა რა დავინახო? ააფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო.

— მაშ კაცო ვანა არაფერია შებატონებობის მოსპობა, სწავლა-განათლება, ნაყოფიერი ხენა-თესვის მოწყობა, სასოფლო და საქვეყნო საქმეებში გლეხობის ჩაბმა? ჯერ კიდევ საღ არის, რამდენი სიკეთე შეიძლება შევიდეთ ამ ქალი ცხოვრებიდან!

— თქვენ მოსპეთ სენდის-ნამუსი, უფროს-უმცროსობა, ღმერთისა და ხატის შიში და შერე ვნახეთ—რა ქვეყანასაც ააშენებთ!

მექანიკოსმა გამოიყვანა ბოლოში ტრანქტორი და გააჩერა. ხალხი ისევ ახლოს მიეხვია და ათასნაირად დაუწყეს სინჯვა. ყველაზე მეტად კმაყოფილნი არიან თვით „სოფლის ოჯახის“ წევრები. იმათ აქედანვე ჩაენერგათ საბოლოო რწმენა, რომ საქმე გაჩარხლათ წაეა და ქვეყნის ყბადსაღები არ გახდებიან. სანდალამ თავისი მიდლიანი და ბარაქიანი სიტყვით კიდევ უფრო წააქეზა იგინი. უფრო განაღვიძა მათში სურვილი და რწმენა, რომ ერთმანეთის შხარის მიცემით ყველაფერს ადვილად დასძლევენ. მათი შრომა და თავგამოდებაც იქნება უფრო ნაყოფიერი და მისაბაძ მგაღლითად იქცევა სხვა მრავალსთვისაც.

მართლაც ბევრს დაებადა აქედანვე სურვილი, რომ შევიდეს ამხანაგობაში. ან დააარსოს სხვა ახალი ამხანაგობა „სოფლის ოჯახის“ მსგავსად. საერთოდ ამ მანქანის მცირე გამარჯვებით გლეხობაში უკვე დაითესა აზრი შეკავშირებულად მუშაობისა და მოქმედებისა.

მხოლოდ გიო და რამდენიმე გლეხი არ შერყეულან თავიანთ აზრში და ჩეულებამი.

— ე, შეილოს! ეხლანდეღ ხალხსა რო ყველაფერი გაუყვირდება. საქმე ხომ მარტო მიწის აჩიქნაზე არ არის! უნდა მოსავალიც მისცეს და!

— ჯერამა ვნახოთ, აბა მემრისა როგორ თავთაფს დაისხამს მაგი მოხნულში დათესილი პური და მერე მოგვიგონ ნიშნი.

— არა! მე მაგი მეხრებობი საღ ვისწავლო ამ სიხერი დროსა, ჰა!

— თუ ხარ-კამეჩსა ზურგზე ხელი არ გადაუსვი და თან ჰოროველაც არ შესძახე—ისე რა მადლი აქ გლებკაცის მოხნულ-მოთესილს.

— არა, მაგაზე იტყვის სწორეთა მეხრეი ჰოროველასა, აი! ისემც რა უთხრა მაგი მამგონსა.

— ვისაც დოვლათი და ბარაქა მოსდევს შეილო, ჩვენ ღირღიტინ გუთანსა რა შეედრება!

— ვენაცვალე იმასა მუხის წელში—გვერდელად რო წამოუწვება კორდეულსა და ყამირი-ყამირზე გადაპყავს კაი ფალაენივითა.

— არა! კი არა მშურს! ნეტა კი ყველა მშიერ კუქს გააძღობდეს ე ტრანქტორი თუ რაღაცა და ვინ ღმერთ გამწყრალსა არ გაეხარდეს!

ასეთი საუბრით შემოვიდენ სოფელში. სერიდან ისევ გამოჩნდა ეკლესიის ნანგრევები. მის დანახვაზე გიოს კიდევ უფრო აეშალა ძველი ბოლმა.

— როგორცა, მამო, კაცის მკვლელის ხელით მოწოდებული ლუკმა არ ჩავა ყელშია—რაღ უნდა შიოდეს, ისე ამ ეკლესიის დამანგრევლის ხელით კაი საქმეს არ მოველი ამ ქვეყანაზე.

— ეგ ისეა რომა — ერთი ხელითა ლუკმას მაწვდიდე, მეორეთი კი ყელში მიჭერდე და მახრჩობდე. ქარისა არც მოტანილი მინდა არც ვატანილიო. უფრო მეტს აფუჭებენ შველო, ვიდრე აკეთებენ და მაგათი რა დაჭერვო, ჰა!

— ახალ ქვეყანას ვაშენებთო! როცა თქვენ ახალი ქვეყანა ააშენოთ ზარმაცები და არაქნია ხალხის შენიწობითა — მე შიგ ნულარ შემისვებთ! დაე, იმომძერეს სული იმის გარეთა!

კიდევ წაილაპარაკეს თავიანთებურათ სოფლის ცხოვრებაში მოულოდნელად შემოჭრილ სხვა და სხვა ახალ მოვლენებზე და შემდეგ გასწიეს თავინთ სახლისკენ.

თუმცა ისინი ძველი ქვეთკირის ბურჯებივით ურყევად სდგანან ამ ახალი გახატულით მოვარდნილ შუა მდინარეში მაგრამ გრძნობენ, რომ გარშემორტყმული არიან მისი ტალღებით, მისი ხმაურით, მისი სიმძლავრით. ისინი ტყუეებად გადაქცეულან ამ მდინარისა და ვინ უწყის... ეგებ წაილეკონ კიდევ ბოლოს და ბოლოს მის დენისაგან.

— —

— ეჭვი! რას ჩადის კაცო ე სანდალი! ძიან ბიჭი გამოდგა აი, მედაჩემმა ღმერთმა! ხან რას მოიგონებს და ხან რასა! თუ რაზე ნახა ქალაქში, მაშინვე უნდა აქაც შემოიღოს.

— ან სად გამოიჩინა კაცო ასე მარჯვეთა! მე ვიცი უნივერტეტი გაუთავებია, აი! ჩვენ დიაკვნამა არ ასწავლა ანაბანაი! მაგრამ კაცს რო მოსდგამს ჯიში თავიდანა — ისა ძმაო ყველგან გაიტანს ლელოსა.

— არა, ძიან კი გაიწია მართლა! ყოჩალი ბიჭია ძმაო, რაც მართალია, მართალია!

— არა, ეს რაღამ მოავონა და?

— რას ეძახიანო? დასწყველა ღმერთმა, სუ მავიწყდება! იროდიონიო თუ რაღაცა...

— რადიო, კაცო, რადიო! გამოიჩინე ყურები!

— ქალაქის ამბებსა სულ გავიგებთ აქაო! მოდი ახლა და დიუჯერე!

— მა კაცო! შენ რო არ იცი თორე! აი, ამას წინათ ქალაქში რო ვიყავი, იქა ქუჩაში რამდენ იდგილას იდგა ეგეთი ზოროტოტოები და მთელ ხალხს ელაპარაკებოდენ საიდან სადა.

— სიმღერაც იქნებოა კაცო!

— მა, რაქნა!

— როგორა კაცო! ქალაქიდანა სიმღერას გაიგებს კაცი?

— თუ არ გაიგებ და აჰა, ნახავენ შენი თვალები!

სკოლის ბალკონზე საგანგებო მზრუნველობით დატრიალობს ტრაქტორზე მომუშავე ოსტატი. ის ებლა რადიოს აპარატს აწყობს სახელდახელოდ. მთელი ხალხი გამაღიზიანებელ ყურადღებით მისჩერებია. მოლოდინში კი ბაისობენ ათას რამეზე, მაგრამ ბოლოს მთელი ლაპარაკი ისევ უტრიალდება ამ ახალ

დროების სასწაულებს: ეს ავტომობილი! ეს ჰაერობლანო!—ეს ტრაქტორი! ეს რადიო! და კიდევ ვინ იცის—რას არ მოიგონებენ ხვალა და ზეგ!

უცებ გაისმა ფოლადისებური ხმა—მკვეთრი და ძლიერი.
— ამხანაგებო და მოქალაქენო!

გაოცებულმა ხალხმა სული გამელა. ყველა სმენად გადაიქცა. დაუჯერებელი ამბავი ხდებდა. ყველა ფიქრობს:

— ნუ თუ ქალაქიდან მოდის ეს ხმა!

— ეშმაკურათ ხომ არავეინა ზის მაგიდის ქვეშა და ასე ამასხარავებენ ამოდენა ხალხსა!

ხმა უფრო ძლიერი და მიმზიდავი ხდებდა. ლაპარაკია რადიოს სარგებლობაზე და საჭიროებაზე. ის უნდა შეიქრეს ქალაქში და სოველში. მის მეოხებით ყველა უნდა დაუკავშირდეს ქვეყნიურ ამბებსა და მოვლენებს. უნდა გაფართოვდეს ადამიანის ფიქრი, განცდა, გულისცემა, ყურთასმენა. დამარცხებულია მანძილი და დრო. ცხრამთის იქით ამბებს ისმენ, როგორც შენი მეგობრის პირისპირ საუბარს.

ბარე ნახევარ საათს გავრძელდა ეს საუბარი. ხალხს შეიძლება არაუფროც არ გაუგია ამ საუბრისა, რადგან გაოცებამ შთანთქა მთელი მისი ყურადღება. მხოლოდ ამ გაოცებაში ყველა გრძნობს რაღაც ახალი გრიგალის ქროლვას, ახალ კეშმარტებას. ეს არის ძლევაშოსილი გამარჯვება აქნობამდის რაღაც უხილავ და უცნობ ქვეყნისა, რომელიც დღეს იქცევა სასწაულებრივ სინამდვილეთ.

ხუთი წუთის შემდეგ გაისმა საუცხოვო სიმღერა ჰიანინოს ხმების ჩართვით. ყველამ ისევ გამალა სული.

— ნანო გენაცვალე, მოგწონს?

— რა კარგია, ღმერთო! მართლა ქალაქიდან ისმის ეს ხმაი?

— მართლა, მაშა!

აგერ გიომაც ჩამოიარა. ნანომ მოჰკრა თუ არა თვალი—ერთიან აენტო. სანდალაც განზე გადაგა იმის დანახვაზე.

— რას გელაპარაკებოდა ეგ ვაჟი ისე გულითადათ?

— საიშისო არაფერსა.

— ეგა როგორღაც სხვანაირად გიქქერის და...

— ოჰ, ნეტავი მამა არ მოიგონებდეს უცნაურ რამესა!

— მა, ჩემი თვალეზი შატყუებენ?

— ალბათ...

— მაგნაირ უღმერთო და ურწმუნო ხალხს ერიდე შეილო, თორე მაგათგან კეთილი არაფერი დაიბადება.

— სანდალას ჩემთვის არაფერი დაუშავებია და ისეთი საგანგებო მოსარიდი რა უნდა მქონდეს იმისაგან!

— მაინც... მე გამიგონე შეილო! შენ რა იცი, ჯერ ახალგაზრდა ხარ.

— ნუ გეშინია მამა! მტრისა და მოყვარის გარჩევა მეც შემიძლია ცოტათი. აჰა, ეხლა გაისმა გუნდის მწყობრი სიმღერა. ხალხი ისევ დატყვევებულია გაოცებით და ალტაცებით.

სანდალა დატრიალებს ხალხში. ხან ერთს გამოეცაპარაკება და ხან/მეორეს. უნდა სრული მონაწილე გახდეს ხალხში მოულოდნელად შექრილ სიხარულისა და აღტაცებისა. ბოლოს მაინც ნანოს ჩამოუარა, იგი აქვეს დგას და დანდობოდა მხარზე და გულმოდგინედ ისმენდა სადღაც შორეულ გუნდის კოცხალ და სასიამოვნო ხმებს.

— სალამო მშვიდობისა სალომე!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს შეილო!

— ხედავ რა ამბები ხდება, სალომე, ქვეყანაზე?

— რა ვიცი შეილო! ეხლანდელი ხალხი რას არ მოიგონებთ, ეხლა აღარცის უნდა გაუფიქრდეს ადამიანსა—კედარსაც რომ ენა ამოადგმევინოთ.

— მა რაღათა ვძრახავთ, სალომე რაღათა?

— მე ვისა ვძრახავ შეილო?

— რა ვიცი! ე შენი კაცი კი ყოველ ნაბიჯზე იჩნში მიდგია. სწორე გამარჯობის თქმა ეზარება ჩემთან შეხვედრისას.

— რა ვუყოთ შეილო! ყველა ხო ერთი აზრისა არ იქნება ამ ქვეყანაზე-ყველაფერს თავისი დრო და შეფერება აქვს. ეხლა მე რომ დედოფლობა და ლეკური ვითამაშო—ვინ მომიწონებს? გიოს საქმეც ევრთა შეილო. მა თქვენი ახალგაზრდების მთელი ყოფა-ქცევა რათ მოეწონება იმასა.

— ცხოვრებაში ავისა და კარგის დაფასება ჰასაკის მიხედვით ხომ არ უნდა ხდებოდეს?

— რა ვიცი შეილო! მე სამ-ოთხ სოფელს არცკი გავცილებივარ მთელ სი-ცოცხლეში და რა ჯანდაბა უნდა გამეგებოდეს ქვეყნიერებისა!

— თქვენ კი აღარ წაგედევებით არაფერში, მაგრამ აი ნანოსთანა ახალ-გაზრდებს კი აღარ დაგანებებთ. ამათ კი ჩვენ ქვეზე წავეყვანთ.

— ჩემი ნანო ისეთი არ არის, ენაცვალოს დედაი, რომა სხვის ხმას აპყვეს მაიმუნეითა, თუ თვითანაც არ უჯდება ქვეაში.

— სხვის ხმა კი არა, თავის გულის ხმა იქნება, თავისი, სალომე!

სალომე რაღაცა სწორმა აღლომ შეაშფოთა.

— ჩემ ნანოს ტყუილად ნუ ედავები ვაჟო! ეს განა ისეთი გოგოა, რომ თავის დედამამის საწყენო ჩაიდინოს რამე?

— აი ამ დღეებში ქალაქიდან მოვა ერთი ამხანაგი ქალი, რომ ჩვენშიაც მოაწყოს ქალთა წრე და ნანოსაც უმკველად ავირჩევთ იქა.

— ამან რა უნდა გააკეთოს იქა?

— გააკეთებს. ასწავლიან. არა ნანო?

— თუ კი სხვები მოახერხებენ რამესა, მე რაღა ღმერთი გამიწყობა?

— აი, ეგრე გოგონი, მაშა! ქვეყანას რათ უნდა ჩამორჩე? რითი ხარ სხვებზე ნაკლები?

სალომე უკმაყოფილოდ თავშალს ისწორებს.

— მაქათაობას თავი გაიანებე შეილო. ქალის საქმე ოჯახია. ის რომ გარე-გარე დაიწყებს ტანტალსა, მერე ოჯახს აღარ გამოადგება.

სანდალა თვალეზში მისჩერებია ნანოს. სწორი სწორისა სცნობს და უფრო ღონიერად გრძნობს თავის თავს დედამიწაზე. ორნი შეთქმულნი აშკარად კითხულობენ, ერთმანეთის გულისპასუხს, რაც სხვებისთვის უხილავია. შექმნიველი

ცოტა ხნის შემდეგ გათავდა კონცერტი. ხალხს თითქოს უხსრტებს დაწვლა. ისევ იქვე ტრიალებენ. ათასნაირად მსჯელობენ ამ ქვეყნიურ საკვირველებზე. ჰხედავენ: რაღაც დიდრონი მთები დამჩულან ამ დროებაში და მიწისძვრასავით არყევს იმათ ცხოვრების ნიადაგს. მკვიდრათ აღარაფერი მიაჩნიათ, თითქოს ყველაფერს მოელის გარდაქმნა, შეცვლა ან მოსპობა. ხვალინდელი დღე ყველის გულში მოდის და მოდრტყინავს რაღაცა მოლოდინით, შიშითა და იმედით:

— რა იქნება? როგორ იქნება?

ამდენ ხალხში მხოლოდ ახალგაზრდების პატარა ჯგუფმა იცის, რაც იქნება და როგორც იქნება. და თუ ისე არ იქნება, როგორც ჰგონიათ — არც მისი შეეშინდებათ. ყველაფერ მოულოდნელობას პირისპირ შეეგებებიან როგორც გამზადებულნი მებრძოლნი. ასე ფიქრობს სანდალა როგორც თავის მაგიერ, ისე ამხანაგების მაგიერაც.

შუადღის მზე პირდაპირ ისვრის ცეცხლის ისრებს დედამიწაზე. სიციხის პულით დაბნედილია მთელი გარემო.

მძიმეთ და გაჭირებით მოკრიალებს ძნადადებული ურემი. ქედმაგარ ხარებს ლამის ემძიმებათ თავიანთ საპალნე. ურმის თავზე მჯდომი გიო ნელის ღილინით უქარეებს ჭიანჭს თავდაუზოგავ ბედაურებს.

აჰა, მოადგა სოფლის მდინარეს. ეზარება გიოს ეს ადგილი, მაგრამ სხვა მზრით რომ არ მოველებმა! ჯერ დაღმართი ჰკლავს აქ ხარებს და მერე აღმართი. რამდენჯერ უნაბავს აქ გიოს საქონლის საცოდაობა. თვითანაც ბევრჯერ გასჭირებია. ეხლაც ბარაქიანი საპალნე უძევს, მაგრამ იმედი აქვს თავის ჯეირანის სადარ ხარებისა.

ფრთხილად ჩამოუძღვა წინ. გავიდა მდინარეს და მარჯვით შეუყენა აღმართს. ფიცხ და ძალოვან ხარებმა გამბედავით შეაქანეს ჭარბათ დატვირთული ურემი, მაგრამ შუა აღმართში დაიოწნეს. თან ცალი გოგორაც ნათხარში ჩაეარდა.

მალლიდან მეზობლები გადმომდგარიყვენ და უცქეროდნენ. გიომ ითაკლა, რომ სოფელში ნაჭებმა იმის ხარებმა სწორედ გაჭირების დროს ასე დაიოწნეს. და ამას ჰხედავენ მის მეზობლებიც. თავმომწონე მოხუცმა მარჯვით გადასცხო თითო სახრე, თანაც რიბიანათ შეუტია. გათამამებულ ხარებსაც ეჩოთირათ თითქოს შუაგზაში გაჭირება და თავგამეტებით შეებრძოლენ საპალნეს. გასწიეს ერთხელ, გასწიეს მეორეთ. უცებ ლაწანი მოილო უღელმა და ურემიც დაეცა ძირს. ხელნის თავებმა ველარ გაუძღეს მძიმე საპალნეს და ორთავ ჩაიმსხვრენ.

გიო გაიცეცხლდა.

— ჰაი, იმი რჯული კი ვატირე! ლამის ქვეყანა გადატრიალდეს ერთიანა და ამ გზის გაკეთებას კი არა ეშველარა! არა ი კურკას ბიჭსა ეკლესიის დანგრევის მაგიერა, აზირ ე ხიდი გაეკეთებინა აქა! მითომ ისიც ქვეყანას აშენებს რალა!

და აგერ თვით სანდალაც თავზე წამოადგა გიოს, რომლის საყვედურებიც სიტყვა სიტყვით გაიგო ყველა.

— რაო გიო? რას იგინები ეგრე ჯიგრიანათა?

— ვერა ხედავ, რასაც ვიგინები? ეხლა მადლია გლეხებისათვისა ურმის-დამტვრევაი ამ გახურებული მუშაობის დროსა? არც ძველათ ეშველა აქა ხიდის-გაკეთებასა და არც ეხლა, რათ გინდათ, რა? ი ეკლესიის დანგრევა უფრო ადვილი არ არი, ვიდრე ამნაირი სამადლო საქმის გაკეთებაი?

— მაგასაც გავაკეთებთ გიო, ნუ გეშინია!

— ჰაცა, ვირო, ნუ მოკედები, ალავერდი ამოავო!

— აღდგომა და—ხვალაო! აი, ნახავ თუ არა!

— ეხლა კი მე ეს შეყოფა საწვალეზლათა და!

— რა ვუყოთ! ბევრისთვის გაგიძლია, ცოტასაც გაუძელი და ბოლოს მაინც ეშველება.

— ოღონდ კი ამ ხიდის გამკეთებელი გამოვიდეს ეინმე და შვილის მკვლე-ლი რო იყეს—მოყვრათ გავიხდი.

— კარგი გიო, კარგი! მე კი ადვილათ შევასრულებ ჩემ სიტყვასა და აბა-შენსასაც ვნახავთ.

— როგორა! პირიანობაში თქვენ უნდა გვაჯობოთ, დღევანდელმა ღლა-პებმა—სეინდის-ნამუსის მატარებელ ძველ ხალხსა?

— კარგი გიო! როცა გავაკეთებთ ამ ხიდს, პირველად შენ გვაგატარებ-მასზე და ზედ შუა წელზე სახალხოთ უნდა გალიარებინო, რომ საბჭოთა ხელის-უფლება საუკეთესო მზრუნველია ხალხის კეთილდღეობაზე, მაშინ ალბათ ჩემ-ზეც მოიბრუნებ გულსა და ეგრე მტრულად აღარ დამიწყებ ცქერასა.

— ვაი, ოღონდაც იმ დღეს მოვესწრო და...

— მოვესწრები! არც ისე შორს იქნება ეგ ამბავი.

გიოს ჩამოეშველენ მეზობლები. თნა სხვა ურემზე გადააცლინეს და მი-ატანიეს სახლამდის.

სანდალა კი წამოვიდა ახალი გადაწყვეტილებით დატირითული. თან გულ-ში გრძნობს უდიდეს კმაყოფილებას, რომ გაუჩნდა ახალი საზრუნავი.

ეს იქნება ახალი განმარჯვება—არა, თავისი კი არა! არამედ იმ ხალხის, იმ თაობის, იმ ხელისუფლების, რომელიც მას აძლევს უფლებას და საშუალებას—სოფლის საერთო კეთილდღეობაში მანაც გააელოს ერთი ნაღარი.

— შვილო ნანო! გაანებე ე თუთუნის გრეხასა თავი! მოდი აქა!

— რა გინდა, მამაჩემო?

ნანომ გაანება თუთუნს თავი და მორჩილად მიუჯდა გვერდში თავის მამას.

— აჰ, მოვედი! ეხლა?

გიომ მძიმეთ გაისწორა უღვაშები (ალბად ფიქრებიც). დინჯად გადაჰხედა-თავის გოგონას და...



— იცი შეილო! მე არ მომწონს შენი ქცევაი.
 — რა ქცევაი, მამა?
 — აი, რო ჩაწერილხარ სადღაცა.
 — ქალთა წრეში, მამა?
 — რა ვიცი რას უძახით თქვენა! მე კი ის სულაც არ მოგდება ქედაში.
 — მერე რაო მამა! ჩვენებთან თეკლევ იქ არის, მაროცა, გაიანტეა...
 — ისინი სულ ეგრე ახტაჯინათ დადიან და შენ რა გაქვს ინათთან მისა-
 ბაძიშვილო!

— ჰო და, თუ ეგეთი ახტაჯინები ჩაერევიან ამ ახალთაობის ავან-ჩაევანში, მე რაღა კოკლი ბატი ვარ, რომ ყველას უკან ჩამოვრჩე.

გიო ჩაფიქრდა. აათვალ-ჩაათვალეირა თავისი გოგო. უნდა თავისი რაღაცა დიდი დაკვირვება და რწმენა კირნახულ მოსწრებული მინდორივით გადმოშა-
 ლოს თვალსაჩინოდ, მაგრამ...

— ...ყველაფერი ეს შეილო ჯერ მკუბე საკმელია. მაგას მხოლოდ სულ-
 სწრაფი ხალხი ეტანება და როცა კბილს მოიკრიან, ქუთასაც მაშინ სწავლრბენ
 მარტო. ჯერ უნდა დაუცადო შეილო, დამწიფდეს ყველაფერი. შემდეგ კი რა-
 ზეც ხელი მიგიწვდება, ყველაფერი დედის რმესავით იქნება შესარგები.

— მუდამ რომ ეგრე ვიფრთხილოთ მამა, ადამიანი სულ დაობდება და
 ქვეყნის მაჩანჩალთ გადაიქცევა. მე არ მინდა, რომ ჩემმა ტოლებმა ყველაფერ-
 ში წინ ვამისწრონ.

— მეტირობაში? გაგასწრონ, მერე რა?

— ხომ იცი მამა ძალიანაც მიყვარხარ და შენი ხათრი მთელ დუნიას მირ-
 ჩენია, მაგრამ რომ მინდა, ჩემ ტოლებშიც არ გამოვწყდე? რა გენალელება მეც
 ვისწავლო ამ ქვეყნის ენაი, რომ სულერთთან მუნჯათ არ დაერჩე ცხოვრებაში...

— რაც უნდა სთქვა შეილო, ი კურკას ბიჭსა მაინც გული არ ენდობა.
 ღვთისა და სარწმუნოების მგმობელი კაცი ყველაფერ ადამიანობასაც ისე გალე-
 წამს ფეხქვეშ როგორც ნაბოლარა კრუნჩხის კალოსა.

— რა არის მამა! ამოგივთვალისწუნებია ი საწყალი ბიჭი და ღამის არის
 შენი საყვედურების მორევეში დააღრჩო. ძველ მამასახლის აღარა ჯობია,
 მართლა!

— რა ვიცი! ჯობია? ქვეყანას ხო მარტო იმითი ვერ დააბრმავებ, რომ
 ერთი ორი სემპაქტო რამ გააკეთო და სოფლის არაქნია ხალხს დილიდან სა-
 ღამომდის ულოკო— „მე გიშეელი ბიძიაო“! უჰ, დიდი რამ მოხდა რაღაცა მატ-
 რაკვეყული რადიოა თუ კვინტრიშა— ი რო დადგეს.

— ტრაქტორიო? სკოლაიო? მამულებიო? ი თავადები და ჩარჩები რო აღარ
 გასხედან თავზე— ეს აღაარაფერია განა?

— ეჰ! ბატონმა ბატონი შესცვალა შეილო, რა გამოვიდა!

— მაგას რათ ამბობ მამა! აბა სადღა ჯანდაბაში არიან ეხლა ბატონები?
 გიო გაკვირვებით მისჩერებია და ვერ გაუგია—ნუ თუ ნანოს თეთიანევე
 სჯერა, რასაც ამბობს?

— მა, ყველა ეს ლივერიანი ბიჭბუჭები განა ჩენი ბატონები არ არიან? მა რა არიან? ი კრებაზე რო დამიწყებენ ხოლმე სისინსა—შენარა კულაკი ხარო—ამაზე უარესი გინდა კიდევ! ნიკოლოზობის დროსა შამქრისხელები მეპოვებოდნენ ხოლმე და ეხლა გუშინდელი ლლაბები უნდა მხრადუნს მხრად ბურთსა! ჰაი გიდი გიო!

— ხო ხედავ მამა ყველაფერი გამოიცვალა. აღარ არის შენი დროები, აღარა!

— მეც მაგასა ვტირი და ვჩივი. მგზავრი კაცი რომ სიმშლითა კედებოდეს, პურს აღარაინ მოუტეხავს. ეს არის დროები?

— რა ვუყოთ მერე! ზოგი კარგი რამ იქნება, ზოგი კუდი...

გიო აბოლებს ჩაბუხს. თან ისე ათვალეერებს თავის გოგოს, თითქოს ვილაცა გადამთიელი იყვეს და მხოლოდ ეხლა მხედავს პირველადო.

— ნეტა ვიცოდე შენ ვილამ ვასწავლა ე ტიკტიკი! კურკას ბიჭმა თუ მოგნათლა ვგრე!

— ნანო კოპშიათა და ცელქურად გასწორდა კაი თავთუხის ლერწამივით.

— აბა მიყურე მამა! თვალეები ხო მაქვს?

— შერე?

— ყურებიცა, ხომ?

— !

— მე მგონი, ცოტა ჭკუაცა მაქვს, არა?

— კარგი, შერე?

— ჰო და მე თვითან ხომ შემძლია დავინახო, გავიგონო და ჩავუფიქრდე ყველაფერს, რაც ხდება ქვეყანაზე? განა უმჯველად ვინმემ უნდა ჩამაგონოს?

— მე ვხედავ შეილო ყველაფერსა, მაგრამ ვაი, რო შემოება აღარა მაქვს!

— შენ ჩემზე ნუ სწუხარ მამა! თუ შეგარცხებინო რამეში, მაშინ მოთხარი საყვედურები.

— არა! ი კურკას ბიჭი შინცა... სჯობია ერიდო! იმანა ქვეყანა არია ტ მე ვატყობ—ჩემ ოჯახსაც არეფს, ჩემი ხნის კაცსა სიზმარიც დაეჯერება, თორე...

— უიმე, უიმე! ვგრე კაცის შეძლება გაგონილა!

— ეე, შეილო! შენ რა იცი ქვეყნის ავკარგი როგორ იწონება, თორემ აარც ვგრე იტყოდი.

— ეჰ, ნეტავი შენა მამაჩემო! მოეწყობა ქვეყანა წესზე—კარგი, არა და შენ ხომ გაგიტარებია შენი დრო ავით თუ კარგათ.

— თქვენთვისა ვწუხებარ თორე...

ნანო გაქვა სახლის დალაგებას. გიო კი სთლის შეინდის ტაბიკს. ახალ კოპოსანს მაგრა უსევამს—რალაცა ჯავრს აყოლებს ყოველ გასმაზე.

ძველებური ფართე დარბაზი ახალი ხალხით არის სავსე. ხალხი ეგები ძველიც ბევრია, მაგრამ ახალი მოწოდებით არის ყველა აქ თავმოყრილი. სხედან. დგანან. სადაც მოუსწრიათ და როგორც მოუსწრიათ. თავში კი სდგას თვით

ხალხსავით უბრალო მაგიდა. რამდენიმე კაცი შემოსჯდომია და საქმიანათ კურ-
ცლავენ ქალაღს.

კოოპერატივის წლიური კრებაა.

საერთო მოხსენება, ანგარიში. ძველი ცოდვების წამოყვედრება, იერიში
და თავდაცვა. ზოგის უარყოფა. ზოგის დაფასება. ბოლოს ახალი არჩევნები გა-
მგეობისა:

ესა და ეს.

ესა და ეს.

ესა და ეს.

ქალებიდან კი—ნანო ლომაური.

ხალხში ცივი ყინულის ნამტვრევებივით ერთბაშად სცივია მკვახე სიტ-
ყები.

— რაიო? ნანო ლომაურიო? ეს ვისი მეტიჩრობაა ნეტავი?

ყველამ შეიტრიალა თავი და საგანგებო ცნობის მოყვარეობით მისჩერე-
ბიან გაროზათ ამართულ მოხუცს გიოს. ის კი...

— ამოშალეთ ეხლავე! როგორ? ოჯახში გამოელაა განა საქმე?

თავმჯდომარე სციდილობს დაამშვიდოს:

— გიო, გიო! რა გაღელვებს კაცო! ქვეყნის საქმეში შეილის ჩაბმა შენ
განა საძრახის საქმედ მიგაჩნია!

— განა კაცები გამოილიენ, რომ გოგოებზე დაგიდგათ ეხლა საქმე? მე გეუ-
ბნებით ამოშალეთ მეთქი!

— გიო! შენი სიტყვით ნანოს არ ამოვშლით. თუ კი ხალხი აირჩევს, შენ
პირიქით უნდა ამაყობდე კიდევ, არამც თუ გწყინდეს.

— თქვენი დები და ცოლები აარჩიეთ და თქვენვე იამაყეთ! თქვე უღმერ-
თოებო სახლის დამლაგებელი და შექამანდის ჩამდგმელი აღარ უნდა დამიტო-
ვოთ სახლში?

— ცოლი რას გიკეთებს?

— გადაურუდა.

ხალხიდან ისმის ხმა:

— მა აღარც გაათხოვებ — თუ ეგრე გპირდება შექამანდის კამყეთებელი?

— რატომაც არ გაათხოვებ? მაგრამ წინდაწინ რათ გავიმწარო. ლუკმია?
თავმჯდომარე ურყევია:

— თუ კი ხალხს უნდა, შენ წინააღმდეგი ვერ წახეალ გიო.

— ჩემი საქმისა მე უკეთესად არ ვიცი ვიდრე ხალხმა? ხალხსა როგორც
გინდათ, ისე ააყვირებთ რა!

— მა შენ რატომ აღარ გაყვირებთ, შავ ერთ კაცსა — როგორც გვინდა?

— ხალხს რა ენაღვლება ჩემი გაპირვებაი, ჩემი ოჯახის სინდის-ნამუსი!
მე კი მენაღვლება.

— ერიპა! საზოგადო საქმეს შენ უსინდისობათაცა ნათლავ! ეგ უკვე მეტი
მოგდის გიო!

— ნუ გამამწარებთ და არ ვიტყვი! რა უნდა ჩემ გოგოსა კომპერატიაში თავის სახლისთვის ვერ მოუვლია წესზე! ძალათ—მაცხოვნებები ხარო შეილო? ხალხში გაისმის ხმა:

— თვითან ნანოსაც ჰკითხეთ კაცო—უნდა თუ არა არჩევნა.

— ჰკითხეთ! ჰკითხეთ!

— თუ კი ხალხი აირჩევს, ვერც ნანო იტყვის უარსა.

ყველა მისჩერებია კუთხეში მიკუნქულ ნანოს. სკდილობენ მის სახეში ამოიკითხონ ამ დავის ვადამწყვეტი პასუხი. მაგრამ იგი გამოუცნობია თავის დუმილით, უმოძრაობით.

გაბრაზებული გოგო კაი გუთნის საკვეთელივით მიარღვევს ხალხს და მიძიმებელტებებით ისვრის:

— როცა თქვენ ყუფითა და ყიფილით სოფელი აწეენოთ, მე ნულარ შემისყებთ მაშინ შიგა! ე შეილი არ გადამიბიროთ თორენა, ეგები ვინმე შემომაკვდეს კიდევცა ამ სიბერი დროსა.

გათავდა კრება. როგორც სხვები—ნანოც ერთხმად იქნა არჩეული გამგეობაში.

ხალხი დაიშალა. სანდალამ ჩაურა უკან ჩამორჩენილ ნანოს. გულითადათ ჩამოართვა ხელი, ერთიკ გაუღიმა და გაშორდა უსიტყვოდ.

— რა გიშავს გოგო ეხლა რა! შენი გოგო კომპერატიაში აირჩიეს და... გიომ ხმა არც კი გასცა თავის მეზობელს ისე შევიდა ეზოში. იქავე კარებ წინ ჩამოჯდა წიფლის მორზე და ყალიონი გააჩალა.

— მამა შენ მოსულხარ კიდევაცა?

— მა, იქ თუ დავრჩენილიყა თქვენთანა, პირი ბლით ამევსებოდა!

— ვინ იცის როგორა ხარ ჩემზე ნაწყენი, არა მამა?

— ეჰ! ჩემ წყენასა ვილა იგდებს შეილო ბინუმში!

ნანო მიუჯდა გვერდში და მხარზე გადასდო ხელი ალერსით.

გოგო ერთხანად სლუმს. თითქოს ხე უკვე მოჭრილია და საცაა ელის მის წაქცივასო.

— ...ხომ აგირჩიეს?

— ამირჩიეს.

— რალა უშავს ქვეყნიერებასა! ეხლა სულ გაძღება, გალამაზდება და შემოსება თავიდან ფეხებამდის, შენნაირი გარდაქეშანი თუ ჩააყენეს საქმეში.

— შენ უფრო არ უნდა გიხაროდეს მამა, რომ კორიკანობისა და კეკელაობის მაგიერ სოფლის საქმეებში ვიქნები ჩარეული?

— დათვი რო სამგლე გახდაო, იმის საქმე წაბდაო. ქვეყანა და სოფელი რომ თქვენი სპატრონო გახდა, მართლა რატომ არ დაიქცევა ეს ქვეყანა! ეხლა სხვის რალაზე ვედაო. ბოლშევიკი სახლში გამიჩნდა შეილო.

— შე ბოლშევიკი სულაც არა ვარ მამა!

— რალა გაკლია? ერთი რიველი და ეკლესიის დანგრევაი რალა!

— ეგრე რათ ამბობ მაშა გენაცვალე! თუ კი ერთი გაიწვევს განზე, მეორე მესამე, მა ვილა არის მოვალე, რომ ყველას მაგიერ აკეთოს საქმე!

— ჰო, ძაან სვინდის-ნამუსის პატრონ ხალხში მოგხიბდებოდა, მაშა მაშა რა-
ლა უშავს ეხლა ჩემ ოჯახსა!

ეზოს წინ ჩამოიარა გამგეობის ახალმა თავმჯდომარემ.

— ნანო! საღამოზე არ დაგაფიწყდეს, უეჭველად მოდი!

— კი მოვალ უსათოვოდ!

სალომეც გამოჩნდა ეზოში. გიო მძიმე ურემივით შეტრიალდა მისკენ.

— აი, ჩემო ქალო იამაყე! ჩვენი შვილი ამიერიდან ქვეყნის მოწილმართე შეიქნა.

— რას ამბობ კაცო! როგორ იგავებათა ლაპარაკობ შენა?

— აი კითხე შენ შვილსა!

სალომე ნანოს მიაპყრობს თვალებს.

— რა, შვილო? შენ მაინც ამიხსენი ქრისტიანულათა!

— მაშა ტყუილად იმრიზება, ისეთი არაფერია დედა! კოოპერატივში ამირჩიეს და რათა, რათ აგირჩიესო!

სალომეს თითქოს სრულიადაც არ ეწყინა.

— მერე რა კაცო? იყვეს ე ჩვენი მაჭაბა გოგოცა, თუ კი ჩაირევენ რა! აქ ურიგო რა არი?

— თუ არ არის ურიგოი და ენახოთ, რა სიკეთეც დაიბადება მანდედნა! ნანომ არ იცის როგორ მოაღბოს გიოს გული.

— მაშა გენაცვალე! ლამის მთელი სოფლის ჰკუა ტრილობს შენში და ეგეთი რამის წინააღმდეგი რათ უნდა იყვე, ვერ გამოვიდა ყველაფერი სულ ძველებურათ გინდა იყოს, უცვლელათა? ხომ ხედავ ქვეყნის ახალი მოსაქალი სძლეეს ძველსა და ტყუილად რათ სცდილობ ცხოვრების ჩარხი უკულმა შეატრილო, ვიდრე მდინარე სცემს.

— არა! ჩემი ანდერძი მართლა აგებულია, როცა საკუთარ სახლშივე გამოჩნდა ბოლშევიკი.

ისევ სალომე სცდილობს— ჩამოაგდოს მშვიდობა მაშა-შვილ შორის.

— კაი კაცო ახლა! მართლა გულს ნუკი აღტრუებ ბავშვსა ყველაფერზე! იყვეს, იმუშაოს, თუ კი თვითან ხალხს არაფერი აქ საწინააღმდეგოი.

— ხალხს კი არა, მე მაჭებს საწინააღმდეგოი, მე! ამანა, ამან უნდა გამოკეთოს ქვეყნი საქმეი, ჯერ სახლის დაგვაც არ იცის სწორე.

— სახლის დაგვაც ვიცი და კოოპერატივში მუშაობასაც მოვახერხებ! აი ნახავ თუ არა მაშაჩემო!

— ჰო! აქამდისაც სულ თქვენისთანაებს უშენებიათ ქვეყნიერებაი, მა!

— კარგი! მაშ გავანებო თავი, მაშა? მერე მთელი ოჯახი ხომ აგვითვალისწუნეს— როგორც ძველი რეჟიმის ხალხი. მაშინ წინდაწინვე არ უნდა მიმეცანება არჩევისა. ეხლა რომ უარი ვსთქვა, რას ეგვანება.

— ან წინეთ ვინ შეგებვეწა მერე—აერჩიეთ?

— ალბათ შემებვეწინ.

— ჯურკას ბიჭი არა?

— რა არის მამა! დაადგი ყბაი ი ჯურკას ბიჭსა და აღარ ასევენებს! მათლოს მართლა ხომ არ უნდა ამოიქვაშო.

— არა შეილო! ის უფრო ჩქარა ამომიქვამს მე თვითანა! მუტადროე თუ ჩემი საკუთარი შეილიც დაეხმარება.

— მე ჩემი ოჯახისა და ჩემი მშობლების დაღუპვაში არავისაც არ დავებმარებნი. და თუ საჭირო გახდება, იქნება თავიც შევაცლა.

ნანო და სალომე მიდიან სახლისკენ. გიო რჩება მარტო. ამოღებს ყალიონს, ამოღებს. თუთუნი იღვეა—ფიჭვები კი არა.

— მაინც რა უღმობელია ეს ახალი ცხოვრება და რა შეუდრეკელად მოდის იგი ყველგან. ჯერ იგი დაიბადა სადღაც შორს. მერე იქიდან მოვიდა ქალაქში. ქალაქიდან—სოფელში. ეხლა აჰა, იმის ოჯახშიც იჭრება იგი. რა არის მდევია თუ ვეშაპი, ასე მძლავრად რომ მოტორტმანობს? კი არ მოტორტმანობს, მოპქრის! არა, მოგრგვინავს! მაგრამ ყველაზე გულსაკლავი უფრო ის არის, მისი ოჯახის კარებსაც რომ ამტვრევს. ნუ თუ მართლა საბოლოოდ უნდა გაიმარჯვოს ამ ახალმა ცხოვრებამ?... თუმცა ეგები მართალი არიან ეს ახალგაზრდები და ჩვენ კი ძველებმა ნამდვილათ მოესჭამეთ ჩვენი დროება?

აქ შეშფოთებულმა გიომ გაჯავრებით დააფურთხა დედამიწაზე და წიხლიც დაჰქრა ზედ გაშმაგებით:

ახალი ცხოვრება მარტო ოჯახში შემოჭრით აღარ ჩერდება. იგი თითქოს გიოს გულშიც იჭრება იქვის სახით. ეს უკვე საშინელებაა, როცა თვით იგი ფიჭრობს: ეგები მართალი იყვენ, ვინ? ვინც ქვეყანას ჰრევს, ეკლესიებს ანგრევს? ვისაც არა სწამს ნათელ-მირონი, აღამიანობა, პატრიონობა? ვინც... ვინც...

— გიო! წამოდი კაცო, რაღას უცქერი! ყველას შენ უნდა გაუძღვე წინა შენი ჯეირანა ხარებითა!

— შენ სხვებს გააბერტყინე ყური, თორე მე ეხლავეც მხათა ვარ!

— მაშ წამო ბარემ, რაღას აყოენებ!

— აგერ შევაბამ ხარებსა და ეხლავე გამოვალ.

სანდალა გაჰყვა უბანს, რომ სხვებიც ააჩქაროს. გიომ შეება ხარები და გამოვიდა გზაზე. აჰა, სხვებიც შეუერთდენ მრავლათ და გიოს მეთაურობით გაუდგენ...

— გიო! საით მიდიხარ კაცო?

— საით მიედივარ და ტყვარზე.

— ტყვარზე რა ვინდა კაცო?

— მა, ქვაი ჩემი ბალის ბოლოზე ხომ არ ამოდის!

— არა, კაცო! აი, ეკლესიის ნანგრევი ქვა უნდა ჩამოვიტანოთ. თუ ეგ არ ეყოფა, მერე ტყვარზეც წავალთ.

გიომ შეაჩერა ხარები. თითქოს არ სჯერა—სწორედ გაიგო სანდალას სიტყვები თუ არა—

— რაიო? ეკლესიის ნანგრევებიო?

— ჰო, კაცო! მა გეხალისება, ორი ვერსიდან ზილო ტკვრის ქვიშა, როცა აი აქვე ამდენი გვაბადია? ეს ქვაი ჩვენ ხიდსა თავსაყრელიც მოუფა, არამც თუ გყოფა.

გიო ისევ ჩაფიქრდა. იმის გულს ისევე ეკარება სანდალას მტკვრისგან როგორც კედელს ცერცვი.

— იცი რა გითხრა შვილო! მე უმაღლ ქედებს დავაჭრი ჩემ ხარებსა, ვიდრე ეკლესიის ქვა ვაზიდინო ხიდის გასაკეთებლათა. ვინც უნდა გააკეთოს ეგ ღვთის საგამობელი საქმეი, მაგრაშა, ჩემგან კი იმედი ნურავის გექნებათ.

— უარს ამბობ მამა თვითდაბევერაში მონაწილეობაზე?

— უარს რათ ვამბობ! მე წავალ და ტკვრიდან მოვხიდამ. ეგ კი ვისაც გინდათ ჩამოიტანეთ. აბა სამოცი წელიწადი ეკლესიაში მილოცია და ეხლა ჩემივე ხელიდ ჩამოვხიდო იმის ნანგრევები ხიდის გასაკეთებლათა? განა ი დალოცვილ ტკვარზე ეგრე გამოიღია ქვა და ლოდი?

— შენა კაცო მუდამ ეგრე ახირებული ხარ.

— არა შვილო! მე კი ტკვარზე წავალ და სხვები როგორც უნდათ ისე მოიქცენ.

გიომ შეუტია ხარებს და გაჯავრებულის სიფიცხით გარეკა რიყისკენ.

სანდალამ უიმედოთ ჩაიქნია ხელი მიმავალ გიოზე და მიუბრუნდა სხვებს:

— დაე მაგ-ერთმა კაცმა რაც უნდა ისა ქნას! თქვენ კი ჩქარა გაბრუნდით და შეუდგით ეკლესიის ქვის ზიდვას.

ახალგაზრდები ხელათ შეტრიალდენ და გაუდგენ ეკლესიის გზას. თან დარდიმანდულათ ათასგვარ შენაშენას ამობდენ გიოს ახირებაზე. მოხუცი გლეხები კი შეფიქრიანდენ: არ იციან ვის გაჰყვენ.

— ჰა, ბებრებო! რას უტკვერით? გიოს მავალითმა ხომ არ წავაგებლისათ? ზოგმა მოახერხა პასუხი:

— მართლა როგორღაც უხერხული კია!

— ე მოხუც ხალხს არ შეგეფერის და!

— თქვენთვინა სულ ერთი არ არი—საიდანაც მოიტანთ?

არა, არ ჯავრობს სანდალა. ის სრულიად გულდამშვიდებით ეუბნება:

— თუ არ გებრალეზარ არც თქვენი თავი და არც თქვენი ხარები, როგორც გინდათ—ისე მოიქეცით!

— ერთმა გლეხმა როგორც იქნა ვადალახა ჭოჭმანი.

— რაც ახალგაზრდებს შეფერით, ის მოხუცებს არ შეფერით. მეც მტკვრიდან მოვიტან ჩემ წილ ქვასა.

— ბარემ მეც იკით წაპოვალ!

და ეს ორი მოხუცი გაუდგა გიოს გზას. დანარჩენები წავიდენ ეკლესიისკენ, და მრავალ შენიშვნებში ყველაზე მკაფიოდ ისმის ერთის ხმა:

— თუ მაღლი ქონდა შვალო, მაშინ უნდა გამოეჩინა, როცა ანგრეედენ. ეხლა კი რალას უშველის ჩვენი ჭირისუფლობაი!

უკვე დაიწყეს ქვის ზიდვა. აგერ გიომა და იმ ორმა გლეხმაც მოაპრია. ღეს მძიმეთ დადებული ურმები. სანდალა იქავე ტრიალებს ტეწნიკოსთან ერთად.

— ნეტაი თქვენა რო არც თქენი თავი გებრალემათ და არც ხარები—
ემიგსიშორიდან რომ ეზიდებით.

გოი როგორღაც გამოჯაერებით გაიმართა წელში და ^{ხანძრის მხტანსმოხი-}
დულ მძიმე ლოდებივით გაიძახის ყველას გასაგონად: ^{მინჯაიქოშისა}

— ოხრად დამირჩეს ჩემი თავიცა, ჩემი ხარებიცა, ჩემი ოჯახიცა, თუ მე
ამ ხიდზე გავიარო როდისმე. ვინც უნდა ჰქელოს თავის ფეხით ეკლესიის ნან-
გრეეები, მაგრამ ჩემი ფეხი კი მძიმე იყვეს აქ გასაელეღა!

— გაგიჭირდება, გაივლი გოი, ფიივლი!

— როცა მე ამ ხიდზე გავიარო, მაშინ მოდიოთ და პირში ჩამაფურთხეთ
მთელმა ქვეყანაში.

— შენ არ გაივლი და შენი შვილები გაივლიან, შვილიშვილები!

— ჰო! თუ ასე აკეთეთ ყველა საშვილიშვილო საქმეი, ქვეყნის ბედსა ძა-
ლლი აღარ დაჰყუეს, მა!

გოის ოჯახში ეს არის გაათავეს ვახშმოზა.

სალომემ ისევ თითისტარი აუბა. ნანო სუფრას ალაგებს. გოი კი ცეცხლზე
თბება.

ნანომ გაათავა მილაგ-მოლაგება. შემდეგ გავიდა კარში, ისევ მემოტრი-
აღდა სახლში. ვერსად ვერ ჩერდება. რალაცა მოუსვენრობასა გრანობს. არ
იციის რა ჰქნას.

ბოლოს მივა მამას მიუჯდება გვერდით. დაეყრდნობა მხარზე და... სტი-
რის, დიად სტირის.

— რა იყო შვილო რა დაგემართა?

სალომეც შეშოთდა ნანოს უცნაურ ქცევაზე.

— რა მოგივიდა გოგო? რა გატირებს? ჯერ ხომ დედა არ მოგკდომია?

ნანო ხმას არ იღებს. უფრო ჭვითინებს.

— რა გქნა ავით ხომ არა ხარ შვილო?

— ავით რა გაბდიდა, ე ვახშამზე სალ-სალამათად იჯდა და...

გოი ქოჩორზე უსვამს ხელს. სალომეც შეშოთებით ეალერსება.

— მითხარი გენაცვალე რა იყო?

— თქვი შვილო, რა გატირებს? ასე უცაბედათ რა დაგემართა ნეტაეი?

— ასე გულამომჯდარი რისთვისა სტირი შვილო, რატომ არ იტყვი? ი
კომპერატიია რალაცა, იქ ხომ არავინ გაწყენინა? ნეტამც არ მინდა ვისმე რამე
გაებედოს და...

ნანო ებლა დედას მოხვია. ტირილი კი შეანელა.

— თქვი შვილო რა გეტკინა? კარში ხომ არაფერმა შეგაშინა წელანა?

გოის ჩიბუხი ხელში გაჰშეშებია და შეშოთებით მისჩერებია თავის
გოგოს.

— უეჭველად რამე არის მაგი თავსა, თორე ეგრე როდის იცის...

ნანო თითქოს დამშვიდდა.

— არაფერიც არ არის მამა...

-- მა თუ არაფერია, გულს რაღაზე იხეთქავ შე საძაგელო?

— ეს ისე... რაღაცამ მომიარა... ეხლავე გაივლის ყველაფერი.

ნანო კარში ვავიდა. უკან მისდევს გამოცდილი თვალი, გულში უნდა გული არ უჯერის, რომ იმის თავს არაფერია.

სალომესაც ვერაფერი გაუგია.

— ნეტა რა მოუვიდა ამ გოგოსა? უწინამც დღე დაღვევია სალომეს, ვიდრე ნანოს დაემართებოდეს რამე!

გოი აღგვა. ისიც კარში მიდის. თან ვერ გადაუწყვეტია:

— თუ ვინმემ აწყენინა რამე... მაგრამ არა, აქ უფრო სხვა რაღაც უნდა იყვეს... მხოლოდ რა?

გადავიდა ვახშობა. ნანო არსადა სჩანს.

გადავიდა შუალამე. კიდევ არსადა სჩანს.

მამლიყვილიც დადგა. მაინც არა სჩანს.

ჯავრით წელმოწყვეტილი სალომე და გოი ლამის შეათედ მიდიან ყოველ მეზობელთან და ეკითხებიან ნანოს შესახებ. ყველგან ერთი და იგივე პასუხია:

— არ გვინახავს!

— არ ვიცით!

მეზობლებსაც ხელად შეუდგათ თავისებური ჩოჩქოლი. დაიწყა კორი, მითქმა-მოთქმა და ათასგვარი მოსაზრება.

უკვე გათენდა. სალომემ და გიომაც თეთრად გაათენეს მთელი ღამე, მაგრამ ნანოს კვალს მაინც ვერ იქნა—ვერსად მიაგნეს.

— გოი კაცო! გინდა გახარო რამე?

— ჰა, ეგები გოგოზე იცი რამე? სხვა რაღა უნდა მახარო...

— ჰო, ნანოი, მა!

სალომეც თითქოს გაჭირვებით მოფართხუნობს ნაცემი ყვაფივით.

— ოი, ნათლი! ნეტავე თუ ჩემი გოგოსი უნდა მახარო რამე!

— კაი მაღარიჩი იქნება, კარგი?

— სულს აქეთ რაც გინდა მომკითხე, ოღონდ კი ჩემი გოგო კიდევ დამახება სალ-სალამითადა.

— მაღარიჩი, მაღარიჩი ნათლიდედ!

გიოს თითქოს დაჰკარგვია აქნობამდის განუყრელი დარბაისლობა და მოუთმენლად ეკითხება, უფრო კი ემუდარება:

— მითხარი ლექსო! ნულარ დამლიე კაცი! ისედაც...

— კარგათ არი, კარგათა თქვენი გოგოი!

— თუ კარგად არი, სად არი—ერთი დამანახვეთ თვალითა!

— ხო გვეუბნებით, ნულარა ჯავრობთ, კარგათ არი შეთქი!

სალომემ მღელვარებით ლამის შეათედ გაიხსნას და შეიკრას თავშალი.

— მერე სად არი კაცო, სადა, თუ კარგათ არი?

— სად არი და... თქვენ სიძესთანა.

ან სალომეს და ან გიოს ეს რა ესმის? ლექსო კი უმეორებს დაბეჯითებით:



საქართველოს
მწერთა კავშირი

- სიძესთან არი მეთქი ხალხო, ვერ გაიგეთ!
- ვინ სიძესთან კაცო?
- მა! სანდალი ეხლა თქვენი სიძეა.
- მოხუცი ცოლ-ქმარი თითქოს საშინელ კორიანტელში მოხუდენო. მხოლოდ უკვირთ ფეხზე როგორა დგანან კიდევ.
- ჯერ რომ დავეკალი და მერე წასულიყო ი კურკას ბიქთანა, არ მერჩია.
- რათა კაცო! რა დასაწუნი ბიქი ის არი!
- სალომე თითქოს ეხლა გამოერკვა:
- ვაი ჩემ თვალებსა! სულ დამლუბია და დამწენლებია ოჯახი!
- რამ დავლუბათ ხალხო? მადლობის მავიერა თქვენ საწყენადაც დაგრჩათ ეგეთი კაი ამბავი?
- როგორა? ჩემი, გოგოი — კურკას ბიქის ხასათა?
- რაღა დროს ხასობაა კაცო! ვერ გაიგეთ, ეხლა ვინც ვისთან ცხოვრობს, ცოლიც ის არის და ქმარიცა.
- აჰ, არა ლექსო! მავნაირი ამზის სამახარობლოს ვერ მოგცემ!
- ამ უღმერთოს უყურე, ამასა! სოფლის თვალი ბიქი სიძეთ უბდება და ეს კი უარზეც არის.
- ✓ გიო უშწევით მიეყუდა კიშკარს და
- ეჰ, დამილუბა ოჯახი ი ქიანმა გოგომ და მომილო ბოლო!

არც ნანოს მოუსვენია მთელ ღამეს. მარტოთ იწეა ტახტზე ტანთ-გაუბდელათ. რაღაცა უძლეველმა კორიანტელმა მოსწყვიტა იგი თანშეზრდილ კერას და ახალიც ჯერ ვერ შეუთვისებია. მაინც მის სიცოცხლეში ეს ხომ უდიდესი მოვლენაა. თითქოს ერთბაშად აუფეთქდა ფსკერი მისი ცხოვრების ზღვას და რა გასაკვირია, რომ ერთ ღამეს ვერ დაწყენარებულა იგი!

ნანო კიდევ დიდხანს იქნებოდა დედმამის ოჯახში, მაგრამ...

ღიაღ, ნამდვილ მიწისძვრას წარმოადგენდა მისთვის, რა პირველად იგრძნო თავის არსებაში მეორე არსებაც. უკვე აღარ შეიძლებოდა სახლში დადგომა, და სანდალაც ხომ ყოველ დღე ებეჭებოდა... აჰა, ეხლა ხომ გადასწყედა საბოლოოდ მისი ბედობალი.

ეს კარგია, რომ თავის გულის მურაზთან შეაერთა თავის ცხოვრება. მაგრამ დედმამა? რასაკვირველია ბოლოს შეურვიდებიან. მხოლოდ რამდენ ხანს გასტანს ეს ლოდინი?

აგერ ლექსოც მოვიდა. მოუტანა ამბავი სახლისა. ნანო ცოტა დამწვიდა — რა დედმამაც წარმოიდგინა დამწვიდებულად.

მაგრამ გიო და სალომე მართლა არიან დამწვიდებულნი?

- არა! უნდა გამქელოს უმკველათა ამ დროებამა, ჰა!
- რას ვიფიქრებდი თუ ჩემი გოგო ამას ჩაიდენდა!
- ეგა თქვი და! ჩემი შვილი — კურკას ბიქის ხასათა? დაე ყველამ რაც უნდა მიყოს, მაგრამ თვით ჩემი შვილი რათა მწიხლავს ქვეყნის სასიეროთა!

რასაკვირველია, ეხლა შეუძლიან დაიკვივნოს—გიოს ქალი ხასად წამოვიყვანო! რალათა ვარ ცოცხალი ქვეყანაზე!

— ხასა კი რაით იქნება! ეხლანდელი ჯვრისწერა სულ ეგეთივეა, რა განსხვავებაა რა? გადახედეს, გადმოხედეს! გამარჯობა, ვაჭინარჯოს! ჩაჭიდეს ხელი ერთმანეთსა და მორჩა! ეხლანდელი ხალხისა ნიშნობაც ეს არის და ჯვრისწერაცა.

— ნანოსაგან? როგორ წარმოვიდგენდი, რომ ვერე გამომჭრიდა ყელს.

— რაც მოხდა, მოხდა ჩემო კაცო. ეხლა კი ყველაფერს ეჯობინება შევირიგოთ. „აეია თუ კარგიაო, ქალო შენი ქმარიო“.

— შევირიგოვო? ჰმ! აღვილი საქმეა განა? ქვეყანა გადაატრიალეს, ღმერთი და ხატი მოსპეს, აღამიანობა და პატროსნობა ფეხქვეშ გასთელეს. ოჯახი მეგონა ხელშეუხებელი— ესეც ვამიოხრეს და ეხლა შევერიგდე კიდევაცა ქვეყნის და ხალხის ამამტუტებელს?

— შე კაცო! ი ერთი გოგოლა დაგვრჩენია და იმასაც ხო არ გამოვწიამთ ჩვენგანა!

— იმან რო ძალღათ არ ჩამავლო ამხნის კაცი! მთელ სოფელში მომჭრა თავი სამუღამოთა!

— იმ, ნეტავი ერთი შენცა გააზვიადებ? მარტო ჩვენ თავს ხო არ არი ეგეთი საქმეი! ქვეყანა ვერე ირჯება და ჯანდაბას—რაც მოხდა, მოხდა.

— ვამბობდი ვეტი არა მყავს მეთქი, მაგრამ თავს ვინუგუშებდი: ვაეის მაგიერადაც და ქალის მაგიერადაც ჩემ გოგოს ისეთ ქორწილს გზდაუხდი, რომ შეორედ გაჯეულებას მოვესწრო მეთქი და აი, „მოვესწარი“ კიდევაცა!

აქ გიოს უკანიდან უცებ შემოებვია ქალის ორი მკლავი და სახეზეც მოსულანდელი საჩუქარივით სცვივა ზედიზედ გიჟური კოცნა.

— მამა! შენ გენაცვალე შენა! ჩემო კარგო მამა!

გიოს თითქოს უძრავია, მთელი ტანი კი უთრთის და გული უფრო მეტად.

— ხომ აღარ მიწყრები მამაჩემო, შენ გენაცვალე, ხომა?

გიოს თითქოს ზღვა მოაწეა საგულესთან მაინც. სღუმს.

— გაეცი კაცო ხმაი ე გოგოსა, არ გეტოდება?

გიოს შეირუა მაგრამ სად მოიპოვოს ძალღონე, რომ ხელი ჰკრას შესარიგებლად მოსულ თავის ერთადერთ გოგონას?

— იმანა, იმან არ შემოდგას ფეხი ჩემ ოჯახში—სანამ ცოცხალი ვარ!

— მამა გენაცვალე, თუ კი არ გესიამოვნება, არ მოვა, რა ვუყოთ!

საღომეს უკვე სულ დაავიწყდა ყოველივე წყენა და რალაც სასოებით მისჩერებია თავის გოგონას.

— წამოდი ჩემო გოგო სახლში, წამოდი! რამდენი ხანია ჩვენ ჰერს აღარ გაუგია შენი ხმა,

საღომე და ნამო შიდიან სახლისკენ. გიომ გააყოლა თვალი. მას აგონდება შემოდგომით გასაფრენად გამზადებული მერცხალი უკანასკნელად კიდევ რომ შემოფრინდება რამდერჯერმე თავის ბინაზე.

სალომე საგანგებოთ ელოლიაებდა ნანოს და აღარ იცის, როგორ გამო-
შატოს თავისი სიხარული.

— შეილო შენ დაგენაცვლოს დედაშენის თავი, როგორც ჩემს მამა-
გეკიდება ა...

— ძალიან კარგათ ვარ ჩემო დედიკო. თვალში რო ჩაუვარდე სანდალასა,
ხელს არ ამოისვამს—ისე მიფრთხილდება. რომ იცოდე დედიკო, რა კარგი რა-
მეა, თქვენ თვითონვე შეგხეწებოდით და შეირიგებდით.

— მე რა შეილო... ეს მამაშენის ახირებაა, თორე... ეხლა რაღა ეშვე-
ლება!

— ჰო და, მაშ დააჯერე რა არი მამაცა! დედა არ მომიცვლება, თვითონ
სანდალასა ისე უყვარხათ ორთავენი რომა...

— იპ! ბოლოს მამაშენიკ მოიტრიალებს გულსა მა რა იქნება!

— სად გავგონილა, კაცს ერთი სიძე ჰყავდეს და ისიკ მომდურებული?

— ერთი მითხარი შეილო—ჯვარი ხო მართლა დაიწერეთ?

— მა, რა ექნა! მეორე დღესვე მოვაწერეთ ხელი.

— ჰო ეგრე შეილო! ქვეყნი ყბად ასაღები ნურც შენ გახდები და ნურც
ჩვენ გაგვბდი.

— უბ! ნეტა იმ დღეს ველირსო რომა—სანდალა და მამაი ერთად ისხდენ
სუფრაზე

— მოესწრები შეილო, ნუ გეშინია! მა შენს მეტი ვილა გავგანინა—რომა
შენც სამუდამოდ მოგიმძულაროთ.

ნანო აბლად მოსული სტუმარივით ათვალეირებს ყველაფერს და თითქოს
ვერა ძლება აქაურობის სიყვარულობით. სალომეც გაუმაძღრის თვალთ მისჩე-
რება თავის გოგოს და ვერ გაუგია: მართლა ერთი კვირეა, რაც არ უნახავს
იგი, თუ მთელი ხუთი წელიწადია?

— ეხლა ქალო? ვგრე დედიშობილა რა წახვედი—არაფერი არა გკირდე-
ბა განა?

— თუ კი მომცემთ რამესა—ყურს უკან კი არ წავილებ!

— რატომაც არ მოგცემთ! მა ნაბოშარი ხომ არ ყოფილხარ! მე უკანას-
კნელ კაბას გავყიდი და შენ კი შეგმოსავ ერთი თავი რამით მაინცა.

— როგორც თქვენი სურვილი იქნება დედაჩემო! არც მე და არც სანდა-
ლა თქვენ მოდავეთ არ გამოვალთ.

— თვალეები კი დამიდგეს! სულს აქეთ თუ კი რამე გვაბადია, მა ვილას-
თვის გვინდა, თუ შენთვის არა! მამაშენსა მე მოვარჯულეებ შეილო, ნუ გეშინია!
ისა სიცოცხლეს არ დაზოგავს შენთვისა არამც თუ...

— მე დედა, არაფერიც არ მინდა თქვენი, ოლონდ კი მომდურავი ნუ
იქნებით.

— კარგი გენაცვალე, შენ გული დაიმშვიდე! წესზე და ლაზათზე გათხო-
ვილიყავი—ბარემ კარგი იყო, მავრამა ეხლა სხვა რაღა—დაგვრჩენია—სიამტკი-
ლობის მეტი!

— დედა, გენაცვალე! ოღონდ კი მამა დაიყოლიე როგორმე და სანდალასა მისვლა-მოსვლა ჰქონდეს აქა... ისე აბა რას ეგვანება...

— კარგი შეილო, კარგი!

ერკინული
გინგლირთისა

— ვისაც პატარა თვალი ადგია, თუ ასე უღპერთოდ აძრეს ტყავი, რალა დარჩება შეილოსანიასა!

— პირში ლუქმა უნდა გაგიწყოთო—გიო, კაცო, ვერ გაიგე!

— არი, შენ და შენი ღმერთი—მე სად შემოძლია თხუთმეტი თუმნის გადახდაი? რომელი ქოჩორა ბიჭები მე მყვანან რომა ასე ბარაქიანად დამაბეჭეს?

— რაეი, შენი სიძე ის არის და თუ შენც არ დაგზოვავს, მა სხვა ვილა უნდა დაინდოს!

— მე ვინა მკითხა შეილოსანიასა ან სიძეობაი და ან რძლობაი.

— ასეა თუ ისე, ე ყველაფერი კი სულ სანდალას ოინებია და...

— შენაო ვენახი გაქო! ორი ძროხა გყავსო! ღორი გყავსო და ქათამიო. მოვსპობ, ამი ჭითაბი კი დაიქცეს, მოვსპობ! თუ ამითი მართლა სახელმწიფო აშენდება, დაე მე დავიქცე, ჯანდაბას ჩემი თავი!

— მაგრამა სახელმწიფო კი აშენდება? ვინ არი მაგი თავდები!

— რაეი ეს ოხერი, მე ამ ქვეყნისა ველარა გამიგიარა. ვისაც ცოტაოდენი დოვლათი გაგვანია, ასე უღმერთოდა გვხდიან სულსა. ვისაც არაფერი აბადია და სწორედ იმათ უყრიან წინა ფეტიე მარცვალსა.

— ვი გამარჯულისა ამ დროებაში, თორე არაქნია ხალხს რა უშავთ. იმათა არც ბეგარაო, არც გადასახადიო. პირიქით! დახმარებასაც უწევენ იმათ და ჭონსაც კარგად უსვამენ თავზე. არა, კაცსა თავის თავისთვის რომ ვერ მოუვლია, ქვეყანას რალა უნდა არგოს? აი, აგერა მოდის არაქნიების ერთი უსტაბაში.

მართლაც გზის პირზე გამოჩნდა კოლექტიურ მურნეობის გამგე. ის მივრდა გულდაგულ გიოსთან და—

— უბ გიო! კარგია მოცლით შეგვხედი!

— რა ექნა! თქვე რო მოცლილი ხართ, სხვაც ევრე გგონიათ არა!

— პო კარგი! საყვედურებს თავი გაანებე და ერთი კიი საქმე გვიყაი!

— ნეტა ვიცოდე, რაში დაგჭირდათ ჩემნაირი „კულაკის“ თავი!

— იცი რა! შაქროს გააცოვა და სხვა კიი მთესავი კი არავინ არის ჩვენში. წანო გვიშეღე დღესა! ნუ მოგვაცდენ თუ კაცი ხარ!

— შოი თქვენი ბარაქა კი რა ვთქვა! თქვენმა მოსავალმა უნდა გააძლოს ქვეყანაი, რო უბრალო თესვაც კი არ გვხებრებათ!

— კარგათ გვიხდა, თორემა გლახათა ყველაც მოახერხებს.

— აი, შეილოსა! თავზე რო გვაჯდებით ყოველთვისა—ემავი იმედითა?

— კარგი ეხლა! მაგდენსაც ნუკი დაგვამენათებ თავსა! წამო ჩქარა! ხალხი გვიცდება იქა!

— წამოვიღე შეილოსანიასა, მეტი რა ჩარაა! რო არ წამოვიღე ერთი ცენახოთ ღმერთი გაგიწყრეთ და სულ ერთიან მოგიცდეთ მოსავალს მაშინ ხომე დამაბრალებთ თქვენ უღებურობასა.

მოვიდენ. ტრაქტორი ქმინავს, ოხრავს, რახუნობს.

გიომ ცოტა ხანს იქვის თვალით უცქირა მას. შემდეგ განივრათ გაშლილი ცილით ზომვა დაუწყო კვლის სიღრმეს.

— ასე აკირტნულ მიწაში უნდა მოვიდეს ქირანახული? სახნის-საკვეთი თუ საძირემდის არ ჩაწვდა, ისე რა მადლი აქვს!

— შენ თუ რამეს წუნი არ დასდე, ისე ხომ არ შეგიძლია გიო!

— აშნაირ მოხნულში აფსუსია შეილო თესლის ჩაბნევი, თორე ვნახეთ, რა ზოდაბუნებსაც დაიდგამთ!

— ჩვენ ამ მიწის გათავება გეჩქარება, თორემა თუ ორ ფრთაზე დავაყენებთ—კვალს გაავლებს იმისთანასა, რომ შენ რვაუღელა ხარ-კამეჩიან გუთანსაც გაუქირდება.

— მოიტა თესლი აქა, ის გირჩენია! ჯერამა ბუღლი არ გამოძრობია ამ თქვენ დეე-კაეიანსა, თორე ვაცდენას აბა მაშინ ნახავდით, აი!

გიომ ბარაქიანათ გაიგესო წინსაფარი და შეუღდა თესვას. ნაბიჯის მძლავრი გადადგმით, მარჯვენის განიერი მოქნევით ის თითონ ემსგავსებოდა იმ მიწის გულიდან ამოსულ გმირს, რომლის სიღრმეშიც ასე იმედიანათ აბნევედა თესლს—გასანოყიერებლად.

— შენა ე. უსტაბაშო!

— რაო, გიო?

თუ კი ეს ჰოდროგელა შოათრიეთ სახნავათა, სათესიც ხომ არის? ბარემ ისიც მოგეტანათ და ასე სულ განათლებულ ხალხათ იქცეოდით.

— დაგვაცადე ცოტა! შემრის ისიც გვექნება.

— ჰო! ამის მოხნულით რომ ზვინებს დააყენებთ და ვაგონობათ რომ კინახულს გაჰყიდით, რატომაც არა...

— შენა ყვაივით ნუ დაგვიხავი, გიო! აბა ნახავ თუ არ გავყიდით! მა სახელწიფო ტყუილა გეძღვეს სესხსა, თესლსა თუ სხვა რამესა! რაც ჩვენ სარჩოზე შედმეტი მოგვივა, მთლად სახელწიფოს უნდა გადავცეთ.

— თქვენი იმედით თუ დარჩა სახელწიფოთი, აშენდება ოჯახი.

— რათ ამბობ ეგრე გიო? შენა სულ გაბოროტება ღ სიძულვილი გალაპარაკებს ყველაფერი ახლის წინააღმდეგა, თორემა...

— რათა კაცო? მა, ამასა მოხნული ეთქმის. ამასა? რალა, ჩემი ხის გუთანით რომ წამოუწვება მოგვერდზე და ლამის ნახევარ ადლის სიღრმეზე ბღღენის მიწასა და რალი ესა!

— ძია გიო! ებლა ტრაქტორების დროა, ტრაქტორებისა! და შენ კი რაც უნდა კარგად გეჩვენებოდეს ხის გუთანი, იმან უკვე მოსკამა დრო. ეგებ შენც ძალიან კარგი კაცი ხარ, მაგრამ ამ დროებისთვის აღარ ვარგობარ და შენც შენ კი ძველ გუთანს გაჰყევი ალბათ. ჩვენ გლახები კი დაე დავრჩეთ ამ ტრაქტორით. ახალი ცხოვრების კანონი ასეთია, მორჩა და გათავდა!

— იცით რას გეტყვით ჩემი დრომოკმეული კუთხითა!

— აბა ერთი ისეთი რას გაშვებ, რაც აქამდის არ გეთქვას?

— აი შეილო! თქვენ ხო ქვეყნის საქმეზე არავინ ვაწუხებთ? სანდოა თქვენ გეზმარებათ: ჰაი სესხიო! ჰაი, თესლიო! ჰაი, ტრაქტორიო! და სხვა ათასგვარი წაქეზება. მიუხედავად ამისა, თქვენ გგონიათ მაინც მოეწყვიტო რამესა?

— შენა ძალიან ირიბათ უცქერი ჩვენ მუშაობასა ვიო, მაგრამა ნახავ, თუ არაფერს არ მოგეწყვიტო.

— თქვენ რომა მომუშავე და წაღმართიანი ხალხი იყვით, აქამდისიც გექნებოდით რამეი გლეხკაცის კვალობაზე. და თუ აქამდის მშვიდობი ყოფილხართ, ეხლა ვერც სახემწიფო გაგაძლობთ თქვენა.

— თუ ერთ წელიწადში ფეხზე ვერ დაედგებით და მაშინ მართლა არამი ყოფილა ჩვენზე ყველაფერი ამაგი!

გიომ ურწმუნად ამოიხენენა და უფრო უხედა გაშალა თესლი შავით დაფშენილ მიწის გულმკერდში. თან თავისთვის ლაპარაკობს. ან შეიძლება ელაპარაკება მიწას, მხოლოდ კაცს არა.

— მამა! შეურიგდი, რა არი სანდალასა! სიძე არ არი კაცო? გადამთიელი ხომ არ არი?

— დაიწერეთ ჯვარი და მაშინ იქნება ჩემი სიძეი.

— ჯვარნაწერი ვართ მამა, ჯვარნაწერი! რა ჯიუტი ხარ, ღმერთო ჩემო! ხომ ვაიგეთ, რომ უკვე მოვაწერეთ ხელი.

— ხელი მოაწერეთ—ვითომ სვეტიცხოველში ან სიონში დაგიწერიათ ჯვარი.

— ახლა მარტო შენი ქალისთვის ხომ არ შეატრიალებენ უკუღმა მთელი ქვეყნის წესწყობილებასა!

— არ შეატრიალებენ და არ მინდა კაცო! თქვენ ხო ცხოვრობთ? ხო ცოლ-ქმარს ზღაბით თქვენ თავსა? ხომ გადაიარეთ ჩემ გულზე და არაფერში არ მებოვებით? მამ გასწით იტლინკეთ ცხოვრებაში, ჩემსკენ რაღას იყურებით?

— კაცო, შენი ახირების გულისთვისა მამაშვილობა ხომ არ უნდა მოვშალო? ამოდენა ქვეყანასა მართლა ოთხი-ხუთი მოხუცი ხომ არ შეებრძოლებით? ქვეყანა ვერც თხოვდება და მე რაღა წითელი კოჭი ვარ, რომ ყველასაგან გამოვჩე?

— ჩემი სიძე მაშინ იქნება, როცა ჯვარს დაიწერო. თუ მებოვებით და კაცთა მთელით, ვერცა ჩემი გუნება. თუ არაფრათ მავდებთ და ხომ მიაქენებთ თქვენსასა, სხვა რაღა გინდათ?

— მა ასე უნდა გავიკლიჯო ორათა? მე აღამიანი არა ვარ? ცოდო არა ვარ?

— შენ ვინ რას გეუბნება! განა ჩემი ოჯახის კარი შენ დახურული დაგიხედა როდისმე და არავინ გაგილო?

— თუ კი ვინც მე ძვირად მიღირს ერთად ვერასდროს ვერა ენახავ თავშეყრილსა, ეს რაღა ცხოვრებაა? ლამის კი წამშხამდეს ყველაფერი: გათხოვებაცა და ჩემი ქვეყანაში გარეცაცა.

— თუ რამე მახადია ამ ცხოვრებაში, განა ვის ეკუთვნის, თუ შენ არა, მაგრამ მე ჩემ ოჯახში ისეთს ვერავის შემოვშვებ, ვისაც არც ოჯახი სწამს და არც ადამიანობა.

— ეჰ! აგინირებია მამაჩემო და ნიადაგ ერთ და იმავეს იმეორებ.

— ჩემი ნება ესეა, თუ შეკითხვის, და თუ არ შეკითხვის, ძალითა ბევრ რამეს გვახვევს ეხლანდელი ხალხი თავზე და ბარემ სულიც ამოვგზადეთ.

— რა გაუტეხავი ხარ მამა! შე რო ახალგაზრდებში რეულიყავი ეგეთი ფოლადისებური ხასიათითა, პირველი მებრძოლი იქნებოდი ალბათ.

— მე რაცა ვარ, დაე სულიც ასე ამოშდეს. თუ სტყუოდა მამაჩემი, პაპა-ჩემი, პაპის პაპა, დაე შეცა ვსტყუოდე! მაგრამ იმათ გზაკვალსა და იმათ ანდერძს კი ვერ გადაუხვევ. მე ეხლა უშარველო კომკონოლა ხომ არა ვარ, რომ ასკიუტყა ვითამაშო ცხოვრებაში. აქამდის არა ვყოფილვარ ქვეყნის დისაციონი და ამასიქით როგორ გავხდე?

— ეხ, მამა! აგეთი ახირებითა მხოლოდ მე მომიდნობთ და სხვა სიყეთე კი არაფერი იქნება.

— შენა ი შენ კაი ქმარსა მადლობა გადაუხადე რომა თხუთმეტი თუმანი შემომამწერა. ჩემი უკვდავება ძროხა და ნოზვერი რომ ხვალ გასაყიდათ უნდა წაეიყუანო—ეს არის გლეხკაცის პატრონობა და ჭომაგი?

— რა ვუყოთ! მარტო შენ თავს ხომ არ არის ეს აშბავი?

— შენა! შე რო ბიჭი ყოფილიყავი, ალბათ სანდალას ფეხი იქნებოდი.

— ეხლაც კარგა დაუშვებნებ მხარსა, როცა საჭირო იქნება.

— ვატყოფ, ვატყოფ.

— აი დასწყველა ღმერთმა! ერთი ჭირი ვერ მოუწელებია კაცსა და ზედ მიყოლებით მეორე შეხედება. არა! ეს ჭიანი ხინხილას ბიჭი გამიხდა ეხლა თავში საცემი: კაცო, აქაოდა შენა ე რალაც უდღეური მოჯამაგირე გყავსო—ქუ-ლაკი ხარო, და ლამის უცეცხლოდ შეგწვან და შეგვამონ. ამ ხალხმა ვერ გაიგო რომა, მე მოჯამაგირე ჩემი დალხინებით კი არა მყავს, არმედ ჩემი გაჭირებითა. ჰაი, ეს ამდენი და ამდენი უნდა მისცე! ჰაი, ეს დაზღვევისა უნდა გადაიხადოვო! ჰაი, ამდენი და ამდენი საათი უნდა იმუშაოს! არა, სად ვაგონილა რომა, გლეხკაცმა საათობით იმუშაოს, ჩენი საათი მზის ამოსულა და მზის ჩასულაა. როგორა კაცო! მარტობელა კაცმა მწყემსი აღარ დავიქარაო მამა!

— თუ კი ვგრე ვაგვიჭირებენ საქმესა, ავდგეთ და დავითხოვოთ.

— დავითხოვ მა! ბრალი იმისი რომა—თუ არსად არ დადგა მოჯამაგირეთა, ისე ლუკმა პურს ვერ სესქამს, თორემა მე როგორც იქნება, წავალ ძალღმანდურათ იოლად.

— რაეი, ბატონობა მოისპოვო და ლამის ბატონათა მოჯამაგირე დავიყენონ ეხლა?

— ეჰ, სულერთიან კი გადარიეს ეს ხალხი და! ისინი მაინც არაფერში გამოდგებიან და სხვის ცხოვრებასაც უკარგავენ ბარაქსა. აგერა მომბრძანდება ისიცა.

ეზოში შემოვიდა თხუთმეტიოდე წლის შეღერებული ბიჭი.

— შენა ილა! საქონელს ჩვენებიანთ ბიჭებს გაეფურკავ და შენ კი ურემი გაამზადე სატყეოთა.

ილა თავს იჩიჩავს. აღბათ არ ეტაშნიკა გიოს სიტყვებთს.

— რა უგემწოად იჩიჩავ თავსა? ქუეში არ გიჯდება ჭანაში.

— მე მწყემსობაზე ვარ გარიგებულნი, ტყეში სიარულზე ხო არა.

— რაიო? რას ამბობო?

— რას უნდა ვამბობდე! უჯრედში ვგრე მითხრეს. რაზეცა ხარ დაქირა-
ვებული მარტო იმაზე უნდა იმუშაოვო,

— რა უჯრებიო, რის უჯრებიო?

— აი, ჩვენი ის სადაც არი...

გიო ჩაფიქრდა. თან სალომეს გადაჰხედა თითქოს შევლის სათხოვნელათო, მაგრამ თვითან სალომე გიოზე უფრო უმწყეთა გრძნობს თავს.

— ისინი რო გასულელებენ, მერე შე რალათა სულელდები შეილო?

გიოს თითქოს კიდევ არ სჯერა ნათქვამი.

— მართლა არ წახვალ ბიჭო ტყეში?

— არა კაცო! მე ხო მარტო მწყემსი უნდა ვიყვე.

გიომ ლამის უღვაშები დაიკნინტოს სიბრახით.

მა ტყეში წასასვლელად უნდა სხვა მოჯამაგირე დაევიქრო, შეშის დასა-
პობად—სხვაი, წისქვილში წასასვლელად—სხვაი. რამდენიც თავი საქშეა—მაშ
იმდენი მოჯამაგირეც უნდა მყავდეს რალა. მითომა მე აქა ერთი დანგრეული
ოჯახის მაგიერა მთელი ქარხანა მქონია რალა!

— მე კი მარტო მწყემსი უნდა ვიყვე და სხვისა კი რა მოგახსენო!

— კარგი შეილო, კარგი! მაშ წადი შენ სახლშია და იქ იყავი მარტო
მწყემსადა. ჩემ თავს კი ისევ მე მოუელი—როგორც იქნება.

ილამ თითქოს წარბიც არ შეიხარა.

— წასულაი რა! ვანა ვგრე ადვილი არი!

— მა რა გინდა შეილო? წილს ხომ არ ვაგატან?

— ეი! აბა სულ ცარიელი წავალ მაშა?

გიოს ჰგონია ხუმრობსო, თუმცა სახუმროს არაფერს ჰედავს.

— აბა ჩემო ილა, ვაეი შეილი არა მყოლია და მა შენა ყოფილხარ ჩემი
მოწილელი! აბა ერთი მითხარი რამდენი გერგება?

— ემაგასა „იქ“ იანგარიშებენ.

— რაო? იქ იანგარიშებენო? ჩვენ შორიგებაში როდის ერინენ ისინი, რომ
ეხლა იმათ გავასწორებინო ანგარიში?

— ვგრე კია და შე რაც გინდა ისა თქვი.

გიო დაურუღებულღვით არის. აღარ იცის—რა სთქვას? რა იფიქროს? რო-
გორ შოიქცეს?

— ეხ! მე დაჩემმა ღმერთმა თავმომწონე კაცისათვის აღარა ღირს ცხოვ-
რება ამ ქვეყანაზე. შეილოსანიასა თავადები აღარა გყავთ, ბურჯლებიც აღარა
გყავთ და ეხლა მე მებრძვით იმათ მაგიერა? ერთ ლუკმა პურს რო ძლავსა
ესქამ—ეს გეხარბებათ? ჯანდაბას თქვენი თავი, წაიღეთ! მაგრამა ჩემზე მდი-
დრებს წაართვით, იმითი ვერ ვამეხით და ჩემი ნაწვამ-ნაღავით გაძლებით!

მაგრამ ილა სრულიადაც არ არის დათმობის გუნებაზე.

— მე თუ მამცემენ, ჩემი შრომისას მამცემენ, შენსას ხო არა!
გიო მიუბრუნდა გამოსტერებულ სალომეს.

— აღამიანო! გესმის რას ამბობს?

— ოი! რატო შავათა და ბნელათ არ იქცა ის დღეი, როცა ჩვენ მოჯამაგირე ავიყვანეთ.

გიო თავის კანტურით გაიძახის ისევ:

— არა! თავმომწონე კაცისთვის აღარა ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე.

გზის სიშორიდან მოისმის რიხიანი სიმღერა. ხმა თანდათან ახლოვდება და იქცევა ძლევაბოსილ გუგუნად. ეს კოლექტივის წევრები არიან, სამუშაოდ მიეშურებიან. ჩამოუარეს გიოს, სალაში მისცეს და განაგრძეს თავიანთი ვზა—სიმღერასთან ერთად.

გიომ კი ნაღვლიანად გააყულა თვალი და —

— იმღერეთ შეილო, იმღერეთ და მე კი არა მკითხავთ, რომ ტირილიც კი აღარ მეხერხება სულ გამწარებულსა.

ძლივას ვადილო თავსხმა წკიმა. მეურმეები აიყარენ და შეშით დატვირთული ურმებიც მძიმეთ გაუდგენ სოფლის გზას.

მეთაურად გიო მიუძღვის. მოხუც კაცს ესახელება, რომ მისი ხარები ყველაზე ფიცხათ და მსუბუქად მოაქანებენ რცხილის შეშით მძიმეთ დატვირთულ ურმს.

თვითან გიო გვერდში მოსდევს ფეხდაფეხ. აბოლებს ჩიბუხს და თან აყოლებს თავის ფიჭრების აშლილ ზეინებს:

მართლაც ამ ცხოვრების ანვარიში ვის შეუძლია გასწიოს სწორე?

დღევანდელი დღის მოულოდნელობით გუშინდელი დაგვიწყებია. ზვალინდელი კი დღევანდელს დაგავიწყებს სულ ერთიანად. რაც დღე გათენდება—უარესს უნდა ელოდეს კაცი. თვითონ გიო, ვისაკვირია, რალას ელის ამ ქვეყანაზე? ოჯახი თანდათან უკან მიდის. ერთი გოგო ჰყავდა—ისიც გადაიბირეს. გარჯილობა უყვარდა—ამასაც ეკარგება ფასი: ცხრანაირ ვადასახადითა და ბეგარით ღამის სული ამოხდეს. ღმერთი აღარა სწამს ხალხსა, სინიღისი და პატრონება. უფრო-უმტროსობაზე ხომ ხსენებაც აღარ არის. წინედ სოფელში იმას კაცს უძახდენ, ეზლა კი ჩალის ფასადაც აღარა ღირს. ესლა კურკას ბიჭი სანდალა ისე ათამაშებს იმას, როგორც კატა თავგსა: თუნდა შესწვამს, თუნდა შეხრაკავს. თუნდა გაუწყობს პირში ლუკმას, თუნდა არა. ერთი სიტყვით—სიკვდილ-სიცოცხლით იმის ხელშია. სანდალა თავის თავად ძალიანაც ადვილი მოსანელებელია, მაგრამ ცეცხლი ის არის, რომ იმის უკან მთელი ძალი დგას, მთელი კანონი და სახელმწიფო.

არა! გიოს სანუკეგმებელი აღარაფერი აქვს ამ დროებაში. მაგრამ ძველი დროებაც რომ აღარ დაბრუნდება. ამას გრძნობს, კარგათა გრძნობს თვითან გიო და ყველაზე დიდი უბედურებაც სწორედ ევ არის. არა! გიოს რამდენჯერ

უთქვამს, რომ თავმომწონე კაცისთვის აღარა ღარა ცხოვრება ამ ქვეყანაზე, მაგრამ კიაც კი სკდილობს სიკოცხლეს და აღამიანი როგორ არ ეცადოს!

ჭრიალითა და ზღაზენით ურმები უკვე მიუახლოვდნენ სოფელს. მაგრამ ემდინარეს რა დამართია! მოულოდნელი ნიაღვრებისაგან ერხნაშად მოტრდებულა იგი და ეხლა თითქოს მთელი არემარე მოაქვს თანაო—ისე მოლელავს. ხიდზე თავი მოუყრიათ სოფლის ახალგაზრდობას და ხარბი ცნობის მოყვარეობით მისჩერებიან მოზღვავებულ მდინარეს.

— გასწი გიო, რალას გაჩერდი!

— თქვენ წადით. არ იცით, რომ მე მაგ ხიდზე გამომსვლელი არა ვარ!

— ეჰ, ნეტაი შენა კაცო!

მეურნეებმა აუხვიეს გვერდი გიოს და გასწიეს ხიდზე. ყველანი გავიდნენ მშვიდობით და გაუხვიეს თავთავიანთ სახლისკენ.

— გიო, რას ფიქრობ? რატომ არ გამოდიხარ ხიდზე?

— მე რო დავიფიცე, ეხლანდელი ჯეულა ხომ არა ვარ, მე თუთან დავახურდაო ჩემივე სიტყვა!

— მა სად წახვალ! მეტი რა ჩარა გაქვს, ძია გიო!

— ღამეს ხომ მანდ არ გაათევე?

— გაჭირვების დროს ფიცს ვილა დასდევს ძია გიო! გამო ერთი, ნეტაი შენა!

გიო კი დინჯათ უსვამს თავის ხარებს ზურგზე ხელს და ურეშავს ათვალეირებს, ყველაფერი რიგზე არის თუ არა. თან—

— მე არც თქვენ ხიდზე გამოვალ და არც აქ დავარჩები ღამისათეველ.

— აბა მა რას იზამ, ძია გიო?

— რასაც ვიზამ, იგერ თქვენი თვალეები დაინახავს.

გიომ პირჯვარი გადაიწერა, ღმერთი ახსენა და მარჯვეთ მოაჯდა ურმითავს.

— ოხრათ არ დავარჩენ მამინ ჩემ ხარებსა, ამ წყალშიაც რომ არ გამიყვანონ!

და თავისი ბედაურები იმედინათ შერეკა თავაწყვეტილ მდინარეში. ხიდზე გაჩერებული ახალგაზრდები გაოცებით მისჩერებიან.

— გიო! რას სჩადიხარ შე უღმერთო! კიდევ ხო ფონი არა გგონია მანდა?

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ! გიომ კარგათ იცის, სად არის ფონი და სად მორევი! (და მოხუცი გიო მარჯვეთ აქეზებს ფერდებამდის წყალში ჩაფლულ თავის ხარებს).

— გასწით გენაცვა! აბა კოტა! აბა თაფლა!

ონავარი მდინარე კი უფრო და უფრო ეძალეა ხარებსაც, ურემსაც.

უკვე ზეწრებამდის ავიდა წყალი. ერთი ორი ნაბიჯიც და ურემი სულ ატოვტივდა.

უეცრივ გაისმა საზარელი კენესის მსგავსი ღაწუნი. ურემი შეტრიალდა უკულმა და გაპყა მდინარის ამღვრულ სიღრმეს.

ულელდამტკრეული ხარები ცალ-ცალად მისცურავენ გაკირვებით ნაპირსაკენ.
მაგრამ გიო?

გიოს თავის ურემზე სწრაფად მიაქანებს ონავარი მდინარეე მტყუნები ამო-
ტივტივდება წუთიერად, ხან თავი, ხან ფარავის კალთა. გიგანური

— არიქა ხალხო! უშველეთ ჩქარა!

— გიო იღრჩობა, უშველეთ ჩქარა!

— ხალხო! კაცი იღრჩობა!

მთელი ახალგაზრდობა მისდევს ნაპირ-ნაპირ და შეშფოთებით ეღებთან
ლობე-ყორეს შეგლის საოვენელად.

— ხალხო! თოკი ჩქარა!

— თოკი რას უშველის! ცურაობა ვინ იცის, ჩქარა!

აჰა, ერთმა ყმაწვილმა თვალის დახამხამებაში გაიძრო მახარა, შარვალ-ხა-
ლათი და მარჯვეთ შესცურა უფრო დამშვიდებულ დენაში, სადაც რამდენჯერმე
კიდევ გამოჩნდა გიო.

მკირეხნის თავგამეტებული შებრძოლების შემდეგ მოცურავე მისწედა
გიოს და ძაღოვანათ მიეწევა ნაპირისაკენ.

იქავე მდგომი ხალხი ალტაცებით აქეზებს მოცურავეს.

— ყოჩაღ სანდალა!

— არიქა სანდალა!

— ვაშა შენ ბიჭობისა!

აჰა, ბოლოს სანდალამ გამოათრია ნაპირზე გიოს უსულო გეამი და მძი-
მეტ ამოიოხრა: დალაღით? დარღით? თუ ორთავეთი?

— ეჰ! თუ ცოცხალს არა, მკვლარს ხომ ვუშველე! ამითი მიინც მოვიხადე
ვალი ამ მოხუცის წინაშე!

აგერ წყალმა ცალი ხარიც ჩაატარა სასტიკ ბრძოლაში დამარცხებული.
მეორემ კი დიდის ვაგლახით გამოსცურა ნაპირზე. შეჩერდა საცოდავად და ცოტა
ხნის შენდევ ერთი შებღიჯა გულშემზარავად.

ნეტავ რისთვის დიბღაველა ასე სახარლად.

ნუ თუ იმან უკვე იგრძნო პატრონისა და ტოლის დაღუბვა?

ბეჟანა ღაბრუნაძე*)

ბეჟანამ გადასწყვიტა იმ ღამეს მანამ არ დაეძინა, სანამ ამ საიდუმლო განზრახვის კვანძს არ გახსნიდა, ან რამდენიმედ მაინც სინათლეს არ მოჰფენდა საქმის ვითარებას.

რამდენადაც კი შეიძლებოდა ისე, რომ რაიმე უხერხული მოქმედებით თავისი თავი არ გაეცა, ბეჟანა უკან აედევნა აჩრდილებს.

ორლობებში შესული ჩრდილები დაუყვენ ღუქებისაკენ და ბეჟანამაც უფრო სწორი საცალფეხო გზით გოგია ხარაზის საჯლანესაკენ მიმართა გეზი.

დანიშნულს ადგილს ბეჟანა უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ბოროტ-გამზრახველები და იმ დროს, როცა გოგია ხარაზის საჯლანეს კარმა უკანასკნელად გაიჭრია ღამის სიერცეში, ბეჟანა ყურით უკვე საჯლანეს კედელს იყო მიმკედარი.

საკუთარი გულის დაგა-ღუფი ისეთ ხმა-მაღალ გრუხუნად ეჭვენებოდა ყურადღებათ კტეულ ბეჟანას, რომ საბუთიანი შიში აღეძრა: არ შემიტყონ აქ ყოფნა საჯლანეში შეხიზნულებმაო!..

მარცხენა ძუძუს ხელით ბლუჯვა დაუწყო, რათა მკერდი შეევიწროებინა და შიგ გულის დაგა-ღუფი ამით ოდნავ მაინც შეეჩუბებინა.

უტკრად გამეფებული სიჩუმე მაქიმედ „ყადმა“ დააჩრდილა.

— ... რაც შეეხება მაგ ბრიყვ ბეჟანას, თუ არ ჩამოსთხოვია იქ შეუკა-შუკა სიარულს და ორლობებში დაოჩნებულ ვირივით დგომას, მაგასაც უკან მივყავოლებთ თავის წინამძღვრებს. მაგას ისიც ეყოფა, რომ, მარკოზასთან ერთად, არ ეუბნენ პირი მისი გადასულისაკენ.

გაუწყრა ღმერთი, რომ მაშინ არ ეიცოდი, თუ მაგიც ეკურკურებოდა იმ გოგოს, თორემ!..

— ეხლა რა იცი ვითომ, რომ ეკურკურება?!.

გაწყვეტინა სიტყვა გოგია ხარაზმა, რომელსაც, ბებრეკიძის ოჯახის გარშემო დატრიალებულ ამდენ ამბის შემდეგ, უკვე თვითონაც ეძვროდა ცხოველი ინტერესი ახალგაზრდა ქალისადმი.

ამ რიგათ ეიფოს ირგვლივ თავს იყრიდა ერთნაირი ინტერესთა თამაში.

ბეჟანას იგი გულწრფელად უყვარდა და ვერავეთარი ძალი მას ეიფოს ვერ დააშორებდა.

გოგია ხარაზს იმის შემდეგ აღეძრა ინტერესი ქალისადმი რაც იგი მაქიმედ „ყადის“ კომპანიის თითქმის უნებური მოწამე და მონაწილე შეიქნა. ხოლო მაქიმედ „ყადს“ ეიფო რძლათ უნდოდა, თავისი „უფროსი“ ვაჟის — ტიმოთას საცოლეთ.

ნამდვილათ კი მაქიმედს ბებებერის ქონებაზე უფრო ეკვირა თვალი, ვიდრე ეიფოზე.

გოგია ხარაზის შეკითხვაზე მაქიმედ „ყადმა“, პირდაპირი პასუხის ნაცვლად, მიკიბე-მოკიბვით მოყვა:

— რა ვიცი, რა... სულ იმ შუკაში კი ვხედავ და... „ყურძნის სიყვარულით ლობეს კოცნიდნო“, ისე თუა, ალბათ, მისი საქმე... თუ ქალს არ უტრიალებს, რა უნდა ამ ხნის ყაძახს, სულ იმ შუკაში რომ ბრუნდეს? არა, რა მაგის საქმეა ოცი წლის აბილგაზრდა გოგო? რომ დაბერდა ყაძახი, ველარ ხედავს?!..

— ოჯო, არც იმდენი დიდი ხნის იქნება ბეჟანაი, მაქიმედ, შენ რომ საქმეს უშენლები!..

შენიშნა თავის მხრით სტეფანა „ხარაზმა“.

— იგერ კაი ოცდა თუთხმეტი წლის კი იქნება, თუ მეტის არა... ვამანადგურებელი გადაწყვეტილებით მოუჭრა მაქიმედ „ყადმა“.

— მაგი ამბები ჩვენ ახლა არ გვინტერესებს...

მოუჭრა მოსაუბრეთ უცნობმა, რომელიც ბეჟანამ მხოლოდ ხმით გაარჩია დანარჩენ მოსაუბრეებში.

უცნობს ხმა ბოხი ჰქონდა, მტკიცედ და მკვესავე გესლითა და სიმწვავეთსავეს.

— აბა, როდისათვის უნდა დაენიშნოთ ღრო ნამდვილათ?

წარმოსთქვა მან და ეტყობოდა, რომ ადგა, რადგან საჯლანის იატაკზე ფეხები ამოძრავდნენ, რის გამო, ფიცრებმა კრაქუნნი იწყეს.

— ჩემის აზრით, ახალ კვირა საღამოს!.. რალას ვაჭიანურებთ?..

ხმაში ცოტა შიშითა და ყოყმანით მიუგო მაქიმედ „ყადმა“.

— მაშ, კარგი! საღამოს ჩვენ აქ შევიკრიბებით... კარი ღია დამიხედეს...

მე მოვალ ასე ცხრა—ათ საათზე და თქვენც იმ დროისთვის მოიყარეთ აქ თავი. თვითონ „საქმეზე“ კი ყველა საჭირო არ იქნება, მგონი. მარტო მე და შენ წავალთ, მაქიმედ!.. იარალი ხომ გეჭენება?..

— ერთი დამტერეული რევოლვერი კი მაქ...

იყო მოკლე პასუხი...

— საკმარისია!..

წარმოსთქვა უცნობმა, საერთო გამომშვიდობებით, „საჯლანეს“ კარი გამოაღო, აჩქარებული ნაბიჯით გამოვიდა, გზიდან იქვე გადაუხვია და ლამის სიბნელეს მისცა თავი...

„საჯლანეში“ დარჩა მხოლოდ სამი: მაქიმედ „ყადი“, გოგია და სტეფანა „ხარაზები“.

— სამივე ერთად ნუ გავალთ...

დარიგებით მიმართა გოგია ხარაზმა ამხანაგებს.

— მე წავალ და თქვენ კი, როგორც გინდათ...

დაარღვია ამდენხანს საკუთარს ბაგეზე საცონადები სიჩუმე სტეფანა „ხარაზმა“, რომელსაც იქ მჯდომს, სულ ის უკვირდა, თუ რანაირად მოხვდა ის მაინც ასეთ საზოგადოებაში, ან რა მის ინტერესს შეადგენს მიუხედავად ბებრე-კიბეების მკვლელობა თუ მათი ქონების მაქიმედ „ყადის“ საჭარბოებო დარჩენა?!

კარის გამოკრიალებამ ანიშნა ბეეანას სტეფანასაგან „საჯლანეს“ მიტოვება. — რომ გახვიდე, ცოტა თვალი მიავლ-მოავლე იქით-აქეთ, უთხრა გოგია ხარაზმა მაქიმედს.
ამის გაგონებაზე ბეეანა ელვის უსწრაფესად მოსხლტა თავის სადარაჯოს და ლამის სიბნელეში მოჩვენებასავით შთაინთქა...

* * *

— მოიმარჯვე, მოიმარჯვე, თუ გული გერჩის!..
მოაძახა გოგია ხარაზის „საჯლანეს“ წინ დაყუდებულ მაქიმედ „ყადს“ სტეფანა „ხარაზმა“ და ახალბიძის ჯიბიდან წითელი კვერცი ამოაპრიალა.
მაქიმედმა ჯერ ხუმრობით ჯობი შეაგება, მაგრამ მალე თვალი შეასწრო დუქანში თაროზე გამწვრივებულ რამდენიმე უმ კვერცხს, რომელიც გოგია ხარაზს ახლო მებობლებიდან წვრილ-წვრილ სამუშაოში ხელფასის ანგარიშში ჰქონდა აღებული. დასწვდა ერთ მათგანს, დაშვიდა და სტეფანასთან სამტებლოთ განემზადა.

— გასწი, ადამიანო, დუქნის იატაკი არ გამისვაროთ აქნაი... ლაყე არ გამოდგეს კიდევ და აი აღდგომა სულ არ წამამწაროთ...
სკადა დაშლა მაქიმედისათვის გოგია ხარაზმა.
მაგრამ სტეფანამ კვერცი უკვე დაუკრა მაქიმედს.

— ბებიაშენი სხვას მოგცემს!..
ირონიულად დასკვივლა ამ სახელდახელო „სპორტში“ დამარცხებულ სტეფანა „ხარაზს“ მაქიმედ „ყადმა“, თავ-ჩაჩეჩილი კვერცი ხელიდან წაჰგლიჯა, უმი თავის ადგილზე დასდო, ხოლო გატეხილი სასწრაფოდ გაფცქვნა და მარილის უხსენებლად იქვე შესანსლა.
— ესაა წელს ჩემი აღდგომა სულ!..
წამოიძახა მან უღვაშების წმენდით.

— ტიმოთამ ერთი დამხრჩვალა ვოკი დაჰკლა ამ დილას, მაგრამ მისი გაკეთებული საქმელი კაცს ყელზე დაადგება...
სასოწარკვეთილებაში მყოფივით დაუმატა ნათქვამს ნალელიანი კლოთი მაქიმედ „ყადმა“.

ცოლი რამდენიმე წლის მკვდარი ყავდა მაქიმედს და ერთი მიზეზთაგანაც სწორედ ეს იყო, რომ უდღედაკაცო ოჯახს გულს ვეღარ უდებდა და, თუ სახლში რაიმე დიდი საუშუაო არა ჰქონდა, ერთივად სულ „დუქნებზე“ ყოფნაში ატარებდა დროს.

ორღობებში ბეიანა გამოჩნდა, რომელმაც, თავმოკრილი ხალხი რომ შენიშნა, საჯლანეს მოუახლოვდა და შორიდან უპრალო „გამარჯობით“ საერთო სალაში მოიტანა.

— ჭეშმარიტად აღსდგა!

მიუგო განგებ სტეფანა „ხარაზმა“, რომ ამით მოეგონებინა ბეიანასათვის დღევანდელი დღის განსაკუთრებული მნიშვნელობა და, მასსადამე, „გამარჯობით“ მისალმების შეუსაბამობაც.

ისე იდგა მამაშენი!..

უხუმრა თავის მხრით ბეიანანაც.

მაქიმედ „ყადმა“ გამომწვევი ირონიით გადახედა ბეიანას:

— თი აღდგომა და კაი დღეები რომ გამოიპუსტიაკეთ, რავე ფიქრობთ? ყველაფერი შეგჩებებათ ვითომ? აგი სოფელი მაინც დაგვანებეთ, ძმავ, და ჭალაქი, როგორც გინდათ, ისე მოგახმარათ ღმერთმა!..

მართლა, ამასწინად ქალაქს რომ ვიყავი, ლევანაიც ვნახე.

ვცხოვრობ და სული მდგიაო, იმან უნდა თქვას. დღეში ორჯერ-სამჯერ რომ ავტომობილი მოადგება სახლზე და... აბა, სასმელი და საჭმელი, რა და რანაირი გინდა, სულს და გულს!.. სალამოს ხომ უმკველად ყველა თრეატრში წაიჩქინდება... ერთი მეც კი წაპიყვანეს რაცხა ვოოპერააო, იმაში, „ბარისა გაბუნის“ წარმოდგენა იყო, მარა უკეთეს რას ნახავს კაცის თვალი, ან ყური რას გვიგონებს?!..

— როგორი იყო, მაქიმედ, აგვიწერე ერთი, თუ კაცი ხარ!

დაელრიჯა გოგია ხარაზი.

— რას ამბობ შენი?.. ვის შეუძლია იმის გადმოცემა?.. თი, ჩვენი ნიკოლოზ ხენმწიფე რომ იყო, იმის ბაბუაის ამბავი არისო თუ რაცხა... სულ სიმღერებშია გადმოცემული... რაფერ იმას ტახტი წაურთმევია თავისი სიძისთვის.. შერე იმისი ძმიაო, თუ ბიძიშვილიო, იმას რაფერ ჩამოუგდია თვითონ იგი ტახტიდან. ახლა იმის შვილს რაფერ დაუბრუნებია ისეე მამის ტახტი... შერე ისეე რაფერ წაურთმევიათ... ერთი სიტყვით, მთელი დაუსრულებელი ბრძოლა ნეფლობისათვის და ვაი ვაგლახი!..

— ასე ძნელია, ძამიავე, ნეფობა, აბა, არ იცოდნი?!..

შენიშნა რაღაც ნაღვლიანათ სტეფანა „ხარაზმა“, თითქოს ნანობს იმას, რომ მას არ არგუნა ბედმა შეფობაო.

— კაცო, შიაკითხე ერთი იმ შენს ძმა-კაცს, ამ სოფელს რომ აკლავ თავს აქანაი!..

ოსტატურად მოუქცია სიტყვა ბეიანას მაქიმედ „ყადმა“.

ბეიანამ მაშინვე მოიკრიბა გონება, სადაც მთელი გეგმა მოეხაზა ელვის უსწრაფესად და მოსწრებულად მიუგო „ყადს“:

— თი, აგერ ამ კვირას მივდივარ და ამასაც მოესინჯავ ერთს!..

ბეიანას განცხადებამ მაქიმედში კარგს გუნებაზე დააყენა. გამარჯვებულსავით გადახედა თავის ამხანაგებს და „საჯლანის“ წინ სკამ-ლოგინზე ისე ჩამოჯდა, რომ ზურგით კედელს ებჯინებოდა.



— აბა, ერთი სააღდგომო სიმღერა!...
 მიუბრუნდა იგი სტეფანა „ხარაზს“...
 მაქიმედი, სტეფანა და გოგია „ხარაზები“ გვარიან მომღერლებს
 ზოდენ ს. კეიმაში.

გოგია ხარაზმა წამოიწყა, სტეფანამ მოძახილი მიაყოლა, ხოლო მაქიმედმა თავისი „ბენძლი“ ბანით სულ დაუარა ამათი ხმა.

ტრია დერიტა სიამოვნებისაგან მუხლებზე ხელებს ისოზდა და ირიბულად იღრიცებოდა.

და როცა სააღდგომო სავალობელში გამოუკლებლავ სამივე მომღერლის ხმა ერთად შეიწნა და შეიგრიხა, ბეჟანა უკვე გამოსორებული იყო „საჯლანეს“ და შუკას შინისკენ ბეჯითი ნაბიჯებით მიითოკავდა.

* * *

დიდ ყოყმანში იყო ბეჟანა მთელი კვირის განმავლობაში: გაანდოს თუ არა ბებებერს ის საშინელება, რომელიც მის გარშემო მზადდებდა?!

— მაგრამ არა! რა საჭიროა? ეს იქნებოდა უკვე თივის თაეში დაეკება. ბეჟანას კი ასეთი რამ არა სჩვევია...

— ჰაი, დედასა!.. არ იციან მისი ფასი, თორემ ბეჟანა ასე უბათ-ასალები და სხვების დასაბრკელებელი კაცი არ არის. იმდენი საკუთარი გმირული ქცევა კი ახსოვს ბეჟანას განვლილი წლების განმავლობაში, რომ ახლაც საკმაო დაჯერება ჰქონდეს თავისი თავის შეძლებაში.

აი, ასეთ ფაქტებში იყო ბეჟანა, რომელიც თითქმის წინდაწინ დღესასწაულობდა ბოროტგამზრახველებზე მოსალოდნელ გამარჯვებას. ეს გამარჯვება მას იმდენათ არა ბებებერის, ან მისი მეუღლის, ან, თუ ვნებავთ, ყიფოს დასახსნელად ეჭირებოდა, რამდენადაც თვით ბოროტმოქმედთა დასასჯელად, იმ ბოროტმოქმედთა, რომელთაც იგი ერთხელ უკვე გახეივს საზოლარ დანაშაულსა და პასუხისგებაში.

დანიშნულმა კვირამაც მოაწია.

წინა დღით ბეჟანამ მონახა თავისი ვადამალულული თოფი, გასწმინდა, გაჰფერა, გააპრილა და ხუთი საიმედო ვაზნით გატენილი ისევ თავის ადგილას შეინახა.

კვირა დღით საგზაოთ გამოწყობილმა ბეჟანამ განგებ დუქნებზე მოგროვილი ხალხის წინ ჩაიარა და მახლობელ რკინის გზისაკენ ჰქნა პირი.

ბეჟანას მართლაც ჰქონდა განზრახული სოფელს განშორება და ქალაქს წასვლა ლევანასთან, რაიმე საშუალოს შოვნის მიზნით. იქ მოსალოდნელი იყო თავისი ასე ჩამორჩენილი ცხოვრების ისევ გამოსწორებაც.

ეს თავისი სურვილი ახლა მან მოხდენილად შეათანხმა საამდამო თავის განზრახვას.

მაქიმედ „ყადმა“ ხმა გასცა და, რაკი დარწმუნდა, რომ ბეჟანა მართლაც ქალაქს მიდიოდა, ლევანასთან წერილის წაღება დაავალა. იქვე „საჯლანეს“ წინ სახელდაბელოდ მიიზრიკ-მოიხრიკა რალაც პიეროგლიფები ნახევრად მოკმუქნილ ქალაღზე, მოკეცა და ლევანას მისამართიც ზედ წააწერა.

თვალის კიდევ უფრო მეტად ასახვევად ბეჯანამ ფულის ნაკლებობაც კი მოიმიზეზა და გოგია ხარაზს სამი მანეთი ესესხა.

გოგიამ ერთხანს იფარა, მაგრამ, მაქიმედის ცხელი თვალებით დასტურებულა „ხარაზის“ სიფარშივით საესე გაპირების შემდეგ, რაღაც მინიმუმადანს კიდევ ამოათრია დაკმუჭვნილი სამ მანეთიანი და ბეჯანას ხელის კანკალით გაუწოდა.

— გამდლობ, ჩემო გიორგი! თუმცა ვფიქრობ, რომ ეს შენი ფული არც კი დამჭირდება და, როცა დავბრუნდები, მალე ისევ უკანვე გაახლები..

რაღაც ნაღვლიანათ დაატანა ბეჯანამ და გამოწოდებული ფული ტყავის საფულეში შეინახა.

ამსობაში მაქიმედმაც მოასრულა თავისი ეპისტოლე.

ბეჯანამ წერილი ახალხვის გულის ჯიბეში მოათავსა, ბარგი მხარზე გადიდგო, საჯღანეში მყოფ საზოგადოებას ხაზვამდის მშვიდობით ყოფნა უსურვა და თანახმად თავისი გეგმისა, სოფლიდან პირი ქალიქისაყენ გაითქვა.

დაღამებამდის დანარჩენი დრო ბეჯანამ მახლობელ ტყეში გაატარა, რომელიც სოფელს თავს დაჰყუდებდა მთიანი ადგილიდან.

ახლად გაფურჩქნილი ტყე უკვე საკმაო საფარს წარმოადგენდა იმისთვის, რომ სულ რაღაც ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში დაეფარა გარეშეთა თვალისაგან საკუთარ თითზე ამოფარებაშიც კი დახელოვნებული ბეჯანა.

ღამის სიბნელე რომ საკმაოდ დააწვა სოფელს თავზე, ბეჯანა უკვე თავის სადარაჯოზე იყო ხისძირას მინაბული იარაღით ხელში.

დიღხანს მოუწია საფარში მყოფ ბეჯანას ლოდინი. ბოროტგანმზრახველები ფეხს განგებ ითრეოდენ. ალბათ, თავიანთი ბნელით მოცული საქმე რომ სრულად უენებლათ ჩაეტარებინათ, საჭირო იყო ღამისათვის რაც შეიძლება მეტი დაცვა.

და როცა სოფელში თითქმის ყოველგვარი ხმაურობა მიუქნდა, როცა ძაღლებსაც კი მოსწყინდათ თავიანთი მოუსვენარი ყბების თითქმის ყოველად უანგარო ნძრევა, ბეხებერის ღობეს ახლო მდებარე რაყის მხრიდან მოადგა ორი წყვილი ჩრდილი.

შავი რაზმი შუაზე გაიყო და, ორმა რომ ღობე გადმოლახა, ორმაც ღობის იქით ტყის პირში სადარაჯოზე მოიკალათა.

ბეჯანას გამჭირიანი თვალი მშვენიერად ამჩნევდა, თუ როგორი სიფრთხილით მოიკვლევდნ გზას მაქიმედ „ყადი“ ღ იმისი ნაბდინი თანამგზავრი.

სულ რაღაც ათიოდე მეტრის მანძილზე ჩამოუარეს ბეჯანას. და ის იყო, ბეხებერის ოდისაყენ უნდა აეღოთ გეზი, რომ ერთ ადგილს სათათბიროთ შეჩერდნ.

ეს წუთი და ბეჯანს გულში მოხდენილი აზრის გავლება ერთი იყო.

და სწორედ მაშინ, როცა მაქიმედ „ყადის“ მიერ შესაფერ დარიგება-მიცემული ნაბდინი ოდისაყენ დაძვრას აპირებდა, ზედი-ზედ იქეა ბეჯანას თოფმა ორჯერ და ნაბდინი მოკვეთილ ძნასავით დაეცა ძირს.

ერთიკ კიდევ და მაქიმედ „ყადის“ მომალე ფიგურაც ძირზე მოჭრილ ხესავით გაიშლართა დედამიწაზე.

რაკი დარწმუნდა ბეჟანა, რომ არც ერთი წაქეუელი სიცილიტის ნიშანს აღარ იძლეოდა, ერთი ტყვიაც ლომეს იქით ჩასაფრებულეებისაგან გადაუქეულია და მოუსვა თავისი საფაროდან.

ამ თოფის ხმაზე სოფლის ძაღლებმაკიდეც უფრო მეტად დააყენეს ყმათა; აქა-იქ ადამიანთაყიენაც გაისმა; ბეხებერსაც გაეღვიძა და, ქალები რომ ლოგინში შიშისაგან სახეებს იხოკდენ, ბეხებერი ანთებული სანთლით ხელში თავისი ოდის აიენიდან დადხანს გასძახოდა მუჭარით ვილაცას ლამის უტყვისა და უძრავს წიალში. ბუხართან მიყუდებული გატენილი საჩიტე სოფიც კი გამოიტანა, ტიშისი მოთქმაც შეურია ისედაც აფორიაქებულ ამ ლამის სიბნელეს. მაგრამ თავისი ნამოკმედარისა მალე თითონვე შევიშინდა, სახლში სწრაფად შეიმალა, კარი მაგრათ მოიხურა და ლოგინში თავი ღრმათ შერგო.

ათასი ფიქრი უტრიალებდა ბეხებერს თავში.

— აბა, ბეჟანა იყოო?!

ეკითხებოდა თავის თავს ბერიკაცი.

— ჩენი დაშინება თუ უნდოდა, რომ ქალის საცოლეთ დაგერა ვეღარ გაუტებდოთ?..

მაგრამ თოფი რომ ამას წინად ჩამოართევს?.. აღბათ, სადმე მეორეს იშოვიდა?

მეთასედ მოტრიალდებოდენ ეს კითხვები იმის წინაშე და მეთასედვე რჩებოდენ ისინი გადაუტრევი, მტკიცე პასუხ-გაუცემელი...

დილამ ბევრი რამ გამოარკვია.

ყოველ შემთხვევაში ბეჟანას მაინც თავიდან აშორდა ყოვალგვარი ბრალდება და ეჭვი, რადგან იგი ამ დროს უკვე შართლაც ადგა ქალაქისკენ მიმავალს გზას...



რამდენიმე დღის მისული იყო ბეჟანა ლევანასთან, რომ გაზეთმა მოიტანა შემდეგი ცნობა:

„ს. ჭყიმაში ამ დღეებში შემთხვევით მოკლულ იქნა მხარეში ცნობილი ავაზაკი, ბეგლარა ბეგოლიანი“...

ბეჟანას სახეზე აღმური აეკრა.

— ლევან, ხომ იცი: ეს ავაზაკი მე მოგკალი!...

და ბეჟანამ დაწერილებით უამბო ლევანას ყოველივე. ლევანამ ეს ცნობა გადასცა, სადაც საჭირო იყო.

ბეჟანა დაიბარეს და გამოაქითხეს.

მის მიერ აღნუსხულმა გარემოებამ და დასახელებულმა ნივთიერმა საბუთებმა უტარუვრად გამოამკლავნეს სუველაფერი.

სოფელში გახშიანდა ბეჟანას რაინდული ქცევის ამბავი.

ვიფოს გულს ჩიტმა ნისკარტი შეახო.

ბეხებერი აროხოროხდა და რაღაც ქედმილღურად ახშიანდა.

მარტო ფოტიენეს ვერ უშველა ვერაფერმა. მომხდარმა ამბებმა ისე იმოქმედეს საბრალო მოხუცებულზე, რომ ლოგინად ჩავარდა.

სტეფანა და გოგია „ხარაზები“ შეიპყრეს, ბეჟანას ^{ერკინეული} პარონის მიერ დასახლებულ ადგილას და ლუქ-დაკრული გადაგზავნეს, სადაც ჯერ იყო.

ავაზაკის მოკვლისათვის ჯალდოც კი ყოფილიყო აღთქმული. ეს ჯილდო ბეჟანას შეაძლიეს, მაგრამ მან ამაზე ცივი უარი განაცხადა. ლეევანამ ამით ისარგებლა და პარტიაში ბეჟანას აღღგენის საკითხი წამოაყენა.

ბეჟანა პირობით აღღგენილ იქნა პარტიაში და სამსახურზეც მოაწვეეს ლეევანასთან.

ამ დღიდან ბეჟანას ცხოვრებაში სრულიად ახალი ერა დაიწყო. იგი სავსებით ჩაება საქმიანობაში და რამდენიმე თვის განმავლობაში ქარხნის ყველა მომუშავეს სრული გულწრფელი ნდობა და სიყვარულიც დაიმსახურა.

სოფელი სრულიად დაავიწყდებოდა ბეჟანას, მით უფრო, როცა იქიდან თავის საყვარელს არსებაზე, ეიფოზე, ისეთ გულის მღრღნელი ჭიკვი წამოჰყვა თან, რომ უცბათ ცნობა არ მოსვლოდა სახლიდან მეორე არა ნაკლებ საყვარელ არსების, დედის მძიმე ავადმყოფობის შესახებ.

— ბეჟანა დაბრუნებულია!..

გაისმა სოფელში ელვის უსწრავესად ამბავი, რომელიც, ყოველივე ზევით აღნუსხულ შემთხვევათა შემდეგ, არა ნაკლებს სენსაციურს მოვლენას წარმოადგენდა ს. ჭყვიას მცხოვრებლებისათვის.

აფუსფუსდა თითქმის მთელი სოფელი. ყველა შიშვეს ბეჟანას ქობისაკენ; მიზეზი და საბაზი ავადმყოფის ნახვაა, მაგრამ ნამდვილად კი ყველას ბეჟანას ნახვა ეინტერესება. იმ ბეჟანასი, რომლის სახელიც, ადრინდელი თავისი დაცემის და დამცირების შემდეგ, ახლა უცბად გაიზარდა სოფლის თვალში, გაივსო და გმირობის შარავანდით გაიცისკროვნდა.

თვითონ ბეჟანას კი, ეს თითქოს სრულიადაც არ ეხებაო, თავი ისე ეჭირა, როგორც ყველასთვის მოულოდნელად და უჩვეულოდ გიდაიზბაისლებულ, თითქმის სრულიად გამოცვლილს, უცბათ „გაკეთებულს“ და ხანში შესულს ვაჟაკს.

მას, როგორც ქალაქის მუშას, არ ავიწყდება, რომ იგი ამჟამად სოფელშია, ავადმყოფ დედას თავს დასტრიალებს, მისი ხსნა აქვს დასახული მიზნად, ამისთვის არაფერს ზოგავს. სწეულის საავადმყოფოში გადაყვანა შეუძლებელია, რადგან მომაკვდავის წუთები თითქმის დათვლილია.

ბეჟანაც არა ჩვეულებრივის თავკანწირობებით უელის ავადმყოფ დედას, თითქოს ახლა ამ სფეროშიც უნდა მას თავისი ღირსებისა და სახელის ქვეყნის წინაშე დამტკიცებო. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის განგებ მოგონილი თავის დაქვრა გაქირვებული კაცისა. ბეჟანა მართლაც გამოცვლილია.

ავადმყოფის სანახავად გამოჩნდნენ ბებებერი და ეიფოც, ორივე შავებშია.

ფოტიენემ ვერ აიტანა მათი ოჯახის გარშემო დატრიალებულ უბედურებასთან დაკავშირებით მასში აღძრული ავადმყოფობა და გულის სისუსტეს თან გადაყვა.

ბეენას, ცოტა არ იყვეს, ეოცა ეიფოს გამოჩენა. მაგრამ საქმეში ღრმათ ჩახედულმა ბეებებრმა მალე ყველაფერი გამოარკვია. მოიხსენია მისი გმირული ამაგი თავის ოჯახის წინაშე, თავისი უზომო განწყობილება ბეებანასადრის წერილში, ეიფოს საყვარული და სხვ...

თვითონ ეიფო დიდი ხნის ოჯახში მოყვანილი რძალივით დატრიალდა მომაკვდავის გარშემო.

ამ სურათის შემხედვარე ბეებანას დედის საბედისწერო ავადმყოფობა უკვე ისე აღარ უმძიმდა. წინ იმედიათი ვარდისფერი მომავალი გადაეშალა.

ერთი კვირის შემდეგ, როცა ბეებანა ყველაფერს მორჩა: დედა დასაფლავა და ოჯახის ქონებასაც გზა უჩვენა (იგი სავსებით შესწირა იმ კოოპერატივს, რომელსაც ბეებანამ თავისდა უნებლიეთ და გამოუტყდელივით ერთ დროს ზარალიც კი მიიყენა) და ეიფოსთან კანონიერით შეუღლებულმა ბეებანამ ახლა უკვე სამუდამოთ მიატოვა ს. ჭყიმა.

— მამა! შენ, რაც კი შენი ნაშრომი არის აქ, სულ ფულად აქციე, რომ თავისი სარჩო დაგიორჩეს ამ სიმოხუცებულეში, დანარჩენი კი სასოფლო ფონდში გიდარიცხე და მომავალ ზამთრის პირში უტკველად ამოდი ქალაქში, თუ ჩემი საქმეზე მოცდენა და აქ შენი მიზეზით ჩამოყვანა არ გინდა.

დაუბარა ახალ შერთულ ცოლით ქალაქს წასასვლელად ამგზავრებულმა ბეებანამ ბეებებრს.

მადლიერმა ბეებებრმაც უმეტნაკლებოდ შეასრულა ახლად შეძენილი ზედსიძისა და შვილზე უფრო საყვარელის, მთელი მისი ოჯახისათვის სიცოცხლის შენარჩუნებელის, მხსნელისა და მფარველის რჩევა-დარიგება: თავისი მონაგარი ქონება მიჰყად-მოჰყიდა, სახლი სოფელს დაუთმოა ქობ-სამკითხველოსთვის, ხოლო მიწა სასოფლო მიწის ფონდს გადასცა. და იმ წელს, სწორედ ზამთრის დასაწყისში, ქალაქი დაიტვირთა კიდევ ერთი ახალი მცხოვრებელით.

ეს იყო ს. ჭყიმიდან სიძე-ქალიშვილთან სიკვდილამდე საცხოვრებლად ჩამოსული ბეებებრ ბებრეკიძე.

* *

№-ის ქუჩის № 102-ში სახლობს სამი პირისაგან შემდგარი ოჯახი.

ესენია:

ბეებანა, ეიფო და ბეებებრ ბებრეკიძე.

მართალია, მოხუცებულობისაგან თითქმის სრულიად მოტეხილი ბეებებრი არაფერი დიდი შემატება და სიგანძურია ცხოვრების ზღვად ამოოქრებული ქალაქისათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, ორი ახალი სიცოცხლე უკვე მართლაც თვალსაჩინო მონაპოვარს წარმოადგენს მშრომელთა შობაობისათვის.

ცხოვრების ბევრ უარყოფით მხარეს პირადი გამოცდილებით გაცნობილი ბეებანა ახლა საუკუნოთ გაემიჯნა ღ განშორდა ყოველგვარს ისეთს სიავ-სიგლახეს და მთელი ენერჯით ჩაება საზოგადოებრივს ცხოვრებაში.

თითქმის ყოველი საქმე აინტერესებს ბეებანას, იქნება იგი: პარტიული, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი.

ვიფოც რომ კი აიყოლია ამ საკმაოდ ხანში შესულმა კაცმა...

თითქმის ქალაქში ამოყვანის დღიდანვე იგი წარადგინა ქალთა განყოფილებაში და თავისი ხელით შეაფსებინა ანკეტა საჭირო ცნობებში.

ამ დღიდან იწყება ვიფოს სრულიად გარდაქმნა და გადახმოსებება ისიც ბეჯანასავით ჩაება ახალ საზოგადოებრივობაში და, რითაც შეუძლია, თავს არ ზოგავს მისთვის.

ტყვილად კი არ იყო ის, რომ ქალაქში ამოსულს ბებხებერს ვიფოს დანახვაზე თვალები ცრემლით ავესო და ეს ცრემლი წყენისა ან სინანულისა კი არ გახლდათ, არამედ იმ ახალი მადლობისა და სიამის გრძნობისა, რომელიც მას უიმისოდაც უხვად ჰქონდა შენაგრძნობი და შენამადლები მისა, მთელი მისი სოფლისა და ახლა უკვე ქალაქის თვალში საგრძნობლათ გარდაქმნილ და ამალღებულ ბეჯანასაგან.

მარცხენა ფეხმა აჯობა მარჯვენას და ბეჯანა მართლაც სავსებით დაუბრუნდა იმ საქმეს და იმ ჭკვეანას, რომელსაც იგი წესით და რიგით მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა.

რაღა დარჩა ს. ჭყიმაში?

სტეფანა და გოგია „ხარაზებს“ პირობითი სასჯელი დაადევს და ახლა სოფელში ითვლიან თავიანთ სიცოცხლის უფერულ დღეებს.

ალარც სირცხვილ-კმეული და გაბახებული გოგიას „საჯლანე“ გამოიყურება თავის ადგილიდან.

იგი ხალხმა თავისი ხელით აშალა და გააპინტრაში.

და იქ, სადაც ეგ სიწამხობის ბუნავი ეყუდა, ახლა კოოპერატიული დუქნის გვერდით გადმოტანილ იქნა ბეჯანას მიერ კოოპერატივისათვის ნაჭუქარი სახლი, რომელშიც სოფელმა გახსნა საზოგადო სახარაზო.

ამ სახარაზოს წინ თქვენ ახლაც ხშირად დაინახაეთ უსაქმო ტიტია „დვრიტას“, რომელიც მუხლებზე ხელის რტყმითა და სახის ელამი ღრეციით გამოსთქვამს იმ შინაგან სიამოვნებას, რომელსაც თითქოს ის განიცდის-სოფლად კოოპერატიული საქმის გაწვევ-გაფართოების გამო.

მისი ელამი სახე დრო და დრო რაღაც ერთნაირ გამოუთქმელი მწუხარებითაც კი იტვირთება ხოლმე. ალბათ, თუ აგონდება თავისი ძველი ნაცნობები, რომლებიც ახლა ზოგი სულ არა, ხოლო ზოგიც ძალიან იშვიათად ჩნდებიან ამ ადგილს.

და „დვრიტაც“ ამიტომ დაეკვებით გასცქერის ამ ელამ ოვალ-შეჩვეულ ფიგურებით დაცარიელებულს სივრცეს. მისი მწუხარებაც სწორეთ ამ დაეკვებაშია.

ძნელი ასახსნელია, თუ რა ეხატება თვალწინ „დვრიტას იმ უძირო სივრცეში...

სინანული თუა ეს ან შებრალება ვისიმე, თორემ უიმედოთ და უპერსპექტიკოთ დღეს თვით „დვრიტაც“ კი აღარ არის სოფლად.

ერთნაირი დაცინვით, ნამდვილათ კი წარმატებისა და უპირატესობის ჩინებით, „დვრიტას“ „პენსიონერადაც“ კი იხსენიებენ დღეს ს. ჭყიმაში, ვინაიდ-

გან იგი, როგორც დეფექტიური მოქალაქე, სავსებით იდგილობრივი გლეხკომის სრულს კმაყოფიანე არის აყვანილი და პირადათ საზრუნავ-საველალო მას თითქმის აღარაფერი დარჩენია.

და, როცა ამ ბუნებით მახინჯი ადამიანის მოღრეცილი სახე უგულვლოთ და უსახსროთ გაჰყურებს წინ დაცალიერებულ ეკრანივით აღმართულს სივრცეს, ბრმა თვალი რომ ამ სიცალერისკენ აქვს მიქცეული, ელაში თვალი, საიდანაც სინამდვილე მკირეოდენა შუქის სახედ მაინც ახერხებს მის არსებაში შეტრას და იქ სასიამო განცდების აღძვრას, ეს ნაწილობრივ სალი თვალი დვრიტას თითქმის ნიდაგ კოოპერატივისკენ აქვს მიპყრობილი, როგორც დღევანდელ სოფლის ერთ ერთი-საიმედო და სასიცოცხლო ნიქით უხვად მოსილ შუაგულისაკენ.

და როგორც გული ჰყენს ხოლმე ადამიანის მთელს სხეულს ძალას, სიცოცხლეს და ხალისს, ისე ეს პატარა შენობაც, აგერ ელაში ტიტია „დვრიტას“ წინ ისე ამყად რომ დაყუდებულა, უხვად ჰყენს ს. კუიმას სასიცოცხლო ახალ-ახალ ნაკადებს.

თვითონ „დვრიტაც“, ზომ ამ კოოპერატივზე არის მიმაგრებული, საიდანაც ახლა გლეხკომის განკარგულებით ეძლევა ბრმას საარსებო საშვალეებები...

და დღევანდელი დროის მადლიერი ტიტიაც ყოველ ცისძარე დღე ზის აქ. ზის და შორი-ახლოდან უთვალთვალებს ამ დაწესებულებას, როგორც დროსა და მის საზიარო მწყალობელს შეიღს, იგი რწმენითა და იმედით შეტყურებს მას, როგორც ძველად მორწმუნე შეტყურებდა ხოლმე რომელიმე „სასწაულთ-მოქმედ ხატს“...

მაგრამ რომელ ხატს ან რომელ ღმერთს შეეძლო იმდენი სიკეთის მოტანა, რასაც დვრიტა ამ კოოპერატივიდან ნაღდათ ღებულობს დღეს?!

და ტიტიაც მადლიერია კოოპერატივის, მადლიერია მთელი ამ დროსი, რომელმაც იგი ასე შეიტკბო და შეიერდომა.

ამიერიდან მის სახეზე კმაყოფილებას ველარ დაარღვევს უწინდებური შურიანი და გესლიანი ირიბული ღრეცა...

ამ რიგათ, ტიტიას სახეზე რომ მწუხარება გვეტყვენება, ეს მხოლოთ მისი სულიერი სიმშვიდეა, რომელსაც ეს ბრმა და ელაში არსება გარეგნულათ სხე-ნაირად ვერცკი გამოხატავს, რომ იგი ერთგვარი ნაღვლიან და, ეკვ-დაკრულ ზედვით არ გვეტყვენოს...

ღიაბ, ტიტია დამშვიდებით გაჰყურებს ახლა კოოპერატივს და გულში იგი მხოლოთ დღეებს ითვლის იმის გამოხარკვევით, თუ როდის ერგება მას მისთვის განსახლერული „ხვედრი“.

ამ მოვლენას ეხლა „დუქნებზე“ ხუმრობით ტიტია „დვრიტას ნამახს“ ეძახიან ხოლმე...

ამ ბოლოს რაღაც კესარია „აღენჯამაც“ კი უქლო თავის ეზოდან ხმამა-ლალი წყევლისა და უხეში კაპანის, ნაგავთან ერთათ, შუკისკენ გადმოყრას, თითქოს დიდი მადლიერია ბედისა არა მარტო იმით, რომ ამიერიდგან გოგია ხარაზი მას დამბალ ზუსტებს ადრინდელად ველარ შეატყუებს, რომ ამას წინაზე, სოფელში დროებით ჩამოსულ ბეიანასავან მან მიიღო დიდი მადლობა და ნიე-

თიერი პატივის ცემაც, საზღაურად თავისი ამ უკანასკნელისადმი თანაგრძნობისა და მისი ერთად ერთი დავალების პირნათლად შესრულებისათვის, არამედ ზუფრო კიდევ იმიტომ, რომ გელესიის ეზოში ფოტინეს საწინააღმდეგოთა გამოთქმული მისი აზრი, ბეიანას შესახებ არა მარტო მისთვის ანუ სანაქებროთი გამართლდა, არამედ არა ჩვეულებრივის გადაქარბებით გაიგსო და განაყოფიერდა კიდევ ყველასათვის, მთელი ქვეყნის გასაგონად და დასანახად...

და თუ ს. ჭყიმას ცენტრი, ეს აღრინდელი „დუქნები“, ხოლო დღეს სოფლური ცხოვრების გული და მოამაძრავებელი ჩარბი, დღითი დღე იზრდება, თუ ამ სოფელს დღეს ისეთი დამხმარე და მოამაგე ჰყავს, როგორც ქარხანა „ტრაქტორ-ტრესტი“ არის, რომლის წითელი დირექტორიც ჩვენი ნაცნობი ლევანაა, ხოლო ამ უკანასკნელის ღირსეული ამხანაგი და საიმედო მარჯვენა ხელი—ბეიანა, ყველაფერი ეს და აქედან გამომდინარე სარგებლობანი ს. ჭყიმასათვის უმთავრესად სწორედ ბეიანას წყალობით არის, ყოველივე ეს ბეიანას მიერ სოფლისადმი თავის ვალდებულებათა პირნათელი შეგნების შედეგი გახლავთ.

განსაკუთრებით ქობ-სამკითხველოა მოკცეული ყურადღების შუა გულში. რა და რა გაზეთი ან ჟურნალი გნებავთ, რომ ს. ჭყიმას ქობ-სამკითხველოს არ მოსდიოდაც. ფოსტის მოსვლას ს. ჭყიმაში უბრალოდ აღარ იხსენიებენ.

— „შეფი მოდის, შეფი მოდისო!“..

გაჰკივის საღამოობით ფოსტის შესახვედრათ „დუქნების“ წინ გამოფენილი დიდი და პატარა.

ეს შეძახილი დარჩა სოფელში იმ დღიდან, როცა ს. ჭყიმას პირველად ეწვია ჟურნალ-გაზეთებითა, წიგნებით თუ სხვა რამ სოფლისთვის საჭირო საგნებით უზვად დატვირთული მათი შეფი.

„შეფი“ სოფლელებს წარმოდგენილი ჰქონდათ რაღაც უცხო და უჩვეულო რამ არსებათ. ხოლო როგორი იყო მათი გაოცება, როცა, ამ უცხო არსების ნაცვლად, მათ დაინახეს უბრალოდ ჩაცმული მათსავით უბრალო მუშების ჯგუფი, მათი კარგათ ნაცნობი ბეიანასა და ლევანას წინამძღოლობით!..

უბრალო იყო ეს წვევა და შეხვედრა; უბრალო იყო თვით ის საჩუქრებიც კი, რომელიც ამ უკანასკნელებმა თან მოიტანეს. მაგრამ ამ უბრალო შემთხვევამ სოფლის ცხოვრებას მაინც ძლიერი და განსაკუთრებული კვალი დააჩნია. ამან სოფელს არა მარტო პირი, გულიც კი საშუადათ ქალაქისაკენ აბრუნებინა და, დღეს რომ ის პირით ყოველ საღამოს ფოსტას ელოდება აქ, ამ სასოფლო მოედანზე გამოფენილი, მისი გული გამართლებულ მოლოდინით გამოწვეულ აღტაცებას—„შეფი მოდის, ჩვენი შეფი მოდის“—ო,—ამ შეძახებით გამოხატავს ხოლმე.

ამას კიდევ ერთი საოცარი მოვლენაც დაერთო ზედ ამ უკანასკნელ დროს. უწინ, ჩვეულებრივ ფოსტის მიღებისა, მისი ჩამორიგების და რამდენიმე საინტერესო ცნობის მოსმენის შემდეგ, ამ შემთხვევის გამო, აქ შეკრებილი სოფლის მასსა თან-და-თან იფანტებოდა იქიდან, თითქოს წამოსწრებულ ღამის ბინდს გაურბიან თავთავიანთ ბინებისაკენო.

ახლა კი... აი, აგერ ფოსტაც მოვიდა, განაწილდა კიდევ ის, აქა-იქ გაზე-
თის კითხვა და სინტერესო ცნობათა ვახიარებაც კი ამოიწურა, მაგრამ შე-
კრებილ ხალხს არა თუ არ აკლდება, ემატება კიდევ.



დალამდა.

ხალხის ზღვა მოაწყდა ქობ-სამკითხველოს აივანს.

— როდის დაიწყება, ეფრემ, თუ იცი?..

გასძახიან მექობეს შვეგროვილი გლეხები.

-- რვა საათზე მზად იქნები... თქვენ მხოლოდ სმენა მოიმახვილეთ...

ისმის მექობის საქმიანი ხმა და რალაცას თავს დასტრიალებს, ფუსფუსებს
კარგი გამრჯელი დიასახლისივით.

ქალების ფაცა-ფუცი და ბავშვების ერიამული ჰაერს ერუნტელივით უე-
ლის ტანში, შლის და აფორიაქებს მას.

სოფლის ბნელი, უმთვარო ღამე ახალ ქმარ-მკედარი ქვრივივით თითქოს
რალაც გაბუტვით გადმოიყურება ოდნავ გაღვლილი ძაძა-თავშლიდან, თითქოს
უქმყოფილოა, რომ მისი დარდიანი მოსვენება დარღვეულია ამ სინათლით გა-
ჩირადდინებულ მოედანზე ატეხილი ხმაურითა და ფაცა-ფუციით.

— აბა, იწყება! :

მისცა ნიშანი მექობემ და, თითქოს ოშხივარ-ამობუტუტუტულ ქებას
მძლავრად სული შეუბერესო, მცის დაწყნარდა ხალხის ეს შერეული ბრბო. იგი
დაეწყო, დაირაზმა და სმენად გადაქცეული მიაცქერდა ქობ-სამკითხველოს წინ
ცერად წამომდგარ თეფშოვით რალაც მომრგვალო საგანს.

— საუბარი იქნება საშეფო მოძრგობის შესახებ!..

იმევე საქმიანი კილოთი წარმოსთქვა მექობემ.

— ილაპარაკებს რესპუბლიკის საშეფო კომისიის თავმჯდომარე...

— სსუთ!.. სსუთ!..

გაისმა აქეთ-იქიდან...

რადიო-მანქანა აროტ-როტდა.

სმენად გადაქცეული ხალხი სოფლური სიხარბით იჭერდა ცივი ლითონის
პირიდან მონადენ ზოგჯერ გაურკვეველს, მაგრამ საერთოდ მაინც აქაურობი-
სთვის საოცარს, თბილსა და ტკბილს ბგერებს.

— ვინ უნდა იყვეს ეს, რომ ლაპარაკობს?!.

ჰფიქრობდა ხალხის ჯგუფში ტყის თავზე დაყუდებულ მალალ ხესავით
აგრანელი კესარია აღენჯა.

და თავის ამ კითხვაზე თვითონვე იძლეოდა შესაფერ პასუხს:

— რაღა თქმა უნდა, ბეჟანა იქნება!..

ღროთა ბრუნვისაგან თავისებური აზროვნებით დატვირთულს ქვრივს ვერც
კი წარმოედგინა, თუ ბეჟანა, რომელმაც სოფელს ასეთი „მოლაპარაკე მაშინა“
საჩუქრად გამოუგზავნა, ახლა სხვას ვინმეს თუნდაც ღროებით დაუთმობდა ამ
„მაშინით“ სოფელთან საუბრის უფლებას და ამ უფლებით ნიადაგ მხოლოდ თი-
თონ არ ისარგებლებდა.



ი ა ლ ლ უ ჯ ა *

I

ნაწილი მეორე

ცუდი ამბავი

უკვე ბნელდებოდა საქინა შინ რომ მივიდა და წყალი მიიტანა.

დედამ შეხედა შეილს და ქალმა იმის თვალებში სიბრალურ-გადაკრული ალერსი დაინახა. ლამაზი სახე თამამას დალონებული ჰქონდა.

შვილი დააეკერდა დედას, თითქოს ჰკითხა რა ამბავიაო, მაგრამ დედამ ერთბაშად გაიღიმა. საქინა დამწვიდდა: ალბად მოეტყუებო.

— ქალო, ამაღამ თალიფა მოვა. ჩაის ჭურჭელი დაამზადე. — უთხრა დედამ.

— მერე რაო?! დღეს ორჯელ იყო. ყოველთვის დადის. სამზადისი რაღა საკიროა. — გაიკვირა საქინამ.

მოკვდა თუ არა ფაშა, შორეული ნათესაობა წამოიშალა. შარიათის ძალით მემკვიდრეობაში წილი ყველასა ჰქონდა. თამამამ თავი ვადიკლა, შარიათი არ მინდოა, კანონით იყვეს ყველაფერიო. თამამამ იცოდა, „ურუსინ ზაკონით“ ქონება მხოლოდ შვილებს დარჩებოდათ: შარიათი კი გასწეწდა. ქვრივს კი არა ჰსურდა, თუნდა ჩხირის ფასი რამ ქონება წაეღოთ ნათესავებს.

ალიბეგ იღამ უშველა. ვილაც ვეჭილთან მიუწერა წერილი. ქვრივი ტფილისში წავიდა. პირველი იყო მისთვის ტფილისის ნახეა. მაგრამ თავისი გაიტანა, ქონება უალწერეს, მეურვეთ თალიფ ალა დანიშნეს და მას ჩააბარეს. მეურვედ თამამამ თავისი ბიძა თითონვე ისურვა.

თალიფამ კი ქონებას ხელი დარია. რაც უნდოდა იმას უშვებოდა ქონებას. თავნი არ დააზარალა. რა საკირო იყო პასუხისგებაში ჩავარდნა. იცოდა, თამამა თავნს დიდად ადევნებდა თვალყურს და თუ დაკლებასა პნახავდა ჩივილს დაიწყებდა. თალიფას თავნიც წაუვიდოდა ხელიდან და მოგებაც. ამით გადარჩა თავნი, მაგრამ მოგებისას ვერც თამამა ჰხედავდა რამეს რიგიანად, ვერც მისი შვილები.

მეურვემ ბავშვებსაც დაადო თავისი კლანჭები. ადილა წამოიხარდა თუ არა, ცხვარში გაჰგზავნა, ვითომ-და შენს ქონებას შენ თითონვე უგდე ყურიო, მაგრამ დასჩაგრა თალიფამ ბავშვი და დაიმონავა.

საქინა თავის სახლში წაიყვანა: მეურვე ვარ, მე უნდა გავზარდოო. მაგრამ ბავშვმა დედა ინალვლა, დედამ—შვილი, თალიფა იძულებული გახდა და გოგო

*) იხ. „მნათობი“ № 2—3. 1929 წ.

შინ დააბრუნა. შორიდან კი მიინც თავს დასტრიალებდა ამ ოჯახს: თავისი უფრო-სობით, მეურვეობით ოჯახს მაჯლაჯუნასავით დააწვია. ქმრის ხელში მეტი თავისუფალი იყო თამაშა, ვიდრე მეურვისაში. მაგრამ თამაშს მჭრეულ ზანად მიიხსენებდა, ისევ ეს ერჩივნა: ქონება მთლიად ხომ არ იფლანგებოდა, თანაშემწე დაეიჩინებოდა. სხვა რამისათვის ბრძოლა კი არ შეეძლო ქვრივს. რაც იბრძოლა ისიც საკმარისი იყო მისთვის.

— ბიძია მუსაე მოვა. — უპასუხა დედამ ქალს.

— ბიძია მუსა — უსიამოვნობის კილოთი სთქვა ქალმა. — იმას რაღა უნდა?

— საქმე აქვთ.

ბიძია მუსა, ფაშას ბიძა, საჭინას პაპად მოხვდებოდა, ქალს ეჯავრებოდა: დაბერდა კაცი, ცას შეაბერდა, შეიღებოდა გაუწყდა, საუკეთესო ძმისწული — ფაშა მიწას მიაბარა, თითონ კი კუდიანივით უკვდავი გახდა. თვალზე დაწირპლე-ბული, გონება დაკარგული, გამოყვეცხებული, მიიხსენებდა დედა-მიწაზე, თავსა და წვერებს დააცანცარებდა. სოფელში იმის ხნისა კაცი აღარ იყო. ამ სოფელში დიდ ხანს ვერაინა სცოცხლობს: ან მტერი მოჰკლავს, ან ციება, მუ-სას კი ვერც უფროსი ციება მოერიო, არც მტერი გამოუჩნდა.

— რა საქმე უნდა ჰქონდეთ? — გაიფიქრა ქალმა.

დაინახა, ეზოში მოახლეს უკვე დაედგა სამოვარი: ყვითელი, მუცლიანი მწვანე ბალახზე სულელურად ბრჭყვინავდა. საკვამლე არ ვდგა, ბოლი მალა ვერ აღიოდა და ნიავე მწვანე ბალახზე შლიდა.

— რა საქმე უნდა ჰქონდეთ ბიძებს? ალბად საიმისო არაფერი. ესეთი თავმოყრა ამ ოჯახში ხშირად მოხდებოდა ბოლმე, უფრო კი თალიფას ოჯახში. საანგარიშო იქნება რამე: ესე იცის თალიფ ალამ: როცა რამე დასაფარავი, რამე დანაშაული აქვს, ბიძია მუსას მოიყვანს ხოლმე. ბებერი გამოტყინებული, ყველაფერში თავს უწევს თალიფას.

ქალი ოთახში არ შედიოდა. ბიძები და თამაშა რაღაცას ბაასობდნენ. სა-ჭინა ჩაის აკეთებდა და მოახლე დედაკაცი მიართმევდათ.

მეათე ჭიქა ჩაის ასხამდა საქინა ბიძია მუსასათვის, დედაკაცმა ბეჭებზე დაჰკრა ხელი საქინას, გაიღიმა, დაბრეცილი კბილები გამოაჩინა:

— გათხოვებენ, ქალო!

— მათხოვებენ? მაშ ამისათვის მოსულან. ნეტაეი ვინა ჰყავთ გუნებაში? მთელი ღამე ვერ დაიძინა ქალმა. დედამ არაფერი უთხრა, მაგრამ დედას უფრო მეტი დალონება შეატყო.

— რატომ არას მერუბნება დედა? ალბად დრო იქნება და მეტყვის. იქნებ გადაწყვეტილი ჯერ არაფერიც არის. მაგრამ რად არის დედა დალონებული? დედამ კი ორი დღე ითმინა და მესამე საღამოთი თვალცრემლიანმა შე-ხედა შვილს.

— რა ამბავია, დედავ, რა მოხდა?

— არაფერი. თალიფ ალა შენს თავს ჰასანასათვის მთხოვს.

— ჰასან ალა? — თითქოს შეტკივლა ქალმა. თამაშას გამოცდილმა გულმა მაშინვე შეიტყო ქალის გრძნობა.

კუდი ფერი დაედო საქინას.

— ჰასანა? სარსალ ჰასანა?

— რა ექნა, შვილო, ჩემია, ჩემი ბიძაშვილია, ჩემიანია არა მსურს.

— შენ რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა? ვინ მიჯერებს? ორი ბებერი შემომადგა. მეურვე ის არის. წუხელის მთელი ღამე ვტიროდი. კერივი ვარ და მბრძოლები. თალიფა აზობს, მე ვარ მეურვე და პასუხისგებაც ჩემიაო.

საქინამ ქვითინი დაიწყო. მის ტირილს დედამაც მისცა ბანი. თამამას თავისი ტირილი მოაგონდა, სწორედ ესე სტიროდა ისიც და ისე დასტიროდა მას დედა ამ ჩვიდმეტი წლის წინედ! მხოლოდ განსხვავება იყო: მაშინ თამამა სიხარულით სტიროდა, ეხლა საქინა სიმწუხარით სტირის.

ჰასან ალა თალიფ ალა-ოღლი, სარსალ ჰასანა, სულელი ჰასანა, ცალი თვალით ბრმა და ღვინის მსმელი, სოფელს ამისათვის უფრო ეჯაერება. ალა-ლარი იყო და ვერაფერს უბედავენ, მაგრამ კუდად კი იხსენიებდნენ.

მეურვე თალიფას თვალი საქინას ქონებაზე ეჭირა. მთელს ქონებას ხელში ატრიალებდა. რა მზითვესაც მოისურვებდა ისეთს გაატანდა ქალს, ადილას არას დაუტოვებდა.

— დედავ! რატომ ბიძია გამზარას არა ჰკითხეთ? ჩემი ნამდვილი ბიძა ხომ გამზარაა.

— რა ვიცი ქალოჲ.. თავისით მოვიდნენ, თავისით დაიწყეს ლაპარაკი. არც გამზარას შეატყობინეს, არც სხვას.

— ჩვენ შევატყობინოთ.

— მაშ რას ვიზამ.

მაზლი ძალიან უყვარდა თამამას, ქმრის სიყვარულით იმასაც სცემდა პატივს, რაც უნდა ყოფილიყო, უიმისოდ ფეხს არ გადასდგამდა.

ფაშას სიკვდილის შემდეგ, რაკი ქონება აღწერეს და მეურვეს ჩააბარეს, გამზარამ თავისი წილი გაიტანა, ცოლი შეირთო და ცეცხლი ცალკე დაანთო.

II

გამზარას გეგმა

ჩოფურ ოღლის სხვა დარდი ღ ფიქრიც ჰქონდა: აგერ თორმეტი წელიწადაა ძმა მოუკლეს და მისი სისხლი ჯერ არ აუღია. დანამდვილებით არც იცის ვინ არის მტერი. ვერც გაუბედნია: მარტოა.

მართალია, ორში ერთი გვარი უნდა იყვის: ან სულთანოვები, ან ალიას ძმები. ორივე გვარია ფაშას სისხლში გარეული. ეს იცის გამზარამ, დანამდვილებით კი არ იცის ვინ დაჰღვარა ფაშას სისხლი.

ყველამ იცის: სულთანოვები ხელმძღვანელობდნენ საქმეს, მკვლევები ალიას გვარისანი არიან. მაგრამ ერთი იყო თუ ორი? სულთანოვებიც იყვნენ თუ არა? ამასა ჰფიქრობდა გამზარა.

ეშინოდა, თორემ ამდენს არ იფიქრებდა. მარტოკა რომ არა ყოფილიყო, კი გაბედავდა რამეს; განა სულ ერთი არ არის რომელი ძანაზღაურებდა სისხლს, სულთანოვების გვარისა თუ ალიასის, მაგრამ მარტოობისა ეზამრანა მცანგუნე-ბაში ამით იმართლებდა თავს: ნამდვილი არა ვიცი რაო.

ეხლა ამ საქმეს ზედ ძმისწულის ამბავიც დაემატა.

თალიფ ალასთან ბრძოლა, მისი გალაკიდება იქნებოდა. თან ძალიან უყვარდა ძმისწულები. რძლისაც დიდი ხათრი ჰქონდა.

ფაშას სიკვდილის შემდეგ ოთხი თვე და ათი დღე იცადეს, თამამა ოთხჯერ გაიწმინდა, ორსული არ გამოდგა და ვათხოვების უფლება ჰქონდა. რატომც არ უნდა ვათხოვებულყო ლამაზი და ახალგაზრდა ქალი, მაგრამ თამამამ ქმრის კერა არ გააცია, ოჯახი არ მოშალა, შეიღებოსათვის თავი დასდო.

ძალიან კმაყოფილი და მადლიერი იყო გამბარა ამისი.

— სხვა გზა არა გვაქვს. ქალს ჩვენი გუნების საქრმო უნდა ვუშოვნოთ. თალიფას დავასწროთ და ვაეთხოვოთ, — ურჩია მაზლმა რძალს.

— ჰეი, კაცო! რას ამბობ? მიგას, აბა როგორ მოვახერხებთ? თალიფა მეურვეა. მის უნებურს ვერას ვიზამთ. ვაიგებებს და საქმეს ჩავვიშლის. ქვეყანას დააშინებს.

— დააშინებს, თუ შშიშარა იქნება ვინმე, ჩვენც ისეთი ვინმე გამოვანახოთ, რომელიც არ დაშინდება, ქვეყანა თალიფაზედ ხომ არ შემდგარა!

— ნეტავი ვინ იქნება ისეთი, თავს ვინ გამოიიდებს.

— ვინ იქნება? ქალსა ჰკითხე ეცოდინება.

— უი! ბავშვია, რა ეცოდინება.

— შენც ბავშვი იყავი, მაგრამ იცოდი, — გაუტინა მაზლმა, — შენ ჩემად ჰკითხე, ქალს გულში მუდამ აქვს ხვაშიადი.

— მაინც იმედი არა მაქვს. თავის მეურვეობით წაგვართმევს ქალს.

— ვერ წაგვართმევს. ქალი მოვატაცებინოთ. მერე რაც უნდა ისა ჰქნას თალიფამ.

— მოტაცებით უარესად გაფუჭდება საქმე. კანონი მოტაცებულს დევნას დაუწყებს.

— არა უშავს რა. მომტაცებელი თითონ მივა კანონთან. ქალიც თანხმობას გააცხადებს — იტყვის, ჩემი სურვილით ვაფუცევო და კანონი თავს დაანებებს ამ საქმეს.

თამამას ძალიან მოეწონა გამბარას ნათქვამი, დარდი ერთბაშად გადაეყარა გულიდან. საძნელო მხოლოდ საქმროს შოვნა იყო.

დედის გონებას კი მაზლის ნათქვამი არა ჰშორდებოდა: მთელი სოფლის ახალგაზრდობას გადააელო გონება, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა: ვინ იქნებოდა საქინას ამორჩეული. თავისათაც ეძებდა შვილისათვის საქმროს.

დედაკაცმა ატარა თავისი გონება, ატარა, ვისთანაც კი შესაძლებელი იყო, ყველასთან მიიტანა, მაგრამ ვერავიზე გააჩერა.

მართალია გამბარა: ქალია საქინა, იმ ხნისაა, რა ხნისაც თითონ იყო, ფაშამ რომ ატორა. არ შეიძლება, საქინას გულს არავინა ჰყავდეს ამორჩეული.

მთელი ღამე ეწურაჲლა დედა შვილს და ბიძის ნათქვამი ჩააგონა. საქინას გული შიშით და სიამით გაივსო: უნდა მომიტაცონ, უნდა ვაეცაცმა წამიყვანოს. ესეთი გათხოვება ხომ სასახელოა.

ბოლოს დედამ დამკინავი აღერსით პირდაპირ შეხება ქალს თვალეზში და გადაჭრით ჰკითხა:

— ქალო, განა არაინა გყავს გუნებაში. ვის გინდა მიგათხოვო?

საქინა ამ კითხვამ გააჩვიო. თვალეზი გაუბრწყინდა და სახე სიწითლით დაეწევა.

— მე? არაინა. როგორ იქნება. ვინ უნდა მომწონდეს?

— რა ვიცი. ქალი ხარ, იქნება იცქევ ვინმე.

— მე არაინ მომწონს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მგონია მე მოვწონვარ.

— ვისა?

— ჩირახ ოღლისა.

თამამა ადგილზე შეცმუქუნდა: ჩირახ ოღლი, რატომ აქამდეც არ მოუვიდა თავში ეს ბიჭი?

— შენ რა იცი?

— ეგრე მგონია.

— რათა გგონია?

— წყალზე რომ მივდივარ, ხშირად დამიხედება ხოლმე ბამბებთან.

— მერე, გელაპარაკება?

— არა. როგორ გაჰხედავს.

— მაშ რა იცი?

— ის ვიცი... მაშ რად არის ხოლმე იქა?

— თალიფამ არ გაიგოს ეს ამბავი. შენ წყალზე ველარ წახვალ.

ჩირახ ოღლი კარგი ბიჭია. ახალგაზრდა, ღამაზი და ყოჩილი. დიდი ნათესაობა ჰყავს. მთავრობის კაცია. ახლად გაყვანილ რკინის გზაზე მუშაობს. ქუდზე დიდი მრგვალი ნიშანი აქვს. ღარიბი ოჯახის შვილია, მაგრამ ჯამაგირის პატრონია. თუ ქალს ჟეჟარს, კეთილი ცხოვრება ექნებათ. — სიყვარულის საქმეს თამამა თავის გამოცდილებით სჯიდა.

— დედი! აღიბეგ აღას ვაცნობოთ ჩვენი საქმე. ის ხომ ქირვადა გყავს დათქმული, დაგვეხმარება.

— ეჰ, ბავშო! აღიბეგ აღას ვინ მისწელება. ოსმალეთში ვინ გავუგზავნო?

— წერილი მივწეროთ.

— წერილს ვინ მისწერს. ჩვენში ვინ იცის წიგნი? სხვას რომ დავაწერიონო, არ დაიმალება. ქვეყანა გაიგებს, თალიფას ყურში ჩავარდება. აღიბეგასი არც იმედი მაქვს და არც დახმარება მინდა იმისი, მამიშენის სისხლი იმაზედაც არის.

— ერთხელ რომ დაგვეხმარა და ვეჭრილი მივასწავლა?

— ისიც კმარა, მაშინ თავ-გზაწარეული მქონდა. არც ნამდვილი ვიცოდი მაშინ.

ტფილისთან ხალხის გაძარცვის ამბავი თითქოს მიყუჩდა, უკლებლად და-
ვიწყდა. ყაჩაღი არბენად იყო, მაგრამ ერთ დღეს ცუდი ხმები გაიგო: ამ
გაძარცვის ამბავს ეწონა; ნელი ეწონა, მაგრამ ბოლოს მაინც უკლებლად ცეტერ-
ბურგამდე.

მართლაც ძალიან თავხედური რამ იყო ეს გაძარცვა და ალიბეგ ალას
მთელი მოქმედებაც, ესე იოლად ვერ ჩაივლიდა.

პეტერბურგიდან სასტიკი განკარგულება მოვიდა: ყოველი ღონე იღონეთ,
ყაჩაღთა ბრბო მოსპეთო.

ეს განკარგულება გაიგო ხალილოვმა: ყველგან ჰყავდა კეთილის მსურველი
და შეტყობინება არ დააყოვნეს.

ხალილოვს საფიქრებელი გაუჩნდა: რა ჰქნას, სად წავიდეს? დაჰნებდეს
მთავრობას თუ დაიმალოს? დამალვა ადვილია. ტფილისშიაც შეიძლება დამალვა,
ბორჩალოს ყოველ სოფელშიაც. აქ უარს არავენ, თუ ვერავენ ეტყვის. ახალქა-
ლაქის მაზრაშიაც ჰყავს მეგობრები და კახეთშიაც. ოსმალეთში ხომ უფრო
ადვილი იქნება დამალვა.

ერთი რამ აფიქრებდა ხალილოვს: დამალვა ხელმწიფეს გააჯავრებსო.
ბრძანება პეტერბურგიდან არის, თითონ ხელმწიფის ნაბრძანები იქნება და
დამალვა იმას ემსგავსება, ვითომც ხელმწიფეს დავემალეო. ამას ხომ ძალიან
ერიდებოდა ალიბეგა: სახელმწიფოს არც ქონებას ახლებდა ხელსა და არც მთავ-
რობის მოხელეებს: ხელმწიფე არ გამოიჯავრდესო.

უნდაც ესეთი საკითხი დაუჯდა გონებაში ხალილოვს: აქამდე თუ ემალე-
ბოდა პოლიციას ეს არაფერი იყო: ვინ არიან ვიღაც ბოქაული, მაზრის უფრო-
სი ან თუნდ გუბერნატორი? არაფერი არიან. ხელმწიფე სულ სხვაა. იმისი
ბრძანების დარღვევა არ ვარგა. ერთი პირობა გადასწყვიტა დაჰნებებოდა მთავ-
რობას, მაგრამ ვეჭილენის რჩევით ამ გადაწყვეტილებაზე ხელი აიღო. ვინ
იცის, საით გადაასახლონ, სამუდამოდაც. პოლიცია თავგამოდებით ეძებდა და
ამან დაარწმუნა ყაჩაღი, საქმე სახუმარო აღარ იყო, თუნდაც ცოტა ხნით გა-
დაესახლებინათ, მტრები თავს აუშვებდნენ და მთელს ოჯახს, ქონებას აუწიო-
ებდნენ.

თავის გარიდება სჯობიან.

მართლაც ერთ ხანს ალიბეგ ალას ხმა და სახელი გასწყდა. აღარ ისმოდა
არაფერი. პოლიციას კი უტყუარი ცნობები მიუვლიდა. ალიბეგ ალა ოსმალეთში
გადასახლდაო.

III

მ ა ხ მ შ ი

თალიფას თავის სულელი შეილისა ვერა გაეგორა: ჰასან ალას ცოლის
შერთვა არა მსურდა და ჯიუტობდა. გართული კაცი იყო, ტფილისის ყავახა-
ნებში და ქაბახანებში გაჩეუული, ცოლი მას ფეხებზე ეკიდა. ხან თუ გატყდე-
ბოდა, თანხმობას ეტყოდა მამას, ხან გაძვრებოდა, გაიპარებოდა ტფილისში და

თვეობით იკარგებოდა. თამამასა და გამზარასთვის ეს ძალიან ხელ-საყრელი იყო: დრო ეძლეოდათ საქმის მოსაგვარებლად.

— ჩირაბ, ვაჟკაცი მგონიხარ და სიტყვა თუ გაგანდო, ^{მეტი} ^{მეტი} ^{მეტი} შე-
მინახავ.

საქინას ბიძას ჩირაბი არამც თუ სიტყვას შეუნახავდა, ყმად დაუღგებოდა.

— ბაშ უსტა, გამზარ, რასაც მერყვი, ჩემ გულში დაიმარხება.

— გავიგეთ, გვითხრეს, ჩემს ძმისწულზე რაღაც ამბები ყოფილა.

— მაინც რაო?

— რა ვიცი... თეაღი თუ გიჭირავს.

— ტყუილია, ვინ გითხრაო.

— აბა რა ვიცი? ქვეყნად არაფერი დაიმალება. დედაკაცის ნანახი და ნათქვამი ქვეყანას მოედება.

— მე არაფერი დამიშავებია.

— არც ვაშობ. დანაშაული რომ გქონდეს რამე, არც ესე დაგიწყებდი ლაპარაკს, ძმურად გეუბნები. გაბრთხილებ.

— რა გაფრთხილება მინდა. არც დამიშავებია რამე და არც დაფაშავებ. არც მეშინიან.

— მშიშარა ბიჭი არა ხარ, ვიცი. მაგრამ სიბრთხილე კი საჭიროა.

— რას მემუქრები. თუ ქალი მომეწონება, მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ. მუქარით ჩემგან ვერაფერს გაიტანენ.

— ბიჭო, არ გემუქრები, არც გაშინებ. გაფრთხილებ მეთქი. საბრთხილო საქმეა.

— გასაფრთხილებელი არა მაქვს რა, მე თქვენს ქალს არ ვიტაცებ. არც მომწონს.

— მით უკეთესი. მაშ შენი საქმე საშიში არა ყოფილა. — გამზარამ იცოდა თავისი ქვეყნის ახალგაზრდების ხასიათი. თავმოყვარეობა უნდა აღმღვრიოს, უნდა გააბრაზოს კაცმა და ახალგაზრდა გალომდება.

— ჩვენ მაინც ვიცით, ქალს ერთხელ სიტყვა გაუბედვ. მართალია, სიტყვა დიდი არაფერი ყოფილა, ჯეელი ყოველთვის შესცდება, ჩვენც არა ვჯავრობთ, არც ქალია გაჯავრებული, თუმცა იმ ღამეს ბევრი იტირა.

— თუ ქალი არა სჯავრობს, თქვენ რა გინდათ?

— როგორ თუ რა გვინდა? ქალი ჩვენი, ჩვენი ვართ პატრონები.

— კიდევაც იყავით. მე ჩემი ვიცი.

— მაშ შენს სიტყვას უარს არა ჰყოფ?

— ეგ მე ვიცი. თუ სიტყვას ვიტყვი, კიდევაც გავამართლებ. — ჩირაბმა ხელი ხანჯალზე დაიდო.

— მაშ რაკი, ეგეთი ვაჟკაცი ყოფილხარ, ამაღამ ჩემთან მოდი, პური ერთად ვჭამოთ. ერთ საიდუმლო რამესაც გეტყვი.

ჩირაბი მოსაუბრეს თვალბრუნებით ჩააქტვრდა: მახეს ხომ არსად მიგებსო. გამზარამ გაილიმა:

— ძმობას გეუბნები. ალახია თავდები. მართლა საქმე შექვს. მიდი. მწიწარა ხომ არა ხარ.

ჰე! ჩირაბ ოღლი არ არის მწიწარა. მივა, მივა გამბარას, ლაპარაკობს მაინც-დამაინც საშიში არაფერია. რალაც ამბავი კია. ესეთი საიდუმლოებით ლაპარაკი, ესეთი გაფრთხილება, თითქმის მუქარაც და მერე ერთად პურის ჭამა? ნეტარა უნდა იყვეს. რა დაიკავებს ჭაბუკის გულს, მეტადრე მაშინ, როცა ამ გულში ქალის თვალების ელვარება ტბად დაგუბებული და ჩემად ქანაობს, ტალღასავით. მაინც ძალიან გააღიზიანა ჩირაბი ამ ლაპარაკმა. ეს ხომ ქალის გამოა და ქალის გულისათვის დატრილებული.

სალამოთი ჩირაბი გამბარასთან ჩაისა სემდა და ელოდებოდა, რას მეტკვის გამბარაო. გამბარა კი იმ მითისა და ამ ბარისის ლაპარაკობდა, საქმეს შორს უვლიდა, ვაეის გულს ჰღევდა. ეზოში საქინამ რამდენჯერმე გაიარა. ჩირაბის თვალებმა ჩამოუხატული ქულის ბეწვებ ქვეშ გაიელვა, ნაპერწკლები გადმოჰყარა. მაგრამ საკვირველი რა არის, თუ ქალი ბიძისს იჩენება, გამბარას კი არაფერი გამოეპარა.

კარგა დაღამებამდე ითმინა ჩირაბმა, წასვლისას კი უთხრა მასპინძელს:

— მასხარად მიგდებ თუ რა არის, რისთვის მომიყვანე?

— კაცო, პური ეჭამეთ. ერთმანეთის შეგობრები გაეზდით.

— გმადლობ. კარგი სამეგობრო ხარ. ხვალ შენ მოდი ჩემთან, ვალში არ დაგრჩები. მაგრამ საქმე სხვანაირად არის: რალაც ამბავია.

— აი რა ამბავია: ქალს თალიფა გვთხოვს თავის ვაეისათვის. იმასთან მეტოქეობა კი საშიშია, ხომ იცი. ქალს თავი გაანებე, თალიფას ნუ გადაიკიდებ. ამას გირჩევ.

ჩირაბის თავი ფიქრებმა გაავსო. საიდან გაიგვს ყველაფერი? წყაროს გზაზე მომხდარი ამბის მნახველი არაეინ იყო. ეს კარგად იცოდა ჩირაბმა. კარგად ჰქონდა იქაურობა დათვალერებული: ადამიანის შეილი არაეინ უნახავს იქ. უკვე გვიან იყო. საქონელი, ნახირი სოფელში მოსული, დაბინავებული, მწყემსი ან მენახირე მინდორში აღარაეინ იყო დარჩენილი. იმ ადგილას მარტო იყვნენ საქინა, ჩირაბი, მალა ცა და დაბლა დედამიწა.

— თუ ამკითხვინეს ვისმეს... თუ არა და სხვა ვინ იტყოდა? თუ თითონ ქალმა სთქვა? რათა სთქვა? ნაწყენმა დააბეზლა? მაგრამ ნაწყენები არ არიან. სულ ერთია. საქმე გამოიმეოვნდა. ეხლა დასამალი აღარაფერია. ბრთხილად იყავიო. სადაურია. კაცს ქალი მოშწონს და ვისიმე მეშინოდეს?—გაღიზიანებულმა თავმოყვარეობამ სიყვარული გაათასა.

ყველამ შეაშინა: ჩირაბმა ხშირად დაიწყო გამბარასთან სიარული. თამამას ეზოსა და ლობესაც ხშირად ჩაუვლიდა ხოლმე. გამბარასთან რამდენჯერმე შეხვდა ქალს. ხმაეც გასცა. პასუხიც მიიღო. ქალის ბიძა და ოჯახი თვალებს იბრმავებდნენ, ჩირაბს ისიც ესმოდა გამბარას ოჯახში, ქალს ჰასან აღასთვის ვამზადებთო. ბიჭის გული იმღერეოდა: გონება ორად გაეყო: ჰხედავდა, ქალის მახლობლები ახლოს იკარებდნენ, ქალს არ არიდებდნენ, თან სხვისთვის ამზადებდნენ, თან ქორწილს აგვიანებდნენ; თუ ჰასანასთვის უნდათ, რალას უყურე-

ბენ და საქმეს აქიანურებენ. მასხარად ზომ არ მივდებენო, ჩირაბში თალღუასი და შვილის ამბავი არ იცოდა. არ იცოდა, მასხარა უგულოდ რომ ეპყრობოდა საქმეს.

სიყვარული კი ერეოდა.

სოფელი მთაში რომ წავიდა, ჩირაბს ერთი ფეხი რკინის გზაზე ჰქონდა, მეორე მთაში. თავისუფალ დროს იპოვნიდა თუ არა მთაში გარბოდა. გამბარასი მოუწორებელი სტუმარი გახდა.

ერთხელ, როგორ იყო, არ იცის თავისთავად მოხდა ესე თუ მოუწყეს საქმე, ერთ საღამოს გამბარას ბინის უკან შეეყარა ქალს. საქინა გაჩერდა, არ გაიქცა. არც დედისა ეშინოდა, არც ბიძისა. იმათი გეგმა კარგად იცოდა. გულს ნადები კი გამბედაობას აძლევდა. გული თევზის ბოლოსავით უთრთოდა. ტანზე ბუსუსი აეშალა, კაცმა ხელი რომ წააფლო და ლოყაზე აკოცა. ქალმა შეიბრთხრიალა, ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა.

ესეთი ამბები გახშირდა, გამბარას ბინაშიაც კი შეებდენ ერთმანეთს რამდენჯერმე.

— უნდა მოგიტაკო. გამომეყები?—უთხრა ერთხელ ჩირაბმა ქალს, თან თვალეში ჩააცქერდა. ქალმა თავი დალუნა. გაწითლდა.—მოვალ, ბიჭებს მოვიყვან, ცხენებს.

— არა. ეგრე ნუ. მდევარი დაგვედევნება. ცხენები, ხალხი გამოჩნდება ფეხით გავიპარნეთ. დედის და ბიძის დარიგებული ქალი უფრო კვვიანურად ლაპარაკობდა, ვიდრე ვაჟაკი.

ღამე, უგზო-უკვლოდ, ტყესა, ხეებსა და ბილიკებზე მიდიოდა ქალ-ვაჟი. რაც უფრო შორდებოდნენ ბინებს, მით უფრო თამამად და ჩქარა მიდიოდნენ. გული კი ფეხებს მიუსწრებდა. შორიახლოს გამბარას ცოლის ძმა მისდევდათ. მახლობელ სოფელში გათენებისას მივიდნენ. იქ ცხენები მზად იყო.

ჩირაბს ბინა მომზადებული ჰქონდა, სოფელ სიონში, შულავერის ზემოდ, თავის მეგობარ პეტრესას.

IV

● ● ● ●

— ჰი, თალიფ ალაფ.—გაისმა დილით თალიფას კარავთან ძახილი.—როგორი მეურვე ჰყოფილხარ.—ძახილი ძაღლების ყუფამ დაჰფარა.

ზმორებით გავიდა თალიფა ვარედ და გაჰყვირდა: კარებთან ორი ცხენოსანი იდგა: ერთი აღიბეგ აღა და მეორე მისი თანმხლები. ამას უკან უნაგირზე ქალი ეჯდა. ჩამოიკვეითეს. მეურვის წინ თავჩალუნული საქინა დადგა.

— რა ამბავია?

— აი, ჩაიბარე შენი ანაბარი. ხაჩინის ბოლოში დავიჭირეთ, ტყეში. ერთ ღამეა ბიჭს მისდევდა.

თალიფა აინთო. გაბრაზდა. ქალს დასწვდა თივებში, და კარავში შეათრია. იქ მუშტების ბრაგა-ბრუჯი და ქალის ტირილი მოისმა.

გადახვეწის შემდეგ ხალილოვის ხსენება ერთხანად მისწყდა. შემდეგ კი ისევ დაიწყო მოქმედება. ზშირად აღარ გამოდიოდა, მაგრამ ყოველი მისი გა-

ზოსელა დიდი ამბავი იყო და ქვეყანას ალაპარაკებდა ხოლმე. ოჯახი ორად გაყო: ნახევარი ოსმალეთში გადიყვანა, ნახევარი სამშობლოში დასტოვა. აქ უფროსი ცოლი ჰყავდა. ორი უმცროსი კი თან წაიყვანა, ორგანვე საქონლს კონებას. წელიწადში რამდენჯერმე გადმოლაზავდა საზღვარს, მარჯაოებოდა შინ, თავდარიგს და სარსტს მისცემდა და ისევ მიდიოდა.

ეხლაც იალალზე მიდიოდა თავის ოჯახის ბინაზე. პოლიციის რიდით მუდამ უგზო-უკვლოდ დადიოდა ტყესა და ღრეში. ამ ეამიდაც ეს გზა ჰქონდა ამორჩეული. მთიები იყო, ფერდობზე ბუჩქეფში ქალის ზურჩული რომ შემოესმა.

— დავიღალე.—ამბობდა ქალი.

ალიბეგ ალამ ყურები სცქვიტა. ცენ-დაცხენ დიუარა ბუჩქებს. ბუჩქებში შრიალი იყო.

— დამასვენე. რა დროს ვე არის. მარტონი არა ვართ. კაცი მოგდევს. წამოგვეწევა.—ზურჩულით და ეინიან-მდომიანი ხმით ლაპარაკობდა ქალი. ცხენის ფეხის ხმაზე კურდღელივით წამოხტა და გაიქცა. მას ბიჭიც დაედევნა. ჩირახმა მაშინვე იცნო ყაჩაღი.

— ალიბეგ ალაა, ჩქარა.—წასძახა ქალს, ხელი წაავლო და გაითრია. დალილ ქალს სირბილი უჭირდა. ალიბეგ ალას და მის მზღებელსაც ცხენების გარეკვაში ბუჩქები უშლიდნენ. ალიბეგამ მზღებელი ჩამოაკეციოთა და ფეხით დაადევნა. საქინას დალილილობით და შიშით მუხლთ ეკვეტებოდა. საღლაც სტვენა გაისმა; გამბარას ცოლის-მმა შორიდან მოსდევდათ. შეამჩნია ყველაფერი. გამოიქცა და ხიფათის ნიშანი მისცა პირობისამებრ. ამ სტვენამ ჩირახი და ქალი უფრო დააფრთხო. სტვენა ნიშანი უნდა ყოფილიყო მდევრისა. მდევარი არ იყო, მაგრამ ხიფათის ნიშანი მაინც მისცა. ქალმა ვაჟს ხელი გაუშვა.

— გასწი. შენ გადარჩი. მე არა მიშავს რა. მერე კიდევ მოვახერხებთ.

ჩირახმაც ყველაფერი მოისაზრა: ქალის მოპარვა გამოშვლავნდა. ეხლაც აღარც მოტაცება გამოდის და აღარც მოპარვა. თითონ რომ ჩაუვარდეს ხელში, ყველაფერი წახდება. ვინ იცის ველარც კი გადურჩეს ალაღარებს. საქინა მართალს ამბობდა: საქმე ჩირახის გადარჩენა იყო. ქალიც ველარ მისდევდა! მუხლთ მოეკეცა და ჩაიჩოქა. აღარც მოფიქრების დრო იყო. აღარც ეკამთისა. ჩირახი უფიარლო იყო და ორი შეიარაღებული კაცის წინააღმდეგ რას გახდებოდა. არც მარტო რჩებოდა ქალი. გამყოლი იყო ტყეში. მართალაა, ეს გამყოლი დაიმალა და ორი დღე აღარ გამოჩენილა. ალიბეგ ალას კაცი ჩირახს დაედევნა, მაგრამ ბატონმა აღარ გაუშვა.

— თავი დაანებე. გაუშვი წავიდეს. გამოჩნდება ვინც არის.

ჩირახი ხელებს იჭამდა, თოფი რატომ არა მაჭქსო. დაუჯერა ქალს და იარაღი არ წამოიღო. ეხლა ზედ რომ ჰქონოდა, სადმე გზაში ჩაუსაფრდებოდა, ალიბეგ ალას მოუტლავს არ გაუშვებდა. სახელიც ეჭნებოდა, მთავრობისაგან წყალობასაც მიიღებდა. აღწუხე ეჯდებოდა საქმე.

თალიფ ალა ცოფებსა ჰყრიდა. ქალსაც სცემდა, თან მის დედას ჰლანძლავდა. მზად იყო იმისათვისაც იცემნა. გულღრძო, ავი იყო და თანაც თავის

განსვენებულ ძმასავით, საქინას პაპა დურსუნასავით ფულის ხარბი. მხოლოდ კი, დურსუნა უფრო ჭკვიანი იყო, საკუთარ თავის ფასის მცოდნე. თალიფა არ იყო ჭკვიანი, ფიცხი იყო, იმის შეილს ხომ სოფელმა სარსალმა დაბრუნა. დურსუნა ჭონებას ანგარიშით და მომჭირნობით იძენდა, თალიფა კი წაგლეჯით, ხარბობით, ნაქურდალის შეძენით, რასაც საქინას უპირებდა, ისიც ჭურდობა იყო—იმისი მიყვანა შინ რძალად და იმისი ჭონების ხელში ჩაგდება.

საქინას საქციელი, გაპარვა, ბევრი რამის ნიშანი იყო: დედა და ქალი მეურვის მძძანებლობიდან გადიოდნენ, ქალს სხვაზე ჰქონდა გული, მას დამოუკიდებელ მოქმედების უნარი ეტყობოდა. ყველაფერი ეს ხომ სახიფათო იყო თალიფას მიზნებისათვის.

მეურვემ ცემით რომ გულზე იჯერა, ქალს ხელები გაუტრა, კარავში დააგდო და თამამასთან წავიდა.

— გოგო სად არის?—ჭკითხა გაბრაზებულმა თალიფამ თამამას.

— ბიძასთან არის, გამბარასთან.—ფერწასულმა უპასუხა თამამამ. გული საგულედან ამოუვარდა: ნუთუ გამომკლავნდა ყველაფერი? ვინ ვასცა? საქმე ისეთი საიდუმლოებით იყო მოწყობილი.

— გამბარა ამბობს, დედასთან არისო—იცრუა თალიფამ—შენ ამბობ იქ არისო. რას მასხარობთ!

— შენ თითონ რას ამბობ კაცო!—დაიძახა თამამამ და ძირს ხალიჩაზე დაეშვა.

— ეგრე უგდებ ყურსა? შენ მოგანდე, დედა ხარ მეთქი, მე კი მხდი პასუხის მგებელს კანონის წინაშე?—ღრიალებდა თალიფა.—შენ ვინ მოგცემს ნებას, ჩემი ნათესავი, ჩემი ძმისწულის წული ეგრე გარყვნა და გააფუქო. ამის შემდეგ ველარ ჰანაბო შენი ქალი. ჩემთან იქნება.

Y

ახალი ხანაძო

აღობეგ ალა მარტო ოჯახის დასათვალაფერებლად არ მოვიდა. სხვა საქმეებიც ჰქონდა. დიდი ხანია თვალი უპირავს გერმანელთა ფერმურებზე, იმათ ჭონებაზე. ეხლა ამ საქმის ვაკეთება მოუნდა. ოსმალეთში მას უპიროსი ცოლი მოუყვდა და ახლის საქმენელადაც გადმოვიდა. ორომოცს გადააბიჯა, ორი ცოლი კიდევ ღარჩა, მაგრამ მესამეს ეძებდა: მხარ-ბეჭიანი, ჭარმაგ-სახსლოანი თეთრწითური მამაკაცი ჯერ ისევ მძალეოად ღელავდა. ჭონებაც ნებას აძლევდა და რატომაც არ დაეტებო დღენი სიცოცხლისანი.

ქალი რომ ტყეში დაიჭირა, მაშინვე გადააელო თვალი და როცა გამოკითხა და გაიგო ვინაობა, ყველაფერი გადასწყვიტა, მაგრამ ჯერ გუნებაში შეინახა: ჯერ ის დიდი საქმე უნდა მოეგვარებინა და მერე ამაზე დაიწყებდა ფიქრს: რა თქმა უნდა თალიფა უარს არ ეტყვის.

შეუდგა გაძარცვის საქმეს. ტყეში დაბანაკდა. თავის ბინას შორს უგლიდა და თუ მივიდოდა, ისიც ღამით, თან მთელს გზებს შეჰკრავდა და ყარაუ-

ლებს აყენებდა. მთელი ბორჩალოს ნაძირალები და ყაჩაღები შეინძრნენ და ალი-ბეგას გარშემო შემოიკრიბნენ. მასთან მოდიოდნენ, როგორც სალოცებში, ისიც არჩევდა, ვინც მისთვის საჭირო იყო. ხალხს ამზადებდა, გზებს მკვლავებდა. მხვერვაეები გაჰგზავნა ფერმაში. ორი კაცი მოჯამაგირებდა და აქვინა იქ. ამითით დაწვრილებით შეისწავლა ფერმის ყოველივე კუთხე, მისავალი და გასავალი, სად რა ინახებოდა, სად რა იყო. ცოლის შერთვის აზრი თავიდან არ გაუშვია: საქინა თითქმის დაავიწყდა. თუ სადმე მოჰკრავდა მოსაწონ ქალს თვალს, მაშინვე აქვეტდა ყურებს, ნდომით აივსებოდა და სისხლი აუღულდებოდა ხოლმე.

როცა ყველაფერი გააწყო და დარწმუნდა, ფერმის გაძარცვაში ხელს ველარაფერი შემოშლისო, ცოლის შერთვის საქმეს დაუბრუნდა.

პირდაპირ მივიდა თალიფასთან.

მეურვემ მისი სურვილი რომ გაიგო, თავში წვეთივით დაეცა რალაცა. ხალილოვს უარს ვერ გაუბედავდა, არა-და ყველაფერი ეფუშებოდა. ხალინაზე იჯდა ყაჩაღის გვერდით, თავი ჩაელუნა და საკუთარ გულის ცემას უგდებდა ყურს. რა პასუხი მისცეს? ალიბეგ ალა ამ ყოყმანს ატყობდა და მიზეზს ვერ მიმხვედარიყო. უარს რომ ვერ ეტყოდნენ, ეს თითონაც იცოდა. დააქებდა თალიფას და გაიფიქრა:—ვიცი, ვიცი, რაც ამბავია შენს თავს. ქონება შენს ხელშია, ქალი რომ გაათხოო მზითვეის ვაცემა დაგჭირდება. ადილაც თავისას მოითხოვს. შენ ცარიელზე დარჩები.—რასაკვირველია, ალიგებას შეეძლო მზითვზე უარი ეთქვა, მაგრამ თალიფას ეს ვერას არგებდა: ქალი გავიდოდა მისი ხელიდან, ადილა დაეპატრონებოდა ქონებას. თალიფას იმიტომ ეკირა ხელში ქონება, რომ ქალიც მის ხელში იყო.

— ზეი, ვგრე თუ შეხედე საქმეს, შენ ქალს ვერ გაათხოვებ.—ფიქრობდი ალიბეგა და პასუხს ელოდა.

— მაგ საქმეს მარტო მე ხომ ვერ გადავწყვიტ. ქალს დედაცა ჰყავს, ძმაც ბიძაც. იმათაც უნდა დაეკითხნეთ.

— იმათ რა დაკითხვა უნდათ. მეურვე შენა ხარ.

— ჰო, მაგრამ ისინი ხომ მაინც ნათესავნი არიან.

თალიფას ერთი რამის იმედი ჰქონდა: კარგად ჰხედავდა, რომ ალიბეგა აქ დიდი ხანი დარჩა. ალბად რალაცას აპირებს, ალბად ვილაცას გასცარცავს. ვის ვაცარცევს, ჰლამობდა ხალილოვი, თალიფამ არ იცოდა. მთელს ბორჩალოში მხოლოდ ალიბეგას თხუთმეტმა კაცმა იცოდა, მაგრამ თალიფას გუჟანი მაინც ჰქონდა. ალიბეგა ამ საქმეს გააკეთებს თუ არა, აქ ველარ დარჩება. მაშინვე უნდა წავიდეს. ეხლა თუ ცოლის საქმე დაიწყო, ალბად წასვლას მალე აპირებს. ცოლს გაჰგზავნის ოსმალეთში და მერე თითონ წავა. მაშ თალიფა თუ საქმეს გააჰიანურებს, ალიბეგ ალა ველარ მოიცილს: ბევრი-ბევრი ერთი კვირა კიდევ მოუბდეს აქ დარჩენა. ხომ საშიშია მისი აქ ყოფნა.

— კარგი, ვგრე იყვეს. იმათაც დაეკითხნეთ.—დისთანხმდა ალიბეგა. სულ ერთია ვერც ნათესავები იტყოდნენ უარს.—ხომ აქ არიან ქალის ძმაც, ბიძაც და დედაც. თამამა უარს ვერ მტყვის. მე იმისი ქმრის მგვობარი ვიყავი.

თალიფასაც ეს უნდოდა: ამ ქამად კი მოიწოროს ეს კაცი და მერე იფიქრებს რამეს.

თალიფას თავის შვილზე ეხლა უფრო მოუვიდა გულს, ვიდრე თავის მამას, ის კი საღივად გადიკარგა. აღზად ლოთობს საღმე და ქალღმერთს თამაშობს. აქ რომ ყოფილიყო, ამ ხაფხულს უკვე გათავებულნი ენებოდა საქმე. ეხლა ეს ხათაბალა, ალიბეგა, ველარ გადაეკიდებოდა. მაგრამ მთელი ხაფხული რიგიანად არ უნახავს მამას შვილი. საქმენელადაც კი გაგზავნა კაცები, მაგრამ შვილის ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. ასეთი გადაკარგვა ხასანამ ხშირად იცოდა. ჩაიკდებდა ხელში ფულს და მერე სანთლით საქმენელი ვახდებოდა ხოლმე.

ალიბეგ ალა მერე დილით მივიდა თალიფას ბინასთან. აქ ჟთბრეს: წუხელის ამბავი მოუვიდა, ჰასანა ალა ტფილისში დაუქვრნიათ და იქ წავიდა საჩქაროდ. ამბავი დაეგდო: დამიკადოს, ვიდრე მოვალა.

ხალილოვმა თავი გადიქნია: თალიფას ბიკი სხვა დროსაც ყოფილა დაქვრილი, მაგრამ მამას ესე თავი არასდროს გამოუდგია.

— გამეპარა. თავი მოპარიდა.— დარწმუნდა ალიბეგა. მაგრამ აღარც დაყოვნება იზნებოდა. ის საქმე ელის. ბეჭებიც მზად არიან. პოლიციასაც შეუძლიან გაიგოს მისი აქ ყოფნა და დაედევნება. დაღუბა თავი ხალილოვმა და გამზარს მიადგა ცხვარში: ჯერ ამით მოელაპარაკება, მერე თალიფასთან გააწყობს საქმეს, თუნდაც ოსმალეთიდან.

გამზარამ ალიბეგას სათქმელი მოუსმინა და პირი ღია დარჩა: მაინც რას იზამდა?

— ალავ, შენ უარს ვერ გიტყვი. ორი ხელმწიფის ქვეყანაში გაქვს სახელი. ფულიც, ცხვარიც, ყველაფერით სავსე ხარ, მაგრამ მარტო მე ვერ მოგცემ პასუხს. ქალის დედასაც დავეკითხნეთ. მერე კიდევ, უმეურვეოდ ჩვენ ხომ ვერას ვიზამთ.

— თალიფას მე მოელაპარაკები. ჯერ თქვენი თანხმობა იყვეს. თითონ მითხრა, ჯერ თქვენ მოგელაპარაკოთ.

— აბა, მე თამამას ვეტყვი.

— ეხლავე. მე დრო არა მაქვს. წასვლას ვაპირებ.

გამზარა მაღალ ქვაზე შედგა, ჰაერი ბლომიად ჩაისუნთქა, პირი თალიფას ცხვრებისაკენ ჰქნა და დაიყვირა:

— ადილ, ჰაი, ადილ! თამამას დამიძახე. საქმეა.— ძახილი ერთ ვერსზე გასწვდა. მერე იქიდან გაისმა ესეთივე ძახილი. ერთი საათის შემდეგ თამამა მაზლისა და ალიბეგას წინ იდგა.

ხალილოვმა შეხედა თუ არა თამამას გაჰყვირდა. დიდი ხანია ეს ქალი არ უნახავს. გაზრდილა; ეს ქვრივი სწორედ ეხლაა ქალი, გავსილა, გაბადრულა. ძველებური სინაზე, წვრილი წელი, შავი, ძალიან შავი თვალები, წურბელასავით გაწოლილი წარბები, მაღალ მკერდს ნაოჭებიანი ხალათი ვერა ფარავდა. ყაჩაღში მამაკაცმა ერთბაშად იფეთქა. მალე შეათვსა ეს „საქონელი“. ალიბეგას საფეთქლებში ბავა-ბუგი დაუწყა.

ეს ოცდაათი წლის ქვრივი სჯობიან თავის თექვსმეტი წლის ქვრივს. ალი-
ბეგას სურვილმა საქინას თხოვებისამ თამაჰაც გააკვირვა. მაგრამ რა დაიბნა.
თავი დადუნა და მაზლს უთხრა:

— ალას უარს ვერაფერ ვტყვის. მაგრამ ქალი თალიფ ალას თავის ვაჟის-
თვის უნდა. შეურვე ის არის. თანაც ქალი ჯერ პატარაა. ვინა აღამ არ იცის?
მიგის ხელშია დაბადებული.— განგებ დაატანა თამამამ, აგრძნობინა ხალილოვს,
ქალი შენთვისაა პატარაო.

ალიბეგას სიცილმა ცხვრები დააფრთხო. ერთბაშად მიხედა თუ რად ყო-
ყმანობდა თალიფა. რად აურია გზები, რად გაეპარა.

— ეგრე ეთქვა, არა სჯობდა? რაღას მიედ-მოედებოდა?

— ალბად პირდაპირი უარი ვერ გთუბედა ალას.— სთქვა თამამამ და მაზლს
შეხედა.

— ეს დედაკაცი მართალია. ქალი პატარაა ჩემთვის. რაც გინდათ ის
უყავით.

ხალილოვს აზრები შეეცვალა: თუ საქინა სჯობდა მის გარდაცვალებულ
კოლს, თამამა ათჯერ უკეთესი იყო. თამამა დედაკაცია, ოჯახის კარგი მომე-
ლელი, თავშენახული. ეს იცის ალიბეგამ. ამის წაყვანა სახლში ერთი სიკეთე
იქნება. არც თალიფას წყენინება ღირს.

ფერმა გასცარცვეს, საუცხოვოდ ჩაიარა ამ საქმემ.

ალიბეგა ალა კიდევ დიდი ხნით მოშორდა ბორჯალოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ორას ათასი...

(რურის ლოკატის გამო)

1. ჩვენ

გაგვაძევეს თუჯის ქარხნიდან
ფოლადის საღებავი ქარხნიდან ჩვენ გაგვარიდეს,
ეს იყო კრუპი, კლეკენერი, იყო ტისენი
(ან როგორ უნდა ჩამოვთვალო ყველა ისინი)
ჩვენ

რურთან ვდგავართ დარაზმული
ორას ათასი.

2. თქვენ

თუ გინახათ შექარხნები

(მორგევიით მრგვალი, გარანდული მუხის ნამორი,
თუჯის კოშკივით ალანძელი, ლაელაგა მძორი.)

სუფრის გარშემო შემოშხადარი, ჩვენს კერძა ნთქავენ-
აწკრიალებენ

შამპანურით სავსე ბოკალებს,
ამრიალებენ

სისბლიან თვალებს,

რბილ საგარძლებში ფეხგაკიმული.

მათი ცხოვრების ერთად ერთი

არის სტიპული

ვით მოინელონ

ჩვენი ლუკმა და ნაოფლარი.

სიგარის ბოლი მოოქროვილ

პირიდან ხრჩოლავს, დაუცხრომელად

შამპანურის იცლება თასი.

ჩვენ კი;

ჩვენ მიჯნას გადაღმა ვდგევართ,

ჩვენ სულ ვიქნებით ორას ათასი.

3. ხავერდის მძიმე პორტიერებით

დაგმანულ ფანჯრებს მოფარებული

ამ პატივცემულ გვაზთა კრებული,



რონინობს მწვიდად.
 (მათ ანებებებს ბედი უწყალოდ).
 მეფულე ამბობს:
 ჩემო ფერცხალო
 სად გავატაროთ შობის დღეები?
 მეორე,
 მქისი, წყლისფერთვალემა
 თვალს გადაავლებს ნახშირის ზვინებს
 და ტელეფონით ათას მარკიანს
 ბილეთს უკეთავს ცეპელინისას
 ჩვენ კი,
 სიშშილში,
 სიცივეში,
 სიბინძურეში,
 აქ დავლასისებთ აჩრდილებსავით.

ნოემბრის შტორმი
 აზანზარებს გაძარცულ ზეებს,

და ჩვენ აქ ვდგავართ
 ო რ ა ს ა თ ა ს ი :

4. ჩქარა ვაზნები...

ძმებო ფოლადის
 შეტყარით სალტე,
 პოლიციელებს დაუპყრიათ მთელი ქალაქის პოზიციები.
 ვინ მოისაზრებს:

ამ გარეწარებს
 რა უდევთ გულში.

ძმებო გამოდით
 ქუჩებზე მწკრივად!
 ჩვენ არ გვაქვს შიში.

დაჰკათ განგაში
 და ერთობლივი მივიტანოთ ჩვენ იერიში.

შტორმი ისეთი,
 დაქადნება ნოემბრის ახდეს,
 შტურმი ისეთი,

რომ შიშისაგან მტერი დაგლახდეს,
 როგორც თერამეტში.

ძმებო ნუ გძინავთ,
 და სიძულვილი
 ქუჩებზე ქშინავს.



ამ სიძულვილში გაიწვრთნება

ორასათასი,

5. უფალ დირექტორს მიაქანებს როლსი-როასი, **ერყენულში**
მანქანა მხოლოდ ოთხმოც ათას მარკას შეადგენს **ნიგლეჩი**
კარგია,

რბილად ოთხმოც ათას მარკაზე ქროლეა,

იჯდე ნებივრად,

ილიმებოდე, თავაზიანი, მშვიდი ჯენტლმენი.

ისეთი ზრდილი, გემოვნების დიდის პატრონი

რა ჰქნას ბედშავმა იძულებით დადის ავტოთი,

დღეს იძულებით მიდის ქალაქად.

დიდ რესტორანსაც იძულებით ეწვევა ხშირად.

ძვირფასს ავტოებს იძულებით თუ შეუყვითავეს,

მეტე რა გზა აქვს,

იძულებით იშენებს ვილღებს.

(მანდ დავატყედიოთ ათი-ათას მუშის ცოლშვილებს.)

დროა უთუოდ

ეს წამებული

ჩვენ ვაახატოთ იძულებისგან.

6. რიტორი ამბობს:

ომის მოგებით გასუქებულნი

ლორმუცელები სკამენ, სქდებიან,

სამაგიეროდ მუშაობენ მუშის ხელები.

ფული ეცემა...

და ახლა,

ახლა ამხანაგებო

ჩვენი დაზგები და სახელოსნო ძმათა სამარხებს დამსკავსებია.

მკედრული სიჩუმე

რურს დაფლოპია

ჩვენ კი აქ ედგავართ

ორასათასი.

7. ომის აჩრდილი რურს დაფარფატებს,

და ამბობებას იწყებს ნახშირი.

ნახშირი რაა? სიძულვილი გვჭირია ჩვენა,

აქ არის ჩვენი სიძულვილის დიდი ბუდობი.

მოვა გრიგალი სიძულვილის თუჯის ქარბნებში

ჰხამს ჩვენს ქურბში ამიშინდეს თვით სიძულვილი.

ჰა, სიძულვილი ერთობლივად დამწყრივებულა,

ქუნას მოედო სიძულვილის ალი ძვირფასი,

სალაშქროდ მოდის, დარაზმული ორასათასი.

თარგმანი გერმანულიდან **უ. ურო-ელისა**

არტამონოვიის საქმე*)

(დისასრული)

იაკობი ამჩნევდა, რომ ბერი ძალიან დაუმეგობრდა ოლგას. ნიკიტას პატივს სცემდნენ უსიტყო ვერა პოპოვაც და მირონიც კი, რომელიც სიამოვნებით უსმენდა ბიძას, როცა იგი თავის მოგზაურობაზე მოუთხრობდა. ან ადამიანების შესახებ რასმე უამბობდა, თუმცა მირონი მამის სიკვდილის შემდეგ უფრო ამაყი შეიქმნა და მშრალი. იგი ფაბრიკას განაგებდა, როგორც უფროსი და იაკობს ისე უყვიროდა, თითქოს მისი მოსამსახურე ყოფილიყო.

ნატალიას წითელ გაბერილ სახეს ნიკიტა ისევე აღერსიანად უცქეროდა, როგორც ყველას და ყველაფერს, მაგრამ მას უფრო ნაკლებად ელაპარაკებოდა, ვინემ სხვებს, თვითონ ნატალიასაც თანდათან უნებლდებოდა ლაპარაკი, იგი მხოლოდ სუნთქავდა.

ტიხონს ნიკიტა რაღასაში არ ეთანხმებოდა. ისინი ერთმანეთზე გამწყრალეები იყვნენ, აღარ კამათობდნენ. ისე უვლიდნენ ერთმანეთს გვერდს, თითქოს ერთი მეორეს არც კი ხედავს.

იაკობის ცხოვრებაში ბერის შავი ფაგურა ერთი ზედმეტი აზრდის სახით შეიჭრა. ბერის სანახაობა მას მძიმე წინათგრძნობას უღძრავდა. მისი შავი, გამზმარი პირისახე იაკობს სიკვდილს აღანდებდა.

იაკობ არტამონოვი ყველაფერს, რაც სახლში ხდებოდა, საკუთარ თავზე მზრუნველობის თვალსაზრისით უცქეროდა. ეს მისი მზრუნველობა თუმცა თანდათანობით მატულობდა, მაგრამ მათ ოჯახსაც მეტი ფორიაკი ემატებოდა. სიყვარულის საქმეში დაცდილი მამაკაცის გრძნობა მას იმას ეუბნებოდა, რომ პოლინას მასზე გული აქრუებული ჰქონდა, ხოლო პორუჩიკი მაგრინი იაკობს ამ ეჭვს უდასტურებდა. როცა იგი იაკობს შეხვდებოდა, ავდებულად მიიღებდა თითს ქულზე და თვალების წკურვით აძლევდა სალაშს, თითქოს რაღაც შორეულს და ძალიან პატარა რასმე ამჩნევსო, მაშინ როდესაც წინად უფრო თავაზიანი იყო და ქალღმინის თამაშის დროს, თუ ფულს წაეთესხებოდა ან ვალის გადახდის ვადის გაგრძელებას სთხოვდა, შექვებით მიპართავდა:

— თქვენ, არტამონოვო, არტილერიისტის ტანადობა გაქვთ.

ან ასეთ რასმე სასიამოვნოს ეტყოდა. იაკობსაც თავს აწონებდა ასეთი ქათინაურის მოსმენა ისეთი კაცისაგან, რომელიც ისეთი მოქნილი იყო, რომ

*) იხ. ყურ. „მნათობი“ № 2-3.

მთელ ქალაქს აკვირებდა თავისი სიმაღლით, ღონით და მასში უმეტესად დაფარული სიმაშაყითა და თავხეხილულობით. იგი ხალხს პირდაპირ სახეში უმზერდა მგერალი ქვისებური თვალებით და ისე ლაპარაკობდა, თითქოს ბრძანებლობსო:

— შე გულგრილი აღამიანი ვარ, გადაჭარბება მძულს.

ერთხელ ფოსტის უფროსს დრონოვს წაეჩხუბა ქალაქის თამაშის დროს. ეს დრონოვი ავადმყოფი კაცი იყო, მაგრამ გესლიანი ენის პატრონი მოხუცი, რომლის ყველას ეშინოდა ქალაქში. მაგრინმა ჩხუბის დროს უთხრა:

— არ გადაეაყვებ, მაგრამ თქვენ დაბერებული სულელი ხართ.

მაგრინი თავის მოწინააღმდეგედ მიაჩნდა იაკობს, მაგრამ მასთან შეტაკების ეშინოდა. თუმცა მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ქალს ამ პორტოკის დაუთმობდა. პოლინა მას თანდათან უფრო მოსწონდა, მიუხედავად ამისა, იგი არა ერთხელ გაუფრთხილებია:

— ფრთხილად იყავი, თუ შევამჩნიე, რომ მაგრინსა და ზენს შორის რამე არის, დაგტოვებ, გაგიშვებ.

ამასთან ერთად ნოსკოვიც აწუხებდა. ნოსკოვი მას ქალაქის განაპირას, ვატარაკუნს ზღვითან ხედებოდა. უცხად, თითქოს მიწიდან ამოძვროდა, წინ დაუდგებოდა ქედმოხილი. ბეჯითად, თითქოს იაკობი ვალდებული ყოფილიყო, მუდამ ფულს სთხოვდა და თან ქედში იტყირებოდა.

— ჩემი სამსახური გამოგადგებათ. აქ კვლავ სდგება კომპანია და მოქმედებას იწყებს.

— ეს კომპანიები ჩემი საქმე არ არის, — გაჯავრებით ეტყუოდა იაკობი. ნოსკოვის პასუხი ამაზე აშკარად თავხედური იყო.

— რა თქმა უნდა, თქვენ კი არ აწყობთ მის, მაგრამ საქმეხომ თქვენ შეგებებათ.

— სამწუხაროა, რომ მაშინ არ მოვკალი, — მეთავეჯერ გამოსთქვამდა მწუხარებას თავის გუნებაში იაკობი, მაგრამ ფულს მაინც აძლევდა ჯაშუსს და ეუბნებოდა:

— ფრთხილად იყავი, იცოდე.

— ვიცი...

— შე არ გამრიო.

— თქვენ რათა? დარწმუნებული იყავით...

— ეტვი არ არის, სულელად მთელის...

იაკობს არტამონოვს კარგად ესმოდა, რომ ნოსკოვი სასარგებლო კაცი იყო, მაგრამ იმავე დროს დარწმუნებული იყო, რომ ეს ფართე სახიანი, ბრუნდ ფეხებზე შემდგარი მონადირე სამაგიეროს გადაუხდიდა მას რევოლვერით დაპრისათვის. ამის მოწადინებელია აღზად იგი. შეუძლია მუშები მოისყიდოს იმ ფულით, რომელსაც მას თვითონ იაკობი აძლევს, ან მექარით აიძულოს, და მოაკლევინოს. უკანასკნელ დროს იაკობს კიდევაც ეჩვენებოდა, რომ მუშები უფრო ყურადღებით და მტრულად უცქეროდნენ მას.

მირინი ახლა უფრო ხშირად ამზობდა, რომ მუშები იმატომ კი არ ღელავენ, რომ თავიანთი მდგომარეობა გააუმჯობესონ, არამედ იმისთვის, რომ მათ

შეუსაბამო, გიჟურს აზრს აგონებენ გარეშენი:—თქვენ უნდა ხელთ აიღოთ ბანკები, ფაბრიკები და საზოგადოდ ქვეყნის მთელი მეურნეობაო.

— ეს სოციალიზმი კი არ არის, არამედ ეშმაკმა იცის რამ უნდა მსეთი შეუსაბამობის მომხრეა სწორედ შენი ღვიძლი ძმა. ჩვენი მთავრობა, მსგავსი აქორცილების მთავრობა...

იაკობს კარგად ესმოდა, რომ ასეთ რასმე შიშონი იმისთვის ლაპარაკობდა, რათა თავის თავიცა და გამგონეც დაერწმუნებინა, რომ მას უფლება ჰქონდა სახელმწიფო სათათბიროში მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, ძმის სიტყვები იაკობს შიშსა გერიდნენ და იმ შეგნებას უძლიერებდნენ, რომ ის სრულიად უმწიფო იყო ამდენ მუშებს შორის. ერთხელ მან მართლაც განიცადა საშინელი შიში: იგი დილით ადრე ფაბრიკის ეზოში ამტყდარმა ყვირილმა და აყალმაყალმა გამოაღვიძა. ბალიშზე თავი ასწია და დაინახა, რომ საწყობის თეთრ კედელზე აღამიანების აჩრდილები გარბოდნენ, მალა ბტებოდნენ, ხელებს შლიდნენ და ისეთ ამბავს ატრიალებდნენ, თითქოს მთელი საწყობი თან მიაქეთო. იაკობს ცივმა ოფლმა გადაასხა, უხმოდ იყვირა:

— აჯანყება...

მაგრამ აღამიანებზე უფრო საშინელი აჩრდილები ეს დოღი მალე გაჰქრა. იაკობი მიხვდა, რომ ფაბრიკის ჰისკართან ჩვეულებრივი სცენა გაიმართა, რასაც ყოველ ორშაბათს ადგილი ჰქონდა,—კვირის მეორე დღეს მუშები თითქმის ყოველთვის ჩხუბობდნენ. მაგრამ იაკობის მეხსიერებაში წაუშლელი კვალი დასტოვა ამ მყვირალა აჩრდილების რბენამ. საერთოდ ცხოვრება ისე საშიშარი ხდებოდა თანდათან, რომ გაზეთის დანახვაც კი უსიამოვნებას იწვევდა და მის წაკითხვაზე გული არ მიუდოდა. რაც უბრალო, ნათელი იყო, ყოველივე გაჰქრა და მისი ადგილი გაუგებარმა რამემ დაიჭირა: მოვიდნენ ახალი აღამიანები.

ტატიანამ ნოვგოროდიდან საქმრო ჩამოიყვანა, ვილაც ხმელი, მოწითალო კაცუნა, რომელსაც ინტენერის ქუდი ეხურა. მსუბუქი იყო. ცქვტი, ძალიან მზიარული. ტატიანაზე ორი წლით უმცროსი იყო. სახლში ყველამ, ტატიანასაგან დაწყებული, მას მიტია უწოდა. გიტარაზე უკრავდა და ამღერებდა. ერთი სიმღერა იცოდა, რომელსაც ხშირად ამბობდა. იაკობს ეჩვენებოდა, რომ იგი ამ სიმღერით მის დას შეურაცხყოფდა. დედასაც დიდად აჯავრებდა.

— Жена моя в гробу.

Рабу

Устрой, господь, твою

В раю.

მაგრამ დას ეს საწყენად არ უჩნებოდა. მასაც, როგორც სხვებს, დიდად აბოძებდა ეს კაცი. დედა ხშირად ეტყოდა ხოლმე:

— ეჰ, შე ქიკვაჯო... კარგად მღერი, ჯამბაზო.

მიტიას მტრედით ბეჭრი ჭამა შეეძლო. უფროსი არტამონოვი ათვალეობდა მას, როგორც სიხმრად ნაბულს, და უკვირდა, თვალების ხამხამით ეკითხებოდა:

— რაკი ასეთი ხასიათი გაქვს, უთუოდ სმაც უნდა იცოდე. სვამ?

— შემძლია, — უპასუხა სიძემ და ვახშამზე მართლაც დაუნტყვივ, რომ სმა შესძლებია.

იგი ყველგან ნამყოფი იყო, — ვოლგაზე, ურალზე, ყირიმში, მთავრად კი კავკასიაში. გამოუღვებლად იცოდა სამხიარულო ამბავი, მოთხრობა და სასაცილო სიტყვები. ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს, ეს-არის, უზრუნველ მხიარულ ქვეყნიდან მოვიდაო.

— ცხოვრება და ლამაზი ქალი ერთია! — ამბობდა იგი. მოსვლისთანავე ჩაება საქმეში. მუშებს მოეწონათ. ახალგაზრდობა იცინოდა, ძველი მუშები თავის ჭნევით უწონებდნენ საქციელს. მირონსაც კი, როცა მის სიცილით გაბრკვევილებულ სიტყვებს ისმენდა, ტუჩებზე ღიმილი გადაეკრებოდა, და რომ არ შეემჩნიათ, ზედ ენას ვადისობდა და წაიშლიდა.

იაკობს ჰშურდა ამ კაცის ხასიათი. მაგრამ მისადმი უცნაურ უნდობლობას გრძნობდა. ეწვევებოდა, რომ იგი დიდი ხნით არ იყო აქ მოსული. დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ თავს აქტიორად გამოაცხადებდა, ან პარიკმახერად, ან ისევე მოვლოდნელად გაქრებოდა, როგორც გამოჩნდა. მას კადევ ერთი კარგი თეი-სება ჰქონდა: როგორც სჩანდა, ხარბი არ იყო, არც კი კითხულობდა, თუ რა მზითვეი მისცეს ტატიანას, თუმცა ამ შემთხვევაში, იქნება, ეს თვითონ ტატიანას ოინიც იყო. მამა კი, როგორც ფხიზელი კაცი მაინც ამბობდა:

— აი, ვისთვის ვემუშაობდი თურმე.

მირონსაც შეერთო ცოლი.

— მომეცით ნება წარმოგიდგინოთ ჩემი ცოლი, — სთქვა მან, როცა მოსკოვიდან ჩამოვიდა, და ცისფერ თვალბიანი, შესუქებული თოჯინა წინ წამოაყენა, რომელსაც თავი ცოტა გვერდზე ჰქონდა დახრილი. მირონის ცოლი პატარა სათამაშოს მაგვარი ქალი იყო. მაგრამ ეს სათამაშო ისე განსაკუთრებულად იყო გამოკვეთილი, რომ იაკობს იგი ნამდვილ ქალად ვერ წარმოედგინა. უფრო ფაიფურის ფიგურას აგონებდა, ზიძა აღეჭვის საყვარელ სათხე რომ იყო მიკრული:

ამ ფიგურას თავი მოტეხილი ჰქონდა და მერე ცოტა განზე მიწებებული.

მირონმა იფუჟა ყველას, რომ მის ცოლს ანა ერქვა და რომ იგი თვრამეტი წლისა იყო. ის კი დაფარა, რომ მზვითვად მეოთხედი მილიონი მანეთი მიიღო და მისი ცოლი ერთად ერთი შეილი იყო ქალაღდის ფაბრიკანტისა.

— აი, როგორ ირთავენ ცოლს! — ბუზღუნობდა მამა და გაწითლებული თვალებით შესცქეროდა იაკობს. — შენ კი, ეშმაკმაც არ იცის, ვისთან გაქვს საქმე. ილიაც ნაგავივით გაგვავეთ სახლიდან.

მამა ძლიერს დადიოდა, მას ამძამებდა დამბალი, სიბერისაგან დაშლილი ტანი. იაკობს ეჩვენებოდა, რომ მამას აბრაზებდა მისივე ტანი და ამიტომ იყო, რომ განზრახ ააშკარაებდა მოხუცებულობის შემზარავ სიშიშვლეს. თითქოს თავს იწონებდა, ლამის პერანგსამარა დაიარებოდა, უქამრო ხალათი მოგდებულს, ხორცი-მოშვებული ღია მკერდით, ისევე, როგორც ამასწინად ელუნეს გასაჯაერებლად დადიოდა. ხანდახან იგი კანტორაში ჩავიდოდა. დიდხანს რჩე-

ბოდა იქ და იაკობს ხელს უშლიდა. სწივოდა რომ მთელი ღღნე ფაბრიკას შეა-
ლია, მერე კიდევ შეიღებს; მთელი ცხოვრება მძიმე ჟღელში შებმული გაატარა,
ჯადისა დი ზრუნვის ორომტრიალში, ყოველგვარ სიამოვნებებსა მოკლებული.

შვილი უსმენდა და სდუმდა. ატყობდა, ეს ჩივილი ვაბრძა! იმისა, რომ
მამას გულს უოხებდა, რაღაც დიდად აჩენდა მას. სამრეკლოს ამსგავსებდა რომე-
ლსაც მზე ამოსვლისას უფრო ადრე დაინახავს ხოლმე, ვინემ ადამიანების ჩვეუ-
ლებრივ სადგომებს, ხოლო ჩასვლისას, მას უკანასკნელს ეთხოვება. ამ ჩივილი-
საგან იაკობს ერთთ დასკენა გამოყავდა, სახელდობრ ის, რომ ისე ცხოვრება,
როგორც მამამისი ცხოვრობდა, ამიერიდან შეუძლებელი იყო.

იაკობი ხედავდა, რომ მამამის, როცა ამ გვარი ჩივილით გულს მოიჯერებ-
და, სხვისი წყენებისა და შეურაცხების ქავილი აუტყდებოდა. იგი მიდიოდა
მოხუცებულ ცოლთან, რომელიც ბაღში გამაველ ფანჯარასთან იჯდა და ხელები
ზედმეტი ბარგივით მუხლებზე დაწყობილი ჭონდა და უახროდ უცქეროდა ერთ
რასმე წერტილს. გვერდით მოუჯდებოდა და ეტყოდა:

— რაზე ჩაფიქრებულხარ? ვაბერილხარ, მაგრამ მაინც აღარაინ არ გამჩ-
ნეეს. შეილებიც კი ვერ განჩნევენ. ტატიანა მზარეულ ქალს უფრო თავაზია-
ნად ესაუბრება, ვინემ შენ. ელენეს კი სულაც დაავიწყდი, აღარ ჩამოდის. სანს,
ახალი საყვარელი გაიჩინა. ილია სად არის?

მაგრამ ცოლის გაჯავრება მოსაწყენი რამ იყო. მის წითელ სახეზე იმ-
დენი ცრემლი დადინდებოდა ოფლივით, თითქოს თვალებით მხოლოდ კი არ
გამოუდიოდა, არამედ ლოყის დაჭიმული კანის ყველა წერტილიდან, გაორებული
ნიკაპიდანაც და აგრეთვე ყურების ვარსიდანაც.

— ჰე, წყალი წყალი, — ზიზლით ჩაიბუზუნებდა მოხუცი და ცოლს მოშორ-
დებოდა ხელების ისეთ ნაირი ვასავსავებით, თითქოს კომლისაგან თავს იცავსო.
არა, ცოლს აღარ შეეძლო მისი შექცევა.

იაკობს მამა არ აჯავრებდა. მაგრამ შვილს ყოველთვის ეგონა, რომ მამას
იგი ეცოდებოდა და ეს ენაებოდა. ხანდახან ამეოხებით ეტყოდა:

— ჰე, შე თვალცალიერო!

მირონს კი უფროსი არტამონოვი ვერ წვდებოდა. ეშინოდა მისი. უფროსოდა.
ეს იაკობისათვის ვასაგებიც იყო. მირონის ყველას ეშინოდა, როგორც სახლში,
ისე ფაბრიკაშიც — დედასა და ფაიფურის ცილისაგან დაწყებული, გათავე-
ბული მეკარე გრიშკათი, რომელსაც ევალებოდა შემოსავალი კარის გაღება და
დაკეტა. როცა მირონი ეზოში გაივლიდა, მისგან ისეთი შთაბეჭდილება რჩებო-
და, თითქოს მისი ლანდი გარშემო დუმილს ამყარებსო.

სიძის დაცინვა არ იყო საინტერესო: იგი თავადაც მშვენიერად დასცი-
ნოდა თავის თავს. მას ცბადად ერჩინა, რომ თვითონვე ეცემნა თავისი თავი,
ვინემ იგი სხვას ეცემნა. ტატიანა დაორსულების შემდეგ ძალიან გაიბერა და
ტუჩები დაუსივდა, სადილს შემდეგ წამოწოლილი სამს წიგნს ერთად კითხუ-
ლობდა. მერე სასიეროდ დადიოდა. კმარი გოშისასავით გვერდით აედევნებოდა.

უფროსი არტამონოვი უბრძანებდა ეტლში ცხენების შებნას და ქალაქს
წავიდოდა, რათა იქ ნიკიტა და ტიხონი გაეჯავრებინა. იაკობს არა ერთხელ
გაუგონია, როგორ ხდებოდა ეს.

— რა ამბავი, ბარტყულიანო სტუდენტო? ღმერთი რა უყავი! ჩააცვი-დებოდა იგი ბერს.

ნიკიტა კუზს შეანძრევდა, გრძელი ხელის გულს მუხლებზე ეჭვსუფლდა და ჩუმად, საცოდავად წარმოსთქვამდა:

— ჰო, ტყუილად ამბობ ამას...

— როგორ თუ ტყუილად? შესაფერ კედსაც არ ატარებ, ყალბი ვხუ-რავს. მთელი შენი ტანსაცმელიც ყალბია. შენ რა ბერი ხარ?

— ეს ჩემი სულის საქმეა.

— თამბაქოს ყნოსავ, არა, შეცდი, წააგე. ვინმე ღარიბი, ობოლი ვოგო რომ ცოლად შეგერთო, მაღლისათვის შეილებს შეგძენდა, და ახლა ჩემსავით, ბაბუა იქნებოდი. შენ კი... გახსოვს, რა ჩაიღინე?

როგორც ვეება კუ, კუზის ნელი რბევით, გაშორდებოდა ნიკიტა ძმას. ამის შემდეგ პეტრე ილიასძე არტამონოვი ოღვასთან წავიდოდა, და მას უამ-ბობდა ალექსის ბაზრობაზე გაწეული ქეიფის ამბავს, მაგრამ ამაშიც ვერაფერ გასართობს ვერ ჰპოვებდა.

— რაც გინდა სთქვი, რაც მე ვიცი ალიოშას შესახებ, იმას არც არაფერი მიემატება და არც არაფერი დააკლდება.

— მართალს ამბობდა იგი შენს შესახებ: შენ მხოლოდ ერთი თვალთ იცქირები.

— ორთავეს დამაკლდა სინათლე.—უთხრა ოღვამ.—ვერ ვხედავ. გუშინ ალიოშას საყვარელი ფაიფურის კიჭა გამიტყდა, ვერ შევამჩნიე.

არტამონოვი ახლა ტიხონ ვილოვს ეწვეოდა გამოსაჯერებლად. მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. ტიხონი მოთმინებიდან არ გამოდიოდა. ირიბად დაიწყებდა შერას და მოკლედ, მშვიდად უპასუხებდა.

— დიღხანს ცხოვრობ,—ეუბნებოდა მას არტამონოვი. ტიხონი მიუგებდა სრულიად სამართლიანად:

— უფრო მეტ ხანსაც ცხოვრობენ.

— მაშ მითხარი: რისთვის ცხოვრობდი? ა?

— ყველა ცხოვრობს.

— ეს მართალია, მაგრამ ყველა კი არ ჰგვის მთელი მისი სიცოცხლე ეზოს. ყველას კი არ გააქვს ნაგავი!

ტიხონს საკუთარი აზრი ჰქონდა ამის შესახებ.

— რა კი ერთხელ დაიბადე, სიკვდილამდე უნდა იცოცხო, — ამბობდა იგი, მაგრამ არტამონოვი ყურს არ უგდებდა მას, თავისას განაგრძობდა:

— შენ მთელი შენი სიცოცხლე ცოცხი გიჭირავს ხელში. ცოლი არა გყავს, შვილები, არავითარი ზრუნვა და ჯაფა არ გაწევს. ეს რატომ მოხდა ასე? ჯერ კიდევ მამა ჩემმა სხვა იდგილი შემოგაძლია, შენ არ დაყაბულდი... რატომ იჯაუტე?

— ძალიან გვიან მკითხავ ამის მიზეზს, პეტრე ილიასძე! — უპასუხებდა ტიხონი და განზე დაიწყებდა ცქერას.

არტამონოვს ბრაზი აიტანდა:

— გაიხედავდი მაინც, რამდენი ხალხი გამდიდრდა შენი ცხოვრების გრძელ ვადაში. ყველა ცდილობდა ცხოვრების გაუმჯობესებას, თუ არა აგროვებდა...

— აგროვებდა, აგროვებდა და შერე ეშმაკს გადაეყრებოდა... სთქვა ტიხონმა ახირებული გამოქვით.

იაკობი მოელოდა, რომ მამა გაჯავრდებოდა და ტიხონს გინებას დაუწყებდა, მაგრამ მოხუცმა ერთიხნის ღუმელის შემდეგ რაღაც გაუგებრად ჩაიბუტბუტა და მეგზოვს განშორდა. ტიხონი თუმცა თანდათან ზუნდებოდა, თავზე თმა ძვრებოდა და სახეზე თიხის ფერი ედებოდა, მაგრამ სიბერეს მაინც არ ნებდებოდა, მაგრად იყო. ახლა უფრო დიდკაცურად ლაპარაკობდა, მასწავლებელივით.

თვითონ იაკობი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ის ზედმეტი იყო სახლში, სადაც ერთად ერთი სასიამოვნო ადამიანი ცხოვრობდა და ისიც უცხო, — მიტია ლონგინოვი. მიტია არ იყო არც სულელი არც ჭკვიანი — ასეთნაირი შეფასება რაღაც არ უდგებოდა მას. ყველასაგან განირჩეოდა. ამ გარემოებას მისადმი მირონის განწყობილებაც ამტკიცებდა. მიუკარებელი, პატივისმყოფი, ბრძანებას დაჩვეული მირონი მიტიასთან მეგობრულ განწყობილებაში იმყოფებოდა და თუმცა ხშირად ეკამათებოდა მას, მაგრამ არასოდეს არ ეჩხუბებოდა. კამათის დროსაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა. დილიდან საღამომდის არ შეწყუფებოდა სახლში მიტიას ხმობა და ძაბილი ათასნაირ კილოზე.

— მიტია! — ეძახდა ტატიანა.

— სად არის მიტია? — კითხულობდა დედა. მამაც კი ფანჯარაში გამოჰყოფდა თივს და დაიბლაღებდა:

— მიტრი, სადილის დროა!

მიტია საქმეს ისე ეკიდებოდა, როგორც ალექსი, როგორც ამ მხრით ძალიან ჰგავდა. მაგრამ მიტიას არ ახასიათებდა ის სიხარბე, რომელიც ალექსის სჩვეოდა. ხუმრული ლაზღანდარობით ის სერაფიმეს უფრო ემსგავსებოდა. მამას ეს შემჩნეული ჰქონდა. ერთხელ ვახშამზე, როცა მიტიამ სუფრაზე ჩამოვარდნილი მძიმე სულიერი განწყობილება გააქარწყულა თავისი ჩვეულებრივი ხუმრობით, მამას გაეცინა და სთქვა:

— აი, ასეთივე იყო სერაფიმე, ჩენი გამართობელი, ნუკეშის მყოფელი... სწორედ ასეთი...

იაკობმა ყური მოჰკრა ერთხელ, მამის მირონთან ჩვეულებრივი შეტაკების შემდეგ, რომ მიტიამ მირონს უთხრა მამის შესახებ:

— წმინდა რუსული ქიმიის ნაყოფია საშინელებისა და სისაძაგლის საცოდავებისთან ასეთნაირი შეერთება.

მაგრამ მყისვე დააიწედა:

— მაგრამ არაფერია, ესეც მალე გაივლის. ჩვენ ახლა ვიწმინდებით.

ერთ უქმე დღეს, საღამოს, როცა ბაღში ჩაის შეექვეოდენ, მამამ შესჩივლა იქ მყოფთ:

— მთელი ჩემი ცხოვრება უდღესასწაულოდ გამიტარებია!

სიმე მყისვე მაშხალასავით აენტო. მოსწრებული სიტყვების კორიანტელი დააყენა:

— ეს თქვენი შეცდომაა და არა სხვების. დღესასწაულს თითონ ადამიანი აწესებს თავისთვის. ცხოვრება— ლამაზ ქალს ჰგავს, საჩუქრები უყვარს, გართობა, თამაში. ადამიანი სიამოვნებით უნდა ცხოვრობდეს. ყრველად უნდა შექმნას სიამოვნო რამ...

დიდხანს ლაპარაკობდა, მრხდენილად, თითქოს საღამურს უკრავსო. ყველანი დადუმდნენ და სმენად გადაიქცნენ. იაკობიც მოხიზლა მისმა სიტყვებმა. გრძნობდა, რომ სიძე მართალი იყო. მაგრამ მას უნდოდა ეკითხნა მიტოვების:

— მაშ რად მოხდა, რომ ასეთი უშნო, სულელი ქალი შეიერთე?

იაკობი ამჩნევდა, რომ მიტოვა სიყალბეს იჩენდა ცოლთან. გადაჭარბებული თავიზიანობა ეტყობოდა და მზრუნველობა. იაკობი ამჩნევდა, რომ ცოლიც კარგად გრძნობდა ამ სიყალბეს.

მხოლოდ ორ ადამიანს არ უყვარდა ტატიანას ქმარი. ესენი იყვნენ ბიძია ნიკიტა და ტიხონ ვილოვი.

იაკობი შეეკითხა ტიხონს, თუ რატომ არ მოსწონდა მას მიტია. შეეზოგემ დამშვიდებული ხმით უპასუხა:

— ორგულია.

— რით არის ორგული?

— ბუზია. ყოველ სისაძაგლეს აჯდება.

იაკობი ერთხანს ესაუბრა ამაზე ვილოვს, მაგრამ უფრო გარკვეული აზრი მისგან ვერ შეიტყო.

— თითონაც ხომ ხედავ, იაკობ პეტრესძე, — ამბობდა ტიხონი, — ხედავ, რომ ეს კაცი რაღაც ფიგურებს იგონებს.

ბიძა ნიკიტაც ასეთსავე ამბობდა:

— თვალში მტყერს გვაყრის, — ამბობდა ბერი ამოოხვრით — ასეთები ბევრი მინახავს, რომლებიც ლამაზად ლაპარაკობდნენ ზოლზე. ამისთანა კაცს რომ უთხრა: — აი, მთები, — ის გიპასუხებს: ცერცო არისო... დიახ.

უცნაური იყო, რომ ეს წყნარი, მშვიდობიანი მახინჯი, თითქოს ბრაზმორეულად ლაპარაკობდა, რაც მისთვის უჩვეულო რამ იყო. იაკობს კიდევ უფრო ის აკვირებდა, რომ ტატიანას ქმრის შეფასებაში ტიხონსა და ნიკიტას შორის არავითარი განსხვავება არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქმის მტრობდნენ, ხმას არ სცემდნენ და გაუბოძდნენ ერთმანეთს. ამ უკანასკნელ გარემოებაშიაც იაკობს მომეზრებული ადამიანური სისულელე ეჩიშნებოდა: რას ეცილებოდა ეს ორი ადამიანი ერთმანეთს, როცა ხვალინდელი დღე მათ სრკვედილს უშნადებდა...

ბიძია ნიკიტა კვდებოდა. იაკობს ეჩვენებოდა, ვითომ მამა ძალიან მოწადინებული იყო, რომ ნიკიტას ბოლო მოღებოდა. ყოველ შეხვედრაზე ისეთი საყვედურით მიმართავდა, თითქოს გაჰქეღვას, შემუსვრას უპირებსო:

— მე მთელი ჩემი ცხოვრება სხვებისთვის ხარისხით მიმუშავნია, შენ კი კატასავით ცხოვრობ. ყველა შენთვის ზრუნავს, ყველა გივლის და გათბობს. არც კი ამჩნევენ, რომ კუზბიანი ხარ. მე კი ყველას ბოროტი, ავი ვგონივარ. ნამდვილად კი, რა ავი ვარ მე? მე მთელი ჩემი ცხოვრება...

ბერი კუზში ჩაიშალა და თავს, ჩააბველებდა და შევედრებოდა:
 — ვთხოვ, ნუ სჯავრობ...
 ის ზიზღის გრძობა, რომელსაც იაკობი განიცდიდა მამისადმი მისი შიშ-
 ველ, ჰალარა შერეულ ბაღის ხავსით მოფენილ გულმეკრდისადმი, საკმისსა-
 წებს რომ მიუგავდა, ძნელად დასაფარავი რამ აღმოჩნდა. იაკობი იძულებული
 იყო დროგამოშვებით ჩაეგონებინა თავის თავისთვის:

— რაც უნდა იყოს, მამა, ჩემი მშობელი...

მაგრამ ეს მაინც არ აპატიოსნებდა მამას, არ ანელებდა მისადმი ზიზღს...
 ეს გარემოება თვითონ იაკობს ამცირებდა, შეურაცყოფდა. მამა თითქმის ყო-
 ველ დღე ქალაქში დადიოდა, თითქოს იმისათვის, რომ თვალუური ედევნებინა,
 თუ როგორ კედებოდა ბერი. დიდის ვაჭირებით, ზენით ავიდოდა იგი სხვენზე
 და ბერს ლოგინთან მიუჯდებოდა. ანთებულ წითელ თვალებს მიაპყრობდა. ნი-
 კიტა სდუმდა. კალისფერ თვალებს ჭერისკენ ამართავდა და ახველებდა. ხელი
 ერთ ადგილს არ უჩერდებოდა. სულ აფათურებდა ანაფორას ვარშემო, თითქოს
 უჩინარ რასმე ეძებს და მისგან ასუფთავებსო. ხანდახან, როცა ხველა შეაწუ-
 ხებდა და სულს შეუხუთავდა, წამოდგებოდა.

— ტაკი-ტაკი გაგდის? ა? — ეკითხებოდა ძმა.

ნიკიტა ძმის მხარზე ხელის წაპოტინებით, სკამზე ან ლოგინზე დაყრდნო-
 ბით, ფანჯრისკენ მიაშურებდა. ანაფორა ისე დაკიდებოდა, როგორც აფრა გა-
 დამტყდარ ანძახე. ფანჯარასთან დაჯდებოდა. პირს დააღებდა და ამ სახით
 ძირს, ბაღში დაიწყებდა ცქერას, ან შორს მოშავოდ აქოჩრებულ ტყისკენ იშვი-
 რებოდა.

— დაისვენე, მაშ! — ეტყოდა ძმა, კანმოშვებულ ყურის ბიბილოს შეისრესდა
 და ძირს დაეშვებოდა. აქ ოღვას აუწყებდა:

— ტაკი-ტაკი გაუდის. მალე მოელება ბოლო...

ჩამოვიდა მსხვილი ბერი, მამა მარდარი. მოითხოვა ნიკიტა მონასტერში
 გადაგზავნეთო. რომელიღაც წესდების ძალით ბერი იქ უნდა მომკვდარიყო და
 იქვე უნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ კუზიანმა ოღვას სთხოვა:

— წამასვენეთ... რომ მოგვედები... — და შესაბრაღისად სამჯერ გაიმეორა:

— კუბოს თავი მაღალი იყოს, რომ არ დამაწვეს. ეს არ დაგავიწყდესო.

ომის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე მოკვდა. სიკვდილის წინ დაიბარა
 რომ მონასტერში შეეტყობინებიათ:

— გამოგზავნონ და წამიღონ. სანამ ჩამოვლენ, მოგვედები.

გარდაცვალების დღეს, დღით, იაკობმა მამა სხვენზე აიყვანა. უფროსმა
 არტამონოვმა პირუჯვარი გადაიწერა და მომავლდავს დააცქერდა.

ნიკიტას სახე უკვე გაშავებოდა და დაფერფლოდა, პირი ჩაღრმავებოდა.
 მან არაბუნებრივად, მაღალი ხმით მიმართა ძმას:

— მომიტყეე.

— რას ამბობ? რისთვის? — ბუზღუნით ჰკითხა პეტრე არტამონოვმა.

— ჩემი თავებდობისათვის!

— პირიქით, მე მომიტყევე, — უთხრა უფროსმა ძმამ. — მე ხანდახან გეხუმრებოდი ხოლმე...

— ღმერთს ბუმბოლა არ ეწყინება, — ზღრწულით სთქვეს ^{მეტირე} ^{ქვემოთ} ხნის საჩუბის შემდეგ ძმამ ჰკითხა:

— როგორ გრძნობ ახლა თავს?... აჰ... საით...

— დამავეწყუდა. — გააწყვეტინა ბერმა სიტყვა. — იაშა, ტიხონს უთხარი, ფანიატურთან ნაკერჩხალი მოსკრას... არ გაიზრდება... არ გაიხარებს.

აუტახელი იყო იაკობისათვის ამ მეტისმეტად გარკვეული, ცხადი ხმის გაგონება. ასეთივე აუტახელი იყო ბერის გულმკერდის ძვლების ყურება, რომელიც ყუთის ყურესავით მალლა ამოზნექილიყო. საერთოდ არაფერი აღამაინური აღარ ჰქონდა მის წინ მდებარე უძრავ ძვლების ხროვას, რომელსაც შავი სპილენძის ჯვარი ზემოდან გადაფარებოდა. იაკობს ბიძია ეცოდებოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა: რატომ არის დაწესებული, რომ ბებრები და საერთოდ შინაურები ყველას თვალწინ კვდებოდნენ.

უფროსი არტამონოვი ერთხანს კიდევ დარჩა ოთახში. მერე იაკობის დახმარებით ძირს დაეშვა თავჩაქინდრული.

— კვდება. — განაცხადა მან აქ.

— მართლა? — ჰკითხა მირონმა. იგი მაგიდასთან იჯდა, ფართე გაზეთი მთელ ტანზე აეფარებინა და ასე კითხულობდა. თვალი არც კი მოუცილებია გაზეთისაკუთრის. შემდეგ გაზეთი მაგიდაზე დააგდო და ცოლს, მიმართა:

— მე მართალი ვაყავი. აი, წაიკითხე.

მისი მკვრალი ცოლი მყისვე მაგიდასთან გაჩნდა. ფანჯრის წინ მჯდომარე დედამ კი შეშინებული სახით იკითხა:

— ნუ თუ მართლა ომია, მირონ?

— აი, მეორე არტამონოვიც მიიცვალა. — ხმა მალლა მოაკონა მათ პეტრემ.

— სტყუიან, რა თქმა უნდა! — უთხრა მირონმა ცოლს, თუ იაკობს, რომელსაც თავი გაზეთში ჩაერქო და დეკემბრის კითხვას შესდგამოდა. თან იმის ფიქრში იყო, თუ რას უქადდა ყოველივე ეს პირადად მას. უფროსმა არტამონოვმა ხელი ჩაიქნია და ეზოში გამოვიდა.

მესამე დღეს, დღით ადრე, ბებრები ჩამოვიდნენ. შვილნი იყვნენ. იაკობს ისინი ახალშობილებივით ერთმანეთისაგან განუსხვავებელი, განურჩეველი მოეჩვენა. მხოლოდ ერთი მათგანი, ყველაზე უფრო მაღალი, ხმელი და სქელწვერიანი იყო. როგორც ბერისათვის, ისე ასეთ შემთხვევისათვის შეუფერებელი მზიარული და მაღალი ხმა ჰქონდა. ის, რომელიც ყველაზე წინ მოდიოდა და რომელსაც დიდი ჯვარი ეჭირა ხელში, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს სრულიად უსახო იყო: მელოტი, ცხვირი და ლოყები სრულიად გაერთიანებული, მელოტიდან დაწყებული ვიდრე წვერაძდე, ორი შავი ბერელის გარდა მის სახეზე, სხვა არაფერი იყო აღნიშნული. ფეხებს ფრთხილად, ნელა სწევდა მალა და ისე მოაბიჯებდა, თითქოს ბრმა ყოფილიყო. სამ ხმაზე გალობდა:

— წმიდაო ღმერთო-ს, — თითქმის ბანით, დაბლა,

— წმიდაო ძლიერო-ს, — ხმის აწევით, მოძახილით.

— წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენს—ისე დასკუქდა, რომ ბავშვები წინიდან მოუვლიდენ და გაკვირვებით შეაკვირდებოდენ წვერში, სადაც მისი უჩინარი სამხმიანი პირი იყო მიმაღლული.

როცა პროცესია ქუჩიდან მოედანზე გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ მოედანი თავიდან ბოლომდის ხალხით იყო სავსე. პორუჩიკი მაკრინის ჯარისკაცები, მთავრობის კაცები და სამღვდლოება ბრბოს შუაგულში მოქცეულიყო. გულგრილი პორუჩიკი, თითქოს აღლუმზე იმყოფებოდა, ძველივით იდგა ჯარისკაცების წინ. სახეში მზე აცხუნებდა. თავწვეტიანი მღვდლები და დიაკვნები ოქროს კერპებით ჩამწყრივებული იყვნენ. მზეზე აბჰყვრიალებული მათი სამოსელის სხივებიც პარუჩკ მაკრინს მიდგომოდა სახეზე.

სამ ხმაზე მგალობელმა ბერმა შავი ჯვარი მაღლა ამართა, ბრბოს კედლის წინ დადგა და ბანით შესძახა:

— გზა!

მაგრამ ხალხის კედელი მხოლოდ მაშინ გაიშრდა, როცა გამოჩნდა ისპრავნიკის თანაშემწის ეკეს გრძელი ცხენი. ეკემ თავისი ცხენი ბერს გაუპირდაპირა, შუა ქუჩაში შეაყენა, თეთრი ხელთათმანი მაღლა ასწია და საყვედურით მიმართა:

— საით? არ ხედავთ? უკან...

ბერმა კიდევ უფრო ასწია შავი ჯვარი და წარმოსთქვა:

— წმიდაო ღმერთო...

— ურა, — წამოიყვრა ახლა ერთ-ერთმა ოფიცერმა, და მყისვე მოელმა მოედანმა ათას ხმაზე ჩაიგუგუნა:

— ურრა...

ეკემ აბეანდზე შემდგარიყო და ყვიროდა:

— პეტრე ილიასძვე, გთხოვთ გადაუხვიოთ... შემოუაროთ. მირონ ალექსისძვე, თქვენც გთხოვთ. ხედავთ, აქ რა აღფრთოვანებაა, და თქვენ კი... როგორ იქნება?

უფროსი არტამონოვი კუბოს თავთან იდგა. მას ცოლი და იაკობი ამოდგომოდენ. ქვეშიდან ზევით შეეღო თვალები ეკეს და მერე ბერებს მიმართა, რომლებსაც კუბო მოჰქონდათ:

— გადაუხვიეთ, მამებო...

ყოველივე ეს თითქმის რაღაც სასაცილოდ, უადვილოდ მოეჩვენა იაკობს, მაგრამ როცა შუკაში შეუხვიეს, სადაც პოლინა იდგა, დაინახა, რომ პოლინა გაქპარებით მოდიოდა პროცესიისაკენ. თეთრი კაბა ეცვა და ხელში ვარდისფერი ქოლგა ეჭირა.

— ალბად, მეერინის ცქერით უნდა დატკებეს! — მოიაზრა იაკობმა და მტვერმა და ბრაზმა სული შეუხუთა.

ბერებმა ნაბიჯს აუჩქარეს. შეწვერიანი ბერი ახლა ნელა გალობდა. გულჩათხრობილად. მგალობელთა გუნდს კი სულაც შეეწყვიტა გალობა. ქალაქარედ, სასავლავოს პირდაპირ, უცნაური ეტლი იდგა, შავი მაუდით გადაფარებული, წყვილი ჰრელი ცხენი ება. კუბო ამ ეტლზე დადგეს და პანაშვილის გა-

დახდას შეუდგენ. ქუჩიდან კი, თითქოს საყვირის ხმა ისმისო, მუსიკა საზეიმო «ღმერთო ჰფარვიდე მეფესა» უკრავდა. იყო ზარბუზის რეკა და მტკიცის კომლში გახვეული გუგუნე იდგა:

— რ... რ... რ...ააა.

იაკობმა ყური მოჰკრა, რომ პარტიკი მაგრინის ბრძანებაც გაისმა:

— სწორდი.

პანაშვიდის შემდეგ იაკობი იძულებული შეიქნა ბიკოლას სახლში წასულიყო, ქელეხზე, და მამის გაუთავებელ ბუზღუნისათვის ყური ეგდო:

— რომელი სულელის განკარგულებით დააყენეს ცხენი სასაკლავოს წინ? ა?

— პოლიციის... პოლიციის... — ამშვიდებდა მიტია და უხსნიდა: — უადგილო იყო! წარმოიდგინე: ეროვნული აღფრთოვანება და იქვე.. სამარხი ეტლისი.. არ შეეფერებოდა.

მირონმა ენის მოსმით მოიშალა ტუჩებზე ღიმილი და ექიმ იაკოვლეს მიმართა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ამ მძიმე და არა სასიამოვნო დღეების განმავლობაში.

— მაგრამ თუ ზვენ ერთგულად მივაწეკით ზვენის მეცლით, როგორც მიტია «თავად სერებრიანი»-ში... ბოლოს და ბოლოს ჭეყანაზე ყველაფერს რიცხვითა შეფარდება სწყვეტს.

— ტეხნიკა! — შენიშნა ექიმმა.

— ტეხნიკა? ჰო, მართალია... მაგრამ...

იაკობმა მხოლოდ საღამოს ათ საათზე განითავისუფლა თავი ამ მოსაწყენ საზოგადოებისაგან და პოლინასთან გაიქცა. მას რაღაც შფოთიანი წინათვრამოზა ჰქონდა, რაც წინად არასოდეს არ განუცდია. გრძობდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ღუნდა მომხდარიყო. ესეც მოხდა:

— ჰოპ, — წამოიძახა პოლინას მზარეულმა ქალმა, როცა იაკობი ეზოზე გავლით სამხარეულოში შევიდა. წამოიძახა და მძიმედ დაეშვა ლუმელთან მიდგმულ სკანზე.

— სამაგელო მაკანკალაე! — მიმართა მას იაკობმა და ოთახის კარის წინ შესდგა. ყური მიიპყრო ჯარისკაცის გარკვეული ნაბიჯის ხმას და ნაცნობ, სამხედრო სიტყვებს:

— დიად, უნდა მოიბზროთ: ასე თუ ისე. მოიბზრეთ რაღა!

— თქვენობით ლაპარაკობს. იქნება, ჯერ კიდევ არაფერი მომხდარა.

მაგრამ, როგორც კი იაკობმა ოთახის კარი შეაღო, მაშინვე დარწმუნდა, რომ ყველაფერი გათავებული იყო: გულგრილი მაყრინი შუა ოთახში იდგა სახემოკუმული, მკერდზე ღილებ-შეხსნილი. ხელები ჯიბეში ჩაეწყო. კიტელიდან შალერის მაშვლები მოუჩანდა, ერთი მხრით შეხსნილი. პოლინა სავარძელში იჯდა, ფეხი-ფეხზე გადაეგდო. ცალფეხზე ჩქლქი ძირს დახვეტოდა. მარდი თვალეები არაჩვეულებრივად დამგვრალეზობდა. სახე შეწითლეზობდა.

— რა იმბაეი? — ჰკითხა გულგრილმა პორტიკმა იაკობს და ამ შეკითხვით საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისი ექვი გამართლებულ იყო. იაკობმა წინ გადა-

დგა ნაბიჯი, ჭუდი სკამზე დააგდო და მასთვისაც კი უცნობი, პირზე მოწყვეტილი ხმით წარმოთქვა:

— მე დასაფლავებიდან მოვდივარ... ქელებიდან.

მარკინეშვი
გენერალისთვის

— მართლა?—მასპინძლის ხმით შეეკიბა პორუჩიკი. პოლინამ კი ისე მაგრად მოსწია ჰაპიროსი, რომ მის ქაღალდის მიღმა ტყაცანი გამოადინა. გაბოლებულ კომლთან ერთად პოლინამ თითქოს უდარდელად წარმოსთქვა.

— იპოლიტ სერგიას ძე მარწმუნებს, მოწყალების დათ ჩაეწერეო.

— დაღ?.. ჰმ...—სთქვა იაკობმა ჩაყინებით. მაშინ გულგრილი პორუჩიკი მიუახლოვდა მას და გარკვეულად ჰკითხა:

— რას ნიშნავს ეს სიცილი? ვთხოვთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე გადაკარბება არ მიყვარს... არ მოვიტყენ...

ამ ორ-სამ წუთში იაკობმა იგრძნო, თუ როგორ დაუარა მთელ სხეულში შეურაცხებისა და ბრახის ნაკადმა. ამავე დროს ის იმ სამწუხარო შევგნებამდე მივიდა, რომ ეს პატარა ქალი მისთვის ისეთივე საჭიროა, როგორც მისი სხეულის სხვა რომელიმე ნაწილიც და რომ მის წართმევის ნებას იგი ვერავის მისცემს. ამ შევგნებამ მას ისევე ბრახი აუდღლა. წამოდგა. ხელი ჯიბეში ჩაიდვა.

— არ მომიხლოვდე!—გაფრთხილა მან პორუჩიკი. იგრძნო, რომ თვალე-ბი ისე გადმოეკარკლა, რომ ეტყინა.

— ეს-ს რატომო?—შეეკიბა პორუჩიკი და მისკენ ნაბიჯი გადმოდგა. იაკობს არასოდეს არ მოსწონდა მისი საზიზღარი ზეულები, ასოებს რომ აორბდა სიტყვის წარმოთქმის დროს, მაგრამ ახლა ამათ მოთმინების ფიალა აუფსო. მას უნდოდა ხელი ჯიბიდან ამოეღო და იყვირა:

— მოგკლავ!

პორუჩიკმა მეგრინმა ხელზე წაავლო ხელი, მაჯა მაგრად დაუჭირა. რეკოლვერი ჯიბეშივე გავარდა. მერე იაკობის ხელი, თითქოს იდაყუზე გადატყდაო, ჯიბიდან ამოვარდა. პორუჩიკმა იაკობს ახლა იარაღი ჩამოართვა, საეარძელზე დასვა და უთხრა:

— არ გამოგვიდა.

— იაშა, იაშა!—ესმოდა არტამონოვს მალაღი ჩურჩული. —იპოლიტ სერგიასძე! ბატონებო, ხომ არ გავიქვით? რისთვის? ეს ხომ სკანდლია! რისთვის მეთქი, გეკითხებით!

— მაშ, ახლა... —წარმოსთქვა დაგმინებით მეგრინმა და იაკობს წვერზე წაავლო ხელი. ძირს დაქაჩა რამდენიმეჯერ და ასე, თითქოს საღამი მოაკე-მინაო, თავი დაახრეინა. —მოიხადე ბოდიში, სულელიო.

რამდენს სიტყვას იტყოდა, იმდენჯერ წვერს დაქაჩავდა და თავს დაახრე-ვინებდა. გრძელ სიტყვებს კი ორად ამბობდა. იაკობი რომ თავს დასწევდა, მეგრინი ნიკაპზე ხელს აკრავდა და თავს ისევე მალლა შეასროლინებდა.

— ჰო, სირცხვილი! სირცხვილი! —ამბობდა პოლინა.

იაკობს მარჯვენა ხელის განძრევა არ შეეძლო. კბილები მაგრად შეეკრა და მარცხენა ხელით სცდილობდა მეგრინის მოშორებას. იგი ღმუოდა. ლოყებზე დამცირებისა და სიმწრის ცრემლი სდიოდა.

— არ გაბედო, ხელი შემახო. — დაუყვირა მავრინმა და ხელის კერით სავარძელში, რევოლვერზე, დააგდო. მაშინ იაკობმა ხელები სახეზე აიტარა, რომ ცრემლი დაემალა და ასე გრძობა-წასულივით გაყურდა. პოლინას ხმა, მაინც ესმოდა:

— ღმერთო ჩემო, რა უმსგავსობაა! და ეს თქვენა ხართ? ასეთი სკანდალი! რისთვის?

— დამეკარგეთ აქედან! — შეჰყვირა მის თუჯის ხმაზე მავრინმა. — აი, შენ ერთი მანეთი სიამოვნების მონიჭებისათვის, ეს საკმარისია. მე გადაჭარბება არ მიყვარს, მაგრამ თქვენ სრულიად ჩვეულებრივი...

მძიმე ნაბიჯებით, იატაკის ტყეპნით, ოთახიდან გავიდა მავრინი და კარი რახუნით მიიხურა. ოთახში დასტოვა, როგორც კვალი, კერზე ჩამოკიდებული ლამპის მინების წკრილი და პოლინას წამოკივლება. იაკობი ფეხზე წამოდგა, მუხლები უკანკალბდა. მთელი ტანი აცახცახებოდა, თითქოს სცივო. შუა ოთახში, ლამპის ქვეშ, პოლინა იდგა. პირი დაეღო, ხრიალით სუნთქავდა და ქუჩკიან მანეთიანს დასტკეროდა, რომელიც ხელში ეჭირა.

— არამზადავ! — წარმოსთქვა იაკობმა. — რით ჩაიღინე ასეთი საქმე?.. აკი მითხარი... მოსაკლავი ხარ.

ქალმა თვალი შეაღო მას, ქალღი იატაკზე დააგდო და ხრინწიანი ხმით, გაკვირვებით წარმოსთქვა:

— საში ნელი არამზადა...

სავარძელში ჩაჯდა, მოკავდა და თავზე წაივლო ხელები. იაკობმა მუშტი დაჰკრა მხარზე, და შეჰყვირა:

— გამიში! მომეცი რევოლვერი.

პოლინა არ შენძრეულა. ისევ გაკვირვებით ჰკითხა:

— მაშ, მე შენ გიყვარვარ?

— მძაგხარ,

— სტყუი. ახლა გიყვარვარ.

და ქალი ზედ ისე შეახტა, რომ იაკობმა ვერც მოასწრო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. პოლინა ყელზე გადაეჭდო და თავგამოდებით დაუწყო კოცნა.

— სტყუი, გიყვარვარ! გიყვარვარ! მეც მიყვარხარ... აი!.. ჩემო ღმერთო, ჩემო მარილიანო.

„მარილიანი“ პოლინას საყვარელი სიტყვა იყო, სასიყვარულო, რომელსაც იგი მძაფრი აღტკინების დროს წარმოსთქვამდა. იაკობს ეს სიტყვა ყოველთვის ათრობდა რალაქნაირად, საამო და ნაზს, თუმცა მზეცურ რასმე გრძობას უღძრავდა. ასე მოხდა ახლაც: იგი ჩქმიტავდა, სჯიჯნიდა და კოცნიდა პოლინას. სულშებოთული ეუბნებოდა:

— საძაგლო. საზიზღარო. ხომ იცი...

არ გასულა ერთი საათიც, რომ იაკობი სავარძელში იჯდა, ქალი მუხლებზე გაეწვინა და აქანავებდა. გაკვირვებით ფიქრობდა:

— რა უცბად გათავდა ყველაფერი.

ქალი კი მოქანცული ხმით ეუბნებოდა:

— გაჯაგრებული ვიყავი შენზე. მინდოდა თავიდან მომეშორებინე, შენ სულ შენიანებზე ზრუნავ, ფიქრობ და ასათლავებ. მე კი მომწყვდიან და მე არ ვიცოდი, თუ მართლა გიყვარდი. ახლა კი ძალიან მეყვარები. იქვიანობა კარგია, რადგანაც, როცა იქვი...

— წავიდეთ აქედან... გააწყვეტინა დალილიმა იაკობმა.

— კი. პარიზში. მე შემიძლია ფრანგული ელაპარაკო.

სინათლე არ აანთეს. ოთახში ბნელოდა და ჰაერი შებუთული იყო. ქუჩაში სათადარიგო ჯარისკაცები და დედაკაცები ჰყვიროდნენ, თუმცა უკვე გვიან იყო.

— ახლა კი ვერც წახვალ საზღვარ-გარედ. იქ—ომია.—მოავონდა იაკობს.

— ომია, ეშმაკმაცკი წაიღოს მაგათი თავი.

ქალმა კიდევ თავისი განაგრძო:

— იქვი მხოლოდ ძაღლებს არ სჩვევიათ. აი, მოიგონე, თუ გინდა: ყველა დრამა, ყველა რომანი—სულ იქვეა აგებული...

იაკობმა ჩაიციხა. შეცახცახებით წარძოსთქვა:

— კიდევ კარგად გავარდა რევოლვერი, თორემ შეიძლებოდა ტყვია ფეხში მომხვედროდა... ახლა კი, ხედავ, მხოლოდ შარვალია გახვრეტილი...

პოლინამ თითი შეჭყო შარვლის ნახვრეტში. მერე უცებ აენთო და საშინელი ბრაზით წარძოსთქვა:

— ენაღვლობ, რომ ვერ მოასწარი, რომ მისთვის გესროლა... პირდაპირ მის გაჭიმულ და მკვრივ მუცელში...

— გაჩუმდი!—უთხრა იაკობმა, მაგრამ ქალი მაინც ბრაზმორეული განაგრძობდა:

— ის არამზადა! როგორ შეურაცმყო, შემაგინა... ჰე, როგორი ხართ თქვენ ყველანი... ქალის არაფერი გესმით...

დასივებული ტუჩები ასწია. ერთმანეთზე მაგრად დაკრული მელისებური კბილები გამოაჩინა და დაამატა:

— ქალის ლალატი იმას კი არ ნიშნავს, რომ უკვე აღარ უყვარს...

— გაჩუმდი მეტკი, გეუბნები.—შეჭყვირა იაკობმა და ისე ჩაბლუჯა, რომ წამოაკივლა.

— ჰოა! აი, ახლა ვგრძნობ, რომ გიყვარვარ! იაშა ჩემო მარილიანო.

იაკობი მხოლოდ ვათენებისას წამოვიდა მისგან. იგი ისეთ ადაპიანად გრძნობდა თავს, როგორც მეტად საშიშ თამაშში ძვირფასი რამ მოიგო. მისი სიხარული კიდევ იმ გარემოებაზე გააორკეცა, რომ პოლინამ წამოსვლისას მას რევოლვერი დაუმალა, არ დაუბრუნა. იაკობი იძულებული შეიქნა ეთქვა ქალისათვის, რომ ურევოლვეროდ ვერ წავიდოდა და აღწეა ნოსკოვის ისტორია. იგი ძალიან გააზარა პოლინას შიშმა და სიფთხილემ. მისმა აღელვებამ იაკობი დაარწმუნა, რომ ქალს მართლა უყვარდა და მისთვის ზრუნავდა. პოლინა ხელების ტლაშანით, შეცხადებულივით ეკითხებოდა:

— რატომ ამდენხან არ მითხარი ეს ამბავიო?

თან მსჯელობდა:

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან საინტერესოა... ჯაშუში! აი, მაგალითად, შერლოკ ჰოლმსი... შენც წაგიკითხავს? მაგრამ ჩვენში ალბათ ასეთი ხალხიც სულ არამზადებია!

— რასაკვირველია! — დაუდასტურა იაკობმა.

სანამ რევოლვერს მისცემდა, პოლინამ მოისურვა იარაღი გამოეცადნათ, კარგად ისერის თუ არაო. იაკობს სთხოვა ღია ღუმელში დაეცალა. იაკობი იძულებული იყო იატაკზე მუქლით დაწოლილიყო ღუმელის წინ. პოლინაც ამნაირადვე გვერდით მოუწეა. იაკობმა ისროლა. ნაცარი საბეში შემოეყარა. პოლინამ წამოიკივლა და გვერდზე გადატრიალდა. მერე თითი გააშვირა და უთხრა:

— შეხედე.

იატაკის ფიციარს პატარა, ირიბი და ღრმა ნახვრეტი აჩნდა.

— როგორ წარმოვიდგინო, რომ ამ ნახვრეტში ახლა სიკვდილი გავიდა! — სთქვა პოლინამ ამოოხვრით და წერილი, მოყვანილი წარბები შეჭკრა.

და იაკობს არასოდეს არ უნახავს, რომ პოლინა მასთან ასე დაახლოვებული და ასეთი საყვარელი ყოფილიყო. მისი თვალები ბავშური გაკვირვებით ანთებულიყვნენ, როცა იაკობი ნოსკოვის შესახებ უამბობდა. მოზარდის სახე ჰქონდა, წალესილი. ბოროტების ნიშანიც კი აჩნდა.

— დანაშაულს არ გრძობს, — გაიფიქრა გაკვირვებით იაკობმა და ამაღიდად ასიამოვნა კიდევაც.

გაცილების დროს პოლინამ წვერზე მოფერებით ხელი გადაუსვა და უთხრა.

— იაშა, იაშა... მაშ, ასე: ჩვენ ხომ სერიოზულად?.. ღმერთო ჩემო... მაგრამ ის არამზადა!..

ხელი დაბუშტა, შექარით გააქან-გამოაქანა და ჩივილის კილოზე წარმოსთქვა:

— ღმერთო, რამდენი არამზადაა ქვეყანაზე!

მერე უცებ იაკობს ხელზე წაავლო ხელი, შეფიქრიანდა, და ნელად სთქვა:

— მოიცა, მოიცა... აქ არის ერთი გოგო... ჰა... რასაკვირველია!

სახე გაუბრწყინდა. მერე ჯვარი გადასახა იაკობს და გამოემშვიდობა:

— ახლა წადი, ჩემო მარილიანო.

დილა გრილი იყო, ნამიანი, განთიადის სიო სუნთქავდა. მომწვანო, საღაფის ფერი ცა ვაშლის სურნელს აფრქვევდა.

— რა თქმა უნდა, ჯავრისაგან ჩივინა ეს სისაძაგლე. როგორც კი მამა მოკვდება, ცოლად უნდა შევიერთო, — ფიქრობდა სულგრძელი იაკობი და სერაფიმე-ხუროს სიტყვები აგონდებოდა:

— ყოველი ქალიშვილი წყალში გადავიარდნილს ჰგავს: ყველაფერს ეპოტი-ნება. მახეში ადვილად გაებმება.

ორი კვირის შენდევ, კვირა დღეს, როცა იაკობი ეორკონთისგან ნაყიდ ტყეს ათვალეირებდა, ანაზღად მონადირე ნოსკოვა შემოვიდა და ტყის პირით მიდიოდა, მახეებით დატეირთული. ზურგზე ტომარა მისი იყო.

— ეს შეხვედრა თქვენთვის სახედინეროა, — უთხრა მან იაკობს, ქუდი მოიხადა და მოუხლოვდა. ქუდს ჯარისკაცურ ყაიდაზე ატარებდა: ზედა ნაწილი მარჯვენა წარბზე ჰქონდა ჩამოფხატული.

მისი უცნაური საღამო იაკობმა უპასუხოდ დასტოვა. შექარა მოესმა მასში. კბილები ჩააკრაქუნა და რეეოლეერის ტარს ჯიბეში ხელი მოუქირა. ნოსკოვსაც რამდენსამე წამს ხმა არ ამოუღია. ქუდის საარწულს დასცქეროდა და იაკობისთვის თვალი ჰქონდა არიდებული.

— რა ამბავია? — ჰკითხა არტამონოვმა. ნოსკოვმა ძაღლისებრ თვალები ასწია, ყალბზე შეძვგარა მვგარი თმა შეისწორა თავზე და გარკვეულად წარმოსთქვა:

— თქვენმა სიყვარულმა, ე. ი. პელაგია ანდრეას ასულმა გაიცნო მღვდლის სლადკოპეცოვის ქალი... ასე რომ თქვენ მას უთხარით, რომ თავი დაანებოს...

— რატომ?

— ისე..

ამ დროს ქალაქიდან ზარის რეკა მოისმა. მონადირემ ჯერ ყური დაუგდო მას და მეტე იაკობს უთხრა:

— ამას გულით გირჩევთ. თქვენთვის კეთილი მსურს. თქვენც ნუ დაიხარებთ და მიჩქქეთ... ჰმ...

ცისკენ მიხედა და დასთვალა:

— ოცდაათობზეტი მანეთი.

— უნდა მოველა ეს ძაღლი... — ფიქრობდა არტამონოვი და თან ფულს ითვლიდა.

მონადირემ ფული გამოართვა, ბრუნდ ფეხებზე შეტრიალდა, რკინის მახე გაანხარუნა და ქუდი არ დაუხურავს, ისე ტყეში შეეკადა. იაკობმა იგრძნო, რომ უფრო შეძავდა ეს ადამიანი.

— ნოსკოვ! — დაუძახა და, როცა ნოსკოვი შესდგა, ნაძვის თათებს ქვეშ ამოფარებულმა იაკობმა მიმართა:

— თავი დაანებე მაგ საქმეს.

— რატომ? — ჰკითხა მონადირემ თავის წინ წამოვდებით. არტამონოვს მოეჩვენა, რომ მის ცალიერ თვალებში შიშმა, ან ბოროტების მაგვარმა რალამაც გაიციალა.

— საშიში რამ ხელობაა, — იუხსნა იაკობმა.

— ცოდნა უნდა მხოლოდ, — სთქვა ნოსკოვმა და თვალებში ციალი გაუქრა. უცოდინარისათვის ყოველი საქმე საშიშია.

— როგორც გინდა.

— თქენი სასარგებლო ხომ?

— რა სასარგებლო, როცა მტრობას ჰხადებს, — ჩაიბუტბუტა იაკობმა და შეინანა, რომ ჯამუშთან საუბარი წამოიწყა.

ნოსკოვმა კი ჰკუპაზე დამრიგებლის კილოზე უპასუხა.

— უამისოდ არ იქნება. ყოველ კაცს თავისი მტრობა, თავისი ვასაჰირი აქვს. ნახვამდის.

ზურგი შეაქცია იაკობს და მწვანე ნაძვარში შეიკრა. *არაქრობა! არაქრობა!* დაუგდო, თუ როგორ შეიშრიალა ტოტებმა და მერე აჩქარებით გაჰყვა გაკაფულ ვახს, რომლის ბოლოში მას ეტლი უცდადა. მან პოლანასკენ გააქანა ცხენი.

— აი, საძაგელი! — გახარებით გაიკვირვა პოლინამ. — უკვე გაუფია, რომ ის ქალი ჩემთან დაიარება! ერთი ამას შეხედეთ!

— რად იქერ კავშირს მაგისთანებთან? — უსაყვედურა იაკობმა გაჯავრებით. ამაზე პოლინაც გაჯავრდა.

— ჯერ ერთი, ეს შენთვის იყო საჭირო. მერე, როგორ გინდა შენ, არ მესმის? ვისთან გავერთო? კატებთან, ძაღლებთან, თუ მავრინთან? სახლში ვარ გამომწყვდეული, როგორც ციხეში, არავინ მყავს ისეთი, ვისთანაც ქუჩაში გავლა შემიძლოს. ის ქალი კი საინტერესო აღამიანია. რომანებს, ჟურნალებს მაწვდის. პოლიტიკაზე მესაუბრება. მე მასთან ერთად პოპოვას გიმნაზიაში ვსწავლობდი. მერე ერთმანეთს დავემდურეთ...

თითს არკობდა მხარში და ასე უფრო და უფრო გაცხარებით ამბობდა:

— შენ ჰგონია, რომ ადვილია საიდუმლო საყვარლოდ ყოფნა. სლადკოპეცოვას ქალი ამბობს, რომ საყვარელი ქალის და კალოშის დანიშნულება ერთი და იგივეა: მაშინ ხმარობენ, როცა ჰუტყის მოშორება უნდათო. მას თქვენ ექიმთან რომანი აქვს გამართული. მაგრამ ისინი ამას არ მალავენ, შენ კი შე მალავ. გრცხენია, თითქოს კოჭლი ვიყო, ან კუსიანი. მე კი მახინჯი სრულიად არ ვახლავარ.

— ცოტა ნოიციადე, — უთხრა იაკობმა, — მალე შეგირთავ. მართლა გეუბნები, თუმცა შენ ღორი ხარ.

— ეს კიდევ საკითხავია, ჩვენს შორის ვინ უფრო ღორია! — წამოკვილებით სთქვა პოლინამ და გადიხარხარა, — მარილიანო, ჩემო ძვირფასო. საყვარელი ხარ, უხვია, არა ხარბი. სხვა კი ამას არ იტყოდა. ის ჯაშუში ხომ შენი სასარგებლოა.

როგორც ყოველთვის, იაკობი ახლაც დამშვიდებული წავიდა პოლინასგან. ერთი კვირის შემდეგ, დილით ადრე, ნაყვავილარმა, ცხვირმოჭკეულმა და პატარა ტანის ელაგინმა აცნობა, რომ განთიადზე, როცა მუშები თევზაობდნენ, ფეიქარი მორდენინოვი შეეცადა მიშეეღებოდა მდინარეში გადავარდნილს მონადირე ნოსკოვს და კინალამ თვითონაც დაიხრჩო, და საავადმყოფოში დაწვია. იაკობი იჯდა, როცა ამ შეძთხვევას უამბობდნენ. ფეხები წინ ჰქონდა გაშვერილი, რათა ხელები ჯიბეში ღრმად ჩაემალა, რადგანაც ძალზე აკანკალებოდა.

— ალბად, დაახრჩვეს, — ეჭვი დაეზადა იაკობს. იგი ცდილობდა წარმოედგინა კეთილი გულის, ღბილ ხასიათის მუშა მორდენინოვი, დედაკაცური სახის მექონე. არ სჯეროდა, რომ ის კაცის მოკლას შესძლებდა.

— ბედნიერი შემთხვევა, — გაიფიქრა მან და თავისუფლად ამოისუნთქა. პოლინაც დაეთანხმა, რომ ეს ბედნიერი შემთხვევა იყო.

— რასაკვირველია, ასე სჯობდა, — სიტყვა მან წარბეზის შეგვრით, — რადგანაც სხვანაირად რომ მოეკლათ, ერთი ამბავი იტყვებოდა.

მაგრამ შეგებრალა კი.

— უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ დაეჭირათ, და მონაწილის შემდეგ ჩამოეხრჩოთ ან დაეხვრიტათ... შენ თუ წაიკითხე...

— სისულელეს ლაპარაკობ პოლონელო ქალო! — გააწყვეტინა მას სიტყვა იაკობმა.

რამდენიმე დღემ მშვიდად განვლო. იაკობი ვორგოროდში გაემგზავრა, როცა დაბრუნდა, მირონმა მზრუნავი საზით აცნობა:

— კიდევ რალაც უსიამოვნო ისტორია დაატრიალდა. გუბერნიიდან მოსული მოწერილობის ძალით უკვე გამოძიებას ახდენენ იმის შესახებ, თუ რა პირობებში დაიხრჩო ის მონადირე. შეიპყრეს მორდენოვი, კირიაკოვი, კოჩეგარი კროტოვი და, ერთი სიტყვით, ყველა ვინც კი იმ დილას თევზაობდა. მორდენოვს სახე დაკაწრული აღმოაჩნდა და ყური მოგლეჯილი, რასაც პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ... მოგლეჯილ ყურს კი არა, რა თქმა უნდა...

როიალთან იდგა, პენსნეს თითებს შუა ატრიალებდა და დაპატარავებული თვალებით კუთხეში იცქირებოდა.

— რალაც სულელური დროა! — ჩაფიქრებულად ამბობდა იგი. — აი, ახალ ომში ჩავითრიეს. ეომობთ, როგორც ყოველთვის, რომ ჩვენ სისულელეს თვალი ავირიდოთ. საკუთარ სისულელეს კი ვერ ვეოშებით, არც ცოდნა და არც ძალა შეგვწყვეს ამისთვის, ჩვენი მთავარი ამოცანა ჯერჯერობით აქვეა, სახელმწიფოს შიგნით. გლახთა ქვეყანაში მუშათა პარტია სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩადგებას ჰფიქრობს. ამ პარტიის რიგებში ვაჭრის შეილიც იმყოფება, ილია არტამონოვი, წოდების კაცი, რომლის დანიშნულებაა ქვეყნის უღიღესი საქმის — მრეწველობისა და ტეხნიკის ევროპიზაციის მოზიდვა. შეუსაბამობაა ყველგან და ყველაფერში. წოდების ინტერესის ღალატი უნდა ისჯებოდეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული... არსებითად ეს სახელმწიფოს ღალატი... მე მესმის ამას რომელიმე ინტელიგენტი, მაგ. გორიციეტოვი, სჩადიოდეს, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს ქვეყანასთან, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რადგანაც უნიჭოა, შრომის უნარს მოკლებული. მას შეუძლია მხოლოდ წიგნი იკითხოს, იკმდოს. საზოგადოდ მე ვფიქრობ, რომ რევოლუციონური მოღვაწეობა რუსეთში — ეს სრულიად გამოუსადეგარი, უნიჭო ხალხის საქმეა...

იაკობს ეჩვენებოდა, თითქოს ძმას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ აუდიტორიის წინ ლაპარაკობდა. ის თანდათან იპატარავებდა თვალებს და ბოლოს სრულიად დახუჭა. იაკობი უკვე ყურს არ უგდებდა მის სიტყვას. იმაზე ფიქრობდა, თუ რით უნდა გათავებულყო ნოსკოვის სიკვდილის შესახებ წარმოებული გამოძიება, და რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ეს საქმე მასაც შეხებოდა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ყველა დაპატიმრებულები გაანთავისუფლეს. მირონმა მკაცრად, გადაჭრით უთხრა იაკობს:

— დაითხოვე ყველანი.

იაკობი, მისდა შეუქმნევლად, უკვე შეჩვეული იყო ამის მწრალი გარბნების დამორჩილებას. არც იყო ამის წინააღმდეგი. ეს პასუხისმგებლობისაგან ანთავი-სუფლებდა მას. მაგრამ მაინც უთხრა:

— კოჩეგარი კროტოვი დარჩეს.

— რატომ?

— მზიარული კაცია. დიდი ხანია მუშაობს. ხალხსაც კარგად ართობს.

— მართლა? მაშ, დარჩეს.

მირონმა ტუჩებზე ენა გადაისვა და სთქვა:

— ხუმარები სასარგებლონი არიან.

ერთი ხნის განმელობაში იაკობს ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი თავის რიგზე მიმდინარეობდა. ომმა შეაფიწროვა ყველანი. ხალხი რაღაც ჩაფიქრებული იყო. სდუმდა. მაგრამ რადგანაც იაკობი ხშირ უსიამოვნებას იყო დაჩვეული, წინათ-გარბნობა მაინც ჰქონდა, რომ რამე შეემთხვეოდა და ამის მოლოდინში იმყოფე-ბოდა. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირებია. ქალაქში ისე გამოჩნდა ნესტერე-ნკო, რომელსაც ვიღაც ვერა პოპოვას მსგავსი ქალი ხელამოდებული დაქავდა. როცა ქუჩაში იაკობს შეხვდა, ჯერ ისე შეხვდა, თითქოს მის ზიგნით შეიქყრი-ტაო, მერე მიუახლოვდა, მიესალმა და უთხრა:

— შეგიძლიათ, რომ ჩემთან ერთ საათს შემდეგ შემოიაროთ? მე სიმამრ-თან ვარ. ხომ იცით, რომ ჩემი ცოლი კვდება! ასე რომ გთხოვთ: ნუ დარეკავთ ოლონდ, ეს ავადმყოფს შეაწუხებს. ეზოში შემოდით. ნახვამდის.

მძიმე და არაბუნებრივად გრძელი გამოდგა ეს ერთი საათი. როცა იაკობ არტამონოვი მოქანცული დაჯდა სკამზე წიგნის შკაფებით მორთულ ოთახში, ნესტერენკომ ნელი ხმით, თითქოს რაღაცას ყურს უგდებდსო, დაიწყო:

— ასე მოხდა: ჩვენი მეგობარი გააქრეს. ეს უშეველია, თუნცა დამტკიცე-ბული არ არის. ძალიან მოხერხებულად არის გაკეთებული. შეიძლება, ქების ღირსიც იყოს ჩამდენელი. ახლა კი, აი, რა მინდა: თქვენი გულის სიყვარულის საგანი, პელაგია ნაზაროვა, თურმე იცნობდა სლადკოპეცევას ქალს, რომელიც ამას წინად ვორგოროდში შეიპყრეს. იცნობდა?

— არ ვიცი, — უპასუხა იაკობმა. იგრძნო, რომ ცივი ოფლი გადაესხა. ეან-დარმა კი ხელის თითები ცხვირთან მიიტანა, შეათვალიერა, და დამშვიდებუ-ლად სთქვა.

— იცით.

— მგონია, იცნობდა.

— ასე, სწორია.

— ნეტავი, რა უნდა? — ფიქრობდა იაკობი და მალევით ათვალთვრებდა წი-თელძარღვებით დასერილ ბრტყელსა და ფართე ცხვირიან ნაცრისფერ სახეს მღვრიე თვალებითურთ, რომლებსაგან თითქოს მძიმე მოწყენა მოწყვეთავდა და ღვინის სუნის ცხარე ნაკადი სდიოდა.

— მე თქვენ არა ოფიციალურად გელაპარაკებით, როგორც ნაცნობი, რო-მელსაც თქვენთვის სიკეთე სურს და რომლისთვისაც უცხო არ არის თქვენი სა-ქმის ინტერესები. — ესმოდა არტამონოვს ხრინწიანი ხმა. — აი, აქ რა ამბავთან

გვაქვს საქმე, ჩემო ძვირფასო... მსროლელი.— ენდარმა ჩაიციანა, მტერე ხნით გაჩუმდა და მერე განმარტა:

— მსროლელი ხართ მეთქი იმიტომ გეუბნებით, რომ მტერე უნდა შემთხვევა, როცა თქვენ მარცხი მოგივლიდათ და რევოლუციით სწორედ ისარგებლეთ, როგორც გინდოდათ... და აი, თვითონ საქმე ასეთია: სლადკოპეცევის ქალი იცნობს ნაზაროვას ქალს, თქვენი სიყვარულის საგანს. ახლა თქვენ თვითონ მოიახრეთ შემდეგი: მონადირე ნოსკოვის მოღვაწეობის ამბავი არავინ არ იცოდა გარდა ჩემისა და თქვენისა. ჩვენს გარდა არც შეიძლებოდა იგი ვისმე სცოდნოდა. მე ანგარიშში არ მიყოლიათ. თვითონ ნოსკოვი არც ისე სულელი იყო, თუმცა ზოზინა კაცი იყო...

ნესტერენკომ ამოიოხრა, მავიდას ქვეშ შეიხედა.

— მუდმივი ქვეყნად არაფერია. დარჩით თქვენ მარტო...

იაკობ არტამონოვს ეჩვენებოდა, რომ ენდარმის პირით სიტყვა კი არ ამოდიოდა, არამედ უწინარი მარყუევი, რომელიც მის კისერზე ინასკებოდა და დახრჩობას უპირებდა. გულისცემა შეჩერებოდა. მის ირგვლივ ყველაფერი აქანავებულყო და ზამთრის ბუჩქებით აღმუილებულიყო. ნესტერენკო კი განზრახ ნელი ხმით, აუჩქარებლად განაგრძობდა:

— მე მგონია, თითქმის დარწმუნებულიცა ვარ, რომ თქვენ სათანადო სიფრთხილედ ვერ დაიცავით და ზედმეტი სიტყვა წამოგცდათ... ხომ? აბა, მოიგონეთ!

— არა!— ჩუმად წარმოსთქვა იაკობმა, რადგანაც შეეშინდა, ხმას არ გაეცა იგი.

— ასეა, — ვითომ? — ჰკითხა ოფიცერმა და უღვაშებზე წითელი თითები გადაისვა.

— არა, — გაიმეორა იაკობმა თავის გაქნევით.

— უცნაურია. დიდად უცნაური. თუმცა ამის გამოსწორებაც შეიძლება. აი, როგორ: ნოსკოვის მაგიერ ჩვენ სხვა კაცი გვინდა, რომელიც ისეთივე სასარგებლო იქნება თქვენთვის. თქვენთან გამოცნადლება ვინმე მიწაევი. თქვენ ის მიიღეთ ფაბრიკაში... რას იტყვით ამაზე?

— კეთილი, — მიუგო იაკობმა.

— მეტი არაფერი. გათავებული საქმეა. მხოლოდ ფრთხილად კი იყავით, ქალებთან კრინტიც არ დაძრათ ამის შესახებ, გესმით?

— როგორც ბავშს ან სულელს, ისე მელაპარაკება. — გაიფიქრა იაკობმა.

მერე ენდარმა სიტყვა ჩამოაგდო ფრინველების მოახლოვებულ საშემოდგომო გაურენახზე, ომზე და თავისი ცოლის ავადმყოფობაზე. აუწყა, რომ ავადმყოფს ცოლს ახლა მისი და უგლიდა.

— მაგრამ უარეს უნდა მოველოდეთ და ამისთვის მზადება საჭიროა, — დაასრულა ნესტერენკომ და უღვაშები ყურების მომსხო ბიბილოებისაკენ გამართა, ამისაგან ზედა ტუჩი მალა აეწია და ყვეთელი კბილები გამოუჩნდა.

— უნდა გავიქცე სადმე, — ფიქრობდა იაკობი. — ხიფათში გამაბავს. არა, უთუოდ უნდა წავიდე.

— ეშმაკმაც კი წაგილოთ, — ამბობდა იგი გულში, როცა ოკეანა ნაპირით მიდიოდა. — რა საპირონი ხართ ჩემთვის? რისთვის?

შემოდგომის წინამორბედი, ხშირი წვიმა მიწას ნამავდა. მდინარის კვითელი ტანი აციმციმებულობდა. ვადამეტებულად თბილი ჰაერი იაკობ არტამონოვს სევდასა და ჭმუნვას უორკვებდა. ნუ თუ არ შეიძლება მშვიდად იცხოვროს ადამიანი, უბრალოდ, გარეშე ყოველივე ასეთი უახრო შფოთვისა?

მაგრამ, როგორც დატვირთული ურმები ზამთრის ავდარში, ისე მიიზღაზნებოდნენ თვეები ერთმანეთზე მიყოლებით.

ომიდან დაბრუნდა ერთი მოროზოვებთაგანი, ზაქარია, გიორგის ჯვრით დაჯილდოვებული, პელოტი, მუწუქიანი, შერუჯული თავით. ყური მოგლეჯოდა და მარჯვენა წარბის ადგილზე პირშეკრული, წითელი ჭრილობის დალი აწინდა, რომლის ქვეშ გაქვლეტილი, უსიკოცლო თვალი მიმალულობდა. მეორე თვალი კი მკაცრად და დაკვირვებით გამოიკვირებოდა, ჩამოსვლისთანავე იგი კონიგვარ კროტოვს დაუმეგობრდა. სერაფიმი ხუროს მოწამემაც ხელი მიჰყო სიმღერას და თამაშს:

Ех, ветер дует, дождь идет

Я лежу в окопе

Помогаю, идиот,

Воевать Европе.

იაკობმა მაროზოვს ჰკითხა:

— როგორ არის საქმე, ზაქარია? ძალიან ცუდად ეომობთ?

— კარგი არაფერია, — უპასუხა ფეიქარიმა. ხმა თავხედური, მკეთარი ჰქონდა. კონიგვარისებურად ურცხეს სიტყვებს ხმარობდა.

— პატრონი არა გკვავს, იაკობ პეტრესძევე, — ეუბნებოდა იგი პირში არტამონოვს. — არაშადები განაგებენ საქმეს.

ეს ზაქარია და ვასკა-კონიგვარი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ, როგორც ანთებული ფარნები შემოდგომის შავ ღამეში. როცა ტიტიანას ზზიარულმა ქმარმა ფართე შარვალი ჩაიცვა, ზაქარიას ფარაჯის ფერისა და ისეთივე დამბალი, ვასკა-კონიგვარმა ერთი შეათვალა იერა და წარმოსთქვა:

Вот так брьючки для растяп!

Сразу видно разницу:

Одни голову растят,

А другие — задницу.

იაკობს ძალიან გაუკვირდა, რომ სიმე ამაზე არ გაავიწყებულა. პირიქით ისე ვადიხარხარა, რომ კონიგვარს ნიშანი მისცა განაგრძეო. მუშებიც იცინოდნენ. ფაბრიკა განსაკუთრებით გამზიარულდა, როცა ზაქარია მოროზოვმა ერთხელ ეზოში ბანჯგვლიანი ლეკვი შემოიყვანა, რომელსაც კლდი გპირივით მალდა აეპრიხა. ლეკვს კლდზე კილით გიორგის თეთრი ჯვარი ჰქონდა მიმაგრებული. შირონმა ეს კი არ მოითმინა. ზაქარია პოლიციამ დააპატიმრა, ხოლო ლეკვი ტიბონ ვილოვს მიგვარეს.

ქალაქის ქუჩებში კოკლები, ბრმები, უხელონი და ყოველნაირად დასახინ-
რებულნი დადიოდნენ, ჯარისკაცის ფარავით გამოწყობილები, მათი ტანთსაც-
მელისაგან გარშემო ყველაფერი დამპლის ფერით იმოსებოდა. სწრაფად დამსხ-
ვრეულ და წამბდარ ჯარისკაცებს ქალაქის მანდილოსნები დაატარებდნენ.
მათ წინამძღოლობდა ხმელი, ცოცხს დამსგავსებული ვერა პოპოვა, რომელსაც
ამ საქმეში პოლინაც ჩაეთრია. მაგრამ პოლინა სწივოდა და ყვიროდა:

— არა, არ შემძლია. ეს საშინელებაა, უმსგავსობა რაღაც. იაშა, შეხედე
ერთი: ყველანი ახალგაზრდები არიან, ჯანმრთელები, მაგრამ ისე დასახინრებუ-
ლები და ისეთი სუნი უდისთ, რომ არ შემძლია... გამიგონე. წავიდეთ აქედან.

— სად? — ნაღვლიანად ეკითხებოდა იაკობი. იგი ამჩნევდა, რომ პოლინას
თანდათან ეკარგებოდა მოთმინება, სულ ხშირად და ხშირად სწევდა პაპიროსს
და პირიდან ნაიწვის მწარე სუნი სდიოდა. საერთოდ ქალაქში, და განსაკუთრე-
ბით ფაბრიკაში, ქალებს მეტი სიანხლე დაეტყო. სწივოდნენ ცხოვრების გაძვი-
რებას. მათი ქმრები სამუშაო ქირის მოპატებას მოითხოვდნენ, ხოლო ცუდად კი
მუშაობდნენ. საღამოობით მუშების ახალი უბანი სულ უფრო და უფრო ხმაუ-
რობდა. მათი ხმაურობა ახლა უჩვეულო რამ იყო, ბრაზიანი, შეუპოვარი.

სოლიდური სანახაობის ზეინკალი მინაფეი მუშებს შორის დალასლასებდა.
იგი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, შავი და ურისავით დიდცხვირა. იაკობი
უფრთხოდა მას, თვალს არიდებდა. ზეინკალი რაღაც ჩამავეებული თვალათ უც-
ქეროდა ყველას, თითქოს რაღაცას იგონებს და კი ვერ მოუგონიაო.

ფულურო ჯირკვივით დაგორავდა ეზოში მამა. ძლივს ადგამდა ფეხებს.
განიერ ბეჭებზე სამგზავრო მოსასხამი — მელის ქურჭი — წამოიხურა, გახუნებული.
ვინც კი შეხვდებოდა, ყველას დააყენებდა და მკაცრად ჰკითხავდა:

სად მიხვალ?

როცა უპასუხებდნენ, ხელს ჩააქნევდა და ჩაიბუტბუტებდა:

— წადი. უსაქმო, მოკლილი ხალხი ხართ! ბაღლიხჯოება, ჩემი სისხლით
იკვებებით.

გასივებული, ლილის ფერი სახე უცახცახებდა. ქვედა ტუჩი ჩამოვარდნოდა.
შვილები სირცხვილში იყვნენ ჩავარდნილი. ტატიანა მთელი დღის განმავლო-
ბაში გახუთებს აშრივებდა. ისე იყო შეშინებული, რომ ყურები სულ წითელი
ჰქონდა. მირონი ჩიტვივით დაფრინავდა ხან გუბერნიაში, ხან მოსკოვსა და პე-
ტერბურგში. როცა დაბრუნდებოდა, სიარულის დროს ფართე ძირიან ამერი-
კულ ფეხსაცმელებს აბაკუნებდა და ავი სიხარულით უამბობდა ყველას ლოთ,
გარყვნილ. მუჟიკის* შესახებ, რომელიც მეფეს წურბელასავით მიკროდა.

— ასეთი გლეხის სინამდვილეში არსებობა მე არ მწამს, — ამბობდა სანა-
ხევროდ დაბრმავებული ოლგა, რომელიც რძალთან იჯდა, სავარძელში. — ეს
განზრახ მოგონებულია, მაგალითისთვის.

— საკვირველი რამ არის. — ამბობდა ტატიანას მხიარული ქმარი. — საო-
ცარია. სოფელი შურს იძიებს! აი, ეს რას ნიშნავს!

იგი ერთად ერთი იყო, რომელიც რაღაც დღესასწაულს მოელოდა.

— ღმერთო ჩემო! — ეუბნებოდა მას ტატიანა. — ნეტავი, ასე რა გახარებს,
რომ არ მესმის!

გაკვირების ნიშნად მიტამ პირი მოიქცია და წარმოსთქვა:

— ზოგ-ო-ორ თუ არ გგმისს?... ამას გაგება უნდა. სოფელი ახლა შერს იძიებს ყოველივე იმისთვის, რაც თავს გადაწყდა, იმ „მეფეებს“ მან თავის ორგანიზმიდან საშინლად გამანადგურებელი საწამლავი გამოჰყო...

— მომითმინეთ.— დაჯლანვით შეაწყვეტინა სიტყვა მირონმა.— ამას წინად თქვენ სულ სხვა რასმე ლაპარაკობდით.

მაგრამ მიტია, თითქოს საკუთარი სიტყვებისაგან იხრჩობოდა, გამძაფრებით განაგრძობდა ბეჯითი ჩურჩულით:

— ეს სიმბოლოა და არა უბრალო „მუეიკი“. სამი წლის წინად მთი იდღესასწაულეს სამასი წლის იუბილე და აი, ახლა კი...

— სისულელეა.— ცხარედ სთქვა მირონმა. ექიმი იაკოვლევი, როგორც ყოველთვის, ახლაც იცინოდა. იაკობ არტამონოვი კი ფიქრობდა: თუ ნესტერენკომ გაიგო ამათი სიტყვები...

— რატომ ლაპარაკობთ ამას?— ეკითხებოდა იგი მოკამათით.— რა აზრია?— და არწმუნებდა:— თავი დაანებეთ.

— თქვენ ჭარს აყოლილხართ!— ამბობდა დაუფარავი ბრაზით მირონი. მიტია კი ღიმილით უპასუხებდა:

— ხალხის ნება... ხალხის უფლება...

— მე გეკითხებით: ვინ ხართ თქვენ?— ჰყვიროდა მირონი.

კარგია, გეყოფათ ბღაველი!— ჩაერია კამათში ფეროსი არტამონოვიც. მაგრამ მამის მიმჭრალ თვალბში იაკობმა კმაყოფილების შუქი შენიშნა. მისთვის ცხადი იყო: მამას უხაროდა, რომ ძმისწული და სიმე ჩხუბობდენ.

ყოველივე ახალი რაღაც შეფოსს პბედებდა და ისე ჩნდებოდა, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა წინანდელთან. ამჟამად სრულიად დაბრმავებული ოღვა მოულოდნელად გაცივდა, და ორი დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. სულ რამდენიმე დღე გავდა მისი სიკვდილის შემდეგ და როგორც ქლაქსი, ისე ფაბრიკასაც მეზივით თავს დაეცა: მეფე ტახტიდან გადადგო.

— რა იქნება ახლა? რესპუბლიკა?— ჰკითხა იაკობმა ძმას, რომელსაც ცხვირი გაზრთში ჩაერჭო.

— რასაცერვლია, რესპუბლიკა.— უპასუხა მირონმა:— ახლა რუსეთის განახლება, გაჯანსაღება დაიწყება! აი, რა იქნება!

ხელები ისე გაშალა, თითქოს უნდოდა იაკობს გადახვეოდა, მაგრამ ცალი ხელი ისევ ძირს დაუშვა, მეორე კი ერთხანს პაერში გამართულად დაიჭირა, მერე ცხვირთან მიიტანა და პენსნე გაისწორა. ისევ წინ გაიშვირა, სემაფორს დაემსგავსა და განაცხადა, — ხვალე მოსკოვს მივინგზავრებო.

მიტიაც ისე წღიდა ხელებს, როგორც მენტლე ყინვის დროს და ყვიროდა:

— ახლა კი საქმე კარგად წავა. ხალხი იტყვის, ბოლოს და ბოლოს, თავის ძლიერ სიტყვას, რომელიც დიდი ხანია რაც მომწიფებულია.

მირონი აღარ ეკამათებოდა მას. დაფიქრებული სახით იღიმოდა და ტუჩებს ენით ილოკავდა. იაკობი კი მართლა ხედავდა, რომ ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც მიტია ამბობდა. ყველა სიხარულს განიცდიდა. მიტია

კიბზე ჩამოდგებოდა და ეზოში თავმოყრილ მუშებს უამბობდა იმის შესახებ, რაც პეტერბურგში ხდებოდა. მუშები „ურას“ იძახოდნენ. მერე დასტაცეს მიტის ხელი და მალლა ჰაერში შეისროლეს. გააქანავეს, გამოაქანავეს, მჭრით შეიკუმშა და ძალიან მალლა აეარდა. მირონიც შეისროლეს ჰაერში, მაგრამ მან ბევრი იყვირა. ისე დაიჭრუნხა და დაიგრიხა ჰაერში, თითქოს ხელფები მოწყდაო.

იაკობის გაქანებაც უნდოდათ, მაგრამ ის გაიქცა და სახლში დაინალა, რადგანაც დარწმუნებული იყო, როცა მალლა შეისროდნენ, ძირს დაშვებისას ხელებს არ მიაშველებდნენ და ისიც დაეარდებოდა, დაიმტვრეოდა. სალამოს, როცა კონტორაში იმყოფებოდა, მან ტიხონის ხმას მოჰკრა ყური:

— რატომ წამართვი ძაღლი? მომყიდე. მე მისგან კარგ ძაღლს გავზრდი.

— ჰე, ბებერო, რა დროს ძაღლების გაზრდაა? — უპასუხა ზაქარია მოროზოვმა.

— მაშ, რას მიკეთებ? მომყიდე. მანეთიანს მოგცემ!

— მოშორდი.

იაკობმა ფანჯარაში გაიხედა და ტიხონს უთხრა:

— ხედავ, ტიხონ, მეფეს რა მოუვიდა?

— კი, — უპასუხა მოხუცმა. სახლის კუთხისკენ გაიხედა, ნელა ჩაუფსტინა და სიტყვა:

— მეფე ჩამოადგეს.

მერე დაიღუნა, ჩექმის ყელი აიწია და მიწას ჩაალაპარაკა:

— გაითამაშეს რაღა! აი, ანტონის სიტყვებიც ასრულდა, ურემმა ბორბალი დაჰკარგაო რომ ამბობდა.

მერე წელში გასწორდა და კუთხეში შეუხვია ძაბილით:

— ტულუნ, ტულუნ.

ფერხულივით, ხმაურობით ჩაიარა მხიარულმა კვირამ. მირონი, ტატინა, ექიმი... და საერთოდ ყველანი ახლა უფრო თავაზიანად ეპყობოდნენ ერთმანეთს. ქალაქიდან ვიღაცეები ჩამოვიდნენ და ზეინკალი მინავეი წაიყვანეს. მერე დადგა გაზაფხულიც, მზიანი და ცხელი.

— გამიგონე, ჩემო მარილიანო, — ეუბნებოდა იაკობს პოლინა, — მე მაინც არ ვესმის, როგორ უნდა მოეწყოს ახლა: მეფემ უარი სიტყვა მეფობაზე. ჯარისკაცები დახოცეს. პოლიცია გარეკეს. სახელმწიფოს სამოქალაქო პირები მართავენ... მაშ, როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ პირობებში. ყოველი არამზადა ახლა იმას, ჩაიდნეს, რასაც მოისურვებს და, რათქმა უნდა, ერთუკიხაც მე აღარ მომასვენებს... აგრეთვე სხვებიც, რომლებიც მე შეარსიყვებოდნენ და რომელთაც მე უარი ვუთხარი. ამიტომ არ მინდა და არც შემძლია აქ ვიცხოვრო. მე უნდა იქ ვიცხოვრო, სადაც არავინ არ მიცნობს. ესეც არ იყოს: რახან რევოლუციისა და თავისუფლება გამოცხადდა, ყოველმა კაცმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც მას უნდა.

პოლინა თანდათან უფრო ბეჯითად ლაპარაკობდა. მრავალსიტყვიანი შეიქმნა. იაკობი გრძნობდა, რომ იგი უდავოს რასმე ამბობდა და ამშვილებდა:

— მოიცადე ცოტა ხანს. დაიწმინდება, დაწყნარდება ეს ამბავი და მაშინ...

მაგრამ მას აღარ სწამდა, რომ მღვდლმარტო და ცხრებოძან კარგად ამხნევედა, რომ მუშების ხმაურობა დღითი-დღე იზრდებოდა, საშიშროება იქნებოდა. მშიშარა აღმანი ყოველთვის მონახავს შიშის საბაბს. იაკობს ახლა ძალიან აფრთხობდა ზაქარია მოროზოვის თავის დამწვარი ქალა. ზაქარია ახლა მეფესავეთ დაბრძანდებოდა. მუშები ცხრის ფარასავეთ მისდევდნ მას, როგორც ჯოჯის ძაღლს. მოროზოვი მართლაც დაემზგავსა დიდ ძაღლს, რომელსაც უკანა ფეხზე დგომა უსწავლია. თავის დამწვარი კანი ალბად გაუსკდა, რადგანაც დროგამოშვებით თავს მიტის ნაჩუქარი ტატიანას ტანის პირსახოცი თ იხვევდა დოლბანდივეთ. დინჯად დადიოდა, როგორც ისპრავნიკის თანაშემწე გკვე. ხელის დიდი თითი ჯარისკაცის გაცრეცილი შარვლის ხვანჯარზე ჩამოედვა. დანარჩენ თითებს კი თევის ბოლოსავეთ აქანავებდა და მუშებს გასძახოდა:

— ამხანაგებო, წესრიგი დაიცავით!

მან სამი ყმაწვილი გაასამართლა ტილოს მოპარვისათვის. ყველას გასაგონად, ხმამაღლა ეკითხებოდა ქურდებს:

— თქვენ გესმისთ, ვის მოპარეთ?

და თვითონვე უპასუხებდა:

— თქვენ თქვენსავე თავს მოპარეთ... ჩვენ ყველა გავგჭურდეთ! როგორ შეიძლება ახლა ქურდობა, თქვე ძაღლის შვილებო.

მან განკარგულება ვასცა, რათა ქურდები გვეწყებოდათ. ორმა მუშამ სიამოვნებით გაწყებოდა ისინი.

მიტია ნაცრისდერ შარვლით გამოწყობილი დარბოდა, ტყავის ქუდი ეხურა, კეფაზე ჩამოფხატული. წითურ საბეზე ოფლი ჩამოდიოდა. თვალბში მომწვანო ფერის სიხარული უბრწყინავდა. გუშინ ღამეს ის ცოლს წაეჩხუბა. იაკობს ესმოდა მათი ფანჯრიდან გამოშავალი ჯერ ხმამაღალი ჩურჩული, და მერე კი ტატიანას თავშეუტყავებელი ყვირილი:

— თქვენ ჯამბაში ვინმე ხართ. უპატიოსნო კაცი! თქვენი რწმენა? მათხოვრებს რწმენა არა აქვთ! სულ ტყუილია! ერთი თვის წინად ეს თქვენი რწმენა... მაგრამ კმარა. ხვალ მე ჩემს დასთან მივემგზავრები, ქალაქში... ბავშვებიც ჩემთან იქნებიან...

იაკობს ეს არ გაკვირვებია. ის დიდი ხანია, რაც ამხნევედა, რომ ეს წითური კაცი საძაგელი ვინმე იყო.

მირონი და მისი ცოლი ისე გაურბოდნ მიტის, თითქოს მას მური აცხიანო. რამდენიმე დღის შემდეგ მიტია ქალაქში გადავიდა. თან თავისი ქონება წაიღო: სამი შეკერა წიგნები და კალათა საცვლით.

იაკობი ხედავდა, რომ ყველა და ყველაფერი რაღაც უაზროდ ფაცაფუცობდა, როგორც ხანძრის დროს. ხალხი ყალყზე იყო შემდგარი. ცხადი იყო, ყველა რაღაც სისულელეს შეეპყრო და არაფრიდან არ სჩანდა, რომ ამ გავიყებულ დღეებს ბოლო მოეღებოდა.

— გამიგონე, — უთხრა მან პოლინას — გადავწყვიტე წასვლა. ჯერ მოსკოვს და მერე იქ მოვიფაქროთ, სად წავიდეთ...

— მადლობა ღმერთს! — გაუხარდა ქალს. გადაეხედა და აკოცა.

ივლისის თვის საღამოს ბალი მოწითალო ბინდით მოვევარაყებინა და ფანჯარაში წვიმით დამბალის და მზის მცხუნვარებით გახურებული დედამიწის მძიმე სუნთქვა შემოფერქვია, კარგი საღამო იყო, მაგრამ რატომ წაჩქარებინა იაკობმა კისერზე შემოხვეული პოლინას ცხელი, მაგრამ სველი ხელი მოი-

წორა და ჩაფიქრებულად სთქვა:

— შეიქარი გულმკერდი... ჩაიცვი... საქმე სერიოზულად უნდა მოვიფიქროთ.

ქალი ჩამოხტა მის მუხლებიდან, მიიჩინა ლოგინთან, ხალათი გადაიკვა და საქმიანი სახით გვერდით მოუჯდა იაკობს.

— საქმე, აი, რა არის... უნდა მოვიფიქროთ, უნდა მოვძებნოთ ისეთი სახელმწიფო, სადაც მშვიდობაა, სადაც საჭირო არ იქნება ზრუნვა და სხვის საქმეზე ფიქრი... აი.

— რასაკვირველია! — უთხრა პოლინამ.

— სიფრთხილე გეპარტებს. მირონი ამბობს: მატარებლები გამოქცეული ჯარისკაცებით არის სავსე... საჭიროა რომ ღარიბულად გვეცვეს.

— მხოლოდ შენ რაც შეიძლება მეტი ფული წამოიღე.

— რა თქმა უნდა. მე ისე წამოვალ, რომ ჩემიანებმა არც კი იცოდნენ, სადა ვარ. თითქმის ვორგოროდში ვიმყოფები, გესმის?

— რა საჭიროა ვითომ დამალვა? გაკვირვებით და უნდობლად ჰკითხა პოლინამ.

— იაკობმაც არ იცოდა რისთვის იყო ეს საჭირო. ეს აზრი ახლა დაემადა მას, მაგრამ გრძნობდა, რომ ასე უჩველესი იყო.

— ხომ იცი, რომ მამა, მირონი გამოკითხვას დაიწყებენ, სად, რისთვის... ყველაფერი ეს საჭირო არ არის, ფული კი მოსკოვშია. რამდენიც გინდა, იმდენი მექნება... ბევრი, ძალიან ბევრი.

— მაშ, ვიჩქაროთ! — სთქვა პოლინამ — ხომ ხედავ, ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი გაძვირდა, და არც არაფერი იშოვება. ახლა ალბათ ძარცვა-გლეჯაც დაიწყება, რადგანაც, მართლაც, რით იცხოვროს ხალხმა.

კარისკენ მიიხედა და ჩურჩულით განაგრძო:

— აი, ჩვენი მზარეული ქალი ძალიან კეთილი ვინმე იყო, ახლა კი ძალზე გათიხებულა და ლოთივით დაიარება. მას შეუძლია პირდაპირ დამკლას ძილის დროს. რატომ არ უნდა დამკლას, როცა ყველაფერი აირია. გუშინ მესმოდა, რომ ვიღაცას ეჩურჩულებოდა. ღმერთო ჩემო! გავიფიქრე: აი, მოვლენ და... მაგრამ კარი რომ შევადე, ვნახე: დგას მუხლებმოყრილი და ღმუის... საწინელება იყო!

— დაიცა, — შეაჩერა მისი შფოთიანი ჩურჩულის ნაკადი იაკობმა — ჯერ მე წავალ.

— არა! — იყვირა ამაზე პოლინამ და მუშტი დაჰკრა მუხლზე. — ჯერ — მე. შენ მე ფული მომეცი და...

— არ მენდობი თუ? — შეტრაცყოფილი სახით ჰკითხა ქალს მამაკაცმა და პასუხად შემდეგი ბეჯითად წარმოთქმული სიტყვები მოისმინა:

— არ გენდობი. მე პატიოსანი ვარ და პირდაპირ ვამბობ: არ გენდობი-
განა შეიძლება ახლა ნდობა, როცა შეფუესაც კი ულალატეს და ყველა ყველას
ლალატობს!.. შენ კი ვინი ნდობა გაქვს?

პოლინა ძალიან ბეჯითად ლაპარაკობდა, ხოლო მასზე უფრო მეტი
მისი ღია ხალათით გამოშვებული გულმკერდი ლაპარაკობდა. იაკობ არტამო-
ნოვმა ქალს დაუთმო. გადაწყვიტეს, რომ პოლინა ხვალვე შეკრავდა ბარგს,
ვორგოროს გაემგზავრებოდა და იაკობს იქ დაუცდიდა.

იაკობმა მეორე დღესვე დაიწყო ჩივილი და წუწუნი: კუჭი და თავი მტკი-
ვაო. ეს დასაჯერებელი იყო, რადგანაც ხოლო დროს ძალიან ვახდა. რეა დღის
შემდეგ იგი რკინის გზის სადგურისაკენ მიემგზავრებოდა ქალაქიდან.

გავიდა ერთი თვე და მოსკოვიდან დაბრუნებული მირონ არტამონოვი
ტატიანას მიუახლოვდა, თავდახრილი წინ დაუდგა და ხელის გულზე ცქერით
აუწყო:

— მეტად სამწუხარო რამ უნდა გაუწყო: მოსკოვში ყოფნის დროს ჩემ-
თან ის საზიზღარი ქალი გამოცხადდა, რომელთანაც იაკობი სცხოვრობდა, და
მაცნობდა, რომ ვილაც ხალხშია... ჰმ... რა ხალხია ახლა?.. იაკობი სცემეს და მერტ
ვავინიდან გადაავდესო.

— შეუძლებელია!— იყვირა ტატიანამ და სკამიდან ადგომა დაიპირა.

— გაქანებული მატარებლიდან. ორი დღის შემდეგ იგი გარდაცვლილა.
დაუსაფლავებიანთ სადგურ „პეტუშკას“ ახლოს სასაფლავო სასაფლაოზე.

ტატიანამ ხმის ამოუღებლად ცხვირსახოცი თვალებზე მიიღვა. გამხდარი
წაწვენილი ბეჭები აუცახცახდა.

მირონმა პენსენ გაისწორა, თითები ჩაატაკუნა. მწუხრის ზარის რეკას
ყური მიუგდო და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— რა სატირალია? ჩვენს შორის— ის იყო სრულიად უსარგებლო კაცი.
მაპატიე და, საშინლად სულელი. რა თქმა უნდა ცოდვია... დიალ...

— ლმერთო ჩემო, — სთქვა ტატიანამ, შეწითლებული ქუთუთოები ახამხამ-
მა და გადარბობიანებული თითით წარბი გაისწორა.

— სიანს, მარჯვე ქალი ყოფილა, — ამბობდა მირონი, რომელსაც ხელები
ჯიბეში ჩაეწყა — ძალიან კარგად იფერებს მწუხრებს ქვრივის მდგომარეობას, მა-
გრამ ისე მწვენივრად არის ჩაძმული, რომ ცხადია: იაკობი სწორედ მის მიერ
არის გამარცხული. ამბობს წერილი მოგწერეთო.

ტატიანამ თავის გაქნევით უარყო ეს ცნობა.

— ხომ?.. მეც ვიცი. მგონია, რომ დედ-მამას არ უნდა გავაგებინოთ
ეს ამბავი. დეე, ეგონოსთ, რომ იაკობი ცოცხალია.

— კი, ასე სჯობია. — დასთანხმდა ტატიანა.

— თუმცა ბიძიას უკვე არაფერი გაეგება... დედას კი ცრემლი დაახრ-
ჩობდა.

თავი გაიქნია ტატიანამ და სთქვა:

— ჩვენც მალე დავიღუპებით.

— ადვილათ შესაძლებელია, თუ აქ დავრჩით. მე დაუყოვნებლივ გავგზა-
ვნი ცოლშვილს აქედან. გირჩევ შენც აიყარო, სანამ ზაქარია მორაზოვი... მაშ,
ბებრებს ჩვენ არ ვუშვებთ იაკობის ამბავს... მაპატიე, სახლში უნდა წავიდე,
ცოლი უქეიფოდ არის.

თავის გრძელი ხელი ჩამოართვა დას და წასვლის წინ წარმოსთქვა.

— ვერ წარმოიდგენ, რა გამძლეობულია ახლა მოგზაურობა. გზა საშინელ
მდგომარეობაშია.

უფროსი არტამონოვის ცხოვრება თვლენაში ვადიოდა. ძილს თავს ვერ
აღწევდა, რომელიც რაც დრო ვადიოდა მით უფრო ღრმა ხდებოდა. თითქმის

მთელი დღე და ღამე სულ ლოგინში იწეა. ხანდახან ფანჯრის წინ საფეხქელში ჩაჯდება. ფანჯრის იქით მტრედის ფერი სიცარიელე მოსჩანდა, რომელსაც აქაიქ ღრუბელი იფარებოდა. სარკეში უყურებდა თავის ფანჯრის ხედი იყო, გაბერილი სახე ჰქონდა, ცრემლიანი თვალები, ნაცრისფერი წვეწოვანი ფეხები.

— ნამდვილი კოლო ვარ.

ცოლი მიუახლოვდებოდა. თავზე დაადგებოდა, შეანძრევდა და შესჩივლებდა:

— უნდა წავიდეთ აქედან. ექიმობა გჭირია.

— მომშორდი, — ზანტად ეტყოდა არტამონოვი, — მომშორდი, კაკო. თავი მომბებრე, მომასვენე.

მარტო რომ დარჩებოდა ყურს დაუდებდა, თუ როგორ უსაქმოდ ხმაურობდნენ ეზოში, ბაღში, ყველგან. ფაბრიკა კი სდუმდა.

შეჩვეული მოსაუბრე, მოტყუებული ადამიანი, რომელიც არტამონოვს არათბდა თავისი პატარა აზრების ჩველტით, გაჰქრა, აღარ არის. კარგადაც მოიქცა, რადგანაც ფიქრიც კი ეზარებოდა არტამონოვს. თუმცა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ფიქრიც უაზრობა იყო, რადგანაც არავის გაგება აღარ შეიძლებოდა. სად წაეიდენ, გადაიკარგენ: იაკობი, ტატინა, სიმე?

ღროგამოშვებით ცოლს შეეკითხებოდა.

— დაბრუნდა თუ არა ილია?

— არა.

— ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა?

— არა.

— იაკობი?

— იაკობიც არა.

— ასე. სეირნობენ. საქმეს მირიშვა წუწნის.

— შენ ამაზე ნუ იფიქრებ. — ურჩევდა ნატალია.

— მომშორდი.

ხანდახან (უფრო და უფრო ხშირად) პეტრე არტამონოვს მის გარშემო წარმოებულ გაუგებარი ფსუფუსი გამოაღვიძებდა. მოვიდოდნენ ვიღაც უცხო ადამიანები, დაატყობდებოდა მათ, რათა გაეგო მათი ხმაიალალი ბოღეა. ყურში ცოლის ყვირილი ჩაესმოდა:

— ღმერთო ჩემო, ეს რას ჰგავს? რისთვის? ეს ხომ პატრონია. აჰ ჩვენ ვართ პატრონები. დამახებეთ, მე წავეყვან მას აქედან, ექიმობა სჭირია... გთხოვთ, მომეცით ამისი ნება.

— ჩემი დამალვა უნდა. რა საჭიროა დამალვა? — ფიქრობდა არტამონოვი.

— სულელი დედაკაცი. მთელი სიცოცხლე სულელი იყო. იაკობი მას დაემსგავსა, სხეშიც, ილია კი — მე მგავს. აი, დაბრუნდება ის და წესრიგს დაამყარებს. წეიმიდა. თოვდა. ყინვა მივინჯარებდა. ჭარბუქი ფსტევენდა და ბლაოდა.

არტამონოვი ძილისაგან სიმშლილის გრძობაზე გამოარკვია. ის ბაღში იჯდა, ფანჯატურში.

— მშია, — სთქვა მან, არაეინ გაცა პასუხი.

ბაღში მოლურჯო, ნესტიანი ბინდი გამდგარიყო. ფანჯატურის შესავალთან ორი ცხენი იდგა, კისერ ვადაკლომილი, — ერთი ნაცრისფერი, მეორე შავი. მათ უკან სკამზე თეთრ პერანგაინი ვინმე კაცი იჯდა და დახვეულ თოკს ხსნიდა.

— ნატალია! არ გესმის: მაჭამე მეთქი.

წინად, როცა თვლემას თავს დაახვევდა და ცოლს დაუძახებდა, ნატალია მაშინვე მისთან გაჩნდებოდა. ყოველთვის მის ახლოს იმყოფებოდა. დღეს კი არ ჩანდა.

— ნუ თუ? — გაიფიქრა არტამონოვმა. თითქოს უფრო გამოეჩინებინა იქნება, ავიდ ვახდა.

თავი ასწია. აბანოს კართან, ბუჩქნარის გასწვრივ, რაღაცა დაეფიქრა, მერე აღმოჩნდა, რომ ეს ხიშტიანი თოფი იყო, რომელიც ზურგზე გადაეხედო. ბუჩქს ამოფარებულ ჯარისკაცს. ეზოში ვიღაცა ჰყვიროდა:

— რა ამბავია, ამხანაგო? ხომ არ ხუმრობთ? განა ასე უფლიან ცხენებს? ასე ლორს არ მოუფლიან! რატომ თევა თავის ადგილზე არ არის? დასველებულია. აბანოში, კლიტულში ხომ არ მოგინდა დაგამწყვდიო!

თეთრპერანგინამა კაცმა თოკი ხელიდან გაავლო, წამოდგა და ჯარისკაცს მიმართა:

— საიდან სადაო წმინდა საბაო?

— უფროსები ახლა უფრო გამრავლდენ, ვინემ წინად იყვენ.

— ვინ ოხერი ნიშნავს ახლა მათ?

— თვითონ ნიშნავენ თავიანთ თავს. ეხლა, ჩემო ძმაო, ყველაფერი თავისთავად კეთდება, როგორც ბებიას ზღაპარში.

კაცი ცხენთან მივიდა. ფაფარზე ხელი მოჰკიდა. უფროსმა არტამონოვმა, რაც ძალა ჰქონდა, იყვირა:

— ჰეი, ცოლს დამიძახე ერთი!

— იყურე, ბებერო! — უპასუხეს მას. — ერთი ამას შეხედე: ცოლი მონდობეები!

ცხენები წავიდნენ. არტამონოვმა ხელის გული სახესა და წვერზე მოისვა. ცივი თითებით ყური მოინახულა. გაიხედ-გამოიხედა. იგი ფანჩატურის უსარკმელი კედელთან იწევა, ვაშლის ხის ძირში, რომელსაც წითელი ვაშლები ესხა მტყენებივით. საწოლი მაგარი იყო. მელის ტყავის გაცვეთილი ქურქი ეგო ჭევეშ, სახამთრო პიჯაკი გადაფარებული. მაგრამ არ ცხელოდა. გაუგებარი იყო, რატომ იმყოფებოდა აქ არტამონოვი. იქნება დღესასწაულის წინ სახლს ალაგებენ. მაგრამ რა დღესასწაულია, ნეტავი? რა უნდათ ბაღში ცხენებს, ან საიდან გაჩნდა აბანოში ჯარისკაცი? ვინ არის, რომ ჰყვირის:

— თქვენ, ამხანაგო, მიუხედავად ბაღში ჰყოფილხართ. რაო? ხალხი დაილალო? ადრეა ჯერ დალაღვა.

ფანჩატურში ვიღაცა შემოვიდა, ძალიან მსხვილი, თავზე ბანჯგელიანი ქუდი ეხურა. ცივი ლანდი მოჰყვებოდა და კუპრის სუნი.

— ეს ტიხონია?

— მაშ...

— ვინ არის რომ ჰყვირის?

— ხაქარია მოროზოვი.

— ჯარისკაცს აქ რა უნდა?

— ომია.

არტამონოვი მცირე ხნით დადუმდა. მერე ჰკითხა.

— მტერმა აქამდე მოაღწია?

— შენს წინააღმდეგ ომობენ, პეტრე ილიას ძვე.

არტამონოვმა მკაცრად უთხრა:

— შენ მე ნუ მეხუმრებდი, გამოსულელებული ბებერო. მე შენი ამხანაგია არა ვარ.

ამაზე ტიხონმა მშვიდად უპასუხა:

— უკანასკნელი ომია. მეტი არ იქნებაო. ეხლა ყველა ამხანაგია. სისულელე კი შე მოკვული მაქვს.

ცხადი იყო, რომ ტიხონი დასცინოდა. აი, უბოდიშოდ დაჯდა იგი პატრონის ფეხებთან. ქუდმოუხდელი. ეზოში ხრინწიან ხმაზე ბრძანება გაისმა:

- რვა საათს შემდეგ ქუჩაზე არავინ გამოჩნდეს... არც, *არც, არც, არც!*
- ცოლი სად არის? — იკითხა არტემონოვმა.
- წავიდა პურის საძებრად.
- როგორ თუ საძებრად?

— ასე. პური ხომ ანგური არ არის, მიწაზე არ ვდია.

ბინდი სქელდება ბაღში, ლურჯდება. აბანოსთან ჯარისკაცმა დაამთქნარა ჩაყვლილებით, თავად ის არ სჩანდა, მხოლოდ ხიშტი კიდევ ელვარებდა, როგორც თევზი წყალში. არტემონოვს ბევრი რამ უნდოდა გამოეკითხა ტიხონისათვის, მაგრამ დღეილი არჩია. სულ ერთი იყო, ვერაფერი გაიგებდა ტიხონისგან. ამას გარდა მის თავში თვითონ კითხვებიც ხტუნავდნენ რალაც, ირეოდნენ. ვერ გაერკვია, რომელი მათგანი იყო უფრო მნიშვნელოვანი. ქამაც უნდოდა ძალზე.

ტიხონმა ჩაიბუტბუტა:

— სულელი ხარო მეუბნები, ჭეშმარიტებას კი ყველაზე უფრო ადრე მე მივხედი. აი, ცხოვრება როგორ დატრიალდა. მე ვამბობდი: ყველას კატორღა მოეღის შეთქი. და ასრულდა კიდევაც. ჩამოვიბერტყეს, როგორც მტვერი ჩვარით. ბურბუშელასავით გაგვავეს. ასეა, პეტრე ილიას ძევ. დიალ. ენმაკი ბანდავდა და შენ კი ეხმარებოდი. რისთვის? ვცოდეთ, იმდენი ვცოდეთ, რომ ჩვენს ცოდვას ანგარიში არა აქვს. მე სულ მიკვირდა, საოცრება რამ იყო. როდის მოეღება ამას ბოლო შეთქი? და აი, ბოლოც დაგიდგათ... —ურემმა ბორბალი დაჰკარგა“

— ბოდავს, — გაიფიქრა არტემონოვმა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

- მე აქ რატომ ვარ?
- იმიტომ რომ სახლიდან გამოგადგეს.
- მირონი?

- ყველა.
- იაკობი?

- დიდი ხანია რაც აღარ არის.
- ილია სად არის?

— ხმა დადის ამათთან არისო. ალბად, შენც იმის წყალობით ხარ ცოცხალი, რომ ის ამათთან არის, თუ არა...

— ბოდავს, — გადაწყვიტა პეტრე არტემონოვმა და გაიშმა. — გამოიჩინე ჩეტდა, ალბად. მოსალოდნელიც იყო.

წერილი, ბუტბავი ფარსკლავები აენტენ ცახე. წინად, თითქოს სხვანაირი იყვნენ ვარსკლავებიც. ამდენიც არ ყოფილა.

ტიხონმა ქუდი ხელში აიღო, შექმუჭნა და ისევ ბუნლუნით განაგრძო:

— თქვენმა ცბიერმა სისულელემ თქვენვე გავნოთ. ახლა მათხოვრები უკეთ ცხოვრობენ.

ჟცუბ ხმა გამოიკვალა და ჰკითხა:

- გახსოვს ხომ ის ბიჭი, კანტორის გამგის შვილი?
- შერე რა?

პეტრე არტემონოვმა ვერ გაიგო: ამ მოულოდნელმა შეკითხვამ შეაშინა იგი თუ გააკვირვა. მაგრამ მყისვე იგრძნო, რაც მოუვიდა, როცა ტიხონმა სიტყვა დაამთავრა:

— შენ ის ისე მოჰკალი, როგორც ზაქარიამ ლეკვი მოჰკლა. რისთვის?

არტემონოვისათვის ცხადი შეიქნა: ტიხონმა ალბად დააბეზლა იგი. იმიტომ არის, რომ მის გარშემო ასეთი ამბავი ხდება: უთუოდ დაპატიმრებულია.

მაგრამ ამის არ შეუშინებია იგი, უფრო გაბრაზდა. იდაყვზე დაეყრდნო, თავი ასწია და ხმადაბალი საყვედურით მიმართა ტიხონს. ენა პირში რაღაც მწიარე ჰქონდა. პირი გამოშრობოდა.

— ამას შენ სტუი. ყოველი დანაშაულისათვის ვადა... არაფერსაც განსაზღვრული ხანგრძლივობა. შენ კი ვადას გადააცილე. დიად... და ქუუაზედაც შეშლილხარ. დაგვიწყებია, რაც მაშინ თვალთ ნახე... რაც თვითონ მითხარი.

— რა გითხარი მაშინ?— გააწყვეტინა მოხუცმა.— მე, რა თქმა უნდა, არ დამინახავს, მაგრამ მივხედი. ის კი იმისთვის გითხარი, რომ შენთვის შემეხედნა: რა იზამს მეთქი. მე ტუული გითხარი, შენ კი ვაგებარდა, იმ ტუილს ხელი ჩასქიდე. მე მერე ვიცადე, ვიცადე... გიყურე... ყველანი თქვენ ასეთები ხართ: აღეჭვი ილიასძემ თავის ლოთს სიმამრს ჩაავონა ბარსკის ტრაქტორისათვის ცეცხლი წაეკიდებინა. მამაშენი მიხედა, როგორ იყო საქმე, და ისე მოახერხა, რომ ის ლოთი ბრბოს ჩააქოლინა, მოაკვლევინა. ნიკიტა ილიასძემ ყოველივე უწყობდა. ის ყველაფერს ხედებოდა თავისი ქუით. არ უნდა გაეცხადებინა, მაგრამ შენზე გაჯავრებული რომ იყო, მე მიამბო ყველაფერი. მე ვუთხარი: შენ ბერი ხარ, ამას დაივიწყებ მეთქი, მე კი არ დამავიწყდება მეთქი. თქვენ ის შეშინებული ვაყვადით, ჯერ იყო და კინალამ თავი ჩამოახრჩობინეთ, მერე კი მონასტერში გაგზავნეთ: ილოცე ჩვენთვისო. მაგრამ თქვენთვის ვერ ლოცულობდა, ვერ ბედავდა. ამისთვის იყო, რომ ღმერთი დაჰკარგა...

ტიხონი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ასე შეეძლო განეგრძო დაუსრულებელი. ლაპარაკობდა ჩუმად, დაფიქრებულად და, თითქოს უწყინრად. გვიანი საღამო იყო და ცხელ ბინდში მისი სახე არც კი მოსჩანდა. მისი ხმა არტამონოვს ისე ესმოდა, თითქოს მის ირგვლივ ზოკოები დახობავდნო. მძიმედ აწუებოდა გულზე, აკვირვებდა უკიდურესად. იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ეს გაუგებარი კაცი ჭაუბზე იყო შერყეული.

სარწმუნოება თქვენ, არტამონოვებმა, მეც დამიკარგეთ. ნიკიტა ილიასძემ მეც უღვთო, ურწმუნო გამხადა. თქვენ არც ღმერთი გწამთ, არც ეშმაკობით იმისთვის ვაქვთ სახლში, რომ სხვები მოატყუილოთ. რა ხართ, რა ვა. გაჩნიათ? შეუძლებელია ამის ვაგება. თითქოს რაღაცა მაინც ვაქვთ, რაღაცა ხართ. მატყუარებო. მოტყუილებით ცხოვრობდით. ახლა კი ყველაფერი გამოგანდათ, როცა ვაგზადეს...

არტამონოვმა ძლივს შეანძრია ტანი. მძიმე ფეხები ძირს გადმოდგა, მაგრამ იატაკის შეხება ვერ იგრძნო. ამის გამო მოეჩვენა, თითქოს ფეხები ტანს სრულიად გამოარებოდნენ და თვითონ კი ჰაერში დაკიდებულ იყოს. შეეშინდა. ბელებით ტიხონს დაეყრდნო ბეჭებზე.

— საით?— ხერხულად ჰკითხა მეგზოვემ და ხელები მოიშორა.— ხელი არ შემახო. ძალა არ გეყოფა და ვერ დამახრჩობ. მამა კი იყო ღონიერი, მაგრამ ღონე ტრახანმა გამოუღო... სარწმუნოება დამიკარგეთ მეთქი, ვამბობ. ახლა არ ვიცი, როგორ უნდა მოვკვდე... თქვენი შემყურე...

არტამონოვს ახლა უფრო მოშვიდა. ფეხის ამბავიც ძალიან აწუხებდა.

— ხუ თუ კვდები? ჯერ სამოცდაათუთხმეტეც კი არ შემსრულებია... ღმერთო...

უნდოდა ისევ წამოწოლილიყო, მაგრამ ძალა არ იყო ფეხები აეწია. მაშინ ტიხონს უბრძანა:

— მომიშველე. ფეხები ამიწიე.

ტიხონმა აუწია ფეხი და სკამზე ჩამოდგა.

მერე გააფრთხილა. ისევ დაჯდა და თითებით ქუდს ჩხვლეტა დაუწყო, თითქო ჰქერავსო. თითებ შუა რაღაც ბრჭყვიალა ტყირი. არტამონოვი დააკვირდა: ნემსი აღმოჩნდა,— მიუხედავად იმისა რომ ღამე იყო, ტიხონი ქუდს აკერებდა, რაც

მის ჰკუაზე შერყევას მოახწავებდა. თავს ნაცრისფერი ლამის ჰუკელა დაეარფა-ტებდა. ბალი ყუითელი სინათლის სამმა ზოლმა გაანათა და ვილაკამ შორს, მაგრამ გარკვეულად წამოიყვირა:

— უკან დაიხიე, ამხანაგო! ადგილი არ არის...

ტიხონმა დაუბრა ეს ხმა:

— ასეთი იყო მამაშენიკ. მან ძმა მომიკლა.

— სტყუი!— ძალაუნებურად წამოიყვირა არტამონოვმა, მაგრამ მაშინვე

ჰკითხა:

— როდის?

— აი, როდისო...

— რად სტყუი, შე გიყო. — ილწუოთდა ახლა არტამონოვი, რომელსაც

შიმშილისაგანაც გული დასუსტებოდა.—რა გინდა? ჩემი სინიღისი ზომ არა ხარ, ან მოსამართლე? რად არა სთქვი ეს ერთხელ მაინც ამ ოცდაათი წლის განმავლობაში?

— არა ვსთქვი, მაშასადამე ვფიქრობდი...

— მეტი ღვარძლი რომ მოგგროვებოდა გულში!.. წადი, შეატყობინე პოლიციას.

— პოლიცია აღარ არის.

— უთხარი: ამ კაცმა მთელი სიცოცხლე მისეი, მაჭამა და ახლა გაასამართლეთ-თქო. ასე. იქნება, უკვე დაბეზღებულაც გყავია! მაშ, რა გინდა? ა? შემაშინე? ფული გინდა მომთხოვო?... ა!

— ფული შენ აღარ გაქვს. არაფერი შენ არა გაქვს. არც გქონებია. მოსამართლე შე არ მქირია. შე თვითონ ვარ ჩემი თავის მოსამართლე!

— მაშ, რისთვის შემუქრები, რომ ასე ბოდავ!

მაგრამ ტიხონი არ ეშუქრებოდა და არტამონოვიც გრძნობდა ამას.

— ბოლო მოგელოთ ყველა კაინებს.— ბუზღუნობდა ის.— რისთვის მომიკალით ძმა?

— ძმის შესახებ სტყუი!

ბებრები ერთმანეთს არ აცლიდენ ლაპარაკს.

— მე ვსტყუი? შე მაშინ მასთან ვიყავი...

— ვისთან?

— მასთან. მხოლოდ მე გაქტევა მოვასწარი, როცა მამაშენმა მას თავში ჩაარტყა... მისმა სისხლმა მოუღო ბოლო მამაშენს. რისთვის იყო საჭირო ეს სისხლი?

— დაგავიანდა...

— აი, ახლა დაგამხვეს. შენც უმწეო ხარ... შე კი ისევე ჩემთვის, განზე ვდგეკარ.

— მხოლოდ ჰკუა კი დაეარგე.

არტამონოვი გრძნობდა, რომ ყოფილმა მიწის მთხრელმა იგი ისეთ ჩიხში მიამწყვდია, სადაც ყველაფერი გაუგებარი, გაურკვეველი და საშინელი იყო. ის მაინც თავისას იმეორებდა ბეჯითად:

— დაგავიანდა მეტიკ. ძმის შესახებ სტყუი, ძმა შენ არ გყოლია. შენისთანას საზოგადოდ არაფერი არ გააჩნია.

— სინიღისი გამაჩნია.

— შენ თვითონ ვადიბირე ჩემი ეუკი, ილია. გზას ააყდინე.

— თქვენ, არტამონოვებმა, შე ჰკუა დამაეარგვინეთ. ნიკიტა ილიასძემ ამრია...

— ის კი ამბობდა, პირიქით, რომ შენ არიე...

— მე რამდენჯერმე მინდოდა მამაშენი მომიკლა. ერთხელ კინალამ ბარით გაუუპე თავი... მაგრამ... თქვენ ეშმაკები ხართ.

— შენ თვითონ...

— სერაფიმეც გაიჩინეთ. ისიც მიტრევედა გზასა და კვალს. არავეს არ აწყენინებდა, ხოლო უმართლო ცხოვრებას კი ატარებდა. როგორც მტრებსა ანაშაყველგან — ცბიერება...

— ვინ მოიღის? საით? — დაიბღვლა ვილაცამ. — ხომ გითხრეს, რვა საათის შემდეგ გარედ ნუ გამოხვალთო.

ტიხონი წამოდგა. კართან მივიდა და გარედ გაერდა, ბნელს შეერია. მღელვარებისა და შიშობისაგან მოქანცულმა არტამონოვმა შეაშინია, რომ მოყვითალო სინათლის სამ ზოლ შუა, ბაღში რალაც დიდმა, ფართემ და შავმა შემოაბიჯა. პეტრე ილიასემ რალაც საშინელების მოლოდინში თვალეზი დახუჭა.

— იშოვნე? — ჰკითხა ვილაცას ტიხონმა.

— აი, ეს არის და ეს.

არტამონოვმა ხმაზე იცნო ცოლი. სად იყო აქამდე, ნეტავი. რატომ დასტოვა ამდენხანს ტიხონთან მარტო!

არტამონოვმა თვალი გაახილა. იდაყვზე წამოიწია. კართან დამდგარ ორ შავ ლანდს შეაჩერდა. უცებ მოაგონდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე იმაზე ფიქრობდა, თუ ვინ იყო მის წინაშე დამნაშავე. რომ მისი ცხოვრება ასე საშინლათ დინობართა ტყუილით. და აი, ეხლა შეიქნა მისთვის ყოველივე ეს ცხადი-ცოლი მიუბღლოვდა. დაიბარა და წასხურჩულა:

— მადლობა ღმერთს...

— ტიხონ, აი, ვინ არის ყველაფერში დამნაშავე! — გადაჭრით წარმოსთქვა არტამონოვმა და შევებით ამოისუნთქა. — ეს იყო ხარბი... ამან ჩამადენია ყოველივე... და საზეიმოდ, ხმამაღლა განავრძო:

— ამის წყალობით იყო, რომ ზემი ძმა ნიკიტა დაიღუპა... ეს ხომ შენც იცი...

არტამონოვს სული შეეხუთა. საშინელება იყო მისთვის ის, რომ ცოლს არ ეწყინა მისი სიტყვები, არც შეეშინდა და არც ატირდა. პირიქით, აქანკალებული ხელი თმაზე გადუსვა და მოფერებით ლობხრა:

— ნელა, ნუ ყვირი. ჩვენს გარშემო ავი ხალხია...

— მაკამე. მშია.

ცოლმა ხელში ჩასჩარა კიტრი და პურის მძიმე ნაჭერი. კიტრი თბილი იყო. პური კი ცომივით მიეკრა თითებზე.

არტამონოვს გაუკვირდა:

— ეს რა არის? მე მძალევე? ჩემია?

— ჩემად, ქრისტეს გულისთვის, — ჩურჩულით ეუბნებოდა ნატალია, — არაფერი არ იშოვებ... ჯარისკაცებიც ხომ...

— ამას მძალევი მხოლოდ? ყველა ამაგისათვის? მთელი სიცოცხლისათვის? ყველა შიშისათვის?

პური ხელის გულზე აწონა. რალასაც ბუღბუტებდა. თითქოს უკვე მიმხვდარი იყო, რომ რალაც აუტანელი, უკიდურესად შეურაცხყოფელი მოხდა, რამაც ნატალიაც კი დამნაშავე არ იყო.

პურის ნაჭერი მოქნევით კარისკენ გასტყორცნა. ყრუდ, მაგრამ ბეჯითად წარმოსთქვა:

— არ მინდა!

ტიხონმა პური აიღო. სული წაუბერა, ჩაიბუზღუნა. ნატალიამ კვლავ შესთავაზა ქმარს პური:

— კამე, კამე! ნუ ჯავრობ.

არტამონოვმა ცოლის ხელი მოიშორა, მაგრად დახუჭა თვალეზი და ბრახ-მორეული სისასტიკით წარმოსთქვა:

— არ მინდა. შორს...

კრიტიკა ევანგელიკობა
უპოვო ნებისმიერად



ზავუთ-კლარჯათის აკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9—10 საუკ.*)

გ. მერაბულიის ცნობების და სუმბათის ქრონიკის მიხედვით

III

რამდენადაც შესაძლებელია ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევა, გამოვარკვეთ, ბევრი რამ ბუნდოვანია, რადგანაც წყარო მეტის გარკვეულობის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ ზოგიერთი რამ საქმოდ ნათელი და გარკვეულია.

ახლა მოსახლეობის ფენებზე გადავიტანოთ ჩვენი საუბარი. რაც ითქვა ეკონომიური მდგომარეობაზე, იმავე საფუძველზე ამ ახალი საკითხის გარკვევის ბევრი ახალი შრომა აღარ დასჭირდება. მართალია, არც ეს იქნება იქამდის ნათელი და გარკვეული, როგორც სასურველია, მაგრამ საზოგადო სურათის დასახვა კი შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ ხანა, რომელსაც ჩვენ ვეხებით თვითონაც გაურკვეველია სოციალურ დაჯგუფების მხრივ. პროცესი დაჯგუფებისა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, კრიტიკალიზაცია არ არის მომხდარი. ის პროცესი, რომელიც შემდეგ ხანში სრულიად გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს გვაძლევს (იხ. პროფ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია) მე-9—10 საუკუნეებში მხოლოდ დაწყებულია. ამიტომ გარკვეულობის შეტანა იქ, სადაც ეს სინამდვილეში არც არის, პირიქით პირად ფანტაზიად და აბალმეცნიერულ შრომად უნდა ჩაგვეთლებოდეს. მიუხედავად ამისა, ტიპური კი ბევრი რამ არის ამ დროს. ამიტომ აქ შეიძლება ჩვენ მიზნად დავსახოთ არა ის, რომ სოციალური ჯგუფების გარკვეული საფეხურები დავასახელოთ მათი მდგომარეობის და უფლება-ვალდებულებების აღნიშვნით, არამედ ის, რომ ტიპური მოვლენები დავახსიანოთ და ვაუსვათ ხაზი.

დავიწყოთ აზნაურებიდან. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დასახელებულია რამდენიმე აზნაური: ვაბრიელ დაფანაშული, აბულასადი და რამდენიმე სხვა. ამით შორის „მეფის აზნაურად“ მხოლოდ დაფანაშულია მოხსენებული, მხოლოდ ის ეხალბა კლარჯეთის მმართველს და, ალბად, ემმარება მართვა-გამგეობის საქმეებში. მაგრამ ეს აზნაურიც, როგორც აღვნიშნეთ, არ არის მეფის ხელქვეითი. მას მეურნეობაც და მიწის მფლობელობაც დამოუკიდებელი აქვს და თავისი „ერი“ ცა ჰყავს, მით უმეტეს დანარჩენი აზნაურები. მამ რაში მდგომარეობს „აზნაურობა“? რა არის საერთო ამ აზნაურთა შორის? ჯერ ერთი, საერთო მათ შორის არის ის, რომ ესენი ყველანი თავისუფლები არიან და მეორე ის, რომ თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი და მსხვილი მეურნეობა აქვთ. აზნაურები თავის სამფლობელოში სრულუფლებიანნი გამგებები არიან, იქამდის, რომ ერთ

აღაგას ცხოვრება გაბრიელ დაფანჩულს მთავრადაც კი იხსენიებს, თუმცა ეტყობა, იმ დროს ეს სახელწოდება არ არსებობდა, როგორც ოფიციალური ტერმინი, ვინაიდან ამ სახელით მხოლოდ გაბრიელ დაფანჩულია მოხსენიებული ახსურთა შორის და ისიც მხოლოდ ერთხელ; კიდევ ერთ აღაგასსა და მისი მოხსენიებული, როგორც „ერის მთავარი“, მაგრამ სამაგიეროდ მერჩული აშოტ კუჩუბაძის წინადადებას ამბობს: „ადამტიკია საქართველოსა ზედა მთავრობაჲ მისი და შეილთა მისთაჲ“ (იხ. იქვე გვ. იბ.), ალბად, ეს სიტყვა იმითმ არის ნახმარი, რომ ვერც ერთ მაშინდელ ცნებას ხელისუფლებისას ვერ უდგებოდა ფაქტიური მდგომარეობა დაფანჩულისა. მის ხელისუფლებას პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონდა იმ გაგებით, როგორც ჩვეულებრივ გვესმის ეს, როდესაც უფლებას თან ახლავს, რასაკვირველია, ელემენტრი უზენაესი სანქციისა. მისი უფლება სრული იყო, მაგრამ ამავე დროს მხოლოდ ეკონომიური საფუძველზე იყო დაყრდნობილი. ის უპირველეს ყოვლისა იყო დიდი სამეურნეო ორგანიზაციის მეთაური, რომლითაც მრავალი ხალხი იკვებებოდა. ეს მსახურნი მას ემორჩილებოდნენ და მის ბრძანების შესრულებაში დაინტერესებულნი იყვნენ, ვინაიდან მისი მეურნეობით იკვებებოდნენ. მაგრამ არსადა სჩანს, რომ ესენი პირადად მისგან დამოკიდებული ყოფილიყვნენ. ესენი შეადგენდნენ მის „ერს“²⁾ რომელიც იარაღითაც და და თავის სამუშაო ხელითაც მას ეხმარებოდნენ. ეს იყო, რუსული ანალოგია რომ მოვიყვანოთ, მისი რაზმი (дружина), ან ევროპული ტერიზინოლოგიით სერიონები ანუ ანტირუსტიონები. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ როდესაც დასჭირდება, გაბრიელი ამათ ჰგზავნის მოხასტრებში ბერებთან თავის მინდობილობის შესასრულებლად³⁾. აბულასადსაც ჰყავს ამგვარი მსახურნი, რომელნიც მისი ცოლის ბრძანებით, მეურნეობას უფლიან და სხვადასხვა სამეურნეო საზის განკარგულებებს ასრულებენ, რომლის დროსაც ხან და ხან ძალის ხმარებაც სჭირდებათ.⁴⁾

მაგრამ ამავე დროს არავითარ სამსახურს ეს აზნაურები არ უწყვიენ უზენაეს ხელისუფლებას. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, არავითარი სამსახურის განწევის ვალდებულება მათ არ აქვთ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ გაბრიელ დაფანჩული ემსახურება კურატალატს, მაგრამ ისიც თავის ნებით. ამათი უფლება და მეურნეობის ორგანიზაცია პირველ ხანებში ისევე დამოუკიდებელია, როგორც თვით კურატალატისა. ამითი სამფლობელოს გარეშე დიდ მანძილზე არავინ სხვა არ ცხოვრობს. როდესაც ბერები მოგზაურობენ კლარჯეთის თუ სამცხის ტერიტორიაზე, არსად მათ სოფელი არ ხედებათ, რომ იქ დაისვენონ, ან ღამე გაატარონ; ვიდრე რომელიმე აზნაურის სახლს ან შემთხვევით არ წააწყდებიან, ან განებენ არ მონახავენ, ისინი ბინას ვერ პოულობენ; დაფანჩულთან პირველი სტუმრობის შემთხვევითი ხასიათი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. სამცხის აზნაურის მირიანის სახლში ბერების მოსვლა ისევე შემთხვევითი ხასიათისაა. ბერებს, გზაზე სიარულით დაქანცულებს, სადღაც ველზე გადაუწყვეტიათ ღამის გატარება. შემთხვევით ისინი აზნაურის მირიანის მსახურებს უნახავთ და შეუტყობინებიათ თავის მეთაურისათვის. იმისაც ბერები სახლში მიუწყებია⁵⁾. რასაკვირველია, გზაზე სადმე სოფელი რომ ყოფილიყო, იქ მოისვენებდნენ და არა ველზე. ცნადა, რომ მთელი ეს ცარიელი ადგილ-მამული მირიან აზნაურის განკარგულებაში ყოფილა. ასე რომ მაშინდელი აზნაურობა დამოუკიდებელ მფლობელობას და ამ სამფლობელოზე მეურნეობის და შრომის ორგანიზატორობას ჰგულისხმობს. მათი თავისუფლება იმაში კი არ არის, რომ ისინი არავისი ყნებნი არ არიან (ყმები საზოგადოდ არ ყოფილან იმ დროს) არამედ, იმაში, რომ პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც თავისუფალნი არიან. ასე რომ არ იყოს, მაშინ ხომ წერტაც აზნაური იქნებოდა, რომელსაც დიდი სიმდიდრე ჰქონია შეძენილი, ან ის მდაბიო კაცი, რომელსაც ბერმა ცოლი განუტურნა და რომელიც

მდაბიო, მაგრამ მდიდარი კაცი იყო.⁸⁾ რატომ არ იყვნენ ეს სუბანსტრუქტურები? იმიტომ, რომ ესენი არ იყვნენ გეოლოგიური კოლექტიური სამეურნეო ერთეულის მეთაურნი და, როგორც ეტყობა, სხვებთან ერთად მტკიცებობდნენ სოფლად, მაგალითად წერტა ანკოროს. რომ ამ დროს მათი მტკიცებობა სწორედ ეს იყო, საუკეთესოდ ჩანს იქიდან, რომ თვით ბერებსაც აზნაურობა ასე ესმოდათ. ბერები თუმცა ერთი მხრით თავის თავს გლახავენ სწოდებდნენ, მაგრამ მეორე მხრივ აზნაურებადაც მიანინათ თავი, ვინაიდან ისინი „ქრისტემ გააზნაურა“. „სადაც სული უფლისაა, მუნ აზნაურებაა“, ამბობენ ბერები.⁹⁾ ეს იმას ნიშნავს, რომ აზნაურობა თავისუფლებაა, მაგრამ ჩვეულებრივი თავისუფლება კი არა მხოლოდ, სრული თავისუფლება, სულის და ხორცის თავისუფლება, როცა არაღის არ ემორჩილება კაცი არც უფლებრივად და არც ზნეობრივად. ხოლო თუ რამე მორჩილებაა კაცთა შორის, თავისუფალ სურვილის, სათნოების და სულიერ მოკრძალების ნიადაგზე, როგორც ამას გრიგოლ ხანძთელი რამდენჯერმე საქმითაც ამტკიცებს.¹⁰⁾

თვით სამონასტრო მეურნეობის ორგანიზაციაც ისეთივეა, როგორც აზნაურებისა. მონასტერს ჰყავს თვისი მეთაური, რომელიც აზნაურის, მეურნეობის უზენაესი და სრულუფლებოვანი გამგის მეთაურის როლს ასრულებს. „მემბი“ კი მათი მორჩილი მსახურნი არიან და სამონასტრო მეურნეობისათვის იმავე ვალდებულებას ასრულებენ, რასაც „ერი“ აზნაურის მეურნეობისათვის: „შემის და ხეტყესა სკრიან, ვენახს უფლიან, საქონელს (წინამძღვარის ვირს) უვლიან, ტვირთიც ვირის და თავის საკუთარი ზურგით, ალბად, ამათ მიაკეთ და მოაქვთ, მონასტრის წარგზავნილებადაც, იმისდამიხედვით, თუ რამდენად პასუხისმგებნი მინდობილობით იგზავნიებიან, ესენი არიან და სხვა.“¹¹⁾ იმიტომაც, რა გორც კი მონასტრებმა ფეხი მოიპარეს, მტკიცე მეურნეობის ნიადაგზე იდგნენ და უკლებრივად ვაძლიერდნენ, აზნაურები არა თუ არ გაურკვევლად ბერებთან აღკვეცას, პირიქით, მონასტრების წინამძღვართა კადრი სწორედ ამ წრიდან გაზოდიდა:¹²⁾ ეს საქმე ორგანიზაციულად სწორედ მათი ხელობა იყო, საღეთო წერილის შესწავლა კი ზამ ნიჭის და დროის საქმე იყო, რაც იმათ უფრო შესწევდათ, ვიდრე სხვა წრის ხალხს.

ამგვარად, მთელი შავშეთ-კლარჯეთი სააზნაურო, ან სამონასტრო სამეურნეო, ასე ვთქვათ, უჯრედებით იყო მოყვანილი, მათ შორის პირველ ხანებში არავითარი კავშირი არ იყო თითქმის. არ იყო, აგრეთვე კავშირი ცენტრთან, ან, თუ იყო, მხოლოდ ნებაყოფლობითია, ზნეობრივ ხიდავზე და, შეიძლება ითქვას, ამ უჯრედების მეთაურების პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ შეგნებაზე დამყარებული. როგორც ეტყობა, აზნაურების უმრავლესობას, თავის დამოუკიდებლობის შეგნება უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე მოქალაქეობრივ შეგნება, ხოლო რაც შეეხება მონასტრებს, ამათ წრეში ორივე შეგნება ძლიერ იყო განვითარებული. მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებელი მაგალითი: როდესაც გრიგოლ ხანძთელმა გაიგო საბან იშხნელის ამბავი და აუწყა იმის შესახებ კურატპალატს, ამათ მაშინვე დასწერა მოწვევის წერილი საბან იშხნელთან და ქაცები გაუგზავნა. წარგზავნილნი დაბრუნდნენ და აუწყეს კურატპალატს, რომ საბან იშხნელი მოსვლაზე უარს ამბობსო. მაშინ კურატპალატმა მიჰპართა გრიგოლს თხოვნით, შენ მისწერე წერილიო, თვითონაც მეორე წერილი დასწერა და გრიგოლის წერილთან ერთად ვაგზავნა. მაშინ იშხნელი დემორჩილა მეორე წერილსა, უფრო კი გრიგოლ ხანძთელის წერილსა და მოვიდა კურატპალატთან. როდესაც იშხნელი მოვიდა, კურატპალატი მას დიდის პატივით დახვდა და ჰკითხა მიზეზი პირველ წერილის მიღების შემდეგ მოუსვლელიობისა. მან ასე უპასუხა: შენ ქვეყნის ხელმწიფე ხარ, ქრისტე კი ზეცისა, ქვეყნისაო და ქვეყნელისაო. კურატპალატმა მიიღო ეს ახსნა და დაეთანხმა.¹³⁾ ასევე ვუძენბა გრიგოლ ხანძთელი

აფხაზეთის მეფეს — კეშარიტი მონაზონნი არაეის „ხელშეწყობაჲსა ქუეყანაჲსა“ და ამავე დროს ძლიერ იმეყად და დამოუკიდებლად უჭირავს თავი აფხაზთა მეფესთან. ¹²⁾ ეს საკითხი მონასტრებისა და მეფის შორის დამოუკიდებულებისა არ არის მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო საკითხი. როგორც მერკაშვილი იხედავს საქართველოში ამას დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამავე დროს მონასტრები დიდად ხელს უწყობენ მეფის უფლებების გაძლიერებას; თავის ავტორიტეტით მას იმეგრებენ და ხალხის თვალში დიდ პატივს უხევენ. ავიღოთ თუნდაც გლეჯა გრიგოლ ხანძთელისა, როდესაც აშოტ კურატპალატი მოკლულ იქნა, და მისი წყევლა-კრულვა მკვლელთაში მიმართული. ¹³⁾ მხოლოდ ერთ რამეში ვხედავთ ჩვენ განსხვავებას სამონასტრო და საერო სამეურნეო ორგანიზაციათა შორის ამ დროს. აზნაურებს ჯერ-ჯერობით, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე დაქვრივი მიწა აქვთ და არაეისაგან იგი მიღებული არ არის. მიწის რაოდენობა კი იმდენია, რამდენსაც თვითიველი გასწვდები დასამუშაველად. სამონასტრო მფლობელობაც ასეთია თავიდან. მხოლოდ შემდეგში მონასტრები ღებულობენ კურატპალატისა და მის შვილებისაგან მამულებს და, სხვათა შორის, მატერადის აგარაკს. ¹⁴⁾ ეს თითქმის შეწყალების წესის დასაწყისია, უფრო კი წინამორბედეა, რადგანაც ამ დროს ეს უბრალო ჩუქება იყო ჯერობით, რომელიც არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა აგარაკის მიძღვრებას, მით უმეტეს რომ აგარაკი ცარიელი, უმოსალო იყო და, თუ რაიმე სამსახურს გაუწევდა იგი მონასტერს, მისი ბერების საკუთარი ხელით მუშაობის საშუალებით. ისე რომ ეს „ჩუქება“ შეწყალებისაგან განსხვავდება იმი-თი, რომ, თუ რაიმე ვალდებულებას აკისრებდა მონასტრებს, მხოლოდ ზნობ-რისა, ნებაყოფლობითს, რაც ისეც არსებობდა. შემდეგში კი ეს, რასაკვირველია, უფლებრივ დამოუკიდებულების წყაროდ გადაიქცა, მაგრამ, მხოლოდ შემდეგში, როდესაც მეურნეობის პირობები შეიცვალა.

მეორე ფენი მოსახლეობის, ან უკეთ რომ ვთქვათ, მცხოვრებლებისა, ვინაიდან მკვიდრი მოსახლეობა ძლიერ ცოტა იყო კლარჯეთში, დასახლებულია მდებარეობის, მაგრამ მდებარეობის სრულიად არ წარმოადგენენ ერთგვარ ფენს. თავის ნიათიერი მდგომარეობით და ყოფა-ცხოვრებით ესენი ორ სრულიად სხვა და სხვა ნაწილად განიყოფებიან. ერთ მათგანს ცხოვრება უწოდებს „მდაბიო“-ს, მეორეს გლახაკებს. აქ ტერმინ „გლახაკზე“ უნდა რამდენსამე ხანს შევანეროთ ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, გლახაკებს ცხოვრება უწოდებს ბერებს და ხაზ-განსებით, ყოველ შესაფერ შემთხვევაში, საბაბიანად და უსაბაბოდ, აღნიშნავს, რომ ბერები, ყველანი განურჩევლად იმისა, წინამძღვარი იქნება თუ უბრალო ბერი, გლახაკები არიან. ¹⁵⁾ დახმარებასაც ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ესენი ღებულობენ, როგორც გლახაკები. ამიტომ პირველი შეხედვით „ცხოვრების“ მკითხველმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მიიღოს, რომ ცხოვრებაში გლახაკი ნიშნავს სულით გლახაკს, თავდაბალს, მაგრამ ასე არ არის. როგორც ეტყობა, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ერთბაშად ჩანს, ვინაიდან „გლახაკებად“ კიდევ სხვა თვისებების ხალხიც იხსენიებიან. მაგალითად, გლახაკად არის მოხსენებული ის „ღირბი“ (მარის თარგმნით, недостоин) და „მაგრად მოიხარო“, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად სამი გრივი ფეტვით და ხუთი თხით მოიხსიანდა. ¹⁶⁾ მაშასადამე „გლახაკი“ სრულიად არ ნიშნავს თავმდაბალს, მოკრძალებულს და ღვთის მოყვარე კაცს. გლახაკად არის დასახლებული აგრეთვე ის დედაიკაცი, რომლის შვილიც ეპიფანე ბერმა გაჰკურნა. ¹⁷⁾ ეს დედაიკაცი მდიოდა გზათ ზაფხულში „მთათა მათ ხარასუნთა“ და თან ჰყვანდა ვაჟიშვილი შვიდი წლისა, როდესაც ესენი მიუახლოვდნენ ნეტარ ეპიფანეს, ბავშვი ივად გახდა, „სალბობანი სიკედილისანი ეწივნეს“. ეპიფანემ თავისი ლო-

ცვით გაპქურნა ბავშვი და მერე უბრძანა მის დედას, რომ ბავშვისათვის/საქმე-
ლი რამე ექმია.¹⁸) რა უნდოდა ამ გლახაკ დედაქაცსა ამ უგზო-უგლო მთაზე?
რით იყო ბავშვი ავად? სასწაულებრივი ხასიათი, რომელიც მისთვის მკეს ამ
შემთხვევას, ბინდ-ბუნდში ჰხვევს ამ აშშავს, თორემ სრულიად განსხვავებულ
ბავშვი სისტემატიური შიმშილობისაგან ყოფილა ავად და დედაქაც მთაზედ
აღბად რაიმე საშუალის საძებნელად იყო წასული თუნდა მხალისა, ან ხის ნა-
ყოფისა, რომელიც „ცხოვრების“ სიტყვით შეადგენდა გლახაკთა საშუალებას („სა-
ზრდელი საგლახაკო“). ეს ქალიც მისი ბავშვით ხომ, როგორც ვთქვით, გლა-
ხაკად არის მოხსენებული. სასწაულის აღმწერი, მართალია, მის რეალურ საფუ-
ძველს მალავს, მაგრამ უნებურად, გაკვრით ნათქვამი დეტალები ამჟღავნებენ სო-
ციალურ სინამდვილეს. და მით უფრო უტყუარია ეს მოწმობა, რომ იგი უნებურ-
ი და შემთხვევითი გამოძლიერებაა სინამდვილისა, თორემ განგებ ნათქვამი
ყოველთვის სტანდარტული ვლფერით არის შეფერადებული. აშკარია, რომ სი-
ტყვა „გლახაკი“ სოციალურ კატეგორიის აღმნიშვნელია, ეს უფრო ნათელია
და სრულიად უდავო ხდება სუბმათის ქრონიკის ერთი აღვლის ძალით, სადაც
გლახაკებად მოხსენებულია სრულიად გარკვეულად მდამიო მუშა ხალხი, რადე-
საც ქრონიკის ავტორი ათავებს ბერძენ-ქართულთა ბრძოლის აშშავს, დასძენს,
რომ გათავდა ბრძოლაო, და გლახაკნი დაწყებულნი და მყდროდა ცხოვრობ-
დნენო.¹⁹) რასაკვირველია, გლახაკი ის არის, ვისაც ყველაზე მეტად აყენებს
ომი ზიანს. ეს უკვე სუბმათის ქრონიკის დროს სკოლითა, რომ ომის სოცია-
ლური და არსებითი მოწინააღმდეგე სწორედ მუშა ხალხია, თორემ მთავრები,
აზნაურები და საზოგადოდ მაღალი ფენები უომრად ვერ გასძლებდნენ, ვინაი-
დან ომიც იყო ერთერთი წყარო მათი უფლებებისა და სიმდიდრისა.

ამგვარად, უდავოა, რომ გლახაკი სოციალურ კატეგორიის აღნიშნავს,
მაგრამ ამით არ ამოიწურება საკითხი. თუ სუბმათის ქრონიკაში „გლახაკები“
დასახელებულნი არიან, როგორც მდამიო და ღარიბი კლასი, გრიგოლ ხანძთე-
ლის ცხოვრების დროს გლახაკები და მდამიონი ერთნი არ იყვნენ. წერტა და
ის „კაცი მდამიო“, რომელსაც ბერებმა ცოლი განუყურნეს, მდამიონი არიან,
მაგრამ გლახაკნი არ არიან.²⁰) ესენი, ასე თუ ისე, მთელი კლარჯეთის სამეურ-
ნო სისტემაში, მის ეკონომიურ ცხოვრებაში ჩაბმულნი არიან და დოვლათი
მოუპოვებიათ. ესენი, ასე ვთქვათ, მთლად საზოგადოების გარეშე არ იმყოფე-
ბიან. გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად მოსყიდული კაცი კი სწორედ საზოგა-
დოების გარეშე დგას მორალურადაც და ნიუთიერადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში
ასე აღვიღად და იათად მისი მოსყიდვა ვერ მოხერხდებოდა. აგრეთვე საზოგა-
დოების გარეშე დგას და მის საერთო შეურჩევლობაში არ არის ჩაბმული ის დე-
დაქაც, რომლის წვილიც ეპიფანსემ განუქრნა. ამათ საზოგადოდ არავითარი
მეურნეობა არ აქვთ, საზრდოს ისინი შემთხვევით შოთლობენ, მათთვის უზრუნ-
ველყოფილი შოლოდ დღევანდელი დღეა. სად როდის და რა საშუალებით
იმოწინაინ საზრდოს, არ იციან წინდაწინგე. აღბად, ანათ კატეგორიას უნდა
ეკუთვნოდნენ ის ყაჩაღები (თუმცა ქურდებად არიან დასახელებულნი), რომელ-
ნიც ღამე მატოს შეუკვიდნენ გასაძარცვად.²¹ აღბად ამგვარი ყაჩაღობა იმ
უდაბნო და უმოსალო ტყეებში ბევრი იქნებოდა, მაგრამ აზნაურებს მისი „ერი“
იკავდა და ამიტომ ვერაფერს დააკლებდნენ. ასეთივე გლახაკნი იქნებოდნენ
მონადირეებიც, როდესაც ისინი რომელიმე აზნაურის ან უფრო აღ კაცის
წარგზავნილნი არ იყვნენ.²²) ასეთნი არიან გლახაკნი. მაგრამ, ვიდრე არ ვიცით,
ვის ერქვა ერი და იყვნენ თუ არა გლახაკნიც „ერის“ რიცხვში, მანამდის
სიტყვა „გლახაკი“-ც მთლად გამოკვეთულად ვერ ჩაითვლება.

თუ რას ვუწოდებთ ერს ჩვენ ახლა, ამაზედ არას ვიტყვით. ეს ყველასა-
თვის ცხადია. ხოლო მაშინ, როდესაც რეგულიარული ჯარი არ არსებობდა და

ომში მთელი ხალხი გამოდიოდა, როდესაც მთელი ხალხი შეიარაღებული იყო და ყოველთვის მზად უნდა ყოვილიყო სამუშაო იარაღი დაეღება და ხმალი ხელში აეღო, ერი ნიშნავდა შეიარაღებულ ხალხს, ანუ უკვე გეგმავდა ერთი მხრით ხალხსა ნიშნავდა და მეორე მხრივ ჯარს. ესეც საკმაოდ ცხრიყოფა. 25) მაგრამ საქართველოს ისტორიის ტაო-კლარჯეთის პირველობის ხანაში ერს ცოტა თავისებური მნიშვნელობა აქვს და, გარდა ამისა, ამ სიტყვის ახსნა ამ ხანისათვის მეტად მნიშვნელოვან სოციალურ საკითხს გვიყენებს წინ. საქმე იმაშია, რომ ამ დროს, როგორც უკვე გამოვარკვეეთ, შეიარაღებული ერი, საზოგადოდ ხალხი, როგორც ერთობლივი მასა, მთელ ტერიტორიაზე ვაგროვებულ ებული, არ არსებობდა. მაშასადამე ერთი მხარე ერის ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა მოხსნილია. მაშ ვის უწოდებს ერს „ცხოვრება“ და სუბმათის ქრონიკა? 26) ჩვენ უკვე ვიცით, რომ აქ ერთად არის დასახელებული ხალხის ის ჯგუფები, რომელნიც ამა თუ იმ ხელისუფალს, ან ამა თუ იმ აზნაურს ემსახურებიან და მის განკარგულებაში იმყოფებიან. 27) ერი ჰყავს აშოტ კურატ პალატსაც და აზნაურებისაც. როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, ერი თავის მეთაურს (უფალს) ომშიც ემსახრება და მის სამეურნეო საორგანიზაციო საქმეშიც მუშაობს და, როცა საჭიროა და საქმე მოითხოვს, თავის მეთაურის მივლინებით პოლიტიკურ მისიასაც ასრულებს, როგორც რუსეთის „დრუჟინა“ და ვეროპის „სეიონები“ ან „ანტრუსტიონები“; ესენი, როგორც ვტყობა, საზოგადოდ მეთაურის გარშემო იმყოფებიან და მიდიან ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. როდესაც აშოტი გადასახლდა ქართლიდან შავშეთში, მას თანა ჰყავდა „ერი თვისი“. 28) ამ „ერით“ დასახლდა იგი ახლად დაკვირვ ადგილებში და, ცხადია, ადგილობრივი მოსახლეობა პირველებში ცალკე იყო და აშოტის „ერი“ ცალკე. იმიტომაც შეიწყნარეს აშოტი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ აშოტის „ერს“ მათთან საქმე არა ექნებოდათ რა, არაბების წინააღმდეგ საომრად კი ეს საგრძნობელი იყო. როგორი იყო ამ „ერის“ შემადგენლობა? „ერის“ ფარგალში შედიოდნენ როგორც ნათესავეები და ოჯახის წევრები, ისე მკვიდრნი მისნი, 29) ე. ი. ჯარის კაცნი, ანუ მსახურნი. მაგრამ როდესაც ხანი გავიდა, აშოტმა ერის რიცხვის გასამრავლებლად, ვინაიდან მისი „ლაშქარი“ „ქინი“ იყო, დაიწყო ხალხის შეკრება იმ რაიონში, სადაც მას ხელი მოეწყვდებოდა. 27) ქრონიკა ამ ამბავს არაბების ხელახალ შემოსევას აწერს. მაგრამ რაღაც მანქანების გამო შემდეგ არაბები აღარსადა სჩანან, და ბრძოლა ხდება აშოტის ადგილობრივი მომხრეების და მოწინააღმდეგეების შორის. 28) აღბად არაბების შემოსევა აქ არაფერ შუაშია. მხოლოდ საზოგადოდ კი იყო არაბების საშისროება და აშოტიც ამ საბაბის ძალით ჰკრებდა ჯარს, ვინაიდან არაბების შემოსევისა ყველას ეშინოდა და ყველა დაინტერესებული იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობაში.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ „ერი“ მოსახლეობიდან იკვებოდა, როდესაც თავისუფალი მოსახლე სამუდამოდ თუ დროებით მეთაურის მსახური ხდებოდა. აღბად ასე ვცხებოდა „ერის“ რიცხვი აგრეთვე გაბრიულ დაფანჯულს და სხვა აზნაურებს. რა ელემენტებისაგან უფრო შეიკრიბებოდა ეს ერი? რასაკვირველია, წერტა და „კაკიმდაბიო“, რომელსაც „დიდი მოხავეები“ ჰქონდა, არ წავიდოდნენ, განსაკუთრებით, როდესაც ერის შეკრება მშვიდობიან პირობებში მოხდებოდა სამეურნეო საჭიროებისათვის, და არა ლაშქრობის დროს. ამიტომ ერთად ერთი წრე, საიდანაც უნდა „ერი“ შევსებულიყო, იქნებოდა „გლახაკთა“ წრე-გაპირებული „გლახაკი“, რომელიც ბოლოს-და-ბოლოს თავს ველარც ყაჩაღობით, ვერც ნადირობით და ცულდაკობით ირჩენდა, (როდესაც ხალხი მრავლდებოდა, ეს ხელობა ხომ ყველა ვერ გამოჰყვებოდა!) უნდა რომელიმე აზნაურს ან სხვა დიდ კაცს შეჰკედლებოდა. ხელობად შეიძლება იგივე ნადირობა, შეშის კრა,

ტყის კათევა, ხან თესვა დარჩენოდა, მაგრამ ახალ პირობებში მას ხელისშედეგი დღე მაინც უზრუნველი ექნებოდა, ვინაიდან „ერო“, როგორც თავის მეთაურის გარშემო მცხოვრები, უმეტეს შემთხვევაში ალბად მისი ულტრამარქსისტული იდეოლოგია, გარდა, შეიძლება, იმ შემთხვევებისა, როდესაც მსახურნი გაგზავნილი იქნებოდნენ სამუშაოდ ისეთ ადგილებში, სადაც საკმელი ადგილობრივაც მოიპოვებოდა. მაგალითად, სანადიროდ გაგზავნილი მსახურნი, ნაზადირევის ქაიმით გამოიყვებებოდნენ. მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ რადგანაც ამ დროს ჯერ მოსახლეობა ცოტა იყო, ამიტომ „ერის“ მეთაურები უფრო დაინტერესებული იყვნენ ხალხის მისვლაში, ვიდრე თვით ხალხი მასთან სამსახურში ყოფნაში, ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარე ერთნაირად იყო დაინტერესებული, და ამიტომ ამ გვარი მორჩილებაში შესვლა არ იწვევდა არავითარ პირადი ხასიათის მუდმივ ელდებულებას. როგორც ყოველთვის ამ პირობებში, ისე ესენი თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ: თუ უნდოდათ დარჩებოდნენ, თუ არ უნდოდათ, წავიდოდნენ. ამგვარი ფაქტები არა გვაქვს მოხსენებული, მართალია, მაგრამ თვით არსება „ერისა“, როგორც ირკვევა, ისეთია, რომ აუცილებლად ასე უნდა ყოფილიყო.

ყველა შემონათქვამის შემდეგ შესახებ შავშთ-კლარჯეთის ეკონომიურ ცხოვრებისა და სოციალური სტრუქტურისა, შეიძლება ზედახლად დავაყენოთ საჭიობი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა იმ დროის სოფელი. რასაკვირველია, ზედმიწევნობას და უდავოდ ამ საკითხის გადაჭრას აქაც ვერ მოვახერხებთ, რადგანაც ცარიელი სიტყვა „სოფელის“ გარდა, არავითარ ცნობას წყაროები არ იძლევიან და სიზუსტე დამყარება კი ძნელია. მაგრამ რამოდენიმე მოსაზრების მოყვანა კი ზედმეტს არ იქნება. შესაძლოა, ამ მოსაზრებებმა მომომავალ მკვლევარს გაუადვილოს საკითხის საბოლოო გამოკვლევა. უნებურად მკვლევარის ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხანძითვის ცხოვრებაშიც და სუბზათის ქონიკაშიც ხშირად არის ნახმარი სიტყვა „სოფელი“, მაგრამ თითქმის არც ერთი სოფელი კი არ არის დასახელებული. ის გეოგრაფიული სახელები, რომელიც მოყვანილია ამ წყაროებში, ან მთელ რაიონებს აღნიშნავენ, ან ციხეს, ან რომელსამე ისეთ ცენტრს, სადაც აზნაური ცხოვრობს, ან საზოგადოდ მოსახლეობის ცენტრს. არც ანჩა, არც ანჭკორა, არც გუნათლე და არც სხვა არ არის ჩვეულებრივი სოფელი, სადაც მხოლოდ ბინადარი მიწის მუშა ხალხი ცხოვრობს. მეორე მხრივ ჩვენ უკვე ვიცით, რომ აშოტ კურატ-პალატიც აშენებდა, აღდგენდა და ყიდულობდა სოფლებს და გაბრიელ დაფანჩელსაც აქონდა სოფლები მონასტრის მახლობლად. არა თუ ამ სოფლების სახელი არ არის მოხსენებული, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასწაულების აღწერის დროს წყარო მოგვითხრობს რომელსამე გარკვეულ პიროვნების ამბავს, ვერ ასახელებს, თუ სადაურია იგი, თუმცა სიტყვას თავისთავად მოაქვს ეს. აი მაგალითად, ასეთი ადგილები:

„მახლობლად შატბერდისა იყო ვინმე კაცი მდაბიოა“, „სხვა ვინმე იყო დედაკაცი სისხლის დინებითა გუგულოა“. სად ცხოვრობდნენ ესენი, ან სადაური იყო ის ქალი, რომელსაც შვილი გახუკურნეს, არაფერი ჩანს. სრულად ბუნებრივი კი იქნებოდა აქ მერჩულს პირდაპირ დესახელებინა სოფელი მკითხველი ძალაუბრებურად ფიქრობს, რომ ამ სოფლების სახელები არა ყოფილა ცნობილი. თუ „თბათა სადგურის“ სახელიც კი სცოდნია მერჩულს და არ იხარებს მის დასახელებას, (აწ რომელ წერტაასნი ჰქვან) რატომ სოფლების სახელები კი არ უნდა იყოს აღნიშნული უმეტეს შემთხვევაში მაინც? რა თქმა უნდა, სოფლების უახლოობასაც თავისი მიზეზი ექნებოდა. თუ მოვიკონთ ის, რაც ნათქვამი გვქონდა მაშინდელი მეთრნეობის ფორმების შესახებ, მაშინ ახსნაც შეაძლებელი იქნება. რაკი მკვიდრი საგლეხო მეთრნეობა არ ყოფილა, არამედ ბუნებრივი სიმდიდრის

ექსპლოატაცია ხდებოდა ნადირობის, მესაქონლეობის, ახოს აღუბის საშუალებით, ცხადია მუშათა ჯგუფები ერთ ალაგას მრავალ წელს ვერ დარჩებოდნენ. თვითველ მსხვილ მეურნეობას (აზნაურისას, მონასტრისას თუ რომელიმე დიდძალისას) ამისათვის უნდა სხვადასხვა ადგილას პატარა პატარა სამეურნეო ბუჩქეუფენდა, სადაც მუშებს უნდა დროებითი ბინები ჰქონოდათ. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ბაზა კიდევ სხვა ადგილზე გადავიდოდა. მაგალითად, ახოს რომ ერთ ალაგას აიღებდნენ, სოფსაუდნენ, ვიდრე მიწა გამოიფიტებოდა, მერე სხვა ალაგას გადავიდოდნენ. შეიძლება, სწორედ ამგვარ, ასე ეთქვათ, დროებით სამეურნეო ბაზას ემზის წყარო სოფელს და ამიტომ მას სახელი არა აქვს, როგორც დროებით და ცეკლებადს. იქნება, ასეთ „სოფელს“ წარმოადგენდა ის ყანაც, რომელსაც მკედნენ ბერები გუნათლეს მახლობლად და აბუსალადი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „სხვა ქვეყანაში“ იმითომ წავიდა, რომ იქაც სხვა „სოფელი“ ჰქონდა მოსაუღელი. ისე რომ, სოფელი უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში, როგორც სამეურნეო ბაზა, სადაც ხალხი დროებით ცხოვრობდა. ეს ხალხი ნაწილობრივ იქნებოდა თვით აზნაურის მსახურნი, რომელიც მივლინებული იქნებოდნენ ამ სოფელში სამუშაოდ და ზედამხედველობისათვის, ნაწილობრივ კვლახანნი, რომელიც ამ სამუშაოდ მეზობლებს. ასეთ სურათს იძლევა ბერების მოწვევა სამუშაოდ აბულასადის მიერ. საკითხის ასე გაგება, შექს მოჰყენს აგრეთვე იმას, რაც ნათქვამია სუმათის ქრონიკაში აშოტ კურატპალატის მიერ სოფლების შენების შესახებ. სოფლების გაშენება ისე მოკლე ხანში შეუძლებელია, თუ სოფელი გავიგოთ ისე, როგორც დღეს გვესმის. ზემოდ აღწერილი გავებით კი, ქრონიკის სიტყვებიც ადგილი ასახსნელია და „ცხოვრების“ ის ადგილებიც, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ. რუსული „деревня“, „рубит деревню“ თავდაპირველად ხომ აგრეთვე ამას ნიშნავდა და გერმანულს ტრემისა თემური წესწყობილების ხანაში ამგვარი წესები ჰქონდათ, იმ განსხვავებით რომ იქ მთელი თემი ერთად ცხოვრობდა. ალბად ასეთი იყო დაფანჯლის სოფელიც „მასლობლად ვანსა ნეტარისა გრიგოლისასა“.²¹) ასეთივე დროებითი და უსახელო იქნებოდნენ „სოფლები“, სადაც ცხოვრობდნენ ის პირნი, რომლებიც დასახლებული იყვნენ ზემოდ.

IV

დაგვჩნა უქანასკნელი საკითხი შესახებ შავშთ-კლარჯეთის პოლიტიკურ მდგომარეობისა მე-9—10 საუკუნეებში. მას შემდეგ რაც უძნელესი საკითხი—სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა—ასე თუ ისე, რამდენადაც შეგვეძლო, გამოვარკვეთ, პოლიტიკური საკითხის გამოკვლევა უკვე დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ, ეს საკითხი თავის თავად უფრო მარტივია და წყაროებშიც უფრო ცხადია მისი კვალი. ამ საკითხის გამოსარკვევად, რა თქმა უნდა, უპირველესად ყოვლისა იძულებული ვართ დავებრუნდეთ ისევ აშოტ კურატპალატს და იმის ქართლიდან შავშთში გადმოსახლების ისტორიას. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ აშოტი საბერძნეთში მიემგზავრებოდა, მაგრამ საბერძნეთის შეფესთან შეთანხმებით დარჩა შავშთში. პირველ ხანებში მისი იქ ცხოვრება ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის არ წარმოადგენდა პოლიტიკურ მოვლენას, მათ მხოლოდ ყარგე და ძლიერი მემოზბელი შეიძინეს, სხვა არაფერი. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ არც თვით კურატპალატს და არც საბერძნეთის მეფე. პირველი დღიდანვე აშოტი შეუდგა უფლებების მოხვეჭას და მთელ შავშთ-კლარჯეთზე პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებას.²²) ამისათვის როგორი იყო მისი მოღვაწეობა? ესეც უკვე აღნიშნული გვქონდა.

ერთსა და იმავე დროს აშოტ კურატპალატს უბნებოდა ორი საქმის გაკეთება. უპირველესად ყოვლისა: სამეურნეო ბაზა გაეჩინა და გაემგარებინა და

არაბები თავიდან მოეშორებინა. პირველი ამოცანა ამას ვერც დაელოდა თავის საკუთარ სამფლობელოში უნდა შეესრულებინა, სხვა ეკონომიურ ცენტრებს ის ვერ წაეტანებოდა; მეორე ამოცანის შესრულება კი მას პირველად უნდა დაელოდა საერთოდ შავშთ-კლარჯეთის მზრუნველად და კიოისუფლად ჩამოეყენებინათ თავი. მის მიერ არაბების მოგერიება მთელ მხარეს ანთავისუფლებდა საერთო მტრისაგან, რადგანაც შავშთ-კლარჯეთში შემოსასვლელი გზა არაბებს მხოლოდ ამოტის პირად გამფლობელოზე ჰქონდათ. საბერძნეთის მორალური გავლენაც ამოტის ამ როლს აღსატურებდა, სანქციას აძლევდა. ამ ნიადაგზე ამოტს შეეძლო დაეწყო შავშთ-კლარჯეთის მოსახლეობის ჩამოშორებით პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეს პირველ ყოვლისა გამოიხატა ლაშქრის მოკრებაში. მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ შავშთ-კლარჯეთის გაერთიანება უმთავრესად პოლიტიკურ მოთხოვნების საფუძველზე ხდებოდა?

რასაკვირველია, არა. ქალაქი არტანუჯი და მისი ციხე, რომელიც ამოტ-მა ასეთის გამჭირავობით აღადგინა, მარტო ციხეს კი არ წარმოადგენდა, რომელიც იცავდა ერთად ერთ შემოსავალ გზას შავშთ-კლარჯეთში. როგორც უკვე ვიცით, ეს იყო აგრეთვე ეკონომიური ცენტრი, რომლის საშუალებითაც შეეძლო შავშთ-კლარჯეთის მცხოვრებლებს ჰქონოდათ კავშირი კარფართო ბაზართან და არა თუ თავისი საქონელი გაეტანათ, არამედ უცხოეთის ისეთი ნაწარმოებითაც ესარგებლათ, რომელიც მათ ქვეყანაში სრულიად არ მოიპოვებოდა.²⁾ სრულიად გარკვევით და გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ის დიადი ნაშთი უძველესი ქართული კულტურისა, რომელსაც წარმოადგენენ იმ დროს აშენებული მონასტრები, არ გვექნებოდა, არტანუჯის საშუალებით შავშთ-კლარჯეთს უცხოეთთან კავშირი რომ არ ჰქონოდათ. მართალია, ჩვენ არ ვიცით, თუ რა და რა საქონელი შემოჰქონდათ უცხოეთიდან ქართველებს არტანუჯის საშუალებით, არ ვიცით ის უკლები და წერაქვები, რომელიც ითხოვდა ბერებმა მონასტრის შენების დროს, სად იყო დამზადებული და საიდან იყო მოტანილი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მშენებელი ხელოსნები, თუ სულ ყველა არა, ბევრი მაინც ქართველები არ ყოფილან, რაცა ჩანს იმ წარწერებიდან, რომელიც პროფ. მარს ვადმოუღია თავის მოგზაურობის დროს, და პროფ. მარის მოსაზრებიდან მათ შესახებ.³⁾

არტანუჯის ასეთი ეკონომიური მნიშვნელობა ძლიერ ხელსაყრელი იყო მის აქლამ-მანლო რაიონისათვის. ის საქონელი, რომელიც სხვა და სხვა ქვეყნებიდან აქ გროვდებოდა, რასაკვირველია, მარტო არტანუჯში არ დარჩებოდა. მის მიდამოებსაც ერგებოდა რაზე და, როგორც ვიცით, ასეც ხდებოდა. რამდენადაც უცხოეთის საქონელი და უცხოეთთან კავშირი საქართველო-იყო ყოველი კუთხისათვის, იმდენად თვითნაყოფი მათგანი დამოკიდებული იყო ეკონომიურად არტანუჯის და მის მფლობელისაგან. მის სტრუქტურის წინააღმდეგ, არც არტანუჯიდან ვისმე რაზე ერგებოდა და ვერც არტანუჯში ვინმე რასმე შემოიტანდა ფასისუილად ან გასაცემლად. ეს გარემოება ძლიერ დიდ უპირატესობას აძლევდა არტანუჯის მფლობელს და ამ საფუძველზე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, თუნდაც ლაშქრის მოკრების სახით, ადვილი გასაგებია. მაგრამ, როგორც ვიცით, ამას მოჰყვა ამოტ კურატპალატის მკვლელობა. როგორ მოხდა ეს და ვინ იყვნენ მკვლელები? ეს მტკად მნიშვნელოვანი საკითხია. მკვლელის სახელის გამოკრევა ყოველად შეუძლებელია იმ წყაროების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, მაგრამ ეს არსებითად არც არის საჭირო: „ოროზმუროზის ძეგი“ სუმბათის ქრონიკისა არაფერს არ გვეუბნება. უმთავრესი ის არის, რომ გამოირკვეს, რა წრის ხალხმა მოკლა ამოტი და რა ინტერესების ნიადაგზე მოხდა ეს მკვლელობა. თავისთავად ცხადია, რომ თავიდანვე უნდა უქუთავდოთ ის აზრი, ვითომდა ამოტი არაბების, საზოგადოდ გარეშე მტრის მოკლული იყვეს. არცა

მგონია, ამას ვინმე ფიქრობდეს, იქამდის ნათელია ეს ჩვენი წყაროები, მიხედვით. სუმათის ქრონიკის მიხედვით ის მოკლეს იმათ, რომელთაც მან უბრაძა*, აღბად, სალაშქროდ შეკრება, და აშოტმა არ იცოდნა... (მთათი.)
 „ხანძრის ცხოვრებით“ ეს კიდევ უფრო ნათელია. აი რას ამბობს: „გრიგოლ ხანძთელი, როდესაც გაიგება აშოტის მკვლელობის ამბავს: აჲ ვითარმე მიეცი ველსა შეურაცხსა უშუალოთა და უწყთა კაცთასა. რომელნი იგი იუდაას მსგავსად შენ უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს...“)

ამგვარად, ჩვენ ვიცით არა თუ ის, რომ აშოტი მოუკლავთ კლარჯეთის მოსახლეებს, არამედ ისიც, რომ მკვლები ყოფილან ისინი, ვისაც ის სალაშქროდ იწვევდა. ამის უშუალოდ მისი ერთგული ჯარი მოსულა და, აშოტის მოკვლად რომ გაუგია, თავი მოუყრია დოღისყანაში⁴⁾ და იქიდან დასდევნიბი მკვლელებს, რომელნიც კოროხის ხეობისაკენ გაქცულან⁵⁾. აქედან უნდა დავსკვნაო, რომ აშოტის ერთგულნი ყოფილან ისინი, ვინც კლარჯეთის მახლობლად ყოფილან და რომელთა ქვეყანაც არტანუჯთან პირდაპირი გზებით იყო დაკავშირებული, ხოლო მტრები ყოფილან ისინი, ვინც არტანუჯს დაშორებულნი იყვნენ და ვინც გზებიც არტანუჯს მარჯვედ არ ხედებოდა. კოროხის პირებს თავისი გზა აქვს, მაგრამ ეს გზა მიდის იქით, საითაც იმ დროს არ ყოფილა ეკონომიური ცენტრი, არტანუჯამდის მისვლას კი სხვა მფლობელების ქვეყნების გავლასაჭიროებოდა. ამიტომ ესენი არტანუჯის ვაჭრობით ბევრს კერას მოიგებდნენ და ამავე დროს იძულებული კი იყვნენ, რომ არტანუჯთან რამდენადაც შეიძლებოდა, ეკონომიური კავშირი ჰქონოდათ. აი რა მიზეზი იყო, რომ ესენი აშოტის უფლების გაძლიერებას მტრული თვლით უყურებდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ არაბების წინააღმდეგ ბრძოლა მათთვისაც ხელსაყრელი იყო, მაინც აშოტს არ გააყენენ საბრძოლველად, პირიქით ის თვითონ მოჰკლეს. არსებობდა ეს იყო ბრძოლა არტანუჯისათვის. აშოტი რომ არტანუჯის მფლობელი არ ყოფილიყო, შეიძლება, ომში კი მაინც არ გაჰყოლოდნენ, მაგრამ მოკვლით კი არ მოჰკლავდნენ.

რაკი საკითხი არტანუჯის გარშემო ატეხილ ბრძოლას შეეხო, საჭიროა განვივარდოთ ამაზე საუბარი და დანარჩენი საკითხები შემდეგისათვის გადავდოთ. აშოტ კურატპალატის მოკვლის შემდეგ, არტანუჯის საკითხმა უფრო წყვეტ პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო. მისი შთამომავლობა როდესაც გამრავლდა და მთელ გვარად გადაიქცა, შავშ-კლარჯეთი მათი შორის განაწილდა, როგორც მათი გვაროვნული სამფლობელო. უზენაესი მფლობელები ესენი გახდნენ ახლა. წინანდელი დამოუკიდებელი აზნაურები ალარა ჩანან. ეტყობა, პოლიტიკური უფლებაც მთლად აშოტის შთამომავალი გვარის ხელში გადასულა. მაგრამ დავა პოლიტიკურ უფლებებისათვის ახლა ამათ შორის დაწყებულა, რაც გვიერთიანებას ძლიერ ბელს უშლიდა. ძნელია, მკვლევარმა თვლი გვაელოს თავიდან ბოლომდის იმ ბანგრძლივ და არეულ-ღარეულ ბრძოლას, რომელიც ბიძების, ძმისწულების, ბიძაშვილების და უფრო შორეულ ნათესავების შორის ხდება. სახელები, შთამომავლობა და მფლობელობა ნებრძოლთა ისეთ კალიდოსკოპიური სიპრელით ირევა, რომ მკითხველი უნებურად თავს ანებებს, იმედ დაკარგული, რომ აქედან რაიმე დასკვნის გამოტანა და კანონზომიერების შემწინევა შეიძლებოდეს. მაგრამ, თუ მტკიცედ დაედგით იმ საფუძველზე, რომელიც ჩვენ ზვეთი გამოვარკვეით, ბრძოლის მთავარი ძარღვის შენიშვნა და გამოარჩევა მთლად შეუძლებელი არ არის. თავიდანვე აღვნიშნე, რომ შავშთ-კლარჯეთის მფლობელთა შორის ბრძოლას ორი მთავარი საფუძველი აქვს, ერთი არტანუჯის როლი და მნიშვნელობა, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური, მეორე შავშთ-კლარჯეთის მთლიანი პოლიტიკის და მართვა-გამგეობის ხელშეწყობისათვის, რასაც ძლიერ ბელს უწყობდა საბერძნეთის მეფეების მიერ კურატ-პალატობის სახელ-

წოდების მოძება. ქართველი ხალხი საზოგადო ცხოვრებაში, გვირგვინულ წესწ-
 ყობილებას იყო შეჩვეული და ქონების განაწილების დროს უფროსობას ყოველ-
 თვის მნიშვნელობა ჰქონდა. ამოტის შთამომავლობაც პირველ ხანებში თითქოს
 ამით ხელმძღვანელობს, ვინაიდან, როგორც ჩანს, ამოტის სურათის მქონეს,
 ადარნასეს არტანუჯი რგებია¹⁰) და დანარჩენებს კი სხვა რაიონებში, მაგრამ შემ-
 დევ ეს წესი არეულა და ამაში, ეტყობა, დიდი ბრალი მიუძღვის საბერძნეთის
 მეფეს, რომელიც კურატპალატობის წოდების დროს სრულიად არ ხე-
 ლმძღვანელობდა არაერთხარს ჩვეულებებით, გარდა თავისი საკუთარი სურვილი-
 სა. თუმცა მართალია, „ხანძთელის ცხოვრება“-ში ნათქვამია, რომ, ამოტის მე-
 დორე შეილი ბაგრატი დასვეს კურატპალატად საბერძნეთის მეფის სურვილით და
 ძმების თანხმობითაო,¹¹) მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ძმების თანხმობა სა-
 ბერძნეთის მეფის სურვილის გამოთქმის შემდეგ უნდა შენეულა იქნებოდა. რა
 მოსაზრება უნდა ჰქონოდა საბერძნეთის მეფეს? რა თქმა უნდა, პოლიტიკური.
 მისთვის გაძლიერებული და გაერთიანებული შავშთ-კლარჯეთი ხელსაყრელი არ
 იყო, თანამ რომ გაძლიერების შემდეგ იგი მას სრულიად ჩამოშორდებოდა და
 საბერძნეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის იარაღად აღარ იქნებოდა. ამიტომ ის,
 თითქოს განგებ, არც ერთ არტანუჯის მფლობელს არ აძლევდა კურატპალატო-
 ბას. არტანუჯის მფლობელობა და კურატპალატობა რომ ერთ ბიროვნებაში
 ყოფილიყო გაერთიანებული, მაშინ შავშთ-კლარჯეთის გაძლიერება და გაერ-
 თიანება ბევრად უფრო მეტის სისწრაფით წვედებოდა წინ. ხოლო ამ ორივე უპი-
 რატესობის გადასვლა შთამომავლობაზე გარკვეული წესით რომ ყოფილიყო წა-
 რმოებული (უფროსს გვარში, ან უფროსს ოჯახში), მაშინ საერთო შავშთ-კლა-
 რჯეთის მფლობელობის ტახტის შემკვიდრობის წესი განსტკიცებული იქნებო-
 და და სადაყო აღარაფერი დარჩებოდა. ნამდვილად კი ეს ასე არ იყო და იმას
 მოსდევდა გაუთავებელი შუღლი.

ჯერ ხომ არდანასეს, უფროსმა შეილმა ამოტისამ, მიიღო არტანუჯი, ბა-
 გრატი კი კურატპალატობა. შემდეგ არდანასეს შეილი სუბმათი არტანუჯელად
 არის მოხსენებული და ანტიპატოს პატრიკის სახელწოდება აქვს მხოლოდ,¹²)
 კურატპალატად კი მის დროს დანიშნულია დავითი, ბაგრატის შეილი¹³) და მის
 შემდეგ გურგენი¹⁴), ადარნასეს შეილი. ამოტის უმცროსი შეილის გვარამის
 შთამომავალნი კი სრულიად არც ერთი არ ყოფილა დანიშნული კურატპალა-
 ტად და არც არტანუჯი რგებიათ. აღბად, მათ ამისი იმედიც არ ჰქონდათ და
 ეს გარემოება უსამართლობად მიიჩნდათ, და ამიტომ ნასრა გუარამის შეილი
 ჰკლავს დავით კურატპალატს¹⁵), შემდეგ გარბის კონსტანტინეპოლში, მერე იქი-
 დან ბრუნდება, აფხაზეთთან ჰკრავს კავშირს და დიდ ბრძოლას უმართავს თა-
 ვის ბიძებს და ბიძაშვილებს.¹⁶) შემდეგში მოხსენებულია აგრეთვე ბაგრატ მამ-
 ფალი არტანუჯელად, კურატპალატად კი მის დროს მოხსენებულია გურგენი.
 ეს გურგენი გარბის არტანას თავის სამფლობელოდან, იქ აგროვებს ჯარს და
 ემბრავს გურგენს არტანუჯელს და ადარნასეს, ქართველთ მეფეს.¹⁷) ცხადია, აქაც
 არტანუჯისათვის ბრძოლა სწარმოებს.

ამგვარად ბოლოს და ბოლოს შავშთ-კლარჯეთის პოლიტიკური ორგანი-
 ხაცია, მიუხედავად გამოუძიებელი ბრძოლისა, მაინც ძლიერ შეიკვალა. ერთ-
 გვარი მთლიანობა მაინც დამყარდა. მაგრამ, როგორც აწერილ ანბებიდან ჩანს,
 ეს ერთიანობა არ ყოფილა დამყარებული არც თვით შეურწმომის ადგილობრივი
 ფორმებზედ, არც გარკვეულ პოლიტიკურ წესწყობილებებზედ. ერთიანობის ეკო-
 ნომიური საფუძველი იყო მხოლოდ არტანუჯის საეკერო მნიშვნელობა, სადაც
 თავს იყრინდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებში დამზა-
 დებული საქონელი და პოლიტიკური კი ერთი მხრივ იმაში, რომ ამოტ კურა-
 პალატის გვარი ინაწილებდა და ძველობდა მთელ შავშთ-კლარჯეთს, რის გამოც

ნათესაური, გვაროვნული კავშირი იცავდა ჩამოდენადმე ერთობობას, და მეორე მხრივ ის, რომ საბერძნეთის მეფე გვარის ერთ რომელსაზე წარმომადგენელს აძლევდა კურატპალატობას, ე. ი. სხვებზე უპირატესობას, ამიტომაც მხოლოდ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შეკმეო-კლარჯეთი თავისი წინაპრებისგან იყო ძლიერ მდიდარი იყო და არც ვხედავთ იყო რიგიანი, მიუხედავად, რომ ეკონომიური კავშირი სუსტი იყო. სუსტი იყო აგრეთვე პოლიტიკური კავშირიც, რამდენადაც მფლობელთა პირად ნათესაობაზე იყო იგი დამყარებული და ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო გარკვეულ იურიდიულ-სახელმწიფოებრივ ნორმებში. ეს უკანასკნელი დებულება სრულიად ცხადი იქნება, თუ შევისწავლით იმ აპარატს, რომლის საშუალებითაც მართვა-გამგეობა სწარმოებდა.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მრავალჯერ არიან მოხსენებული „კაცნი კეთილნი“, რომელთა საშუალებითაც ხელისუფალნი თავის სურვილებს და განკარგულებებს გადასცემენ სხვადასხვა პირებს და, ასე ეთქვამთ, ორგანიზაციებს. მაგრამ მათ „წარგზავნას“ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში არასოდეს არა აქვს ძალდატანებითი მნიშვნელობა. ¹⁶⁾ თითქოს მათი მოწოდებაც მორალურ გავლენას და ერთიანობის საჭიროების შეგნებას ემყარება, როგორც, თანახმად ზემოდ მოყვანილი ცნობებისა, გაბრიელ დიფანჩელის და მონასტრების ერთგულება კორაპალატისადმი. მაგრამ ამ მორალურ გავლენას და მოქალაქეებრივ შეგნების დანერგვას თავისი ეკონომიური საფუძველი აქვს. ეკონომიური კავშირი ქვეყნის სხვადასხვა ერთეულებს შორის იყო სუსტი და ცხოვრების აუცილებელ პირობას არ წარმოადგენდა. არტანუჯის ვაჭრობა ბევრ საჭირო რასაზე აძლევდა მოსახლეობას, მაგრამ უმთავრესი ნაწარმოები, რომლითაც მცირედი მოსახლეობა თავს ირჩენდა, თუმცა დიდი წვა-დავით, მაგრამ მაინც ადგილობრივ მხადღებოდა. როგორც ხანს ამ ნუქრეობის ფორმებიდან, რომელიც ზემოდ იყო აწერლი, ხალხი მძიმე პირობებში ცხოვრობდა, ცუდად იკვებებოდა, მაგრამ არტანუჯის ვაჭრობა ამგვარ საკვების საჭიროებასაც ვერ დააკმაყოფილებდა. ხალხის საქმელი იყო მხალი, ფეტვი, იშვიათად პური და ყველა ეს ხომ არ შეიძლება სავაჭრო საქონელი ყოფილიყო. იქიდან თუ მოდიოდა რამე, ისეთი ნაწარმოები, რომლითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონასტრები და მდიდარი აზნაურები ისარგებლებდნენ და არა ხალხის მისა, რამდენად ამ გვარი არსებობდა. პირველსაჭიროების პროდუქტი კი ადგილობრივად მხადღებოდა. ამიტომ არტანუჯის ვაჭრობა რომ მოსაზიბილიყო კიდევ, თავისთავად ადგილობრივი ცხოვრება ბევრად არ შეიცვლებოდა, თუმცა ის დიდი კულტურის ნაშთები, რომლითაც ჩვენ ახლა ვამაყოფთ, არ იქნებოდა. ერთი სიტყვით მოსახლეობის ყოველდღიური ზრუნვა, მისი ფიზიკური არსებობა, არ იყო დამყარებული ამ ვაჭრობაზე. მხოლოდ რამდენადაც ხელისუფლები იყვნენ დაინტერესდნენ და აგროვებდნენ ზედმეტ საქონელს, რომ არტანუჯში გადასაცემლად წავიდოთ, იმდენად იყო მოსახლეობა დამოკიდებული ვაჭრობისაგან. ამიტომაც მორჩილებას არ ჰქონდა აუცილებელი საჭიროების ხასიათი. მფლობელებიც პირველ ხანებში ძალით კი არა, „კაცთა კეთილთა“ გავგზავნით და მოლაპარაკებით აწყობდნენ საქმეს. რამდენადაც მონასტრების და აზნაურების მეურნეობაც თავის თავად დამოუკიდებელი იყო, და უცხოეთიდან შემოსატანი საქონელი მათთვისაც არსებობის წყაროს არ შეადგენდა, ესენიც არ იყვნენ არტანუჯისაგან სრულ დამოკიდებულებაში, მორჩილებაში. ხოლო რადგანაც ესენი სხვაზე მეტად გრძნობდნენ კრისტიანული კულტურის განმტკიცებას და მისი ცენტრების აყვავების საჭიროებას, თავის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ვალდებულებად სთვლიდნენ ცენტრის ბრძანებას დაპირიღებოდნენ, ყოველ შემთხვევაში ცენტრის სურვილებთან შეეფარდებინათ თავისი, რადგანაც უამისოდ კრისტიანული კულტურა ძალას ვერ მოიპოვებდა ხალხში. აი რაზეა დამყარებული „ზნეობრივი“

ხასიათი ამ მორჩილებისა. ანტიომაც მმართველების სახელწოდება წყაროების მიხედვით ხასიათდება სიტყვით: „უფალი“, „მამული“, რაც უფრო ნიშნავს მფლობელს, ვიდრე მმართველს. ¹⁷⁾ ერისთავობა და ამგვარი „გარეული“ თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები უფრო გვიან შემოდის. ¹⁸⁾ ხელისუფლება თავიდანვე იხმარება, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ დღეს ამ სიტყვას. ¹⁹⁾ ხეობა მოხსენიებული იყო შემთხვევა, როდესაც მონასტრის წინამძღვარი არ დაემორჩილა კურატპალატს, როდესაც მან მიიწვია იგი, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის წერილი არ დაემატა კურატპალატის წერილს. ამისთანა — ურჩობის წინააღმდეგ ყოველი მეფე, მას რომ მართლაც უფლებები ჰქონოდა, ეცდებოდა დაეცვა იგი ძალითაც კი, თუ საქმე იქამდის მიდგებოდა. კურატპალატს კი ეს ფიქრადაც არ მოსვლია და ხამაოულელიც დაემორჩილა მიცემულ ახსნა-განმარტებას ამ საქციელისას, გრიგოლ ხანძთელსაც თვითონ მიმართა რათა მას თავის ზნობრივი გავლენით დაედსტურებინა წინამძღვრის მოწვევა. ფეოდალური წესწყობილების დროსაც კი, როდესაც მეფეს ძალა შეუწყვედა, ამგვარ ურჩობას არ აპატიებდა, რადგანაც მაშინ მაინც რაღაც ნორმები არსებობდა და ურჩობა ამ ნორმის დარღვევად ითვლებოდა. ხოლო თუ ფაქტიურად არც მაშინ არსებობდა მორჩილება, ეს უკვე ძალის საქმე იყო და არა ნორმისა. მონასტრთა შორის ურთიერთობაშიც ვხედავთ ჩვენ ამგვარ მდგომარეობას. გრიგოლ ხანძთელი, რომელიც მონასტრის მოღვაწეთა შორის უმაღლესი ავტორიტეტით იყო აღჭურვილი, ყველა მონასტრების წინამძღვართ დაზიგებას აძლევდა, გარდა ოპიზისა, იმ მიზეზით, რომ ოპიზის მონასტერი უწინ იყო დაარსებული და მისი წინამძღვარი, გრიგოლის ახრით, მას არ უნდა დაჰპირილებოდა. ²⁰⁾ მხოლოდ მაშინ, როდესაც ოპიზის მონასტრის წინამძღვარმა თვითონ სთხოვა, რომ მისთვისაც სხვებისაებრ მიეცა დარჩება და ესწავლებინა, გრიგოლ ხანძთელი დათანხმდა ამას.

ანხორ სუსტ და ნებაყოფლობითი კავშირის განმარტებით მმართველ აპარატს წარმოადგენდნენ „კაცნი კეთილნი“. საზოგადოდ ეს სახელწოდება ხანძთელის ცხოვრებაში ნიშნავს ისეთ კაცს, რომელიც ხელისუფლების ბრძანებას ასრულებს, მისი წარმომადგენელია და როპლის მოლუაწეობაც ქვეყნის ერთიანობას ხელს უწყობს, ანხორციელებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ებრძვის ქვეყნის ტერიტორიალურს და უფლებრივ დანაწილებას და დაყოფას, წინააღმდეგ ანტისოციალური ელემენტებისა, რომელნიც არღვევენ წესიერებას, შეაქვთ ქვეყანაში განხეთქილება, ხალხში მორალური გახრწნილება. ამათ მატიაკეთ უწოდებს ურჯულთ, უკეთურთ, დაუნდოთ. ²¹⁾ ეს დაპირისპირება ერთი მხრივ „კაცთა კეთილთა“ და მეორე მხრივ „კაცთა უკეთურთა“ და პირველი თქმის ხშირი ხმარება მას თითქმის ტერმინის მნიშვნელობას აძლევს. ამ სიტყვის ხმარების მრავალი შემთხვევა ვიცით და ყოველგან ერთი და იგივე ახრით არიან ხმარებული. ყველგან კაცნი კეთილნი რომელიმე ხელისუფლების მიერ არიან წარგზავნილნი. თვითივე მფლობელს — კურატპალატისაგან დაწყებული აზნაურებამდის — კაცთ თავისი „კაცნი კეთილნი“. ესენი შეადგენენ მის „ერის“ ნაწილს და ყველაზე მეტის ნდობით ირიან აღჭურვილნი, ისე როგორც „უფროსი დრუგინა“ რუსეთში, მაგრამ სხვადასხვა ხელისუფალთა და მფლობელთა კაცთა კეთილთა შორის არა ვითარი კავშირი არ არსებობს. თვითიველი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ თავის უფალს ემორჩილება, მას ინტერესებს იცვას, მის ნივთიერ და უფლებრივ წარმატებაზე ზრუნავს, რადგანაც მისი საკუთარი კეთილდღეობა მისი უფლების წარმატებაზე და სიმდიდრეზეა დამყარებული.

ერთ გარემოებას შეაქვს მხოლოდ ამ ტერმინის მნიშვნელობაში არე-დარევა: ხანძთელის ცხოვრების ტერმინოლოგიას რომ მოვკვეთ, მაშინ ერთი მხრით ანუ კურატპალატის მკვლელების მსახურნიც „კაცნი კეთილნი“ უნდა იყვნენ,

რადგანაც ისინი ცხადია თავის უფლის, აშოტის მტრის, სამსახურს უწოდებდნენ, მაგრამ ცხოვრება კი მათ უწოდებდნენ „უშუალოთა და უნდოთა კაცთა“, რადგანაც ისინი იუდას მსგავსად უფლისა თვისისა მკვლელი იქნებოდნენ. რადგანაც ხელისუფალთა მსახურნი, თუნდაც თავის უფლის ბრძანებებს ემსახურებოდნენ, სახელმწიფოსათვის საზიანო საქმეს აუეთებდნენ, მაშინ ეს არ არის „კაცი კეთილი“, მაგრამ აქ საგულისხმოა, რომ ამით ცხოვრება მაინც არ უწოდებდნენ „უკეთურს“, რაც კეთილის პირდაპირი წინააღმდეგი იქნებოდა. ეს იმიტომ, რომ აშოტის მკვლელნი თავის მდგომარეობით „კაცი კეთილი“ უნდა იყვნენ, მაგრამ, რადგანაც პირადად ცუდნი არიან, იმიტომ ამით ეს სახელი არ ეწოდებოდათ. ცხოვრება მათ სახელს არაფერს არაქმნის, მხოლოდ მათ საქციელს და მათ ზნეობრივ პიროვნებას ვალიფიკაციას უკეთებს, ახასიათებს. ესეიგი თავის მდგომარეობით კი არ არიან მამასადამე ქვეყნის მტრები, არამედ (უდიდესი ზნეობრივი თვისებების გამო, ერთი სიტყვით იუდეები არიან, როგორც მათ უწოდებდნენ ცხოვრება. ისე რომ, თუნდაც ეკვს ვარეზი, რომ ამ სახელწოდებაში „ცხოვრებას“ წორადღური ელემენტი შეაქვს და სუბიექტურ საფუძველზე იგი წარმოშობილი, მაგრამ ისე ხშირად იხმარება და იმდენად გავრცეულ და ერთგვარ შემთხვევებში, რომ ამას იმ დროისათვის ტერმინის მნიშვნელობა ეძლევა. ხოლო თუ ეს ტერმინი შემდეგში არ დარჩა, ეს იმიტომ, რომ მას მეტად სუბიექტური ხასიათი ჰქონდა. როგორც თანამედრობის პირს, თუ ის თავისი უფლის ბოროტ განზრახვას ასრულებდა, ეს სახელი აღარ ეწოდებოდა. რა თქმა უნდა, ამისთანა ტერმინი უხერხულია და ვერც დარჩებოდა ისტორიაში, მით უმეტეს, რომ შემდეგმა წესწყობილებამ ამგვარი სახელმწიფოებრივი აპარატი, თუ სულ არ მოსპო, ძირაინად შესცვალა მაინც.

ამგვარ პირობებში ფეოდალურ ურთიერთობაზე ლაპარაკი სრულიად შეუძლებელია. არავითარი ელემენტები ფეოდალიზმისა ჯერჯერობით არ არის არც ეკონომიურ სფეროში, არც სოციალ-პოლიტიკურში. კავშირი აქ მფლობელთა შორის იკამდის სუსტია, რომ ცხოვრებას ჯერ არ შეუშუალებია არავითარი ნორმები ურთიერთობისა. კურატპალატი, რომელიც საერთო მეთაურად ითვლება, მხოლოდ მფარველია ყველასი, ისიც უმთავრესად იმიტომ, რომ იშორებს რა გარეშე მტრს, სხვებსაც აშორებს მას. იმიტომ მას აქვს ერთგვარი ზნეობრივი უფლება დეხმარება მოსახლეობის სხვა მფლობელებსაც, მაგრამ თუ არ დაეხმარნენ, არავითარი ძალა და უფლება არა აქვს მოსახლეობის ეს რაიმე ჩვეულების ან განმტკიცებული ნორმების მიხედვით. ცხოვრების და ურთიერთობის ნორმები მხოლოდ ახლა მუშაობდა და ამ პერიოდის ბოლოში ჩვენ ვხედავთ უკვე ურისთავეებს და ერთსავეთ-ერთისათვის, რომელთა უფლებაც აღმად უნდა უფრო ძლიერი ყოფილიყო. მაგრამ ამითი სხვა პერიოდი იწყებოდა. ჩვენ ამას არ შეგვიძლია. რაც შეეხება პატრონ-ყმობას, როგორც ტერმინს, ეს ტერმინი იხმარება მხოლოდ იმ პერიოდის ბოლოში ლიპარიტ ორბელიანის მიმართ, რომელმაც კლდე-კარი გაიმგვრა და გუარამ მამფალი იპატრონა. როგორც შემდეგში ჩანს, ეს პატრონობა არ აღმოჩნდა მკვიდრი. ვინაიდან ლიპარიტი ხან ქართლის გრისთავს მიეკედლებოდა, ხან კლარჯეთის მფლობელებს. ისე რომ ეს პატრონობა საქმედ უახლოვდება იმ დიდ ქველ ურთიერთობას და განსხვავდება მისგან იმითი, რომ ლიპარიტს არჩევს სახელმწიფოებრივი პერიოდი და რაკი თვითონ აირჩია გუარამ მამფალი, იმიტომ მას პატრონი უწოდეს. რაც შეეხება შავშვი კლარჯეთს, იქ არჩევანი არ იყო. აშოტ კურატპალატი თავის სამფლობელოს მდებარეობითა და სამხედრო ძალებით ერთად ერთი მფარველი იყო მთელი მხარისა და ადგილობრივებს მხოლოდ უნდა მიეღოთ ეს, ამის უარყოფა არ შეიძლებოდა, ვინაიდან სხვა მფარველი არ ჰყავდა ამ მხარეს. ვისაც აშოტი არ იამებოდა, შეეძლოთ მხოლოდ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცნენ აშოტის

დასკვება

მკვლევები. ამისთანა მფარველს მხოლოდ მფარველი შეიძლება ეწოდებოდეს და არა პატრონი, ამიტომ შავშთ-კლარჯეთში დამყარებულ ურთიერთობას უნდა მფარველობითი ურთიერთობა ვუწოდოთ. მხოლოდ ეს სიტყვა გამოხატავს იმ დრო-გამოშვებით, შემთხვევით ეკონომიურ კავშირს და ნებაყოფლობითს, მოვალეობის ხნეობრივ შეგნების ელფერის მატარებელ ურთიერთობას, რომელიც დამყარდა შავშთ-კლარჯეთში.

ამითი ვათავებ ამ ჩემ პატარა გამოკვლევას. რაც აქ ითქვა, მეტის თქმის საშუალებას წყაროები არ გვაძლევენ. როგორც ზემოდაც ვთქვი, ბევრი რამ ბუნდოვანად რჩება, ზოგი დებულება ვარაუდის და ჰიპოტეტიური ხასიათისაა. მაგრამ ზოგიერთი საკითხი სრულიად გარკვეულად და დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო როდესაც ყველა ამას ერთად თავს მოუყრიოთ და მივიღებთ საერთო ტიპიურ და დამახასიათებელ სურათს, მაშინ ერწმუნდებით, რომ ყოველი მხარე საკითხისა, როგორც აქ არის გადაჭრილი, იქამდის უდგება ერთმანეთს, რომ ისიც, რასაც ჰიპოტეტიური ხასიათი ჰქონდა, უტყუარ სიმართლის ხასიათს ღებულობს.

ჯერ ერთი სრულიად ცხადია, რომ საქართველოს მთავარი არტერიის და გასავალი გზის, შტკვრის ხეობის არაბების მიერ ქართველთათვის შეკვრის შემდეგ, ხალხი ბუნებრივ გამოსავალს ეძებს და პოულობს ამგვარს შავშთ-კლარჯეთის ვიწრო ხეობებში არტნაუჯის საშუალებით. ეს გარემოება შავშთ-კლარჯეთს საქართველოს ისტორიაში პირველობას ანიჭებს, მაგრამ დროებით, ვიდრე შტკვრის ხეობა შეკრულია. არაბების დამარცხების და ტფილისის აღების შემდეგ, შავშთ-კლარჯეთი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ეცემა კიდევ, ვინაიდან მთავარი სავაჭრო გზა საქართველოსი მას სცდება. აქ ისტორია გვაძლევს ერთგვარ ექსპერიმენტს, რომელიც სრულიად ნათლად არკვევს შტკვრის ხეობის მნიშვნელობას, არა თუ ეკონომიურს, არამედ პოლიტიკურსაც. მეორე: თუმცა მეურნეობის ფორმების ზედმიწევნითი გამორკვევა მისი დამახასიათებელი დეტალებით, ტექნიკური საშუალებების აღნიშვნით წყაროების სიღარიბის გამო შეუძლებელია, მაგრამ, რამდენადაც წყაროები იძლევა კანტიკენტ ცნობებს მეურნეობის შესახებ, (ფეტვის თესვა, მუდმივი სამეურნეო ბაზების და სოფლების არსებობის გაურკვეველობა, მოსახლეობის სითხელე, კანტიკენტობა და ვაფანტულობა, პურის, როგორც საქმლის იშვიათი ხმარება, ხენის მოუხსენებლობა პირველ პერიოდში) შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადო სურათი მეურნეობისა უდგება მხოლოდ ახოს აღების და ასრეთ წოდებულ საოვარ-მინდროვან სისტემას (მაქს ვებერი). ეს სისტემა ჩვეულებრივად თემურ წესწყობილების დროს არსებობს ხოლმე, მაგრამ, რადგანაც შავშთ-კლარჯეთში მოსახლეობა ამოწყვეტილი და გაძევებული იყო, ამიტომ გადარჩენილი ცოტადენი ნაწილი მოსახლეობისა ტყეში იმალებოდა და თემობა, თუ ოდესმე არსებობდა, ახლა უკვე დარღვეული იყო. გადარჩენილი იყვნენ მხოლოდ ძლიერი კაცები, აზნაურები, რომელთაც ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები მსახურნი შერჩენოდათ და ესენი სწევდნენ იმის მაგიერობას, რასაც სხვაგან ხალხის თემობა. მესამე: კატეგორიულად შეიძლება თქმა იმისი, რომ პატრონობა აქ არ ყოფილა

ამ დროს და არც იქნებოდა იმ პირობებში, რომელიც დასურათებულია ჩვენ წყაროებში. შეიძლება ამ ხანას ვუწოდოთ მხოლოდ ფეოდალიზმის შემავლებების ხანა, ისიც, თავიდანვე კი არა, მეორე პერიოდში, როდესაც გაჩნდა ერისთავობა და ერისთავთ-ერისთავობა, ისე, როგორც მეროვინგების ხანაში დასავლეთ ევროპაში.

მეთთხე: კატეგორიულად შეიძლება იმის თქმაც, რომ, მიუხედავად მეტის მეტი ელემენტური ეკონომიური ფორმებისა, რასაც სრული კარჩაკეტილობა და განცალკევება უნდა გამოეწვია თვითეული სამეურნეო ერთეულისა, არტანუჯი, მისი ვაჭრობით იზიდავდა და აერთიანებდა ამ კუთხის სხვადასხვა ნაწილებს და ხდებოდა მის გამაერთიანებელ, შემაკოწმებელ ცემენტად, რამაც გამოიწვია ქართული სახელმწიფოებრივობის შემზადება, თუნდაც ფეოდალური სახისა.

მეხუთე: კურატპალატს პირველად სრულიად კერძო უფლებრივი ხასიათი ჰქონდა. ის მხოლოდ შემდეგში ლეგულობს საჯარო უფლებრივ ხასიათს და თან და თან აერთიანებს მთელ მხარეს, მაგრამ უკმაყოფილო ელემენტები, რომელიც არტანუჯის ვაჭრობით საგრძნობლად ვერ სარგებლობდა, ებრძვის და ხელს უშლის გაერთიანების ტენდენციას. ეს ბრძოლა პირველად ანოტიკა და ადგილობრივ აზნაურებს შორის სწარმოებს და შემდეგ კი თვით ანოტიკის შთამომავლობაში ტრიალებდა.

ეს პროცესი, რომელიც შავშეთ-კლარჯეთში შედარებით ასე მალე განვლო, პროცესი ფეოდალიზმის შემზადებისა, ევროპაში რამოდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. რად ვიპარა მან ასე ჩქარა შავშეთ-კლარჯეთში? მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ქვეყნის ასეთი ჩამოკვეითება ბუნებრივი და ორგანიული ხასიათისა კი არ ყოფილა, აკლებას გამოუწვევია. ამიტომ ხალხს ძველი კულტურული უნარი იქამდის შერჩენია, რომ ახალ პირობებში სწრაფად აღუდგენია თავისი ძველი ტრადიციები.

III თავის შენიშვნები

- 1) ბოლო რა დამს მოიწია საზედ თვას გაბრიელ მთავარი... (იქვე გვ. 98).
- 2) „უკეთეს ერისა ჩემისა მოეწესტ დედაკაცი იყოს. წუნ დაემკვიდროს“—აზნობს გაბრიელ დაფარბელი (იქვე გვ. 104).
- 3) იქვე გვ. 98.
- 4) შეიძლება (ანბლასადის ცალმა) გამოავლინა კაცი, რასათა არღამა მკიდენ, და ეპიოანე ძმათა შათ უზორა. და მივლინებულსა არა უსმიოეა: ბოლო მან რისხვით სგეხი კაცნი მიავლინინა და მსლავრებით განასტნეს ჟანისა მისგან: (იქვე, გვ. 114).
- 5) სამეხესა რაა მოვიციენით მახლობელად ადგილსა მირკან აზნაურისასა, და გვიბილწეს ჩვენ კაცთა მისთა. რამეთუ სადღურთა ჩუენი ჟანსა მწუხრისასა ევლსა ზედა ვადით. და აღწყეს უფალსა თვისსა. და მსწრაფლ ბოლო მოვიდა მირკან თვთ და მოგვითხა სიმდაბლით. და წარგვეყანა ტაძრად თვისად და განგვსენინა კეთილად. (იქვე, გვ. 117).
- 6) მახლობლად შატბურდსია იყო ვინმე კაცი მდაბოფა... და აქ უნდა მას ფრთად მონაგები და სიხარულსა შინა ილა ცხოვრებაა მათი. (იქვე, გვ. 117).
- 7) იქვე, გვ. 98.
- 8) მოვიგონით მანალითად, ის შემთხვევა, როდესაც გრიგოლ ბანძთელმა ეპიოანეს მოკრძალებული მოჩივლების მაგალითი უჩვენა „შეძლო“ მოსულ ბერებს. (იქვე, 117 ნ).
- 9) იქვე, გვ. 118 „კაცმაზ მოციქულმან წარმოთქვა ჭებაა ბანძთისა“.
10. მანგალითი მურკან აზნაურის შეილების კუთხისთვისა და უმცროსის არსენის ბერათ შესვლისა. (იხ. იქვე, გვ. 117—118).



11) „მწირადღ დაწერა წიგნი და წარვლინა კაცნი კთილნი და პატივიჲ უკრდა მას ხოლო მივლინებულნი იგი მივიდეს და აღწევს კურატალატსა. ვითარმედ არ მწიგნესი კაცსა მას მღროთისა მისეველა აქა“. და სხვა. (იქვე, გვ. კო—ლ).

12) იქვე, გვ. კმ და დ.

13) იქვე, გვ. ით.

14) იქვე, გვ. იზ.

15) „ვეწმარითად გელნი თქვენნი კლთა სინა ლმობისათა არიან. რომელმანცა ჩვენ გლახაკთა გელსა ნუგეშინი სესა“. ეტანებთან ბერები „მღეიებს“. (იქვე, გვ. ლბ.) მუღობის სი-მალღესთანა გაქუს თქვენ ქრისტეს მიმსგავსებელი სიმდაბლდა... და ნუგეშისკენმა გლახაკთა“ (იქვე), „წმიდათა ეკლესიათა მანწმებელი და... გლახაკთა მოღვაწეჲ. (იქვე გვ. ლგ.) და სხვა...

16) იხ. ზემოდ. თ. II, მწ. 61.

17) იქვე, გვ. ნ. „უბრძანე სულსა ამის მკვიდრობადა... ნუგეშის-საკემლად ამის გლახაკისა და სადიდებლად ზენდა“.

18) და ადგა მზიარელი და მიხეცა იგი დედასა თქსა და უბრძანა მიკემამ კამადი-სა (იქვე).

19) სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 79. „რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერებნთა და ქართ-ველთა, და გლახაკნი დაწმარებულ და მკედრო იღუნენ“...

20) იხ. ზემოდ, მწ. 6 და Geop. Mep. კრ. წმ. გრ. ბანთი. ქარო. ტექსტი, გვ. პა.

21) იქვე, გვ. მბ.

22) იქვე, გვ. მბ.

23) იხ. H. Mapp. Geop. Mep. Kr. lexiconi Жития, სტკეა „ერი“ გვ. LXIII.

24) როგორც, მაგალითად, დავანისელის, აბულასადის და შირვან ანაფროსის მახაბრნი.

25) სამი ისტ. ქრ. სუბნათის ქრ. გვ. 51 „ერი თვისი მკირედ ჰყვა თანა“.

26) მკვიდრნი მისი დედამუღლითურთა და შვილითურთ. (იქვე).

27) „პოიწია ზეესა ნივანდისა, და იწყო მებნად ერისა, რათამცა ვითა გაემრავლა ღამ-ქარი თვისი (იქვე, გვ. იმ).

28) და იყო ერისა სინა ეპისა, ვანვიდა, რათამცა შეეკრათა ღამქარი ბრძოლისათყო სარკინობისა, მივიდა იგი ადგილსა რომელსამე, განავლინა ღამქარის შეწყვიტაღნი, და ვიდრე არღარა შეტრებულაღა ღამქარი იგი მისი მისთანა, დაესხნეს მას სარკინობნი უცნაერად და აოტნეს იგი“. ამის შემდეგ სარკინობებზე აღარაფერია ნათქვამი. (იქვე, გვ. 53-54).

29) Geop. Mep. ქართული ტექსტი, გვ. ივ.

IV თავის 306.

1) ჩვენი წყაროების ავტორებს, ერთობა კარგათ ემთხვევა, რომ აშოტის ბელოსტყულება თავი-დანვე კი არ ყოფილა, თანდათან გაფორმებულა და განმტკიცებულა. ეს არის მთელი პრო-ცესი გაფორმებისა, რომელიც მკვლევარსა უნდა შეისწავლოს და არა ისე შემთხედის აშოტის უფლებას, როგორც თავიდანვე მოცემულს.

2) იხ. თ. II შენიშვნები 27 და 28.

3) H. Mapp. Dvianit podaxia iz Šavmetio u Klaraxio. (დამატება ზემოდ აღნი-შნული წიგნისა „Geop. Mep. და ს.“ გვ. 144. აქ მოყვანილია ყოფილი წატბერდის მომას-ტრის, ამჟამად პოპრტა, შენდები წარწერა:

„ქოსტუ: შეწყვიდა: ამის ისტ. (sic): გალაკოზნი: კდედეი აბესალმა: მისნი ამანა-გნი ქამორსა: ეპისასა: მახაბრსა: შეწყვიდა: დმეობთან: ვინცა: შეადობა: ბარ (ბანონ).“ სად იყო ეს „კდედე“ და სადაური ყოფილა აბესალმა, არ ვიცით ის კი ნათელია, რომ კალატრონები არც კლარჯულები არიან, არც ქართველები, როგორც ამტკიცებს მათი საბულები და, თანაზად პროფ. ბარის მოსაზრებისა, მათ შორე ქართული ენის უფილნობობა. (იხ. იქვე, გვ. 145. მწ. II.)

4) წარმოემართეს მოაღვად მას წინაშე იგინი, რომელთა მან ეტრძანა, ხოლო იგინი მივი-ვიდეს კლავდ (კალავად) მისსა. მაშინ, ვიდრე მოწყვიტადე კარსა მისსა არა უწყოდა აშოტ ზავეა. (მათი) (სამი ისტ. ქრ. გვ. 54).

5) P. Mep. ქართ. ტექსტი, გვ. ით.

6) ხოლო ემამ რა ესე ამზავი ერსა მისსა, რომელი იგი იყენეს დოლის-ყანასა... (სამი ის-ტორიული ქრ. გვ. 54).

7) „და დევნა უდეს მკველელთა მათ უფლისა თვსათა, და ეჭირენს მათ სავანეთა ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად“... (იქვე).

8) რომ ადარწანეს პროგნია არტანუჯი, ხოლო კურატალატს ბაგრატს სხვა სამეფიდ-რეთ, ესა სინან შემდეგითა: სუბნათის ქრონიკაში ნათქვამია: „ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამისა მათისა, და დასულს ბაგრატ კურატალატად“. ნაშასა-დამე ბაგრატო არტანუჯის გაყოფილართ ადგილებს დამატრონებია, არტანუჯში კი ან ადარწანეს-ან გუარანი უნდა დარჩენილიყო. ბაგრამ შემდეგიდან ჩანს, რომ არტანუჯი სწორედ ადარწანეს ოჯახში ყოფილა და არა სხვა ძეგლისა, რაც ემადია იქიდან, რომ შემდეგნი არტანუჯი რგნია ერთ მის შვილთაგანს, სახელდობო სუბნათს. (სამი ისტ. ქრ. გვ. 55 და 56“.



*) „მას ენამა ბაგრატი კურატპალატმან ნებითა ღმრთისათა და ნებითა მისა ბივისათა და ბრძანებითა ბერძენთა შეფისათა მიიღო კურატპალატმან, ნაცულად აწიო კურატპალატისა მისისა თვისისა. (Geop. Mep. კართ. ტ. გვ. 45).

19) „აქუნატი არტანუჯელი რომელი კელმწიფობასა მისსა დასუესც კურატპალატისა (ს. ისტ. ქრ. გვ. 56).

20) დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა, (ბაგრატისა) დასუეს კურატპალატად. 21) „ხოლო აწიოტ კელლა (შვილი ადარნასისი, გ. ნ.) გარდაიქვალა, კორანიკონსა პს, და დაუტყვა გურგენ, რომელი შემდგომად კურატპალატად დასუეს“ (იქვე).

22) „ბაგრატი კურატპალატი, ძე აწიოტ კურატპალატისა, გარდაიქვალა კორანიკონსა კვ, და დაუტყვნა ძენი დავით, რომელი შემდგომად მისსა კურატპალატ ყუეს, და მოიქცა იგი კვლითა მის ძმისწულისა თვისისა, ნასრა, გუარანის ძისითა“. (იქვე, გვ. 57.) აქ მისწულობა ნასრანსი დავითისადმი სწორედ არ არის აღნიშნული. ნასრა გუარანის შვილია, გუარანში აწიოტ კურატპალატისა. ხოლო დავითი—ბაგრატისა, აგრეთვე აწიოტის შვილისა. ისე რომ ნასრა და დავითი ბიძაშვილები არიან.

23) ხოლო ნასრ, მკელელი, იგლტოდა სამეფოსა კონსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელს (იქვე).

ნასრას ორის შესაებე წინააღმდეგ შეეშეთ-კლარჯელებისა, რომელშიც მას აღნახთა მეფე უმბარებოდა, იბ. იქვე, გვ. 52.

24) „დაუტყვა... ბაგრატი მამული არტანუჯელი (და დავით მამული)... ხოლო გურგენ კურატპალატი წყვიდა ტოთი კალმანით, მამულით თვისით, ცხოვრებად შეეშერსა და არტანს და ამისსა შემდგომად შეიპტერნეს ფრთიფრთას და შეკრიბა ლაშქარი ერთმანეთსა ზედა. ერთ კურთო გურგენ კურატპალატმან და ერთა მისთა, მეოთხე კერა ადარნასე, ქართველთა მეფემან, და ბაგრატი არტანუჯელმან.

25) ა) ხოლო რა ენამ მოიწია საბედ თვსად გაბრეღ მთავარი, მამინ აუწყა ღმრთის მოყურებმან მეფულემან მისმან ნეტარისა მამისა მოსულად და ვითარ იგი მან სიბარულით გა-ნეტდა და ვითარცა ენამ ესმ დიდებულსა მას. მკურალე მადლი შეაწირა ღმრთისა წმიდისა მის შესლისა თჳს სახლსა თჳსა და აქვრთა მეფულემ თჳსა და მკურალე ხოლო დაწერა წიგნი ეფრემისისა და წარაგლინნა კაცნი კეთილნი, რათა კვალდაცა ბრძანოს სახლსა მისსა. (T. Mep., გვ. 43).

ბ) მსწრაფლ ხოლო დაწერა ეპისტოლემ კელითა თჳსითა და კაცნი ერთი კეთილი წინაშე მდგომელთა განი და ერთი გაბრიელის მსახურთა განი მსწრაფლ წარმეღლინნა მამისა გრაგილის წინაშე. (იქვე, გვ. 43).

გ) ხოლო მას (კურატპალატს) ვითარცა ენამ. ფრთად განიხარა და მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარაგლინა კაცნი კეთილნი და პატრიფთ უწოდა მათ.

26) გუარამ მამული. (ს. ისტ. ქრ. გვ. 56, 57 და 58) შენ. უფლისა თჳთისა, მკელელ იქმნეს (T. Mep., გვ. 40).

27) ხოლო გურგენ, მის-წული აწიოტისი, დიდი ზელმწიფე ფრთადდა ნათესავთა. ღმრთისა მიერ დაუდა ერის-თეთა ერის-თავად (იქვე, გვ. 48).

28) Geop. Mep. იქვე, Passim. „მოცა მას დლობა კელმწიფებისა (აქ, კელმწიფისა მის (აწიოტის) წინაშე და შეიღელა მისთა დიდებულთა მათ კელმწიფეთა წინაშე (იქვე, იბ). მამინ კელმწიფეთა მათ აღმზრდელთა მისთა (გრ. ხანაშელის აღმზრდელი, გ. ნ.) და სანატრელმან დედაპა მისმან... (იქვე, გვ. 8.)

29) იქვე, გვ. 40.

30) აწ ვითარმე მიცვი კელა შეურაცქსა უშეფლობთა და უნდოთა კაცთსა (იქვე, გვ. 40). და იგი მისი ენმაცხა განმარჯვებითა შეაცთვნა ვინ-მე უფეთორ მან კაცმან (იქვე, გვ. 40). ხოლო კაცთა ვით-მე უფეთორთა აუწყეს დედუფალსა თჳსსა. ვითარმედ სრულიად მოსკიან ფ-დრე მწიფომად იტელა მას ფრთად კეთილსა. (იქვე, გვ. 51). აქ სიტყვა „უფეთორის“ სუბიექტური ნაგებია განმარტორებით ნათელია. ეს „უკეთორნი“ აზულანდრსავე მახსობნი არიან. ბაგრატი, რადგანაც ესენი ზელს უწყობენ წინად დადებულ პირობის დარღვევას, რომელიც ბერძენისათვის ზელსაგრელი იყო, აწიოტმან „უკეთორებად“ არიან მოხსენებულნი.

31) იქვე, გვ. 40.

დასკვენების შენიშვნები: 1. Макс Вебер. История хозяйства, გვ. 80.
2. „Завашка, дохожая на шотландско е полевое и пашбишно хозяйство на внешнем покое... Расчищенная земля приносила урожай три или четыре года, а затем надого зануевалась под траву и деревья ивнала свое местожительство, чтобы расчистить новую землю“. (ტექსტის ნახტამი კვლევან ავტორისა).

შენსწორება: 142 გვ. 12 სტ. ზეც არის—„საფრწველზე იყო დაკრდობილი“. უნდა იყოს: —„ფარგლებში იყო მოთავსებული“.

143 გვ. 17 სტ. დაბლიდან არის:—„ხეობრივ ნიადაგზე“. უნდა იყოს: „ხეობრივ ელფრისა.“

ქართული წიგნის გეოგრაფიული საზღვრის წლის თავის გამო

1829—1929

მოკლე ისტორი. სტატისტიკ. მიმოხილვა.

ქართული კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდესი მოვლენის სამასი წლის თავი სრულდება მიმდინარე წელს. სამ საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც, რომის პაპის სამფლობელოში, della sagra congregazione de propaganda fide-ს სტამბაში პირველად დაიბეჭდა ქართული წიგნი. ცნობის მოყვარებით იხადება უნებლიე შედარება: თითქმის ხუთი საუკუნე მიიწურა გუტენბერგის გენიალურ აღმოჩენიდან, ბეკედის ხელოვნების სრულყოფიდან. 180 წელი საქართველოს ისტორიულმა უკულპართობამ შეიწირა. ძლიერ დაგვიანებით და ისიც საქართველოს საზღვრებს გარედ დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი.

I

ჩვენ აქ არ შევდივართ იმ საკითხის განხილვაში, თუ როგორ იყო ქართული წიგნის საქმის მდგომარეობა, მანამ, სანამ ის გახდებოდა სასტამბო ხელოვნების ობიექტი. დაეიწყებოდა პირდაპირ პირველბეჭედი ქართული წიგნიდან, მაგრამ სანამ რომში პირველად დაბეჭდილ ქართულ წიგნზე შევხერხებოდით, ბუნებრივად იპყრობს ყურადღებას, თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი კათოლიკური ეკლესიის მეთაურის საბრძანებელში მართლმადიდებელი ქართველთათვის წიგნების ბეჭედისა, — იმ დროს როდესაც ეს ორი მოპირდაპირე ეკლესია ერთმანეთის შურით და მტრობით იყო გამსჭვალული. ამ კითხვას საპასუხო საქმიანობის დასაწყისი აქვს ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან, როდესაც ჯვაროსანთა ომების წყალობით რომის პაპმა და საქართველოს მეფეებმა ერთმანეთი გაიცინეს, რასაც მონგოლთა შემოსევაც დაერთო, როდესაც რუსულ ან მარომის პაპს დახმარება სთხოვა... ამრიგად წარმოშდგარ ურთიერთობას დროთა ითარებამ განმტკიცება არგუნა და საქმე იქამდე მიდის, რომ XVII საუკუნე დასაწყისის პაპი ურბან VIII, საქართველოში აგზავნის მისიონერ ავტიან ბოლის (1626), რათა უკანასკნელს ქ. გორში მუდმივი მისია დაეარსებინა; ბოლო 1735 წ. კი პაპი უკვე აგზავნის ახალ მისიონერ კაპუცინებს მუდმივი მისიის, ამ შემთხვევაში, ტფილისში დასაარსებლად. აგრეთვე მეჭვიდმეტე საუკუნიდანვე ვატიანში ასრდება განსაკუთრებული კონგრეგაცია, რომელიც თავის დანიშნულებიანებარ, უკვე იძულებული იყო თავის წევრებისათვის ესწავლებინა იმ ერის ენა, სადაც ისინი იქნებოდნენ განწესებულნი კათოლიკობის გასაფრცხვლებლად. ამ მიზნით პა-

¹⁾ იმ. მ. თამარაშვილი — ისტ. კათოლ. ქართვ. შორის, გვ. 95. 96. 97. და შემდეგ: აგრეთვე თ. ჯორდანიანი: — *Ист. очерк пров. Кавказа в Грузии* (см. газ. „Кавказ“ № 10. 1885 г.).

პნა საგანგებო მისიაც კი მიავლინა აღმოსავლეთში, რომელსაც აქვეა მოხსენიებული ენების ნუსხობრ სასწავლო სისტემაში ჩამოყალიბება ევალგროდა. ამ მისიის შეთავაზობა მაჯიო საქართველოშიც იყო, აქ ის ფრენკე ფენქელის სახელით ცნობილია, მას „მუსა მაჯიოს“ ეძახდნენ. მაჯიომ ქვეყნის დატოვება მისის 22 წელი მოანდომა და რომში დაბრუნებისას, სხვათა შორის, დაბეჭდა ქართული გრამატიკაც რომელზედაც ჩვენ ცოტა ქვემოთ შევეჩრდებით.

ზემოხსენებულ კონგრეგაციაში გაიხსნა აგრეთვე ქართული განყოფილება, დაარსებულ იქნა ქართული ენის კათედრა. ამავე ხანებში საქართველოდან რომს დაბრუნებული მასიონერები მათხოვენ ქართული ენის შესასწავლად უკეთესი პირობების შექმნას და ამნაირად მოწოდებულ პირობებში პაპს მოსდის საქართველოდან თეიმურაზ პირველის ელჩი, ნიკოლოზ ირბახი. უკანასკნელმა პაპს მართვა თავისი მეფის ნოტა, რითაც თეიმურაზი რომის პაპს მუსილმანი მტრების წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. ¹⁾ ირბახის რომში ჩასვლაში ქართული წიგნის ბეჭდვის საკითხს უკვე რეალური სახე მისცა. ის დიპლომატიურმა დაეხმარებამ რომს ერთ წელზე მეტი ხნის დაარჩინა. ამ ხნის განმავლობაში ნიკოლოზემ შეისწავლა იტალიური და ასწავლა ქართული სტეფანე პაოლინი და მხოვრალე მონაწილეობა მიიღო ქართული წიგნის ბეჭდვის ორგანიზაციაში. ნიკოლოზ ირბახის ვინაობის შესახებ ჩვენს ისტორიკოსებში და საისტორიო წყაროებშიც არ არსებობს ერთნაირი შეხედულება. ზოგი მას ქართველად სთვლის (პროფ. გრ. წერეთელი—„ახალი კავკასიონი“ 1925 წ. № 1—2, მ. თამარაშვილი ხსენებ. თხ. გვ. 126 და შემდეგ; მისივე—L' Eglise Edorgienne des origines usqu'a nos jours გვ. 505 და შემდეგ, Paris 1910; ზ. კიკინაძე—ქართვ. კათოლიკე. სასულ. მოღვაწე. გვ. 16, და სხვ.) ზოგი კიდევ ბერძნულად, ამ მხრივ ანგარიშს გასაწევი შრომა აქვს გაწეული და კარიკაშვილს, რომელმაც სპეციალად შეარჩია ირბახის (ირუბახი? ჩოლაყაშვილი?) ქართველობის საკითხი (იხ. მისი ახლად გამოცემული „ქართ. წიგნ ბეჭდვ. გვ. 10 და შემდეგ.) მაგრამ ნიკოლოზის ვინაობის საკითხზე ჩვენ არ აქვს შეჩერდებით; ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის მხოლოდ როგორც ქართული წიგნის ბეჭდვის ორგანიზატორი. ზემოხსენებული თეიმურაზ პირველის წერილიდან გამოუკრეფიათ ქართული ასოები, როგორც ვაღმოკვებამ აქილ ვენერო და გაუკეთებიათ ქართული შოიტი. ²⁾ ირბახს განუმარტავს რამოდენიმე ათასი ქართული სიტყვა ³⁾ და დასისრულ სტ. პაოლინს აქილ ვენერიოს დივალეებით ხოლო ირბახის თანამშრომლობით შეუდგენია ქართული ტალიური ლექსიკონი. ⁴⁾ სწორედ ეს ქართული ტალიური ლექსიკონი, სარწმუნოების გამაფრცველებელ მასიონერთა ხაზმარებლად, ამავე კონგრეგაციის სტამბაში დაბეჭდა 1629 წელს, საიდანაც იწყება ქართული სტამბის წიგნის ისტორია. უკანასკნელ ხანებამდე საეკლესიო მხარდას ხსენებულ ლექსიკონის ქრონოლოგიური პირველობა დაბეჭდილ ქართულ წიგნთა შორის (იხ. დ. კარიკაშვილი—როდის დაიჭდა პირველი ქართული წიგნი? ჟურ. „წიგნის მეგობარი“ №1—2. 1925), მაგრამ დღეს როდესაც უკვე მოგვეპოვება რომშივე იმავე 1629 წელს დაბეჭდილი „Aphabetum Illicum“ ეს საკითხები ამოწურულია, ⁵⁾ და დატა, ქართული წიგნის პირველად 1629 წელს დაბეჭდვისა უდაოა.

¹⁾ თამარაშვილი, loc. cit. გვ. 39.

²⁾ St. Paulini—Pittionario Georgiano e Italiano, ვენერიოს წინასიტყვაობა.

³⁾ თ. თორდანიას გამოთავარიშებით ლექსიკონი შეიცავს 30841 სიტყვას (იხ. „Kavkaa“. № 10. 1885).

⁴⁾ St. Paulini loc cit, III გვ.

⁵⁾ იხ. ჩვენი ბიბლიოგრაფია—„მნათობის“ ამავე ნომერში, დ. კარიკაშვილისა და დღევანდელ წიგნზე, სადაც ეს შეცდომა უკვე გამოწიორებელია.

ჩვენ მიერ მოკლეთ უკვე მოყვანილი ცნობების შემდეგ შეიძლება მასზენი გაესცეთ კიდევ ზემოდ წამოკრილ ერთ კითხვასაც,—რა იყო მიზეზი რომში

ALPHABETVM

IBERICVM,

Sive

GEORGIANVM

Vulgare.

Habet litteras Trigintasex.

Figura. Nomen. Potestas.

ა ან An a,

ბ ბან Ban b,

გ გან Ghan gh,

დ დონ Don d,

ე ენ En e,

ვ ვინ Vin u,

ზ ზენ Zen z,

ჩ ჩანი Hai h,

ჩჰ ჩანი Hhai hh,

თ თან Than th,

ი ინ In i,

ut β, H.ბი. & Ital.
ghe, zhi.

Consonant, ut β Græc.
& Ital. serua.

ut Ital. Zefiro.

ut χ Arab.

ut θ, Græc.

A 2

3

რომში 1629 წელს დაბეჭდილი „ქართული ანბანი“

„ქართული გრამატიკა“, 2) რომელიც მეორედაც გამოიცა 1670 წელს,

1) ქართულ იტალიური ლექსიკონის სრული სათაურია: Dictionario Giorgiano e Italiano, Composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Neelforo Irbach, Giorgiano, Monaco di S. Basilio in Roma, 1629.

2) ქართ. ანბანის სათაურია: Alphabetum Ibericum sine Georgianum... Romae, Typis. Sac. Congr. de propag. fide, MDC XXIX.

3) ქართული გრამატიკა: Syntagmation Lingaram orientajum quae in Georgiae regionibus audiuntur... autore D. Francisco Maria Maggio... Romae... MDC XLIII. პირველი გამოცემა.

ქართულ-საქართველოში. მე-
კედისაჲ მკენისი რომ
პაპის სამეფოებელოში
ქართული წიგნები, სა-
ქართველოში კათოლი-
კური სარწმუნოების გა-
ვრცელების მიზნით იბე-
ჭდებოდა: პირველ ხანე-
ბში თვით მისიონერთა-
თვის — სახელმძღვანე-
ლოდ (ლექსიკონი, ან-
ბანი, გრამატიკა), რა-
თა ქართული წიგნწავ-
ლათ, ხოლო შემდეგ
(როგორც ქვემოდ და-
ვინახეთ) თვით ქარ-
თველთათვის, კათოლი-
კური მოძღვრების საპ-
როპაგანდოთ (საქრის-
ტიანო მოძღვრება).

1629 წლიდან, —რო-
დესაც რომში დაიბეჭდა
ზედიზედ ორი ქართუ-
ლი წიგნი „ქართულ-
იტალიური ლექსი-
კონი“¹⁾ და ქართუ-
ლი ანბანი ლოც-
ვები“-თ,²⁾ ვიდრე
1643 წლამდე ქართული
წიგნი არ დაბეჭდილა.
1643 წელს კი დაიბეჭ-
და, ჩვენ მიერ ზემოდ
ხსენებული, მაჯიოს

ცოტა შეცვლილი სახელწოდებით. 1681 წელს რომში იბეჭდება კიდევ „საქრისტიანო მოძღვრება სიმელოლოებით დარიგებული“ კარდინალ ბელრამინოსი, რომელიც ითარგმნა იტალიურადან ქართულად „მეტრეფიქსიონადო მარია ამისავანა“. სახამ დაიბეჭდებოდა ეს წიგნი, მაგრამ იტალიურად დაბეჭდვებულ ვაჭარ იოსებ ანტონ რომაელს. როგორც უკანასკნელთა სიტყვებიდან სჩანს ეს წიგნი პირველია, — რომში დაბეჭდილ ქართულ წიგნთა შორის ¹⁾ რომლის დანიშნულება ყოფილა საქართველოში, ქართველთა შორის გაერყელება...

შემდეგ კარგა დიდი ინტერვალისა რომში დაიბეჭდა კიდევ: „საქრისტიანო მოძღვრება, გინა წურთენა შვიდთა საიდუმლოთა ზედა“ ²⁾ 1741 წელს. როგორც ამ წიგნის თავფურცელზე სჩანს ის შეუდგენია გორელ ტულუქაიანთ დავითას იტალიურად და შეჰდევ თვითონვე უთარგმნია ქართულ ენაზე 1733 წელს. ³⁾ იგივე წიგნი მეორედაც გამოიცა, რომლის ბეჭდვა დაიწყო ჩლუხ (1797) წელს, ხოლო დათავრდა „ოცს გასულს ოქტომბერს წლისა უფლისა ჩუ (1800)“ ⁴⁾ მეოთხე გამოცემის ინიციატორია გრიგოლ ბალინაიანთ ი. ეს გამოცემა ტიბნიკურად საკმაოდ დამაბინჯებელია. ტულუქაიანთ დავითას, გარდა „საქარ. მოძღვრების“ შედგენისა (იტალიურად) ითარგმნისა, უთარგმნია აგრეთვე თომა კემფელის „მიბაძეა ქრისტესი“ ⁴ ტომად ⁵⁾ და სხვა, რომლებიც საქართველოში თურმე ხელნაწერების სახით ვრცელდებოდნენ. ⁶⁾

საინტერესოა გორელი ტულუქაიანთ დავითის ბიოგრაფიული ცნობები: ის 23 წლის ყოფილა, როდესაც ბასილიანთ უფროსს საბას, (სულხან ორბელიანი?), ქართული კათალიკე თავადს რომში გაუგზავნია. პროპაგანდამ დავითა მიიღო 1725 წლის 30 ივლისს; 4 აპრილს 1726 წლისა ის შედის კოლეგიაში, ხოლო 10 ნოემბერს ფაცს აძლევს. 1732 წლის 22 მარტს გორელში დავითამ რომში დაიკვა ფილოსოფიის საჯარო დისერტაცია პრეფექტი კარდინალის წინაშე. 1733 წლ. 21 მარტს ეკურთხა მღვდლად ლათინურ ტიბიკონზე და შევიდა მონაზნად კაპუჩინებთან. 1734 წ. 8 ნოემბერს გორელი ტულუქაიანთ დავითა რომშივე გარდაიცვალა. ⁷⁾

¹⁾ ხაღინა „საქრისტ. მოძღვრებ“. დართულ წერილში სწერს: „მეხალინ ენაბეგი“ პირველი ქართული კათალიკე, მოწაფე ტულიანში მეოთხე მისიონერ კაპეტინებისა, სადაც სპარსეთის მეფის თაავაკიურ ზას, რომელთანაც ეყუადი და ვარ მოეხ და მდივანი ქართულის, სომხების, სპარსეთის, თაორულის და იტალიურის ენისა... წმ. კრების მდივან ეისკოპოს ჩიბოს ბრძანებით გადავიყოხე ყოველნაირის სიჭრახილით ეს წიგნი... და არადფერი ვიკვე წინამდღე რომის კათალიკე სარწმუნოებისა... ეს წიგნი ამ სამეფოში (საქართველ.) ძლიერ სასარგებლო აღინა... რადგანაც საიდუმლოების შესახებ ცნობები... არფულ დარეული აქვთ და ვერც ხელნაწერი წიგნებით დაუკმაყოფილებიათ ესოდენი პოპოლიკებისა საქართველ... ამისათვის დიდი საჭიროდ ვრაცხ რომ ეს წიგნი დარიგდოს“ (ამონაწერი მოგვყავს მ. თამარაშვილის ხსენებული თხზულებიდან, გვ. 256—256).

²⁾ როგორც ეს ის სხვა შემოსხმნივლი წიგნები იწინებდა ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტს წიგნთა საცავში.

³⁾ პროფ. ხახანაშვილს, 1733 წ. დაბეჭდვის დატად მიუზნევი (Очерки по ист. Грузинской церкви, т. III, стр. 366; აგრეთვე ზ. კიტინაძესაც, უკანასკნელ დანძენს რომ წიგნი მეორედ დაიბეჭდა 1793 წელს, ხოლო მესამედ 1800 წელსაო (ეხტაზე მეექვსედ და სხვათა შრომა ქართ. სტაბილის წინაშე 9.—გვ. 1916 ტფ.).

⁴⁾ იმ. მეორე გამოცემის უკანასკნელი გვერდი, წიგნი იწინებდა რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში

⁵⁾ პროფ. კ. კემფელიძე—ქართ. ლიტ. ისტორია ტ. I გვ. 77, 1923. ტფ; აგრეთვე „ივერია“ 1906 წ. 137.

⁶⁾ იმ. „საქრისტ. მოძღვრება“, კლ. რეჯიელის რეცენზია, მესამე ფურც. 1741. რომი.

⁷⁾ თამარაშვილი I. c. 421.

ზემოხსენებულ „საქრისტ. მოძღვრ.“ შემდეგ რომში ქართული წიგნები არ დაბეჭდილა. ყოველ შემთხვევაში ამ სტრიქონების ავტორს 1800 წლის შემდგომ რომში დაბეჭდილი ქართ. წიგნი არ უნახავს და არც ეცნობოდა. ამიტომაც მოკლებულია, თუ ვიტყვით, რომ მე-XIX საუკუნედაც საქართველოში განვითარებული პოლიტიკური გარემოება, რამაც ჩვენში მართლმადიდებელი ეკლესიის საბოლოო გაბატონება გამოიწვია, კათოლიკური მოძღვრების გასაფრცვლებლად დანიშნული ქართული წიგნების ბეჭდვას რომში საზღვარს დაუდებდა.

რომში დაბეჭდილი წიგნთა შემდეგ ქრონოლოგიურად მომდევნო ადგილი უჭირავს მოსკოვში გამოცემულ „დავითანს“... ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს (1699) იმერეთი დასტოვა არჩილ მეფემ და რუსეთს შეაფარა თავი. ის სოფ. ვსესეიატოვის („სვეენწყაში“ ქართული გამოთქმით), მოსკოვის ახლოს დასახლდა, სადაც მან ხელი მოჰკიდა კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას.¹⁾ არჩილმა 1703 წელს სივარდო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ გოლოვინის (რუსული პეროდიკის პიონერად წოდებულის) საშუალებით ითხოვა პეტრე პირველისაგან ნებართვა, რათა დაებეჭდა ქართული საეკლესიო წიგნები მის სამშობლოში სახმარებლად. რის შედეგადაც მოსკოვის სახანძრო სტამბაში, ჩამოსხმულ იქნა ქართული შრიფტი და 1705 წელს დაიბეჭდა „დავითანი“,²⁾ რომლის მეორე გვერდზე არის მინაბეჭდი: „ჩემ მიერ შეფის არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრისაა დაიბეჭდა წიგნი ესე და—თნი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს... თას შვიდას ე“ (1705) წ.³⁾ როგორც სჩანს არჩილ მეფეს მოსკოვში ხსენებული „დავითანის“ გარდა სხვა წიგნი არ დაუბეჭდია, მაგრამ საქმე მალე ისე დატრიალდა, რომ იქ დამოუკიდებელი ქართული სტამბის არსებობაც შეიქნა შესაძლებელი, რომელსედაც ცოტა ქვემოთ შევჩერდებით.

II

როგორც ზემოდ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, სანამ ტფილისში სტამბა გაიხსნებოდა საქართველოში დაბეჭდილი წიგნები უკვე ცნობილი იყო. ასე მაგალითად 1709 წ. დაბეჭდილ „სამოციქულოს“ ბოლოსიტყვაობაში ნიკოლოზ ორბელიძე ამბობს—„ესე წმინდა სამოციქულო და იოანეს მოხილვა ბერძენთა დაბეჭდის შემოწმებითა სიტყვა და ასო ბერძნაკები. გავმართეთ“.⁴⁾ გარდა ბერძენული დაბეჭდილი წიგნებისა, ცხადია, რომ რომში დაბეჭდილი ქართული წიგნებიც საქართველოში გავრცელდებოდა. ამას გარდა მისიონერთა ურთიერთობის წყალობით აქ ფრანგული და იტალიური წიგნებიც კი შემოვიდოდა. ამრიგად ტფილისში მხოლოდ დაგვიანებით გაიხსნა სტამბა, ხოლო საბნისო ნიადაგი დიდი ხნით აღრე ყოფილა მომზადებული. რაც იქიდანაც აშკარაა რომ საქართველოში ადგილი არ ჰქონია ახლად გახსნილ სტამბის წინააღმდეგ ისეთ სავალალო მოვლენებს როგორსაც სხვა ქვეყნებში. მაგ. რუ-

¹⁾ არჩილის ლიტერატურულ და საგანმცემლო მოღვაწეობაზე იხ.: М. Броссе — О Грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XII от 2/II 1706 г. и о перебиваниях к. Арчила в России (Учен. зап. Имп. Акад. Наук по I и III отд. т. II. выд. 4 стр. 546—579. 1854 г.; პროფ. კ. კვავლაძე, სპ. ციქ. გვ. 402; პროფ. ა. ხაბაშვილი, *ოს. ციქ. ტომი IV* გვ. 366. 1901 წ., მისევე ძველად აღბეჭდილი წიგნები მოსკ. სინოდ. სტამბაში „მოამბე“ № III. 1930 წ.

²⁾ ამ „დავითანს“ ერთი გეგმპოლიარი ამაჟამ ინაუბა რუმბან ცევის მუზეუმში (მოსკოვში), სადაც ჩვენ ამ „დავითანიდან“ ამოქაწერთ ზოგი ბიბლიოგრაფიული ცნობები.

³⁾ ეს ბიბლიოგრაფიული ამონაწერები მოყვანილი აქვს აგრეთვე პროფ. ალ. ხახანაშვილს ხსენებულ წიგნში.

⁴⁾ იხ. „სამოციქულო“ 1709 წ. ტფ. ინანებ ტ.ს.წ. წიგნთსაცემში.

სეთში (მოსკ.) პირველი სტამბის დამაარსებელ ფედოროვს დევნა დაუწყეს, ბოლოს თვით სტამბაც ცეცხლს მისცა საზოგადოების ბნელმა ძალებმა. ფედოროვი კი სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა იძულებული იქნა „გაქცეულიყო“ და ეთქვა ხალხისადმი რომელმაც ის ასეთ ბედს დააწია: „*Жажду истины и зно превратити и божие дело в конец погубити*“¹⁾... საქართველოში კი „ყოველა— ახალი „სტამბის წიგნის“²⁾ მოვლინება, თვით უნგრავლომბელის სიტყვით: კასა უხაროდა, რიტორსა და ხმა უსრულსა“³⁾, თუმცა იმავე მესტამბის სიტყვით, მართალია უმნიშვნელო, მაგრამ ასე თუ ისე, მის გასაგონად მიღწეული, სტამბის საწინააღმდეგო მოძრაობაც ყოფილა. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ ეს მოძრაობა უბრალო „მწიხველობას“ ვერ ვასცილებია. აი რას ვკითხულობთ ერთ 1712 წლის დაბეჭდილ წიგნში ამის შესახებ:

„სტამბას ბეჭდავენ ფრანგნი და რუსნი და შერე ვლახელები
 ექ არსად იყო აროდეს, ვერ ენახეთ მისი მნახველნი
 გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირუა მნახველნი
 ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო ვაცუდნა ყოლნი მწიხ-
 ხელები“-ო.

ცხადია ის ხალხი, რომელნიც „სამღვდელოესა წიგნებსა სწერდენ, პყიდდენ და მითი მოირეწოდენ“⁴⁾ ე. ი. გადამწერები, რომელთაც ტფილისში სტამბის გახსნით შემოსავალი ეკარგებოდათ. არ შეხვედბოდნენ კარგის გულით ამ მოვლენას—სტამბის გახსნას. მაგრამ მეორე მხრით დაბეჭდილი წიგნების უპირატელობა ხელით ნაწერ წიგნების წინაშე საგრძნობ და აშკარა მომხრეებს პოულობდა, რადგან: „ხელით წერისაგან ზუენნი საღთონი წიგნი გარსუენილ იყენენ“⁵⁾ ამასთანავე მკითხველი ფენის ზრდასთან ერთად მატულობდა მოთხოვნილები წიგნებზე. წიგნის ნაკლებობას მკაცრად განიცდიდენ: „... ვინაიდან სამღვდელონი მამანი ზუენნი დაქინებულ იყუნეს... წიგნთაგან ამისთვის გულისხმა ჰყო ვახტანგ და დავბეჭდეთ წიგნები ქართულ ენაზედაო...“⁶⁾ და ვინაიდან: „ვითარცა ნქუელი იგი რომელნიცა იქნან საქმეთა მსოფლიოსა მოქალაქობისათა (მასწავლებელნი პ. გ.) მათ ვერ ძალუთ თვინიერ სახნარისა რისამე და მოხელოენებისა კეთილთა რაიმე საქმეთა საზომსა თვისსა მოყენებად“⁷⁾... სწანს დიდი იყო სურვილი ტფილისში სტამბის დაარსებისა, რისთვისაც ვახტანგ მეექვსემ „მოიყენა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა“⁸⁾

ვახტანგ მეექვსეს მიერ ვლახეთიდან მოყვანილი მესტამბე მიზელი უნგრავლომბელის მიერ ტფილისში სრულქმნილ სტამბაში პირველად 1709 წელს დაიბეჭდა „სამღვდელო და სამღვდელო სახარება“,—რომლის თავფურცელ-

1) Н. Берли — История Кутаи, культ. ист. очерк. стр. 183. 1916. сиб.

2) საქართველოში სტამბის შემოღებიდან დაბეჭდილ წიგნებს „სტამბის წიგნებს“ ვახტანგ მეექვსემ ბატონი შვილის მითვის წიგნი ვკითხულობთ: „სახარება სტამბისა“, „ჟამნი სტამბისა“, „სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი-და სხვა. (იხ. „საქართველოს სიძველენი ტ. III გვ. 471—483, აგრეთვე „ივერია“ 1889 წ. № 234, 235.); პიროვ. ივ. ვახტანგი შვილის—პალეოგრაფია, გვ. 95.

3) ავეფთხის ტყაოსანი, ბოლოფურცელი. 1712. ტფ. ინახება ტ.ს.უ. წიგნთსაცავში

4) პიროვ. ივ. ვახტანგი შვილი—პალეოგრაფია გვ. 90. 1926. ტფ. იესე ოსტეს შვილის თაგდასახვული, გვ. 10. სარჯ. ვახტანგის გამოცემა 1913. ტფ.

5) იხ. „სახარება“ 1709. ტფ. მესამე ვერდი.

6) „ყოფაჟი“ 1710. ტფ. მესამე ფურცელი. ინახება ტ.ს.უ. წიგნთსაცავში.

7) ibidem.

8) სტამბა აფშენებით (10 თთბიანი სახლი) ფულის საპირელი სახლის დასაველით, სადაც წმ. იოანე ნათლის მცემლის ეკლესია ყოფილა. ხოლო უკანასკნელის ადგილას შემდეგ (დაწვრივისა—1824) აფშენებით სინოდის ეკლესია. იხ. П. Иоселиани—Описание древностей Города Тифлиса. Тифл. 1866. стр. 246—247.

ზე ვკითხულობთ — აჲ ახალი და პირველი დაბეჭდული ქართულ ენაზეა, ეჲმ სა ანაღლებულისა და სახელოებისა საქართველოს მეფისა უფლისა გიორგისა იესეან დავითიან სოლომონიანისა შრომითა ფრიადითა და წარსაყვანილთა საფასეთა... განათლებულის საქართველოს გამგებლისა ბატონიშვილისა სოლომონისა ვახტანგ ლევანის ძისათა გაიმართა წიგნი ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ მთავრის ორბელის შვილისათა. .. ხელითა მესტანზე მიხაილ სტეფანეს შვილისა უნგროვლახელისა, ქალაქსა ტფილისს... ქრისტესა აქეთ ათას შვიდას და ცხრასა“.

მესამე გვერდზე: ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ... პირველად მიხეზი უტხოსა ამისა საქმისა... შემსრულებელი სტამბისა ამის იქნა კერთხუით ხეხე-ბული განათლებული და განმგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონს ვახტანგ... ხოლო ყოველივე საქმენი რაოდენნი იბოლებიან ასონი თუ ორლანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისანი დაწყებითი სრულყოფამდი მოჰქმედი და წინააძღომელი მე ვარ... უწინარეს ყოველთასა დაბეჭდეთ ესე... სახარება... სიმდაბლით გვედრებით თქვენ ყოველთა დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცდომილნი რაიმე იბილათ სიტყუა ახუ ასო ნუ გ—მჭირდავთ (?), რადგან უტხო ვიყავ ქვეყნისა ამის და უსძებელი სიტყუა თქვენთა და რომელნა ჩემნი მოწაფენი იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმესა ამის ჩემისა. ვთარცა მე ვიყავ ქართლისა უნახველი ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა... მდბაბლი ამით მბეჭდავთაგანი მესტანზე მხურვალითა გულითა ვეფშავით... მოსამსახურე თქვენი მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვალახელი“... მეოთხე გვერდზე წიგნის რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიძე მოგვითხრობს რომ ქართული წიგნები ვადაწერალთაგან გარყვნილიყვნენ და მას ებრძანა გასწორება დასაბჭოედი წიგნებისა, რომლებიც მან კვლავ შეუდარა და შეასწორა ბერძნულ დედნებთან.

ხსენებულ სახარების შემდეგ ტფილისში დაიბეჭდენ კიდევ სხვა წიგნები: როგორც მაგალითად „სამოციქულო“, „დავითნი“, „კონდაკი“, „ლოცვანი“, „ქაშნი“... რომლებზედაც აქ არ შევჭრდებით. აღწინააღმდეგეთ მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც ვახტანგის თარგმნებით“ პირველად დაიბეჭდა 1712 წელს. ¹ აღბაღ არც ერთ ქართულ წიგნს არ განუცდია იბდენი დევნა სასულიერო წოდებისაგან, რამდენიც ვახიცადა შოთას ქმნილებამ. მას მეფეების მფარველობაც კი ვერ შეელოდა და ანტონ კათალიკოსმა „მრავალნი დაბეჭდილნი წიგნნი მეფის ვახტანგისა დროისა „ვეფხისტყაოსანი“ დაქსწუნა და შთააყრევიანა მტკუარნი და აღუკმალა კითხუა წიგნისა ამის ქართველთა“ ². მხოლოდ თვით ანტონ კათალიკოსის სიტყვით:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,—
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის,
თუ რამ მსწიდოდა, ღუთის მეტყუელიცა მაღალ
უტო საკვირველ, პიიტეკოს მესტიხე,
მარა ამოად დაჰმურა, სამწუხარ არს ესე“-ო“.

ანტონ კათალიკოსზე შორს მიდის ქართლის მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთე, რომელიც ცხადია მაშინდელ სასულიერო წოდებაში გაბატონებულ აზრს გამოსთქვამდა: „... ეს (შოთა) იყო მოქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა, ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრუყუნა ქრი-

¹ ამ „ვეფხისტყაოსანის“ რამდენიმე ეჭვმიტანილი ინახება ტსაუ. წიგნოსაცემში.

² მიმოიხილეთ წმ. და სხ. აღმოსავლ. ადგილთა... ტიმოთესაგან 1852. ტფ. გვ. 154. კლ. იოსელიანის შენიშვნა.

³ ანტონ კათალიკოსი — „წყობილ სიტყუაბა“, 1852 წ. ტფ. § 802. (ზაზი ჩენია)

სტიანობა... ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა, საღუფოდ ხაარგმნეს ბოროტი ლეჟსი მისი: აღწერა ქალისა ვისთვისმე თუალი შეღნისა, პირი შროლისა, ლაწვი ძოწვისა; და ამის განა დედანი საქართველოსანი ხატადღვთისა მცემნილსა სახისა-წილ ფერადთა წამაღთა იცხებენ და მიცუალენ უფროსნი მოიბმენ საფრთხეთ სულთა“-ო¹.

„ვეფხისტყაოსნის“ საწინააღმდეგო მოძრაობა თვით ამ წიგნის დაბეჭდვის დროსაც ისე ძლიერი ყოფილა, რომ შესტამბეც კი ვერ დარჩენილა გულგრილად ამ საკითხისადმი, და „ვეფხ. ტყ.“ ბოლოს შემდეგ პოლემიკური ხასიათის ლეჟსი მიუბეჭდილა:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში, პირველ ნაწერი ხელისა,
უგზილთა ფრიად სასწავლო, გონიერ გულთა
თმენისა“²,

მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით ხელთა მქნელისა

ნალფაწი მისის მლოცველის შესტამბე მიქაელისა.

დაესრულა ესე წიგნი, ქრონიკონსა უხსა სმულსა

ყველაქასა უხაროდა რიტორსა და ხმა უსრულსა,

სამელთოა ღ საეროცა, ვისაცა აქვეს სმენა გულსა³

უსწაველსა სიბრძნეს მისცემს გონიერსა გულს უსრულსა.

თვით ვახტანგ მე-VI-სე თავის „თარგმნებაში“ კიდევ უფრო სასტიკად ილაშქრებს ამ „უგზილთა“ წინააღმდეგ, რომლებსაც ვერ გაუგოთ „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ზნიშვნელობა: „მე ვსწერ... განმგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა... ამას ამისთვის უცოდინარობითა და სოდლის ნივითა შემსწავლეთა სამეძაოდ სთარგმნიდენ, მის რიტორსა და ბრძენ მეცნიერისა კეთილნამუშავეისა საზუშაოსა მსგავსად თუალთა, რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და კიქასა ქვად პატიონსად სახელსდებენ და მარგალიტთა მიძივად პატივსცემენ... ხოლო რომელნი არიან მეცნიერ სცნობენ... ესე ვითარ განმამარტავს და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი და რიგი და ამით ნამუშაოარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება... აწ მე მისმინეთ ვეფხ. ტყაოსანი მე ასე მითარგმნია... ვითა მოქმელსა ეთქვა... და თუ ვინმე ამ თარგმანისასა ასე ბრძანებეს, არა ისრე არისო მე უგზილთაში ჩამომირ თმეგია... თავად რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამ გუარი მეძაობის სიტყუა, მის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა და მეორედ ორი კათალიკოზი, სამთონი სამღვდლო წმინდა და ღირსნი კაცნი იყვნენ და ამათგან უდაბნო აშენებულყო... ისინი თმეცა რუსთველს მოედომებინა როდის აწვევიზებდენ და ნათქვამს დაუბეველს როდის გაუშვებდენ... თუ არა ახლა გაშინჯრად, ბერი უფრო ცოტა არის... თუ ვინცა სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ... მე ასე მიჯობინებია და ამის იქით მკითხველთ იცით... მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ... ქვეყნის უფროსი ავის და მშლელი ჰხამს და მეც ამაღ დავშეერ“-ო⁴.

მას შემდეგ რაც 1712 წ. ვახტანგ მეექვსე სპარსეთს გაემგზავრა, საქართველოს შინაური მდგომარეობაც საქაზოდ იარია. შესწავლა წიგნების ბეჭდვის სისტემატიზირება; წიგნები უკვე იშვითად იბეჭდებოდა... სხვათა შორის აღწერიწინათ რომ 1713 წელს სვიმონ ბატონიშვილის საფასეთა წარსაგებლით დაიბეჭდა „კურთხევაი“, შემდეგ 1717 წელს „აინი აწ მეორედ დაბეჭდი-

¹. მიმოხილვა წმინდათა... ადგილთა... ტიმოთესაგან, გვ. 154.

². და „ხაზასმა ველჯან ჩვენ ზველთისი.

³. იხ. 1712 წ. წარსულში „ვეფხ. ტყ.“ დამატება—„თარგმნება“ ვახტანგ მეექვსისა.

ლი¹. 1712 წლიდან დაბეჭდილ წიგნებში უზაროვლად არ იხსენიება, შეიძლება ვთქვათ, რომ მას ვახტანგ მე-VI ვაჟსწორა ანგარიში უწოდებოდა წარსაგებლითა საფასურითა“ და თავის სამშობლოში დააბრუნა ვახტანგის დროს, შემდეგ დაბეჭდილ წიგნებზე არ შეეჩერდებოთ; აღნიშნულ წიგნებში, რომ 1721 წელს ტფილისში გამოიცა ვახტანგის მიერ სპარსეთში ყოფნის დროს სპარსულიდან ნათარგმნი „აიათი“, რომელ არს ქანულების ცოდნა“. „აიათი“ შეიძლება ჩაითვალოს ტფილისში პირველნაბეჭდულ მეცნიერულ წიგნად, მაშინდელის ვაგებით მიხედვით, „აიათი“ ასტრონომიული შინაარსის თხზულებაა. ამ წიგნისათვის დართულ თვის წინასიტყვაობაში ვახტანგ მე-VI ამბობს: „...და ვანმარტეს ფილოსოფთა მრავალნი მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა ვარსკულავთ რიცხვა ერთი მთავანივე არს... საქართველო მრავალ გზის მტერთაგან აოხრებულყო და აღარა დაშთომი იყო ქართულ ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფთა... და სხვა ერისა კაცნი ქართველთა ჰკაცობდენ. ... აწ მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქანულების ცოდნის წიგნი: ზიჯი თაღა მათა მათა და სხვა ოქების წიგნები ვთარგმნი: მირზა აბდურჩა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევითა და სტროლაბიც ქართულადგამოვიღე... ნუ უკუე ისწავლონ და ნადუნ იყენენ ფილოსოფობისად და ინებონ და შეისრულონ ქართულისა ენითა ფილოსოფობა და ვანთილონ, და ჩემთვისაც შენდობის მაქნე ვარ რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს ვითარმედ მრავალნი ჭირნი მიწახვენი ამი წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურებაი დამიკლესო“²).

როგორც აღვნიშნეთ ეს წიგნი მეცნიერულია, ის დაყოფილია ორ ნაწილად: 1) „ვარსკულავთ მრიცხველობა“ და 2) „იულიმების ზოგიერთი ადგილების მოთხრობა“. პირველ ნაწილში ავტორი ასწავლის გეომეტრიულ სიდიდეებზე და ცის სხეულებზე (ეს ასტრონომიული ნაწილია); მაგ. „ორი ხაზი ასე იყოს, რომ ჯვარის სახედ ვაგვლებული იყოს, ოთხი კუთხე რომ ძირს გაჩნდება, მტრნაგლები არ იყოს, ასე გასწიო: ზომიერი კუთხე ჰქვიანი, და იმ ორ ხაზს ერთმანეთის ზომთადარი (პერპენდიკულარი პ. გ.) ჰქვიან“; ან კიდევ: „ყოველს ცდომილების მოარულს რანთონიც ცეხი აქუთ, ყველასი სიარული გვეყნის ცქიტის გარშემოვლებული არ არის; მაშ ამ გზით მოარულების სადაობის სიარული სხუა და სხუა რიგად არის. მითომ იმ რიგად მზეს ორი ცა აქვს“ (გვ. ლა). მეორე ნაწილში კი გეოგრაფიული ხასიათის მოთხრობებია: „თოყაჯ თურქსტანის ალაგებისაგან არის. იყვიან, რომ იმ ალაგების ხასიათი ასეთი არის: რამდენჯერაც კაცო და ქალი ნიდგომილებას იქმნენ ქალი ისეგ განუხრწნელი იქნება (გვ. რმ). წიგნის დასასრულ თითქოს ნათქვამში დაბეჭდული ავტორი, თუ მთარგმნელი დასძენს: „ჰეშმარიტი ღმერთმან იცის“ (გვ. რპ).

რამდენადაც ვიცით ეს წიგნი უკანასკნელია, რომლითაც დაასრულა ვახტანგ მე-VI თავისი მრავალ მხრივი მოღვაწეობა, რითაც დიდი კვალი დასტოვა ქართულ მწიგნობრობის ისტორიაში და კერძოდ წიგნის ბეჭდვის საქმეში. 1724 წ. ვახტანგი რუსეთს გადასახლდა. მან თან წაიღო მრავალი, როგორც ხელთნაწერი ისე დაბეჭდილი წიგნები. იქ ის ხან პეტერბურგს და ხან მოსკოვს ცხოვრობდა, სანამ ქართლში კვლავ განიფიქრებდა იმედ ვაცრუებული არ მიცვალა აშტარხანს. 1737 წ. 26 მარტს. ვახტანგის გადასახლების შემდეგ, ლეკების შემოსევით აოხრებული სტამბა კარგა ხნით დარჩა გაუქმებული,

1. „ენაში“ პირველად დაიბეჭდა 1710 წელს. იხსება ტფ. საბ. უნ. წიგნთსაცავში.

2) იხ. აიათი. 1721. ტფ. გვ. აა. იხსება ჩვენს ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ტ. ს. უ. წიგნთსაცავშიც.

III

ქართლში თეიმურაზის და კახეთში ერეკლეს გამეფებებს (1744), შემდეგ სეარათო მდგომარეობა მეტი მყუდროებისა და გამოუმჯობინებინა მისი პატარებელი შეიქნა. თანდათან კვლავ შემზადდა ნიადაგი კულტურული მუშაობის გასაჩაღებლად... ვახტანგ მე-VI-ის გადასახლებიდან 1751 წლამდე გვერთხა რომ ტფილისში წიგნი არ დაბეჭდილა. 1751 წელს დაბეჭდილ „სამშობო მსახურებაში“ კი ვკითხულობთ: „ბრძანებითა... ქართველთ მეფის თეიმურაზისათა და მისა მათისა კახთ მეფის ირაკლისათა, კურთხევით სრულად საქართველოს პატრიარქის ანტონისათა, დაიბეჭდა წიგნი ესე საფასეთა წარსაგებულთა ბეჭდისა ამის მეცხლის ირაკლი მეფისა, სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა შინა საპატრიარქოსა ზღნა (1751) წელსა, თვესა სექტემბერსა ი“ (10)¹⁾. ამის შემდეგ 1764 წელს დაბეჭდილ „კურთხევიანში“, რომელიც დაბეჭდილა „ეზოსა სამეფოსა“, ჩართულია ანტონის აკრუტები, რომლის კიდურ-წერალობაა: „ირაკლი მეფე საქართველოსა, რომლის შესახებ ბოლოს ამბობს იეტარი: „ორგზას მახლი წიგნთა საბეჭდავისაო“²⁾. ამავე „კურთხევიანის“ ბოლოს ვკითხულობთ: „დროსა მეფისა ირაკლისათა... განახლდა რა და წარმოდგა ბეჭდვა სტამბისა ამის და დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი მეორედ კონდაკი, მესამედ კიდევ ფსალმუნი და აგრეთვე მცირედნი რამ წიგნნი რა—ღნივე სახარად გლეხისა ჩვენ ქართველთასაო“.

მოყვანილი ამონაწერებიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: 1750-1751 წელს ერეკლესა და თეიმურაზს პირველად განუახლებიათ უქმად მდგარი ვახტანგისეული სტამბა, რომელიც ამ შემთხვევაში ყოფილა „საპატრიარქო პალატსა შინა“³⁾ ხოლო 1762/1763 წლებში ერეკლე მეორეს სტამბა შეორედაც განუახლებია, რასაც გარდა ზემოდ მოყვანილი ცნობებისა ადასტურებს აგრეთვე 1767 წელს დაბეჭდილი წიგნიც, რომელშიაც ვკითხულობთ: „სამებაო წმინდაო აღიდგე ძადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განაახლებელი... ირაკლი“⁴⁾.

ერეკლეს მიერ სტამბის მეორედ განახლების დროიდან ძლიერ განვითარდა ტფილისში წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმე. ილსანიშნაეია ის გარემოებაც რომ ამ დროიდან იქმნება სავაჭროცენტრო და სტამბის მუშაეთა მთელი იერარქია: წიგნები იბეჭდება „ბრძანებითა მეფისა“ და „კურთხევიათა კათალიკოსისა“⁵⁾, შემდეგ საქმე გადადის „პრობის მართველის“⁶⁾, „სტამბეთ უხეცისისა“, „ბეჭდვის ზედამდგომელისა“⁷⁾ „სტამბის სახმართა ზედგამრჩელი“-ს⁸⁾, „პლაკის მკრელისა“⁹⁾ და სხვ. ამას ემატება სარედაქციო ნაწილი: „ლრამატკისკანონთა ზედა გამსწორებელი“,¹⁰⁾ ორიგინალებთან (ბერძნულთან) თარგმნილის შემდარებლები, მთარგმნელები და სხვა:

¹⁾ პროფ. ა. ცაგარელი—Сведения о памятниках Груз. письменности, т. I ст. 95—96. 1898 წლ.

²⁾ „კურთხევიანი“ 1764. ტფ. ინანება ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, კოლექცია—81.

³⁾ იმ სამშობო მსახურება. 1751 ტფ.

⁴⁾ „ვახტანგისათა ნიშნით“ 1767, ტფ. ბიბლ. ამონაწერები მოყვანილი აქვს პ. კარბელაშვილს—იერარქია საე. გლეხის, გვ. 179—184.

⁵⁾ „კურთხევიანი“, 1764 ტფ.

⁶⁾ „პრობის მართველი—კორექტორი. (იხ. ჩუბინაშვილი ს. ქართ. რუს. ლექსიკონი გვ. 102) 1887 ს. პ. 3.

⁷⁾ „კურთხევიანი“ 1764. და სხვა ერეკლეს დროს დაბეჭდილი წიგნები.

⁸⁾ ibidem.

⁹⁾ Ibid.: კვლავ—თითო გვრდი სტამბის ასოებისა ერთად ჩაწყობილი საბეჭდავად, ასოების ჩამოსახმელი (марши). პლაკების ქრა ან დაქრა გ. ა. გვერდებზე დაყოფა ჩაწყობილის ასოებისა; ерестать, разбивать на страници печатанное“. ივ. დ. ჩუბინაშვილი ს. ქართ. რუს. ლექსიკონი, გვ. 1019. 1847. ს. პ. ბ. აგრეთვე ს. ს. ორბელიანი—ლექსიკონი, გვ. 273. „ქართ. წიგნი“ გამოც.

¹⁰⁾ სამშობო მსახურება, 1783. ტფ. ინანება საქ. საისტ. საეთნოგრაფიკ. მუზ. ბიბლიოთეკაში.

როგორც ვიცით ვახტანგისეული სტამბა ერეკლემ ორჯერაღი შეაბახლა, მაგრამ რადგანაც: „ქალაქი ისე რყევასა შიგან ყოფილი შეუყეისაგან ქუჩრთა-სა, რომელთაცა მიზნებითა საქმისა ამის (სტამბის) მოქმედება დასრულდა. ყოყმანისა მრავალემა; ამისთვის ნივინი და შესამკობელი მოძღვარისა მესტარისა (მეცხერისა) (მოსტარისა) შეკუთლებულ იყუნენ ტვანბარისა მიწვეულ“¹⁾ ამრავად სასტამბო იარაღები ისე გაკეთილან რომ ახალი სტამბის გაკეთება აუცილებელი გამხდარა, რომ წიგნების ბეჭდვა არ შეჩერებულყო. რისთვისაც ერეკლე მე-II საცქპონია „სურვილი ფრიადი“ ახალი სტამბის გაკეთებისა, და იძიებდა თუ საიდან შეიძლებოდა ამის შესრულება. მასთან მისულა „ბერძენთა ნათესავი მელიტონი“²⁾ და მოუხსენებია: „სამძებელი ეგე შენი ვერა სადა იპოვ, უკეთუ არა დიდსა პოლისა შინაი“³⁾ (კონსტანტინეპოლი). ხოლო ერეკლეს იმავე მელიტონისათვის მიუხდვია ეგ საქმე, რომელსაც კონსტანტინეპოლიდან „შეპირებითა მრავლითა საფასეთა“ წამოუყვანია სტამბის ხელსანი, რომელსაც 13 თვის მუშაობის შემდეგ ტფილისში ახალი სტამბა გაუკეთებია და „ვითარ გემოს ხილვად ახლისა ბეჭდისა“ დაუბეჭდია „შესხმა ახლისა წიგნთ საბეჭდვისა“, სადაც მოუთხრობს მეფეს (ერეკლე II) მის თავგადასავალს, კონსტანტინეპოლიდან ტფილისს ჩამოსვლას, აქ მუშაობის ვითარებას და დასასრულს, ითხოვს შეპირებულ გასამჯელოს, თანაც პირდება, რომ ახალი სტამბა შემდეგისათვის „დღითი-დღე განკეთილოვნდების“. ახალი სტამბა გაკეთებულ იქნა „ქალაქსა შინა სამეფოსა“⁴⁾ სხენებულ შესხმაში არ იხსენიება, თუ რამდენი უნდა გადაეხადა ერეკლეს თანახმად „რაორტავისა“⁵⁾ სტამბის გაკეთებისათვის, მაგრამ იმ დროინდელ ერთ სამეფო მოხელის ცნობიდან ირკვევა, რომ ერეკლეს ახალი სტამბის აშენება-მოწყობა 20 ათასი მანეთი დაჯდომია, ⁶⁾ კონსტანტინეპოლელ ხელმძღვანელს თან ჩამოუტანია ზოგი იარაღი, ხოლო დანარჩენი ტფილისშივე მეფის სახელოსნოებში დაუმზადებიათ. ⁷⁾ ახალ სტამბისათვის მუშაობით აგრეთვე ვახტანგისეული სტამბის ვარგისიანი მოწყობილებანი ⁸⁾.

ახალი სტამბის გაკეთების შემდეგ საგამომცემლო მუშაობა გამოყოცხლდა და მეტის ინტენსივობით განვითარდა. მალე საქმე ისე წაივია, რომ სტამბა კერძო პირის ხელში გადადის იჯარით. ⁹⁾ ამრავად იწყება ქრისტიანურე კე-ეცრა აშვილის საგამომცემლო მოღვაწეობა, რომელმაც სტამბა მიიღო მეფისაგან იმ პირობით, რომ მოგების ნახევარი სამეფო ხაზინაში შეეტანა, ხოლო საბეჭდი ქალაქი კი თვით მეფეს უნდა მოეტანინებინა რუსეთიდან. ¹⁰⁾ ამ საფუძველზე კეცერაშვილი იწყებს მუშაობას: „მებრძანა... უნაღესისა ხელმწიფისაგან... ყოელისა საქართველოსა მეფისა ირაკლის მიერ, მე მისსა მონასსა, მის უნაღესობის კარის ხუცესს მარტყოფელს კეცერაშვილსა ქრისტიანურეს ბეჭდვაა... ამის „ლოცვათა“ წიგნისა და აღვასრულე შრომითა და საფასეთა

¹⁾ „შესხმა ახალს ამის წიგნთ საბეჭდვისა“, 1782 ტფ. ამრავარა მოყვავა პრუ. ე. ა. ცაგარელის Свод. о. пам. Груз, нем. т. I. стр. XVII, წინაპიტყვაზაშა.

²⁾ იმ. პრუ. ე. ცაგარელი Is. cit. გვ. XVII.

³⁾ იქიდანვე მოგვეყვს ამრავარი.

⁴⁾ „რაორტავი“ ეწოდება მეფეთაგან ბოძებულ შეფავლობის წიგნს—საბუთს. იმ. სელზან ორბელიანის ლექსიონი.

⁵⁾ Сведения о Топографиях Грузии (см. газ. „Кавказ“ № 48. 1846); აგრედე Дубровни — Закавказье от. 1803—1801. 1886 сиб. стр. 19).

⁶⁾ Ibid.

⁷⁾ Ibid გვ. 181.

⁸⁾ Ibid გვ. 129.

⁹⁾ Ibid გვ. 190.

წარსაგებითა და დაზგის მმართველობითა ჩემითა. ¹⁾ ეს პირველი წიგნია, რომელიც ტფილისში კერძო პირის ხარჯით დაიბეჭდა (1784), მანამდე წიგნები სულ სამეფო ხარჯით იბეჭდებოდა. კეცერაშვილმა თავისი წიგნების კარგა განაწილარა, ის თავის თავს შემდეგ დაბეჭდილ წიგნებში იხსენიებს: „წიგნობრივი განმეგ და ზედამხედველი ბეჭდვისა“, ²⁾ ამაღ უოფნა კი მას შეფისგან ებრძანა...³⁾ ერთ თავის მიერ გამოცემულ წიგნში კეცერაშვილი სწერს: „დაბეჭდვ შრომითა და საფასითა ჩემითა“).

1. „დაუჯდომელი“	400	კალი
2. „კიტაის სობრანე“	1400	„
3. „ლოცვანი“	1000	„
4. „სახარება“	800	„
4. „სამოციქულო“	1000	„
6. „დაუჯდომელი“ მეორედ	1000	„
7. „ცხანი“	1000	„
8. „სახარება“ მეორედ	800	„
9. „მარხვანი“	1000	„

ამრიგად ვიდრე 1795 წლამდე ტფილისში სისტემატიურად იბეჭდებოდა წიგნები, ხოლო ამ წელს აღამაჰამად ხანმა ქალაქის აზნაურებისთან ერთად სტამბაც ცეცხლს მისცა. ⁴⁾ როცა ერეკლე კვლავ დაბრუნდა ავღანბარში, ბრძანა დაეჭირავედინათ მუსეები და გაეფხარათ აღგილი, სადაც ჩამარხული იყო სასტამბო იარაღები. (რომელთა გადმოზიდვა მოასწრეს), მაგრამ ერეკლეს სტამბის კვლავ ამუშავების საშუალება არ მისცემია. ვადარჩენილი იარაღები კი ზოგროვენილი ივნა მცტების ეკლესიაში...⁵⁾ შემდეგ გიორგი მე-XIII-მაც ბრძანა სტამბის აღდგენა: „კვალად იწყეს სახლისა სტამბისა შენება, დაიბარეს ქალადი... შეუდგნენ ასოთ ჩამოსხმისა, დაზგებისა კეთებისა და მიეჭდაეთ შეკრებასა“. ⁶⁾ მაგრამ გიორგიმაც ვერ მოახერხა სტამბის განახლება და სიყვადღმა მეფისა ზოლო მოვლო წიგნთა ბეჭდვისა პაზრსა მისსა...⁷⁾ სტამბის განახლების ინიციატივა კვლავ ერეკლეს კეცერაშვილი შეიქმნა...: 1800 წლისათვის ტფილისში სტამბა კვლავ მუშაობს და ამ წელს დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“, მსოფლიო ისტორიიდან და „დაუჯდომელი“ ⁸⁾.

§ IV

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მოსკოვში ჯერ კიდევ 1705 წელს დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი. მეთვრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან კი იქ იწყება უკვე სისტემატიური მუშაობა ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში. მოსკოვში ქართული სტამბის პირველი დამაარსებელი და ინიციატორია იოსებ სამეგბელი (ქობულაშვილი—კახთ მდივანი მწიგნობართ უხუცესის ძე.) იოსები ამ დიდებულთა რიცხვში ერია, რომელიც თან ახლდა

¹⁾ „საღმრთო ლოცვანი“, 1784. ტფ.

²⁾ „მეორე ლოცვანი“, 1788. ტფ.

³⁾ ibidem.

⁴⁾ „მარხვანი“ 1788; აგრეთვე ცაგარელი, loc. cit ტომი I გვ. 44.

⁵⁾ Д у б р о в и н, loc. cit. გვ. 180.

⁶⁾ ibid.; აგრეთვე გაბ. „Кавказ“ № 48. 1846 წ.

⁷⁾ პლ. იოსებლიანი—ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, 1895. ტფ. გვ. 204.

⁸⁾ ibid.

⁹⁾ „ნარკვევი“ და „დაუჯდომელი“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

რუსეთში 1724 წელს გადასახლებულ ვახტანგ მე-VI-ის¹⁾ სამეფოში იქ მალე დაიწყო ამ დარგში ნაყოფიერი მუშაობა, რომლის შედეგად 1738 წელს უკვე ირქვდება „ზატკი“, რომლის თავფურცელზეც ვითხოვლობთ²⁾ „სახეისი და წარსაგებლითა არქიებისკოპოზის იოსებისათა გაკეთდა საბეჭდაჲ ესე და დაბეჭდეს“³⁾ შინდა ესე „ზატკი“, მოსკოვს ქ — ს აქეთ ჩლოკ⁴⁾ (1738); მეორე გვერდზე; მბრძანა ნე არხიებისკოპოზმან... იოსებ სტანინის გაკეთება და გაკეთებინეს... დინის გულის მოღვინებითა და წარგებითა საფასეთა მისითა მაშინ ხელეყავ წიგნსა ამის ზატკის ბეჭდველად, რუსულს ზატკიზედ უნაკლოდ“. და სხვ. შემდეგ ვაღმოვეცემს, რომ ჩვენ საეკლესიო წიგნებში გადაწერისაგან ეამთა ვითარებაში სხვადასხვა ნაწილები გამოჩენილიყო და იქ ხელახლა უთარგმნით ბერძნულ და სლავიანურ ტექსტებიდან, რითაც ქართული შეუცნაოდა და შეუმოწმებიათ⁵⁾.

იოსებ სამეფლის საქმიანობას მალე ბაქარი და სხვა ბატონიშვილებიც შეუერთდნენ. 1739 წელს სამეფლის სტამბაში იბეჭდება სახარება⁶⁾ „ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა“... ხოლო საფასეთა წარსაგებელი ისევ იოსებისა ყოფილა.⁷⁾ ამის შემდეგ იქ ქართ. წიგნების საგამომცემლო საქმე უფრო ინტენსიურად განვითარდა. ვახტანგ მე-VI დაწყებულმა მოღვაწეობამ, რომელსაც წინ უსწრებდა არჩილის მუშაობა—ამან პირველმა დაიწყო მზადდება ქართული ბიბლიის საბეჭდად⁸⁾ ახლა უკვე უფრო რეალური სახე მიიღო: ამ საქმის ვაერცულება თავს დავა ბაქარმა. უკანასკნელმა იმ განზრახვით რომ საგამომცემლო ხარჯები რუსეთის მთავრობისაგან მიეღო. განცხადება შეიტანა სინოდაში, სადაც ითხოვდა სამეცნიერო აკადემიის სტამბაში ქართული საეკლესიო წიგნების ნებართვას.⁹⁾ აქვე არდგენს ბაქარი დასაბეჭდი წიგნების სიას და აღნიშნავს საქართველოში მათი დიდ საქიროებას. მინისტრთა კაბინეტმა, რომელშიც განიხილა ეს საქმე ნება დართო წიგნების ბეჭდვისა, მხოლოდ ისინი სლავიანურ ტექსტთან უნდა შესწორებულიყვნენ, ხოლო ხარჯის გაცემაზე მხოლოდ დუმლით მიიღო პასუხი ბაქარმა. როცა ბაქარმა დამკარგა მთავრობისაგან დახმარების იმედი, მოაწვია რუსეთში მყოფი ქართველი სამღვდელთა და გაარჩია დაბადების გამოცემა-შესწორების საქითი...¹⁰⁾

კრებამ ბაქარსა და იოსებ სამეფელს დაეაღლა ეს საქმე. სანამ ბიბლიის ბეჭდვის შეუდგებოდნენ, ბაქარმა მის განსწავლულ ძმას ვახუშტი ბატონიშვილს დაეაღლა არჩილისა და ვახტანგის შრომების გადათვალიერება და შიგნითი შესწორება შეტანა. ვახუშტიმ ამ საქმეებშიაც მისთვის ჩვეულებრივი ბეჯითობა გამოიჩინა, შეასწორა თითქმის ყველა წიგნები. ორი წიგნი გამოიღო ლათინურიდან, დააკო ისინი თავებად, მუხლებად და მოამზადა დასაბეჭდათ.¹¹⁾ ამასობაში სამეფლის სტამბაც გადატანილ იქნა ბაქარის სასახლეში

1) იოსებ სამეფლის ცნობებისა და საგამომცემლო მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იხილე თ. გორდანიძე—მთავარეპისკოპოზი იოსებ სამეფელი („ვეფრი“ 1884. № 8), აგრეთვე პროფ. აღ. ხახანაშვილი, *ოს. ცი.* ტომი III, გვ. 870; *Савинский—Грузини и втраханской епархии Дух. вост.* Груз. Епархия).

2) „ზატკი“ 1738. მოსკ. ინახება ტ. ს. უ. წიგნისაცავში, კოლექცია აბს II 844.

3) „ზატკი“ 1738 მოსკ.

4) „სახარება“ 1739. ინახება ჩვენი უნივერსიტეტის წიგნისაცავში, კოლექცია, აბს. II—842.

5) *Ibid.*

6) პროფ. კ. კეკელიძე, *ოს. ცი.* ტომი II გვ. 402—403.

7) *Полное Собр. зак. Россеск. имп.* т. X указ от 23 | X 1737 г. № 7411.

8) პროფ. კეკელიძე *Литургическ. Груз. пам.* и их научное значение გვ. XXVIII 1908.

9) მ. ჯანაშვილი—Вахушти и его труд: აგრეთვე „ბიბლია“ 1748: მოსკოვი, აგრეთვე დ. კარიკაშვილი—ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტორია გვ. 57. 1929.

მოსკოვის ახლოს, სადაც უკანასკნელისავე საუკისით გამოაქცა 1742-1743 წ. ბიბლია, რომელიც შემდეგში „ბაქარის ბიბლიის“ სახელით არის ცნობილი. ბიბლიის გამოცემაზე გარდა ზემოხსენებულთა შრომობდნენ: ქრისტეწმებანი: გუგუშვილი, მელქისედეკ კავკასიძე, სამეფო კარის მღვდლები: სტამბაქაძე და დავითი; „არა მცირედი შრომა მიუძღვით“ აგრეთვე ათანასე მეტროპოლიტს (ტფილელს) და დიმიტრი ციციშვილს. ამ ბიბლიის ბეჭდვა დასრულდა 1743 წ. 1 მაისს. ეს ბიბლია მეტად მსხვილი და მნიშვნელოვანი ფაქტია როგორც ქართული მწერლობისა და კულტურის, აგრეთვე გამოცემლობის ისტორიაშიაც.

ზემოხსენებულ სტამბაში ბიბლიის შემდეგ კიდევ დაიბეჭდა რამოდენიმე წიგნი... 1750 წ. ზედიზედ გარდაიცვალენ ბაქარი და იოსებ სამეფლო. სტამბაც უქმაც დარჩა, რომელიც 1755 წ. გადატანილ იქნა სამეცნიერო აკადემიაში.¹⁾

1761 წელს მოსკოვში ახალ ქართულ სტამბას აარსებს ათანასე ამილახვარი, რომლის სტამბაში დაიბეჭდა: „დაუჯდომელი“ (1762 წ.), „ჯანი“, „დავითნი“ (1764), „სამოციქულო“ (1765), „სახარება“ (1766) და სხვა. ეს ათანასე ერეკლე მეორემ მოაქვს რუსეთში დიპლომატიური დავალებით, სადაც ის შემდეგში წინააღმდეგ ერეკლეს სურვილისა დარჩა სამუდამოდ.

ათანასე ამილახვარის სტამბა მოსკოვში კარგა ხანს მუშაობდა და იბეჭდებოდა სხვადასხვა საეკლესიო წიგნები. ხოლო მეტრამეტე საუკუნიდან კი ქართული წიგნების გამოცემის საქმე იქ გადავიდა სინოდის ხელში, რომელიც დაებატონა აგრეთვე ამილახვარის სტამბასაც. უნდა აღინიშნოს რომ XIX საუკ., თითქმის ოთხმოციან წლებამდე ყოველგვარი ქართული საეკლესიო წიგნები მოსკოვში იბეჭდებოდა, რადგანაც „ადგილობრივთ მკოდნე და გამოცდილი კაცი არ მოიპოვებოდა“. ხოლო მდ. იან წლებიდან კი ექვთიმე ხელაძემ მოახერხა წიგნების ბეჭდვის ტფილისში გადმოტანა საკუთარი პასუხისმგებლობით, რამაც ხელაძე იხსნა აშკარა გაკოტრებიდან, რადგან ეკლესიების სახით მის სტამბის ნაწარმოებს გაუჩნდა შედარებით მტკიცე კონტინგენტი მომხმარებელთა.

მოსკოვს გარდა, რუსეთის სხვა ქალაქებშიც იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს ქართული წიგნები. მაგ. აღნიშნავთ ვაიოხის საგამომცემლო მოღვაწეობას, რომელმაც მოზდოკსა და კოენენიუგს დაარსა სტამბა და დაბეჭდა სხვათა შორის „ქართული გრამატიკა“ და „ახბანი“, რომელიც შემდეგ ტფილისში გამოგზავნა 1230 ეკზემპლიარის რაოდენობით.²⁾

მე XIX საუკუნიდან, მის შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა ქართული წიგნების ბეჭდვამ პეტერბურგში, — სამეცნიერო აკადემიის სტამბაში უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. ქართული წიგნების მბეჭდვეთა შორის აქ აღსანიშნავია ნ. ბროსესი და დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობა, რომლებმაც მრავალი სამეცნიერო წიგნები დაბეჭდეს სამეცნიერო აკადემიის სტამბაში. მათ მიერ დაწყებულ საქმეს გამგრძელებელნიც საქმათ აღმოუჩნდნენ, რის წყალობითაც იქ დღემდე არ შეწყვეტილა ქართული წიგნების ბეჭდვა.

V

ზოგიერთი მწერალთა გადმოცემით, ქუთაისში სტამბა გახსნილა მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან. ამ სტრიქონების ავტორს ჯერ არ მკონებია შემთხვევა ენახა საკუთარი თვალთ მე-XVIII საუკუნეში ქუთაისში დაბეჭდილი წიგნები და უნდა ითქვას რომ არც არსებობს საამისო რაიმე დამა-

¹⁾ В. СОВЬКОВ — loc. cit. 83. LIX.

²⁾ АКТЫ... т. II. 83. 199.

ჯერებელი საბუთი, ნამდვილათ იმერეთში, ქუთაისში სტამბა პირველად გაჩნდა 1803 წელს მეფე სოლომონ მე II ნიერ, ¹⁾ რომელმაც ამისთვის მოიყვანა ტფილისიდან უკვე რუსეთში წასული მესტამბე რომანოვ ზუბინიძის მიერველად ქუთაისში დაიბეჭდა „კურთხევაი“ ²⁾ (ივ. 4⁰ 200 გვ.). სტამბა: „Кавказская“ — „სახარება ენების კვირიათისა“³⁾. ქუთაისში შემდეგ დაიბეჭდა რომანოვი საეკლესიო წიგნი, ხოლო 1809 წლისათვის ამ სტამბას უკვე სოფ. წესში ვხვდებით, სადაც დაიბეჭდა „სავედრებელი ღვთის შობობისა“ ⁴⁾ (1809 წ.), შემდეგ წესშივე დაიბეჭდა „სამღეთო და საეკლესიო წიგნი გამოკრებული საღვთისწაულო“ ჩუია (1811) ⁵⁾ წელს, ამ „სადღესაწაულო“ ბეჭდვის პერიოდში „მიცვალებულ იქნა მესტამბე ზუბინი, ხოლო შემდეგ მიცვალებისა რომანოვისა“ მისმა ძემ დავითმა აღასრულა წიგნის ბეჭდვა. წესიდან სტამბა საჩხერეში გადაუტანიათ, სადაც 1815 წელს დაიბეჭდა „სამოციქულო“, ხოლო 1817 წელს კი „სახარება“, რომლის თავდურკველზე ვკითხულობთ: „დროსა უკეთილმსახურისისა და თვითმპყრობელისა დიდისა ხელმწიფისა აღექსანდრე პავლეს ძისათას — დროსის და სხვათა... კურთხევაითა ყ — დ სამღვდელთისა... დაიბეჭდა წიგნი ესე საჩხერეს, სასახლესა სარდალ სახელთბუცის წერეთლისასა, საფას წარსაგებლითა თავადის მაიორის და კავალერის წერეთლის გრიგოლისითა წელსა ჩუი თუესა აპრილს რიცხსა 3⁰.“ ⁶⁾ ამ წიგნის დაბეჭდვაში „ფრიალი შრომა“ თავს უდევია და აღუსრულებია გენათელ ზაქარიას.

როგორც სიანს ზ. წერეთელს საჩხერეში გადატანილი სტამბა შეუკეთებია, რისთვისაც მას რუსეთიდან გამოუწერია ორას სამოცი თუმნის სასტამბო იარაღები და ქალაქი. წერეთლებმა (ზურაბმა და გრიგოლმა) მიითვისეს რა სოლომონ მეორის სტამბა, უკანასკნელის ოსმალეთში გადახვეწის შემდეგ და განაახლეს რა ის, სტამბის ხელმძღვანელობა მიანდეს არქიმანდრიტ ზაქარიას, რომელსაც თანახმად პირობისა, წიგნის ბეჭდვიდან მიღებულ წმინდა მოგების ორი მესამედი წერეთლებისათვის უნდა ეძლია, ხოლო ერთი მესამედი თვითონ აეღო. ⁷⁾

საჩხერეს სტამბის შემდეგი ბედი არ ვიცით, ზოგიერთი გადმოცემის თანახმად ის 1820 წლიდან ისევ ქუთაისს გადაუტანიათ.

VI

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოსათვის შექმნილმა მდგომარეობამ, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე ტფილისში კარგა ხნით შეაჩერა. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ტფილისში 1800 წელს ამოქმედებული სტამბა, სადაც დაიბეჭდა დ. ბატონიშვილის „ნარკვევი“, მალე ისევ გაუქმებული, უხმარებელია. 1800 წლიდან ვიდრე 1805 წლამდე, — როდესაც ციციანოვის განკარგულებით ტფილისის სასწავლებლიან მიწყობილ იქნა ახალი ქართული სტამბა, — უხადია არაფერი დაიბეჭდებოდა. ციციანოვის მიერ განახლებულ სტამბას მოხმარდა მოზდოკიდან ჩამოტანილი გაიოზის სტამბის ვარგისიანი ნაწილები. ⁸⁾ ამრიგად მართალია სტამბა უკვე 1805 წელს განახლდა, მაგრამ იქ წიგნები კიდევ კარგა ხანს არ დაბეჭდილა. ამ ხანებში მხოლოდ მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი იბეჭდებოდნენ, — უხადია ქართულ ენაზე.

¹⁾ ივ. ერ. „ჯვარი“ № 26. 1806 წ. თლონონ მუორის ზურაბ წერეთლისათვის მიცემული სიგელი, რითაც წერეთელი ინიშნება სტამბის გამგეთ.

²⁾ „კურთხევაი“ ინახება ტ. ს. უნ. წიგნთსაცავში.

³⁾ „სავედრებელი“ „ „ „ „

⁴⁾ „სადღესაწაულო“ „ „ „ „

⁵⁾ ეს „სამოციქულო“ ინახება საქ. ცენტრ არქივში.

⁶⁾ ივ. დ. კარიკაშვილი — ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტორია გვ. 110.

⁷⁾ Дубровин, I. c. გვ. 130; აგრეთვე „Кавказ“ № 48. 1846.

საერთოდ, რამდენადაც საქართველო მე-XIX საუკ. პირველ მეოთხედში, როგორც პოლიტიკურად ისე კულტურულ-ეკონომიური ვითარებითაც ქროტიკურ ხანას განიცდიდა, ცხადია წიგნების საბეჭდად მაინცა და შენეც-გეგეიფენ „მოცილიდა“. მეორე ათეული წლების მიწურულისათვის კი მდგომარეობა უფრო გამაჯანსაღების ნიშნის მატარებელი შეიქნა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა: „რუსული რაზლაკორის“ წიგნები ქართული ასოებით, რომელიც როგორც რეკლამაში ვკითხულობთ „უსარგებლეს არს რუსულის არ მცოდნე ქართველთათვის“¹⁾ რადგან რუსული სიტყვები ქართული ასოებით სწერია, რათაც რუსული ენის შესწავლა ძლიერ ადვილი საქმეაო. გაზეთში „რუსულ-ქართული უბნობის“ წიგნის შესახებ ასეთი რეკლამის შემდეგ მოყოლებულია კავკასიის მთავრობის „გამოცხადება“, რითაც მოსახლეობას აუწყებენ, რომ მეფის სამსახურში მიიღებიან მხოლოდ ისეთი ადგილობრივი კეთილშობილი, რომლებმაც იციან რუსული ენა²⁾:—ეს ქართულ სხეულში რუსული სულის ჩაბერვის ცნობილ პოლიტიკას საფუძვლები ეყრებოდა.

საქმე ისე წავიდა, რომ მალე ქართული გაზეთის გამოცემაც შეიქნა შესაძლებელი და ამრიგად, პირველად ქართული გაზეთი გამოიცა 1819 წლის 8 მარტს: „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით³⁾. ეს გაზეთი იყო ყოველკვირული, საწერი ქალაქის თაბახის ზომის, ოთხგვერდიანი. პირველ წელს გამოვიდა მისი 41 ნომერი, შემდეგ წლისათვის რედაქციის მიერ ნაწარმული იყო 50 ნომერი, გამოვიდა კი 51. ხელმოწერის ფასი ამ გაზეთზე იყო სამი მან. ვერცხლით, ხოლო გადაგზავნაში კი დანატებით 1 აბაზი წლიურად. როგორც განცხადებიდანა სჩანს, რედაქცია კომერციულ მიზანს არ ისახავდა. სასურველი ყოფილა მხოლოდ გამოცემის ხარჯების დაფარვა, რითვისაც გაფრთხილებაც კი ეძლეოდათ ხელისმომწერთ, რომ გამოცემა გაგრძელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი არა ნაკლებ 500-ისა იქნებოდა ხელისმომწერი. თუმცა სექცოდ მიგვაჩნია, რომ მაშინ ეს გეგმა ვანებორციელებინათ, მაგრამ ცხადია რომ გაზეთი განაგრძობდა გამოსვლას, ალბად მთავრობის დახმარების წყალობით. უკანასკნელი გარემოება იმითაც მტკიცდება, რომ 1821 წლის დეკემბერში საქართველოს სამთავროს საქმეთა გუბერნატორი წინადადებდა აძლევს ტფილისის პოლიცემისტერს, რათა უკანასკნელმა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ამ გაზეთის ხელისმომწერთა გამრავლებას.⁴⁾ მიუხედავად ამისა პლეჩკემა (ალბად რედაქტორთაგანია) დიდი ცდის წყალობით 1822 წ. მარტის დასასრულისათვის მხოლოდ 19 ხელისმომწერთა მოგროვება შესძლო, რომელთაც სულ 57 მანეთი (ვერცხლი) გაიღეს...⁵⁾ უნდა ვიფიქროთ, რომ 1822 წელს ეს გაზეთი არ გამოსულა, ანუ ყოველ შემთხვევაში იმავე წლის პირველ თვეებში შესწყდა მისი გამოცემა. ყოველ შემთხვევაში ამ წლის არც ერთ ნომერში ჩვენ არსად გვინახავს და არც გვეგულება.

იქვე უნდა აღიზიშნოს რომ „საქართველოს გაზეთი“ იცემოდა კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მაღალი თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც ცხადია, იქნებოდნენ მისი როგორც რედაქტორები ისევე ცენზორებიც. (იმ ხანებში საცენზურო კომიტეტი ტფილისში ჯერ კიდევ არ არსებობდა). „საქართველოს გაზეთის ტექსტი როგორც არქივიდანა სჩანს (მთავარმართებ. კანც. არქ.) ჯერ სდგებოდა რუსულად, ხოლო შემდეგ ალბად მთარგმნელის მიერ

¹⁾ იხ. „ქართული გაზეთი“ № 12. 1821. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცემში.

²⁾ „ქართ. გაზეთი“ № 12. 1821.

³⁾ ამ გაზეთზე საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე საინტერესო გამოკვლევა აქვს დაბეჭდილი ვ. ვეიდეშნაუშის, იხ. გაზ. „Тифл. Исток“-ის დასურათებული დამატება № 21. 1900 წ.-საიდანაც ჩვენ ვსარგებლობთ.

⁴⁾ ვეიდეშნაუშის I. ც.

⁵⁾ Ibid. იხილეთ აგრეთვე გაზ. „Кавказ“ 1896. № 1.

ითარგმნებოდა ქართულად და იბეჭდებოდა კიდევაც. ამ გარემოებას თვით ენაც ამ განხეთისა აღასტურებს. განხეთის რუსულად ნარქვეა „Первичная газета“, რომელსაც მთარგმნელი პირველ ხანებში (1820 წ. მეორე ნახევრამდე) — სთარგმნინდა „საქართულო განხეთად“, ხოლო შემდეგ კი „ქართულ განხეთად“ უკანასკნელი სახელწოდებით გამოდიოდა ეს განხეთი 1820-1821 წლებში. (1821 წლიდან ამ განხეთზე ახატია თეთრი გიორგი). ამრიგად სიმარათეს არ შეეფერება გრ. ყიფშიძის,¹⁾ ზ. კიკინაძის,²⁾ დ. კარაქაშვილის,³⁾ და სხვათა ცნობები თითქოს ეს განხეთები: „საქ. განხეთი“, „ქართ. განხეთი“ და შემდეგ იგივე წმ. გიორგის სურათით, — სხვადასხვა ყოფილიყვნენ, (სხვა რედაქც. და გამოშვ.), აქ საქმე გვაქვს მხოლოდ მთარგმნელის მოქმედებასთან, რომელიც 1820 წლიანდ „Груз. газета“-ს „საქართულო განხეთად“ სთარგმნინდა, ხოლო შემდეგ კი „ქართულ განხეთად“⁴⁾.

განხეთის გამოცემის შემდეგ თანდათან წიგნების გამოცემის საქმეც უკეთ წისულა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დაბეჭდილი წიგნები ტიბინკურის სისრულით დიდით ჩამოუფარდება ვახტანგ მე-VI დროს დაბეჭდილი წიგნებს. ცუდია ქალაქი, ბევრია კორექტურული შეცდომები. ცხადია რომ მოთხოვნილებაც წიგნებზე შეზღუდული იქნებოდა, ვარდა „რუსულ ქართულ უბნობათა“ წიგნებისა, ასეთი წიგნები კი „ექვს მთურ თეთრ ფულად ვასობდა“⁵⁾ და აღნად გვარიანად ვრცელდებოდა. მაგრამ შეცხრამეტე საუკუნიდან მაინც ახალი სული შეიჭრა ქართულ კულტურაში: — მეთვრამეტე საუკუნეში უმთავრეს კულტურულ ძალას სასულიერო. წოდება წარმოადგენდა. მას ჰქონდა მეტი დრო და მოკლილობა წიგნების საქმეად. ცხადია წიგნის მთავარი მომხარებელიც ეგ წოდება იყო. მაგრამ სასულიერო წოდება უმთავრესად მხოლოდ საღვთო-საეკლესიო ლიტერატურის მუშტარი იქნებოდა. აქ დაბეჭდილი წიგნების თითქმის ასი პროცენტისა საეკლესიო იყო. აღსანიშნავია რომ ვახტანგ მე-VI-მაც, რომელიც ყველა შემდგომ მწეფებზე განსწავლული და მეცნიერი იყო, მხოლოდ ორიოდვე საერო წიგნების გამოცემა და შესძლო. მან თავისი „კანონებზე“ კი ვერ დაშეშდა. ტფილისში გახსნილ სტამბაში პირველად სახარება დაიბეჭდა... მაგრამ სხვანაირად არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. სტამბის გახსნას ისედაც ცუდის თვალთ შეხედა ყოველთვის კონსერვატიულ სასულიერო წოდება და პირველად რომ ვეფხის ტყაოსანი დაბეჭდება ეს აღბად მიუღ აჯანყება გამოიწვევდა. ამრიგად მეთვრამეტე საუკუნეში საზოგადოებრივი აზროვნების საქმე, წიგნი სავსებით სასულიერო წოდების ხელში იყო, რამდენადაც თვით ამ წოდების შეზღუდულებანი წარმოადგენდა მაშინ ვაბატონებულ საზოგადოებრივ აზრსაც. თუმცა ისიც მართალია, რომ სამწვდელოება პოლიტიკური უფლებებით არ იღვა თავიდა-ახნაურობაზე, ფეოდალებზე მალდა, კიდევ მეტი, სასულიერო წოდების მთავარი ლაშქარი — სამღვდლოება „თავადიშვილის მართაში გამოყოფილი ყმა იყო“...⁶⁾ მიუხედავად უკანასკნელი გარემოებისა უდაოა ისიც, რომ სასულიერო წოდება იყო მე-XVIII საუკ. ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის მთავარი ტონის მიმცემი და იგივე წოდება, იყო ოფიციალური წიგნის, დაბეჭდილი წიგნის მთავარი მამოძრავებელი ძალაც.

¹⁾ გრ. ყიფშიძე — Периодическая печать на Кавказе г. 2 4-25 1901. Тифл.

²⁾ კარაქაშვილი — ქართ. პერიოდ. გამოცემა ბიბლიოგრაფია („წიგნის მეგობარი“ № 1-2. 1925).

³⁾ ქართ. სტამბა და ვახტანგ მე-VI, გვ. 17.

⁴⁾ ერთ განხეთის ბოლოს ვითხულობთ: „დაბეჭდილი არს უმთავრესა შინა კვარტირასა საფესს“ იხ. ქართული განხეთი“ № 46. 1820.

⁵⁾ „ქართული განხეთი“ № 12. 1821.

⁶⁾ იხ. აღ. სარაჯუიშვილს საინტერსო გამოკვლევა ქართ. საზ. ცერების ისტორიიდან მე XVIII საუკუნეში: „ერთი გლეხის ოჯახის ბედი“, „ძველი საქართველო“ ტ. IV. გვ. 58.

ამ მდგომარეობის აღნიშვნას, რასაცვირველია აზრად არა აქვს უარყოფის ის ფაქტებიც, რომ მე-XVIII საუკ. პრაქტიკულად ვრცელდებოდა სეკულარული წიგნებიც, რომელთა გადაწერისა და გავრცელებისა წყარო თავადაზნაუფრთხილად იყენებოდა, აღსანიშნავია, რომ უმადლესი თანამდებობის სასულიერო წოდების პირნი იმავე დროს თავად აზნაურთა წრიდან იყვნენ, რაც შეიძლება ითქვას, რომ შედარებით ხელს უწყობდა ამ წოდებათა აზროვნულ განხეთქილების მიჩქარებას, თუმცა იმავე მე-XVIII საუკ. ლიტერატურაშიც ხშირია მათს შორის ცხარე პოლემიკის მაგალითები, რომელთა გაცნობა კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ ამ იდეოლოგიურ ბრძოლაში „სამღთო“ ¹⁾ წიგნი ყოველთვის იმარჯვებდა, რომელიც სასტიკად იბრძოდა „საერო“ ²⁾ წიგნის წინააღმდეგ. აი რას სწერს ამის შესახებ არჩილი:

„ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელთა და საეროთა.
სამღვდელთაის მკოდინარე საეროსა მოეროთ“.

ანდა კიდევ ერთი მე-XVIII საუკ. უცნობი პოეტი:

„ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს
დაუბნელებს, დღესა მზიანს, ჯოჯობეთში ნახავს ზიანსო“.

ჩვენ ზემოდ დავინახეთ აგრეთვე, თუ როგორ სასტიკად ილაშქრებენ ანტონ კათალიკოსი და ტიმოთე, ქართულის მთავარეპისკოპოზი რუსთაველის ქმნილების წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს რომ სასულიერო წოდებამ ვერ აღმოძვება საერო წიგნებისადმი სიყვარული და მიდრეკილება, რომელსაც როგორც სჩანს, რაც დრო გადის, თანდათან მეტის პატივისცემით ეპყრობიან. მოსსმინოთ ისევე არჩილს:

„საღვთო წიგნი, ბევრი წაბდა, უყლოთა და უბუღობით,
საშაიროს ინახავენ სტიერის ბუღით ან ნახლობით,
უმჯობესი დივიწყეს, წესის რასმე იწ ახლობით
სიმათლესა მრუდზედ სველიან სიკრუისა მომზახლობით“.

ამგვარად სიმპტომი საზოგადოებრივი აზრის ახალი, ყოველ შემთხვევაში გაბატონებულთან შედარებით, სხვა იდეით ამოძრავებისა უკვე აღნიშნული იყო, რომლის მატარებელს თავად-აზნარობა წარმოადგენდა და რომელსაც კერ კიდევ ვერ დაეპყრო სტამბა, რათა საკუთარი მოთხოვნილების და ყაიდის წიგნები ებეჭდა. ამრიგად მთელი მე-XVII და XVIII საუკ. ქართულ წიგნთა სასულიერო წოდების სამსახურში გაატარა, სასულიერო წოდება ფლობდა წიგნს და იმავე წოდებიდან გამომდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის უმთავრესი მმორავებლი ენერგიაც.

მე-XIX საუკუნედან საქართველო თავისი ისტორიული ცხოვრებით ახალ ეპოქაში შედის, როგორც პოლიტიკური ისე მისი სოციალ-ეკონომიური ვითარება ახალ ფაზაში დგება. ბიუროკრატიული რუსეთის შემოსვლამ და უკანასკნელის ხელისუფლების განმტკიცებამ ალაგმა ფეოდალების თავგასულობა,

¹⁾ და ²⁾ „სამღთო“ და „საერო“ მაშინ მთელი წიგნის სიმდიდრის მთავარი კლასიფიკაცია იყო. „სამღთო“-ში შედიოდა ყოველგვარი საეკლესიო, სამღვდელთა, სასულიერო თხზულებანი, ხოლო „საეროში“-კი ყველა დანარჩენი; უმთავრესად მშატრული ლიტერატურა, სადევგმითო ამბები, პოემები და სხვ.

რომელთაც ჩამოყალიბებულ დისციპლინის კენ მოუწოდა მან, ამავე გარემოებებში წარ-
თვა რა დამოუკიდებელი სახე (ავტოკეფალია) საზღვარი დაუდო ქართული სასული-
ერო წოდების იდეოლოგიურ ბატონობას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ რეგად
შეცხრამეტე საუკუნის და საწყისიდანავე ახალმა სხივმა მძლავრად შეინათა ქართულ
საზოგადოებაში და ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1800 წელს დაიბეჭდა ისეთი საერო
წიგნი როგორც არის და ვით ბატონიშვილის „ნარკვევი“ მსოფლიო ისტორიიდან
და მას შემდეგ განვითარებული წიგნის საქმე უკვე ახალი „ბატონის“ ხელში გადა-
დის, ეს „ბატონია“ ქართული სამხედრო-სათავად-აზნაურო წოდება,¹⁾ წოდება რო-
მელიც თავისმა მდგომარეობამ ყველაზე ახლო დააყენა ახლად გაბატონებულ ძალა-
სთან. სამხედრო-სათავად-აზნაურო წოდების ხელში აღიზარდა და ჰპოვა თავისი
განვითარება, ქართულ წიგნმა, ქართულ ბეჭდვითი სიტყვამ იმ ხანებში. პირველი
ქართული გაზეთიც ამ წოდების წარმომადგენლებმა გამოსცეს ტფილისში 1819
წელს... თითქმის შთელი შეცხრამეტე საუკუნე ქართულ წიგნმა ამ წოდების
სამსახურში გაატარა, იმისდამიხედვით, თუ რომელი დაჯგუფება ჰპოებდა მა-
სში მეტ ვასაქანსა და განვითარებას, ჯერ კონსერვატორულ-ლიბერალური, შე-
მდეგ ბურჟუაზიულ-პროგრესიული და ასე, მანამ სანამ, ჯერ ნელა და შემუშნე-
ლად, შემდეგ უფრო ბეჯითად და ღონიერად არ შემოიჭრა ქართულ საზო-
გადოებრივ ცხოვრებაში ახალი ძალა,—მეშათა კლასი,—რომელმაც შემდეგ
უფრო მძლავრად და ურყველად განაცხადა თავის თავზე და რომელსაც ასე
დიდი როლი დააკისრა ისტორიამ, მაგრამ უკანასკნელზე შემდეგ წერილში
შეჭერთდებით.

(გაგრძელება იქნება).

¹⁾ ამ გარემოებას საყვებით სამართლიანად აღნიშნავს ვერ. „კვალნი“ თავის იმ განმარ-
ტებაში, რომელიც მან XIX საუკ. 40-იან წლებში განზრახულ ვერ. „სინათლის“. „გამოც-
ხადების“ დაბეჭდვას თან დაურთო (იხ. „კვალნი“ № 35. 1896 წ.), რომელზედაც უფრო ვრცლად
ქვემოთ შევხვდებით.



ორი სტილი

გაგრძელება *)

გიორგი ერისთავი. (1811—1864 წ. წ.) ეს არის პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც თამამად გაუსწორა სინამდვილეს თვალი. და საფუძველი დაუდო მეორე სტილს—ბურჟუაზიულს.

გ. ერისთავამდე ქართული მუხა ღრუბლებში დასრიალებდა, არსებული პირობები სწამლადა მას და ისიც რეალობას ზურგს აქცევდა, ხან ისტორიულ წარსულით იოხებდა გულს და ხანაც

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,

გადამატარე ბედის საზღვარი-ო

შეჭიოდა ოცნების ტიპს. საქართველოს აწმყო საშინელია:

წარსულთა დროთა, დიდების დღეთა

ყოველი კეთილნი თანა წარიდეს,

დღევანდელი სამშობლო დანგრეული და უპატრონო ტაძარია, ამიტომ—

ნუ მიტყეებ, ოცნებაე, მომეც ძველი ხილვანი,

მომეც შე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი...

მთელი ნახევარი საუკუნე იფრქვეოდა ეს „ძველი ცრემლები“ და განუწყვეტლივ ისმოდა „ძველნიცა ოხვრანი“... ახალ ცხოვრებას კი ამ დროს ახალი ყლორტები გამოივლიდა, ახლად მოვარდნილ ნიაღვარს უკვე გადაესილა საქართველოს ველ-მიხდროი. და იმ დროს, როდესაც მოწინავე ქართული აზროვნება რომანტიული ოცნებით იყო გატაცებული, ამ გადასილულ არეზარეში ახალი ყვავილნარი მოშენებულიყო, ახალი ურთიერთობა შექმნილიყო.

ეს ვითარება პირველად გ. ერისთავმა შეამჩნია და ქართული მუხაც მან ჩამოიყვანა ამ ცოდეულ დედამიწაზე. განყენებულ სახეებში და აბსტრაქტიულ აზროვნებაში მოულოდნელად შემოიჭრა კონკრეტული სურათები და რეალური აზროვნება. ჰაეროვან მშვენიერ ასულთა და ეთერში მოხავეარდე „ზოროტ სელისა“ და „მერანისა“ გვერდით ჩვეულებრივი ხატებანი და ასეთივე ადამიანები გამოჩნდნ... ვაისმა ცოცხალ ქმნილებათა გრიაშული, დაიწყეს უბრალო ენით ლაპარაკი, თავი მიანებეს პათეტიურ პოზას, გამირებს და თავდადებულდნ... თვალწინ დგებიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომელნიც ჩვეულებრივად აზროვნობენ, ჩვეულებრივად გრძნობენ; ყველა აწმყოთი სცხოვრობს, მიმდინარე ინტერესებით სულდგმულობს და თავისი თავის მეტი არავინ ახსოვს. სამშობლო, „ძველი ხელოვანი“, მეფეთა სახეები, დანგრეული სავანენი... ყველაფერი დავიწყებულია, არც ერთ ამისთანებზე თავს არ იწუხებენ. საწუხარი თუ საცინელი ისედაც ბევრია ამ სინამდვილეში, ყოველდღიურობა უფრო საჭირო და არსებითია, ვინემ ოცნება და რომანტიული ოხვრა-გოდება...

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 7. 1928 წ.

გიორგი ერისთავის გამოწეწა სრულიად შემთხვევითი იყო. მას არ ყოფილა წინაპარი, ერთი ბილიკიც კი არ დახედვრია მას თავის გზაზე.

მაგრამ ჩვენი დრამატურგი იოლად არ შედგომია ამ გზასა და ამ გზაზე. მან რეალიზმში გადასვლამდე მან ორი ულულტეხილი გამოიყარა — მისი წინაპრის შეთქმულება და ხუთის წლის განმავლობაში მოწინავე ქვეყანაში — პოლონეთში იმუღებოთი ცხოვრება.

გ. ერისთავიც ერთი ხანს სცურავდა რომანტიზმის ტალღებში, 1832 წლის შეთქმულებაში ის ერთი პირველთაგანი იყო: 17—18 წლის ყმაწვილი ალტაყეული ოცნებობდა სამშობლოს განთავისუფლებაზე და გვერდით უდგა სხვა მასავით მეოცნებებს.

მაგრამ ოცნებაზე უფრო საფუძელიანი სინამდვილე გამოდგება და გ. ერისთავიც კარგა ხანს ღვრიდა კრემლზე საქართველოსათვის ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულ პოლონეთში, სადაც ადამ მიცკევიჩის გრძელყოლი ქნარი მთელ პოლონეთთან ერთად გიორგი ერისთავსაც აცენესებდა. გავიდა დრო, კრემლები კრემლებად დარჩა და ერისთავმაც ტირილს სიცილი აწვლია. მართალია, მისი სიცილი არ ყოფილა უდარდელი კაცის სიცილი, მაგრამ ფაქტია, რომ გ. ერისთავი თითონაც იცინოდა და სხვებსაც აცინებდა.

მარტო მიცკევიჩის გოდება არ იპყრობდა ერისთავის ყურადღებას პოლონეთში: ქართველმა მწერალმა ამ ქვეყანაში ნახა ის, რისი ნასახიკი კი არ დაეტოვებია სამშობლოში; ეს იყო ბურჟუაზიული ცხოვრების ნაკადის ჩხრიალი. პოლონეთი ევროპის ეკონომიური სისტემის ერთ-ერთი რგოლი იყო და ახალი ვითარებაც საკმაოდ იყო ფერხოდგმული ნატურალური მეტრეობის წიაღში. ეს კი ახალი და უჩვეულო ამბავი იყო ფეოდალურ საქართველოდან გაძევებულ ახალგაზრდა პოლიტიკურ დამხმარეისათვის.

— პოლონეთში ვერ მოიპოვა ეროვნული თავისუფლება ოცდაათიან წლების აჯანყებით, მაგრამ სამაგეროდ მას შეუქმნია ახალი ცხოვრება... ქართველებსაც გაგვიტოვებდა ამავე ხანებში ასეთივე იმედები და ჩვენაც პოლონეთთან ერთად ვგოდებთ; ჩვენს უბედურებას ისიც აორკეცებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიწყია ახალი ცხოვრება და აზიურ ურთიერთობაში ვიღარავით. ამიტომ ჩვენც უნდა შევდგეთ ახალ გზაზე, მეტი ხსნა არ არის, — ასეთ დასკვნამდე მივიდა გ. ერისთავი პოლონეთში ცხოვრების დროს. ეროვნულ განთავისუფლებაზე ფიქრი კი სხვა დროისა და პირობებისათვის გადაიდო.

1838 წელს 27 წლის გიორგი ერისთავი სამშობლოში დაბრუნდა. ამ წლების საქართველო ძალიან დაშორებული იყო 30-იან წლების ვითარებას, დაშორებული იყო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა, რომლის სახელით მოხდა რუსული იმპერიალიზმის მიერ კავკასიონის ქედის გადმოღება, მხოლოდ ორმოციან წლებიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად ფართოდ დაპყრობა, აქამდე უმეტესად მხოლოდ პრიადებდა, დღე-იდან კი ადლი და ყნათარი შეღის ძალაში.

მართალია, მთის არწივი — შამილი ჯერ კიდევ მძლავრად იბერტყავდა მთებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპარსეთში ხელი აიღო ამიერ-კავკასიის შესახებ თავის პრეტენზიებზე, ოსმალეთმაც 1828 წ. ომი წააგო და პასკევიჩის ხმლით ახალციხის მხარესაც გამოეთხოვა, — უკვე აშკარა იყო, რომ რუსეთი „ხანგრძლივად და სერიოზულად“ დაეპატრონა ამიერ-კავკასიას და მთის აღსასრულიც მოახლოებული იყო. ამიტომ თვითმპყრობელობა უკვე მტკიცედ შეუდგა იმ საქმის შესრულებას, რომლის გულისთვის მან ამდენი სისხლი დაღვრა, როგორც ამიერ-კავკასიის სამეფოთა სამფლობელოებში, ისე მათ საზღვრებზედაც. თოფ-ზარბაზანმა პირველობა ფართალს დაუთმო და გაჩაღდა უსასტიკესი საახალშენო პოლიტიკა, დაიწყო ჩვენი სიმდიდრეთა დაუზოგველი ექსპლოატაცია, კარები გაეღო ა/კავ-

კასიისაყენ და საზოგადოდ სპარსეთ-ოსმალეთისკენ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში დაშლადიერად ყოვლად უფარგის საქონელს.

როგორც ეტყობა, ამ დროისათვის ქართველ საზოგადოებებში მომხდარა ერთგვარი სულიერი ცვლილება, ამას ამტკიცებს ქვევით მოყვანილნი საბუთი.

1837—8 წელსი ალექსანდრე ქავკაიძემ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I ვრცელი მოხსენება მიართვა საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ამ საინტერესო დოკუმენტიდან აშკარად სჩანს, რომ ჩვენს მგოსანს არა თუ მარტო კალანი და ხმალი უჭრიდა, არამედ პოლიტიკურ საკითხებშიც შესახიზნავედ გარკვეული ყოფილა და ქვეყნის ეკონომიური საკითხებშიც ნათლად ჰქონია წარმოდგენილი. „ახლა კი, — სწერს მგოსანი, — როდესაც რუსეთის მპყრობელობა ამიერ-კავკასიაში განმტკიცებულია გარკვეულ საზღვრებში, როდესაც იგი ასე ძლიერამოსილია იქ, უკვე აღარაფერი ელოდება წინ იმას, რომ მთავრობამ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა მიჰმართოს სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად იმ დალოცვილ ქვეყანაში, სადაც აღმართის შრომა უხვად ჯილდოვდება მიწადმოქმედების ახლანდელი მდგომარეობის დროსაც კი... აქვე-ასიაში ფრიად ნაკლებია გამოუსადეგარი ადგილები: მის მიწათა უმეტესობაზე შესაძლებელია ტროპიკულ მცენარეთა გაშენებაც კი.“¹⁾

როგორც ამ სტრიქონებიდან, ისე ამ მოხსენების სხვა ადგილებიდან სჩანს, რომ მაშინდელი ინტელიგენციის აზროვნებაში ერთგვარი გარდატეხა მომხდარა და პოლიტიკური საკითხების მიჯნურ, ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება იპყრობს ყურადღებას. საზოგადოებრივი პსიქიკაც უკვე იცვლება, 1832 წლების განწყობილებას ბოლო ედება. ორმოცი წლის განმავლობაში, თმცა დიდის ტანჯვით, მაგრამ მაინც გამოუმუშავდა რუსეთის სასარგებლო სულიერი განწყობილებები; გიორგი ერისთავიც ამ ხანებში ბრუნდება საქართველოში.

1845 წელს რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა კავკასიის მმართველად გამოგზავნა ნიკიერი, ბურჯუაზიულად ჰუმანიური და შორსმჭვრეტელი თავისი აგენტო მის. ვარანკოვი, რომლის პოლიტიკაც მთელი ათი წელიწადი გაგრძელდა და რომელმაც ერთობ შეაყვარა თავი ჩვენს ნაციონალისტებს.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალში გამომობ, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფო იმ დროს წმინდა ბურჯუაზიული სახელმწიფო იყო და მას მხოლოდ ბურჯუაზის ინტერესები ამოქმედებდა. ამისი თქმადიდი შეცდომა იქნებოდა. მაშინდელი რუსეთი პოლიტიკურ-ფეოდალური ქვეყანა იყო, რომლის წიაღში ძალიან ნელა ვითარდებოდა ბურჯუაზიული ურთიერთობა.

მაშ რა მიზეზია, რომ ეს ნახევრად აზიური ქვეყანა ასეთ ფართო დაპყრობითი ომებს აწარმოებს და ჩვენ კიდევ ამ ომებს ბურჯუაზის სასარგებლოთ წარმოებულ სისხლის ღვრას ვუწოდებთ?

ამის პასუხს მაშინ მივიღებთ, როცა რუსეთის ისტორიის თავისებურობაზე თუნდაც ვაკვრითი წარმოდგენა გვექნება. მოუსმინოთ გ. პლებანოვს: „ძველი მოსკოვის დროინდელი რუსეთი, — აწმობს იგი, — სრულიად აზიურა ხასიათის იყო. მისი სოციალური წყობაც, აღმინისტრაციაცა და მოსახლეობის პსიქოლოგიაც ერთიანად უცხო იყო ევროპისათვის და ძალიან ახლო ენათესავებოდა ჩინეთს, სპარსეთს, ძველ ეგვიპტეს... მაგრამ ეს ქვეყანა, მისდა საბედნიეროდ, აზიაში კი არ იყო, არამედ ევროპაში, ან თუ გუბავთ, ევროპის მეზობლად. გეოგრაფიულად ასეთ თავისებურ მდებარეობის გამო მოსკოვის რუსეთი იძულებული იყო მარტო თავდაცვის ინსტიტუტის კარნახით ზოგი რამ ესესხა თავისი ძეზობლები-საგან. უკვე იოანე მრისხანეს დროიდან ცდილობდა იგი ბალტიის ზღვას მიახ-

1) „ქართული მწერლობა“ № 26 6—7, 1926 წ.

ლოკებოდა. დაბოლოს პეტრე დიდმა გამოსჭრა „ევროპისკენ საბრძოლველად“... „იმ სოციალურ წყობაზე, რომელიც მეოეროთმეტე საუკუნესაც კი უახლესდებოდა. — საპართლიანად ამბობს რამბო, — შეიქმნა ევროპიული დიპლომატიკა“. მუმივი ჯარი, ბიუროკრატიული იერარქია, მრეწველობა, რომელიც „სამაყობისგან და ფუფუნების მოთხოვნილებას, წარმოიშვა აგრეთვე სკალები და აკადემიები“. ერთის სიტყვით, პეტრემ მხოლოდ ევროპული ხასიათის კიდურები მიაკოწიწა იმ სხეულს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც ახიური იყო. მაგრამ ახალმა კიდურებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ძველი სხეულის ბუნებაზე. რეფორმებმა განცდილ წესწყობილებას ფულები ეკიოვებოდა. პეტრეს რეფორმებმა მედგარი მფლუგენი უთავაზეს საქონლის წარმოების განვითარებას რუსეთში. გარდა ამისა რეფორმების გასამარტბლად საჭირო იყო ფაბრიკა-ქარხნული მრეწველობისებური რაღაცა მიხეცა. 1)

ერთის სიტყვით რუსეთი, ანუ ზოგიერთების სიტყვით ევრაზია თავის ახიურ-ფეოდალურ სახეს ევროპის ბურჟუაზიის ფერუმარილით თხუწნიდა და მსოფლიო პოლიტიკის სკენაზე რაღის გათამაშების მოსურნე, მისთვის შეუფერებელ ჩადრს ისხამდა. მთელი მისი საშინაო რეფორმები, თუ დაპყრობითი ომები უმეტესად ფეოდალურის შინაარსით და ბურჟუაზიულის ფორმით ხდებოდა. ევროპის წაბადების გზაზე საჭირო იყო მხოლოდ ფულები და ფულები. ეს სიკეთე კი ბურჟუაზიას ჰქონდა და არა უკულტურო საბაკევი ჩებს და კარობოჩკებს, რუსეთის შინაგანი ბაზარი სწორეთ ამ საბაკევიჩების წყალობით იყო ჩამორჩენილი და განუვითარებელი, ამიტომ ხელოვნურად გადმონერგულ ბურჟუაზიისათვის ბიუროკრატიას უნდა მოეძებნა შორეული ბაზრები: ციმბირი, ყირიმი, კავკასია, ხივა, ბუხარა... ყმებისაგან შემდგარი მუღმივი ჯარი უკვე მზად ჰყოფდა ევროპის მსგავსად, პოლიტიკური რეკიიცი საკმაოდ ძლიერი იყო. შინაბაში დერეიზორდობა, საგარეთო ძლიერი მონური ჯარი... და ომები, დაუსრულებელი ომები...

აი, ამ ომებმა ჩაკლაპა ჯერ რუსეთის მშრომელი გლეხობის კეთილდუობა და მერე ქართველი ერის დამოუკიდებელი თვითარსებობა.

ვის სასარგებლოდ სწარმოებდა ეს სისხლის ღერა? აშკარაა, რომ მშართელი ფეოდალურ-ბიუროკრატიულ ბროვისა და ნაწილობრივ, რასაკვირველია, ბურჟუაზიისათვისაც, იმ ბურჟუაზიისათვის, რომელიც ისე ეკიდა მთავრობას მუცელ ქვეშ, როგორც ავსტრიული კენგურუს თავისი შვილი. აი, ამ ბიუროკრატიულმა კენგურუმ შეიოიყვანა ჩვენში თავისი ბურჟუაზია. ენახოთ, რამდენად იყო ეს ბურჟუაზია და მთავრობა საქართველოს დაპყრობით დინტერესებულნი.

კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების მირ გაცემულ „აქტები“-ს შეიქმნეს ტომში მოთავსებულა ცნობილ აღმირალ მორდენიოვის საინტერესო მოხსენება რუსეთის სახიო ეაქრობის შესახებ; მოხსენება დაწერილია 1816-18 წ.წ. მორდენიოვი ჯერ ისტორიულ ცნობებს იძლევა რუსეთის ეაქრობის შესახებ და შეიძღვ სწერს: „ეკატერინე დიდის ჯარების სპარსეთში შესვლის საგანდ სრულეებითაც არ ყოფილა იოლ გამარჯვებათა მოპოვების ჰარაფმუტული სურვილი, არც ისედაც მთელ ქვეყანაზე უფაროესი იმპერიის საზღვრების გაღიდება, — მაგრამ მტაკებელ აღა-მაპომედ-ხანის ვითომდა დისჯის საბაბით — რუსეთთან შემოკედლებულ საქართველოს აობრებით მან შეურაცყო რუსეთის დირსება, — დავიცავით და აღეადგინეთ რა საქართველო, ჩვენს მთავარ მიზანს ამ საქმეში შეადგენდ ჩვენნი ეაქრობის სპარსეთთან მკვიდრად დიდფუნების სურვილი. უმაგალიათო მეუის უდროოდ გარდაცვალებაზე ხელი შეუშალა ამ უდიდეს განზრახულებათა შესრულებას“. ხაზ გამულ სიტყვებიდან

1) Сочин. Пеханова. ტ. X, стр. 154-5.

აშკარაა, თუ რა სარჩული სდებია რუსეთის პოლიტიკას, მაგრამ ეს უკუაღრუბნია, ნაყოფს ქვევით ვიხილავთ; მოვუსმინოთ კიდევ ლიბერალ აღმზრდელს... მძილო რა თავის მფარველობის ქვეშ რუსეთმა საქართველო, ამით შექველდა შტასრუთა თავისი სამღვთო ეალი და კაცთმოყვარული მოვალეობა; მაგრამ რუსეთი ქვედა რა ყურადღებას სახელმწიფოსთვის სასარგებლო ვაჭრობას და მარტოთ მარტო იმის გულისათვის შეეშუბუტა რა საქართველოს თავისი ზედი, რომ ეს ქვეყანა სპარსეთთან ვაჭრობაში გამოდგომოდა მას, - ვთქვამ, რომ არ შეიძლება შეჩერება მხოლოდ იმაზე, რაც დღემდე გაკეთებულა; საქართველო დღეს ქვემარტივად საფალალო მდგომარეობაშია და დროებით იკავებს თავს დალუპვისაგან. მაგრამ ეკატერინე დიდის განზრახულებათა მიხედვით ამ ჩვენი ერთ მორწმუნე ხალხის ნეტარება სრულიად უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მომავლისთვის. და ეს იმ მიზნით, რომ მისი საშუალებით უზრუნველ გვეყო და დაგვემკვიდრებია ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან; სწორედ ამ მოსაზრებით არის საქართველო ჩვენთვის უსაჭიროესი ქვეყანა. რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს საზღვრები აუცილებელი უნდა იქნას გადატანილი მტკვრისა და არაქსის სათივრებამდე, თანაც მას უნდა შემოუერთდეს შუშა, ნახიჩევანი, ერევანი და შავლუდამდე მთელი იმერეთი. ამ სახით შექმნილი საქართველოს სამეფო დამკვიდრებელი იქნებოდა უნაყოფეს მიწა-წყალზე და ეყოლებოდა რამდენიმე მილიონი ქრისტიანი მცხოვრები. სარწმუნოების ნიადაგზე მას მეგობრული ურთი-ერთობა აქვს არარატის პატრიარქთან, რომელსაც, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა აქვს გაფანტულად მცხოვრებ სომხის ხალხზე. გახა აშკარა არ არის, რომ ამ პირობებში საქართველო საკუთრის ძალებით ვაუბატონდებოდა დაქსაქსულ სპარსეთს და, თანაც რუსეთთან მტკიცე კავშირის ქონებით მისი წყალობითვე გიძლიერებული და ნეტარებაში მყოფი, განა თითო ოსმალეთის მოთვალთვალეთ არ იქნებოდა? ამ დროს საქართველო ხელში ჩაიგდებდა ქ. განჯას, საიდანაც მტკვარზე ნაოსნობა იწყება და შავლუკასთან ერთად ამ ქვეყანას მეორე გზაც ექნებოდა რუსეთთან შემოსაერთებლად კასპიის ზღვით. ამნაირად საქართველოც გიძლიერდებოდა და რუსეთისათვისაც მტკიცე დასაყრდნობი იქნებოდა სიმდიდრეთა ახალი წყაროების აღმოჩენის საქმეში. მხოლოდ ამ გზით გაეანაგვრებთ ჩვენს ვაჭრობას კასპიის ზღვამდე¹⁾.

ერთის სიტყვით, თუ ამ პატივსაცემ გავმს დაუფურცობთ, რუსეთს ერთ დროს საქართველოს გაბედნიერება სდომებია, მაგრამ იმ აუცილებელის პირობით, თუ ჩვენის საშუალებით იგი ერთი მუჟა ბურჯუაზიის ჯიბეებს გაასქელებდა და პოლიტიკურ რეჟიმსაც მცველად დაუდგებოდა, როგორც ხველით, ისე ოქროთი. მაგრამ, როგორც ჰგავს, ჩვენი ბედნიერების მოსურნენი, რომელთათვის საქართველო და მისი ხალხი, რასაკვირველია, საშუალება იყო და არა მიზანი, თავიდანვე უნდობლად გვიცქიროდნენ, როგორც უცხო ტომელებს და საკუთარი კეთილდღეობის ძიების გზაზე თითონ რუსეთის მშრომელი ხალხის ბედსაც საკუთარ სურვილების მიხედვით ათამაშებდნენ. მორღეინოვი თავის მოხსენებას ასე განავრძობს: „დიდ ეკატერინეს, რომელმაც გაითვალისწინა რა ყოველივე ზემოთქმული, საქართველოსა და რუსეთის მტკიცე ურთიერთობისათვის, თითონ ამ მხარეში და სპარსეთში ჩვენი ვაჭრობის გამტკიცებისათვის და აგრეთვე მოსახლეობის გაბედნიერებისათვის, გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. არაქსის შეერთების ქვემოდ ძლიერი ციხე აეგო, სიმაგრისა და ბაქოს ნავთსადგურის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილიც იყო. ამ ქალაქში, რომელსაც „ეკატერინსერდი“ (ეკატერინეს გული) უნდა დაარქმეოდა, განზრახული იყო 2 ათასი ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცის ჩასახლება მსგავსად რომელების ახალ-

1) ARTS, ტ. VI, 83-860.

შენისა, მათ მიეცემოდა როგორც საომარი, ისე მიწის დასამუშავებელი იარაღები. ქართველები და სომხები ვალდებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ამ ჯარისკაცებისათვის საცოლოები მიეცათ“. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შეიქმნა ახალი ვაჭრობა საქმაოდ უზრუნველყოფილი, დასძენს ჩვენი კეთილხანს (ს. 11).

აღმირალს გული სტკივა, რომ ეკატერინეს ასეთი ბრძნული გეგმები ნაკლებად ხორციელდება, ანდა ხანდახან კიდევ გვავიწყდება. „ან სათანადო სიმტკიცით უნდა გაეკატარათ ეს პოლიტოკა, ანდა ხელსაყრელ პირობებს ველოდით მის გასატარებლად, სხვაფრივ ყოვლად შეუძლებელიაო“ დასძენს მორდვინოვი, რომელიც საქართველოზე დაყრდნობით ინდოეთის მახრასაც კი უპოტინებს ხელს.

შეიძლება ჩვენი აღმირალი აგერ ეგერ კიდევ ფანტაზიორობდეს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ რუსეთის პოლიტიკის სულსა და გულს სასწორით გადმოგვეცემს: შეფის იმპერიალიზმი მოდიოდა ჩვენში მბრლოდ იმ მიზნით, რომ საქეთარი ხაზინა გაემდიდრებია.

აღმირალ მორდვინოვის მოხსენების გარდა, ჩვენ სხვა ცნობებიც ბლომად მოგვეპოვება რუსეთის პოლიტიკის ხათელსაყოფად. დასახელებულ აქტის ყველა ტომში (სულ 10 ტომია) არის ასეთი განყოფილებები: სამთო ხაწილი, ვაჭრობა მრეწველობა და საბაეოები.

ამ განყოფილებაში მრავალი საყურადღებო ისტორიული დოკუმენტია მოთავსებული და ჩვენი ეკონომიური განვითარების ისტორიკოსებს, რომ ზღვაც მუხლისთავამდე არ ეჭვებოდესთ, არც ისე უფიცი ვიქნებოდით იმ დარგში, როგორც დღესა ვართ. ჩვენი მკვლევარნი (ორი სამის გამოკლებით) ბურჯანიულ ურთიერთობის შემოჭრას ევრონციოვით (1845 წლიდან) იწყებენ, როგორც ქვევით დაეინახავთ, ეს სრული უფიცობის ბრალია და ფაქტების არკოდნახეა აებულა.

აქტების პირველ ტომებში მოთავსებულ საბუთებიდან ჩანს, რომ მეფის ბიუროკრატისმა საქართველოში ოქროს მატყლოვანი ვერძების ჯოგები გონებია. ამ ახალ ჯურის არონავითებს უფიქრიათ, რომ ჩვენში ოქრო-ვერცხლი და საზოგადოდ მადნეულობა ბუნსავით გყარა, საქირო იყო მხოლოდ ისეთი ქვეიანი ხალხის ხელის განძრევა, როგორც ბიუროკრატია იყო და სიმდიდრის მთებიც დაუდგებოდათ. ჯერ კიდევ საქართველოს ოფიციალურად შერტებამდი (1799 წ.) ჩვენში მოვლინებული იყო მუსინ-პუშკინის ექსპედიცია, რომელსაც უნდა გამოეკვლია კავკასიის მადნეულობა. მას უნახავს შულავერის და მონღისის სპილენძის მადნები, რომელთაც საქართველოს მთაგობა ამუშავებდა. საზოგადოდ ამ ექსპედიციამ დიდი მუშაობა ჩაატარა და მთაგობაც ბევრ რამეს გამოელოდა მისგან.

რუსეთის მთაგობა შემოსვლისთანავე გაფაციკებით ეძებს ქვანახშირს, მარილს, ოქროს, ტყვიას¹⁾. განსაკუთრებული დაინტერესება სჩანს სპილენძის მადნეულის. ამ მიზნით 1805 წელში იმერეთში გაფუზავნიათ ინგლისელი ინჟინერი მასკინი, რომელიც იყო გურიაში და სვანეთში. გურიაში მას უნახავს ს. ასკანის შიდამობებში სპილენძის მადანი. ასულა ლაილაშიც ბერი გელოვანის დახმარებით: სვანეთში დაუთვალეირებია ტყვიის მადნები. ეს მადნები ძველათაც მუშავდებოდა და ძალიან მდიდარიაო, მოახსენებს მთაგობას. თანიც დასძენს: მოვიარე ისეთი ადგილები, სადაც ჯერ არც ერთი ევროპიელი არ ყოფილაო²⁾. ერმოლოვის დროს იმერეთში მფორე ექსპედიცია გაიგზავნა (1824 წ.).³⁾ წადანს

¹⁾ АКТЫ, ტ. VI, გვ. 800.

²⁾ АКТЫ, ტ. I, გვ. 513—522 და სხვ.

³⁾ АКТЫ, ტ. II, გვ. 215.

⁴⁾ АКТЫ, ტ. VI, გვ. 275.

ეძებენ ხეცსურეთში, ადერბეიჯანში და ვინ იცის კიდევ სად! ითხზება ბიას-ნაირი პროექტები და საერთოდ დიდი ფაციფუცია ამ დარგში, მაგრამ ერთობა რომ ბიუროკრატიას არაფერი გამოუღდის ამ საქმიანობიდან დასესხებასა-კვირია: სამთა-მადნო საქმის წისამართავად მაღალი კულტურისა და ტექნიკური საჭირო, თვითმპყრობელობას კი არც ერთი ამათგანი არ გააჩნდა, მას შეეძლო მხოლოდ მზამზარეულო ლექმის ჩაყლაპვა.

ამას გარდა, სავაჭრო კაპიტალს მაინც საკუთარი ბუნების შესაფერი მიზნები ჰქონდა, — მოსკოვში დამზადებული საქონელი უნდა გაესაღებია და ფაბრიკა-ქარხნების ადგილობრივ განვითარებაზე აგრერიგად როდი ზრუნავდა. ჩამოტანილი საქონელის თავისუფლად სამოძრაოთ აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა საქართველოს ფეოდალური ხასიათის საბაჟოების მოსაზრაც და ამ მხრივ შესაფერი ზომები არის მიღებული ¹⁾. საბაჟოების საკითხი დიდხანს ვერ მოგვიარდა, და მრავალგვარი ცვლილებები განიცადა ²⁾. საქონლის მოძრაობას ჰიბრდება აგრეთვე მოუსრულებული, მტრისაგან დაცული გზა და სატრანსპორტო საშუალებანი. ამ მხრივაც დიდი მუშაობა სწარმოებს კავკასიაში. პავლე ციციანოვის მიერ წარმოებული ომები თვით ბაქოს დაპყრობამდე, რასაც ციციანოვმა სიცოცხლეც კი შესწირა, სავაჭრო კაპიტალის მიზნებით იყო ნაწარმოები. 1803 წელს გრ. რუმინანტეეს მოუწერია ციციანოვისათვის: მაქალაქი ვაჭრობის გასავითარებლად აუცილებელია საქაროა შავი და კასპიის ზღვების გაერთიანება; ეს ახრი ციციანოვსაც ფრიად საყურადღებოდ მიაჩნია. როგორც მიწერ-მოწერიდან ჩანს, ამ გზით რუსეთს სურდა ინდოეთთან, სპარსეთთან და ოსმალეთთან ვაჭრობის განმტკიცება ³⁾. 1804 წელს ციციანოვი პეტერბურგს მოახსენებს: სახამ შავ და კასპიის ზღვებ შორის მიმოსვლა უზრუნველყოფილი არ იქნება, მანამდე სპილენძს ევრსად გაეყიდითო ⁴⁾. ამ ბურჟუაზიულ მიწერა-ფებების განსაზოორციელებლად, როგორც ვიცით, ციციანოვმა აუარებელი სისხლი დაღვარა აზიურკავკასიაში. 1809 წელს დიდის ამბით გაიხსნა მის მიერ დაპყრობილ ბაქოს სახანოში ნივთსადგური და საბაჟო ⁵⁾.

საქართველოს საშუალებით რუსეთის ბურჟუაზია ვაჭრობს ოსმალეთთან ბაიანეთ-ახალციხე-ყარსის გზით, სპარსეთთან ერენის, ხოის, თეირანის და ბაღდადის ვაჭრების საშუალებით. ვაჭრობა სწარმოებს აგრეთვე იმერეთთან, ლეკეთთან და სხვ. ალებ-მიცემობა აქვს, აგრეთვე, ინდოეთთან, საიდანაც შემოაქვთ მარგალიტი, ზურმუხტი, ლალი, ალმასი, ქარკა და შალეულობა. სპარსეთიდან შემოაქვთ შალეული, ოქროსკედით ნაქსოვი ფარჩები, აბრეშუმეული, ატლასი, ხლეული, საღებავები და სხვ. ოსმალეთიდან: შუშეული, ტყავი, ხეტი, გოგირდი, სარკეები, თუთხნი, და სხვ. რუსეთს გააქვს სხვა ქვეყნებში: მალდი, ჩითი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ფარჩა, ფოლაქები, ხავერდი, სახელგანთქმული ქართული ოქროსკედით ნაქარგი და სხვ. ⁶⁾ 1812 წლის ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „აღუქსანდრე I მეფობის დასაწყისიდან საქართველოს ვაჭრობა ყოველ წლობით იფურჩქნება და ეს ქვეყანა ისეთ ფართო ალებ-მიცემობას აწარმოებს, რომლის მსგავსი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს მეფეების დროს ⁷⁾“.

¹⁾ АКТЫ, т. II, сс. 240, 242, 245.

²⁾ АКТЫ, т. III, сс. 41.

³⁾ АКТЫ, т. II сс. 211.

⁴⁾ იქვე, сс. 207.

⁵⁾ АКТЫ, т. IV, сс. 85.

⁶⁾ АКТЫ, т. V, сс. 340.

⁷⁾ იქვე, сс. 332—4.

კიდევ მრავალი საბუთების მოყვანა შეიძლებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო რუსეთმა თავის სავაჭრო მიზნებისთვის დაიპყრო, მაგრამ მკითხველის დაღლის შიშით, პირდაპირ ევრონაცოვის ხანაზე ვეღარ ვუფიქრობ.

ევრონაცივი განათლებული ბიუროკრატი იყო და ვაჭრობა-ქრეფელობის საქმეში ლიბერალურ აზრებს იზიარებდა. რუსეთის ვაჭრობის განვითარება და მშობლიური ბურჟუაზიისათვის დახმარების აღმოჩენა, მას დიდ პატრიოტულ საქმეთ შიშინდა. 1848 წელს ტფილისში რუსული სავაჭრო დეპოს დაარსების შესახებ იგი სწერს, — მე, როგორც რუსის პატრიოტი ისეთ საქმეებს გულით შევხარბო¹⁾. ევრონაცივი 25 წლის განმავლობაში ითვლებოდა ოდესის სავაჭრო ნავთსადგურის უფროსად და როგორც თითონ ამბობს, ვაჭრობის საქმე მისთვის უპირველეს სავანს შეადგენდა²⁾.

კავკასიაში დანიშნებით მას ფართო ასპარეზი ვაგებსა და, უნდა ითქვას, რომ ბევრიც გააკეთა რუსეთისა და საქართველოს ვაჭრობის საშუალებათ დასაახლოებლად. 1848 წ. მან დაარსა ჩრ. კავკასიაში ქალაქი ვისკი, რომელიც სტავროპოლისა და შავი ზღვის სანაპიროებისთვის რუსული საქონელის გადამგზავნ ადგილად გადაიქცა. შემოიღო ნაოსნობა მდ. მტკვარზე, თერგზე, სუნჯახზე და სხვ., დააწესა შავსა და კასპიის ზღეებზე გემების წესიერი მიმოსვლა, მკვიდრად შეაკეთა სამხედრო გზა და კავკასიონის ქედზე გადმოყვანა იმერეთის სამხედრო გზატკეცილი. მისი ხელის შეწყობით ტფილისში დაარსდა რუსეთის ფაბრიკანტების უდიდესი სავაჭრო დეპო, რომელიც რუსულ საქონელს ყიდოდა ბითუმად და წურილად. მისი ცდით არსდებოდა ბანკები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი. მან მოსპო აგრეთვე ქართული ფულის ხმარება. „ტფილისში ჩამოსვლისას აქაური ვაჭრობა მიამკედარებელი ენაზე და უნდა გამოვაცოცხლო“ სწერს იგი. ამ მატერიალურ ლინისძიებებს ევრონაცივმა ზედ მოაყალა უფრო უდიდესი სახის საიბლენიც: თეატრი, სკოლები, ოპერა, ვახუთი, ბალები, საღამოები, დარბაზობანი... ერთი სიტყვით რუსეთის სავაჭრო კაპიტალს მან ჩვენკენ წამოსასვლელი გზებიც გაუწაღდა, დასაყრდნობა ადგილებიც შეუქმნა და სულიერი საზრდოც გაუჩინა.

ვინ ითბობდა ყოველივე ამით ხელს ჩვენში? რასაკვირველაა, გაბატონებული წოდება. ჩვენმა განათლებულმა ევრონაცივმა, რომელიც ასე შეეტრვის ვაჭრობის თავისუფლებას და თავი მოატქეს ევრონიჭილობით, ქართველი გლეხობისთვის თითოეუ კი არ გაანძრია და ბატონყმური საზინებდანი ხელუხლებელი დატოვა. 1848 წელს მან პეტერბურგს მისწერა: მართალია, რუსეთში კი ვცდილობთ ბატონყმობის შეზღუდვას, მაგრამ საქართველოში ისე რთულია ეს საქმე და თანაც ვეზოდგმული, რომ შეუძლებლად მიმანია ხელი ვახლო და რაიმე შევეცალო მეამბულეების და გლეხების დამოკიდებულებათში³⁾, მაგრამ არც ამით კმაყოფილდება ევრონაცივი და თავადებსა და ბევრებს უხვად ურიგებს სახაზინო მიწა-წყალს და ამნაირად ახალი შემოსავლის წყაროს უხვს მათ.

მაგრამ დავანებოთ თავი ნიკოლოზ I ბიუროკრატის ამ მხრივ შესაფერ მოღვაწეობის აღწუსებას და მეორე მხარეზე შევჩერდეთ. ვარდა იმ კალაპოტებისა, რომლის წყალობით ჩვენკენ ფულის ნაკადები უხვად მოდიოდა, მეორე მხრივ ამ დროს დიდი ფულის პნევა იყო: ჩვენ ელაპარაკობთ სამართვა-გამგეო აპარატის მიერ წარმოებულ ფულის ხარჯებაზე. ევრონაცივის მართვაგამგეობის დროს აუარებელი ფული იხარჯებოდა მთავრობის მიერ. მაკიფსკი-ზუბოვის ცნობით მარტო 1853 წელს სამოქალაქო მმართველობამ 3.623.085 მ. დახარჯა ხოლო სამხედრო უწყებამ იმავე წელში 6.966.157 მინეთი გაიღო. ამ უყანას-

¹⁾ АКТЫ, т. X, 83. 197.

²⁾ იქვე, 83. 193.

³⁾ იქვე, 83. 25.

ენელ თანხაში არ შედის ის ფული, რომელიც სპეციალურად სამხედრო საქმეების წარმოებაზე იხარჯებოდა, ასე რომ მარტო ამ წელში მთავრობას ექნება დახარჯული 15 მილიონამდე ფული...

დასეთანხმებით, რომ საერთოდ ვაქრობის განაღების შეწყობის შესახებობის მხრივაც ამოღება ფულის მარტო ერთ წელიწადში დახარჯვა (ვორონცოვი ათი წელიწადი იყო ჩვენში), ჩვენი ქვეყნის ნატურალური ძეგრობებისათვის პირდაპირ ეცესხის წაკიდებას ნიშნავდა. ვორონცოვის პოლიტიკა—ეს ნამდვილი ხანძარი იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში და ამას შესაფერი სულიერი განწყობილებაც უნდა შეექნა. მაგრამ ამასვე ქვევით, აქ კი აი რაზე უნდა შევიჩრდეთ.

როგორც უკვე ვსთქვით, ვორონცოვის მიერ მიღებული ზომები მაინც და მაინც ბევრ ახალს არ შეიცავდა: 1821 წლიდან 1832 წლამდე ვეროპის საქონელი 5 პროც. ბაჟით შემოქონიდათ ჩვენში, მაგრამ რუსულმა ვაჭრობამ კონკურენციას ვერ გაუძლო და ამიტომ ეს შედეგითი მოსპეს. გარდა ამისა მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უწყობდა ვაჭრობას; ამ მიზნით 1822 წელს გამოიცა კანონი, რომლის ძალით უდიდესი უპირატესობანი ენიჭებოდათ იმ პირებს, ვინაც რუსეთიდან საქართველოში ვაჭრობას დაიწყებდა¹⁾. ვაყავდათ გზები, ებრძოდნენ მთიულელს და სხვ. ვორონცოვმა მოსვლისთანავე მოითხოვა ზოგ უკვე ხაცადი ზომების ხელახლა შემოღება, მაგ. 5 პროც. ბაჟის აღდგენა უცხოეთისათვის და სხვ. მაგრამ ამის ნება არ მისცეს კონკურენციის შიშით.

მთავარი ვარებოება, რომელიც ხელს უშლიდა ვორონცოვამდე რუსეთის ვაჭრობას ჩვენში მაგრად ფეხის ზოკიდებას, პოლიტიკურ პირობებში იმალებოდა: სპარსეთი და ოსმალეთი დიდხანს ვერ შერიგებოდნენ რუსეთის მიერ კავკასიონის გადმოღებას და მუდმივი შიშინაობა იყო. სხვათა შორის 1815 წელში სავრანგეთში მომხდარ ბურჟოაზების რესტორაციის ოსმალეთის მთავრობა ვაუმავრება და უკანასკნელსაც, როგორც არტიშჩევის მოხსენებიდან ჩანს²⁾, მთელი დისკლეთ საქართველო მოუხხოვია რუსეთისათვის. გარდა სავარეო ომებისა და შიშინაობისა, შინაური აჯანყებებიც იყო საქართველოს ორივე ნაწილში, მარტო მთათან ონი 60 წელი გაგძელდა; ხშირი იყო აგრეთვე ეპიპიანობა, შიშინაობა და სხვ. ყოველივე ეს ნებას არ აძლევდა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს სათანადო ვაეშლა ფრთები, ვორონცოვის დროს კი, შედარებით უკეთესი პირობები იყო და მისმა ნოღეაწეობამაც ნაყოფი გამოიღო.

საინტერესოა ერთი ვარებოებაც: როგორ ხედებოდა ჩვენი მოსახლეობა რუსეთის ბურჟოაზიის შემოკრას? თავისებური ვაჭრული ელემენტები და ქალაქური მოსახლეობა მუდამ არსებობდა საქართველოში, რუსეთის შემოსვლამ ეს ელემენტები საქნაოდ გააძლიერა და ამოძრავა კიდევ. აი რა საინტერესო ისტორიული ცნობა მოიპოვება ადგილობრივი ბურჟოაზიის ამოძრავების შესახებ. როგორც ხევით ვაჭრინდა მოხენებული, ვორონცოვის ხელის შეწყობით ტფილისში დაარსდა რუსის ფაბრიკანტების საქონლის გამსაღებელი დეპო. ამ ანბავს თავზარი დაუცია ტფილისის ვაჭრებისათვის და 1847 წელს ვორონცოვისისთვის უთხოვით: არ დაგდებოთ, ამ დეპომ წერილად ვაჭრობა არ დაიწყოს, თორენ ჩვენ საქონელს ვერ ვავახლებთო³⁾. ვორონცოვი, რომელიც ამ დროს შინაღის წინააღმდეგ ომობდა, საშინლად ვაუბრაზებია ამ განცხადებას და მკაცრ პასუხს აძლევს „იმ სომხისპო ვაჭარს, რომელთაც თავიანთი დამპალი საქონელი ვერ გაუსაღებიათ უვარვისობის გამო“, დაახლოებით ასე სწერს ვორონცოვი: მეო, მუდამ ვაჭრობის თავისუფლების მომხრე ვიყავიო

¹⁾ АКТИ, ტ. VI გვ. 263.

²⁾ АКТИ, ტ. VI გვ. 321.

³⁾ АКТИ, ტ. X, გვ. 190.

და ამას ვადგევარ ამ შემთხვევაშიაცო. ვადის ხანი და აღმოჩენილა, რომ ქრუს-
ლი საქონელის დეპო“ არც ისე პატრიოტული და უანგარო გამოდგარა, რო-
გორც ევრონცოვის ეგონა, — თურმე სულ უფარგისი საქონელი ჩამოიწიეს და
ჩვენი ლიბერალი მმართველიც კოტა არ იყოს უფუნებოთაიანსა

საინტერესოა ვიცოდეთ — რას შეგზოდა ქართველობა იმ დროს, როცა
სომხის ბურჟუაზია ევრონცოვის პროტესტს უცხადებდა და, ამნაირად, საკუთარ
ეკონომიურ პოზიციებს იმაგრებდა. როდესაც 1848 წელს ევროპის ცის კაბო-
დონზე გერმანიის და საფრანგეთის რევოლუციებმა გადაიგრგვინეს, რუსეთის
იმპერატორს თავისი ხალხის მიმართ მანაშვილური მანიფესტი გამოუცია: შე-
ხეთ, ევროპაში რა სისამაგლე ხდება, არ გაგიწყურეთ ღმერთი, თქვენც მათ არ
მიზაძითო. ამ მანიფესტს ჩვენამდეც მოუხწევია და 1848 წლის 24 აპრილს ჩვენს
თავადობასაც მონური აღრესი მიურთმევია რუსეთის, ხელმწიფისათვის: თვით-
მპყრობელობა ჩვენი გამაბედნიერებელი რეჟიმია და, დიღო მეფეც, თუ კი საქი-
როთ მიგაჩნია და სადმე მისი მტერი გვეულებმა, გვიყავი მოწყალემა და მათ
წინააღმდეგ საომრად წაგვიყვანე, მზათა ვართ, სადაც გინდათ, იქ ვღვაროთ
სისხლი¹⁾. კომენტარებიმ ზედმეტია: ბურჟუაზია საქმიანობს იდლითა და სასწო-
რით, ჩვენი თავადობა კი დაგანგულ ხმალზე იდებს ხელს... ემა-გლებობაზე ხომ
ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ ისე, იყო თუ ისე, ჩვენი საზოგადოების ფსიქიკა მიანიც შეცვლილი
იყო და შედარებითი მშვიდობიანი პირობები ვაჭრობისათვის უკვე დამდგარი
იყო: ევრონცოვის პოლიტიკოს მიერ შრავალის მხრივ ჩვენს ეკონომიკაზე მიტა-
ნილი იერიში, როგორც ესთქვით, ხანძარს აჩენდა, შეუძლებელი იყო ამ ხანძრი-
საგან თავის დახწევა.

ცეცხლის დროს აუარებელი ქონება ინთქება: ზოგს პირდაპირ აღი სპობს
ღ ზოგიც გადაჩენის პროცესში ნიდგურდება. მეურნეობაში მეუღლება ანარქია,
ძლიერდება ველური ექსპლოატაცია და მტაცებლური ინსტიტუტები, არაჟინ ცლი-
ლობს საწარმოო იარაღების გაუაჯობესებაზე და ყველას იმპყრობს უკებ გამდი-
დრების სურვილი.

ამ ნიადაგზე ხდება ადამიანის ფსიქიკის გაბრულება: შანტაჟისტობა, აფე-
რისტობა, გაიძევრობა, ფლანგვა, მატყუარობა, უპირულობა, ყაბილობა, ფულის
შეძენის სურვილი ყოველხაირის საშუალებით, ილაბება წმინდა გრძნობა — ვაჭრო-
ბენ სიყვარულით, პატიონებით. ირგვლივ მეფედება ვაუტანლობა, ეგოიზმი, დლი-
ური ინტერესები, არაივის ანსოვის საერთო საქმე, არც წინ უნდათ გაიხედონ, არც
უკან იბრუნებენ პირს. ძველი ეკონომიკის გეში ილუპება, გარბიან ვერთაგვები...
აი, ამგვარ ეკონომიურ პირობებში აღმოცენდა გიორგი ერისთავის პერ-
სონაჟები. გაეიცნოთ ეს პატივცემული გეშეები.

კომედია „გ ა ყ რ ა“. ძველი ფეოდალი ანდუყაჟარ დიდებულძე, რომელიც
თანშებრდია მრავალრიცხოვან პატრიარქალურ ოჯახს და მის ეკონომიურ სიმ-
ღიერეს ნატურალური მეურნეობის წიაღში, თვალცრენლიანი სტირის:

შეი ოჯახო, კარგო ოჯახო,
შემდგომ გაყრისა ვის დაეენახო!
ახ, ველარ დაეეემ კარავსა მკაში,
უნდა ვიმალო მე მამიათაღში!
სად ენახამ საიასს ნამგლის ტრიალსა?
ჰოპმის გუგუნსა, ყანის შრიალსა...
... ეს ჩემი ზვარიც უნდა გამიყონ?
მამ სასაფლაოს ებლაე წამიღონ...

¹⁾ იქვე, გვ. 26.

თერგდალეული ჩემი ძამია,
ილაჯს იწყვეტამს, შემომომდგომია...
აღარ ისვენებს, არ იშლის გაყრას,
სახლს ის წაიღებს, მიპირებს აყრას.



თერგდალეულმა ძამიამ* ბურჟუაზიული ცხოვრება დაყნოსა რუსეთში, ოგრძნო ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი და ძველი სამეურნეო ერთეულიც არ აკმაყოფილებს მას, რაღაც ახალს უპირებს შექმნას:

ზეარში აპირებს ვახუშტის დაქრას,
ვახუშტის წილად თეთების ჩაყრას.

ნაჩქარევად დამწიფებული ხეილი უფარგისია, თერგდალეული ივანეც ისეთი ხილია: გარეგნულად „შეთვისებული“ კულტუროსნობა, ნაჩქარევი და უტრადიციო ევროპეიზმი და... კომიკური მდგომარეობაც აუცილებელია: ახალი ცხოვრების შინაარსი ისე პატარაა, რომ ვერ შეგუდება ევროპიდან ნასესხებ დამთავრებულ ფორმას — „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარაყო“ და ჩვენი თერგდალეულიც სასაცილო მდგომარეობაში ვარდება.

— ის დალოცვილი დადის და ვარშაულად ჰფიქრობს გააკეთოს ბაღები, — ამბობს მისი მსახური გაბრიელი, რომელსაც ხელში ხეების სასხლაევი მაკრატელი უქორავს. — ი, გუშინ მომცა ეს მაკრატელი, ამითი ხეები დაკვეცო. აბა კაკალი როგორ დაკვეცო?

ფორმა ადგილი შესათვისებელი შეიძნა, შინაარსის შიგ ჩადება კი ძნელზე ძნელი შეიქნა.

ევროპეელები ლამაზად იცემავენ, კულტურულ ცხოვრებას ეწვევიან: კარგი ბინები, სმა-ჭამა, თეატრები, ბაღები, ჩვენს თერგდალეულსაც მოუნდა ეტლები, „ლიბერლით მორთული“ საქუა, „მოსკოვისა სანთელი გოსტინაში“, „ატლასის ზანავესკის შემოკბილი საწოლი“... ყოველივე ამისათვის კი საჭიროა ფული, ფული და ფული... საჩქაროდ, დაუყონებლივ, თორემ ცხოვრება მირბის, თუ მარჯვეთ არა ხარ, ჩამორჩები, გაიროყები.

ამიტომაც რუსეთშივე — თერგდალეული — ბურჟუაზიულ კულტურის ნაშხეფი, — თავქუდმოგლეჯილი დარბის და მამამაპურ ქონებას ყიდის, ბანკში აგირაფებს ან და მიკირტუმ ვასპარიზისგან ნაჩქარევად „ინაცვებს ხელს“. ამ ფულებით ვითომ ეკონომიურ საქმიანობასაც იწყებს, კულტურულ ცხოვრებას ეწვევა და თანაც რაღაც იდეალურ გრძნობებსაც ეთამაშება: სიყვარულს გარეშე არ უნდა უკალი შეირთოს, როგორ დაიმკირებს პიროვნებას შილურის იდეალებზე „ალსრდლი“ გვაში...!

მავრამ შინაარსი და ფორმა აქაც დაშორდა ერთმანეთს და კომპანიც აუცალბებელი შეიქნა, ქარის მონაბერი პრინციპები ქარშივე წაიღო: ივანემ მიკირტუმას ქალი შეირთო და მოზღვავებულ ვალსაც თავი ამით დააღწია. სიყვარულზე ლაპარაკმა და სხვა მძალამა იდეებმა ჩაილურის წყალი დალია. „გივერაცუა“ ფულების ფლანგვას დღეიდან უფრო ერთგულად განაგრძობს — რა ენაღვლება სხვისა ქონება — და მით შინაარსი კიდევ უფრო დაშორდება ფორმას, ახალ ეკონომიკის მიერ გაბრუნებული ცხოვრების სარკე კიდევ უფრო გაიბრუნდება: დაირღვევა ეკონომიური ბაზა, დამახინჯდება და გაიბზარება თითონ ადამიანიც, რომელიც ამ ეკონომიურ პირობებზეა დამოკიდებული.

და ეს ემართება არა მარტო ახალი დროის შეილებს და ახალ ტიპებს, არამედ ფეოდალიზმის ისეთ პატრიარქულ გვამსაც კი როგორც არის ანდუყაფარ დიდებულები.

— კახიშვილი რომ აიკელი იმითი არ წახველ ქალაქსა, შე გაუმადლარო? — ეუბნება მას ძმა.

ძველ დროში ანდუყაფარის რისთვის უნდა დაქირავებოდა ქალაქში წასვლა? ბატონ-ყმური მეურნეობის ნაყოფი უბევდ ჰქონდა და კულტურულად შინ კმაყოფილდებოდა: ხუცესი, სახარება, „ყარაშიანი“, „ქალაქიანი“... დღეს კი ქალაქში, თურმე, სხვადასხვა გასართობია, თარხა-ფურჩი შემოსულა, უცხო ადამიანებს ნახავ, ახალ შენობებს იხილავ, თვალს წყალს დაალევიან, დროშეკანი ჩაუდები... ამიტომ ყმებთან დამოკიდებულება იცვლება: არსებული ბევარა არაა საქმარისი, მაშ დაწიოკება და გავლევა უნდა იქნას მოშველებული, სხვა გზა არ არის... ძველი ბატონი გამკაცრდა კიდევ უფრო მეტად: „ხასიათი გამოეცვალა“, „ძაღლობას მოუმატა“, „ღმერთს გადაუდგა ამ სიბერის დროს“...

ასე აებნა გზა და კვალი ძველსაც და ახალსაც: ანდუყაფარი და თერგ-დალეული ერთ მანეთს ეკლებიან. ასე გასინჯეთ დარბაისელი ქართველი კნენინებიც კი არ ჩამორჩებიათ თავიანთ ქმრებს და დღალ-კაეებიანი მაკრიხეც დღეში ასჯერ გაძვრება ნემსის ყურში: რას არ კადრულობს, რას არ ჩადის ქონების შეძენის სურვილით გატაცებული! ასე გასინჯეთ ქალიშვილთაც კი აპირებს ვაჭრობას, — მსაჯულს მოისყიდის მისი სიღამაზით. დამეთანხმებით, რომ ასეთ კნენებს არ იცნობდა ძველი საქართველო!

მიკირტუმ ვასპარიში ხომ სულ თავისებური პიროვნებაა: მისი სული და გული ფულის ტრიასს მიეყვება-მოყვება და ადამიანის ყოველგვარ ღირსებათა საზომად ბრჭყვიალა ლითონი მიიჩნია. მიკირტუმი ერთის მხრივ მართალია: თავისი პირადი ბედნიერება მას ამ გზით ლა უგეშებია, ქალიშვილის გაბედნიერებაც მოინდომა და ისიც შეისრულა, — თერგდალეული ივანე ფიზიკურადაც იყიდა და სულიერადაც. ეს ახალი თავადიც ისე ადვილად დაიმორჩილა, როგორც ძველებს იმორჩილებდა. მაშ რა ბედენა ყოფილა ეს შენი ვეროპიული სწავლა-განათლება? თურმე ისიც ფულზე იყიდება! ფული ყველაფრის საზომი ყოფილა და განა სასირცხოა, რომ მიკირტუმამ იმით ზომოს ამ ქვეყნიური ყოველი ღირებულება?

ეს პიროვნება ახალი ცხოვრების შეილია, მას აზროვნებაც თავისებური აქვს და ფსიქიკაც. ფეოდალური რაინდობის არაფერი არ გააჩნია, მისი ზნეობა არ ჰგავს მებატონეებისას.

კომედიის „დავა.“ ამ კომედიის მიხედვით ტიპებია გამოყვანილი, რომელთაც დაეთრება არევიათ ახალ-ეკონომიურ და კულტურულ ვითარებათა გამო. ბეგლარი და მიხელი „გაყრასი“ გამოყვანილ ივანეს რეალში ძმები არიან, იმათაც ბლომად შეუსვამთ თერგის წყალი, — პეტერბურგში განათლებულან, — მაგრამ შესძლების მონელება კი ვერ მოუხერხებიათ. უცხოეთიდან ჩამოტანილი „შილერისებური იდეალები“ შეუმჩნევლად შემოაბუნდათ ხელში და ბევრი ბაქი-ბუქის შენდევ ისევ მამა-პაპათა გზაზე დგებიან, ერთხელ „ატროკებული ბეკვა“ ისევ შინ ბრუნდება. მათი პიროვნებაც გააზარულია, ხასიათი გატეხილია და მთლიანობა აკლიათ.

უნდა ითქვას, რომ ამ თერგდალეულების მამები, შედარებით, უფრო მტკიცე ხასიათის პატრონი არიან, ვიდრე მათი შვილები. მართალია, ისინიც ბევრს ქანაობენ უჩვეულო ეკონომიურ ტალღათა შეხებითებაში, მაგრამ იმდენ სიძლიერეს მაინც კი იჩენენ, რომ ხშირად შვილებიც თავის მხარეზე გადაჰყავთ და რუსეთიდან ჩამოტანილ მიდრეკილებებსაც აცვლენებენ. ახალგაზრდებს მერყევ ეკონომიურ პირობებში მოუხდათ სწავლა-აღზრდისა და ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბება, ისინი მობრუნალე ეკონომიურ ტალღების შეილება და ადვილათაც იხნიქებიან.

თავადებს — ია ია ქიორელსა და ლომინ გოდაბრელიძეს ხომ სულ აზნევიათ დავთრები ახალ სანახაობათა გამო! ესენი ძველი საქართველოს შვილებია, ბა.

ტონუსორ საჭართველოსი, სადაც მამა-პაპური ცხოვრება შიტბოლიადა. სოფელი და ქალაქი ბევრით არაფრით განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. დღეს კი, თავად ქიორელის სიტყვით

— „ნელარ ნობრძანებთ, მამა თქვენი ნუ წავიწყდებათ, გამაყვარევი მთქონო: საბურთალოზე გამოსულა მთელი ხალხი, თითქო ხოლორამ შემობერტყაო... სახლები სასაცილოა, ჩვენებურათ ხომ აღარ არის, შუაზე ზალა და აქეთ ოთახები... ამ საშინელ სასახლებებს ირგვლივ ზო არა აქვს რა, რომ შეხედოთ თითქო ყბაყურა შეყრიათო, გვერდებზე გამობერილი აქვთ (მოაჯირები), სასაცილოა. ფანჯრები სწორეთ ასო მთავრულ ღანსა ჰგავს.“
ძველი ყოფის აზრთა გასაცვლელ-გამოსაცვლელი სალაყბო (ძველ რომში ფორუმში).

— სადღა არის? ვისაცა ვკითხე, მასხარათ ამიგდო: დღეს სალაყბო რისა ჰქვიანო? ვითომ ყმაწვილები იცნო თუ? ვინცა ენახე, ნემცების ღვდლებსა ჰგვანდენ: ასულნი, აწუწულნი, სასაცილოა, შენ ნუ მომიკვდები! ფერი ხომ აღარა-აქვთ; და სხვა.

ანის გამგონე ძველი თავადი ამირინდო გაოცებული ამბობს:

— მამა არ წამიწყდება სხვა ხალხი თუ მისულა, იწება უკელმა გადატრიალდა ჭეყვანი, მე არ მესნის, მამაჩენი არ წამიწყდებაო“.

ქეშარიტად უკელმა შებრუნდა ყველაფერი, ძველ ცხოვრებასთან ერთად ძველ ადამიანებსაც შეერყათ ნიდაგი, ახალი ყოფა-ცხოვრება რევოლიუციას ახდენს მათ შეგნებაში. დაუფდოთ ყური იმავე ქიორელს:

— ახლა სკამები დაშლივნები უნდა ნახო! სკამი ხომ სკამს არა ჰგავს, ზოგი ისე გველვიეთ დაკრებილია, ზოგი ისე. ზოგი ორპირი სკამი... იმ ორპირ სკამზე დასდებიან, ზურგი ზურგ შეატყვევენ... მე შგონია ცოლქმარი რომ წაიხტებებიან, ან რძალ დედამთილი, იმაზე დასდებიან“...

მათ ბრწყინვალეობის ძალიან ანკვიფრებს აგრეთვე ახალი სასმელ-საქმლების ნახვა: შუშუნა შამპანიური, წინიანი შეკამანდის კოვზებით ჭამა და სხვა ამისთანები. პირდაპირ უკულმა გადატრიალდა ჭეყვანი: „პატრების ხარის მაგივრად ქალაქში ხარბაზანი გაეარდება შუადღისას,“ არც სადილია თავის დროზე, არც ვახშამი. ახალი ტანსაცმელი, ჩადრი ვადააგდეს, „განხდა კალოშები, ქმრების ვაჭების ამკლები ბობოიკო... ასე შეიკვალა ყოფა-ცხოვრება და ანის მიხედვით ფსიქოლოგიაც აფორიაქდა.

კომედიკა „მუნჭი“. კარაპეტა დაბალოვი ახალი ცხოვრების ბატონ-პატრონად გრძნობს თავს, ვინ არიან მასთან ძველი თუ ახალი ტიპის თავადები! ვისი ტიპი-ტიპარაა ანდუყაფარ და ამირინდო თავიანთი მამულებით და ხობაღუნებით! ვისი ბუხებია ყველა ეს თერგდალეულები—არჩილები და მისიანები! ახალი ეკონომიური ვითარების ძარღვი კარაპეტაა, ფულებით ხელში დგას და ისიც ასე იქადის:

— ახლა თქვენა თქვით თუ ცალი ვინმე მყავს! რა გინდათ რომ ვენა? როგორ გინდათ ვენა? თუ ტიპატრისათვის... რკინის ჭანაპართე, ტოიესტ ეულეზნუ დაროვუ, დენლი ვსიო მოეზო, გინდა მე ხვალეკ გავხდე პუზოტნი ლრაედანინ, ბლუდროოდინთ გავხდები, დეარაზა ბლულოროდნიც.

ისტორიას უნდა ჩაბარდეს ძველი ბატონები, მათ მაგიერ ახალი ბატონები გაჩენილან, დღეუდლოთ ყური როგორ განაგრძობს იგივე კარაპეტა:

— შეფე არა ვარ? აბა ვის უდგას ამისთანა ოქროს ტახტი? შეფე ვარ რაღა! გაგიგონიათ ოქყალი ჯადო რომ იყო, ისე ვიქ: სოფელს თავდაყარა უზამ. რამდენი კეთილი საქმე ვიქ! პირველი ვინც ბედოვლათია ჯალათი უთხრამდი: თავიკრტე! რამდენი ქართველის თავი გაგორდება: ბედოვლათი სომხები, პალტოებით რომ დაიარებიან... მივაკრავ თავინთ დროშკას ლეგაინ ლესოზი, ისე ვითრე...“

კარაპეტას პირით ახალი ძალა ლაპარაკობს, ასეთი გუგამები არც ერთ ანდრეჟაფარს არ მოღონებია. ისინი მუდამ შინ იჯდნენ და მამა-პაპურ კარპი-დამოს არ შორდებოდნენ, კარაპეტა კი რკინისგზების გაყვანით მამულისა და ფეოდალურ კარნავეტილობას არღვევს. მისთვის ვიწროა ძველი ცხოვრების მესვეურთა სამოქმედო ფარგული. ის ეკონომიური ძალა, რომელიც მას უპყრია, ისეთი თვითნებისაა, რომ ერთ ადგილას ვერ გაჩერდება, ფართო ტერიტორიაა მოითხოვს, შორს უნდა გაიქრას და მისი მფლობელის ფიქოლოგიაც თან უნდა ატაროს, მისი გრძობები და აზრებიც მასთან ერთად უნდა მომზაობდნენ.

მართალია, ჩვენი კარაპეტა, როგორც ფიზიკური არსენი საბაბისოდ არ გამოდგება, ფულის უსომო სიყვარულს ის სამუდამოდ დაუადრეყოფება და მოუშლია, მაგრამ საქმე ამასი არაა, — მისი ფული დღეს იქნება, თუ ხეალ პატრონს მოინახავს და მოიმოქმედებს ყოველადეფრ იმას, რაც მის ბუნებას შეეფერება.

კარაპეტა მტკიცე ნებისყოფის კაცია: ცხოვრება მისგან მეთაღიურ და სისტემატიურ მოქმედებას მოითხოვდა და იმანაც უმეტნაკოთ შეასრულა ეს მოთხოვნა: მომჭირნებით, გეგმიანი ჩარჩობით და სხვა ამგვარი „მუშაობით“ აუარებელი ჭონება დააგროვა და დღეს მეფობასაც კი აპირებს. მან მტკიცე ეკონომიური დასაყრდენი შეუქნა თავის თავს და კიდევაც ამიტომაა, რომ არჩილის თავადობა და ინტელიგენტობა ფეხებზედაც არ ჰკიდია: ერთხელ გადაწყვეტილი აზრი ნებაყოფლობით ვერავინ შეაცვლევინა, მხოლოდ მოტყუებით დაიპოვრჩილეს იგი.

სასაცილოა კარაპეტა, მაგრამ ასევე უფრო სასაცილოა თავადი არჩილ ლახელი, რომელსაც ბლომად აქვს ძველი შეურნეობის პროდუქტები: პური, ლენო, შეშა, მაგრამ აკლია ერთი რამ-ახალი ცხოვრების მთავარი დასაყრდენი ძალა — ფული. ამ გარემოებამ ერთიანად დააკარგვინა წინასწრობა, დაავიწყა თავადის რაინდობა თავმოყვარეობა და მოწადინებულობა, რაც არ უნდა დაუფუდეს მდიდარ კარაპეტას ქალი შეერთოს. ამ მიზნის მისაღწევად თავსაც იმეორებს და კომედიის გათამაშებასაც არ თაკილობს. კარაპეტა პირდაპირ ეტბნება მას: უყარათო კართველი ხარ, ფულის შოვნის უნარი არა გაქვს, ნაშოვარსაც ვერ მოუვლი, ახალი ცხოვრებისათვის არ ვარჯიხარ და ამიტომ ქალსაც ვერ მოვათხოვებო. მაგრამ თავად არჩილს ერთიანად დაკარგვია ძველი თავადების თავმოყვარეობა და ყველაფერ ამას უპროტესტოდ ისმენს. განა ანდრეჟაფარები და ამირინდოები — ეს ძველი ფეოდალიზმის ბურჯები — თავის დროზე ასეთ შეურაცყოფას აიტანდნენ ვილაც ჩარჩ კარაპეტასგან? ისინი მტკიცე ეკონომიური ნიადაგის შეიღები იყვენ და ხასიათიც მტკიცე ჰქონდათ, არჩილა კი შერყეული დასაყრდენის შედეგი. და მისი ხასიათიც ასე დონდლოა.

განსაკუთრებით სასაცილოა იგი პიესის უკანასკნელ მომენტში, როდესაც კარაპეტა ხმალს მიართმევს სანუქრად. ეს ხმალი, თურმე, მის ჩარჩ სიმამრს არჩილის პაპისგან ჰქონია ოდისღაც დაკარგვებული და კიდევ შერჩენია. მოაზროვნე ადამიანისათვის ამ პატარა ფაქტში მთელი ტრაგედია გადაიშლებოდა, გაკოტრების გზაზე შემდვარტ წუთების ტრაგედია, არჩილი კი ასეთი ლექსით შეამკობს „დაქანჯულ რკინას“ (კარაპეტას სატყუებია):

შენ გზედავ, ხმალო, პაპისა ჩემის,
ჩემგან შექმდვა და მორთვა გშევნის!
შენით არ იყო ავთანდილ ვმირი
ამარცხის სპარსნი? ვითა საყვირი
მეორეთ მოსელის, მით დასცეს ზარი!
შენით არ იყო ერეგნის ჯარი
სჩება და სთოგუნა? ციხისა კარი
გახებნა იმან დე დაიქირა;

„ნეტვე მობრძნდი“ მან დააცვირა!

როგორ, შემეტყვი მის შვილი შვილსა,
ღვთა და სპარსთა ვსპირიდე, ვით ცერლსა,
შთამბერე მისი შენ ვაეკაცობა,
ზისი სახელი, პატიოსნება!

ქართული
ენების

არჩლი გარეგნულად ძალიან გატაცებულია ახლი ცხოვრების ფორმით, მაგრამ ზისი ზინაძის კი ვერ შეუთვისებია და ისევ ძველ, დროშოვულ ჩარალს უპირებს ამოძრავებას. თუმცა ძალიან საეჭვო კი არის მისი ვაეკაცობა... მას უფრო თავადური აუღმბიური ფსიქოლოგიის ნაშთები ატრანაბებენ, ვიდრე პირადი სიძლიერე. იგი ვერ ამხნევს იმ საშინელ ტრადიციულ კომედიას, რომელშიც იგი ჩააგდო დავირავებული ხმლის საჩუქრად შირთმევიამ.

რა განაჩენი გამოუტანა გიორგი ერისთავმა ეკონომიურ ურთიერთობას და ამ პარაბელში შეეცნა-წარწოზილ ადამიანებს? გვეი არ არის, რომ უარყოფითი.

წარსულ ეკონომიკასა და იმ დროის ადამიანების ბატონობის ხანას აღსასრული დაუდგა, ახლად მოვარდნილმა ნიაღვარმა უკვე გამოურეცხა ძირი და დღეს თუ არა ხეალ დაამოძბს, ძველი ეკონომიკის წილში ერთ დროს მკვიდრად ჩაჯდარი წოდება, დღეს ბუღიდან ამოვიარდნილა. მაგრამ ვერც ახალ მოღვაგრებათა ჯერ ფეხი, ფულის სიტკბოებს ყველა ადგილიდან დაუბრუნებს და ისე ეხვევიან ამ სიტკბოების თილისმის პატრონ კარაბეტებს და მივირტუვებს, როგორც ბნელში ანთებულ სანთელს ღამის ბუზ-პეპლები. იტრუსებიან უმწერო არსებანი, ზედი-ზედ იღუპებიან ნოლაპლაპე აღში, მაგრამ თავი მიინც ვერ შეუღვაგრებიან. წინა წამში დაღუპულთა ბედი მაგალითად ვერ გამოუყენებიათ და უმოწყალოდ ისპობიან... ახლი ვითარება ყველას უკლავს, ამ პროცესის შეჩერება არავის შეუძლია... ეს ნამდვილი საბედისწერო მოვლენაა... ფეოდალიზმი უნდა დაღუპოს, მის ნანგრევებზე კაპიტალიზმი უნდა გაბატონდეს... ასეთთა ერისთავის კომედიების მიხედვით გამოტანილი ვინაჩენი.

გიორგი ერისთავმა კარგად იცოდა, რომ ბურჟუაზიულ ეკონომიურ წინსვლას ბატონ-ყმობის არსებობა უშლიდა ხელს; თავისუფალი მუშა კაპიტალიზმის გასავითარებლად ერთი პირველი პირობათაგანია, — ეს თუ არ იქნა — ვინ იმუშავს გარბანაში და ვისგან აიღოს კაპიტალიზმისა ზედმეტი ღირებულება? ამიტომ ბატონ-ყმობის მოსპობა გიორგი ანოცანა იყო იმ ხანებში. მაგრამ სასტიკი ცენზურული პირობები ამის შესახებ აზრის პირდაპირ გამოთქმას აბა ვის დაახებდა! ამიტომ გ. ერისთავმა აგერ-ეგერ საკმაო მოხერხებით გაკენწლა ეს საშინელი ინსტიტუტი: გმობს სასტიკ მოურავებს და ყმების აწიოკებას. მართალია, პრინციპიალურად ვერ დაუგზიბა ბატონ-ყმობა, მაგრამ ყმებისადმი ჰუმანიური მოპყრობა აუცილებლად მიიჩნია: „გაყრის“ გმირი ივანე ლაპრაკობს: „კაპია პოეზია ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ ბედნიმ ჰომეშიკომ“... ამაზე მეტს მაშინდელ სასტიკ ცენსურულ პირობებში ვერც რუსეთის მწერლები ამბობდნენ. არც ტურგენივს და არც გრიგოროვიჩს ანაზე მეტი არ უთქვამთ ბატონ-ყმობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე ამბობს გ. ერისთავის შესახებ: „მისი კალამი უფრო სათავადიშვილოდ არე-სარეში ატარებდა ზენს ვინებასო¹⁾. არ ვფიქრობ, რომ ეს აზრი ერისთავის შესახებ სიმართლეს შეეფერებოდეს, მაგრამ ილიას მიერ ხმარებული გამოთქმა ძალიან მომწონს: საგლლისხმოა ამ სიტყვებში ჩადებული აზრიც: ის მწერალი, რომელიც მთელი თავისი ძლიერი ნიჭის საშუალებით რაღაც ზეკლასიურობას ემსახურებოდა და დაჯინებით ეტრფოდა კლასთა შე-

1) ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 245, 1927 წ.

თანხმების და არა მათ შორის ბრძოლას, აი, ეს მწერალი აღიარებს, რომ გ. ერისთავი, როგორც მხატვარი, კლასიკურის თვალსაზრისით ხატავდა სინამდვილეს. ეს, რასაკვირველია, სხვათა შორის.

გ. ერისთავი განსაზღვრული წოდების შვილი იყო და ამ წოდების სიყვარულიც დიდი ჰქონდა; ფაქტია, რომ იგი არ ყოფილა თავის წრისაგან განდგომილი (ოტშენენეც), იგი მხოლოდ კეთილის განზრახვით აკრიტიკებდა თანისაინებს, — დაინებეთ თავი მამა-პაპურ ბედოვლათობას, მიჰყავით ხელი ვაჭრობას და ფულის შოვნას, გაკულტუროსნდით, თორემ დაიღუპებითო. აქ იგი, უსათუოდ, ერთგვარ კლასიურ გადახრას ამგლავებდა — მამასადამო ი. ქაჭავაძის აზრით მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება მივიღოთ, — მაგრამ შეურყეველია ის დებულება, რომ თავისი შემოქმედების სიმძიმის ცენტრი გიორგი ერისთავს ახალი ეკონომიური ურთიერთობის და ახალი ადამიანების დასასურათებლად ჰქონდა მიმართული. მე პირდაპირ ვამბობ, რომ იგი, „სათავადი შვილო არე-მარეში“ ჩამდგარი ბურჟუაზიულ ცხოვრებას შეტრფოდა და ანწიარად ამ ახალი კლასის იდეოლოგიის როლში გამოდიოდა. ეს მწერალი სრულიად გაიკვეცილად და ნათლად იდგა თავის დროისათვის ფრიად პროგრესიულ და სიმპატიურ თვალსაზრისზე; შეხაროდა იმ ურთიერთობას, რომელსაც ქართველი ერის ცხოვრება უნდა გარდაექმნა და რუსეთის ბიუროკრატიულ უღელში შებმული ქვეყანა ახალ მიზნებისკენ უნდა გაექანებია. ამ აზრზე დაყენა იგი პოლონეთის ცხოვრების დაკვირვებამ და ამავე აზრს ემსახურებოდა თავის სამშობლოშიც. ამ დებულებას ამჟამად ამტკიცებს მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები და მისი კომედიების საერთო ტენდენცია.

გიორგი ერისთავის მიერ დახატული ტიპები სინამდვილის ცოცხალი შვილებია, რომელთაც ამოძრავებთ ჩვეულებრივი ადამიანის ყოველდღიური ინტერესები. მათი დიდი უმეტესობა არაფრით არ გამოიყოფა ხალხის უბრალო მასიდან, მხოლოდ რამდენიმე ინტელიგენტი, რუსეთზე-თერგდალელთა თუ აპირებს ბრბოს გამოეყოს და თავისი პიროვნება დაიცავს, მაგრამ მონეტქილი ნიაღვრის ტალღებს ვერც ისინი უმკლავდებიან და მალე ჩვეულებრივ მომაკვდავე-ბათ იქცევიან.

ჩვეულებრივ ადამიანებს სალაპარაკო ენაც ჩვეულებრივი აქვთ, ამიტომ გ. ერისთავის პერსონაჟები მდამბო ენით ლაპარაკობენ. მათი ლექსიკონი ყოველდღიურობაში სახმარ სიტყვებიდან შესდგება, მათ მიერ ხმარებული გამოთქმანი, თუ ეპიტეტები მათივე წრიდანაა ამოღებული. ალ. ქაჭავაძის, ბარათაშვილის და სხვების ენა ამ წრის ხალხისათვის ძნელი გასაგებია: ძნელია საერთო კონსტრუქცია, ძნელია ცალკე სიტყვებიც. ინტელიგენტებისათვის, თუნდაც ისინი რუსეთშივე იყვნენ, დასახლებული მგონების ენა, რასაკვირველია, ადვილად გასაგები იქნება, — „შეშლილის“ ბეგლარი აქი ცოტათი კიდევც ლაპარაკებს მაღალ ფარდოვან „ღვარწნილითა ენითა“, მაგრამ თავადობის ის ფენა, რომელიც გონებრივ მუშაობას არ ეწევა, ამ ენას საქმაოდ არის დაწორებული.

პლატონ იოსელიანი სწერს, რომ გ. ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვისო“ — რ. რასაკვირველია, ერისთავის მეტყველებითი ნიჭის შედეგაცაა, რომ მისი პერსონაჟები ავრე მდამბოთ ლაპარაკობენ, მაგრამ თავი დ მოლო მაინც მის მიერ მოცემული ტიპებია: ლიტერატურის ასპარეზზე ახალი საზოგადოებრივი ფენა გამოვიდა და ამ გარემოებამ ენაც ახალი შემოიტანა, ახალმა სახემ ახალი გამოთქმის საშუალებანი მოითხოვა, ახალ შინაარსს ახალი ფორმა დასჭირდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ლიტერატურის მეორე სტილს — ბურჟუაზიულს.

საინტერესოა შემდეგი წერილმანი: პოეტი ბეგლარი ხშირად ბარათაშვილისებურ აზრებს გამოხატავს, ამ დროს მისი ენაც უკვე არა ჰკავს ერისთავის სხვა პერსონაჟების ენას და დასახელებულ მგოსნების მეტყველებას უმჯობესობდა. აშკარაა, რომ შინაარსი განსაზღვრავს მის გამოხატვებულ საშუალებებსა და ენასაც.

აქვე უნდა ხაზი გაესვას შემდეგ დიდად მნიშვნელოვან გარემოებას: უდავოა, რომ გ. ერისთავი ბურჟუაზიული აბმოსყერის გავლენის ქვეშ მოქმედებდა და მან საფუძველი ჩაუყარა ახალი წოდების არე-მარეში შექმნილ ლიტერატურულ მიმდინარეობას. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ერისთავი მეორე ლიტერატურულ მიმდინარეობის—თავად-ახნაურულ ფონზე შექმნილის—გავლენიდანაც იყო რამდენიმეთ დამოკიდებული. ეს გავლენა აიხსნება არა მარტო იმით, რომ გიორგი ერისთავი იყო დამოკიდებულობაში იყო აღ. ჰეგელთან და სხვებთან, არამედ უმთავრესად იმით, რომ საზოგადოდ არც ერთი კლასის თუ წოდების წიაღში შექმნილი ლიტერატურა არ ვითარდება ურთიერთ გავლენის გარეშე: ერთი ლიტერატურული მიმდინარეობა, ყოველთვის ახდენს გავლენას მეორე მიმდინარეობაზე. აქ, რასაკვირველია, საკმაო მნიშვნელობა აქვს სუბიექტიურ მომენტს—თითონ მწერლის გემოვნებას და აზრთა მიმდინარეობას, მაგრამ თუ კარგად ჩაუვარდება, ენაზე, რომ საზოგადოებრივი კლასები ახდენენ ერთი მეორეზე გავლენას არა მარტო იდეოლოგიაში, არამედ ეკონომიურ სფეროშიც. კლასთა ბრძოლის პროცესში, მიუხედავად დაუნდობელი შეტაკებებისა, ყოველთვის არის ისეთი მომენტები, როდესაც ერთი კლასი რაიმეს სესხულობს მეორისაგან, ამ ნასესხებს ხან საბრძოლველ იარაღად იყენებს იგი და ხანაც კულტურულ შენაძენად. ურთიერთ დამოკიდებულ სიდაგზე ძველი ეკონომიური ფაქტორი ხშირად სესხულობს ახლიდან რალაციებს და ფერ-უმაჩრულ შეცვებულ ბებრუხანა კოპწია პატარბლად იჩენს თავს. თუ ძველი ძლიერია, ახალიც საკმაოდ განიცდის მის გავლენას, ერთის სიტყვით საურთიერთო გავლენა სწარმოებს როგორც ეკონომიურ, ისე იდეოლოგიურ სფეროში.

„პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაში“ მარქსი ლაპარაკობს: „თავისი ცხოვრების საზოგადოებრივ მიმდინარეობაში ადამიანებს თავიანთ ნებისყოფის წინააღმდეგ უხდებიათ ერთმანეთ შორის განსაზღვრულ საწარმოო დამოკიდებულებაში შეება, რაიც ერთიანად შეეფერება მათი მატერიალური და საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეს. ამ საწარმოო დამოკიდებულებათა შეგახება ქმნის საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც აღმოცენდება უფლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი და, რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები. მატერიალური ცხოვრების საწარმოო საშუალება განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესებს. შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფას, არამედ პირიქით,—საზოგადოებრივი ყოფა გზნსაზღვრავს მათ შეგნებას“.

მარქსის ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ წმინდა სახითა და სრულის დახვეწილობით არც ერთი კლასის პსიქოლოგია და საზოგადოდ იდეოლოგია არ შეიძლება არსებობდეს, ურთიერთ გავლენა აუცილებელია ზდება, ამ გარემოებით სრულდებითაც არ იცვლება დიდი მოაზროვნის მეორე დებულება, რომელიც შემდეგნაირად გამოხატავს მან ენგელსთან ერთად ფეიერბახის შესახებ წერის დროს „ყოველ ეპოქაში გაბატონებულია გამეფებული კლასის აზრები, ე. ი. კლასი, რომელიც საზოგადოებაში ატარებს გაბატონებულ მატერიალურ ძალას, იმავე დროს წარმოადგენს გაბატონებულ სულიერ ძალასაც. რომელი კლასის შესაძლებლობაშიც არის მატერიალური წარმოების საშუალებანი, ამ გარემოებათა გამო იგი ფლობს სულიერი წარმოების საშუალებებსაც, ასე რომ იმავე დროს იგი

საერთოდ ბატონობს იმით აზრებზედაც, ვისაც არ გააჩნია სულიერი წარმოების საშუალებანი. გაბატონებული აზრები იდეალურად გამოხატავენ არსებულ გამეფებულ მატერიალურ დაპოკიდებულებებს... ის ინდივიდუალები რომლებიც გაბატონებულ კლასს შეადგენენ, სხვა რამეების ქონებასთან ერთად, შეგნების რატორებელნიც არიან და, მანასადაამე, კიდევ აზროვნებენ; ამიტომ თავის თავად იგულისხმებენ, რომ რამდენად ისინი ბატონობენ კლასის სახით, იმდენად განსაზღვრავენ თავისი ეპოქის შინაარსაც მთელის თავისებურობით, ე. ი. ბატონობენ თავიანთი აზრებითაც, როგორც მოაზროვნე არსებანი, როგორც აზრის მწარმოებელნი, თანაც აწესრიგებენ თავიანთ დროის აზრების წარმოებას და განაწილებას, — მასადაამე მათი აზრები ეპოქის გაბატონებული აზრები არის“.

ერთის თვალის გადავლებით ეს მეორე ამონაწერი თითქოს ეწინააღმდეგება ზევით მოყვანილ პირველს; მაგრამ კარგად ჩაკვირვების შემდეგ აშკარად დავინახავთ, რომ აქ წინააღმდეგობას სრულებითაც არა აქვს ადგილი. მეორე ამონაწერიში ლაპარაკია საერთოდ გაბატონებულ აზროვნებაზე. გაბატონებულ აზროვნების გვერდით კი ყოველთვის არსებობს გაუბატონებელი აზროვნებაც, რომელიც გაბატონებისაკენ მიისწრაფის და ხან ხომ ჩუქად იბრძვის ამ მიზნისათვის, ხანაც აშკარა შეტევაზე გადადის. სინამდვილეში აბსოლიუტურად და სამარადისოთ არც ერთი მოვლენა არ არსებობს, „ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება“, ყოველი მოვლენა თავის შინაგან არსებაში თავისივე საწინააღმდეგო ძალას ატარებს, ამაშია ჩამარხული სინამდვილის დიალექტიკა, რომლის უგულვებელ ყოფა გამოუვლავ მეტაფიზიკურ ლაბირინტში შეგვიყვანდა.

როგორც გაბატონებული, ისე გასაბატონებელად მიმართული აზრები ურთიერთ შორის არსებულ ბრძოლის თუ მშვიდობიანი დამოკიდებულების დროს აუცილებლად განიცდიან ერთმანეთის გავლენას, რაიც ხან მეტია და ხანაც ნაკლები, ზოგიერთ მომენტში ფრიად თვალსაჩინოა, ზოგიერთში კი შეუმჩნეველი. პლენანოვი ამბობს: „კლასების ბრძოლა თავისებურ ელფერს აძლევდა მეზომელ კლასთა სპიქოლოგიას... რამდენად უფრო მწვავედება ამა თუ იმ კვანძში ისტორიის განსაზღვრულ მემენტებში კლასთა შორის ბრძოლა, იმდენად უფრო ძლიერი ხდება მისი გავლენა მეზომელი კლასის სპიქოლოგიაზე“.1)

ეს დებულება უნდა გამართლებულიყო, როგორც კერძოთ გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე, ისე მთელ იმ მიმართულებაზე, რომლის მეთაურად ის უნდა იქნას აღიარებული. თუ ჩაუფკირდებით, ეს მართლაც ასეა: ერისთავი უსათუოდ განიცდის „თავადაზნაურულ არე-მაროში“ შექმნილი ლიტერატურის გავლენას. როგორც შემდეგ წერილებში ენახავთ, სამოციანი წლების შემდეგ ეს გავლენა უკვე პირიქითია: წვრილბურჟუაზიული სტილი უდიდეს გავლენას ახდენდა პირველი სტილის წარმომადგენლებზე, მაგრამ სამოციანი წლებამდე კი პირველი სტილია მოკარნაზე, მხოლოდ ის ახდენს გავლენას; წვრილბურჟუაზიული შემოქმედება მოკრცხვად იღვამს ფებს, ამის მთავარი მიზეზი რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების და ლიტერატურის განუვითარებლობაში უნდა ვეძებოთ... რა გავლენა მოახდინა „თავადაზნაურულ არემარის“ ლიტერატურამ ერისთავზე?

ჩვენს დრამატურგს კომედიების გარდა ორმოცდაათამდე ორიგინალური და ნათარგმნი ლექსიც აქვს. ეს ლექსები ხანდახან არ არის გამართული, მაგრამ ავტორის სულსა და გულს მაინც საკმაოდ ვეცნობით მათი საშუალებით. ლექსები სამ ჯგუფად გაიყოფა: ლირიულ-პატრიოტულად, სატრფიალოდ და სატირულად. ჩვენთვის საინტერესოა პირველი და მესამე ჯგუფის ლექსები.

1) Плеханов, „Основныя воп. марксизма“, 83. 57.

გ. ერისთავის პატრიოტული ლირიკა ერთიანად ჰგავს შირველი სტილის მგოსნებისას, — ალ. ჭავჭავაძის და სხვების. ფრანგი კრიტიკოსი ბოუნე-ტიერი ამბობს, რომ „პოლიტიკური თავისუფლება, ან და პატრიოტისმის არ შეადგენს დაუღვევლს წყაროს პოეზიისათვის, იმიტომ რომ სხვადასხვაანაირად ამ აზრების გაგება შეუძლებელია, ისტორიის რომელსამე ხანაში თავისუფლება და პატრიოტიზმიც ყველას ერთნაირად ესმის. ამა თუ იმ ხანაში მხოლოდ ერთი დედა აზრი ტრიალებს სამშობლოს განთავისუფლებისა, თუ პოლიტიკური თავისუფლების შესახებ. სხვა ყველა კი ამ დედაზრის გადაგვარებაა, მისი კონტრაფაქცია, ყალბი და ცრუ წარმოდგენაა ამ აზრისა“¹⁾. ეს აზრი უმეტესად მართლდება, როგორც საერთოდ ჩვენი პატრიოტული ლირიკის წარმომადგენლების მაგალითებზე, ისე გ. ერისთავის ასეთივე ლექსების განხილვით.

1832 წლის გამომქვეყნებული შეთქმულების გამო გულდათუთებული ერისთავი თვალცრემლიანი ამღერებს:

მივალ, გარნალა სული აქ მრჩების,
მუნ სევდის ქობი ოზლად დამშთების,
უწყი სოფელი არს სამჭვრეტელო,
ყველა გახმების, ვით მწვანე მდელო.

გულდამწუვარ პოლიტიკურ ემიგრანტს, რომელსაც ბარათაშვილისებური აზრებიც კი სწევვია წუთისოფლის ამოების შესახებ, ტყვილა ეგონა რომ სევდის ქობს სამშობლოში დატოვებდა. არა, ახალგაზრდა პატრიოტს დასერილი გული უცხოეთშიც თან გაჰყვა და მიცკევიჩის ჭნარით მოხიბლული გამუდმებით იგონებდა ყველა ჩვენი მგოსნებისთვის სასიყვარულო ყაბახს და მოუთმენლად მოელოდა იმ დროს

დახშული კარა როს განმეღების,
რომ, ერთ გზითა კვლავ მელირსოს შენზედვე სვლა!

ლექსში „უცხო ქვეყნის ვაცს“ უცხო ქვეყნის ჭაბუკს ეკითხებიან: რისთვის კენესი, კმუნვა ვადიყარე და ჩვენ, ახალი ჩეგობრები მოგალხენითო. ამაზე ჭაბუკი ეუბნება:

სიღრმითა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი
ჩემის ესრეთის აღერსისა მიღებისათვის,
მარამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი
და სიხარულათ მიმაჩნია ვიტყვიო მისთვის
სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი,
სად სიჭაბუკის ვანეატარე დღენი ნეტარნი,
სადა მსურდა მომეწყვატა ტრფობის ყვაელი,
გლახ მის მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი ციურნი!

ეს ლექსი დაწერილია დღევანდელ პოლონეთსა და ლიტვას შუა ცილობის ვაშლად გადაქცეულ ქ. ვილნოში 1835 წელს და ყველაფრიდან ჩანს, რომ ჭაბუკის პირით თითონ გ. ერისთავი ლაპარაკობს.

¹⁾ გ. აბაშიძე —, ევ. სალირ. პოეზია საფრ. გვ. 23.

პოემა „შეშლილში“ ბევლარი ბარათაშვილივით მსჯელობს ადამიანის ამოცხების შესახებ. ასეთი აზრები, როგორც უკვე ვნახეთ, განსაზღვრულ უდროობის პირობებში წარმოიშვა ჩვენს სინამდვილეში. ერისთავის პატრიოტული ლექსები ენის მზრიალად ძალიან უახლოვდება პირველი ჯგუფის შგოსნებს.

გარდა ლირიკული ლექსებისა, გ. ერისთავს თავისი დრამა «ყვარყვარე ათაბაგი» პატრიოტული რომანტიკის გავლენით აქვს დაწერილი.

რაც შეეხება სატირულ ლექსებს, აქ მწერალი თავისი კომედიების ომებს ამუშავებს და რამდენიმე ხაზის მოსმით ნიჭიერად გვისურათებს იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც წარმოიშვა ახალ ეთარებაში. ლექსში «დედა და ქალი», დედა ასე მიმართავს ქალს:

როგორაც რომ გინდოდა გიშოვნე კარგი ქნარი:

მდიდარი, დიდი კაცი, მშვიდი, კეთილი, წყნარი.

ჯერ არის პოლკოვნიკი, მარამ იარანლობს

მოელის ერთ თვეს უკან და სხვა მრავალს წყალობას...

...თითონ შენ გააკეთებ ვეჩერებსა და ბალებს

ნეტა როდის იქნება კალასკით ვეიზიტობდეთ,

ფერშინგის მაღაზიაში ბლეთებს ვყიდულობდეთ,

გასტინაში სანთელი მოსკოვისა აგვენთოს,

ჩვენი ბიჭი საქუა ლიბერით მოგვერთოს და სხვ.

ლექსში მოცემულია ბურჟუაზიული ხანის სუნთქვა ჩვენი «გავერობილების» ფონზე, ანგარებიანის მოსაზრებით მდიდარი საქმროს ძებნა და სხვ. ასეთივე სურათია მოცემული მეორე სატირიულ ლექსშიც: «ფიქრი ყმაწვილი ქალისა».

გ. ერისთავს გარდა, როგორც ჭკვეით ვნახავთ, პატრიოტული მიმდინარეობის გავლენას დიდათ განიცდიან გრ. რჩულიშვილი და ლ. არდაზიანი.

(დასასრული იქნება).

სპინოზას გატარიანობა

გაგრძელება *)

ბ) ატრიბუტთა თეორია

წინააღმდეგ დეკარტისა, სპინოზა ატრიბუტებს დამოუკიდებელ სუბსტანციის სახეს არ ანიჭებს. კარტეზიული ფილოსოფიის დუალიზმი სპინოზამ სწორედ იმით დასძლია, რომ სუბსტანციათა სიმრავლე განდევნა და ერთი სუბსტანციის არსებობა დაამკვიდრა.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ სპინოზას სუბსტანცია თვისობრივი განსხვავებით ხასიათდება. სუბსტანცია, როგორც ყოველ არსთა პირველსაწყისი და დასაბამი, არამც თუ შეიცავს უამრავ ატრიბუტებით გამოხატულს თვისობრივ გარკვეულობას, არამედ ეს თვისობრივი გარკვეულობა არის მასში და შეადგენს მის არსებასა და ბუნებას. ამიტომ სწორედ რომ საინტერესოა საკითხი, თუ რა დამოკიდებულება წარმოედგინა სპინოზას ატრიბუტებსა და თვით სუბსტანციას შორის. სპინოზიზმის მკვლევართა აზრი ამ საკითხშია ცერტოზად მრავალფეროვანია. მაგრამ ამ უკანასკნელთა შეხედულებების მოყვანამდე, საჭიროა თვით სპინოზას მოძღვრება განვიხილოთ.

უნდა ითქვას, რომ თვით სპინოზამ ატრიბუტთა შესახებ ცოტათი გაურკვეველი განმარტებები მოგვცა, იმან ბევრ მკვლევარს მისცა საშუალება სპინოზიზმში იგივეობის ფილოსოფია, ე. ი. ე. წ. ტრანსცენდენტური იდეალიზმი დაენახათ. სპინოზასთან ისეთი განმარტებაც კი გვხვდება, რომ კაცი იფიქრებდა, ატრიბუტი მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური კატეგორია ყოფილა და არა სინამდვილის სახეო; მაგრამ თუ სპინოზას ფილოსოფიის მთელ საზრისს და ყველა ნაწილს გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება ასეთი შეხედულობის მცდარობა.

უკვე „ეთიკის“ დასაწყისში სპინოზა სწერდა: „ატრიბუტს ქვეშ მე ის შესმის, რაც გონებას ისე წარმოუდგენია სუბსტანციაზე, როგორც რაღაც, მისი არსების შემადგენელი“ („ეთიკა“). ეს არის ის ადგილი, რომელიც გარეგნულად მაინც შეხედულებას ჰქმნის, ვითომც სპინოზასათვის ატრიბუტების არარეალური ბუნება ნათელი ყოფილა. თვით სპინოზა ამბობს, რომ ატრიბუტი ის არის, რაც გონებას სუბსტანციაზე წარმოუდგენილი აქვს. ი. ე. რდმანმა ამ განმარტებაზე დაყრდნობით, მოგვცა თეორია, რომლის მიხედვით, ატრიბუტები სუბსტანციისათვის ჩვენს გონებას მიუნიჭებია, ამიტომ, ცხადია, მათ საკუთარი რეალობა აღარ შერჩენიათ, ისინი დარჩენ მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 2—3.

კატეგორიები. ერდმანის თეორია რომ შემცდარია, ამაში ყველაზე ნათლად იმის განხილვა დაგვარწმუნებს, თუ რა შინაარსი ჩააქსოვა სპინოზამ სუბსტანციის ცნებაში. ერდმანის განმარტების მიხედვით, სუბსტანცია მოკლებულია სპეციფიკურ თვისობრივ ბუნებას, ამიტომ მას არც დასაბამობის უფლება აქვს, არც შერად მომქმედი საწყისისა, თვით სპინოზას კი თავისი სუბსტანცია ესმოდა, როგორც მარადი საწყისი და საფუძველი ყველა დანარჩენ საგანთათვის. მაგრამ ეს ზოგადი სახის განმარტებაც რომ დავივიწყოთ, ერდმანი მაინც არ არის მართალი. სპინოზასთან ჩვენ ვნახავთ სხვა ადგილს, საიდანაც უდავოთ ჩანს, რომ ფილოსოფოსს ატრიბუტები რეალურ კატეგორიებათ ჰქონდა წარმოდგენილი და ეს რეალური განსაზღვრებანი გამოხატავდნენ სუბსტანციის უბოლოვადო არსებას. „ღმერთის ატრიბუტი არის ის—წერს სპინოზა—რაც დაუბოლოვებელი სუბსტანციის ბუნებას გამოხატავს ე. ი. ის, რაც სუბსტანციის ეკუთვნის; ის, რასაც ატრიბუტები უნდა გულისხმობდნენ. მაგრამ სუბსტანციის ბუნებას ეკუთვნის მარადიულობა, ამიტომ, ცხადია, რომ თვითეული ატრიბუტიც მარადიულობას უნდა შეიცავდეს“ („ეთიკა“ გვ. 35).

ამრიგად, რადგანაც სპინოზას ამ განმარტების თანახმად ატრიბუტი სუბსტანციის შინაარსში აქვს მოქცეული და გამოხატავს მის დაუბოლოვებელ არსებას, ცხადია რომ ატრიბუტის ის განმარტება მოხსნილია, რომელიც გვაფიქრებინებდა, ვითომც მის ავტორს აქ რაღაც ლოგიკური კატეგორია ესმოდა. ამას შემდეგ კი ნათელი უნდა იყოს, რომ ატრიბუტებს ყველა სუბსტანციისათვის დამახასიათებელი თვისება გააჩნიათ, ისინი ჩვენი გონების ფორმები კი არ არიან, არამედ სუბსტანციის შინა მდგომარეობის გამოხატულებანი. სპინოზა ატრიბუტებს სუბსტანციის ყველა თვისებას მიაწერს: მარადიულობას, დაუბოლოვებლობას, სრულყოფას და სხვ. „ერთიანი სუბსტანციის თვითეული ატრიბუტი—სწერს იგი—საკუთარი თავისაგან უნდა წარმოდგინდებოდეს“ („ეთიკა“ 15).

არსება, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავით წარმოიდგინება, შეუძლებელია არ იყოს დაუბოლოვებელი და სრულქმნილი. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოსული განმარტავდა სპინოზა თავის სუბსტანციას, როგორც დაუბოლოვებელსა და სრულქმნილს არსებას. ატრიბუტების შესახებ კი, როგორც ხედავთ, სპინოზა ამავე აზრისა არის; ატრიბუტებიც არიან უბოლოვადო, მარადი და სრულქმნილი, მაგრამ სუბსტანციისაგან იმით განიარჩევიან, რომ რიცხვით უსასრულოთ ბევრნი არიან. სპინოზას მოძღვრების ამ უკანასკნელმა ნაწილმა, ე. ი. ატრიბუტების სიმრავლემ, ზოგ ინტერპრეტატორს აფიქრებინა, ვითომც სპინოზას ფილოსოფია დუალისტურია და ის კი არა პლურალისტური მსოფლმხედველობის საფუძველს იძლეოდეს. ეს ინტერპრეტატორები ამბობენ: თუ ატრიბუტები რიცხვით უთვალავად მრავალნი არიან, ამავე დროს მარადი, სრულქმნილი და სხვ. ცხადია რომ თვითეული ამათგანი დამოუკიდებელი სუბსტანცია უნდა იყოს. მაგრამ ინტერპრეტატორებს დაავიწყდათ, რომ ატრიბუტების ამდაგვარი გაგება საფუძველშივე უკუგდებული იყო თვით სპინოზას მიერ. სპინოზამ მშვენივრად დაამტკიცა, რომ ატრიბუტები რიცხვით უთვალავი უნდა ყო-

ფილიყვენ; ეს პირობა იყო სუბსტანციისათვის დაუბოლოვებელი ბუნებას შესანიშნავლად. სუბსტანცია იყო არამც თუ დაუბოლოვებელი, არამედ ყველაფერზე უფრო რეალური. მის ბუნებაში განსაზღვრული რიცხვი თვისებებით განმარტებისა ნაგვლისმწვეი არ იყო, ამიტომ ის იმ თავითვე დაუბოლოვებელი რეალობის სახით უნდა წარმომდგარიყო. სუბსტანცია უნდა ყოფილიყო აბსოლუტური დაუბოლოვებელი რეალობის გამოხატულობა. მაგრამ „რამდენად სავანს მეტი რეალობა, ანუ არსებობა გააჩნია, იმდენად მეტი ატრიბუტი აქვს მას“, — სწერს სპინოზა („ეთიკა“, * 14.).

ასეთია ის განმარტება, რომელსაც გვაძლევს ფილოსოფოსი ატრიბუტთა სიმრავლისა და სუბსტანციასთან დამოკიდებულების შესახებ. სუბსტანციის ერთობლიობა სრულიად რომ არის ატრიბუტების სიმრავლეს არ ეწინააღმდეგება. არც ატრიბუტების დაუბოლოვებლობა და სრულქმნილობა არის რაიმე გაუგებრობის გამომწვევი გარემოება. მათი ამ სახით არსებობის მიზეზი, საბოლოო ანგარიშით, ღმერთში ანუ სუბსტანციაში მოიხსნება. ამიტომ ატრიბუტების დაუბოლოვებლობა რელატიური ცნებაა, ანით განსხვავდებიან ისინი სუბსტანციის დაუბოლოვებლობისაგან. მათი დაუბოლოვებლობა და სრულქმნა უკვე იმიტომ თავისებურია, რომ მათ არც თავისთავად არსებობა და არც სუბსტანციის გარეშე ყოფნა არ შეუძლიანთ. ატრიბუტები თუმცაღა სუბსტანციის არსებას შეადგენენ, მაგრამ მათი არსებობის სახით ისინი სუბსტანციისაგან გამოყოფილი არ არიან. სუბსტანცია მათ იტევს საკუთარ თავში, როგორც განმარტებას საკუთარი ბუნებისა. ატრიბუტები იმიტომ არსებობენ, რომ სუბსტანცია არსებობს. მაგრამ პირუქმოდ, — სუბსტანცია იმიტომ არსებობს, რომ მის აბსოლუტურსა და დაუბოლოვებელს არსებას შეუწყვეტლად გამოხატავენ თავისებურად აგრეთვე დაუბოლოვებელი ატრიბუტები. ჩვენ საკუთარ ენაზე რომ ეს ვადმოვთარგნოთ გამოვა: როგორც აზროვნება და განფენილობა მატერიის გარეშე არ არსებობს, ისე არ არსებობს მატერია, რომელსაც არ ახასიათებდეს აზროვნება და განფენილობა.

ძალიან შემცდარი იქნებოდა ამის გამო გვეფიქრა, რომ სპინოზას აზრით სუბსტანცია თავისი ატრიბუტების უბრალო ჯამი იყოს. ასეთი დასკვნა გამოჰყავს კუნო ფიშერს. ის სწერს: „ღმერთი შესდგება ატრიბუტისაგან, ის უღრის ყველა თავის ატრიბუტს“ (კ. ფიშერი: „ახალი ფილ. ისტორია“ რუს. გამოც. ტ. II გვ. 381). ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ფიშერს. ასეთი განსაზღვრის დროს სუბსტანცია სავსებით ჰკარგავს თავის თვისობრივ მნიშვნელობას და უბრალო ჯამით და აგრეგატად იქცევა. სუბსტანცია ყოველთვის მეტია ატრიბუტის უბრალო ჯამზე. იგი ატრიბუტის ჯამი რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ის მონისტური, რეალური და ცხოველყოფილი კავშირი, რომელიც სპინოზამ ამ ცნებაში მოგვცა, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

ატრიბუტთა ურიცხვი სიმრავლისაგან შემეცნებისათვის საწდომია მხოლოდ ორი: აზროვნება და განფენილობა. ის გარემოება, რომ სპინოზა შემეცნების საწდომობის ფარგალს ამ ორი ატრიბუტით განსაზღვრავს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სპინოზა აქ რაიმე პრინციპიალურ შემეცნებლობის თეზას

აყენებს, ანდა რომელიმე მისტიციზმს ეძლეოდას. დანარჩენი ატრიბუტებსა შეუმეცნებლობას სპინოზა ხსნიდა ადამიანური შემეცნებით საშუალების განსხვავებულობით და არა შემეცნების შეუძლებლობით საერთოდ. მოქალაქეებს შემეცნებისათვის საწვდომ ატრიბუტზე უკვე მისი ატრიბუტთა თეორიის ყველა ნაწილს ეხება. ეს გარემოება დიდი მნიშვნელობისა არის. აქ აზროვნებისა და განფენილობის ატრიბუტის ურთიერთობის, მათი სუბსტანციასთან დამოკიდებულების პრობლემის გატარებისას, ეხება სპინოზა ფილოსოფიის იმ ყველაზე უფრო ორგინალურ საკითხს, რომლის სახელიც არის, დამოკიდებულება მატერიისა და ცნობიერებისა, ობიექტისა და სუბიექტისა. უკვე საკითხის დასმა და სამოქმედო გეგმის ორ ატრიბუტს შორის მოხაზვა, ანსხვავებდა სპინოზას მის წინამორბედ, ე. ი. დეკარტის ფილოსოფიისაგან.

დეკარტის მეტაფიზიკის განხილვის დროს ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ დეკარტი ორი თვისებრივად განსხვავებული ატრიბუტის არსებობისაგან მათი სუბსტანციონალიზმის აღიარებამდე შიდის. ამით, რასაკვირველია, ის დუალისტურ ფილოსოფიას აყალიბებს. მის ფილოსოფიაში განფენილობისა და აზროვნების ქვეყანა ერთი მეორეს დაუპირისპირდა და შუაზე გახეთქილი ორ ცალკე არსებულ სუბსტანციას შორის განაწილდა.

სპინოზამ საუცხოოდ გაიგო, რომ მონისტურ მსოფლგაგებას მხოლოდ მაშინ შეეძლო დუალისტურზე გამარჯვება, თუ იმ საფუძველს დაანგრევდა, რომლებსაც ეს უკანასკნელი ეყრდნობოდა. კარტეზიანული ფილოსოფიის ასეთი საფუძველი იყო მატერიისა და განფენილობის იგივეობა. ამ იგივეობის დანგრევით დაიწყო სპინოზამ თავისი საქმე. ერთ თავის წერილში სპინოზა სწერს ასეთი იგივეობის, უსაფუძვლობის და შეუძლებლობის შესახებ: „თქვენ მჭკობებით მე, შეიძლება თუ არა განფენილობის ცნებისაგან a priori დავამტკიცოთ საგანთა მრავალსახიანობა. მგონია მე უკვე საკმარისად გავაშუქე ასეთის შეუძლებლობა. სწორეთ ამიტომ ვამბობ მე, რომ დეკარტი უმართებულოთ განმარტავს მატერიას, როგორც განფენილობას. მატერია უნდა გავიგოთ, როგორც ატრიბუტი, რომელიც მარადსა და დაუბოლოვებელს არსებას გამოხატავს“. (მიწერ-მოწერა 387—388.) რატომ სპინოზასათვის მიუღებელი იყო განფენილობისა და მატერიის იგივეობა, ეს ნათელი იქნება, თუ ასეთის კანონიერებას მივიღებთ და მის საერთო თვალსაზრისს დაუპირისპირებთ. რას ნიშნავდა მატერიისა და განფენილობის იგივეობა? ეს ნიშნავდა იმას, რომ აზროვნების ატრიბუტს მოვაშორებდით სუბსტანცია-მატერიას; მაშინ, ცხადია, რომ აზროვნება და განფენილობა ერთი სუბსტანციის ცნებაში არ ჩაეტეოდა—ერთი მათგანი, სახელდობრ, განფენილობა იგივე იქნებოდა, რაც თვითონ სუბსტანცია. მაგრამ რას მოასწავებდა ატრიბუტის არსებობის უარყოფა მატერია-სუბსტანციაში? ეს ცხადია, რომ კარტეზიანული ფილოსოფიის განმტკიცება და გამარჯვება იქნებოდა. ეს იქნება იმ თვალსაზრისის მიღება, რომლისათვის ქვეყანა ორ დასაბამს შორის იყო განაწილებული: განფენილ სუბსტანციასა და მოაზროვნე სუბსტანციას შორის. ამის და საწინააღმდეგოთ სპინოზა ამტკიცებს, რომ განფენილობის სუბსტანცია და აზროვნების სუბსტანცია ერთი და იგივე სუბსტანციაა.

ეს დასკვნა არის სპინოზას მონისტური სისტემის ალფა და ომეგა და არა დადგინება იგივეობისა აზროვნებასა და განფენილობას შორის, როგორც ეს ეგონათ ჰეგელსა და ი. ერდმანს, რომლებიც ამიტომ სპინოზიზმში განსხვავებით განუსხვავებლობისა და იგივეობის ფილოსოფიას ხედავდნენ. ჰეგელი სპინოზას სუბსტანციას თვისობრივი განუსხვავებლობის პრედიკატს აკრავს, ის სწერს: „ისინი, რომლებიც ვატაკებთ ამტკიცებენ, რომ „არა-არა“ მხოლოდ „არა-არა“, არსებითად ელველთა განყენებულ პანთეიზმს, ის კი არა სპინოზას, პანთეიზმს, ღებულობენ. ფილოსოფიური შეხედულება, რომელსაც პრინციპად აქვს ღებულება: არსი არის მხოლოდ არსი, „არა-რა“ არის მხოლოდ „არა-რა“ არის იგივეობის ფილოსოფია: ეს განყენებული იგივეობა ახასიათებს პანთეიზმს“ (ჰეგელი: „ლოგიკის მეცნიერება“ რუს. გამ. ტ. I. გვ. 30).

ასეთი გაგება სპინოზას ფილოსოფიისა მოკლებულია ყოველივე მტკიცე საფუძველს, მას ავიწყდება რომ სპინოზიზმში სუბსტანციონალური მთლიანობა და სუბსტანციის მონიზმი მიღწეულია თვისობრივ განსხვავების მიღებით და ატრიბუტთა სხვაობის აღიარებით. სუბსტანციონალური დუალიზმის გაძევებასთან სპინოზას ატრიბუტთა თვისობრივი განსხვავებაც რომ გაეძევებია, მაშინ მისი ფილოსოფიის სისტემა მართლაც გადაიჭკვრება ყოვლად უფერულ, უსულო და უსიცოცხლო ქიმერათ. სპინოზას სისტემა კი პირობით ცხოველყოფლობის, მარადიულობის ბუნების შეუჩერებელი მოძრაობის ფილოსოფია იყო.

ამრიგათ, საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სპინოზამ თუმცაღა ერთი სუბსტანციის არსებობა აღიარა, მაგრამ მას სუბსტანციის შემადგენელ ატრიბუტების იგივეობა არ ნიუღია. პირობით ის კატეგორიულად ილაშქრებდა აზროვნებისა და განფენილობის გაიგივების წინააღმდეგ. ამის შესახებ სპინოზა სწერს: „შეიძლება თქვენ თქვათ—აზროვნება ხომ არ არის სხეულის აქტი? დაუშვათ, რომ ასეა, თუმცაღა ამის მიღება მე არას გზით არ შემიძლია, მაგრამ თქვენ ხომ არ შეგიძლიათ იმის უარყოფა, რომ უარყოფა, როგორც ასეთი აზროვნება არ იყოს“ („მიმოწერა“ გვ. 75).

მაგრამ მეორეს მხრივ ატრიბუტთა ამ თვისობრივ და კონკრეტულ განსხვავებაში მეტაფიზიკური განსხვავების ამოკითხვაც უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ასეთი შეხედულება ყველაფერია, მაგრამ ის სპინოზიზმი არ არის. სპინოზა, თუმცაღა ატრიბუტების განსხვავებას ღებულობს, მაგრამ ეს მისთვის აბსოლიუტური დამირისპირების და ისეთი სხვაობის, რომელიც ურთი-ერთს გამორიცხავდა, მიღებას არ ნიშნავს. საკითხის ასეთი დაყენებით სპინოზამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ მისი აზროვნება დიალექტიურათ იყო გამართული. ასეთნაირად დასმული საკითხი, აი როგორ გადაწყვეტას აძლევს მას სადაო პრობლემისათვის. თუ ატრიბუტებს ერთი-მეორეს თვალსაზრისით განვიხილავთ, ისინი დამოუკიდებელნი და ერთმანეთთან დაწინააღმდეგებულნი არიან, მაგრამ თუ ამავე ატრიბუტებს სუბსტანციის ასპექტში განვიხილავთ, ისინი ერთი კონკრეტული მთლიანობის საბით გვევლინებიან. ეს ღებულება ნათლად გამომდინარეობს თვით სპინოზას მიერ მოცემული განმარტებიდან და შეუძლებლად ხდის ამ პრობლემის მეტაფიზიკურ გადაწყვეტას. ამავე აზრს ჩვენ ვნახულობთ „ეთიკა-

ში“. აქ სწერია: „შეიძლება ორი რეალურად სხვადასხვა ატრიბუტის ერთმანეთის დაუხმარებლად წარმოვიდგინოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ორს არსებას ან ორს განსხვავებულ სუბსტანციას წარმოადგენენ“ (ქვეყნული, 15).

როგორც უკვე ნათელია, სპინოზა ლებულობს ორი თვისობრივად განსხვავებული არსებობის ფაქტს, და აქედან ვამოყავს ერთი ატრიბუტის არსებობის თეორია. ის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა დეკარტის ორი, თუ მრავალი სუბსტანციისა. პრობლემის ასეთს გადაწყვეტას სპინოზა აღწევს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ატრიბუტების განსხვავების საკითხში მეტაფიზიკური შეხედულება დასაძლია და სუბსტანციის ერთობლიობის დამტკიცებით ატრიბუტების დიალექტიური მთლიანობა (სუბსტანციაში) მიიღო.

ატრიბუტების შესახებ ჩვენს მიერ თქმული საკმარისია იმისთვის, რათა გავხსნათ ის ძირითადი დიალექტიკური კვანძი, რომლითაც სპინოზას მოძღვრება ფილოსოფიის ძირითად პრობლემას — აზრისა და არსის პრობლემას — ანვითარებდა. სწორედ ამ საკითხში ყველაზე ნათლად ჩანს სპინოზიზმისა და მარქსიზმის ნათესაური კავშირი. აქედან გამოსული სწერდა პლუხანოვი, როცა ის ფოიერბახს და სპინოზას ერთმანეთს ადარებდა: „ვისაც წაკითხულის გაგების უნარი აქვს, ის ცხადად დაინახავს, რომ აზრისა და არსის დამოკიდებულების ყველა ძირითად მომენტში, ფოიერბახი არის სპინოზა — სპინოზა რომელსაც ჰეგელის სკოლა გაუგვია და ბუნებას ლმერთად აღარ ადიდებს (იხ. პლუხანოვის ნაწერები, ტ. XVIII. გვ. 260).

პლუხანოვი სპინოზას ჯერ ფოიერბახს ადარებს“ და შემდეგ მარქსსა და ენგელსს. ეს გარემოება სრულიადაც რომაა შემთხვევითი არ არის. როგორც ფოიერბახი, ისე სპინოზაც აღიარებდა აზროვნებისა და განფენილობის მთლიანობას. თუ ამ პრობლემას ისე გავყოფით, როგორც ეს მოგვარებულა დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიაში, მაშინ უფრო ადვილი იქნება იმ კავშირის გარკვევა, რომელიც სპინოზასა და მარქს-ენგელის მსოფლმხედველობას შორის არსებობს. მარქსი და ენგელსი აზროვნებაში მატერიის თვისებას ხედავდნენ. ამიტომ ისინი მატერიიდან მოაზროვნე არსების წარმოშობას სრულიადაც რომაა შემთხვევას არ მიაწერდნენ. ამით ისინი ვულგარული მატერიალიზმისაგან საფუძვლიანად განსხვავდებოდნენ. ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ ჩვენ ენგელსთან: „მატერიის ბუნებაში მოთავსებულია ისიც, რომ მისგან ვითარდება მოაზროვნე არსება და ამიტომ ასეთი განვითარება აუცილებლობის მიხედვით მუდმივ ხდება, თუ ამისათვის საჭირო პირობები ხელზეა“ („ნატურ-დიალექტიკა“, გვ 81).

ენგელსის ეს განმარტება გვიძლევს საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ ფილოსოფიის ძირითად საკითხს სპინოზიზმი და მარქსიზმი ერთნაირად აგვარებენ. სპინოზა, სწორედ იმდაგვარად, როგორც ენგელსი, ამტკიცებს, რომ აზროვნება არ არის რაღაც შემთხვევითი და მატერიისაგან მოკვეთილი, რომ ის მატერიის ისეთივე თვისებაა, როგორც განუფენილობა. და სხ.

სპინოზიზმის ასეთ გაგებას დღეს ჩვენში უარყოფს ლ. აქსელროდი. ის სპინოზას ამასთან ერთად სხვა ცოდებშიაც ბრალს დებს. აქსელროდის თვალ-

საზრისი ამ შემთხვევაში სავსებით დამოკიდებულია სუბსტანციის იმ კალბი გავებისაგან, რომელიც მას გააჩნია. აქსელროდის ინტერპრეტაციები, სუბსტანცია ჰკარგავს შინაგანი აუცილებლობის მომენტს და ამასთან ერთად: რასაც ვერ ვხედავთ, შინაგანი კავშირიც იკარგება. რადგან კანონზომიერება ბუნებიდან მოვლენილი აღმოჩნდა, ცხადია, რომ ბუნების შემადგენელი ნაწილები ერთმანეთის დაშორდნ და ურთი-ერთ ზეგავლენის და კავშირის უნარი დაჰკარგეს. აქედან გამომდინარე აქსელროდმა ის უცნაური შეხედულება, ვითომ სპინოზას სისტემაში მატერია და აზროვნება ერთმანეთისაგან გაგლეჯილი იყვნენ. თუ აზროვნება და განფენილობა მოვლენილია მატერიისაგან და არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი არსებანი, მაშინ, ცხადია, რომ აზროვნებას მატერიისათვის მხოლოდ შემთხვევითი მოვლენის ხასიათი აქვს. ამაზე დაყრდნობილი სისტემა, რასაკვირველია უბრალო პარალელიზმი იქნება და სხვა არაფერი. „ეს საბედისწერო მოვლენა—სწერს აქსელროდი—გადაიქცა იმის საფუძვლად, რომ სპინოზამ კანონზომიერებას სუბსტანციის ანუ ღმერთის სახე მისცა, მატერია და აზროვნება ერთი მეორეს დაშორდნ და დამოუკიდებელი სუბსტანციების სახით გამოცხადდნ. ამიტომ სპინოზას სისტემის, როგორც ონტოლოგიური, ისე გნოსეოლოგიური ნაწილის საფუძვლად ვახდა აუცილებელი პარალელიზმი“ (იხ. აქსელროდი: „დიალექტიური მატერიალიზმის დასაცავად“, გვ. 29). აქსელროდის ამ სიტყვების აზრით სპინოზას მოძღვრებისათვის სავსებით უცნობი ყოფილა დიალექტიური მთლიანობა აზროვნებისა და განფენილობისა. ამ გავებით აზროვნება არსისათვის მხოლოდ შემთხვევის ხასიათს ატარებს, მთელი სისტემა კი რჩება მკაცრი პარალელიზმი. ამას ვერ შევლის აქსელროდის განცხადება იმის შესახებ რომ პარალელიზმი „ნელ-ნელა ქრება და იდგის უთმობს მექანიკური პრინციპიდან ნაკარნახევს სხეულისა და სულის დამოკიდებულებას“ (გვ. 30). აქსელროდი გვარწმუნებს, რომ პარალელიზმი ნელ-ნელა ქრებაო, ცხადია, რომ რაიმე მისგან მაინც დარჩება. აქსელროდის მთელი ეს აზრთა კონსტრუქცია შემცდარია თავიდან ბოლომდე. აქსელროდს, რომ სპინოზა იმ თვალსაზრისით განეხილა, რომლითაც მას მარქსიზმის კლასიკოსები იხილავდნ, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა ხელოვნურად შეკოწიწებული თეორიების გამოგონება და სპინოზას მოძღვრების აზრიც უნაკლოთ გამოვიდოდა დღის სინათლეზე.

როგორც ვთქვი, აქსელროდის მიერ დაშვებული შეცდომა ატრიბუტების მიმართ გამომდინარეობს იმ ყალბი შეხედულებისაგან, რომელიც მას სუბსტანციის შესახებ გააჩნია. სპინოზას სუბსტანცია რომ მართლაც თვისობრიობას მოკლებული ყოფილიყო, მაშინ ცხადია, რომ აქსელროდი მართალი იქნებოდა და აზროვნებისა და განფენილობის მთლიანობა სუბსტანცია-მატერიაში დიალექტიური ცნება კი აღარ იქნებოდა, არამედ უბრალო განურჩევლობა მათ შორის. მაგრამ ეს ასე არ არის და არც აქსელროდია მართალი. მაგრამ რადგან სპინოზას არსად არ ჯარუყვია სუბსტანციის თვისებრივი მხარე, ამიტომ მას აზროვნება ისე მიაჩნდა არსის ბუნების მონაწილეთ, როგორც განფენილობა, დიალექტიური მატერიალიზმის ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ ეს დებულება გამოვა, რომ აზროვნება ისეთივე მონაწილეა არსის (მატერიის) ბუნებისა, რო-

გორც მოძრაობა. პლენანოვს სწორედ რომ ასე ესმოდა სპინოზა. „ჩვენ არ შეგვიძლია მოაზროვნე სუბსტანცია — სწერდა იგი — განფენილი სუბსტანციისგან დამოუკიდებლად წარმოვიდგინოთ, და აზრი მატერიისაგან დამოუკიდებლად ისე როგორც მოძრაობაც წარმოუდგენელია მატერიის გარეშე. მართლაც, თანამედროვე მატერიალიზმი არის საკუთარი თავის მეტად თუ ნაკლებად მცნობი სპინოზიზმი. მე ვამბობ — მეტად თუ ნაკლებად — ეს იმიტომ, რომ ასეთი მატერიალისტებიც არსებობდნენ, რომლებსაც სრულიადაც არ შეუფენიათ თავიანთი ნათესაობა სპინოზასთან“ (იხ. ჟურ. „Летопись марксизма“ № 14, გვ. 24). პლენანოვი რომ ცოცხალი იყოს, ის დღეს უწყომანოთ ასეთ მატერიალისტებათ თანამედროვე შეხანისტებს გამოაცხადებდა. ამათაც ვერ გაიგეს სპინოზა და მატერიალისტური ფილოსოფიის შინაგანი კავშირი მასთან. მაგრამ პლენანოვს ძალიან კარგად ესმოდა ეს და იმიტომ გვასწავლიდა, რომ მარქსისტულ მოძღვრებას აზრისა და არსის დამოკიდებულებაზე პირდაპირი გზით მივყავართ ჩვენ „ძველ სპინოზასთან“.

მაგრამ როგორ მოვათავსოთ მარქსიზმისათვის ეს უდაო დებულება იმასთან რასაც აქსელროდი გვეუბნება არსისა და აზრის დამოკიდებულებაზე. თუ აქსელროდს დაუჯერებთ, მაშინ პლენანოვს ვერ შეუქმნევია, რომ სპინოზასთან განფენილობა და აზროვნება ერთმანეთს უარპყოფდნენ. მაგრამ თუ ეს ასეა და პლენანოვი ასეთ წინააღმდეგობაში ჩავარდა, მაშინ რაღა უფლებით ამტკიცებდა ის რომ აზრი ისეთივე ფუნქციაა მატერიისა, როგორც მოძრაობა? საქმე ის არის, რომ ამ საკითხის გარშემო აქსელროდმა, არ ვიცი არამც თუ სპინოზა გაუგებარი დასტოვა, არამედ მან ისიც ვერ გაიგო, რასაც დიალექტიური მატერიალიზმი ასწავლიდა, ამიტომ მიიღო მან ვულგარული მატერიალიზმის შეხედულება და ამტკიცებს, რომ აზროვნება გარდამავალი და დროული მოვლენაა, არსისათვის ის შემთხვევითია, რომ თვით ზოოლოგიური პროცესი აზრის ტენიში განვითარებისა მატერიისათვის არის შემთხვევა და ასე. აქსელროდს დაავიწყდა აგრეთვე საკითხი, თუ რამდენად და რა ფორმით აზრი შეიძლება გახდეს თვისება მატერიისა, მას არც ის გაურკვევია, თუ რას ამბობს ამაზე მარქსიზმი, რაში მდგომარეობდა სპინოზას შეცდომები (თუ ასეთები იყო) აქ და სხვ. ამ საკითხების გვერდის ავლა კი დაუშვებელია, ყველა ეს თუ არ გაირკვა, მაშინ ბრალდებას პარალელიზმის შესახებ ისეთივე წონა აქვს, როგორც იდეალისტების აზრებს სპინოზაზე.

ნამდვილად იდეალისტებიც და აქსელროდიც იმან შეაცდინა, რომ სპინოზასთან ვითომც მატერიის საერთო გასულიერებაა დაშვებული. მაგრამ ჩვენ ქვევით ვნახავთ, რომ ეს არ შეადგენდა ძირითად ელემენტს მის მოძღვრებაში. ეს შეხედულება, მართალია, ყველაზე უფრო სუსტს მხარეს შეადგენს სპინოზიზმში, მაგრამ ეს არ იყო გადამწყვეტი მომენტი მისი ფილოსოფიისა. ცნობიერებით დაჯილდოვებულად უნდა მივიჩნიოთ თვითეული საგანი, მოაზროვნე, თუ არა მოაზროვნე, ყველაფერი გამოდის როგორც ორი ატრიბუტის, აზროვნებისა და განფენილობის მოდიფიკაცია, ქვეყანაზე არაფერი ისეთი არ მოიპოვება, რაიც ამ ორი ატრიბუტის კონკრეტულ მთლიანობას არ წარმოადგენდეს — ეს შეხედუ-

ლება ძალიან ჰგავს ძველს ჰილოკოიზმს. ჩვენ ვიცით, რომ ჰილოკოიზმში მისი მატერიალიზმის ბუნებისაგან გამომდინარეობდა. ასეთი გაგების საფუძველი იყო ის, რომ ქვეყნიერება არ იყო გაგებული, როგორც დიალექტიკური პროცესი, რომელშიც მოძრაობისა და ცვალებადობის მუდმივი ტრიალით ძველი თვისებები ილუპება და ახლები იზადება. სპინოზას ეს არ სკოდნია და იმ დროინდელი მეცნიერების განვითარების მიხედვით იმის ცოდნა შეუძლებელი იყო. ამიტომ, რასაკვირველია, მას ბუნების ის ძირითადი კანონი არ შეუმეცნებია, რომლის მიხედვით ცნობიერება და მთელი ფსიქური ცხოვრება, როგორც მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმა. ყოველთვის კი არ არის, არამედ განვითარების მაღალსა და გარკვეულს საფეხურზე ჩნდება; ცნობიერების მაღალი ფორმები არის შედეგი ხანგრძლივი პროცესებისა და მატერიის დაბალი ფორმების განვითარებისა. სპინოზამ თუქცალა მიხედა, რომ მატერიას გააჩნდა ცნობიერების და გრძობელობის უნარი, მაგრამ რადგან მან ეს ელემენტები ვერც განვითარებაში და ვერც განვითარების შედეგათ ვერ წარმოიდგინა, ამიტომ მიიღო მათი უცვლელობა და დასაბამიდან ერთნაირობა.

მაგრამ ეს იქნებოდა მიუტყეველი შეცდომა, რომ აქედან სპინოზას ფილოსოფიის არამატერიალისტურობაზე გველაპარაკა; საუცხოვოდ სწერს ამ პრობლემის შესახებ ამხ. კარკვი: „დავა იმის შესახებ, თუ რომელსა და რა მატერიას გააჩნია ცნობიერება, არის დავა მატერიალიზმის საზღვრებში, ის კი არა, მატერიალიზმის გარკვეული ტიპის საზღვრებში, იმ მატერიალიზმის, რომელსაც სკინოზიზტური ეწოდება და რომელსაც ფრ. ენგელსი ემბრობოდა“ (ქურ. II. პ. II. № 1, 1927).

არავითარი საბუთი არ არის სპინოზას მოძღვრებაში იდეალიზმი ან და ისეთი უბეში მატერიალიზმი დაგვენაბა, როგორც იყო მატერიალიზმი მელოზოტისა, ბიუნზერისა და სხვ. ეს უკანასკნელი ვაცილებით უფრო ჩვენს მექანიკურ მატერიალისტებს ჰგავს, ვიდრე სპინოზას, აზრისა და არსის დამოკიდებულობის პრობლემა სპინოზას მიერ დამაკმყოფილებლად არის გარკვეული, რაც შეეხება მის მიერ ამ სფეროში დაშვებულ შეცდომებს, ეს აიხსნებოდა სწორედ იმ მექანიკური და მეტაფიზიკური ნაწილებით, რომლებიც მის ფილოსოფიაში კიდევ იყო წარმოდგენილი. მაგრამ როცა აქსელროდი აზროვნებაში მატერიის თვისებას აღარ ხედავს, ის გამოდის არამც თუ სპინოზას მოწინააღმდეგედ, არამედ მარქსიზმის გარკვეულ მოწინააღმდეგეთაც. სპინოზა და მასთან ერთად მარქსი აზროვნებას განიხილავდენ, როგორც მარადიულ და აუცილებელ თვისებას მატერიისა. თუ რა ფორმისა უნდა ყოფილიყო ამ თვისების სახე, ამის გარკვევა, რასაკვირველია, მათ მოვალეობას არ შეადგენდა.

ფრ. ენგელსი აი რას სწერს ამ პრობლემის გამო: „...რა უამრავი არ ყოფილიყო რიცხვი იმ არსებთა, რომლებიც უნდა წარმოშობილიყვენ და გამქრალიყვენ მანამდე, სანამ ერთ მათგანს ისეთი ინსტანცია არ გაუჩნდებოდა როგორც არის მოაზროვნე ტენი, — ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ მატერია, მიუხედავით ყველა ცვალებადობისა და გარდაშენისა, არის მარადი და ერთი და იგივე, და რომ არც ერთის მის ატრიბუტს გაქრობა არ შეუძლია, ამი-

ტომ იმავე რკინისებური აუცილებლობის მიხედვით, რომლისაგან დამოკიდებულია ბუნების სილამაზისა და ყვავილის—მოაზროვნე სულის—სიკეთედი და განადგურება; მატერია ხელახალ წარმოშობს მას რომელსამე სხვა ედგენილზე და სხვა მომენტში“ („ნატურ-დიალექტიკა“ გვ. 177. A. არხივისტ, II). ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ ენგელსის აზრით აზროვნება, როგორც მატერიის ატრიბუტი, საბოლოოდ არას დროს არ ქრება, ის არის მატერიის ისეთივე მარადი თვისება, როგორიცაა სხვა ატრიბუტები. ეს კი საესებით იგივეა, რასაც ასწავლის სპინოზა მოაზროვნე და განუენილი სუბსტანციის ერთი სუბსტანციით გამოთლიანების შესახებ. აქსელროდის მტკიცება ამის წინააღმდეგ მოკლებულია, ყოველივე მტკიცე ნიადაგს.

კიდევ დავგვრის ერთი პრობლემა სპინოზას ფილოსოფიისა, რომელიც აქსელროდს აგრეთვე არა მარქსისტულად და შემცდარად გაუგია. ეს არის პარალელიზმის საკითხი სპინოზიზმში. აქსელროდის შეცდომას ამ სფეროში, რასაკვირველია, ის გარემოება ვერ შეცვლის, რომ თვითონ აქსელროდი აქ რაღაც უზერხელობას გრძნობს და სპინოზას წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას ანელებს და აცხადებს, რომ გვარწმუნებს, ვითომც სპინოზას პარალელიზმის შექანიკური მიზეზობრიობის გაშლაში ნელ-ნელა იფანტებოდეს. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ აქსელროდი აქ საკუთარ წინააღმდეგობებში გაბლართულია და ამას თვითონ ვერ ამჩნევს. ერთის მხრივ ის ლებულობს, რომ სპინოზასთან აზროვნება მატერიისაგან მოგლეჯილი იყო და მეორეს მხრივ ლაპარაკობს პარალელიზმის ნელ-ნელა გაქრობის შესახებ. აქსელროდი ვერ ამჩნევს, რომ ეს ორი დებულება ერთად ვერ მოთავსდება. აქსელროდზე გაცილებით ლოგიკურად მსჯელობს აქ წმინდა წყლის იდეალისტი ვინდელბანდი. ისიც ლებულობს, მატერიისა და აზროვნების განშორებას და სწორედ ამიტომ მას სპინოზიზმი პარალელისტურ მოძღვრებათ შიანია და თავგამოდებით იცავს ყოველგვარ პარალელიზმს; ვინდელბანდი ისე შორს მიდის, რომ პარალელიზმში ფსიქო-ფიზიკურ პროცესების პარალელობას ხედავს. ამ უკანასკნელ არგუმენტაციაში კი თვით აქსელროდიც აღარ მიემხრო ყველა სხვა საკითხებში მის თანამოაზრე—ვინდელბანდს.

პარალელიზმის საკითხი იმდენად საინტერესოა, რომ ზედმეტი არ იქნება თუ მასზე მსჯელობას კიდევ გავაგრძელებთ. ვინდელბანდი ასე გვიხსნის თავის შეხედულებას: „სულიერ და გრძნობად ქვეყანას, ჩვეულებრივად, განიხილავენ, როგორც ორ დამოუკიდებელ სფეროს ერთი მეტაფიზიკური სინამდვილისა. სპინოზასათვის ეს დაპირისპირება იყო უსათუოდ პრინციპიალური; მისი აზრით ამ ორ ქვეყანას შორის არავითარი უშუალო კავშირი და მიმართება არ არსებობდა, უპირველეს ყოვლისა მათ შორის არ არსებობდა არავითარი მიზეზობრივი კავშირი, ის რაც ხდებოდა სულიერ ქვეყანაში, იყო განსაზღვრული მხოლოდ სულიერი მოტივებით“ (იხ. ვინდელბანდის: „ისტორია ახალ. ფილოს.“ რუს. გამოც. ტ. I გვ. 171). ეს არის თანმიმდევნო და ლოგიკური გატარება პარალელისტური შეხედულებისა. აქსელროდი ამ შეხედულების შუა გზაზე დგას.

დროა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებაც, თუ რამ მისცა საფუძველი ამ ხალხს სპინოზაში პარალელისტური სისტემა დაენახათ. შეიძლება მისთვის ნაწერებში მოგვეპოვება ისეთი ადგილები, რომლებიც პარალელისტურ ინტერპრეტაციას ამართლებდენ? ასეთი ადგილები მართლაც რომ არის „ეთიკაში“. ამ „ადგილებიდან“ პარალელიზმის გამოყვანა, რასაკვირველია, შეიძლება. მაგრამ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სპინოზას სისტემის მთლიან სახეს წინასწარ დავიფიქვებთ, მისი ნაწერებიდან ფრაზებს ამოვგლეჯთ და ამათზე დავეყრდნობით. მაგ; ასე იქცევა აქსელროდი, როცა ის „ეთიკის“ მეხამე ნაწილის მეორე თეორემას იხილავს, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობით აქვს ეს თეორემა სპინოზას ნახმარი. ეს თეორემა ასეთია: „სხეულს არ შეუძლია სული აიძულოს აზროვნებისათვის, არც სულს შეუძლია სხეული აიძულოს მოძრაობის ან უძრაობისაკენ“, ეს თეორემა რომ ცალკე და დამოუკიდებლად განვიხილოთ, გამოვა, რომ სპინოზა ატრიბუტების შორის დამოუკიდებულებასა და ფრთი-ერთობას არ სცნობდა, აქედან, რასაკვირველია, შეიძლება შეთავაზდეს მივიღოთ, რომ პარალელისტური ინტერპრეტაცია სპინოზას ფილოსოფიისა მართებულია. მაგრამ თუ ასე ცალმხრივი არ ვიქნებით და სპინოზას მთლიან სისტემას გავითვალისწინებთ, გამოჩნდება, რომ დასახელებულ თეორემაში არავითარ პარალელიზმზე ლაპარაკი არ არის. თეორემას აზრი სპინოზასთვის იმაში კი არ იყო, რომ ატრიბუტების პარალელიზმი დაემტკიცებია, არამედ ეს თეორემა იყო ილლიუსტრაცია და დამტკიცება იმისა, რომ ატრიბუტები სხვადასხვა ბუნებისა არიან. თეორემა გამოხატავს ატრიბუტების სხვაობას და არა მათ იგივეობას.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ სპინოზამ, ვითომც და წინასწარ მოიფიქრა, რომ მის თეორემას პარალელისტურად განმარტავდენ და ასეთის საწინააღმდეგოთ თეორემის სკოლიუმში თვითონ განგვიმარტა თავისი თეორემა. დასახელებული თეორემის სკოლიუმში აი რას სწერს სპინოზა: „სული და სხეული ერთი და იგივე საგანია, რომელიც ხან აზროვნების და ხან განფენილობის ატრიბუტად განიხილება. აქედან გამოდის, რომ წესი და საგანთა გადაჯაჭვა ერთი რჩება, მიუხედავად იმისა ბუნება განიხილული იქნება ამა თუ იმ ატრიბუტის მიხედვით; მაშასადამე, ჩვენი სხეულის მოქმედების წესები და აფექტები, ბუნებიდანვე, სულის მოქმედების წესებთან და აფექტებთან ერთად არსებობს“ (იხ. სპინოზა: „ეთიკა“ გვ. 144—145). რას გვეუბნება ჩვენ ეს თვითონ სპინოზას მიერ მოცემული განმარტება? თავისთავად ცხადია, რასაც ის გვასწავლის. სახელდობრ იმას, რომ აზროვნებისა და განფენილობის ატრიბუტი ორი დამოუკიდებლად არსებული არსება კი არ არის, არამედ ეს არის ერთისა და იმავე სუბსტანციის, ორი მხარე. ამითვე, რასაკვირველია, ისიც ნათქვამია, რომ კანონი, რომელიც ერთს ამთავანს გააჩნია, გააჩნია მეორესაც. სპინოზა ამბობს, რომ „ჩვენი სხეულის მოქმედების წესი და აფექტი“ იგივეა, რაც ჩვენი „სულის მოქმედების წესი და აფექტი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ატრიბუტის შინაკანონები ანალოგიური ბუნებისა არის.

ამის გამო, რასაც ვერცხვით, გაცილებით მეტი უფლება გვაქვს ვთვალოთ ატრიბუტების დიალექტიკურ ერთიანობაზე, ვიდრე მათ მეტაფიზიკურ სხვაობაზე. აქსელროდს, მგონია, უნდა მოეხსენებოდეს, რომ მეტაფიზიკური სხვაობის მიღება, კიდევ არ ნიშნავს დიალექტიკური ერთიანობის უარყოფას. პირიქით, ერთიანობა, რომ არსის კონკრეტულ ერთიანობად იქცეს, ამიტომ სხვაობის მიღება ერთგვარი პირობაა. სპინოზა ასე გრძნობდა თავის სისტემას და ისე გვესმის ჩვენც ის; ვისაც ეს გზა დაუტოვებია, ის, ცხადია, სპინოზას მონისტობას და მატერიალისტობას ვერ აღიარებს.

თუ რამდენად შემცდარი იმ შეხედულება, რომელიც სპინოზიზმში რაღაც პარალელიზმს ხედავს, კიდევ უფრო ნათელი იქნება, თუ სპინოზას ე. წ. ფსიქო-ფიზიკურ პრობლემას განვიხილავთ. შეიძლება იმის დამტკიცება, რომ სპინოზა არამც თუ ორ ატრიბუტს შორის არსებულ კავშირს ამჩნევდა, არამედ ამ კავშირის სისრულეში მოყვანისათვის ერთგვარ პირველობას განფენილობის მხარეზე ხედავდა. ამ გარემოებით სპინოზას ფილოსოფიის საერთო მატერიალისტური ბუნება თავს იჩენს ფსიქოლოგიის საკითხებშიაც. ამ პრობლემებზე შეჭრებაც ზედმეტი არ იქნება.

ადამიანი, სპინოზას გაგებით, არის ბუნების ნაწილი. მასში არაფერი არ არის ზებუნებრივი და ტრანსცენდენტური, ის უბრალო მოდიფიკაციაა სუბსტანციის ორი დასახელებული ატრიბუტისა. ადამიანის არსება—გკითხულობთ სპინოზასთან—შედგენილია ღმერთის ატრიბუტების გარკვეული ცვალებადობისაგან* («ეოიკა» გვ. 77). ამრიგად ადამიანი განფენილობისა და აზროვნების კონკრეტული ერთიანობის რეალური არსებაა. წარმოუდგენელია, რომ ის ერთს მათგანს შეადგენდეს. ის პროდუქტია მოაზროვნე და განფენილი ქვეყნის, როგორც ერთი სუბსტანციის, ურთიერთ ზეგავლენისა.

ამიტომ შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ადამიანის ცხოვრების ერთი მხარე მეორისაგან გამომდინარეობს, მაგ. ფსიქიური ფიზიკურისაგან. ეს ასე გონია, მაგ. ანზ. ჩუჩმარევეს, როცა ის პლებანოვის სტატიას «Трусневий идеализм» (პეტროლდის წიგნის გამო დაწერილს) აკრიტიკებს. ჩუჩმარევეს წარმოდგენით პლებანოვის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის სპინოზასავით იქცევა და სუბიექტი ობიექტისაგან არ გამოჰყავს, პირიქით ამტკიცებს, რომ სუბიექტი თან ახლავს ობიექტს. პლებანოვის აზრით «აზროვნების ატრიბუტი განფენილობის ატრიბუტად გამოწვეული კი არ არის», არამედ ის არის «ერთისა და იმავე საგნის და ერთისა და იმავე პროცესის» მეორე მხარე. (იხ. პლებანოვი: «ნაწერები» XVII. 123). მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, ვითომც ამ ორ ატრიბუტს შორის არავითარი ურთიერთი ზეგავლენა არ არსებობდეს; ისეთი რამ, ცხადია, არც პლებანოვსა და არც სპინოზას აზრათაც კი ამ მოსვლიათ. როგორც ეს ამას არ ნიშნავს, აგრეთვე არ ნიშნავს იმასაც ვითომც პსიქიურსა და მატერიალურს შორის ურთიერთი ზეგავლენა არ მოიპოვებოდეს. სწორედ რომ სპინოზასთან ენახულობთ ჩვენ ამ მიმართულებით დიდათ საინტერესოაზრებს და კიდევ ერთ ზედმეტ დოკუმენტს სპინოზას ფილოსოფიის მატერიალის-

ტურობისათვის. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი არის სპინოზას ცნობილი თეორემა, რომელიც ამბობს რომ „წესწყობა და კავშირი ედებებზე არის ერთი და იგივე, რაც წესწყობა და კავშირი ცნობიერებისა“ („ეთიკა“ 72).

ეს კანონზომიერი კავშირი გვასწავლის, რომ ის ბატონობს მთელს ბუნებაზე და ცხადია რომ იმითვე აიხსნება ჩვენი ფსიქიური პროცესებიც. რამდენად ასეთი საკითხის დასმა ფსიქიურის სფეროში გადაიტანება, აქაც „იდეის წესწყობა და კავშირი“ იდენტიურია „საგნების წესწყობისა და კავშირისა“. ცხადია, რომ ასეთი თვალსაზრისით ფსიქიური და ფიზიკური პროცესები ორი დამოუკიდებელი ქვეყნისაგან გამომდინარე პროცესები კი არ არიან, არამედ ეს არის ერთის და იმავე პროცესის ორი მხარე, ვაშლილი ხან აზროვნებისა და ხან განფენილობის ატრიბუტის სახით. სპინოზამ საუცხოვოთ იცოდა, რომ ადამიანი ორი შინაგანი ცხოვრების, ფსიქიურისა და ფიზიოლოგიურის მატარებელი კი არ არის, არამედ ის არის ამ ორი თვისების კონკრეტული ერთიანობა. აქედან, ცხადია ისიც გამომდინარეობს, რომ სპინოზასათვის ცნობიერების მატერიაზე უბრალო დაყვანა მიუღებელი იყო. ცნობიერება, მატერიასთან ერთიანობის სახით განხილული, სრულიადაც რომაა არ ეწინააღმდეგება ფსიქიურისა და ფიზიოლოგიურ კანონზომიერ ურთიერთობას. მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, ვითომც ფსიქიური ცხოვრება ფიზიკურისაგან არ განსხვავდებოდეს, პირიქით სპინოზა ნათლად ხედავს, რომ ფსიქიური ცხოვრება რაღაც უმაღლესი თვისების შემკველია და მხოლოდ ფიზიკური მოვლენების კანონზომიერების ცნებით ის არ ამოიწურება. ფსიქიური გამოდის, როგორც მატერიის რაღაც მაღალი თვისება და როგორც ასეთს, მას თავისი განსაკუთრებული სპეციფიურობაც ახასიათებს.

ჩვენი დროის მეხანისტები სწორედ რომ ამ თავისებურ სპეციფიურობას ფსიქიური ცხოვრებისა არ იცნობენ და ამიტომ ჰგონიან რომ ფსიქიურსა და ქიმიო-ფიზიკურ პროცესებს შორის იდეეობის ნიშნის დასმა შეიძლებოდა. სპინოზას დროს თემცალა მეცნიერება ეგოდენ განვითარებული არ ყოფილა, მაგრამ სპინოზამ ეს პრობლემა ჩვენ მეხანისტებთან შედარებით უკეთესად დამუშავა და დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისთან „ძველი“ სპინოზა გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ჩვენი „ახალი“ მეხანისტები.

ფსიქიურსა და ფიზიკურს შორის ურთი-ერთ ზეგავლენის აღიარებით და იმის მიღებით, რომ მეორესაგან პირველი დამოკიდებულია, სპინოზისმისათვის ისიც მტკიცდება, რომ ზოგადათ აღნუბულ მატერიას პირველობა ეკუთვნის ცნობიერების მიმართ. ამ დებულების სისწორე უკვე ნათელია იმ დამოკიდებულებიდან, რომელიც სპინოზამ დაამყარა ატრიბუტებსა და სუბსტანციას შორის; სულისა და სხეულის დამოკიდებულების საკითხი საუცხოვო ილიუსტრაციაა ამ ზოგადი თეორიული მოსაზრებისა, ამის შესახებ აი რას სწერს სპინოზა ბოკსელს: „მესამე საფუძველი (რომელიც ამბობს, რომ როგორც სხეულს უსულოდ, ისე სულს უსხეულოდ შეუძლია არსებობა) ჩემი აზრით ავრთვე ამსურდია. ერთი მითხარით, თუ ხათრი გაქვთ, ასეთი თეორიით ხომ ისიც დასა-

გერებელია, რომ არსებობდეს მეხსიერება, სმენა, ზედვა და სხ. ყოველივე სხეულიდან დამოუკიდებლად. საფუძველი ასეთი შეხედულებისა ის უნდა იყოს, რომ ისეთი სხეულებიც არსებობენ, რომლებსაც არც სმენა აქვთ, არც ზედვა და სხ.* (მიწერ-მოწერა, გვ. 346).

ამრიგად რადგან სულს, რომელიც აზროვნების ატრიბუტის მოდიფიკაცია არის, უსხეულოდ არსებობა არ შეუძლია, სხეულს კი უსულთ არსებობა უზრუნველყოფილი აქვს. ცხადია, რომ სხეულის პირველობა სულზე დამტკიცებულია და განუყვანლობის უპირატესობა აზროვნებაზე ამასთან ერთად.—იი მოკლეთ ყველა ის დებულება, რომლის გათვალისწინება საჭირო იყო, რათა დაგვემტკიცებია, რომ მოძღვრება ატრიბუტებზე სპინოზას მიერ მოფიქრებული იყო საესებით მატერიალისტურად.

გ) მოდუსების თეორია

ე. წ. მოდუსების პრობლემასთან სპინოზას ფილოსოფიაში დაკავშირებულია მთელი რიგი არსებითი მომენტებისა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სპინოზას სისტემის ბუნების გათვალისწინების დროს. მაგალითისათვის იმის დასახელებაც საკმარისია, რომ ისეთი საკითხები, როგორც არის საკითხი სუბსტანციის არსებისა, ინტელექტის ფორმებისა და სხ. დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ გადაიკრება საკითხი, ე. წ. მწარმოებელი და ნაწარმოები ბუნების ურთი-ერთობისა, ე. ი. საკითხი სუბსტანციისა და მისი კონკრეტული გამოვლინების დამოკიდებულებისა.—ყველა ეს საკითხი მოდუსების თეორიის სფეროში არის განხილული.

მოდუსების თეორიის განხილვა გაცილებით უფრო რთული პრობლემაა, ვიდრე სპინოზას ფილოსოფიის სხვა რომელიმე ნაწილისა. აქ ზოგი სიძნელე იმითაც არის გამოწვეული, რომ იქა-აქ თვითონ სპინოზა ძალიან გაურკვეველად ლაპარაკობს, მაგრამ თივისთავადაც მოდუსების საკითხი ძალიან რთული საკითხია. თითქმის ყველა სპინოზას მკვლევარი აღიარებენ ამ სირთულესა და სიძნელეს.

მოდუსების პრობლემის სირთულე განსაკუთრებით იმითაც არის გამოწვეული. რომ სპინოზის მართლაც ემნევა, რომ სუბსტანციისა და მის კონკრეტულ გამოვლენის ფორმებს შორის რაღაც განხეთქილება მომხდარა. ამ განხეთქილების შესწავლა, უსათუოდ, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სპინოზის განცნობისათვის. თუ აღმოჩნდება, რომ სპინოზასთან ყველა ელემენტი ამ განხეთქილებისა მოცემულია, მაგრამ არსად ჩანს ცდა სუბსტანციისა და მის გამოვლენის ე. ი. ბოლოვადი სავნების განხეთქილების გადალახვისა, მაშინ ცხადია, რომ სპინოზას მონიშნა შერყეულია და იქ დუალიზმი იწყებს დაბინადრებას. ამ პრობლემით სპინოზას ყველა მკვლევარი არის დაინტერესებული.

დავიწყოთ კუნო ფიზიკიდან. კუნო ფიზიკის შეხედულება მოდუსების თეორიაზე, ცხადია, რომ ყოველად მიუღებელია; ის სწერს: „ღმერთი არის სუბსტანცია; სავნები კი მოდუსები. სუბსტანცია თავისი ბუნებით დაუბოლოვებელია, უსაზღვროა, აუცილებელი; მოდუსები კი თავიანთი ბუნებით არიან ზო-

ლოვადნი, განსაზღვრულნი, შემთხვევითნი და პირობითნი; სუბსტანციის სტესებით უდეტერმინაცია, მოდუსები კი დეტერმინაციაქნილნი არიან; ესე მდგომარეობითა და თავისუფალი, ეს კი ნაწარმოებნი და არა თავისუფლებანი; სუბსტანცია მარადიული მიზეზია, მოდუსები კი გარდამავალი მოქმედება. რალა აქვს საგნებს საერთო ლმერთთან, თუ ისინი ასე ყოველნხრივ მისგან განსხვავდებიან?.. სუბსტანციასა და მოდუსებს შორის არის დიდი ზღვარი და უთანასწორობა, რაც საფუძველი შეიძლება იყოს ახალი დუალიზმისათვის“. (იხ. კ. ფიშერის: „ისტორ. ახალი ფილოსოფ.“ ტ. II, გვ. 579-80).

რა აზრი აქვს აქ მოყვანილი კუნო ფიშერის ინტერპრეტაციის? ამისი აზრი ცხადია; ფიშერი ამტკიცებს რომ სუბსტანციასა და ატრიბუტებს შორის დიდი ზღვარი და მოურიგებელი წინააღმდეგობაა; ამით, რასაკვირველია, ის ანგარიშს არ უწევს თვითონ სპინოზას მიერ მოცემულ ცდებს ამ ზღვარის გადასალახავათ და წინააღმდეგობის დასაძლევათ. თუ სპინოზა სუბსტანციისა და კონკრეტი საგნის დამოკიდებულებას ისე განმარტავს, როგორც ეს აქ კ. ფიშერმა დაგვიხატა, მაშინ ცხადია, რომ სპინოზიზმი დუალისტური ფილოსოფიაა და იქ მონიზმის არაფერი აღარ არის. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ეს ასე არ არის. სპინოზას ასე არ ესმოდა თავისი ფილოსოფია. კ. ფიშერმა სპინოზას ვერ მიუხედა დიალექტიკური აზროვნების ის პროტოტიპი, რომლის დახმარებით სპინოზა აქ დასახულ წინააღმდეგობას გადალახავს და დუალიზმს თავს აღწევს.

კუნო ფიშერის მსგავსად შეცდა ამ საკითხის გარკვევის დროს ნ. კიბოვსკი, თუმცა მან მოდუსების თეორიის საერთო საზე სწორად გადმოგვცა. კიბოვსკიმ შეცდომა დაიწყო უკვე იმით, რომ მან სპინოზას ორი სუბსტანციის ცნება მიაწერა. აი როგორ ასახულებს თავის აზრს ნ. კიბოვსკი: „პირველი სუბსტანცია განყენებული და ცალკერი მთლიანობაა, რომლის შემეცნება შეუძლია გონების განსჯის დახმარებით; მეორე სუბსტანცია ემპირიულია, ფენომენალური, მთლიანობაში მრავალმხრივია და ადამიანური ცნობიერების ყველა სახისათვის მისაწვდომი და მისაღებია. პირველს და მეორე სუბსტანციას შორის უფსკრული არსებობს. ამ მდგომარეობას თვითონ სპინოზა გამოხატავდა თავისებური სქოლასტური ტერმინებით *natura naturans* და *natura naturata*—მწარმოებელი (ე. ი. თავისთავად არსებული) და ნაწარმოები (რეალური ქვეყნის სახით) არსებული ბუნება. სპინოზა ძალიან ცდილობდა ამ ორ დამოუკიდებელ ქვეყანას შორის ზიდის გადობას... („ისტორიულ-ფილოსოფიური კრებული“ რუსულად, გვ. 73). ნ. კიბოვსკის შეცდომა, ცხადია, რომ იმავე ბუნებისა არის, როგორცაც კ. ფიშერისა იყო. ისინი ვერ ამხელენ, რომ აღნიშნული ზღვარის დიალექტიკური საშუალებით დაძლევა შეიძლება. ასეთს პოზიციასზე მდგომნი მხოლოდ იმ ელემენტებს ხედავენ სპინოზასთან, რომლებიც მართლა რალაც ზღვარის და მოურიგებელი წინააღმდეგობის არსებობას მიუთითებენ, მაგრამ ამით ავიწყლებათ, რომ სპინოზასთან გაცილებით მეტია ისეთი მომენტები, რომლებიც დუალისტურ სიტუაციას თავს აღწევენ და გონების დიალექტიკური ხერხის დახმარებით მონიზმის საბოლოო გამარჯვებას უზრუნველყოფენ.

საჭიროა ეს უძირითადესი პრობლემა სპინოზას ფილოსოფიის გავებისათვის ახლავე განვიხილოთ სპინოზას ნაზარევის დიალექტიკური ნაკადის კეთილსინდისობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპინოზას სუბსტანციალური კონკრეტული მყარი და არც მარად უძრავი მდგომარეობა, ის არის მომქმედი და მარადიულად ახალი საწყისების მწარმოებელი. სუბსტანციის რეალობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის მარადიულად თავისი არსების კონკრეტული მდგომარეობის სახეებს ლებულობს, და ეს მოდუსები კი შეადგენენ ე. წ. რეალურ საგანთა ქვეყანას. ეს მონდობისა და გქვეადობის პროცესი რომ მოკლებოდა სუბსტანციის, ის უბრალო ლოლიკური ცნება იქნებოდა და როგორც ასეთი რეალური ქვეყნის მიმართ გულგრილი და უშინიშნელი. თუ ახლა ამ მიმართულებით ვიკითხავთ, რა არის სპინოზას მოდუსი? პასუხი ცხადია, რომ სულ სხვა გვარი გამოვა. თვით სპინოზა სწერს, რომ მოდუსი, ანუ მდგომარეობა არის „სუბსტანციის სახის ცვლა, ანუ ის, რაც მეორეში არის და მისი მეშვეობით წარმოიდგინება“ („ეთიკა“ 6). რამდენად მოდუსები სუბსტანციის მდგომარეობას და მის სახის ცვლას გამოხატავენ, იმათ არ შეუძლიანთ არ იყვენ მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი; ეს სიმრავლე და მრავალფეროვანება უკვე იმით არის აუცილებელი, რომ თავისებურად გამოხატავენ სუბსტანციის განსაზღვრელობას და მის მრავალ თვისებებთან ბუნებას. ე. ი. რა არის მოდუსი სუბსტანციის მიმართ და როგორია სუბსტანცია მოდუსებისაგან მიმართული. რამდენად მოდუსები სუბსტანციის მდგომარეობასა და სახისცვლას გამოხატავენ, იმდენად (როგორც ეს სამართლიანად კ. ფიშერმაც აღნიშნა) სუბსტანციას და მოდუსს შორის არის ის დამოკიდებულება, რაც საგანსა და მის თვისებას შორის. მოდუსები, რადგან ისინი სუბსტანციის გამოვლენა და მდგომარეობის გამოხატვაა, არსებობენ აუცილებლად რეალურად, თუ სუბსტანცია არსებობს, მათ არ შეუძლიანთ არ იარსებონ. ამრიგად სპინოზას ფილოსოფიის შინაგანი ბუნება უკვე შეუძლებელს ხდის მოდუსის რაღაც ლოლიკური კატეგორიის სახით გაგებას, მას აზრი აქვს, როგორც რეალურ პრედიკატს, როგორც საგანთა ქვეყნის გამოხატველ კონკრეტულ სახეობას.

საბოლოო დასკვნებამდე საჭიროა კიდევ მოდუსების სხვა მხარეებდაც შევჩერდეთ. სპინოზასთვის მოდუსის ცნება იგივეა ბოლოვადის ცნებასთან. ამის საუკებოვო დამტკიცებას უბრალო განმარტებაც კი იძლევა. რომელი საგანია ბოლოვადი? „ის საგანი—გვიპასუხებს თვითონ სპინოზა,—არის ბოლოვადი, რომლის განსაზღვრა ამავე ბუნების მქონე მეორე საგნით შეიძლება“ („ეთიკა“). ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ მოდუსი არის, „რაც მეორეშია“ ე. ი. რის მოცემულობა მეორე ასეთივე საგნის სახით არის განსაზღვრული. აქედან, რასაკვირველია, ცხადია, რომ მოდუსი ბოლოვადის ცნებას უდრის. რადგან ეს ასეა, რადგან მოდუსი იგივეა, რაც ბოლოვადი საგანი, ამიტომ ძალიან საინტერესოა ამ მიმართებაში დავსვათ ბოლოვადისა და დაუბოლოვებელის დამოკიდებულების პრობლემა. მოდუსით ერთ-ერთი განმარტების თანახმად ვტყობილობთ აგრეთვე, რომ ისინი არსებობას თავისთავში არ გულისხმობენ: „საგანთა არსება არ შეიცავს მათ (თავისშივე თავში) არსებობას“ („ეთიკა“ 39) ასეთი დასკვნა, ცხადია

სპინოზამ იმიტომ გააკეთა, რომ მისი ძირითადი დებულების თანახმად მხოლოდ იმ არსებებს აქვს არსებობაც, რომელიც თავისი თავის მიზეზიც არის. სწორედ ამიტომ მოდუსებს საკუთარი არსებობა არ გააჩნიათ. ეს რომ ანეკდოტულიყო მაშინ ერთი ან ორი კი არა, იმდენი სუბსტანცია უნდა ყოფილიყო, რამდენიც ბოლოვადი საგნებია. სპინოზა ამ მოძღვრებას იმასაც უმატებს, რომ ღმერთი მარტო საგანია არსებობისათვის, და საბაზამის მომცემი მიზეზი კი არ არის, არამედ მათი შენარჩუნებისა და გაგრძელების ე. ი. მთელი მათი არსის მიზეზიც.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ზოგი დასკვნის გამოყვანა და მოდუსების თეორიის ზოგადი შემოხაზვა: მოდუსები სუბსტანციის მდგომარეობას გამოხატავენ, ისინი ბოლოვადნი არიან, დამოკიდებულნი არიან სუბსტანციისაგან და მოკლებულნი საკუთარ არსებობას. ჩვენ ვთქვით, რომ მოდუსების ერთ-ერთი ძირითადი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სუბსტანციის მდგომარეობას და სახის-ცვლას გამოხატავენ, ამიტომ ცხადია, რომ მოდუსები სუბსტანციის არსებობის აბსოლუტური პირობა არიან. და თუ ეს ასეა, მაშინ საინტერესოა ვიკითხოთ, მაინც სად მოჩანს ის ზღვარი, რომელიც ჩვენ ფილოსოფოს სუბსტანციისა და მოდუსების ცნებათ შორის აღმართვია? და თუ ასეთი ზღვარის და წინააღმდეგობის საშიშროება მართლაც აღმოჩნდება სპინოზას ფილოსოფიაში, ნუ თუ იქ არ ჩანს ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ამის გადალახვისკენ იყონ მიმართული? ჩვენ გვგონია, რომ სპინოზას ერთიც აქვს და მეორეც. პირველი უკვე სუბსტანციის იმ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვით, სუბსტანცია თავისი გამოვლენისათვის არ ეყრდნობა ბოლოვად საგნებს და არის მხოლოდ სრულქმნილი და დაუბოლოვებელი. ამ დებულებას მართლაც და ლოგიკურად შეუძლია იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ მოდუსებს შეუძლიანთ არც იარსებონ, ისინი შემთხვევითნი არიან, სუბსტანციის თვისი გამოვლენისათვის მოდუსები არ ესაჭიროება და სხვ. თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ სუბსტანციისა და მოდუსებს შორის მომხდარი განხეთქილება ფაქტია, წინააღმდეგობა მათ შორის ხელზე გვაქვს და სხ. მაგრამ მეორე ადგილს სპინოზა უკვე გარკვეულად იმის სასარგებლოთ ლაპარაკობს, რომ მოდუსები სუბსტანციისათვის შემთხვევითნი არ არიან, რომ მათი არსებობის მიმართ სუბსტანცია გულგრილი არ არის; პირიქით, აქ ჩვენ ვნახულობთ, რომ მოდუსები სუბსტანციიდან აუცილებლად გამომდინარეობენ, რომ სუბსტანცია თავის არსებასა და სახეს მხოლოდ მოდუსების საშუალებით ამხელს და ავლინებს... „რადგანც ლეთაებრივ ბუნებას აბსოლუტურად დაუბოლოვებელი ატრიბუტები აქვს, რომელთა შორის თვითეული დაუბოლოვებელ არსებას გამოხატავს, ამიტომ მისი აუცილებლობიდან აუცილებლად საგანთა დაუბოლოვებელი სიმრავლე უნდა გამომდინარეობდეს“ („ეთიკა* 29).

ამაზე კიდევ უფრო ნათლად გამოხატავს სპინოზა სუბსტანციის და მოდუსების კავშირს დებულებით:— „რამდენად ჩვენ უკეთესად შევიგნებთ კერძოულ საგნებს, იმდენად უკეთესად შევიმეცნებთ ღმერთსაც“. ყველა ამ ფაქტებიდან, რასაკვირველია, ის გამომდინარეობს, რომ მოდუსების რეალური არსებობა შეუძლე-

ბელია, რომ მათ შემეცნების გზით, ჩვენ სუბსტანციასაც შევიმეცნებთ და სხვა საკითხის ასეთი დასმა და მისი გადაჭრის აქ მოცემული ცდები, რომ სპინოზამ არამც თუ აღნიშნა ერთგვარი ზღვარები და სუბსტანციას შორის, არამედ ეს ზღვარი დიალექტურად დასძლია და წინააღმდეგობა გადალახა. შედეგი იყო ის, რომ მისი სისტემა ამ საბედისწერო მომენტშიც დარჩა მტკიცე მონიშნო.

მაგრამ სწორედ აქ იშლება მოდუსების თეორიის უკარდინალესი საკითხი. რა საშუალებით შეიძლება კავშირის დამყარება მოდუსებსა და სუბსტანციას შორის. სპინოზას მოძღვრების თანახმად ღმერთი ანუ სუბსტანცია, რომლისაგან ყოველი არსებული დამოკიდებულია, საგნების არსებობის უშუალო მიზეზი მაინც არ არის. სუბსტანცია ასე ვთქვათ შორეული მიზეზია საგნებისათვის, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ის საგნებით მიზეზი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბსტანცია უფლებას დაჰკარგავდა ყოფილიყო არსის იმანენტური მიზეზი და როგორც ასეთი ის თვითონ დაჰკარგავდა არსებობის უფლებას. სპინოზას შეხედულება, რომ მოდუსების პირდაპირ მიზეზს სუბსტანცია არ შეადგენს, იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ მოდუსები სუბსტანციის დაუბოლოვებელი ბუნების პირდაპირი შედეგი არ არიან, მაგრამ არა პირდაპირ მოდუსებიც, რასაკვირველია, სუბსტანციის შედეგები არიან და სუბსტანცია მათი არსებობის მიზეზია. თუ ატრიბუტებს მხედველობაში არ მივიღებთ და სუბსტანციას ავიღებთ ისე, როგორც ის არის ე. ი. დაუბოლოვებელი სუბსტანციის საბით, ცხადია, რომ დაუბოლოვებელის შედეგი ეგრეთვე დაუბოლოვებელი იქნება და ბოლოვად საგნებს ანუ მოდუსებს იქიდან ვერ მივიღებთ. ერთგვარი შემაერთიანებელი ინსტანციის როლს ამ შემთხვევაში ატრიბუტები ასრულებენ; რასაკვირველია, ეს შეამავლობა ხდება არა პირდაპირი გზით, არამედ ატრიბუტების ისეთი მოდიფიკაციით, რომლითაც დაუბოლოვებელი მოდუსის ცნებამდე მივალთ. დაუბოლოვებელი მოდუსი კი დაბოლოვებულით განისაზღვრება. დაუბოლოვებელი მოდუსები ატრიბუტების ერთგვარი მოდიფიკაციის ნაყოფია სუბსტანციის დაუბოლოვებელ ბუნებაში, ხოლო ბოლოვადი მოდუსები დაუბოლოვებელი მოდუსებიდან წარმოსდგებიან.—ახლა ინტერესს წარმოადგენს საკითხი, თუ რატომ მიმართა სპინოზამ დაუბოლოვებელი მოდუსის ცნებას, ნუ თუ სხვა საშუალება არ მოეპოვებოდა სუბსტანციისა და მოდუსებს შორის ზიდის გასაღობად. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა ზელის შემშლელი იყო ის გარემოება, რომ დაუბოლოვებელიდან პირდაპირი გზით მხოლოდ დაუბოლოვებელი გამოდის და არა ბოლოვადი, მოდუსი კი ბოლოვადი საგანია. იგივე სიძნელე უნდა შეხვედროდა მას, როცა ის მოდუსის არსებობას ატრიბუტის ბუნებიდან გამოიყვანდა, მისივე დებულების თანახმად „ყველაფერი, რაც ღმერთის რომელიმე ატრიბუტის, აბსოლიუტური მუნებისგან გამომდინარეობს, ყოველთვის უნდა ყოფილიყო და დაუბოლოვებლად ეარსებებია“ („ეთიკა“ 36). ეს დებულება უკვე იმას ნიშნავს, რომ მოდუსებისათვის პირდაპირი გამოსავალი გზა ატრიბუტის დაუბოლოვებელი ბუნებისაგან არ არსებობდა. როგორც დაუბოლოვებელი სუბსტანცია ყოველთვის დაუბოლოვებელსა იძლევა, ისევე ატრიბუტიც

დაუბოლოვებელიდან მხოლოდ დაუბოლოვებელი შეიძლება უშუალოდ მომდინარეობდეს. ნათქვამიდან უკვე ნათელია, რომ რაღაც თავისებური ცნება უნდა გამოინახულიყო, რომ კაცშირი დამყარებულიყო დაბოლოვებულ მოდუსს და დაუბოლოვებულ ატრიბუტს შორის. ეს ახალი ცნება არის დაუბოლოვებელი მოდუსის ცნება. სპინოზა ის კი არა, ორგვარ დაუბოლოვებელი მოდუსის არსებობას გულისხმობს.

ამიტომ ახლა უნდა გავარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს დაბოლოვებულ და დაუბოლოვებულ მოდუს შორის და რას ნიშნავს ეს ორგვარი დაუბოლოვებელი მოდუსი. ორგვარი სახე დაუბოლოვებელი მოდუსისა სპინოზამ იმიტომ მიიღო, რომ მოდუსის უბრალო დაუბოლოვებლობა მას ისევ სუბსტანციის დაუბოლოვებლობაში სტოვებდა. დაბოლოვებულ მოდუსებს კი მხოლოდ ისეთი დაუბოლოვებელისაგან შეეძლოთ გამოსვლა, რომელიც თავისებური და ახალი მოდიფიკაცია იქნებოდა. თვითონ სპინოზა აი როგორ ასახულებს ორგვარი დაუბოლოვებელი მოდუსის არსებობას: „ყოველი მდგომარეობა (modus), რომელიც არსებობს აუცილებლად და დაუბოლოვებლად, აუცილებლად ღმერთის რომელიმე ატრიბუტის დაუბოლოვებელი ბუნებისაგან უნდა გამოსულიყო, ან და ისეთი რაიმე გზით შეეკვლილი ატრიბუტისაგან, რომელიც იარსებებდა აუცილებლად და დაუბოლოვებლად“ („ეთიკა“ 38) აქ ნათქვამის აზრი იმაშია, რომ დაუბოლოვებელ მოდუსს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია იყოს შემაერთებელი სუბსტანცია მოდუსსა და სუბსტანციას შორის, თუ ის არამც თუ ატრიბუტის აბსოლუტური ბუნებიდან გამოვა, არამედ მოდიფიკაცია მქონილიც იქნება ისეთი დაუბოლოვებელი მოდუსისაგან, რომელიც თავისთავად მარადი და დაუბოლოვებელია.

მაგრამ, სახელდობრ, რა კონკრეტულ სახეს ღებულობს პირველი ან მეორე დაუბოლოვებელი მოდუსი? პირველი სახის დაუბოლოვებელი მოდუსი თავის გამოხატულებას ნახულობს იმით, რომ უშუალოდ გამოდის სუბსტანციის ატრიბუტთა მოდიფიკაციისაგან, ე. ი. ერთის მხრივ მოძრაობასა და სიწყნარეში, როგორც განფენილობის უშუალო მოდიფიკაციაში და მეორეს მხრივ ინტელექტსა და ნებისყოფაში, როგორც აზროვნების ატრიბუტის მოდიფიკაციაში. რომ მოძრაობის ცნება აქ რაღაც უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება, ეს პირველი შეხედვითაც ნათელია. სპინოზას საერთოდ მოძრაობის ცნება ესმის არადიალექტიკურად და ამის მიზეზია ის, რომ მას სიწყნარე (უძრაობა) მოძრაობის ერთ-ერთ მომენტად კი არ მიაჩნია, არამედ რაღაც საესკებით დამოუკიდებელ მოვლენათ, სიწყნარის ეს მეტაფიზიკური გაგება საესკებით უდრიადა მოძრაობის მექანიკურ გაგებას. სპინოზას რომ მოძრაობა მხოლოდ მექანიკურად ესმოდა, ეს ნათლად ჩანს თუ გინდ „ეთიკის“ შემდეგი ადგილიდან: „მოდრავი ან უძრავი საგანი—სწერს სპინოზა—მოძრაობაში ან სიწყნარეში მოჰყავს მეორე სხეულს, ეს მეორე თავის მხრივ ამ მდგომარეობაში სხვა სხეულს მოუყვანია და ასე სულ დაუბოლოვებლად“ („ეთიკა“, 84). ასეთი განმარტებით სპინოზა ამტკიცებს იმას, რომ კერძო საგნის არსებობისათვის საკმარისი არ არის მოძრაობა და სიწყნარე, რომლებიც უშუალოდ განფენილობის ატრიბუტისაგან

გამომდინარეობენ. მოძრაობა მხოლოდ ეხმარება საგნებს რთულ ინდივიდით შეერთებაში. თვით მოძრაობა არის დაუბოლოვებელი მოდუსი, მატერია ის არ არის ატრიბუტი, ის არ არის ფორმა, რომელიც ყოველთვის თან ახლავს მატერიას და ბუნებას. ატრიბუტები კი ყოველთვის თან ახლავს მატერია—სუბსტანციას. ამ რიგად განუფენილობაში ორი დაუბოლოვებელი მოდუსის გარჩევა შეუძლებელია, მოძრაობისა და სიწყნარისა.

ახლა აზროვნების ატრიბუტს, თუ მივმართავთ, ვნახავთ რომ მისი დაუბოლოვებელი ბუნებიდანაც ორი დაუბოლოვებელი მოდუსი გამომდინარეობს, ინტელექტი და ნებისყოფა. სპინოზას მოწინააღმდეგეებმა ეს ნაწილი მისი ფილოსოფიისა, ე. ი. მოძღვრება ინტელექტზე და ნებისყოფაზე იმისთვის გამოიყენეს რათა სპინოზა საკუთარი არგუმენტით დაემარცხებოდა. ისინი ამტკიცებენ რომ დასახელებული მოძღვრება ძირბუდიანათ ეწინააღმდეგება სპინოზას მიერ „ეთიკის“ პირველი ნაწილის მეორე ნახევარში გადმოცემულ მტკიცებას, რომლის მიხედვით ღმერთს არც გონება და არც ნებისყოფა არ მიეკუთვნება. პირველი შეხედვით აქ ვითომც ვართოლა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ, რომ აქ ატრიბუტის მოდიფიკაციის სახით მოცემული მოდუსები ინტელექტისა და ნებისყოფისა შეუძლებელია ის გონება და ნებისყოფის დაგვარი ცნება იყოს, რომელსაც თეოლოგია ღმერთს მიაკუთვნებს. ამ უკანასკნელთა აზრით ინტელექტი და ნებისყოფა მოდუსი კი არ შეიძლება იყოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ატრიბუტი. ანუ სხვა ნაირად თუ ვიტყვიტ სპინოზას ინტელექტი და ნებისყოფა მწარმოებელ ბუნებას კი არ ეკუთვნის, არამედ წარმოებულს, თეოლოგიას კი ის მწარმოებელისათვის სურდა მიეკუთვნებოდა. რობინსონი სამართლიანად შენიშნავს ამის შესახებ, რომ „სპინოზას მტკიცება, რომ ღმერთის ბუნებას არ მიეკუთვნება არც ინტელექტი და არც ნებისყოფა, სრულიად რომაა არ ეწინააღმდეგება სპინოზასავე შეხედულებას, რომ ეს ინტელექტი და ნებისყოფა ღმერთის ბუნებიდან გამომდინარეობენ.“ („სპინოზას მეტაფიზიკა“ გვ. 287).

ამრიგად, ინტელექტი და ნებისყოფა არის ატრიბუტის მოდიფიკაციით მიღებული დაუბოლოვებელი მოდუსი. მეორე დაუბოლოვებელი მოდუსი ყოველთვის პირველთან მოდიფიკაციით არის მიღებული. რობინსონი ამის შესახებ სწერს: „განუფენილობის ბუნებიდან, რომელიც დაუბოლოვებელი მოძრაობითა და სიწყნარით მოდიფიკაცია ქმნილია, გამოდის დაუბოლოვებელი მოდუსი—ქვეყნიერება, უმაღლესი რიგის მატერიალური ინდივიდუმი, რომლის ნაწილები თუმცაღა შეუწყვეტლად იცვლებიან, მაგრამ თვითონ რჩება უცვლელი“ („სპინოზას მეტაფიზიკა“, 289). სწორედ ამავე გზით აზროვნების ატრიბუტის ბუნებისაგან, რომელიც მოდიფიკაცია ქმნილია დაუბოლოვებელი მოდუსებით ინტელექტისა და ნებისყოფისა, გამომდინარეობს ქვეყნიერების იდეა, ე. ი. იმ უმაღლესი ინდივიდის იდეა, რომელიც მოძრაობისა და უმოძრაობის მოდიფიკაციით მივიღებთ. ამ უმაღლესი ვითარების ინდივიდუალის ბოლოვადი მოდუსი არის ადამიანის სხეული, რომელსაც ეფარდება სული, როგორც ქვეყნიერების იდეის ერთი ნაწილი. აი რატომ ამბობს სპინოზა, რომ ადამიანი მათი სულითაა

ბუნების უბრალო ნაწილია, რომ სული დამოკიდებულია სხეულზე. მდგომარეობისაგან და სხვ.

ამრიგად, ეს მაღალი ვითარების ინდივიდი, ანუ ქვეყნიერებას მკვიდრების იდეასთან ერთად, არის მეორე რიგის დაუბოლოვებელი მოდუსი. ეს რომ ასეა, ამას ის პასუხივ ამტკიცებს, რომელიც სპინოზამ ერთ თავის წერილში მოგვცა. აი რას სწერს აქ სპინოზა იმის შესახებ, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ, როგორც პირველი რიგის, ისე მეორე რიგის დაუბოლოვებელი მოდუსის ქვეშ: „პირველი რიგის მაგალითები აზროვნებაში არის აბსოლუტურად დაუბოლოვებელი გონება, განუწინააღმდეგებელი კი მოძრაობა და სიწყნარე; მეორე რიგის მაგალითი არის მსოფლიო მთლიანი კრებადობითი ფორმა, რომელიც საგანთა დაუსრულებელ ცვალებადობაში რჩება ერთი და იგივე“ („მიწერა-მოწერა“). ამ მეორე რიგის დაუბოლოვებელი მოდუსისაგან მარადიულად ჩნდებიან დაბოლოვებული მოდუსები. დაუბოლოვებელი მოდუსი არის უცვლელი მიზეზი და საფუძველი ყველა საგნისა, ამიტომ ბოლოვადი მოდუსები დაუბოლოვებელის გვერდით და ახლო კი არ არსებობენ, არამედ მხოლოდ დაუბოლოვებელში. ყველა ბოლოვად საგანს შორის არსებობს შეუწყვეტელი ურთიერთობა, მექანიკური მოძრაობა არის საფუძველი და მატარებელი ამ ურთიერთობისა. აი როგორ ასაბუთებს ამ აზრს თვითონ სპინოზა: „ყველა კერძო ან თვითთული ცალკე საგანი, რომელიც დაბოლოვებულია და განსაზღვრული არსებობა გააჩნია, შეიძლება არსებობდეს და მოქმედებისათვის გვევლინებოდეს, მხოლოდ იმ გზით, რომ არსებობისა და მოქმედებისათვის ის ირკვევა სხვა მიზეზის გამო, ეს მიზეზიც ბოლოვადი უნდა იყოს... და ასე დაუბოლოვებლად“ („ეთიკა“ 42). მაგრამ უნდა ვიკითხოთ, რა თუ ამ მექანიკურ კავშირს საგნებს შორის არ ეწინააღმდეგება სპინოზას შეხედულება სუბსტანციაზე, როგორც ერთად ერთ საკუთარ თავის მიზეზზე და მიზეზზე ყველა არსებული საგნისა? ამ საკითხის დროსაც უნდა გავიხსენოთ დიალექტიკურობა სპინოზას აზრთა წყობის, უნდა ავიღოთ მისი სისტემა მთლიანად და წინააღმდეგობა აღარ იქნება. მთელი ეს წყობა დაუბოლოვებელი მოდუსების მოდიფიკაციების და ეს რთული გზა დაბოლოვებულ საგანთა ქვეყნისაკენ სწორედ იმიტომ ჩამოაყალიბა სპინოზამ, რათა ასეთი წინააღმდეგობა მოეხსნა და მათი საშუალებით მიეღო გადასასვლელი სუბსტანციის დაუბოლოვებლობისაგან მოდუსების ბოლოვად საგანთა ქვეყნისაკენ. შესაძლებლობა ამ გადასვლისა იმით უზრუნველყო სპინოზამ, რომ სუბსტანციაში, როგორც არსის სრულ სისასრულეში, იგულისხმა პოტენციურად ყოფნა ბოლოვად საგანთა ქვეყნის მთელი სიმრავლისა და მრავალფეროვნებისა. ასეთი განლაგება დაუბოლოვებლისა და დაბოლოვებულისა, სუბსტანციისა და მოდუსებისა იყო ნაშვდილი დიალექტიკური გადაჭრა ამ პრობლემისა.

თუმცა სპინოზა დაუბოლოვებელს დაბოლოვებულს არ უპირისპირებს, მაგრამ აქედან, რასაკვირველია, ის დასკვნა არ გამოიყვანება, ვითომც დაუბოლოვებელი დაბოლოვებულების უბრალო ჯამი იყოს. დაუბოლოვებელი, სპინოზას აზრით, თვისობრივად განირჩევა დაბოლოვებულისაგან და ამიტომ რამდენჯერც ეს უკანასკნელი ერთმანეთს არ მიუმატოთ, დაუბოლოვებელს მაინც ვერ მივი-

დებთ. დაუბოლოვებელი ცნება თუმცაღა დაბოლოვებულის გვერდით არსებობს, მაგრამ დაუბოლოვებელი და დაბოლოვებული მეტაფიზიკურად ერთმანეთს არ გამოორიცხვენ, ამიტომ შპინდრო კავშირი მყარდება მათ შორის. მეტაფიზიკურ სუბსტანციასა და ატრიბუტებს შორის. ამის შესახებ სწორს ის ერთ-ერთ თავის წერილში: „სუბსტანციის შესახებ მე ვცნობ გაცილებით მეტ კავშირს მთელსა და მის ნაწილებს შორის. მიღებით, რომ დაუბოლოვებლობა ერთ-ერთი თვისებაა სუბსტანციისა, ჩვენ მოვალე ვართ დავასკვნათ, რომ თუითელი ნაწილი ეკუთვნის სუბსტანციის სხელს და მის გარეშე არც არსებობა შეუძლია და არც გაიგება ჩვენს მიერ“. („მიწერ-მოწერა“ 133).

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებია, რომ ყოვლად უსაფუძვლოა ზოგიერთების აზრი, ვითომც სპინოზას სუბსტანციისა და მოდუსებს შორის სრული დაშორება არსებობდეს. მაგრამ ჩვენ ამით სრულიადაც რომა არ გვინდა დაეფაროთ ის გარემოება, რომ სპინოზას სისტემაში ეს გადასვლა დაუბოლოვებელიდან დაბოლოვებულში ყველაზე უფრო სუსტი მხარეა. მოძღვრება ე. წ. დაუბოლოვებ მოდუსებზე არის ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველი, ის უფრო აბნეეს პრობლემებს, ვიდრე ანათებს მათ. მაგრამ ჩვენ ამ სინთეზისა და სისუსტის დროსაც ფილოსოფოსის გიგანტურ ცდებს ვხედავთ, გონების დიალექტიური ხერხების დახმარებით გასაჭირიდან გამოსვლისა და წინააღმდეგობის გადალახვისა. ამიტომ საკითხი სუბსტანციისა და მალალი ინდივიდის ურთი-ერთობისა, ე. ი. საკითხი მწარმოებელი და ნაწარმოები ბუნებისა, დადებითად უნდა გადაეწყვიტოთ. აზრი ამ დამოკიდებულებისა სპინოზაში გამოთქვა სკოლასტიური ტერმინებით, *natura naturans* და *natura naturata*, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის დიალექტიური ერთიანობა ვერ შევამჩნიოთ და ის კონკრეტული გაერთიანება განსხვავებისა და იგივეობის ცნებისა ვერ აღვნიშნონთ, რომლებსაც ემყარება სპინოზას აზრთა მსგეველობა ამ სფეროში. გარეშე ამისა ყოვლად წარმოუდგენელია იმ დიალექტიური კავშირის დასაბუთება, რომლითაც მარადი და დაუბოლოვებელი სუბსტანცია-მატერია ვადამბულია მისი ქვეყნიური გამოვლინების ე. ი. რეალური ქვეყნის საგნების საწყაროსთან. ამიტომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით კუნო ფიშერს, რომელიც *natura naturans* და *natura naturata*-ს დამოკიდებულების შესახებ სწერს: „ღმერთი ისეთ მიმართებაში იმყოფება ქვეყანასთან, როგორც მწარმოებელი ბუნება ნაწარმოებ ბუნებასთან. ამ დამოკიდებულები სწორი სპინოზისტური გაგებისათვის არსებობს ერთად ერთი გზა: მწარმოებელი ბუნება არის მარადი მ ი ზ ე ხ ი, ნაწარმოები—მარადი შედეგი; ამ მიზეზ-შედეგის ერთიანობა არის ღმერთისა და ქვეყნის ერთიანობა, განსხვავება მათ შორის არის განსხვავება ღმერთისა და ქვეყნის შორის. სპინოზას მოძღვრებაში სხვა განსხვავება და სხვა ერთიანობა მათ შორის არ არსებობს“ (კუნო ფიშერი: აბალი ფილოსოფ. ისტორია ტ. II, 419).

„ახალი“ ქიზა გურჯაანულ იდეოლოგიაში

1

ვერობის ბურჟუაზიული იდეოლოგია აყენებს სოციალიზმის ყოფნა არ ყოფნის საკითხს, რა თქმა უნდა ის არ იმჩნევს ჰამლეტისტურ ეჭვიანობას ამ საკითხის დაყენებაში. მისი კილო ოპტიმისტურია, იმედითაა გამსჭვალული, სწამს რომ სოციალიზმმა დაკარგა რწმენა თავისი თავის და ველარ იწვევს აღფრთოვანებას, ველარ იტაცებს თავის მიმდევრებს.

ამას ფიქრობს და ლაპარაკობს, სხვათა შორის, ინგლისის კონსერვატორული ბურჟუაზია, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე „შპრძანებული მიღობები“ უჭირავს დღეს დღეობით სოციალიზმის წინააღმდეგ.

ინგლისში, როგორც ვიცით, წმინდა სოციალისტური მოძრაობა ძალიან სუსტია, მაგრამ ორი იდეა—სოციალიზმის და კაპიტალიზმის, შეიძლება, არსად არ არის ერთი მეორის წინააღმდეგ ისე რეალურათ, ისე პრაქტიკულათ დაპირდაპირებული, როგორც ინგლისში.

იქ ორიოდე თვე იყო მუშათა მთავრობა, მაშინ სოციალისტური პოლიტიკა ჩაიჭრა გამოცდაზე. სახელმწიფოებრივი ძალაუფლება გადავიდა ისევ კონსერვატიული ბურჟუაზიის ხელში.

მაგრამ ეს უკანასკნელი გრძნობს ახლა მოახლოებული არჩევნების წინ, რომ ისტორია შეიძლება გამეორდეს და მუშათა პარტია დაუბრუნდეს მართვა-გამგეობას, კონსერვატიული პარტია გრძნობს რომ, ინგლისი არის, ასე ვთქვათ, საჩვენებელი მთელი ევროპისათვის. თუ ბედმა ისე გაუღიმა სოციალისტურ პოლიტიკას ინგლისში, რომ იქ ის მიღწევების გზაზე შედგა, მაშინ წაქეზებული იქნება სოციალიზმი ევროპის სხვა ქვეყნებშიაც. პირიქით, თუ ხელახლა გაიმარჯვა ინგლისის ბურჟუაზიამ, მაშინ მეტი გაბედვით განაგრძობს თავის მუშაობას ბურჟუაზიული რეაქტია მთელი ევროპის კონტინენტზე.

ამას გრძნობს კონსერვატიული პარტია და მისი „რეალური პოლიტიკა“ ისხამს „იდეოლოგიურ ფარხვალს“. ეს იდეოლოგიური შეიარაღება იმ ოთხ წერალში „დეილი ტელეგრაფის“ ფურცლებზე, (დეკემბერი, 1928 წ.), რომელიც ჰენ გვაქვს მხედველობაში, არ არის თეორეტიული ხასიათის. იქ პრაქტიკულათაა დაყენებული სოციალიზმის „გაკოტრების“ საკითხი. არხიკონსერვატიულ ბურჟუაზიული ორგანო „ხელმოსაკიდებელ“ მაგალითებზე უჩვენებს თავ-

ვის მკითხველს, რომ სოციალიზმი გაკოტრდა ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც კეთილშობილი განხორციელების. კილო ამ წერილების, ვითომ ობიექტიურია, ქველიტივით ვნებათა დღეა არ ეტყობა არც ავტორს, არც ხსენებულ ორგანოს რედაქციას. თითქოს სჯერათ, რაც ნათქვამია იმ წერილებში, თითქო მათ დამწერს და დამბეჭდავს არ აკლიათ რწმენა თავიანთ თავის.

II

სოციალიზმი დაქვეითების გზაზეა. ვერ შეასრულა, რასაც პირდებოდა ხალხს, ვერაინ დაიხსნა სოციალური და ეკონომიური გაჭირვებისგან, საერთო უმუშევრობისგან, სიღატაკისგან, თუმცა სწორეთ ყოველივე ამის წამალს იძლეოდა თავის დეკლარაციებშიო. მუშათა მთავრობის ისტორია საკმაოდ ასაბუთებს, ავტორის აზრით, ამ სტრატეგიების სიმართლეს. ის ვრცლათ ენება მაკდონალდის მუშათა პარტიის ცდას ინგლისში და მიდის იმ დასკვნამდის, რომ ეს ცდა ჩატარდა უშედეგოთ და უნაყოფოთ.

იგივე მაგალითი უჩვენებია კონსერვატიული ბურჟუაზიისთვის გერმანიის და რუსეთის უკანასკნელ წლების ისტორიას. გერმანიაშიაც ვერაფერი ვერ გააკეთა სოციალისტურმა პარტიამ სიღატაკის, უმუშევრობის წინააღმდეგ, და მთელი შისი საქმიანობა იხატება მხოლოდ დემოკრატიულ რეფორმებში, ისე, როგორც რუსეთის კომუნისტების საქმიანობა გამოიხატა ანტიდემოკრატიულ რეფორმებში.

იგივე სკანდინავიის ქვეყნებში, იქაც—შვეიციაში, ნორვეგიაში, დანიაში ერთი იყო თეორია, დაპირება; მეორე იყო ცოცხალი, ყოველდღიური საქმე, რომელიც არ გასცილებია პატარ-პატარა რეფორმებს, არაფერი არ წამოუწყიათ იმისთანა, რაც არ შეეძლო ჩვენ მონათესავე ძალაუფლებასო.

ყველა ამ ქვეყნების მაგალითებზე ავტორი არწმუნებს თავის მკითხველს, უკეთ ვთქვათ, კონსერვატიული ბურჟუაზია ეჩინება მომავალ ამრჩეველებს,—ნულარ დაუჯერებთ, ნულარ ენდობით სოციალისტებსო. სოციალიზმის თეორია იტაცებდა მშრომელ ხალხს. გულში ცეცხლს უნთებდა, ამითი ის წლიდან წლამდე იზრდებოდა, გარშემო იკრებდა ამრჩევენლებს, სოციალიზმისპ რაქტიკამ კი გამოიჩინა საშინელი უაწეობა, ხალხი მოვლოდა თეორეტიული პრინციპების გატარებას და მოითხოვდა მით უფრო მეტს, რაც უფრო დიდი და მძლავრი იყო ესა თე ის სოციალისტური პარტია. თეორეტიულის იძლიერისაგან გამოვიდა პრაქტიკული სიძულურე, ზრდა გადაიქცა დაქვეითების სათავეთ, გიგანტიურ სხეულს გამოეცალა მაკოცხლებელი რწმენის სულიო.

III

მოგვყავს მარტო ეს დედააზრი და საკიროთ არ მიგვაჩნია ამონაწერები. საგულისხმოა რამოდენიმე მომენტი. ერთი ის, რომ კონსერვატიულ ბურჟუაზიის თვალში სოციალიზმი ინგლისის მუშათა პარტიის, გერმანიის სოციალ-დემოკ-

რატის, სკანდინავიის სოციალისტების და რუსეთის კომუნისტების ერთიან ფრონტს წარმოადგენს, ის მთლიანად გამოდის ამ ფრონტის წინააღმდეგ. მეორე მომენტი ისაა, რომ კონსერვატიული ბურჟუაზია არ უარყოფს პირველად, აღიარებს სოციალ-დემოკრატიული გაჭირვების, უმუშევრობის, საერთო სიღატაკის და უბედურების ფაქტებს, რითაც გარემოცულია მშრომელი ხალხი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ კონსერვატიული ბურჟუაზია და მისი მონათესავე მთავრობები თავიანთ დეკლარატიულ თეორიებში, პრინციპებში ყველგან პირდებოდნენ ხალხს, ამჩრევლებს, — გამოყვანილ იქნებით უკულმართ ცხოვრების პირობებიდანო. ვიცით ხომ ისიც, რომ კაპიტალისტურ ხანას ასეული წლების ისტორია აქვს, და ამ ასეული წლებით გრძელდება ბურჟუაზიული მთავრობების ცდა, ხოლო სოციალისტური მთავრობების ისტორია ჯერ არ გადასცილებია თითებზე ჩამოსათვლელ წლებს... მესამე მომენტი ის გარემოება, რომ კონსერვატიული ბურჟუაზია თავისით ატარებს, ერთომ, მშრომელი ხალხისთვის საჭირო რეფორმებს და კიდევ გაატარებს, თუ სოციალისტები ჩამოეცლებიან, გაფიცვებით და სხვა ამისთანა რამეებით ხელს აღარ შეუშლიან. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ სოციალურ-დემოკრატიულ ისტორიას რაც ვიცით, რომ მშრომელი ხალხისთვის საჭირო რეფორმები იწყებოდა მაშინ, როცა მშრომელი ხალხი ამისთვის მოძრაობდა, ამას მოითხოვდა. ბურჟუაზიული მთავრობები შორისკენ იცილებდნენ მოძრაობის მეთაურებს და შერე აკმაყოფილებდნენ ხალხის მოთხოვნებს. მეოთხე მომენტი ის, რომ თითონ კონსერვატიული ბურჟუაზია აწი ვერავითარ დაპირებას ვერ იძლევა საზოგადოებრივ გაჭირვება-სიღატაკისგან გამოსაყვანათ იმ ნაწილობრივ რეფორმებს გარდა, რომლებზედაც გამოჩნდა სოციალისტების „უმწიგობა“. დასაბეღებულ წერილებზე ამჟამათ სჩქნს, რომ კონსერვატიულ ბურჟუაზიას მართლა გამოლული აქვს რწმენა დიდი საქმეების და დიდი შესაძლებლობის. უკანასკნელი — მეხუთე მომენტი: ინგლისის დღევანდელ მთავრობას უნდა გამარჯვება მომავალ არჩევნებში და ისევ საბელმწიფოს სათავეში დარჩენა, უნდა გააზნეოს თავისი მონათესავე მთავრობები და მთლიანი ფრონტი შეკრას ევროპაში. ეს არის თავისებური ლოკარნო, რომელიც სჭირდება თანამედროვე კაპიტალიზმს თავისი მშვიდობიანობის დასაზღვევათ. ინგლისმა თან მიმდევრობა ვერ გამოიჩინა ცნობილ ლოკარნოს პოლიტიკაში — და ისევ საფრანგეთს დაეწყო სეპარატიული ზურზული გერმანიის გასამარტოებლათ. ახლა ის იჩენს ინიციატივას, რომ მოეწყოს კაპიტალისტური ლოკარნო სოციალისტების წინააღმდეგ.

IV

ერთხელ ინგლისის მუშათა პარტიის ორგანო „დეილე-ჰერალდი“ სწერდა, — ინგლისი რევოლუციის ბუდე იყო, იქ იპოვნა მარქსმა თავშესაფარი, იქ ჩამოყალიბდა მისი რევოლუციონური თეორია, იქ შეიკრა პირველი ინტერნაციონალის ორგანიზაცია, ესლა კი იგივე ინგლისი საერთაშორისო რეაქციის ბუდეთაა გადაქცეულიო.

მაგრამ ის ხელმძღვანელი როლი, რომელსაც კონსერვატიული ბურჟუაზია ეისრულობს ევროპის რეაქციაში აღარ შეეფერება ინგლისის დღევანდელ დემოკრატიულ მნიშვნელობას.

ომამდის ლონდონიდან შედიოდა კაპიტალი ყველა ქვეყნის მეურნეობაში. ლონდონს ეკუთვნოდა, ამ მხრივ, უდიდესი ხვედრითი წონა თითქმის მთელ მსოფლიო წარმოებაში. ომის შემდეგ ინგლისის საექსპორტო კაპიტალი თანდათან ვიცრდება. დღეს ის დასულია ერთ მეთხედამდე ომის წინა დროისთან შედარებით. უკანასკნელ წლებში კაპიტალის მთავარი ექსპორტიორი შეიქნა შეერთებული შტატები. სულ ბოლო დროს ამ როლში გამოდის საფრანგეთი, რომელიც დღევანდელი ცნობებით ეტოკება შეერთებულ შტატებს.

საექსპორტო კაპიტალის დაკლება, რა თქმა უნდა მაჩვენებელია იმ კრიზისის, რომელსაც განიცდის ინგლისის მრეწველობა, მრეწველობის ტექნიკური ბაზა იქ ახლა ისეა ჩამორჩენილი, რომ აღარ არის იმდენათ მოსაგები წონასწორობა საწარმოო ხარჯების და საბაზრო ფასების. მრეწველობას უფრო ძვირათ უჯდება საქონელი, და უფრო დაბალია გასაყიდი ფასები, ვიდრე ომის წინა დროს. სწორედ ეს ეკონომიური კრიზისი უდევს საჩუღათიმ შეტევას, რომელსაც ინგლისში კაპიტალი აწარმოებს მუშების წინააღმდეგ. მრეწველობას უნდა კრიზისიდან გამოსვლა მუშათა კლასის ხარჯზე: — სამუშაო დღის გადიდებით და ხელფასის შემცირებით.

ამ კრიტიკულ მდგომარეობას ვერ შეცვლის ვერც მუშათა მთავრობა, თუ ის მშვიდობიან პოლიტიკას დააჯგა, თუ რევოლუცია არ მოხდა მრეწველობაში, თუ ძირიანათ არ შეიცვალა მისი ტექნიკური ბაზა.

ეს სამრეწველო რევოლუცია რომ შეეძლოს კონსერვატიულ ბურჟუაზიას, ის არ დაკარგავდა თითონ თავის თავის რწმენას, მისი იდეოლოგიური გამოსვლაც სოციალიზმის წინააღმდეგ არ იქნებოდა ასე კბილ მოცვეთილი და ღონე გამოლეული.

V

ცარიელი რწმენით არ მოხერხდება ამა თუ იმ იდეალებისკენ სვლა. რწმენას უნდა ექნეს ძვალგამაგრებული ხერხემალი ეკონომიურ განვითარებაში. სოციალიზმს არ შეიძლება რწმენა შემოაკლდეს, როცა იმისთვის მუშაობს თითონ ეკონომიკა.

არც ერთი მიმართულების სოციალიზმი არ შეპირებია კაცობრიობას, — ერთბაშათ, როგორც კი ჩემ ხელში გადმოვა ძალაუფლება, გამოვიხსნი ყოველნიერ გაჭირვებისაგანო. ამისთანა სოციალურ ექიმბაშობას კონსერვატორული ბურჟუაზიის იდეოლოგები ვერ ამოიკითხავდნენ ვერც ერთ სოციალისტურ პარტიის დეკლარაციაში. ამნაირი დაპირებით სოციალიზმი არ გამოსულა თეორეტიულ და პრაქტიკულ სარბიელზე.

მისი რწმენა იყო, რომ ეკონომიკის ობიექტიური სვლა თითონ მოაზნადებს პარობებს წარმოების წესის გარდასაქმნელათ, თითონ ეკონომიკაში უნდა მომწიფდეს აუცილებლობა იმისი, რომ საწარმოო საშუალებებს დაეპატრონოს საზოგადოებრივი ხელი.

ეს დებულება ისტორიას არ გაუყალბებია, მთელი საერთოშორისო ეკონომიკა ამტკიცებს ამ დებულების სისწორეს. ამ რწმენით გამოვიდა და მიეშურება

სოციალისტური თეორია პრაქტიკული იდეალებისაკენ. ამ რწმენის წინაშე იხმება წყალი ყველა იმ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მოწინავე ბურჟუაზიას უკეთესი ტენდენცია და გაუმჯობესებული ორგანიზაცია უნდა ჰქონდეს წინაშე.

რასაც ჩვენ ვხედავთ დღეს საერთაშორისო ეკონომიკაში, ეს არის ახალლიანდავზე შემდგარი ინდუსტრიალიზაცია, ეს არის ახალი მეთოდები ინდუსტრიალიზაციის. მონოპოლიურმა კაპიტალიზმა ბოლო მოუღო იმ ინდივიდუალურ პრინციპს: — აკეთე რაც გინდაო (laisser faire), რომელიც ერთ დროს გადმოსროლა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ხანაში. ინდივიდუალიზმი, კერძო საკუთრების პრინციპში უარყოფილია ახლა თითონ კაპიტალისტურ წარმოებაში. კაპიტალი ერთიანდება მონოპოლიურ ორგანიზაციებში, ეს გაერთიანება ხდება სახელმწიფოებრივ — ეროვნულ და საერთაშორისო ფარგლებში. გაერთიანებული ორგანიზაცია — კოლექტივი გამოდის პიროვნების ადგილას. კონცენტრაცია და რაციონალიზაცია იღებს ისეთ მიმართულებას, რომ წარმოების პროცესში შეტი ხვედრითი წონა ეძლევა შრომას, მშრომელს და ზედმეტი ხდება კაპიტალისტი.

ეს სოციალისტური ელემენტები: — კოლექტივიზმი ინდივიდუალიზმის მაგივრად და კაპიტალისტის ზედმეტობა — ჩასახული არიან თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის საშოში ყველგან, სადაც დიდი მიღწევებით მიდის წინ კონცენტრაცია და რაციონალიზაცია. ახლანდელი კაპიტალიზმი ფეხმძიმეთაა ამ სოციალისტური ელემენტებით. ამ ობიექტიურ აუცილებლობაშია ფესვები სოციალიზმის რწმენის, და მთავარი ყურადღება არ უნდა ექცეოდეს იმ გარემოებას, რომ აქ თუ იქ გატარდა, ან ვერ გატარდა, ესა თუ ის პროექტი ამა თუ იმ სოციალისტური მთავრობის.

VI

თანამედროვე საერთაშორისო სინამდვილეს არ გაუყალბებია არც მეორე დებულება მეცნიერული სოციალიზმის, ჩვენ ვერ ვხედავთ კლასთა წინააღმდეგობის შერბილებას კაპიტალისტურ გარემოცულობაში. ვერ ვხედავთ მასთანადამე ობიექტიურ საფუძველს იმ დებულების გასაბათილებლათ, რომ კლასთა ბრძოლას დაეკარგა ისტორიის მამოძრავებელი ძალა.

ბურჟუაზიული იდეოლოგია ეწევა ამ მიმართულებით საინტერესო ცდას. ის ეძებს სხვა მამოძრავებელ ძალას ისტორიისათვის. უნდა, რომ კაცობრიობა წოთავსდეს კლასთა თანხმობის საფუძველზე. ამ „კაცთმოყვარულ“ თეორიას უყვს თავისი ეკონომისტები. ისინი დღევანდელი დღის პირობებში ხედავენ ეკონომიურ აუცილებლობას იმისთვის, რომ კლასთა ბრძოლამ ადგილი დაუთმოს კლასთა თანხმობას. ერთ-ერთი ამისთანა ეკონომისტი*) იწყებს მალტუსიდან, გადადის ახლანდელ ეკონომიკაზე და ამბობს — გადაბრუნებულია ახლა პირველ-

*) Die Neue Burdsihau, ოქტომბერი, 1928. წერილი — Neues Werden in der menschlichen mietschaft.

ღმა მალტუსის თეორიაო. მალტუსი, როგორც ვიცით, ამტკიცებდა, რომ ადამიანის გამრავლებას საზღვარი არ უდევს, საზრდოს შოვნა კი ყოველთვის ასე უსაზღვრო, აქედანაა ეს უკუღმართი ბრძოლა არსებობისათვის, უსაზღვრობა და, საერთოთ მთელი ტრაგედია კაცობრიობისო. მალტუსი გამოსავალს ხედავდა იმაში, რომ საზღვარი დადებოდა ადამიანის გამრავლებას.

დღეს სხვა სურათია ჩვენ წინ, გვეუბნება ზემოთ დასახელებული თანამედროვე ეკონომისტი. დღეს მალტუსის თეორია გადაბრუნებულია, ვხედავთ, რომ პირიქით, ხალხი უსაზღვროთ ვერ მრავლდება, საზრდოს შოვნა კი მიდის წინ და წინ. ახალი ტენჯია იძლევა პურის მოსავლის ახალ-ახალ წყაროებს, მრეწველობის ზრდის უზომო შესაძლებლობას, შრომის ნაყოფიერების უფრო და უფრო მატების პერსპექტივებს. საერთო კეთილდღეობის წინსვლა შორს იტოვებს უკან ხალხის გამრავლების პროცესსო.

ამ აზრთა წყობის დასაჯერებლათ ავტორს მოყავს მაგალითები, ციფრები. გაკვრით იხსენიებს იქვე კომუნისტურ მანიფესტს, ისტორიის შინაარსს ეს მანიფესტი ეძებდა კლასთა ბრძოლაშიო. ახლა ავტორი თავისებურათ ათვალთვრებს ამ ისტორიას, გარკვევით ვერ ამბობს, რისი თქმაც უნდა. გამოუღის კი, თითქო, ხალხის მეტი მრავლება, ვიდრე საზრდოს შოვნის ზრდა იყო აქამდის სარჩული კლასთა წინააღმდეგობის, კლასთა დიავტუების, საზოგადოებრივი ბრძოლის, აჯანყებების, ომების, და აწი სწორეთ ეს სარჩული ვცლება ისტორიას, აწი საერთო კეთილდღეობის მატება მოგვეცემს ძირიანათ გადაბრუნებულ პირობებს და შესაძლებელი გახდება ურთიერთობის მოწყობა თანხმობის სარჩულზე.

თავისთავად საინტერესო ცდაა ეს დაახლოვება კლასთა ბრძოლის თეორიის მალტუსის თეორიასთან. მაგრამ აქ მისი აზროვნება ბუნდოვანია, უჭირს აზრის გამოთქმა. ამაში ჩვენ არც გამოვუდგებით ავტორს. შევჩერდებით საკითხის მეორე მხარეზე.

თითქო ივიწყებს ეს ავტორი, ან არასოდეს არ მოსვლია თავში, რომ კლასთა ბრძოლა ქმნიდა მასაზრდოებელ პირობებს მეურნეობის, კეთილდღეობის წინსვლისთვის. უმაღლესი ტენჯია, მექანიზაცია, რაციონალიზაცია, საწარმოო ძალები, — ყოველივე ეს ვითარდებოდა აქამდის კლასთა წინააღმდეგობის ნიადაგზე. ყოველივე ამის მომცემი იყო ის ზედმეტი ღირებულება, რომელიც უზომოთ გამოდიოდა ხელფასგადაუხდელი შრომიდან და ყოველივე ამ მიღწევებით სარგებლობდა და სარგებლობს მხოლოდ ზედა კლასი.

ამას ვერ ამჩნევს „დასახელებული ეკონომისტი“, რომელიც გამოწაკლისი არ არის დღევანდელ ბურჟუაზიულ ეკონომისტებში. წარმოება მატულობს, ამბობენ და თითქო ენა ებმებათ, როცა საკითხი დგება განაწილების შესახებ. როგორია განაწილება იმ კეთილდღეობის, რომელიც დღითი დღე იზრდება? ამ კითხვას გაურბიან ეს ეკონომისტები თავის ახალ-ახალ „იდეოლოგიურ აღმოჩენებში“. საკმაო მასალას კი იძლევა თითონ ეკონომიკა. საკმაოა გადაფურცლა ისეთი დინჯი გამოცემის, როგორიცაა, მაგალითად „ლონდონის ეკონომი-

სტი“, თუ გნებავთ ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი (19 იანვარი—1929 წ.) და ერთი წერილი ამ ნომერში („Industrial profits“) — „სამრეწველო მოგვებები“. აქ მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, რომ 233 კონცერნში მოგებას აღწევდა დაახლოებით 16 პროცენტით, 1928 წლის განმავლობაში იმავე გამოცემის წინა ნომერში იყო ციფრები შრომის ხელფასის შესახებ. მთელი რიგი შედარებებიდან სჩანდა რეალური ხელფასის დაწევა.

საინტერესო იქნებოდა ამისთანა მასალის დაგროვება ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მასალა არის, ის რა გამოუყენებიათ ჯერ თანამედროვე ეკონომისტებს კომუნისტური მანიფესტის დებულების გადასასინჯავათ.

წინ და წინ შეიძლება ითქვას, რომ ეს გადასინჯვა ვერ მოიცემა მისი ძირითადი დებულების გამტკუნებას. კაპიტალიზმის დღევანდელი დღე ამ ხაზზე იმით გაირჩევა გუშინდელი დღისაგან, რომ რეალური ხელფასის კლებას და მოგების მატებას კაპიტალი გუშინ იყენებდა საწარმოო ძალების, ტექნიკის საზრდელათ. დღეს კი კაპიტალიზმს ეს აღარ შეუძლია, იშლება. დადებითი მხარე კლასთა წინააღმდეგობის, რჩება მარტო მისი უარყოფითი მხარე.

ამ წინააღმდეგობის ასაცილებლათ ვერაფერი მოუფიქრებიათ, იმავე დროს, დიდ უნარს იჩენენ ე. წ. „პანევროპიულ“ და „ახალ ინტერნაციონალურ“ ოცნებებში.

VII

ეს ძველი ოცნებებია. დღევანდელი გამწვავება კლასთა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ისევ და ისევ აღვიძებს ამ ოცნებებს. შეგნება დიალექტიკის კანონებითაა მდგომარეობასთან დაკავშირებული. კლასი კლასს ვერ ურიგდება და სახელმწიფო ვერ უთავსდება სახელმწიფოს. ამ დგომარეობას ეძლევა საწინააღმდეგო გამოსახვა შეგნებაში, ოცნება ეძებს პარაზონიას, რომელიც არ მოიძებნება სინამდვილეში.

— „პანევროპიული იდეა, ე. ი. შეერთება ევროპის სახელმწიფოების მთლიან სახელმწიფოებრივ კავშირში არაა ფილოსოფიური კონცეპცია, ეს არის პრაქტიკული და ისტორიულად გამართლებული ცდა, რომ ევროპა გადარჩეს, არ დაიღუპოს. პანევროპა არ არის იდეალისტურ პაციფისტური ორგანიზაცია ომის წინააღმდეგო გავებით, ეს არის პირიქით, სინტეზი და ლოგიკური შედეგი იმის, რაც მოგვიტანა მსოფლიო ომმა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ სფეროებში.

„ეს არის განთავისუფლება კლასობრივ ეროვნული შუღლისაგან, სიღარიბე-სიღატაკისაგან... ეს არის აწინდელი განვითარება ევროპის კულტურის ყველა წრეების (ხაზი ზენი არაა) სასარგებლოთ.

„პანევროპა ნიშნავს პოლიტიკურათ მშვიდობიანობას, ეკონომიურათ—აღორძინებას, სოციალურათ გათანასწორებას, კულტურულათ—შეუფერხებელ ეროვნულ წინსვლას, ხოლო ყოველივე ეს ერთად ნიშნავს გადარჩენას აუცილებელი დაღუპვისაგან“.

ამ პარმონიული ოცნების ავტორი არის... მუსიკოსი, „ჩვენი ევროპის კულტურა განიცდის ტრაგიკულ პარადოქსებს, ეს ტრაგედია, გამომდინარეობს, ევროპის ერთი მრავალგვარობისგან. ამ მრავალგვარობის ბუნებას განაპირობებს სიმელონიკის, ფაუსტის, სიქსტინის მადონას, შოპენის ზალადენის, თითოეული ეს დიადი ქმნილება, გულის სიღრმეებიდან გამოსული, ეკუთვნის მთელ კაცობრიობას. ადამიანზე მეტი არა არის რა დედამიწაზე, მე მწამს რელიგია, ღმერთი, ზელოვნება, თავისთავით არც ერთს ამას არა აქვს ღირებულება, თითოეული მათგანის დანიშნულებაა ემსახუროს ადამიანის განთავისუფლებას... მეთორმეტე საათის ლოზუნგია შეგავშირება ევროპის სახელმწიფოების, რომ გაფართოებულ იქნეს სამეურნეო ბაზა საერთო კეთილდღეობისა“¹).

სასიამოვნო გასაგონია ეს სიმჟონია სიტყვების. მაგრამ ამაზე თითონ ავტორს დასმული აქვს ბევრედი იმ პროზის, რომ „ათი წლის ომი და ზავი სასიხარულოთ შეექნა მესამე მხარეს—შეერთებულ შტატებს. მათ მიეცათ შესაძლებლობა, რომ მიმწოდებელი გამხთარიყვნენ მთელი მსოფლიოსთვის“.

განმარტება არ სჭირდება. ევროპა-ამერიკის წინააღმდეგობა ეს არის ერთი პროზა, რომელშიაც გაუბლართავს ფესფები ახლანდელ „პანევროპიულ“ ოცნებებს.

მეორე პროზაა ევროპა—ევროპის წინააღმდეგობა. შუა ევროპა უპირდაპირდება დანარჩენ ევროპას. პირველი პროზისგან ეს იმითი გაირჩევა, რომ აქ ნაკლები გულუბრყვალობაა და გულაბდილათ ლაპარაკობენ მიწიერი ინტერესები.

— გერმანია უნდა ფცადოს შემოიკრიბოს ის ქვეყნები, სადაც არის შესაძლებლობა მისი ეკონომიური გაფართოების. ავსტრიის შემოერთება პირველი ნაბიჯი იქნება აღმოსავლეთისაკენ ხიდის გასადგებათ. უნგრეთი, რუმინია, ზეხოსლოვაკია, სამხრეთსლავია, ბულგარეთი—ეს გამოვა შუაევროპის სამეურნეო ბლოკი ორმილიონ კვ. კილომეტრის სივრცით და 150 მილ. მცხოვრებით. ეს იქნება კავშირი ყველა მოკავშირეთა სასარგებლოთ“²).

ასე აქვს ერთ-ერთ მოაზრეს წარმოდგენილი პანევროპის შესაძლებლობა. გაერთიანებულ-გაძლიერებულ შუა ევროპას შეუერთდება დანარჩენი ევროპაც და პანევროპიულ კავშირს მაშინ მიეცემა მტკიცე საფუძველი.

ამ „ყველას სასარგებლო“ თეორიაში გამოიყურება ისევ ის გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც ისევ თავდაცვა-თავდასხმის მზადებაშია საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ.

მესამე პროზა უკვე პირდაპირ კლასთა წინააღმდეგობის ხაზზეა. მუსოლინი გამოვიდა ახალი „ინტერნაციონალიზმის“ მქადაგებლათ. ის მოუწოდებდა გაერთიანებისაკენ მთელი ევროპის „პატრიოტებს“, ე. ი. ფაშისტებს, და ეს უნდა მიეცემოდა საძირკვლათ ახალ ინტერნაციონალს. მოწოდება დარჩა ხმათ მღალადებლისა უდაბნოსა შინა. ფაშისტების ცოტა შორეულმა ნათესავეებმაც კი გამოილაშქრეს ამ იდეის წინააღმდეგ. ფაშისტების ბუნება ისეთია, რომ სახელმწიფოებს

¹) „ბერლინერ ტაგებლატი“. 1 იანვ. 1929 წ.

²) Dr. W. Gürge—Panuropa und mitteuropa.

ვერ დაუახლოვებს ერთმანეთსო. თუ ლენინის იდეას შეუძლია ფეხზე მოკიდება საერთაშორისო ნიადაგზე, ეს შეუძლებელია ფაშიზმისთვისღ—სწორედ ამას წინეთ ბერლინერ ტაგებლატში ერთ-ერთი ბურჟი გერმანიის ხელისუფლების.

მუსოლინის „ინტერნაციონალურ“ თეორიაში არ არის, რა თქმა უნდა, ოცნება. ეს არის ტანგახდელი იარაღის მხარუნი და კბილების ლესვა საერთაშორისო სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართული. ეს არის უკიდურესი მემარჯვენე მხარე იმავე მთლიანი ფრონტის, რომელზედაც ზემოდ მჭონდა ლაპარაკი.

ამ მემარჯვენე მხარეს ენატრება ჰეგემონია „ახალ ინტერნაციონალში“, ის ცდილობს ქვაკუთხედობას პანევროპიული კავშირისთვის. ამ მისწრაფებაში ეძლევა მკაფიო გამოხატულება თანამედროვე კლასთა და სახელმწიფოთა წინააღმდეგობას.

მუსოლინი განსხვავდება მეტი გულახდილობით—მისი პატრიოტული ინტერნაციონალი არ ეხვევა „საერთო წარმატების და კეთილდღეობის“ სიტყვიერებაში ის პირდაპირ ამბობს, რომ ეს ინტერნაციონალური გაერთიანება უნდა დაუპირდაპირდეს მშრომელი ხალხის ინტერნაციონალს.

ამ საერთაშორისო იდეოლოგიურ კონცერტში, როგორც შეშვენის საერთოდ კონცერტს, არის სხვადასხვა ხმოვნობა, მაგრამ ერთია ხელმძღვანელი კილო. ეს არის რეაქცია სოციალიზმის—დემოკრატიის წინააღმდეგ, და რაც დრო გადის, ამ რეაქციას ეტყობა მეტი და მეტი გამწვავება. რაც შეეხება „ახალი“ ძიების მუსიკას, უნდა ითქვას ცნობილი გნირის სიტყვებით:—«В новизне твоей слышится старина».

ბიბლიობრაფია



სულხან-საბა ორბელიანი.—ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. გამომცემლობა «ქართული წიგნი». ტფილისი. 1928 წ. 8* XXXII+05+480 გვერდი.

სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონის გამოცემა, უძველესი, დიდ კულტურულ საქმედ ჩათვლებათ როგორც რედაქტორებს, ისე გამომცემლობას.

ხსენებულ ლექსიკონის მალალ ღირსებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ იგი პირველ გამოცემასთან შედარებით¹⁾, უფრო სრულია, ხელნაწერებთან «გამოწვლილვით» ხელახლა შედარებული და სახმარადაც უფრო პრაქტიკული.

ამ მხრივ დიდი შრომა გაუწევიათ როგორც განსვენებულ პროფ. იოსებ ყიფშიძეს (რომელმაც შეისწავლა ლექსიკონის ნუსხები, გადმოიწერა და რომლის ხელნაწერი მასალების მიხედვითაც დაიბეჭდა ზემოხსენებული წიგნი), ისე პროფ. აკაკი შანიძეს, რომელსაც წილად ხვდა ლექსიკონის რედაქცია ბეჭდვის დროს.

პროფ. ა. შანიძის მიერ ლექსიკონისადმი დართული წინასტყვაობა ნათლად წარმოგვიდგენს იმ დიდსა და მრავალ მხრივს მუშაობას, რომელიც გაუწევიათ ორივე რედაქტორებს.

ამისდამიჯტედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონს თან ახლავს საკმაო დეფინიტები.

შეეცებით ჯერ ჩანამატ სიტყვებს.

ე. წ. შემდეგი დროის 18-19 სს. ჩანამატი სიტყვები განსე. პროფ. ი. ყიფშიძეს ცალკე გამოუწერია და მისი დაბეჭდვაც დაპატებითი სახით («საბაში ჩანამატები»-ს სათაურით) გაუზრახავს.

პროფ. ა. შანიძეს კი ჩანამატები სიტყვებიც გაურევია სულხან-საბას ძირითად ლექსიკონში, მხოლოდ ისინი ფრჩხილებში მოუთავსებია.

მიმდინარე ხანაში, როდესაც ვეძებთ ყოველგვარ სიტყვას სამეცნიერო ტერმინოლოგიის დასამუშავებლად, რასაკვირველია, უმეტესად საჭირო იყო ასეთ ჩანამატებ სიტყვების ამოკრებაც ლექსიკონის სხვადასხვა ნუსხებიდან და მათი, ამ ჩამატებულ სიტყვების, ამათუმი სახით გამოქვეყნება.

უნდა შევნიშნოთ, რომ განს. პროფ. იოსებ ყიფშიძის მიერ, ჩანამატ სიტყვების გამოსატყვევნებლად, მიღებული წესი უკეთესად მიგვაჩნია, რადგან, ამგვარად სულხან-საბას ლექსიკონი სწორედ იმსახით წარმოგვიდგებოდა,

¹⁾ იხ. ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან. გამომცემელი რაფ. დ. ერისთავის რედაქტორობით. თბილისი, 1884.

როგორც ეს მან დაგვიტოვა, მით უსეტეს, რომ შეიკრე რედაქტორი პრ. აკაკი შანიძეც ამასვე ისახავს მიზნად¹⁾, თუმცა, პრაქტიკული მიზნებისათვის, არც პრ. აკაკი შანიძის მიერ მიღებულ წესს (ჩანამატ სიტყვების ტექსტში გარეგან) უშავს რამე.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ დაბეჭდილი ლექსიკონის ხელნაწერებთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ არც A-ის და არც B-ის რედაქციის ნუსხებიდან²⁾ ეს მასალა მთლიანად ამოკრებილი არ არის. ხშირად სიტყვები გამოჩენილია თვით ძირითად ტექსტებიდანაც კი.

მოვიყვანოთ სანიმუშოდ ამ გამოჩენილ სიტყვებს ანიდან დონის მანძილზე როგორც A-ის ისე B-ის რედაქციის ხელნაწერებიდან.³⁾

A-დან გამოტოვებულია:

ბ. ააზინე, ააყივლე, აასრესინე, აატუტუცე, ააქოთე, ააღრიადე, აათინათი, აკადეშია, აკათისტო, ალილორია, აღფაბეტა, ამზოზი, ამინ, არეახი, არიოპაგოს, (სენატი ათინას), არისტონ, არმარა, არქი (მთავარი) არცეზილოს, არხილოზოს, ასწრაფებდა, აღამეშონ, აცხრილვინა, ახილლეს, აპრონ.

ბ. ბალყუში²⁾, ბეკება²⁾, ბახბარა, ბერეზიდა, ბესარიონ, ბრახშანა.

ბ. გამსუიდეველი, გვიგოს, გრიგოლ.

დ. დემოკრიტ, დელფინ (ქალაქი კლდისა), დემონი, დილონ, დიოდენ, დრედანი.

B-დან გამოტოვებულია:

ბ. ააბუტულა, ააბუტულადა, აბაშეთი, აბანოხ კია, აბეჩხარი, ახი, აბუტი, აბუტულეზა, აგურხანა, ადათი, ავანგი, ავანგდასტა, ავვარდანი, ავანჩავანი, ავანჩავნობა, ავეჯი, ავეშილა, აზამვეირი, აზანისკვა, აზაპი, აზარფეშა, აზარქარი, აზიზი, ათენგენა, ათეშქაში, აიარი, აინუშში ჩავდება, აიშუტი, აირუმი, აკაპი, აკვლანკვა, აკროსტიხური, ალაფხანა, ალაჟოდა, ალაჯა თუთა, ალაჯა, ალთაფა, ალიბუხარი, ალიაქოთი, ალიღეჩა (ბალ.) ალინთობა, ალიყული ხილა, ალიმი, ალიშვერიშობა, ალლაპვერდი, აღმაცერი, აღმაცერად, აღოვნობა, ამაგი, ამალი, ამანათი, ამარხანა, ამბაზი, ამბალი, ამზო, ამსალა, ამფსონი, ამქარი, ამუნა, ანგალა, ანისული, ანჯამა, არაღჩინი, არბაზი, არზა, არნაუტი, არშია, არშე, არხაინობა, არზი, ასკარი, ასლანი, ასლი, ასლიანობა, ასლიზად, ასპანური, ასსაპყალო, ასტროლოღია, ასტრონომია, ატმოსფერა, ატორღია-ლეზა, აფაური, აფერიმ, აქანდაზი, აქია, აქიაი, აქოთება, აღა, აღაღარი, აღალი, აღაღბაში, აღაღჩა, აღასი, აღასბაში, აშარა, აშაპაზი, აშულნობა, აჩაბაში, აწაპნევა, ასაწაპნევი, ახალუზი, ახმაზი, ახრიზამანი, აჯათი, აჯამი, აჯამი, აჯაბიხტანი, აპარ, ახარ.

¹⁾ იხ. პრ. აკ. შანიძის წინასიტყვაობა დასახელებულ წიგნში, გვ. VIII.

²⁾ A—სასიტ. საფნ. საზ. მეზ. ხელნ. № 1035.

B—წ. კ. ს. ხელნ. № 4618.

ლექსიკონი გუთუნოდა გრიგოლ საბლონტის ძეს წერეთელს, იგი საბლონტის არ ცოდლა, როგორც ამას ა. შანიძე აღნიშნავს შედგომით (იხ. წინასიტ. გვ. XXI).

³⁾ იფნ. საზ. მეზ. ხ. № 1658.

ბ. ბაბადავრიში, ბაზაზი, ბაზაზხანა, ბათლახი, ბათლნმა, ბაიათი, ბაი-
 ყუში, ბალახანა, ბარასტი, ბარაქალა, ბარაყჩი, ბახმალჩი, ბასტურმა, ბაფა,
 ბაფთა, ბალათარი, ბალი, ბაღჩა, ბაყაყური, ბაშლული, ბაცი, ბაშინჯა, ბა-
 ჯალლო, ბეზუთი, ბედასლი, ბედავად, ბედნამსი, ბედოვლათი, ბედნიერი,
 ბედყუში, ბეეხაბი, ბეზრება, ბეზირგანი, ბეითალი, ბეიმედი, ბეიბაფა, ბეი-
 თალმანი, ბელგა, ბეფულადჩავლა, ბეჯითობა, ბეჯისი (ბეჯიში), ბიაბრობა,
 ბიაბანი, ბიაზი, ბიბიკი, ბილანი, ბინა, ბინადარი, ბინიში, ბიჯგა, ბლითები,
 ბლობა, ბლობად, ბლობი, ბოზართმა, ბოზბაში, ბოზხანა, ბოი, ბოიდალი,
 ბოლთა, ბოლთის კვრა, ბოყის მოკიდება, ბორანჯა, ბოსტანჯი, ბოხჩა,
 ბუდა, ბუზარობა, ბურლი, ბურუსი, ბურღული, ბურჯი, ბუტიაობა, ბული
 ბურული.

ბ. გაბაზრება, გაბათილება, გაბითუმება, გაბრა (გაქციობა), გაზამზა-
 რება, გაზანდარი, გაზანდარის ადგილი, გათანგვა, გათავნიერება, გაზგანიში,
 გაზგანიშობა, გარდასქეშანი, გარდახალიხება, გარდმოცემა, გარდმონაცემი
 გაფი, გაშეშება (წელქავი), გაჯვალვა, გელაქნური, გინგირი, გიორგაული,
 გირვანქა, გობა, გოზამა, გორხანა, გრე, გროში, გულურა, გულგაზი, გულ-
 გაზის ზე, გული მეთანდრება, გულდა, გულნარა, ქულქანდა.

დ. დაბაზი, დაბანის ხმალი, დაბახანა, დაბუზარავდა, დავაქარი, დავ-
 თარტარულა, დავთარი, დავრიში, დაზგა, დაიაქი, დამახხი, დამბური, დამი,
 დამლა, დარაია, დარდიმანდი, დასტამალი, დადღაღანი, დაქიქლადვებული,
 დახლი, დებულება, დემურჩი, დერციკი, დიდბაიქურად, დილაგარი, დიდ-
 ბანდი, დინთასლობა, დინი, დინჯი, დოვლათი, დოვრანი, დოლი (მეზურნე-
 ბის), დოლიკი, დოყლაპია, დოშლული, დოხუაზი, დუგმა, დუგლუგი, დუდუ-
 კი, დუზანი, დუზანის კვრა, დულუმბო, დუმანი, დუნდგო, დურალის კვრა,
 დურგალი, დუქანდარი, დულაბი, დუშმანი.

ამგვირად, სულხან-საბას ნაბეკლ ლექსიკონში პირველ ოთხ ასოს მან-
 ძილზე, A და B რედაქციების მიხედვით, გამოტოვებულია 340-დე სიტყვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ნაბეკლდი ლექსიკონი სცდება პირველ
 წყაროებს და შესამჩნევადაც სცდება.

მაგალითისათვის:

დაბეკლილია:

A ხელნაწერში იკითხება:

ა.

ააბნივე აღმა შეფანტე
 ააზავე აურიე
 ააზედინე კელით დააქულეტინე
 ააზრებიინე აზრი აქნევიინე
 აანგრივე აარლვიე
 ააპარე შეაპარე
 ააულრიაღე ეყვანს კმა აცემინე
 აარღვივე დაწნული პირი აავლიჯე

ააბნიე ზე შეაბნიე
 ააზავე სუნნელით შეაზავე
 ააზედინე ზე კელით აქულეტინე
 ააზრებიინე პაზრი აქმნიე
 აანგრიე აღმა არლვიე
 ააპარე ზე შეაპარე
 ააულრიაღე ელრიაღება ჰყავ ეყენის
 აარღვიე ვოდორთ პირი აავლიჯე

აახვენი პატრიოთ აიღე
აატანი აადღენე
აატარე სვლით აიყვანი
აატრიაღე ააბრუნე
ააღლიავეზინე
ააყვავე ყვაილს მიაშგავესე
ააშვეზინე დაბმული აახსნივინე
ააშურე სისწრაფე მიეც
ააჩივღე საჩივარი ათქმევინე
ააწებე წებოთ ააკარ
ააკაღე აახეთქე
ააკლიჩე შეგლიჯესავით
აბრაკ
ათანაის
აღერსობა სიტყვით შექცეულობა
ამლათი მცირე ხანს მსწრაფლი
ანდაკა
ამოხტი ...ლორი—მეტად პოხილსა
 და თევზისა

არკვეთი
არტაქსეხეს
ასწრაფა აჩქარებდა
ატრია
ატკრზული
აღგარწმუნებენ დაგარწმუნესავით
აღოსტი
აღტყინება ძლიერი აღნთება
აღუბა ლეკვი ლომისა
აცორდა შეღმა შეგნილდა
აცხელეზს ათბობს
აძოვეზს მოლს მოაქმევს
აწყვედა თოკის მოხეთქა
აქმევდა აძლედა
ახვეწა მრავალგზის შემოხვეწა
აკდილი ჩამოფარებული აკდილი

ბ.

გააბრიყვა უსაქციელობა ასწავლა
გააგრო(ვ)ე შეიგნიდამ გარ გორად
 დადგი
გააყრევინე გაცვივნება უყვ

აახვენი საპატრიურად აიღე
აატანი თან აადღენე
აატარე აღმა სვლით იყვანი
აატრიაღე შეღმა ააბრუნე ჩქარად
ააღლიავეზინე
ააყვავე ყვაილოვან ჰყავ
ააშვეზინე პატიმარი განატყვებინე
ააშურე ასწრაფება აქმნიე
ააჩივღე ჩივილი ათქმევინე
ააწებე აღმა ააკარ, წებოთი მიაკარ
ააკაღე ზე აახეთქე
ააკლიჩე შეგლიჯესავით
აბრაკი
ათანასი
აღერსობა სიტყვით შექცევა
ამლათი მცირე ხანს სწრაფი
ანდაკია
ამოხტი ...ლორი—მეტად პოხილსა
 კორცისა და თევზისა

არკვეთი
არტაქსერხეს
ასწრაფა ააჩქარა
ატრია
ატკრზული
აღგარწმუნებენ დაგარწმუნებენსავით
აღოსტი
აღტყინება ძლიერი აღგზება
აღუბა (უტბ.) ლეკვი ლომისა
აცორდა შეღმა შეგლინდა
აცხელეზს სიცხეს აძლეეს
აძოვეზს ძოვნას უყოფს
აწყვედა თოკის გახეთქა
აქმევდა აძლებდა
ახვეწა მრავალგზის შემოხვეწა
აკდილი ჩამოფარებული აღებული

გააბრიყვა უსაქციელოდ შექქმნა
გააგროე შეიგნიდამ გარ გორად დადგი
გააყრევინე მოაშორებინე, გინა
 დააგდებინე

გააშვებინე ჰეროზილი განატყვებინე
 გააჩნა გააკვირვასავით, გააშტერა
 გააჩინა დაბადა
 გამოგტაფა
 განსვლა გარ წასვლა
 გაფშოკული ავად გამზდარი
 გაძგიფვა
 გჩხებავ გურში ვითხრობ

გააშვებინე დაბმული აკსნეერე
 გააჩნა თავის გონებად ჩაგლო
 გააჩინა უქმნელი ქმნარქმნული
 გამოგტაფა
 განსვლა გარ წასვლა
 გაფშოკული ავად გამკმარი
 გაძიფვა
 გჩხებავ ყურში ვითხრობ

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი თვალსაჩინო ნაკლიც, რომლის გამო-
 სწორება ადვილად შეიძლებოდა. საქმე შეეხება ძველი და ახალი აღთქმიდან
 დამოწმებულ ადგილებს, სადაც მრავალი გაუგებრობა გვხვდება: არეულია
 არამეტო ამა თუ იმ წიგნის თავისა და მუხლის მარჯვენა რიცხვები, არამედ
 ხშირად თვით წიგნის სახელებიც. მართალია, საქმეს ართულებს ის გარემოებაც,
 რომ ქართული ბიბლია ჯერჯერობით კრიტიკულად გამოცემული არ არის, მა-
 გრამ ამ შემთხვევაში, პრაქტიკულ მიზნებისათვის მაინც გაჩერება შეიძლებოდა
 ქართული ბიბლიის მოსკოვურ გამოცემაზე მით უმეტეს, რომ ბევრი ადგილები
 სწორედ ამ გამოცემის უდგება და ის მცირე შესწორებანიც, რომელნიც პროფ.
 აკაკი შანიძეს გაუტარებია, სწორედ ამ მოსკოვურ ბიბლიის მიხედვით არის
 გატარებული.¹⁾

მოვიყვანოთ რამდენიმე სიტყვას ყალბად დამოწმებულ ადგილებით, რი-
 გორც ეს დაბეჭდილია სარეცენზიო შრომაში და ჩვენს შესწორებას, ზოგს A
 ხელნაწერის მიხედვით, ზოგსაც ჩვენ მიერ შემოწმებულს და გასწორებულს.

დაბეჭდილია:

უნდა იყოს:

ა

ბ.

ანდერძი
 ანტეპრისტე 1 იონა, 2, 18.
 ანუ მათე 12, 15.
 ანძა ეზეკ. 7, 5 (A)
 არწივი გამოს. 9, 4
 აქა 26. 38
 აღგარწმუნებენ იერემ. 19. 8
 აღგვლიდენ იერემ. 13, 121.
 აღდგომა ბარუქ 6. 16
 აღიტყუა ოსე 26
 აღორძინება
 აღხარება 2 შჯულ. 2, 17
 აყუნევიოს ესაია 7, 2
 აცოდნა 2 ნეშტო 12, 11
 აცუდოს 1 კორინ. 9, 15
 ახს 84 ფსალ.

ანდერძი იერემ. 11. 2 (A)
 ანტეპრისტე 1 კათ. იოანესი 2,18 (A)
 ანუ მათე 12. 5 (A)
 ანძა ეზეკ. 27. 5
 არწივი გამოს. 19.4 (A) (ორბი)
 აქა მათე 26.38 (A)
 აღგარწმუნებენ იერემ. 29.8 (A)
 აღგვლიდენ იერემ. 13, 21 (A)
 აღდგომა ბარუქ 6,26 (A)
 აღიტყუა ლავსიაკონი 26 (A)
 აღორძინება მათე 6,28 (A)
 აღხარება 2 შჯ. 12.6 (A)
 აყუნევიოს ესაია 7,20 (A)
 აცოდნა 2 ნეშტ. 21.11 (A)
 აცუდოს 1 კორინ. 9.16 (A)
 ახს 84 ფსალ. 9 მუხ.

¹⁾ იხ. აკ. შანიძის წინასიტყვაობა—დასაბ. შრომ. გვ. XXVII



ბ.
 ბაბილო 7, 11 ფსალ.
 ბაგე ესაია 18, 10, ეზეკ. 77
 ბაგინი 1 კორ. 9, 13 (A)
 ბადე 7, 12
 ბაჟი
 ბარკალი 1 მეფ. 9, 24 (A)
 ბეჭედი გამოს. 35, 23 (A)
 ბზე მათე 2, 12 (A)
 ბირთვი 1 მეფ. 19, 13 (A)
 ბრპენი გამოს. 15, 1 (A)
 ბუკოტი ლევიტ. 11, 19 (A)

ბ.

განთავსებული ზაქ. 12, 148
 განწმენკებული ეზეკ. 40, 12 (A)
 განწმენკებასა იერემ. 15, 9 (A)
 განკდა
 გარისა
 გგუმ ეზეკ. 7, 8
 გისსოი ეზეკ. 40, 42 (A)
 გოლი ლუკ. 24, 43 (A)
 გოჯითა
 გურიგვინი ფსალ. 20, 4 (A)
 გულისათქმელი დან. 9, 29

დ.

დაალტო ლუკა 7, 36 (A)
 დაბეჭდა ტობ. 7, 17 (A)
 დაიბურვით ესაია 44, 8 (A)
 დანდალუკი
 დარეცა ივდ. 14, 4 (A)
 დაუდნება რიცხ. 22, 32 (A)
 და სხვა...

სამწუხაროდ, სარეცენზიო წერილში ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვუდგინოთ მკითხველს მთელი ის მასალა, რომელიც მოგვცა დაბეჭდილ ლექსიკონის პირველ წყაროებთან შედარებას, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ზემოთთქვენილი მცირე შენიშვნებიდანაც ნათელია თუ რა ნაკლებად გვაქვს საქმე.

სოლ. იორდანიშვილი.

ბ.
 ბაბილო ფსალმ. 79, 11 (A)
 ბაგე ესაია 28, 10, ეზეკ. 77 (A)
 ბაგინი 1 კორ. 9, 13 (A)
 ბადე ოსე 7, 12 (A)
 ბაჟი მამათცხ. 2, 143 (A)
 ბარკალი გამოსვლ. 28, 43
 ბეჭედი გამოს. 35, 22
 ბზე მათე 3, 12
 ბირთვი გამოს. 28, 40
 ბრპენი გამოს. 15, 10
 ბუკოტი ლევიტ. 11, 18

ბ.

განთავსებული ზაქ. 12, 14 (A)
 განწმენკებული ეზეკ. 41, 12
 განწმენკებასა იერემ 15, 10
 განკდა 1 კორ. 10, 1 (A)
 გარისა დან. 4, 12 (A)
 გგუმ ეზეკ. 7, 4 (A)
 გისსოი ეზეკ. 40, 43
 გოლი ლუკა 24, 42
 გოჯითა 3 მეფ. 18, 21 (A)
 გურიგვინი ფსალ. 64, 11
 გულისათქმელი დან, 9, 23. (A)

დ.

დაალტო ლუკა 7, 38
 დაბეჭდა რომაელ. 15, 28
 დაიბურვით მარკ. 14, 65
 დანდალუკი 2 შჯ. 28, 22. (A)
 დარეცა ესაია 14, 11
 დაუდნება იერემ 47, 7



8. პლენარული: „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“. თარგმანი რუსულ-

ლიდან **პ. დ. ხაყვარელიძის**. სახელმწიფო გამომცემლობა 1929 წლის 21 მ. გვ. გამოცემლობის საქმეს ჩვენში გვგანიაობა— რომ აქლია ამის საუცხოო დოკუმენტი გ. პლენარული ნაწერების ისტორიაა. მონია იმის მტკიცება ზედმეტია, რომ პლენარული ნაწერებს მარქსისტული აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს შედეგობიდან განვხვდული აქვს ჩვენ გამოცემლობას. სახელგამის თვისი საქმიანობის რეაქციის მანძილზე მათოდ სამოდ ნაწერი გამოცემა პლენარულია. თარგმანების ხარისხსაც რომ თვი განვანებთ—მერმე როგორი გვმითითების ექვსი წლის წინედ გამოვიდა პლენარული: „მნიშვნეები მატერიალისმის ისტორიიდან“, და გქვსი წლის პაუზის შემდეგ გამოდის „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“. ესაც რამე მარქსიზმის და მისი ისტორიის კი გავგება, იმისათვის, ცხადია, ეს გამოცემა მომხდარა რალად შემთხვევის და არა მიზანშეწონილი გვგმის მიხედვით. არავითარ საქმეობებს არ წარმოადგენდა პირველ რიგში პლენარული იმ წიგნის გამოცემა, რომელიც, როგორც ვთქვით, ამ ზეით თუ ექვსი წლის წინ გამოვიდა. პლენარული ნარკვევები მატერიალისმის ისტორიიდან, რომლის თემას მე-18 საუკუნის ფრანგ მატერიალისტების და მარქსის დამოკიდებულების საკითხი შეადგენს, არის საეციალური გამოკვლევა. ის პლენარული დასწერა გერმანულ ენაზე. სულ დიდხანს, ეს წიგნი რუსულ ენაზედაც არ ყოფილა გამომთარგმნილი. ჩვენი გამოცემლობის „მეცნიერულმა სერვებმა“ თვისი საქმიანობა პლენარული გამოცემაში ამ წიგნით დაიწყო: ნეტავი რატომ?

რადგან ქართულ ენაზე პლენარული ყველა ნაწერის გამოცემა ჯერ კიდევ შორეული ოცნება იყო, ამიტომ საქმის მცოდნე და გვგმან გამოცემლობის სწორედ რომ იმ წიგნით უნდა დაეწყო, რომელიც როგორც იქნა 1929 წ. თარიღით გამოვიდა.

ეს წიგნი მართლაც რომ იშვიათი ოსტატობით დაწერილი შესავალია მარქსისტულ ფილოსოფიაში და სოციოლოგიაში. მისი ძირითადი ტექსტი, რომელიც პირველად 1908 წ. გამოვიდა, მარქსისტული ფილოსოფიის ერთგვარ პატარა ენციკლოპედიას წარმოადგენს. პირველად პლენარულია ის ერთი რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის დასწერა. ამიტომ მარქსიზმის

თითქმის ყველა თვორებზე; მარქსის საკითხი არის, აქ პლენარულიებური მებრძოლად, მგრამ ნათელ სტილით, გავუქვებელი. ჩოლო როცა 1910 წ. ის დიქტის ენობილმა საერთაშორისო გამოცემლობამ გერმანულად გამოსცა, პლენარულია თვის ტექსტს დაემატა 22 განმარტება, ხოლო წიგნის გერმანულ ტექსტში შეიტანა ენგელსის „ფოიერბაზის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში მის მიერ მოკლე გამოკვლევა: „დიალექტიკა და ლოგიკა“ (გერმანული გამოცემის 81—48 გვ. ნახიზობის თარგმანი 1910 წ.). ეს საუცხოო ფილოსოფიური სტატია დ. რიაზანოვის რუსულ გამოცემაში დათხვლვა ძირითადი ტექსტის დამატების საბით.

რომ მართლაც მარქსისტული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პატარა ენციკლოპედიით გადატყველოვო ეს წიგნი, რიაზანოვი ვიდევ დაუმატებია ორი შესანიშნავი სტატია პლენარულია: „პროფების როლის შესახებ ისტორიიანი“ და „ნახტომები ბუნებასა და ისტორიიანი“ (მარქსისტული თვორია რევილიტიკისა, პლენარული, პოლემიკა ტიზობირივით).

ამ სრული საბით ეს წიგნი მარქსისტული ფილოსოფიის სწორედ რომ ჩინებული სახელმძღვანელოა. ამიტომ ჩვენ გვგონია უკეთესი იყო ძირითადი ტექსტის სათაური კი არ მოგვეცა ამ წიგნისათვის, არამედ ის, რაც პლენარულია მის გერმანულ გამოცემას უწოდა, ე. ი. „მარქსიზმის ძირითადი პრობლემები“.

ქართული გამოცემა უზრალს გადმოღება დ. რიაზანოვის რუსული გამოცემისა, ამიტომ ერთად ერთი საკითხი, რომელიც ქართული გამოცემის გამო უნდა განვიხილოთ, ეს არის საკითხი, თარგმანის შესახებ.

ზოგადათ უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიური წიგნის ქართულად თარგმნა ადვილი საქმე არ არის. ჯერ საფუძვლი გამოთქმავებული არ არის ერთი სავალდებულო ტერმინოლოგია—ფილოსოფიური ნაშრომში კი ტერმინოლოგია ძალიან ბევრს ნიშნავს და მერც ისიც, რომ თვით ბუნება ქართული ენისა ჯერ კიდევ არ არის განვხვებულ აზროვნების ყველა ბერბის გამოთქმისათვის საკმარის მოქნილი. ამ სიძულეს წააწყდა მე-12 საუკუნის ქართული ფილოსოფიის ი. პეტრიწი ბერძნული ფილოსოფიური ტექსტის თარგმნის დროს და ეს სიძულე დაუძლეველი დღემდე. რათა აზრი უნაკლოთ გადმოვეცა, პეტ-

არჩი მიმართავდა საუცხოო ზეგზს: ის ზერძულ ერთ სიტყვიან ტერმინს წმინდა მადლი წინადადებით თარგმნიდა ქართულად. პეტრიწიმ ბევრი იმეწავა, როგორც ტერმინის შექმნაზე, ისე ენის ტენიის მოქნილობაზე. თვითფული სეროიხული თარგმანი, ცხადია, ასეთი ღირსებისა უნდა იყოს.

ამ საზომით რომ მიუდგეთ ჰ. დ. საყვარელიძის თარგმანს, რასაკვირველია, ცუდს ხასიათზე დავედგებით. მაგრამ ამას როგორ მივთხოვთ საყვარელიძეს, როდესაც დღეს, საუბედროსთ, თარგმანი მთლად რაოდენობის მიზნული თანდება და ღირსებისათვის სადასური არაფის დაუწყებია... ჰ. დ. საყვარელიძის თარგმანზე შეიძლება ითქვას, რომ მისთვის უცხო არ არის ქართული ენის ბუნება. კონსტრუქცია ქართული წინადადების უმეტეს შემთხვევაში სწორია. მაგრამ ამ ბუნებრივი ნიჭის წყალობით შექმნილს მიღმა მთარგმნელი არ გასდენა, მას სათარგმნი წინადადების აზრზე ვტყობა ბევრი არ უფიქრია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული ენის ბუნების ხელშემოწმე ჩვენი მთარგმნელი, ბევრისთვის წინადადების დამტკიცებელი და მართევი სახით წარმოგიდგენდა.

მაგრამ სველა ეს კიდევ არ არის წიგნის უმთავრესი ნაკლი. უმთავრესი ნაკლი მის უცნაურ და პრიმიტიულ ტერმინოლოგიაშია. მე ვთქვი, რომ ტერმინოლოგიის შორეუ დიდი სიანგლე არსებობს მეთქი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი რომ უკვე გაეთვებულა ამ დარგში. ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია სანახევროდ მაინც ჩამოყალიბებულია. ჰ. დ. საყვარელიძეს კი საცივიფერი მნიშვნელობის და შესტი შინაარსის ფილოსოფიური ტერმინები უთარგმნია უცნაურად. აი მაგ. Sein—бытие—ნათარგმნია „მყოფობა“¹, ნეტავი რა არის ეს „მყოფობა“² ქართულში ჩვენ მოგვეპოება საუცხოო სიტყვა: „არსი“³. ეს ტერმინი დღეს დამკვიდრებულია. Wesen—Сущности—თარგმნილია — „არსობა“⁴ უნდა იყოს „არსება“. „არსობა“ სრულიდაც ქართული სიტყვა არ არის. „არსება“ რომ ვერმანდო Wesen არის, აი ამის საუცხოოვო დამტკიცება: გერმანელი იტყვის ქალის მიმართ, Es ist ein nettes Wesen, ქართულად ვამბობთ: ეს და ეს ქალი ნახი არსებაა. შინაარსი ორივე ფრაზისა არის ერთი და იგივე. მაშასადამე, არსება და Wesen-იც ერთი და იგივე ყოფილა. საჭირო ტერმინოლოგია სწორედ რომ ასეთი ძებნით უნდა შექმნიან.

ესეტი ტერმინოლოგია ქართულ საუცხოოთ აზრებს ცნობილი ფილოსოფიური დებულებების აზრს. ასე მაგ. ლ. ბრატკინსკის ცნობილი თეზა: Das wahre Verhältniss zum Denken zum Sein ist nur dieses: Das Sein ist Subjekt, das Denken—Predicat. საყვარელიძის მიერ თარგმნილია ასე „აზროვნების და მყოფობის ტერმინოლოგია შემდეგია: მყოფობა—სუბიექტი, აზროვნება—პრედიატიკა“, უნდა იყოს: „ტერმინოლოგია დამოკიდებულება არისის აზროვნებასთან არის ასეთი: არაა არის სუბიექტი, აზროვნება კი პრედიატიკა“.

ეს ორივე მაგალითი სწავარიის იყოს. ტერმინოლოგიის უყოღინარობა არის მიზეზი იმისა, რომ ჰ. დ. საყვარელიძის კარგი ქართული ენა დაზარალებული გამოვიდა ამ თარგმანში. განსაკუთრებულ საყვედურს ჩვენ, რასაკვირველია, მას არ ვუტყვით. რადგან მისი თარგმანი სახელგამის სხვა თარგმანებს თუ არ სჯობია უკან არ ჩამორბება.

ჩვენი გამოცემლობის მიმართ კი უნდა ითქვას შემდეგი: თარგმანის კვლევრა რომ განხიდა ქვეყანაზე, მას შემდეგ არსებობს ერთი წესი: პოეტის ნაწარმოებს თარგმნის პოეტი, ინჟინრისა—ინჟინერი, მათემატიკოსისა—მათემატიკოსი, ფილოსოფოსისა—ფილოსოფოსი და სხვ. გადათავლიერება მთელი მსოფლიო ლიტერატურა და თუ სადმე დარღვეული იქნება ეს წესი, უკეთეს ჩამოვალეთ. ერთად ერთი სერიოზული გამოცემლობა ქვეყანაზე, რომლისათვის ეს წესი არას დროს არ არსებულა, ეს ჩვენი სახელგამი გახლავთ. მაგრამ, მკონია, აწი მაინც უნდა უღალატოს სავეთარ ტრადიციას და თუ თარგმანებს დანიშნულებრისამებრ არ დაუყუდოს, თარგმანის რედაქცია კი მაინც შესაფერის სპეციალისტებს უნდა მიანდოს.

ასეა თუ ისე, ეს გამოცემა მაინც დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან მცირე რაოდენი მარკსისტული კლასიკური შრომებისა თარგმნილია ქართულად. სახელგამმა უნდა გააგრძელოს ეს გზა, მაგრამ მეტი გვემიაოებით, ყრძოთ ჩვენ მოველით, რომ სახელგამი მორე ნაბოჯაეც გადადგამს და პლენხანოვის ცნობილი შრომის: „პრინციპული შეხედულება ისტორიაზე“, გამოცემას დაამტკიცებს.



თედორა გლადკოვი.—ცემენტო, რომანი. სახელგამი, ტფილისი. დენმა/შენ-გელაიას თარგმანი.

ჩვენ მიზნათ ვისახავთ „ცემენტის“ კრიტიკულ განხილვას, თუ გინდ უბრალო რეცენზიის ფარგლებში. „წათობი“-ს ფერცლებზედ საქმათ გაშუქდა გლადკოვის სახელგანთქმულ რომანის უდიდესი ღირსება და მისი ადგილი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში. მხოლოდ აღვნიშნავთ ხაზგასმით ერთ გარემოებას. ეს არის—შეიჭლება თუ არა მხატვრულმა ლიტერატურამ სახოს საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც განვითარების პროცესს განიცდის, არ არის საესებით დამთავრებული, დასრულებული. ამ სეროიზულ კითხვებზე ჩვენ უკვე შეგვიძლია დადებითად ვუპასუხოთ. თ. გლადკოვის „ცემენტის“ და გ. ბახმეტიციის „მარტინის დანაშაულის“ შემდეგ ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ ძლიერი ინტენციით აღტურვილი მწერალი ადვილად შეაძლებს ზოგადი, დამახასიათებელი მოვლენების თავმოყრას საზოგადოებრივ ცხოვრების სწრაფი განვითარების პროცესშიაც კი და მათ მხატვრულ გაფორმებას. „ცემენტი“ ასახავს ე. წ. აღდგენითი პერიოდის ზვეს საშუარონი მშენებლობაში. ეს პერიოდი გუშინდელი ამბავია, კიდევ მეტი—ახლაც გრძელდება, მოუხედავათ საბალზო მეტრონომის ჩქარი რეკონსტრუქციისა. „მარტინის დანაშაული“ უფრო გვიან დაიწერა, მაგრამ ის უკრო აღრინდელ ხანას—სამოქალაქო ომის პერიოდს—წვება. ესაც „ტუნიდელი“ ამბავია, ცოცხალი.

თ. გლადკოვის რომანი ჩვენ ტვანტერესებს, როგორც ქართულ ენაზე გამოცემული ფაქტი, როგორც თარგმანი, უნდა ითქვას აშკარათ: ამ რომანის თარგმანი ქართულ ენაზე უთადეს სიძველეს წარმოადგენს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ „ცემენტის“ ენა სრულებით თავისებურია, ის არ გავს ჩვეულებრივ რომანების ენას, სტილს. თ. გლადკოვმა ამ რომანში ჩვენ მოგვცა გამსაცხიფრებელი ნიმუში მუშურ ენის, კილო-კავის, სპეციფიკური გამოთქმების. კითხულობთ „ცემენტს“ და გტონიათ ხშირათ, ავტორი სრულ ვულგარობიას ახდენს რუსული მუშური ენის. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. ადვილად რწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს ნამდვილ მუშურ ენასთან, რომელზედაც ფაბრიკა და ქარხანა ლაპარაკობს. სწავ საკითხია, რამდენად მიზანშეწონილია ქარხნის ენარის მთლიანად, შეუცვარიბლად, გადაუმუშავებლად გადმოღება რო-

მანში. ალბათ, ვიკტორ შელდუკოვიმ იტყვებდა თავს“ და „ცემენტი“ სულგონობის დიდ დოზას ექვბდა, რადგან ფაბრიკის ენა მიუღებლად მიჩნდა მხატვრულ ფაქტისათვის. ვიმეორებთ, ძალიან მწილია „ცემენტის“ თარგმანი. არ ვიცი, როგორია ეს რომანი გერმანულ და ფრანგულ ენებზე გადართგნილი. შეიძლება კარგათ გამოდის ვეროპიულ ენებზე. ქართულ ენაზე „ცემენტის“ გამოცემა კი მთელ მოქალაქე უნდა ჩაიგალოს. სირცხვილიც კი იყო სახელგამს რომ არ გამოეცა ეს რომანი ამ სირცხვილს ჩვენ თავი დავეღწიეთ, რასაკვირვებლია, „წნათობის“ შემწეობით, სადაც ამ რომანის საქმათ ნაწილი დაიბეჭდა გასულ წლებში.

ჩვენ გულდასმით ვადავითვლიერეთ მწერალ დემნა შენგელაიას თარგმანი და, სიმართლედ უნდა ითქვას, პირდაპირ აღტაცებაში მოვდივით. აღარ გვეგონა, დემნა შენგელაია ასე თვალსაჩინოთ დასტვედა ამ სიძველეს. ამ ჩვენთვის ცხადზე-უცხადესი ხდება დებულება: მხატვრული ნაწარმოები უფლებადანია უნდა თარგმნოს უსათუოდ. თუ მთარგმნელი ხელოვანია და არა ხელოსანი, თარგმანი გოველთვის გაიმარჯვებს. ხელოსნები ჩვენში ბევრია, რამდენიც გნებავთ. მაგრამ ხელოვანი მით შორის ძალიან ცოტაა. ჩვენ საესებით ეეთამნებით ამა. ვ. ბახტაძეს, რომ დემნა შენგელაია ამ ამ ხელოვანთა ძალიან მცირე გჯუეს გუთენის. ვინც ამას ვერ (თუ არ—მით უარესი) ხედავს, პირადი განდიდების დალტონიზმითაა შეპყრობილი და, მამსადამე, ლიტერატურულ ცხოვრების დამალი ელემენტია.

„ცემენტის“ რუსი ავტორი ისე მტკიცეა, როგორც თეთ ცემენტი—ამბოფენ სამართლიანად. ჩვენს პირობებში უნდა დაუშვათ „ცემენტის“ ქართული მთარგმნელიც ისე მაგარი, როგორც ამ რომანის რუსი ავტორი. ეს გადაჭარბება ნუ გგონია, ამას გადაჭარბებათ ნუ ნივილებთ. ამისთვის საჭიროა „ცემენტის“ თარგმანის გულდასმით განხილვა, რუსულ ტექსტთან შედარება, მაგრამ ერთი პირობით: განხილველი, შემფასებელი თითონ უნდა წარმოადგენდეს ლიტერატურულ, მხატვრულ სიტუაციის ავტორიტეტს.

დემნა შენგელაიამ დაამტკიცა ამ თარგმანით, რომ ის მართლაც მწერალია, თან — საცხოვრებელი კულტურული. ეს თარგმანი არ უნდა იქნეს დაკონტროლებული დემნა შენგელაიას, როგორც მწერლის, შეფასების დროს. ჩვენის აზრით, ეს იქნება სრულებით სწორი და სამართლიანი.

საერთოდ, ქართული ენა „კრიზისის“ განიცდის. შემოდის ახალი „მართლ-წერა“, ახალი „სტილი“, ქართულ ლიტერატურაში. სამწუხაროა, ამ მხრივ უკრ კიდევ „სახელგათქმულია“ ძველი „პროლეტარული მწერლობა“. აქ რამდენიმე გნებავთ, იმდენია „ამერიკები“. ასეა საქმე „ორიგინალურ“ ლიტერატურაში. განა იკითხავეთ, რა მდგომარეობაა თარგმნილ გამოცემებში? ლაპარაკიც შედგება ამის შესახებ. ასეთ პირობებში „ცემენტის“ ვარსკლავივით ანათებს თარგმნილ ლიტერატურის სიბნელება. ჩვენში თარგმანების შეყვარების ტრადიცია რომ იყოს ფუნქციონირებული, „ცემენტის“ ამ თარგმანს უეჭვლად წარვიანგვინდით პირველ ხარისხის უკიდურეს მისაღებად. „ტრისტანისა და იზოლდასი“, „იტალიური ქრონიკების“ თარგმანი გაკვირვებით უფრო ადვილია, შედარებით იოლი, ვინც თ. გლადკოვის „ცემენტი“. ეს ჩვენ საცემეთი არ მოგვანია. დემნა შენგელაიამ სთარგმნა ჩვენს რომანს და ამით დაგვანახა, რომ ის ჩვენთან არის, ჩვენთან ახლოს სდგას, თანამედროვეობას არ გაუტრბის, თანამედროვეობის შეაგულის-ყენ აქვს გეზი აღებული.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამტკიცებთ, თარგმანი მთელი 100 პროცენტით „სრულქმნილი“ იყოს. ასეთი იდეალური თარგმანი, საერთოდ, ქართული ენის განვითარების თანამედრო-

ვე საფეხურზე შეუძლებელია არის. „ცემენტის“ ენის სიბნელის გასაცნობათ ჩვენ მოვიყვანოთ საილიუსტრაციოთ: **მარტინეტი**

— *Ежели ты, дохляк и старик, кланяешь мне саватку и ты чешь ее в сартыр, так я должен тебе сказать—спасибо!* და სს.

ან კიდევ:

— *Что вы понимаете в рабочем человеке? Утробу свою, шкуру только хотите, а на рабочий класс вам нахвать... Как ты меня чисти, чортова морда, ежели рожа моя для тебя—на шеюле?..* და სს. (გ—ბა 3 II Ф, 1928. გვ. 337 და 336).

ამგარაა, პირდაპირ შეუძლებელია ამ საცემეთურ ფრაზების გადმოქართულება. ეს რუსი მუშის ენაა, ჩვენს მუშას ხშირათ არც გაანია ასეთი ლექსიკონი, აქვდა—თარგმანის სიბნელება. რამდენად დასძლია დემნა შენგელაიამ ეს სიბნელები, ჩვენ დავინახავეთ, თუ მოუყვანილ ციტატებს ქართულ თარგმანის მე—291 გვერდს შევადარებთ.

ერთი სიტყვით, „ცემენტის“ ქართული თარგმანი ჩვენ სრულებით დამაკმაყოფილებლად მიგვანია. ეს ნიშნავს იმისა, როგორც მტყუპითობით, სფეროსულობით და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობის გამაზრებელი გრძნობით უნდა ითარგმნებოდეს მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები.

ქართული გამოცემა რუსულ გამოცემასთან შედარებით საძაგელია. აი რამდენად დაბალია ჩვენს გამოცემლობის კულტურა რუსეთის გამოცემლობის კულტურასთან შედარებით.

მოსკოველი.

Вл. Бахметьев.—Преступление Мартына. რომანი. გ—ბა 3ИФ გვ. 306, თ. 2 მან.

მოსკოვი.

„მარტინის დანაშაულმა“ დიდი ხმაური გამოიწვია. რომანი შესამჩვევრ გამოიქცა და, ალბათ, კიდევ მრავალჯერ გამოიქცევა. პრესა დიდის სიხარულით შეხვდა ამ რომანს, ვლ. ბახმეტევიმ გაიმარჯვა, ასეთი გამარჯვება მხოლოდ „ცემენტის“ ავტორს არ გუნა ბედმა. ბახმეტევის გამარჯვება არა ნაკლებად ტრიუმფალური აღმოჩნდა, რით აიხსნება ეს გარემოება?

ჩვენ ხშირათ ვამბობთ, რომ შინაარსი და ფორმა უნდა იყოს შეხვედრული მხატვრულ ნაწარმოებში. ჩვენი უბედურებაც იმაშია, რომ

ძალიან ხშირად, უმეტეს შემთხვევაში, არავითარ „შეხვედას“ არ აქვს ადგილი. გ. პლენანოვის შენიშვნა შინაარსის პრიმატის შეხახებ ყალბათ გაიგეს, შინაარსის პრიმატი როდეს მინშნავს მხატვრულ ნაწარმოების ფორმალურ მომენტების უმნიშვნელობას. მეორე მხრივ, არ ვარგა არც მხოლოდ ფორმათ, გარეგნული სახით გატაცება. ეს ცოცხლთვის იწვევს შინაარსის „გამოშორებას“ და... ზაფხს. შინაარსი და ფორმა—ასეთია უნაკლო მხატვრულ ნაწარმოების დამახასიათებელი ღირსება.



ეს მაქსიმალური მოთხოვნაა, რომელსაც მკითხველი ხელოვნის ეყენებს. მკითხველიც გაიზარდა, მატერული გემოვნების უნარი გაფართოვდა. მწერალსაც მეტი მოეთხოვება.

მე. ბახმეტიევმა გაიმარჯვა იმით, რომ მან მოგვცა შინაარსისა და ფორმის შეხვედრის რეალური ცეცხლი, შეიძლება ითქვას — პირველი ნიმუში საბჭოთა მწერლობაში. მართალია, ამ ეგზემპლარულმა ნაწარმოებში ბუნებრივად გვხვდება სუსტი ადგილები, არ არის არც ერთი ნაწარმიანი მსოფლიო ლიტერატურაში. რომელიც ამ „ყოფისაგან“ იყოს თავისუფალი. რასაკვირველია, ამით იმის თქმა არ გვიძნია, რომ „მარტინის დანაშაული“ უკვე მსოფლიო მატერულ შედეგს მიეყენება. არა, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ თანამედროვე მწერლობაში ეს ბახმეტიევი უსათუოდ დაიკავა ადგილი პირველ რიგში.

რომანის სიუჟეტი აღუფლავია სამოქალაქო ომის ცნობრებიდან. რომანის გმირი — მარტინ ბაიმაკოვი ვაქცავრად იღუპება პრალეტარულ რევოლუციის საქმისათვის, და არც შეიძლება იგი მარტინის სხეულია. მარტინ ბაიმაკოვი უნდა იქცეოდნენ სიმართლედ თავისი კლასის წინაშე, თავისი უდანაშაულობა უნდა დაეპტკევიდნენ თავის კლასისათვის, ავტორის მორალურ-კლასური ფორმულაც ასეთია: „Самое важное в жизни — вера в свой класс, сознание правды своей перед ним“.

რა დანაშაული ახალგაზრდა მარტინმა, რაში გამოიხატება მისი დანაშაული? — მან ვერ გამოიჩინა მებრალე ბოლშევიკის სიმტკიცე და თეთრების თავდასხმაზე თავისი შეფლთი უპასუხა უკან გაიხილა. მკითხველი ამყარათ ხედავს, რომ ეს „გაქცევა“ მარტინის სიმბაღლით არ არის გამოწვეული. მარტინიც უზრუნველბა იმ სადგურს, საიდანაც მან უკან გაქცესლა. მარტინის კლასი რევოლუციონერის სინდიკატის ქვედა, ის მოთხოვის დაუყონებლივ გასაშაროლებას, ის სცნობს თავის დანაშაულს და ახსიადებს კიდევ მსა. მარტინიც „გასაშაროლებს“. „სასჯელად“ — ფრონტზე წასვლა „მოუსაჯეს“. განა ფრონტი სასჯელია მარტინისათვის? არა, ეს არ არის სასჯელი არც ერთ ბოლშევიკისათვის. არც მარტინი გრძნობს თავს დასჯილად როგორც ესთქმით, თეთრების ტყვიამ განაწირა ის.

რომანში ერთი გარა, სამი გმირია გამოყვანილი. მარტინის გარა და ჩვენ ვხედავთ ძველ ბოლშევიკს — მიხაილ ივანოვს, რომელიც ზერზო-

ვადიანს „კლასიკთა“ ცნობილი (თუმცა არც ერთი ლერი შავი თმა ახლა არ გააჩნია) და ახალგაზრდა ქალ ბოლშევიკს — მარტინის კურორტ-ევეს. მიხაილ ივანოვი ბოლშევიკის ქრული ტიპია, გენიალური განსაზრება. მას ახასიათებს რკინის სიმტკიცე, ფულადიებზე რებისყოფა, ბოლშევიკური მიუდგომლობა. ეს ნამდვილი ბოლშევიკია. მან არ იცის არაფერი პირადორევილიუციის ინტერესი განუდგარია მის ძეგლსა და რბილნი. იბახმეტიევის ბოლშევიკი — ჩერეზოვოვი ამსოღლტურათ არ ჰგავს ლევიან მეტრეველის „ბოლშევიკს“. ეს ნათლად მიწრბობს, თუ რას მინიშნავს მწერლის მიდგომა თავის ობიექტისათვის, თუ როგორია იური მოწინააღმდეგე „აპერტებია“ ბოლშევიკის გაგებაში.

მიხაილ ივანოვი უსაზღვრო თანაგრძნობას და სიმბატის იმბაზურებს მკითხველებში, ის საყვარელი ადამიანია, რომელიც აღუღლებს მკითხველს. გინარიათ მასთან „მეგდერა“ რეანწი. ამაშია მატერულ-ხელოვნების გამარჯვება.

ახალგაზრდა ზინა კუდრიავევა, 19 წლის, ის მდივანია „მეგომის“. გამჭრიახი, გამბედავი, რევილიუციის აზრით გაყენებული. „Марат и Хити“ — ასე უნაიან ამ სოულგმობ ახალგაზრდა, ნორს „ბოლშევიკას“. მას „მოროიდან“ ეყვარა მარტინ ბაიმაკოვი. მაგრამ არ უწერია ბედი მასთან შესახალხორცების, რომანი საოცარ ფინალით თავდება — ჩვენ ვხედავთ. მიხაილ ივანოვისა და ზინა კუდრიავევის ლეიძის — 5 წლის გოგონას...

სადაა, ვინ არის რომანის ცენტრალური ფიგურა, მთავარი გმირი — მარტინ ბაიმაკოვი როგორც ავტორი ფორმობს, თუ მიხაილ ივანოვი, როგორც მკითხველი მსჯელობს. ეს ორი ფიგურა ისტატურო მელითაა ჩამოქონილი და გვიქება ვაცს, მარტინის მისეც უპირატესობა...

„მარტინის დანაშაული“ ცოცხალ მაკალითს მისცემს ყველა მწერალს, თუ როგორ უნდა მიუდგეს ხელოვანი მატერულ ნაწარმოების „გაყენებას“. ენა, სტილი, მატერული სახეები, მატერული მეტაფორები — ყველაფერი ეს განსაკუთრებულად აინტერესებს მკითხველს.

ჩვენი აზრით, ძალიან კარგს იხამს ჩვენი ს ა ხ ე ზ ა მ ი, თუ ამ რომანს პართლენაზე გამოსცემს, პართველ მასსიურ მკითხველს მისცემს ამ შესანიშნავ ნაწარმოების გაცნობის საშეალებას.

b. ა — ძგ.

ბიბლიოთეკის
თბილისი: {
ა. შიქაძე.
ს. შარულია.
ა. ქიქიძე-მელი.
ს. ული.

შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

გვერდი

1. ნ. ზომლეთელი—სოფლის სიახლე	1
2. ხან. შანშიაშვილი—წყემსი გოგო	3
3. პეტ. სამსონიძე—წერილი კომკავშირულთ	5
4. ვარ. რუხაძე—თბილისი	7
5. ვარ. თურული—ჩენი ქვეყნის გაზაფხული	8
6. კოლაუ ნადირაძე—შოტლანდიელი ცეცხლფარეში	9
7. არისტო კუმბაძე—ცხოვრების ქარავმა	17
8. ლევან მებრეველი—საზღვარზე	32
9. ნ. ზომლეთელი—ბეკანა დაბრუნებულია (გაგრძელება)	75
10. ი. ტატიშვილი—იაღლუჯა (გაგრძელება)	88
11. იოჰან რ. ბეხერი—ორას ათასი (თარგ. ურდოელისა)	102
12. მ. გორკი—არტამანოვების საქმე (თარგ. ლ. ქიაჩელია)	105

კრიტიკა, მიხედობა, პუბლიცისტიკა

13. პროფ. გ. ნათაძე—შავშეთ-კლარჯეთის ეკონომ. მდგომ. და კლასობრივი ურთიერთობა მე-9—10 საუკ.	141
14. პ. გუგუშვილი—ქართული წიგნის ბეჭდვის სამასი წლ. თავის გამო	159
15. ვარლამ ზურაბიძე—ორი სტილი (გაგრძელება)	178
16. კ. გორდეღაძე—სპინოზას ნატურალიზმი	198
17. ს. დევდარიანი—„ახალი“ ძიება ბურჟუაზ. იდეოლოგიაში	220

ბიბლიოგრაფია

18. სოლ. იორდანიშვილი—სულხან-საბა ორბელიანი: „ქართ. ლექსიკონი“	229
19. მ. გ.—პლენავოვი: „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“	235
20. მოსკოველი—თედორე გლადკოვი: „ცემენტი“	237
21. ს. ა.—ძე—Вл. Бахметьев: Преступление Мартина	238